K 13 707 / 4

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი

ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა

VI

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1969

ეროვნული ბიბლიოთეკა

1969

ეროვნული ბიბლიოთეკა

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ИНСТИТУТ РУКОПИСЕЙ ИМЕНИ К. КЕКЕЛИДЗЕ

ОПИСАНИЕ ГРУЗИНСКИХ РУКОПИСЕЙ

КОЛЛЕКЦИЯ S, БЫВШЕГО ОБЩЕСТВА РАСПРОСТРАНЕНИЯ ГРАМОТНОСТИ СРЕДИ ГРУЗИНСКОГО НАСЕЛЕНИЯ

ТОМ VI

Составили и подготовили к печати:

Т. М. БРЕГАДЗЕ, Л. Р. КАДЖАИА, Л. И. КУТАТЕЛАДЗЕ, Ц. А. ЧАНКИЕВА, М. А. ШАНИДЗЕ

Под редакцией Е. П. МЕТРЕВЕЛИ

ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»

ТБИЛИСИ

1969

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი

ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა

ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის
გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია

ტომი VI

K 13.707/4

შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს

თ. ბრეგაძემ, ლ. ქაჯაიამ, ლ. ქუთათელაძემ,
მ. შანიძემ და ც. ჯანკიევმა

ელ. მეტრეველის რედაქციით

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1969

091(с 922)
ქართული ხელნაწერები

ეროვნული ბიბლიოთეკა

002+379. 4 (с 41)
091 (47. 922)+069 (47. 922): 091
ქ 279

S კოლექციის VI ტომის მასალა აღწერეს:

მ. შანიძემ 4542—4546 (1551—1555); 4944—4959 (1686—1701)
თ. ბრეგვაძემ 4547—4620 (1556—1585); 4814—4943 (1646—1685)
ც. ჭანკიევმა 4621—4775 (1586—1625)
ლ. ქაჯაიამ 4776—4813 (1626—1645)
ლ. ქუთათელაძემ 4960—5003 (1702—1741)

7—2—2
112—68 აღვ.

37783-   2613-   2-50

ეროვნული
ბიბლიოთეკა

(1551) **4542**

ცხოვრება ალექსი კაცისა ღვთისა. XIX

16 ფ.; 22 × 18; ქაღალდი; უყდო; მხედრული; [XIX].

[ამბავი და ც ხ ო ვ რ ე ბ ა ა ლ ე ქ ს ი კაცისა ღვთისა]. „კაცი ვინმე ღთისა იყო ქალაქსა შინა, მრავლის მქონე იყო და უთვალავი ოქრო-ვერცხლის მარგალიტის პატრონი იყო, რომ იმისთანა გამდიდრებული არავინ იყო. მრავალის(!) ქვეყნები საყმოთ ქონდა, სახელათ(!) ეწოდებიენ(!) ევრემ, მეუღლე ანანა...“ 1 v — 12 v.

შენიშვნები: 1. სათაური აღდგენილია ხელნ. S — 1535 : 6 მიხედვით.

2. 1 r და 13 r — 16 v შევსებულია გადამწერის უწიგნური ხელით შესრულებული მინაწერებით.

3. ხელნაწერი აწერილია ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს მიერ (იხ. Описание..., II, გვ. 505).

4. ტექსტი გამოცემულია რამდენჯერმე, იხ. „ქართული წიგნი“, I, 1941, გვ. 232 (№ 2164), 239 (№ 2282), 269 (№ 2766).

(1552) **4543**

კრებული. 1831

31 ფ.; 19, 5 × 13; ქაღალდი; უყდო; ნაკლული; ამოცვენილია 3 — 5,14 ფფ.; მხედრული; ჭვირნიშანი [18]29 წ. (ფფ. 8,21); 1831 წ. (6 r, 9 v); გადამწერი ჯიმშერ მამიკონოვი (9 v); დაუწერელია: 16 r — 17 r, 19 v, 21 r — 24 v, 26 r, 28 r — 29 r.

1. „ქ. ა ნ ბ ა ვ ი სულისა და ხორცისა ჯ უ მ ჯ უ მ ხ ე მ წ ი ფ ე ს(!). — ისმინეთ ესე მაღალი ღვთისაგან ბძანებით. — წმინდა გრიგოლმა გაიარა ჭალის პირსა, ერთი გამხმარი კაცის თავის(!) იპოვნა...“ 1 v — 5 r.

2. ⟨ა ბ რ ა მ ი ა ნ ი⟩ „ქ. აბრამ იყო ღ̃თის მლოცავი, მაგრამ ძენი ენატრება...“ (6 v — 9 v).

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს იხსენება გამლექსავი: „გამლექსველსა ამა ლექსისა ტ ე რ-ა ს ა ტ უ რ(!) ღ̃თის მონება...“ (9 v). ტექსტს მოსდევს გადამწერის ანდერძი: „ესე ა ბ რ ა მ ი ა ნ ი დავწერე მე, ჯ ი მ შ ე რ მ ა მ ი კ ო ნ ო ვ(!), წელსა ჩყლა; ვინც რომ მოიპაროს, ღათ(!) გაუწყრეს ღმერთი“ (9 v). თარიღი მოცემულია აგრეთვე 6 v-ზე: „წელსა ჩყლა, ღვინობისთვის კე, ქ̃კს ფით“.

3. „ქ. ა ს ო ს ს ა მ ღ ე რ ა ლ ი მართალი და ჭეშმარიტი, ნათქვამი დ ა ნ ი ე ლ წ ი ნ ა ს წ ა რ მ ე ტ ყ ვ ე ლ ი ს ა გ ა ნ და ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს ა(!) მ ა კ ე დ ო ნ ე ლ ი ს ა გ ა ნ(!) და მ ჯ ა ფ ა რ ი ს ა გ ა ნ(!), ბერძნეთისა(!), ერანელითა(!) ექიმებისა თქმული თუ სრული. — თავი ემღეროს, ყოველი მისი საქმე კარგათ მოხდეს...“ 10 v — 15 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნები: 1. 1 r-ზე სხვა ხელით მიწერილია ლექსი: „ვის ხელში გაიზარდე, ბრძე-ნო, უცხო, ჭკვიანო...“

2. 5 r — 6 r-ზე გადამწერის ხელით სწერია ლექსი „კეკლუც ტანზედ მიჭრიან ხამ-სა...“ ტექსტის ბოლოში: „...ბუდალ ოლლანა ვარ ცირესანი(!), ჰოი, დავკარგეთ ძმათ წოსანი(!)...“ იგივე ლექსი, უწიგნური ხელით ნაწერი, მოთავსებულია 20 r-v-ზე. ბოლოში: „მე ვარ მაია მცირე სოსანი...“

ანდერძი (გადამწერისა) იხ. აქვე. 2, შენიშვნა.

მინაწერები: 1. „ქ. ესე აბრამიანი და ჯუმჯუმიანი და ასოს სამღერი სოლომონისი და(!) ლუკასშვილის“ (31 r).

2. „ესე წიგნი საკითხავი არის სოლომონის“ (32 r).

3. „ქალაქ ტფილისი 11-ს ივლისს, ქალაქი თბილისი, 1902 წელსა, მიხეილ გრიგოლის-ძე ლობჟანიძე“ (25 r, იქვე ასეთივე ხასიათის მინაწერი რუსულად).

4. „Мюнхен, Германия, Г-ну Ивану Арутинову, Туркенштрассе № 67 с/III, от Михаила Лобжанидзе“ (10 r); ფანქრით; იმავე ხელით მინაწერები 25 v.

5. სხვა მინაწერები 18 rv, 26 v—27 v, 29 v, 30 rv.

(1553) **4544**

ბეჟანიანი. XIX

27 ფ; 17 × 22; ქაღალდი; უყდო; თავ-ბოლო ნაკლული; მხედრული; ჭვირნიშანი 1802 წ. (ფ. 2); [XIX].

[ბეჟანიანი]. „...აფრასიობის ასული. მზე არის
ამომავალი...“
წყდება: „...ქაიხოსრო გაეგება, პილოტანსა დალოცვიდა,
როსტომ მადლი გარდიხადა, ბეჟანს ჭელი
მოუვიდა...“

შენიშვნები: 1. ხელნაწერი შეიცავს „შაჰ-ნამეს“ 4188—4364 სტროფებს (იხ. აბულყასიმ ფირდოუსი, შაჰ-ნამე, ქართული ვერსიები, ტ. II, 1934).

2. ხელნაწერი აღწერილია ე. თაყაიშვილის მიერ (იხ. Описание..., II, გვ. 485).

(1554) **4545**

ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს ისტორია და გეოგრაფია. 1826

219 ფ. (I × 436 გვ.); ცისფერი და ლურჯი ქაღალდი, ტვიფრულ ტყავგადაკრულ ხის ყდაში; ამოვარდნილია გვ. 433—434; მხედრული; სათაურები სინგურით, მთავრულად; ჭვირნიშნები: 1800 წ. (გვ. 3), 1823 წ. (გვ. 137 და 147); 1824 წ. (გვ. 418); გადამ-წერი მღვდელი დიმიტრი ოქროაძე (გვ. 432); დაუწერელია: გვ. 134, 408, 409, 410, 433—436.

⟨„ისტორია გეორგიისა ანუ ყოვლისა საქართჳელოჲსა, ქმნილი ვახუშტის მიერ ვახტანგ მეფის ძისა.⟩ ტომობა და შთამომავლობა ქართჳ-ელთა — ნოეს ძის იაფეთის თესლისაგან ვიდრე ქართლოსისა და ძმათა მისთამდე და განყოფილებანი მათნი და ძეთა მათთა. აწ ზნეთათჳს ვიწყოთ ძჳე-ლიდამ ახლადმდე...“ გვ. 1—390.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნები: 1. ხელნაწერის შედგენილობა:

ა. ზნენი და ჩუეულებანი საქართველოსანი (გვ. 1—12).

ბ. აღწერა სამეფოჲსა საქართუჱლოჲსა (გვ. 12—126).

გ. უწყება მკითხუჱლთათჳს (გვ. 126—133).

დ. აღწერა აწინდელისა ქართლისა (გვ. 135—169).

ე. შემდგომად განყოფისა სამეფოჲსა სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ, ცხოვრება და ქმნულება მეფეთა ქართლისათა“ (გვ. 170—232).

ვ. აღწერა ჰერეთისა, კახეთისა და კუხეთისა, კუალად თუშეთისა და დიდოეთისა (გვ. 233—246).

ზ. მთავართათჳს კახეთისათა (გვ. 247—250).

ჱ. ცხოვრება აწინდელთა მეპატრონეთა (გვ. 251—280).

თ. აღწერაჲ აწინდელისა ოვსეთისა, ანუ კავკასიის შინათა (გვ. 281—290).

ი. აღწერა საჩინოთა ადგილებთა სამცხე-საათაბაგოსათა (გვ. 291—306).

ია. ცხოვრება სამცხე-კლარჯეთისა (გვ. 307—328).

იბ. აღწერა ეგრისის ქუჱყანისა, ანუ აფხაზეთისა, ანუ იმერეთისა (გვ. 329—390).

2. სათაური მოცემულია თავფურცელზე (Ir).

ტექსტს მოსდევს:

ა. ქორონიკონები ჩუჱნ მიერ პოვნილნი (გვ. 391—407).

ბ. მეფეთა სინქრონიული ტაბულები (გვ. 411 — 420); ტაბულები დაუმთავრებელია.

გ. სომხითის სოფლები ქრისტეანეთა და თათრისობაჲ (გვ. 421—432).

4. ტექსტში ჩართულია: ა. „თამარ მეფამ რომ ხალიფაზედ გაიმარჯუა, ხახულის ღ̃თისმშობელს დროშაჲ და მანიაკი მიართუა, ეს იამბიკონი ხუთ მუჴლედნი ოცდახუთ ლექსად წარსწერა.—ცასა ცათასა დამწყები ღმერთ მთავრობა...“ (გვ. 78—79);

ბ. „თამარ მეფას საფლავზე ქუასა ზედა წარწერილი ლექსი. — როს ნაჭარმაგევს მეფენი...“ (გვ. 82; ნამდვილად წარმოადგენს დავით აღმაშენებლის ეპიტაფიას, ეკუთვნის არსენ იყალთოელს, იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951, გვ. 255; ტექსტი გამოქვეყნებულია, იხ. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, I, 1946, გვ. 377);

გ. „ქმნილი არს ლექსი ესე მეფაჲსა თამარისათჳს ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა მეფის ძისა დავითიან-ბაგრატოვანისა. — ამისსა ბროლსა ნათელსა აყიყი შუა ჰრეოდა...“ (გვ. 83; ტექსტი დაბეჭდილია, იხ. ქართული ქრისტომათია, ნაწილი პირველი, ახლად დაბეჭდილი დავით ჩუბინოვისაგან, 1863, გვ. 73).

5. ხელნაწერი აღწერილი აქვს ე. თაყაიშვილს (იხ. Описание ..., II, გვ. 667 და 668; ხელნაწერი აღწერილია ორჯერ, 391 და 407 ნომრებით).

ანდერძი: „სრულ იქმნა სადიდებლად ღ̃თისა ყოვლისა მპყრობელისა, უფლისა ყოველთა ძალთასა, თთუესა ოებერუალსა 15 დღესა: 1826 წელსა. მღუდელი დიმიტრი ოქროაძე“ (გვ. 432).

(1555) **4546**

ფლორინოვი, ეკონომია. XVIII

194 ფ.; 30,5×20; ქაღალდი, ყდით, დაშლილი, კიდეებშემოხეული; თავ-ბოლო ნაკლული, აკლია შიგაც; მხედრული; [XVIII]; დაუწერელია 83 v.

⟨ფლორინოვის ეკონომია გინა მოსახლეობა⟩ —„... იგინი კეთილსა დარებსა აჩენენ. თუ როდისმე გეჩუჱნება ვითარცა ვარსკლავნი მაღლე მორბენილნი(!), ეგრეთ ქარი იქნება... 1 r — 194 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყდება: „...მეოთხედი საათისა გაუწყვეტლათ ურიე, მერმე მასში უყავ ერთი გირვანქა შაქარი, ერთი გირვანქა ნახევარი...“

შენიშვნები: 1. ავტორი და სათაური თხზულებისა რამდენჯერმეა დასახელებული, ცალკეული წიგნების სათაურების წინ. ეს სათაურები შემდეგია: წიგნი მესამე; მიწის მსაქმელობა. რომელისაგან აღმავალი არს კეთილი საქმე და სარგებელი (39 r); წიგნი მეოთხე, ხოლო ესე ამბავი ბაღებზედა და ყურძენზედა (86 r); წიგნი მეხუთე, ცხენებზე და რჩომაზე (122 r); წიგნე მეექვსე, აბრეშუმის ჭიაზედა და მათსა განმრავლებაზედა, მერმე ფუტკარზე, თაფლზე და წმიდა სანთელზედა, ტბებზე და თევზზედაცა (160 v); წიგნი მეშვიდე, გამოცხობაზე შავის პურისა, მოხარშვაზე ფივისა, ანუ იგინი როგორ შეინახო, დამარილოვანება ჴორცისა, ეგრეთვე მომზადებულება სასმლეებისა(!), ხოლო სახელით კაჲე, რაი, შეკოლათი და სხვაცა (168 r); წიგნი მერვე, კაცის ანატომიაზე, რომელსა ჰქჳან კაცის გამოშიგნვა და მისი ყოვლის ასოების დასინჯვა და მისთვის შესაფერი წამლებიცა (174 v).

2. რამდენიმე ადგილას დატოვებულია ადგილი, სადაც უნდა ყოფილიყო დახატული სურათი, რასაც მოწმობს სათანადო წარწერა (83 r, 131 rv, 176 r).

3. „ეკონომია“ თარგმნილია სვიმონ მაკაცარიძის მიერ 1746 წ. ნ. ...აღწერილობა H ფონდისა, ტ. I, გვ. 53. ხელნ. H—68-ის ანდერძში ნათქვამია: „საქართველოს მეფის ბაქარის ბრძანებითა გადმოითარგმნა რუსულისაგან ქართულად წიგნი ესე იეკონომია, რომელ არს მოსახლეობა, უმცირესისა მათის სიმაღლის მონისა ჴელითა სვიმონ მაკაცარიძისაგან. განსრულდა, დიდება ღმერთსა, წელსა დასაბამითგან ჴსნვ, ქ~კს ულვ, ქრისტეს აქათ ჩღმჳ, დეკემბერსა ი.“ ასეთივე ანდერძი ახლავს ხელნაწერ S—1390-ს. ტექსტის ლექსიკას რუსულის გავლენა ატყვია: „ტრუბიდამ (7 r). ოტკა (16 r), პილული (18 r), პოროშოკი (21 v), ზავოდში (102 r), ფშენიცაზე (64 r). პარალიჩზედა (183 r) და სხვ. ხელნაწერის ტექსტი ნათარგმნია 1738 წლის რუსული გამოცემიდან (იხ. ტ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, 1960, გვ. 246). რუსული თარგმანი, თავის მხრივ, მომდინარეობს გერმანულიდან (იხ. Опыт российской библиографии... Собранный... Василием Сопиковым, 1813. ნაწ. V, გვ. 125).

4. ხელნაწერთან ერთად დევს ფურცელი, რომელსაც თანამედროვე ხელით შავი მელნით აწერია: „საოჯახო ეკონომია, ვახტანგ მეფის ბრძანებით ნათარგმნი სიმონ მაკაცარიძესაგან 1725 წ.“ ქვემოთ მინაწერი ფანქრით, სხვა ხელით: „ეს შენიშვნა არაფრით მართლდება“.

(1556) **4547**

ქილილა და დამანა. XIX

(ს.-ს. ორბელიანის რედაქციისა).

328 ფ.; 35,5 × 20,5; მწვანე ფერის ქაღალდი, დალაქავებული, ძველი რესტავრირებული, ზოგიერთი ფურცელი გვერდებშემოცვეთილია, გახეულია ფფ. 166, 286, 328; ტვიფრული ტყავგადაკრული ხის ყდა, ყუა დაზიანებული აქვს; ნაწილობრივ დაშლილი; მხედრული, სათაურები, შაირთა და აბზაცთა დასაწყისები სინგურით; თავსამკაული: 3 r, 97 r, 127 r, 153 r, 193 r, 210 r, 217 r, 228 r, 241 r, 262r, 269 r, 278 r, 301 r, 314 r; ბოლოსამკაული: 152 v, 192 r, 209 r, 216 v, 227 v, 240 v, 261 v, 268 v, 277 v, 300 v; 313 v; [XIX ს. I მეოთხედი], ჭვირნიშანი: 1914 წ.; დაუწერელია: 1 r — 2 r, 96 v, 192 v, 209 v, 328 r-v.

[ქილილა და დამანა]. — „ვიწყეთ პირველი არაკი იგავთა მარგალიტთა მებაზრეთა და სიტყუა ხელოვნებათა გამომჩხრეკელთა და უცხოთა არაკებთათვის პირის ამღებთა და საკჳრველთა შემჭევრებითა თქმულთა შემწყობელთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამა ჰამბვისა თავი ჰაი, ჰაი, ასე მოურთავთ, ქებულისა გამოჩენილის კაბადონთა ამა დასაწყისი უცხოთ რომ შეუწყვიათ, რომელსა პირველთა ჟამთა და დროთა ჩინეთის ქუშყანათა ერთი მეფე ყოფილა, რომ მისი ბედსვიანობა და მისის სახელ-დიდების ჴმა ყოველთა ალაგთა განფენილი იყო...“ 8 v — 327 r.

შენიშვნა: 1. უძღვის: ა. „კარი პირველი ქილილა დამანასი, სპარსულისაგან ქართულად თარგმნილი მეფის ვახტანგისაგან. —

მეც მივჰყევ სპარსთა ზღაპარსა თარგმანებისა
მგებართა,
არავინ მიშვებს გარეგან მთათა გინა მებარ-
თა...“ (2 v).

ბ. „დასაწყისი პირველი წიგნისა ამის შესავალად თქმული **ბრძნისა** ანვალი სოილისა. — სრული სიბრძნე ამისად შემსგავსებულად დაუც და ყოველთა წიგნებთა შინა მთქმელისა სახელი დიდათ უსახელოვნებია...“ (3 r — 6 v). გ. ანდერძი სულხან-საბა ორბელიანისა. — „ეს წიგნი ქირმანს და ისპაანს შეჭირვებაში მყოფს და უსაქმო მოზრუნავს გონების ურვის წამლად მოემუშაკა მეფეს ვახტანგს ქართველთასა, სპარსულისაგან ქართულად ეთარგმნა...“ (6 v — 8 v). დ. [კართა საძიებელი] (8 v).

2. ერთვის: ა „მეფის ნაბძანები შაირები—

კულავ მიხმეს ისევ ისპაანს, დამრჩა ეს შეუსრულები,
მომცეს პატივი მრავალი, ვაჲ თუ დავაბა სულები...“ (327 v).

ბ. „ვით წინა ლექსი აჩენს, მე დამრჩა გაულექსავი და სულხან-საბამ გალექსა ორბელის ძემან. რასაც ლექსს აშიაზედ მანი უზის, მეფისა არის ნაბძანები, დიდის ცდით ჩემგან ნაღვაწი, თუმცა გაავლოთ გულები (327 v).

3. ვახტანგ VI-ის ანდერძი ამ ნუსხაში არ არის, მხოლოდ 8 v-ზე აღნიშნულია სინგურით: „აქა ბატონის ანდერძი უნდა დაიწეროს“.

4. ქილილა და დამანას საბასეული რედაქცია გამოცემულია სამჯერ: 1. ი. ჭყონიას მიერ 1886 წ. 2. ალ. ბარამიძისა და პ. ინგოროყვას მიერ 1949 წ. 3. ალ. ბარამიძისა და ელ. მეტრეველის მიერ 1961—62 წ.

5. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექვთიმე თაყაიშვილს იხ. „Описание“, ტ. II, გვ. 486.

მინაწერები: (გადამწერის): 1. „ეს შეცდომით მომივიდა, იქით გვერდი ამ პირზედ უნდა დამეწერა და ეს გვერდი იქით პირზედ უნდა დამეწერა“ (20 v).

2. „ამ პირზედ ამიტომ ვერ დაიწერა, რომ მელანი გამოდიოდა და მეორე პირიზედ(!) დაიწყება“ (70 v).

(1557) **4548**

ჟამნი. XVI, XVIII

II + 376 ფ.; 19 × 14,8; ქაღალდი, სხვადასხვა დროის; ტყავგადაკრული ხის ყდა, ყუა დაზიანებული; ნაკლული, დაშლილი, ნუსხური, სათაურები და დასაწყისები სინგურით; [XVI (129 r — 256 v), XVIII სს.]; ჭვირნიშანი აქვს; ნაწილის (XVIII ს.) გადამწერი „იოსებ“ (119 v, 122 r, 264 v); დაუწერელია: 1 v—2 r, 124 v—125 v, 372 v, 376 v.

⟨ჟამნი⟩. 1... [ჟამნი შუაღამისანი]. „...ღ̃ისა მიერ აღდგე რაჲ, გაქუნდეს პირსა შ̃ნჲ შენსა ლოცვათა წმიდათა ღმერთშემოსილთა მამათა...“ 4 r — 19 r.

შენიშვნა: „ჟამნი შუაღამისანი (4 r); „ჟამნი შაბათისანი“ (9 r); „ლოცვაჲ წმიდისა ევსტათისა“ (12v); „გალობანი შუაღამისანი“ (13 r); „სხუაჲ ლოცვაჲ სავედრებელი უფლისაჲ ჩუენისა ი~ჳ ქრისტესსა“ (16 v); „სხვაჲ ლოცვაჲ“ (17 r); „ლოცვაჲ შუაღამისა, თქმული იოანე დამასკელისა“ (17 r); „სხუაჲ ლოცვაჲ ყოვლად წმიდისა ღ~ისმშობლისა მიმართ“ (18 v).

„ლოცვანი ღამისანი ჟამისა ათორმეტნი.—ლოცვა ღამისა ა ჟამისა. რომელნი ესე ჟამსა შინა დღისასა ხედვითა დაბადებულთა შინასა დიდმოქმედებისა შენისათა...“ 19 r — 22 r.

„ჟამნი ცისკრისანი.—მღდელმან: კურთხეულ არს ღმერთი. და თუ არა იყოს მღდელი, ლოცვითა წმიდათა მამათა ჩუენთათა, უფალო, ი~ჳ ქ~ე ჩუენო, შეიწყალენ...“ 22 r — 26 r.

„წარდგომანი რვათა ჴმათა ზედა.—გალობაჲ სამებისა, ჴმაჲ ა. ჴორციელითა სახითა უჴორცოთა...“ 26 r — 35 r.

„ჟამნი დღისანი ჟამთა მზისათა.—მ~დით თაყუანის ვცეთ გ-ჯერ სიტყუანი ჩემნი ყურად იხუწნ...“ 35 r — 38 r.

„ჟამნი სამ ჟამი.—მეუფეო ზეცათაო ნუგეშო. წმიდაო ღმერთო, მამაო ჩუენო, მარადით თაყუანის ვსცეთ...“ 38r — 41 r.

„ჟამნი მეექუსე.— მ~დით თაყუანისვცეთ...“ გ — ჯერ. ღმერთო, სახელითა შენითა მაცხოვნე მე...“ 41 r — 43 v.

„ჟამნი ცხრა ჟამისა.—წმიდაო ღმერთო, მამაო ჩუენო. კ~ნი იბ. მ~დ~ით თაყუანისვცეთ გ. ვითარ საყუარელ არიან საყოფელნი შენნი...“ 43 v — 50 v.

„ჟამნი მწუხრისა.—უკეთუ ა... იყოს წმიდაო ღმერთო, მამაო ჩუენო, რამეთუ შენი არს სუფევაჲ. კ~ნი იბ. მ~დით თაყუანის ვსცეთ გ. აკურთხევს სული ჩემი უფალსა...“ 50 v — 53 r.

„ჟამნი დიდისა სეროზისა დიდთა მარხვათა.—და ვითარცა თქუას მღვდელმან კურთხეულ არს ღმერთი ჩუენი, ვიწყებთ წმიდაო უფალოსა და მუჴლთ მოდრეკასა გ და ვიწყებთ ხადილსა ჩუენსა, ესმა ჩუენი ღმერთსა სიმართლისა ჩუენისასა...“ 53 r — 59 v.

„განგებაჲ მცირეთა სერობისა.—მღდელი ჳყოფს კურთხეულ არსა და თუ მღდელი არა იყოს, ლოცვითა წმიდათა მამათა ჩუენთათა...“ 59 v — 60 v.

„ოხითა იბაკონი აღდგომისანი რვა ჴმანი. ჴ~ჲ ა.—რაჟამს ლოდი იგი დაბეჭდულ იყო...“ 60 v — 61 v.

„ოხითა იბაკონი სამგზეფსონი.—ზეცისა მჴედრობითა, მთავარანგელოზნო მიქელ და გაბრიელ...“ 61 v — 63 r.

„ოხითა იბაკონი მარხვათა და ზატიკთანი მეზვერისა და ფარისეველისა. ოხითა აღდგომისა იბაკოჲ, ღმერთო, ყოვლისა მპყრობელო...“ 63 r — 67 v.

2. [თვეთა მეტყველებანი]. „თუესა სეკდენბერსა აქუს დღე ლ, დღეთა აქუს ჟამი იბ და ღამეთა ჟამი იბ. თუესა სეკდენბერსა ა, დაწყებაჲ ინდიკტიონისაჲ, ესე იგი არს ახლისა წელიწადისა და ჴსენებაჲ ღირსისა მამისა ჩუენისა სჳმეონ არქიმანდრიტისა და ჴსენებაჲ ღ~ისმშობლისა მასიანეს და წმიდისა მოწამისა აითალასი და წმიდათა ორმოცთა დედათა და ამონა დიაკონისაჲ და მოძღურისა მათისა და ჴსენებაჲ წმიდათა მოწამეთა კალის-

ტრატი, ერმოგენი და ევვოდოსი და მოჴსენებაჲ დიდისა წუისა და ჴსენებაჲ ისო ნავესი. ოხითა ბ. — ყოვლისა დიდებულისა შემოქმედო, ჟამთა და წელთა თჳსითა ჴელმწიფებითა დამსხმელო...“ 68 r — 122 r.

შენიშვნა: იხილე: „შესხმა სოფრონი იერუსალიმელ პატრიაქისა მიერ“ (104 v); მოსახსენებელი გიორგი მთაწმიდელისა (117 v).

3. „აქა იწყებიან ჴმაჲ სახარებანი ყოველთა წმიდათა კურიაკესა“ 122 v — 123 v.

4. „დასდებელნი აღდგომისანი“. — ჴ~ჲ ა. — სამწუხრონი ლოცვანი ჩუენნი შეიწირენ წმიდაო უფალო...“ 126 r — 187 r.

5. „სახარებანი საცისკრონი აღდგომისნი ი~ა. სახარებაჲ მათესი. — ხოლო ათერთმეტნი იგი მოწაფენი წარვიდეს გალილეად მთასა მას, სადაცა უბრძანა მათ იესუ...“ 187 r — 197 r.

6. „იბაკონი ღვთისმშობლისანი. — სასოო და შესავედრებელოჲ, ქრისტეანეთაო ურცხჳნელო...“ 197 r — 230 v.

7. [საგალობლები საუფლო და დიდი დღესასწაულების]. თუესა სეკდემბერსა ჱ, შობაჲ წმიდისა ღვთისმშობლისა. უფალო ღ~ყა. ჴ~ჲ ა. ეჰა დიდებული საკჳრველი წყაროჲ ცხორებისა...“ 230 v — 238 r.

„თუესა სეკდემბერსა იდ, ამაღლებაჲ პატიოსნისა ჯუარისა და დაძინებაჲ წმიდისა იოანე ოქროპირისა. — ზეცისა გ~ნწ. ჴ~ჲ ა. — ბრწყინვალედ შუენიერ არს ჩუენდა კრებაჲ ესე...“ 238 r — 246 v.

„თუესა სეკდემბერსა კვ, მიცვალებაჲ წმიდისა და ყოვლად ქებულისა იოანე მახარებელისა და ღ~ისმშობლისაჲ. ჴ~ჲ ა. ზ~ცისა გ~ნწ. — მოციქულსა ქ~სსა, მოდით ერნო დღეს....“ 246 v — 251 v.

„თუესა ნოენბერსა ჱ და სეკდენბერსა ვ. — კრებაჲ დიდებულისა მიქელ მთავარანგელოზისა. ჴ~ჲ ა. — მიქელ დიდებულო ღ~ჲ(!), ყოველთასა ს~ლჲ მსახური ხარ...“ 251 v — 254 v.

„თუესა ნოენბერსა იგ, წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისაჲ. უფალო ღ~ყა. — ოქროანსა ორღანოსა და სულიერსა ებანსაჲ...“ 254 v — 258 v.

8. „ლოცვაჲ სავედრებელი წმიდისა ღ~ისმშობლისა, რომელ არს პარაკლისი. მ~ღნ კბ~რსი. ფ~სნი. უფალო, შეისმინე ლოცვისა ჩუენისა. ს~დ. დბ~ჲ. აწ~ჲ. ღ~ი. უ~ი. გ. ოხითა ბ. — ღ~ისმშობელსა ლმობიერად შეურდეთ ჩუენ ცოდვისანი ესე...“ 258 v — 264 [illegible].

9. „იბაკონი წმიდისა ღ~ისმშობელისანი, რომელსა დაუჯდომელი ეწოდების ქართულად, ხოლო ბერძნულად აკათისტო. — ზეშთამბრძოლისა ჩემისათჳს და მოღუაწისა უძლეველისა...“ 265 r — 279 v.

10. [გალობანი და ლოცვანი ზიარებისანი] — „საჴმარ არს ცნობა, ვისცა ენებოს ზიარებაჲ ცხორების მომცემელთა საიდუმლოთა მწუხრითგან, ჯერარს დაცვაჲ თავისა თჳსისა ყოვლისაგან ზრახვისა ბოროტისა...“ 279 v — 298 v.

11. [დასდებელნი აღდგომისანი]. „დიდსა შაბათსა მწუხრი, დასდებელნი აღდგომისნი. — სამწუხრონი ლოცვანი ჩუენნი...“ 298 v — 300 v.

„წმიდასა დიდსა კუირიაკესა ღამისა თევად გალობანი. უგ~ბჲ ბ გ~ი. რ~ნ დაფრ. — ქრისტე მჴსნელო ჩუენო მოკვდავთაო...“ 300 v — 303 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ბრწყინვალესა კჳრიაკესა, ცისკრად გალობანი. უგ̃ბჲ. ჴ̃ჲ ა. — აღდგომისა დღე არს, განბრწყინდებოდეთ აწ ერნო...". 303 r — 307 r.

„დასდებელნი ახალკჳრიაკისანი, უფალო ღ̃ღყა. ჴ̃ჲ ა. — რომელმან ბჭეთა ჴშულთა მწიფეთა კრებულსა თანა შეხვედი..." 307 r — 311 v.

„აღვსებითაგან კჳრიაკესა მენელსაცხებელთა დედათა და იოსებ მართლისა. უფალო ღაღ̃დყვ. დასდებელნი აღდგომისანი. — პირველ საუკუნეთა მამისაგან შობილსა..." 311 v — 317 v.

„მეოთხესა კჳრიაკესა, განრღუეულისა, უფალო ღ̃ყვსა, დასდებელნი აღდგომისანი. ჴ̃ჲ გ. ჯუარითა შენითა ქ̃ე მც̃ხრ...". 317 v — 323 r.

„ოთხშაბათსა შუა ზატიკსა განზოგებაჲ, სამშაბათსა მწუხრი. უფალო ღღ̃ყა. ნ̃თლმ̃ნ და უწმ. დ. — წარმოდგა ერგასისთა დღეთა..." 323 r — 329 r.

„მეხუთესა კჳრიაკესა სამარიტელისა, უფალო ღ̃ღ̃ყა, დასდებელნი აღდგომისანი. ჴ̃ჲ დ. — ცხოველსმყოფელსა ჯუარსა შენსა ..." 329 r — 334 r.

„მეექუსესა კჳრიაკესა შობათაგან ბრმისა, დასდებელნი ანგელოზისნი. ჴ̃ჲ ა გ̃ი. — პატიოსნისა ჯუარისა შენისა მიერ, ქრისტე..." 334 r — 340 r.

„მეექუსესა ხუთშაბათსა ამაღლებაჲ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი. უფალო ღ̃ყვსა, ჴ̃ჲ ბ გ̃ი. — უფალი ამაღლდა ზეცად, რათა მოგჳვლინოს ნუგეშინის მცემელი..." 340 r — 345 v.

„კჳრიაკესა მეშჳდესა სამას ათურამეტთა წმიდათა მამათა ნიკიელთაჲ. დასდებელი აღდგომისანი. ჴ̃ჲ ბ გ̃ი. — ძლევაჲ გაქუნდა ქრისტე..." 345 v — 353 r.

„კჳრიაკესა მეერგასესა დღესა, მოსლვა წმიდისა სულისა წმიდათა მოციქულთა ზედა. უფალო ღ̃ღ̃ყა, დასდებელნი. — ნათელი ნათლის მეერგასესა დღესა..." 353 r — 359 r.

„კჳრიაკესა ყოველთა წმიდათასა, შაბათსა მწუხრი, უფალო ღ̃ყა, დასდებელნი აღდგომისანი დ გ̃ი. — მწუხრისა. გალობასა და სიტყჳერსა მსხუერპლსა..." 359 v — 363 r.

„კჳრიაკესა წმიდასა მეერგასესა. მწუხრად ვრეკთ, ადრე დავიწყებთ აკ̃ხსსა, შემდგომად აკურთხევსისა მშჳდობიანი დიდი. მშჳდობითოჲ მიმართ. ზეცით გარდამო უფალი... 363 v — 372 r.

12. „უკეთუ ვინმეს დაცემა შეემთხჳოს, რომელსა... ეზიარების. — მიწყალე ს̃დ..." 373 — 376 r.

შენიშვნები: 1. ხელნაწერის კიდეებზე ზოგჯერ აღნიშნულია საგალობლის ავტორი, მაგ:. „თეოფანე" (150 v, — 156 v); „იოსებ" (170 v).

2. ერთვის სხვა ჟამნებისაგან განსხვავებული დამატებითი მასალა. იხილე შედგენილობა.

ანდერძები: 1. „წმიდაო ღმერთო, შეიწყალე ამაზე მშრომელი იოსებ" (67 v).

2. „ქრისტე, შეიწყალე იოსებ" (119 v).

3. „ყოვლად წმიდაო ღვთისმშობელო, შეიწყალე იოსებ" (122 r).

4. „ქრისტე, შეიწყალე იოსებ, ამინ" (264 v).

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. „უფალსა ღმერთსა მოგახსენებ და გამცნებ, შვილნო, ძმანო და მეგობარნო, ნუ დამივიწ...“ (372 v).

მინაწერები: 1. „ჩღჲდ მაისის კზ. ქ. გვარტომობით ქ ვ ა ბ უ ლ ი ა ნ მ ა ნ, კ ა ხ თ-მ დ ი ვ ნ ი ს დ ა ვ ი თ ი ს ძ ე მ ა ნ, ყოვლად სამღუდელომან რ უ ს თ ვ ე ლ მ ა ნ ი ო ა-ნ ე მ შევსწირე ს ა დ ღ ე ს ა ს წ ა უ ლ ო ესე ა რ ტ ო ზ ა ნ ს აღშენებულსა მდივნის კარის ეკლესიისა მთავარანგელოზისა სულისა ჩემისა საოხად და ძმისა ჩემისა სადღეგრძელოდ. ვინც მოიპაროს ან გამოსწიროს, რისხევდეს მთავარანგელოზთა ძალნი უსხეულონი“ (2 v).

2. „ქ. ქართველმან ბატონმა, ძემან ლ ე ო ნ ი ს ა მ ა ნ, ქორწილი ქნა, ჯვარი დაიწერა მ ა რ ტ ყ ო ფ ს, ქ ე ვ ს ა ნ ო რ ი ს ა ს ა, ს ა ყ დ ა რ ს ა, დიდად სახელოვანის მეფის ე რ ე კ ლ ე ს ასულთან, პატრონს ე ლ ე ნ ე ს თ ა ნ და ჩაიყუანა ქალაქსა ტ ფ ი-ლ ი ს ი ს ა ქორონიკონსა უ̃გ, თვესა ოკდონბერსა ხუთსა“ (3 r).

3. „ქ. ს ა მ ე ბ ე ლ ი ბ ე რ ი მოვიდა ა ხ ა ლ ც ი ხ ე ს აპრილს ოცდაოთხს, ქრისტეს ქნონიკოზეთ(!). ქ̃კს ჩღკთ“ (3 r).

4. „ღმერთო, შეიწყალე ცოდვილი ე პ ი ფ ა ნ ე“ (139 v).

5. (გადამწერის: XVIII ს.): „წყალი დავლი [დავლიე, თ. ბ.] და წვეთი დავარდა ამაზე“ (281 v).

იხ. აგრეთვე 1 v, 2 r, 153 r, ქვემო ყდის v.

(1558) **4549**

ჟამნი 1763

I + 1180 გვ.; 16,1×10,2; ქაღალდი; ტვიფრული ტყავგადაკრული ხის ყდა; ბოლონაკლული; ნუსხური, დასაწყისები და სათაურები სინგურით, თავსამკაულები და ილუსტრაციები: გვ. გვ. 1, 22, 31, 71, 88, 99, 120, 121, 136, 152, 175, 199, 227, 239, 254, 288, 289, 305, 312, 316, 323, 333, 364, 366, 372, 392, 443, 448, 474, 487, 583, 597, 603, 605, 610, 617, 625, 630, 641, 780, 809, 817, 825, 832, 844, 855, 856, 907, 943, 948, 956, 982, 1005, 1018, 1023, 1053, 1063, 1074, 1079, 1097, 1105, 1107, 1108, 1109, 1110, 1111, 1112; 1763 წ. (გვ. 1116), ჭვირნიშანი აქვს; გადამწერი: ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილი (გვ. 1116); ადგილი: თბილისი (გვ. 1116); დაუწერელია I r — v.

[ჟ ა მ ნ ი]. — 1. ჟ ა მ ნ ი. ძალითა ღვთისათა ყოველი რაოდენი აქვს ლოცვა მსგზავსად წესისა მის წმინდისა ი ჱ რ უ ს ა ლ ი მ ი ს ა და კეთილთა მონასტერთა შინა. რაჟამს აღსდგე, ძილისაგან განეშორე სარეცელსა და ბრძანეთ...“ გვ. 1—121.

[ჟ ა მ ნ ი შ უ ა ღ ა მ ი ს ა ნ ი] — „ჟამნი პირველისა შუაღამისა, დიდებაჲ შენდა ღმერთო ჩუენო...“ გვ. 2—31.

შენიშვნა: შეიცავს: „ჟამნი პირველისა შუაღამისა“ (გვ. 2); „ლოცვა ე ფ რ ე მ ი ს ი“ (გვ. 15); „ლოცვაჲ დიდისა ბ ა ს ი ლ ი ს ა“ (გვ. 16); „ჟამნი პირველი შაბათსა შუაღამისასა“ (გვ. 22); „ლოცვაჲ წმიდისა ე ვ ს ტ რ ა ტ ი ს ა“ (გვ. 29).

2. „ჟ ა მ ნ ი და დ ა ს ა წ ყ ი ს ი ც ი ს კ რ ი ს ა. უკეთუ იყოს დიდ მარხვა, პირველად ვიტყვით: კ̃ხრსსჲ, ო̃ ღ̃ო, კს̃ნი, ი̃ბ, მოვედით თ̃ყვნის. გ და თ̃ქვნ ფს̃ნი ესე. უკეთუ მარხვანი არა იყოს, კხ̃რსი, მოვედით თ̃ყვნის ვცეთ გ, ფს̃ნი ით. — შეისმინენ ყოველნი უფალმან დღესა ჭირისა შენისასა...“ გვ. 31—71.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: შეიცავს: „გალობა წმინდა სამებისა“ 8 ხმაზე (გვ. 40); „გალობა პირველი, თქმული წინასწარმეტყუელისა მოსესი“ (გვ. 44); „გალობა მეორე მოსესი“ (გვ. 46); „გალობა მესამე ანანიასი“ (გვ. 49); „გალობა მეოთხე განჴორციელებასა უფლისასა, ღაღადებს ამბაკომ“ (გვ. 50); „გალობა მეხუთე, თქმული წინასწარმეტყუელისა ესაიასი“ (გვ. 52); „გალობა მეექვსე, იონა წინასწარმეტყუელისა“ (გვ. 53); „გალობა მეშჳდე, ლოცვა, წმიდათა სამთა ყრმათა დამშრეტილ ექმნა ალსა“ (გვ. 54); „გალობა მერვე, ყოველნი დაბადებულნი მეუფესა აქებდით“ (გვ. 57); „გალობა მღვთის-მშობლისა“ (გვ. 58); „გალობა მეცხრე წინასწარმეტყუელისა ზაქარიასი წინამორბედის მამისა“ (გვ. 58); „გამოავლინე აღდგომისა“ (გვ. 59); „გამოავლინე რაჲ არს განმანათლებელი ესე“ (გვ. 60); „გამოავლინენი ყოველთა მსგზეფსთა წლისა სამარადისო კვირასა და ბედნიერს დღეს“ (გვ. 61); „ლოცვაჲ ეფრემისი, ვითარცა წერილ არს შუაღამესა“ (გვ. 67); „ჟამნი პირველ მზისა“ (გვ. 67).

3. „ჟამნი მესამე. შემდგომად კურთხეულარსისა თქვან: მეუფჵო ზეცათაო, წ̃ო ღ̃ო, რამეთუ შ̃ნი არს. ქ̃ნი **იბ**. მოვედით თყ̃ვნის ვ̃ცთ **გ**.—ისმინე, უფალო, სიმართლისაჲ ჩუენისაო, მოჰედენ ვედრებასა ჩუენსა...“ (გვ. 71—75).

შენიშვნა: აქვე შედის: „ლოცვა ესე მარდარისა“ (გვ. 75).

„ჟამნი მეექვსე, პირველად ვიტყვით: მოვედით თაყვანის ვცეთ, **გ**.—ღმერთო, სახელითა შენითა მაცხოვნე მე...“ გვ. 75—88.

შენიშვნა: აქვე შედის: „ლოცვა ესე დიდისა ბასილისაჲ“ (გვ. 79); „განგება სადილის ჟამნისა“ (გვ. 80).

4. ჟამნი ცხრა ჟამისა, შემდგომად კხ̃რსისა, მეუფეო ზეცათაო, წმიდაო ღმერთო, ქ̃ნი **იბ**, მოვედით თაყვანის ვსცეთ **გ**.—ვითარ საყვარელ არიან საყოფელნი შენნი...“ გვ. 88—99.

შენიშვნა: აქვე შედის: „ლოცვა დიდისა ბასილისა“ (გვ. 92); „დაწყება მწუხრის ლოცვისა“ (გვ. 93).

5. „ჟამნი დიდისა სეროზისა, მ̃ღნ კხ̃რსი, უკეთუ მღდელი არ იყოს: ლოცვითა წმიდათა მამა. მეუფჵო ზეცათაო, წ̃ო ღ̃ო, რამეთუ შენი არს ს̃ფ. ქ̃ნი **იბ**. მოვედით თაყვანის ვცეთ **გ**. უკეთუ პირველი კჳ̃ე იყოს დიდ მარხვისა, პირველად თქუან ესე. ღმერთო შეწევნასა ჩემსა მ̃ხ. ს̃დ. და შემდგომად მოვაბამთ ანდრიას გალობასა, რამეთუ ამას კვირიაკესა სხვაჲ გალობაჲ არ უნდა. რაჟამს გალობა დაასრულონ **დ**. მოვედით თაყვანის ვსცეთ **გ**.—ხადილსა ჩემსა ესმა ჩემი...“ გვ. 99—120.

შენიშვნა: აქვე შედის: „ლოცვაჲ ბასილისა“ (გვ. 108); „ლოცვაჲ მანასესი იუდიანთ მეფისა“ (გვ. 111); „ლოცვა თქუმული პლ̃ვე მონაზონისა მიერ“ (გვ. 116).

6. „ჟამნი მცირე სეროზისა, შემდგომად კ̃ხრსისა მეუფჵო ზეცათაო, ო̃ ღ̃ო ქ̃სნი **იბ**, მოვედით თაყვანის ვცეთ ღ̃ა **გ**. მიწყალე მე ღ̃ო, ს̃დ. ღ̃ო შეწევნასა ჩ̃ა. ს̃დ. ო̃ო, შეისმინე ლ̃ცვა **დ**, ღ̃ბჲ მაღლთა შ̃ა ღ̃ა, ს̃დ. მრწამს ერთი ღ̃ი **დ**. ღირს არს ჭეშმარიტად ს̃დ. წ̃ო ღ̃ო, ოხითა მის დღისაჲ, ანუ წ̃თა, ანუ ესე.—ღ̃ო მამათა ჩ̃ნთაო, რ̃ი ყოფ მა̃დის ჩ̃ნ ზ̃ა კეთილსა სახარებისაჲ შენისასა ნუ განმაშორებ წყალობასა...“ გვ. 120—121.

7. „თ ვ ე თ ა მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ა ნ ი ძალითა ღ̃ისათა წლითი-წლად. თვესა სეკ-დენბერსა აქვს დღე ლ, დღეთა აქვს ჟამი იბ და ღამეთა ჟამი იბ. თვესა სეკდენ-ბერსა ა. ქ. დაწყება პირველისაჲ ინდიკტიონისა ახლისა წელიწდისა და ჴ ს ე ნ ე-ბ ა ჲ ღირსისა მამისა ჩუენისა ს ჳ მ ე ო ნ მ ე ს ვ ე ტ ი ს ა და კ რ ე ბ ა ჲ ყოვლად წმი-დისა ღ̃ისმშობლისა მ ა ს ი ა ნ ე ს და წმიდისა მოწამისა ა ი თ ა ლ ა ს ი და წმიდა-თა ორმეოცთა მოწამეთა დედათა და ა მ ო ნ ა დ ი ა კ ო ნ ი ს ა და მოძღვრისა მა-თისა და წმიდათა მოწამეთა კ ა ლ ი ს ტ ე და ძმათა მისთა, ე ო დ ე და ე რ მ ო-გ ი ნ ე ს ი და ჴსენება მართლისა ი ს ო ძე ნავესი და ჴსენებაჲ დიდისა მის დაწვისა. უქმი და ჴსნილი ღვინითა და ზეთითა. ოხითა. ინდიკტიონისა. ჴ̃ჲ ბ. — ყოვლისა დაბადებულისა შემოქმედო, ჟამთა და წელთა თჳსითა ჴელმწიფებითა დამსხმე-ლო...“ გვ. 121—380.

შენიშვნა: ერთვის გადამწერის ა ნ დ ე რ ძ ი: „განსრულდა თვენი და ჟამნი სახარე-ბაჲ სამოციქულოთი ღთით აპრილის ი, ქორონიკონს უნ, ჩღპბ“ (გვ. 380).

8. „ო ხ ი თ ა ი ბ ა კ ო ნ ი ა ღ დ გ ო მ ი ს ა ნ ი რ ვ ა ჴ მ ა ნ ი. — ჴ̃ჲ ა. რაჟამს ლოდი იგი დაბეჭდულ იყო...“ გვ. 381—385.

9. „ს ა გ ა ლ ო ბ ე ლ ი ესე შემდგომად ნეტარარიანისა ყოველსა კვირიაკესა წელიწდისასა ვიტყვით. ჴ̃ჲ ჱ. კჳ̃რ შ̃ნ, ო̃, მასწავენ მე სიმართ̃ლნი შ̃ნნი.— გუნდნი ანგელოზთანი განკვირდეს...“ გვ. 385—387.

10. „ო ხ ი თ ა ი ბ ა კ ო ნ ი მ ს გ ზ ე ფ ს ი ს ა ნ ი, ორშაბათსა ჴ̃ჲ ჵ, ბ. ზე-ცისა მჴედრობათა მთავარანგელოზნო...“ გვ. 387—390.

11. „ს ხ უ ა ჲ ს ა გ ა ლ ო ბ ე ლ ი მ ი ც ვ ა ლ ე ბ უ ლ თ ა თ ჳ ს შემდგომად ნე-ტარარიანისა, ყოველსა შაბათსა ითქმის ლაზარობამდე, დიდს მარხვაში უმისოდ არ უნდა, არც თევდოროობის შაბათსა. ყოველსა მუჴლსა ზედა ესრეთ ითქმის. კ̃ხრ შ̃ნ ო̃, მასწავენ მე ს̃ი. ჴ̃ჲ ჱ. — კრებულმან წმიდათამან პოვა წყარო...“ გვ. 390—392.

12. „ო ხ ი თ ა ი ბ ა კ ო ნ ი მ ა რ ხ ვ ა თ ა ნ ი და ზ ა ტ ი კ თ ა ნ ი. ვიწყებთ მეზვერისა და ფარისევლის კვირიაკით, ვიდრე ყოველთა წმიდათა კვირიაკემდე. კვირიაკესა მეზვერისა და ფარისეველისასა ოხითა, აღდგომის ჴმისაჲ. ჴ̃ჲ ჵ. ცის-კრად სახარებაჲ ია. უწყოდეთ, რამეთუ ამიერ კვირიაკითგან ვიდრე ბზობის კვი-რიაკემდე ნაცვლად მოციქულთა ვედრებისა ვიტყვით ამათ სამთა მყოფელთა ყო-ველთა კვირიაკეთა შემდგომად მიწყალესაჲ, ღ̃ბჲ, ჴ̃ჲ ჵ. — მსწრაფლ განუჴვენ სინანულისა ბჭენი...“ გვ. 392—399.

13. „შ ა ბ ა თ ს ა ჴ ო რ ც ი ე ლ ი ს ა ს ა ჴსენებასა აღვასრულებთ ყოველთა საუკუნითგან შესვენებულთათჳს მართლმადიდებელთა ქრისტეანეთა მამათა და ძმათა ჩუენთა. ოხითა ჴ̃ჲ ჵ. — რომელი სიღრმითა მით სიბრძნისა შენისათა კაცთმოყვარებით ყოველსავე განაგებ...“ გვ. 399—403.

14. „კ ვ ი რ ი ა კ ე ს ა ჴ ო რ ც ი ე ლ ი ს ა ს ა, ჴ̃ჲ ბ, ცისკრად სახარება ბ. ოხითა აღდგომისა. მ̃ჟს შთაჴედს. ღ̃ბჲ. მწ̃ჲ. ღ̃. უფროსდ კჳ̃რ შ̃ნ. იბაკო. ჴ̃ჲ ა. — რაჟამს მოჴვიდე ღმერთი ღ̃ბით ქვეყანასა ზედა...“ გვ. 403—416.

შენიშვნა: აქვე შედის: „ყველიერისა ხუთშაბათსა წმიდისა მამისა ჩუენისა შ ი ო მ ღ ვ ი მ ე ლ ი ს ა საკჳირველისა. ოხითა ჴ̃ჲ დ“ (გვ. 406); „შაბათსა ყველიერისასა ჴსენება ყოველთა ღირსთა და ღმერთშემოსილთა მამათა, რომელნიცა მოღვაწებითა გა-მობრწყინდენ...“ (გვ. 413.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

15. „კვირიაკესა ყუელიერისასა, ადამის ექსორიობისა, ჴ~ჲ გ, ცისკრად სახარებაჲ გ. ოხითა აღდგომისა. იხარებდით ტანი დაიბ. დ~ბჲ. გ~ბჲ. ღ~. შ~ნ. შუამდგ. იბაკო. ჴ~ჲ არა დააკლდი.—უსწავლელთა მასწავლელო და სიბრძნისა მომცემელო...“ გვ. 416—455.

შენიშვნა: აქვე შედის: „პირველსა შაბათსა მარხვათასა ჴსენება შესვენებულთა და სასწაული წანდილისათჳს, ქმნილი წმიდისა დიდისა მოწამისა თეოდორე ტიროჺნისა. ოხითა ჴ~ჲ ბ“ (გვ. 418); „კვირიაკესა პირველსა, წმიდათა მარხვათასა, რომელ არს მართლმადიდებლთა და ჴსენებაჲ წმიდათა წინასწარმეტყუელთა მოსესი და ჰრონისი და შემდგომთა წმიდათა და პატიოსანთა ხატთა აღმართებაჲ. ჴ~ჲ დ. ცისკრად სახარებაჲ დ. ოხითა აღდგომის ჴმისაჲ ჴ~ჲ დ. ბრწყინვალე დ~ბჲ ჴ~ჲ ბ“ (გვ. 421); „კვირიაკესა მეორესა წმიდათა მარხვათასა, ითქმის რიგისა და შევსძინებთ ამას წმიდათა შორის მამისა ჩუენისა გრიგოლი მთავარეპისკოპოზისაჲ თესალონიკელთა საკჳრველმოქმედისა პალამიელისა. თქმული წმიდისა ფილოფე პატრიაქისაჲ. ჴ~ჲ ე. ცისკრად სახარებაჲ ე. ოხითა აღდგომისაჲ, ჴ~ჲ ე“ (გვ. 426); „კვირიაკესა მესამესა მარხვათასა, ვდღესასწაულობთ თაყვანისცემასა პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯვარისა. მწუხრად ნეტარარს კაცი. ოხითა აღდგომისაჲ. ჴ~ჲ ვ. ანგელოზთა ძალნი დ~ბლ. სხ~ჲ ოხითა. ჯუარისა დ~ბჲ“ (გვ. 431); „მეოთხესა კვირიაკესა წმიდათა მარხვათასა ესეცა განეწესა, რაჲთა ამას თანა ვგალობდეთ გალობასა ამას წმიდისა მამისაჲ ჩუენისა იოანე კლემექსისაჲ აღმწერელისასა...“ (გვ. 435); „ხუთშაბათსა მეხუთესა მარხვათასა ვგალობდეთ დიდსა გალობასა ღირსისა ანდრიასასა“. (გვ. 438); „შაბათსა ამას მეხუთესა ვგალობთ ყოვლად წმიდისა ღ~ისმშობლისა მიმართ დაუჯდომელისა ქებასა“ (გვ. 438); „მეხუთესა კვირიაკესა მარხვათასა და ღირსისაჲ დედისა ჩუენისაჲ მარიამ მეგვიპტელისაჲ“ (გვ. 440); „მეექვსესა შაბათსა მარხვათასა, წმიდისა და მართლისა ლაზარესი“ (გვ. 443); „მეშვიდესა კვირიაკესა, ბაიაობისასა“ (გვ. 448).

16. „წმიდასა და დიდსა ორშაბათსა ვნების კვირისასა. მწუხრად, ვითარცა არს ჩუეულებაჲ აწ განმიტევეზე ოხითა. „ღ~ისმშობელო ქალწულო“ და სხვაჲ, ვითარცა არს ჩვეულებაჲ. მეტანია ჩვეულებისაებრ. უწყოდეთ, რამეთუ ერთგზის აღესრულების დავითნი. მწუხრად კანონი ბ და ცისკრად გ, ხოლო დიდსა შაბათსა „ნეტარარიანი“, ხოლო ყოველთა მწუხრად ჭირის კანონი, სახარებაჲ მწუხრისაჲ წარიკითხჳს შვიდეულსა ამას საწინასწარმეტყველოს დასრულებაზე, ცისკრად — წარდგომის დასრულებაზე და ფსალმუნი ნ. წმიდასა დიდსა ორშაბათსაჲ, ვითარცა ფსალმუნისაჲ ითქმის ა~ლჲ და ზედა ოხითა, მძიმედ და ტკბილად და სამოს ჴმითა, ჴ~ჲ ჵ. — აჰა, ესერა სიძე მოვალს შუა ღამესა...“ გვ. 455 — 550.

შენიშვნა: შეიცავს: „წმიდასა და დიდსა სამშაბათსა ვნების კვირიაკისასა ცისკრად“ (გვ. 460); „წმიდა დიდსა სამშაბათსა სახარებაჲ წირვისაჲ მწუხრად“ (გვ. 466); „წმიდასა და დიდსა ოთხშაბათსა ვნების კვირისასა ცისკრად“ (გვ. 471); „წმიდასა და დიდსა ხუთშაბათსა ვნების კვირიაკისასა ცისკრად...“ (გვ. 474); წმიდასა დიდსა ხუთშაბათსა მწუხრად“ (გვ. 478); „წმიდასა და დიდსა პარასკევსა ვნების კვირიაკისასა უ~ჲ ჩვენისა ი~ჳს ქრისტესსა...“ (გვ. 487); „განგება ჟამთა წმიდასა და დიდსა პარასკევსა განწესებული კჳრილეს მიერ ალექსანდრეს მთავარეპისკოპოზისა...“ (გვ. 319); „და ითქმის ჟამნი მესამე: „მოვედით თაყვანის ვცეთ...“ (გვ. 525); „და მეყსეულად ვიტყვით მეექვსესა ჟამსა...“ (გვ. 530); „და ვიწყებთ მეცხრესა ჟამსა და ვიტყვით ჟამნსა თ...“ (გვ. 534); „წმიდასა დიდსა შაბათსა ცისკრად...“ (გვ. 545); „მწუხრად შაბათსა...“ (გვ. 547).

ეროვნული ბიბლიოთეკა

17. „წ მ ი დ ა ს ა დ ა დ ი დ ს ა კ ვ ი რ ი ა კ ე ს ა პ ა ს ე ქ ი ს ა ს ა, ოხითა იბაკო. უწყოდეთ, რამეთუ დიდსა კვირიაკითგან ვიდრე თომას კვირიაკისა წინა დღეს შაბათამდე ყოველი ჟამნობაჲ ესრეთ ილოცების. შემდგომად კურთხეულარსისა, ოხითა. ქრისტე აღდგა მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი და საფლავებით შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი. გ-გზის. აღდგომა ქრისტესი. გ. — აღდგომა ქრისტესი ვიხილოთ...“ გვ. 550—583.

შენიშვნა: შეიცავს: „ლოცვა და კურთხევა, რომლითა განიჴსნევის ჴორცი წმიდასა დიდსა კვირიაკესაჲ პასექისასა“ (გვ. 562); „ლოცვაჲ და კურთხევაჲ ყველისა და კვერცხისა წმიდასა დიდსა კვირიაკესა პასექისასა“ (გვ. 562); „წესი წირვის პასექისაჲ (გვ. 563); „წმინდასა და დიდსა კვირიაკესა პასექისასა მწუხრად“ (გვ. 567); „ორშაბათსა ბრწყინვალესა შვიდეულისასა, ცისკრად...“ (გვ. 568); „ორშაბათსა ბრწყინვალესა კვირიაკესა, მწუხრად“ (გვ. 571); „სამშაბათსა ბრწყინვალესა შვიდეულისასა, ცისკრად...“ (გვ. 571); „სამშაბათსა ბრწყინვალესა შვიდეულისასა, მწუხრად...“ (გვ. 573); „ოთხშაბათსა ბრწყინვალესა შვიდეულისასა, ცისკრად“ (გვ. 573); „ოთხშაბათსა ბრწყინვალესა შვიდეულისასა, მწუხრად“ (გვ. 576); „ხუთშაბათსა ბრწყინვალესა, ცისკრად“ (გვ. 576); „ხუთშაბათსა ბრწყინვალესა, დასდებელი აღდგომისაჲ“ (გვ. 579); „პარასკევსა ბრწყინვალესა, ცისკრად“ (გვ. 579); „პარასკევსა ბრწყინვალესა შვიდეულისასა“ (გვ. 581); „შაბათსა ბრწყინვალესა პასექისასა, ცისკრად“ (გვ. 581).

18. „კ ვ ი რ ი ა კ ე ს ა ა ღ ვ ს ე ბ ი ს ა ს ა, რომელ არს დიდებულისა და ყოვლად ქებულისა თ ო მ ა მ ო ც ი ქ უ ლ ი ს ა გვერდის განხილვა. შვენის უწყებაჲ, რამეთუ ამას მეორესა აღვსებისა კვირიაკესა, არარაჲ ითქმის აღდგომისა, არამედ ყოველივე დღესასწაულისა აღესრულების შაბათსა მწუხრად. მღდელმან: კურთხეულარსი. მოჟამნემ: ქ῀ე აღდგა, გ. და ჟამნი, თ῀ ჟამნი, ვითარ სყვრ῀თიანი. ოხითა, მაღლით გარდმხდ. ჴ῀ჲ Ⴎ. იბაკო, დაღაცათუ და მ῀ღნ კხ῀რსი, ქ῀ე აღდგა გ. აკ῀ხვს ს῀ლი ჩ῀ი, დიდი კრ῀ქსი. ნტრ῀არს კ῀ცი. კნ῀ნი. ს῀დ, ო῀ო ღღტ῀ყვსი და ითქმის დს῀ბი ახალ῀კკისა, ი, ჴ῀ჲ ა, და სტიქარონი და ოხ῀თა ჴ῀ჲ ზ.— დაბექდ῀ლით საფლავით ცხოვრება აღმობრწყინდი...“ გვ. 583—597.

შენიშვნა: შეიცავს: „ორშაბათსა ახალკვირიაკისასა, რომელ არს თ ო მ ა ს ი“ (გვ. 586); „სამშაბათსა მეორესა ახალკვირიაკისასა“ (გვ. 588); „ოთხშაბათსა მეორესა ახალკვირიაკისასა“ (გვ. 389); „ხუთშაბათსა ახალკვირიაკისასა“ (გვ. 391); „პარასკევსა ახალკვირიაკისასა“ (გვ. 392); „შაბათსა მეორესა კვირიაკისასა“ (გვ. 395).

19. „მ ე ს ა მ ე ს ა კ ვ ი რ ი ა კ ე ს ა შ ე მ დ გ ო მ ა დ პ ა ს ე ქ ი ს ა წმიდათა მენელსაცხებელთა და ი ო ს ე ბ მ ა რ თ ლ ი ს ა, მწუხრად კანონი ს῀დ ო῀ო ღაღატყავსა, და῀სბი, ჴ῀ისა, ჴ῀ჲ ბ, ცისკრად სახარება გ, ოხითა ჴ῀ჲ ბ.—რაჟამს შთაჰედ საფლავად ცხორებაჲ ეგე უკვდავი...“ გვ. 597—648.

შენიშვნა: შეიცავს: „მეოთხესა კვირიაკესა, შემდგომად პასექისა, რომელ არს განრღვეულისა, ჴ῀ჲ გ.“ (გვ. 603); „მეოთხესა ოთხშაბათსა, შუა ზატიკისასა, ოხითა ჴ῀ჲ Ⴎ“ (გვ. 605); „შაბათსა მეოთხესა, შუა ზატიკისასა წირვაზე (გვ. 608); „მეხუთესა კვირიაკესა სამარიტელისა, შემდგომად პასექისა“ (გვ. 610); „მეექვსესა კვირიაკესა, შემდგომად პასექისაჲ, შობითგან ბრმისა“ (გვ. 617); „სამშაბათსა მეექვსესა, მწუხრად წარგზავნა პასექისაჲ“ (გვ. 622); „ოთხშაბათსა მეექვსესა, ამაღლებაჲ უ῀ჲ ჩუენისა იესუ წმიდისი“ (გვ. 625); „შაბათსა მეექვსესა, ამაღლებისასა წირვაზე“ (გვ. 628); „მეშვიდესა კვირიაკესა სამას ათვრამეტთა წმიდათა მამათა ნიკიელთა“ (გვ. 630); „მეშვიდესა ზატიკის კვირიაკესასა, ოთხშაბათსა წმიდისა მამისა ჩუენისა დ ო დ ო ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს ა“ (გვ. 633); „მეშვიდესა კვირიაკესა ზატიკისასა ხუთშაბათსა, წმიდისა მამისა ჩუენისა ქართველთა მნათობისა დ ა ვ ი თ გ ა რ ე ჯ ე ლ ი ს ა“ (გვ. 634); „ხუთშაბათსა

ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეშვიდესა კვირიაკისასა ზატიკისასა ხუთშაბათსა, წმიდისა მამისა ჩუენისა ქართველთა მნათობისა დავით გარეჯელისა“ (გვ. 634); „ხუთშაბათსა მეშვიდესა კვირიაკისასა ზატიკისასა, დავით გარეჯელის“ (გვ. 635); „მეშვიდესა კვირიაკესა ზატიკისასა, წმიდისა მამისა ჩუენისა ათორმეტთა მამათა მამისა და ქართველთა განმანათლებელისა წმიდისა იოანე ზედაძნელისა. ამისი დღესასწაული გარდაიჭდების დაისსა“ (გვ. 635); „მეშვიდესა კვირიაკესა მამისა იოანე ზედაძნელისა“ (გვ. 636); „შაბათსა მეშვიდესა კვირიაკის პასექისასა“ (გვ. 637); „მერვესა კვირიაკესა მეერგასისასა, მოსლვა ყოვლად წმიდისა სულისა, მწუხრად“ (გვ. 641); „პარასკევსა მწუხრად“ (გვ. 646); „კვირიაკესა მეცხრესა, ყოველთა წმიდათა“ (გვ. 647).

20. [შაბათ-კვირიაკის სახარება-სამოციქულო]. „პირველსა კვირიაკესა ყოველთა წმიდათასა, ჯ˜ჲ Ⴀ, ცისკრად: სახარებაჲ ა, მწუხრად: ნეტარ არს კაცი. ცისკრად: აქებდით აუარებდით. გუნდნი ანგელოზთანი. აღსავალი. სიყრმით ჩ˜ით˜გნ მტერი გ˜ნმ. წგ˜ჲ...“ გვ. 648—780.

შენიშვნა: შეიცავს ოცდათორმეტი კვირიაკის მასალას.

21. [სახარება-სამოციქულო საზიაროსი] „განგება წმინდათა უხორცოთა წინასწარმეტყველთა, მოციქულთა, მღვდელთ-მოძღვართა, მოწამეთა, ღირსთა ქალწულთა და ყოველთა წმიდათა ძალთაცა. სახარებაჲ ცისკრისა ან სამოციქულო და სახარებაჲ წირვისაჲ, რომელსაცა არ უწერია, ესე მათი საზიარო არის ყოვლის დღისაჲ. აქ იკითხება დაუცადებელად. წმინდას რომ არ ეწეროს, აქ იძიეთ. წირვისა და ლოცვისათჳს...“ გვ. 781—809.

შენიშვნა: შეიცავს: „განგება წმიდათა ზეცისა ძალთა უხორცოთა...“ (გვ. 781); „განგება წმიდათა წინასწარმეტყველთა საზიარო...“ (გვ. 781); „განგება წმიდათა მოციქულთა საზიარო...“ (გვ. 784); „განგება მღვდელთ-მოძღვართა და მღდელთ მთავართა ოთთავესი(!), ეს არს საზიარო...“ (გვ. 788); „განგება მოწამეთა საზიარო“ (გვ. 791); „განგება მღვდელთ-მოწამეთა საზიარო...“ (გვ. 795); „განგებაჲ ღირსთა მოწამეთა საზიარო...“ (გვ. 798); „განგება ქალწულთ მოწამეთა საზიარო (გვ.800); „განგება ღირსთა დედათა საზიარო...“ (გვ. 803); „განგება აღმსარებელთა საზიარო“ (გვ. 807); „განგება ღირსთა და ქრისტესთჳს სალოსისთა საზიარო...“ (გვ. 808).

22. „სახარება სამოციქულო მიცვალებულთათჳს შვიდეულთა დღეთა წირვისა. ორშაბათსა წირვაზე სახარებაჲ სამოციქულო. წ˜გჲ. სულმან მათმან კეთილსა შინა განისვენოს და ნათესავმან მათმან დაიმკვიდროს ქუეყანა. ნეტარ არს, რომელი გამოირჩიე და შეიწყალე უფალო. მომავალთა მიმართ ებისტოლე წ˜სა პავლე. — ძმანო, რომელი იგი ზრახვიდეს დღესა მას...“ გვ. 809—817.

შენიშვნა: შეიცავს შვიდივე დღეს.

23. „სამოციქულო და სახარება შვიდეულთა კვირისა და შაბათისაჲ. რიგში სწერია და ესენი ორშაბათისაჲ, სამშაბათისაჲ, ოთხშაბათისაჲ, ხუთშაბათ-პარასკევისაჲ. ორშაბათსა სახარებაჲ-სამოციქულო წირვისა, წ˜გჲ. რომელმან შექმნა ანგელოზნი მისნი სულად და მსახურნი მისნი ალ˜დ ცეცხლისაჲ· აკ˜ხვს სლ˜ი ჩ˜ი ო˜ა, ო˜ო ღ˜ო ჩ˜ო გ˜ნს. ებრაელთა მ˜რთ ებისტოლე წ˜ისა პვ˜ლე მო. — ძმანო, რ˜ი ანგელოზთა მიერ ითქვა სიტყვა...“ გვ. 817—825.

ეროვნული ბიბლიოთეკა

24. „სახარება-სამოციქულო რიგისა შაბათ-კვირას გარდა წირვაზე. ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს და პარასკევს. ესენი იკითხება ყოველს კვირის შვიდეულში შაბათ-კვირისა ჴომ. რიგშია და ეს ამ ჴუთს დღეს იკითხება წირვაზე რიგის წილ. ორშაბათსა წირვაზე სახარება-სამოციქულო, წ˜გჲ.—რომელმან შექმნა ანგელოზნი მისნი სულად...“ გვ. 825—832.

25. „სახარებანი აღდგომისანი, ათერთმეტნი. ა. პირველი: მათესაგან წმიდისა სახარებისასა.—მას ჟამსა შინა, ხოლო, ათერთმეტნი იგი მოწაფენი წარვიდეს...“ გვ. 832—844.

26. „პარაკლისი ახლად თარგმნილი სავედრებელი ყოვლად წმიდისა ღ˜ისმშობლისა მიმართ. მოვედით თაყვანისვცეთ და შეუვრდეთ ჵ.—უფალო, შეისმინე ლოცვისა ჩვენისა...“ გვ. 845—854.

შენიშვნა: ბოლოში ერთვის სინგურით დაწერილი ანდერძი: „განსრულდა ღ˜ა ა˜ნ ჴელითა ჩაჩიკასშვილის მღდელ ნიკოლოზისათა ნოენბერს ი, ქორონიკონს უნ“ (გვ. 854).

27. „ლოცვა შუაღამისა, რაჟამს აღდგე ძილისაგან, განეშორე სარეცელსა და ბრძანო: ლოცვითა მამათა ჩვენთა, უფალო ი˜ჳ ქ˜ე, ღმერთო ჩვენო, შ˜ენ ჩ˜ნ. წ˜ო ღ˜ო და ზ˜ა ესე.—აღდგომილნი ძილისაგან შევივრდებით შენ სახიერ და ანგელოზთა გალობასა...“. გვ. 855—906.

შენიშვნა: შეიცავს „ლოცვანი შუაღამისანი, თქმული იოსებ გამომეტყველისა მიერ...“ (გვ. 857); „სხვა ლოცვა შუაღამისა...“ (გვ. 866); „სხვა ლოცვა ყოვლად წმიდისა“ (გვ. 866); „სხვა ლოცვა ყოვლად წმიდისა ღ˜ისმშობლისა მიმართ, თქმული გერმანოზ კონსტანტინეპოლელ პატრიაქისა...“ (გვ. 868); „სხვა ლოცვა შუაღამისა“ (გვ. 869); „სხვა ლოცვა სავედრებელი უფლისა ჩუენისაჲ ი˜ჳ ქრისტეს მიმართ“ (გვ. 873); „სხვაჲ ლოცვაჲ“ (გვ. 875); „ლოცვა სავედრებელი ყოვლად წმიდისა ღ˜ისმშობლისა მიმართ, თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა მარკოზ მონაზონისა“ (გვ. 876); „სხვაჲ ლოცვა შუაღამისა“ (გვ. 889); „სხვაჲ ლოცვა შუაღამისა წ˜ისა მამისა იოანე დამასკელისაჲ“ (გვ. 889); „სხვაჲ ლოცვაჲ შუაღამისაჲ“ (გვ. 892); „სხვაჲ ლოცვაჲ შუაღამისა, თქმული წმიდისა მამისა ჩ˜ნისა დიდისა ბასილისა“ (გვ. 894); „სხვაჲ ლოცვა შუაღამისა, თქმული მისივე წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა ბასილი კესარიელ მთავარეპისკოპოზისა“ (გვ. 897); „სხვა ლოცვა“ (გვ. 906).

28. „იბაკონი წმიდისა ღ˜თისმშობელისანი, რომელსა დაუჯდომელი ეწოდების ჴ˜ჲ Ⴚ.—ზეშთა მბრძოლისა ჩუენისათჳს და მოღვაწისა უძლეველისა...“ გვ. 907—938.

შენიშვნა: შეიცავს: „ლოცვაჲ ყოვლად წმიდისა ღ˜ისმშობლისა მიმართ, თქმული ღირსისა ფილოთეოს მთავარეფისკოპოსისა კონსტანტინეპოლელისა“ (გვ. 916); „სხვაჲ ლოცვაჲ ყოვლად წმიდისა ღ˜ისმშობელისაჲ“ (გვ. 920); „სხვაჲ ლოცვა სავედრებელი“ (გვ. 920); „ლოცვაჲ დღითი-დღე სათქმელი წმიდისა ღ˜ისმშობელისა მიმართ, უკეთუ გსურის ხილვა მისი ჟამსა სულისა შენისა განყოფისასა“ (გვ. 921); „ლოცვაჲ განთიად და მიმწუხრი სათქუმელი იოანე დამასკელისა“ (გვ. 924); „ლოცვა თქმული წმიდისა მარკოზისი“ (გვ. 926); „ლოცვაჲ წმიდისა მამისა ჩვენისა იოანე ოქროპირისაჲ“ (გვ. 928); „ლოცვაჲ წმიდისა იოანე ოქროპირისა აღსარებისათჳს ცოდვათასა და სინანულისა“ (გვ. 933); „ლოცვაჲ წმიდისა ამონისი“ (გვ. 934); „ლოცვაჲ წმიდისა ეფრემისი“ (გვ. 934); „ლოც-

ვაჲ წმიდისა ისაკ განშორებულისა“ (გვ. 935); „ლოცვაჲ წმიდისა ტიმოთესი“ (გვ. 937); „ლოცვაჲ ბოროტთა გულის სიტყვათათჳს“ (გვ. 937).

29. „ლოცვაჲ ყოველთა შვიდეულთა დღეთანი, რომელიცა ვინ ყოვდეს აღსარებასა თჳსთა ცოდვათათჳს. კჳრიაკესა სათქმელი თეოფანესაგან, ლოცვაჲ ბოროტთა გულის სიტყვათათჳს. კვირიაკესა. — უფალო ღმერთო ჩვენო, რომელმან სინანულისა მიერ მიტევებაჲ ცოდვათა შენდობისაჲ კაცთა მიანიჭე...“ გვ. 938—948.

შენიშვნა: შეიცავს: „შეწევნითა ღ҃თა და იოელ მთავარანგელოზისთა, ლოცვაჲ ძილად დაწოლისა ორშაბათსა (გვ. 939), სამშაბათსა (გვ. 939), ოთხშაბათსა (გვ. 940), ხუთშაბათსა (გვ. 941), პარასკევსა (გვ. 942), შაბათსა“ (გვ. 943); „ესე ლოცვა ყოველთა დღეთა უნდა შემდგომად მწუხრის გამოლოცვისაჲ“ (გვ. 943); „ლოცვაჲ წმიდისა ანგელოზისა მიმართ სულისა და ჴორცთა მცველისა...“ (გვ. 944); „ლოცვაჲ წმიდისა ანგელოზისა მიმართ მცველისა ცხოვრებისა ჩუენისა სამარადისო“ (გვ. 945); „ლოცვაჲ ავაზაკისა ერთისა, რომელი მავრიკ მეფემან მიიყვანა ღ҃ა“ (გვ. 945); „ლოცვაჲ ძილად დაწოლისა, სავედრებელი ყოვლად წმიდისა ღ҃ისმშობელისა მიმართ სამარადისო“ (გვ. 946); „ლოცვაჲ ბოროტთა გულის სიტყვათათჳს სამარადისო“ (გვ. 947); „სხვაჲ ლოცვაჲ მისივე“ (გვ. 948).

30. „წესი და განგება წმინდისა ზიარების ლოცვისა, ოდეს გენებოს შეწირვა უსისხლოსა მსხვერპლისა, წინა დღე სეროზისაჲ ილოცე ესრეთ. კს҃რსი მეუფეო ზეცათაო: წ҃ო ო҃ო, კს҃ნი იბ. მოვედით თყანის҃ვცთ გ. მიწყალე ღ҃ო შეწევნასა, ო҃ო, შეისმინე ღ҃ბა მაღალთა. მრწამსი — და მეყსეულად გალობაჲ ესე გალობაჲ ა. მოვედით ერნო: ღბ҃ა შნ҃და ღ҃ო ჩ҃ნო, ღ҃ბა შენდა.— პურ ცხოვრებისა, საუკუნოსა მექმენინ ჴორცი წმიდაჲ შენი, მოწყალეო უფალო...“ გვ. 948—981.

შენიშვნები: 1. შეიცავს: „ლოცვა წმინდისა ზიარებისა წმიდისა მამისა ჩვენისა ბასილისი“ (გვ. 957); „ლოცვა ზიარებისა წმიდისა მამისა ჩვენისა იოანე ოქროპირისაჲ ბ“ (გვ. 959); „ლოცვაჲ წმიდისაჲ სჳმეონ მეტაფრასისა გ“ (გვ. 960); „ლოცვაჲ ზიარებისა წმიდისა სჳმეონ მეტაფრასისაჲ დ“ (გვ. 961); „ლოცვაჲ ზიარებისაჲ წმიდისაჲ მამისა ჩვენისაჲ იოანე დამასკელისაჲ ე“ (გვ. 964); „ლოცვაჲ ზიარებისაჲ წმიდისაჲ დიდისაჲ ბასილისაჲ ვ“ (გვ. 965); „ლოცვაჲ წმიდისაჲ სჳმეონ ახლისაჲ ღ҃ის მეტყველისაჲ ზ“ (გვ. 966); „ლოცვაჲ ზიარებისაჲ წმიდისა მამისა ჩვენისაჲ იოანე ოქროპირისა“ (გვ. 968); „ლოცვაჲ ზიარებისაჲ იოანე ოქროპირისაჲ თ“ (გვ. 969); „ლოცვაჲ ზიარებისაჲ იოანე დამასკელისაჲ ი“ (გვ. 969); „ლოცვაჲ ზიარებისაჲ იოანე დამასკელისაჲ ია“ (გვ. 970); „ლოცვაჲ ზიარებისაჲ, თქმული წმიდისაჲ მამისაჲ ჩვენისაჲ დიდისაჲ ბასილისაჲ იბ“ (გვ. 971); „ლოცვაჲ ზიარებისაჲ იოანე ოქროპირისაჲ იგ“ (გვ. 975); „ლოცვაჲ სხუაჲ ყოვლად წმიდისა ღვთისმშობლისა მიმართ“ (გვ. 979).

2. ერთვის ანდერძი (სინგურით): „აღესრულა ღმრთისაჲ მადლით დეკენბერს იბ, ქორონიკონს უნ. ნიკოლოზ“ (გვ. 981).

31. „კურთხევანი ძალითა ღ҃ისათა, ახლად თარგმნილი ბერძულისაგან ქართულად კჳპრიანე სამთავნელისაჲ. ა. ლოცვაჲ აღბეჭდვასა ყრმათასა, ოდეს მიიღებდეს სახელსაჲ დღესა მერვესა შემდგომად შობისაჲ მისისაჲ, ხოლო მერვესა დღესა მიიყვანს ყრმასა ამქმ[ე]ლი ტაძრად და და[ა]დგენს წინაშე ბჭეთა ტაძრისათა, ხოლო მღდელი მოვალს და ყოფს კს҃რსსა: წმიდაო ღ҃ო, რამეთუ შენი არს ოხითა მის დღისაჲ, ანუ ეკლესიის წმიდისაჲ. ხოლო მღდელი დაბეჭდავს ჯვა-

რითა ყრმასა მას შუბლსა პირსა და მკერდსა და იტყჳს მღდელი ლოცვასა ო~ჲ მიმართ. — უფალო, ღმერთო ჩვენო, შენ გიგალობთ და შენ გხადით...“ გვ. 982—1005.

32. „წესი, რომელი იქმნების წინდობისა. ხოლო შემდგომად ამისა მოვლენ კაცი და დედაკაცი, [კ]აცი დადგება მარჯვენით, ხოლო ქალი მარცხნივ, ხოლო მღდელი დასდებს ბეჭდებს ტრაპეზსა ზედა ოქროსა და ვეცხლისასა, ხოლო მღდელი დასწერს ჯუარსა თავსა ზედა მათსა გ გზის და მისცემს მათ ანთებულსა სანთელსა. შევალს მღდელი ტრაპეზად და აკმევს ჯი~ს ს~ხდ. დ~კნ: გკ~ხენ მეფ~ო. მ~ღნ: კხ~რს მეუფებაჲ მა. ა~ნ. დ~კნ: მშვიდობით ო~ჲ მ~რ. ზევარ დამო. მშვიდობისთჳს. წ~ისა ამის. მთ~ვრ ეფი. პატიოს~ნთა მღდ. მონისა ამის ღ~ჲ. ს~ხლი კ~ცისა, სა~ხლი ქ~ლისა. — აწ შეერთებულთა ამათ ურთიერთარს ცხოვრებისაჲ მათისათჳს ო~ჲ მ~რთ ვი. რათა მომადლოს ამათ შვილნი შესაწევნელად თჳსად და პატიოსნად ცხოვრებისა მათისათჳს...“ გვ. 1005—1018.

33. „მეორისა ქორწინებისა ნიკიფორეს მიერ კონსტანტინეპოლელ პატრიაქისა, აღმსარებელისა და გამომეტყველისა. მეორესა ქორწილსა გვირგვინი არ დაედგმის, არამედ განიკანონების პატიჟად ზიარებისა უხრწნელისა საიდუმლოსა წელსა ბ. ხოლო მესამე ქორწინება წელსა ე. — ლოცვაჲ მეორისა ქორწინებისაჲ. მ~ღნ: კხ~რსი ღ~ი...“ გვ. 1018—1023.

34. „ლოცვა ზეთსა ზედა, ვგალობთ ესრეთ, რამეთუ შეკრბენ შვიდნი მღდელნი ეკლესიასა შინა, გინა სახლსა. მ~ღნ: კურთხეულ არსი...“ გვ. 1023—1053.

35. „ლოცვა მცირისა აიაზმისა. მ~ღნ: კხ~რსი. ო~ო, შეისმინელც~ისაჲ ჩი~სა...“ გვ. 1053—1063.

36. „წესი დიდისა აიაზმისა წმიდასა განცხადებასა მის დღისასა. [მ]ოვა მღ~დლი წირვის დასრულებაზე და გარდიჲდის დიდს აიაზმასა და გალობენ მუჴლებსა ამას...“ გვ. 1063—1074.

37. „ლოცვაჲ სულთ-ბრძოლისა. მ~ღნ თქუას: კხრ~სი...“ გვ. 1074—1079.

38. „წესი, რომელი აღესრულების ერის კაცსა ზედა შესვენებულისა. — რაჟამს განვიდეს ამიერ სოფლით მართლ-მადიდებელთაგანი ვინმე, მოუწოდონ მღდელსა და ნათესავთა მისთა, მიიღოს მღდელმან ოლარი და სასაკმეველი დაუკმიოს და თქუას კხ~რსი...“ გვ. 1080—1097.

39. „წესი, რომელი აღესრულების ჩ~ჩვილსა ზედა აღსრულებულისა. — შემდგომად კხრ~სის მ~ღნ: რომელი დამკვიდრებულ არს. ს~დ. ალ~ჲ...“ გვ. 1097—1105.

40. „წესი და განგებაჲ პანაშვიდისა, ახლად თარგმნილი ბერძულისაგან, რომელსა აღვასრულებთ მიცვალებულსა ზედა, შემდგომად მწუხრის ლოცვისა. მღ~ნ შეიმოსნენ ოხ~რსი, წ~ო ღ~ო, რამეთუ შენი არს სფ~ვა კს~ნი იბ. — მოვედით თაყვანის ვცეთ...“ გვ. 1105—1107.

41. „ლოცვაჲ შემდგომად სიკვდილისა შესანდობელი. — უ~ნ ი~ჳ ქრისტემან ღ~ნ ჩ~ნმ~ნ, რ~მნ სა~ღთონი საიდუმლონი მისცნა წმიდათა მოწაფეთა...“ გვ. 1107.

42. „მოძღვრისაგან შენდობის წიგნი მოწაფისა. — მონა ღ~ჲ, ჭეშმარიტისა და მოღვაწე მსახურებისა მისისა...“ გვ. 1107.

43. „კ უ რ თ ხ ე ვ ა ყ უ რ ძ ნ ი ს ა ე კ ლ ე ს ი ა ს ა შ ი ნ ა. ო~ჲ მიმართ.— აკურთხე, უფალო, ახალი ესე ნაყოფი ვენაჴისა...“ გვ. 1108.

44. „კ უ რ თ ხ ე ვ ა ღ ვ ი ნ ი ს ა ა ხ ლ ი ს ა, ოდეს იქმოს უფლისაჲ მიმართ — ო~ო ღ~ო ჩ~ნო სახიერო...“ გვ. 1108.

45. „კ უ რ თ ხ ე ვ ა მ ა რ ი ლ ი ს ა, უ~ჲ მრ~თ ვილოცოთ. — ყოველთა ზედა ჴელმწიფეო...“ გვ. 1108—1109.

46. „კ უ რ თ ხ ე ვ ა ყ ვ ე ლ ი ს ა დ ა კ ვ ე რ ც ხ ი ს ა. მ~ლნ: კხ~რსი, ქ~ე ღ~ი დვა გ. დ~კნ: ო~ჲ მიმართ.—მეუფეო, ო~ ღ~ო ჩნ~ო...“ გვ. 1109.

47. „კ უ რ თ ხ ე ვ ა გ ა ნ ჴ ს ნ ა ს ა ჴ ო რ ც ი ს ა ს ა წ~ა კ~კსა ა ღ დ გ ო-მ ი ს ა ს ა, მ~ლნ: კხ~რსი, ქ~ე აღდგა გ. დ~კნ: ო~ჲ მ~რ. — მოიხილე უფალო ი~ჳ ქ~ე...“ გვ. 1109.

48. „ლ ო ც ვ ა ჲ შ ე გ ი ნ ე ბ უ ლ ი ს მ ჭ ა მ ე ლ ი ს ა ზ ე დ ა. ესე ლოცვაჲ აღდგომას უნდა ერს წაუკითხონ თავსა ზედა. დაიჩოქოს. — მეუფეო ო~, ღ~ო ჩ~ნო, რ~ი მაღალთა შინა...“ გვ. 1109—1110.

49. „კ უ რ თ ხ ე ვ ა ჲ ბ ა ი ი ს ა კ კ~ ე ს ა ბ ა ი ი ს ა ს ა, რ ო მ ე ლ ა რ ს ბ ზ ა, ო~ჲ მ~რ, ო~ო ღ~ო ჩ~ნო...“ გვ. 1110—1111.

50. „ჭ უ რ ჭ ე ლ ს ა ზ ე დ ა შ ე გ ი ნ ე ბ უ ლ ს ა შვენის რა. ჭურჭელი იგი გარეცხონ კარგათ და ჯვარის სახეთ შთაასხან წყალი აიაზმისა. მ~ლნ: უ~ჲ მ~რთ...“ გვ. 1111.

51. „შ ე ნ დ ო ბ ი ს ა წ ი გ ნ ი მ ღ ვ დ ე ლ თ-მ თ ა ვ ა რ თ ა მიერ. ვისთჳსცა გენებოსთ...“ გვ. 1111.

შენიშვნები: 1. ე რ თ ვ ი ს: ა. „საძიებელი წიგნისა ამის, თუ რა სწერია“ (გვ. 1113—1116); ბ. „ზ ა ქ ა რ ი ა მ ა ნ ყოვლად ულირსმან ხ უ ც ე ს-მ ო ძ ღ ვ ა რ მ ა ნ, ხოლო სქე-სით ვიდრემდე გ ა ბ ა ო ა ნ მ ა ნ, უფერადოთა ლექსთა მიერ მდაბიურთა ენათა ზედა აღვწერე ექვს ნაწილელად თ ხ ო ვ ა ჲ ესე ღ~ჲ მიმართ. გლოვა არს მჭუნვარებაჲ სულისაჲ, ლმობასა შინა გულისა მოწყალეობისასა მარადის საწყურელისა ზედ დადგრომით მეძიებელი“ (გვ. 1117—1149); გ. ⟨ცხრილი აღდგომის ქორონიკონისა და მასთან დაკავშირებული სადღესასწაულო დღეებისა⟩ (გვ. 1150—1154); დ. „ჴელთა“ (გვ. 1155—1157); ე. „ქორონიკონი მართალი და ჭეშმარიტი ჴელთაზე გამართული ვრცლათ დასაბამითგან ჴს~ობ ქრისტეს აქეთ. **ჩღჲდ** ქორონიკონი ო~ნბ. ზედნადები დ...“ (გვ. 1158—1178); ვ. „აღსარება შვიდს მომაკვდინებელს ცოდვაზე არს...“ (გვ. 1178—1180).
ზ. საერთოდ ხელნაწერს ერთვის სხვა ჟამნებისაგან განსხვავებული დამატებითი მასალა. იხილე ხელნაწერის შედგენილობა.

2. 1154 გვ-ზე ტექსტის ბოლოს მიწერილია გადაწერის თარიღი „ქ~კს უნა“.

3. ილუსტრაციებად და თავსამკაულებად ხშირად გამოყენებულია რომელიღაც ნაბეჭდი წიგნიდან ამოჭრილი და შემდეგ გაფერადებული სურათები.

4. ხელნაწერს აქვს ანბანური პაგინაცია, როგორც რვეულობრივი, ისე ფურცლობრივი.

5. ზემო და ქვემო ყდის V-ზე დაკრულია ფურცლები სხვა ხელნაწერიდან. ტექსტი წარმოადგენს: „ი ო ა ნ ე ს მ ი ე რ ჯ ა მ ბ ა კ უ რ ი ა ნ-ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ა, ქართველთა ნამსაჯულევისა, სიტყული პირველი“-ს ფრაგმენტს.

6. ერთეულებრივი დანომრვა აღწერის დროს გავაკეთეთ ხელნაწერის მიხედვით.

ანდერძები: 1. „აღესრულა ძალითა ღვთისათა წმიდაჲ ესე სულთა განმანათლებელი წიგნი ესე ჟ ა მ ნ ი და თორმეტი თვე სახარებაჲ-სამოციქულოთი, და სადიდებელითა ბედნიერის დღესაჲ მარხვის, და ზატიკის ოხითა იბაკოთი და სახარებაჲ-სამოციქულოთი, და ოცდათოთხმეტი შაბათ-კვირა სახარებაჲ-სამოციქულოთი, საზიაროს და შვიდეულის სახარებაჲ-სამოციქულოთი, შუაღამის ლოცვითა, პარაკლისითა და დაუჯდომელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გმადლობისითა, და ზიარების ლოცვითა, კურთხევნითა, ჴელთითა და ქორონიკონითა ესე აღიწერა ჩემ ცოდვილის ჴელით ჩაჩიკასშვილის ნიკოლოზისათა. ღმერთო, ჩემი ცოდვა და უშჯულოება მაპატივე და შეეწიე უძლურსა ჴორცსა ჩემსა და სნეულსა სულსა ჩემსა, შეიწყალე სულიერად და ჴორციელად. მეუღლესა ჩემსა დარეჯანს და ძესა ჩემსა იოანეს და ასულთა ჩემთა მოგვეც შენი სიყვარული და წყალობაჲ. გარდამოგვივლინე და დ[ა]ამშვიდე ქრისტიანობაჲ, და შ[ე]ეწიე და აცოცხლე ძმა ჩემი კაცია, და დედა ჩემი, და განუსვენე შენის მოწყალებით ბიძა ჩემს ელისედმანელს, მასწავლელსა და მაკხ˜ველსა ჩემსა, და შენ განუსვენე მამასა ჩემსა ასლამაზს და ძმათა ჩემთა ფირანს და ზაზას, და დათა ჩემთა და ყოველსა სულს ქრისტიანესა. ჩემი მოწყალე და კეთილის მყოფელი დაიფარე შენის მადლითა და მოწყალებითა და შეიწყალე ჩვენის კეთილის მყოფელი მღვდელი მოსე მეოლლითა და ასულითა. ღმერთო, შეიწირე მცირე ესე ჩემი ნაღვაწი და ნაშრომი. ძმანო და დანო, ვინც იხილოთ და მიიღოთ, ლოცვასა ყოფდით ჩემთჳს. ღ˜თის სიყვარულსა, შეცდომით რაც მომსლოდენ ნუ მწყევთ სიყვარულისათჳს სულისაჲ თქვენისა. აღესრულა ქალაქსა ტფილისისასა მას ჟამსა, ოდეს მეფე ირაკლიმ მეფობასა თჳსსა სტანბა გამოიღო პალატსა სამეფოსასა. ის ჟამი იყო—აზატხან ქარიმხან წააყვანინა. აღესრულა მარტსა ა, დასაბამითგან ჴსოა ქ˜ს აქეთ ჩღჲგ, ქორონიკონს უნა. ნიკოლოზ“ (გვ 1115—1116).

2. „ქრისტე ღმერთო, აცხოვნე სული ცოდვილის მღდელის ნიკოლოზისა, რათა ვადიდო სახელი თქვენი“ (გვ. 1149).

3. „ეს ჴელთა რომ დავხატე, იყო დასაბამითგან ჴს˜ოჲ, ქრისტეს აქეთ იყო ჩღ˜ჲგ. ქართული ქორონიკონი იყო ონა. მზის მოქცევა იყო გასული ცხრამეტი წელი. მარცხენა ჴელზე, ნეკზე ზის ბ. და ნაკი მთვარის მოქცევი ზის იგ. აცხრამეტური ზის კა. ზედნადები ზის კგ. დ[ა] ამ წელიწადს აღდგომა მარტს კგ. ხარება ახალკვირის სამშაბათსა დ[ა] აღებაჲ იანვარს კვ. მარხვა დადებაჲ ფებერვალს გ“ (გვ. 1156).

4. „ღმერთო, მშვიდობაში აჴმარე მონასა შენსა ჩაჩიკასშვილს მღდელს ნიკოლოზს. აღიწერა წმიდაჲ ესე ჟამნი თვესა მარტს ა, დასაბამითგან ჴსოა ქ˜ს აქეთ ჩღ˜ჲგ, ქ˜კს უ˜ნა“ (გვ. 1178).

(1559) **4550**

ბაუმეისტერი ფ. ქ., კრებული XVIII

409 ფ.; 20,7 × 16; სხვადასხვა ქაღალდი, დალაქავებული, დაზიანებული (პირველი ფურცლის პატარა კუთხეა შერჩენილი, გახეულია ფ. 224, მე-18 ფურცლის ზემო ნაწილი მოხეულია, შერჩენილია მე-19 ფურცლის ნახევარი); უყდო; ნაკლული, დაშლილი; მხედრული სათაურები ნუსხურით; [XVIII ს.], ჳვირნიშანი აქვს; გადამწერი: ტრიფილე (407 v); დაუწერელია: 201 v, 234 v, 385 v, 408r—409 v.

1. [ლოგიკა, ნაწილი პირველი, თავი პირველი, § 50]. „...მიერ წარმოიდგინების... ესე ვითარითარე... ...ბანი საზო... რომელიცა... პავლეს... საზო... (ან..· 112 სული გონ... დამე არს არცა... ოდენ... უკუჱ აქ ...კაც... ...რს, რ... უ..· გონიერისა, ჰპოვებ შენ არა რაჲმესა...“ 1 r — 96 v.

წყდება: „...ოდეს კითხუათა ძლით და მიგებათა იქმნების პაექრობა, მაშინ კარ...“ (ნაწ. II, თ. 10, § 221).

შენიშვნები: 1. წინამდებარე ხელნაწერში ლოგიკის მხოლოდ ორი ნაწილია შემორჩენილი: [ნაწილი პირველი ლოლიკისა, სათეორეტიკო ანუ სამთათჳს მოქმედებათა გონებისათა] (1 r—45 v) და „ნაწილი მეორე საჴმარებისათჳს ლოლიკისა“... (46 r—96 v).

2. 2 r-ზე გვიანდელი ხელით გაკეთებულია წარწერა: „რიტორიკა ანტონ კათალიკოზისა“.

2. [ფილოსოფია საპრაქტიკოჲ. ნაწილი I, საითიკო ფილოსოფია]. — „თავი პირველი. საქმეთათჳს კაცობრივთა და განყოფილებისა მათისა. § 5. — ოდეს ფილოსოფიასა შინა ითიკასა მჩუენებელსა, ვითართამე ნივთთა მწადნე ყოფად...“ 100 v — 230 v.

წყდება: „...რომელი მიგვიყუანებს კეთილისა მიმართ საქმისა. § 169 (ნაწილი III, თავი VII, § 168).

შენიშვნები: 1. შეიცავს ნაწილებს: ა „საითიკოსადმი ფილოსოფიისა“ (100 v — 152 v); ბ „ზედ-დადგინებანი ბუნებითისა სამართლისანი“ (156 r — 201 r); გ „ზედ-დადგინებანი საითიკოჲსანი, ანუ ყოფაქცევათა მოძღურებითისა ფილოსოფიისა, ესთა(!) შემოკლებით ზედწოდებულისანი“ (203 v — 230 v).

2. თითოეულ ნაწილს წინ უძღვის თავისი წინასიტყვაობა. იხ. 97 r — 100 v; 153 r — 156 r; 202 r — 203 v.

3. ამ თხზულების შესახებ იხილე: კ. კეკელიძე, „ძველი ქართული მწერლობის ისტორია“, I[3], 1951 წ. გვ. 357; „მოამბე“ 1898 წ., № 9, გვ. 93; ს. გორგაძე, „ფილოსოფიის მთავარი დარგები ქართულ მწერლობაში“ გვ. 64—66.

3. [მეტაფისიკა]. — თავი პირუელი. — პირუელთათჳს დასაბამთა კაცობრივისა ცნობისათა. § 9. ონტოლოღიასა თანა-აცს დადგინებად უპირუელესნი დასაბამნი კაცობრივისა ცნობისანი...“ 235 r — 407 r.

შენიშვნები: 1. შეიცავს ნაწილებს: ა. „ზედ-დადგინებანი ონტოლოღიისანი“ (235 r — 294 r); ბ. „კოზმოლოღია საზოგადო“ (294 r — 314 v); გ. „პნევმატოლოღია პსიხოლოღიისა და ბუნებითისა ღ̃ისმეტყუელებისა გარეშემცუელი“ (315 r — 385 r); დ. „ღ̃ისმეტყუელება ბუნებითი“ (386 r — 407 v);

2. უძღვის: ა. „ზედ-დადგინებანი მეტაფისიკაჲსანი. წინა-სიტყუაობაჲ ბუნებისათჳს და თჳსებისა მეტაფისიკაჲსა. § 1. დალათუ გულის-მსიტყუელობენ რომელნიმე...“ (231 r — 233 r); ბ „ზედ-დადგინებანი ონტოლოღიისანი: წინა-სიტყუაობა...“ (233 r — 234 r).

3. ერთვის: „იგავ. 3 ნეტარ არს კაცი, რომელმან ჰპოვა სიბრძნეჲ,
13. და მოკუდავმან, რომელმან იხილა გონიერება,
14. ესე უმჯობეს არს მოსაგებელად,
15. ვიდრე ოქროჲ და ვეცხლი საუნჯესა
უპატიოსნეს ძჳრფასისა ანთრაკის.
ღ̃ი არავინ სადა იხილა,
რომელი იყო წიაღთა მამისათა, მან
გამოთქვა“ (407 v).

ბოლო ორი სტრიქონი მიწერილია გვიან, სხვა ხელით.

4. ამ თხზულებების თარგმანი ეკუთვნის ანტონ I (იხ. კ. კეკელიძე, „ძვ. ქართული მწერლობის ისტორია“, I[3], 1951., გვ. 356—357).

5. ხელნაწერის ქვემო კიდეებზე მოთავსებულია ანტონის შენიშვნები. (იხ. 7 v, 28 v და ა. შ.).

6. იხ. მურის ოვალური ფორმის ბეჭდები ლეგენდით (102 v, 385 v). ლეგენდა არ იკითხება.

7. კიდეებზე გაკეთებულია გადამწერის შენიშვნები:

ა. „ამის სხოლიონი დამრჩა და პირდაპირ სწერია ფურცელზე. გადმა გახედე, დაინახავ“ (306 v);

ბ. „ამის სხოლიონი გაღმა სწერია, ის არის“ (318 v);

გ. „აქ არა აკლია რა, ისე...“ (387 r).

ანდერძი: „ალიწერა ფებერუალს 7, ტრიფილესგან“ (407 v).

მინაწერები: (ქიმიური მელნით) 1. „... Князь Орбелиани...“ (9 r).

2. Константин Багратион“ (358 r).

3. (შავი ფერის მელნით): „ღმერთი არს ყოვლად სრულ და განუსაზღვრებელ
და გარეშემოუწერელ და იცნობების მის მიერის
ქმნულებისა მიერ, რომელ არს ცისა და ქვეყანისა
განკარგულება, ქმნილნი და საწაულნი —
ბარამ“ (407 v).

იხ. აგრეთვე: 64 r, 175 v, 306 v.

(1560) **4551**

კრებული. XIX

33 ფ.; 17,5×22; ორი სხვადასხვა რვეულია შეკინძული, მწვანე და თეთრი ფერის ქაღალდი, დალაქავებული; უყდო; თავ-ბოლონაკლული; ცუდად შეკინძული; მხედრული (სხვადასხვა ხელი); [XIX ს.]; ჭვირნიშანი აქვს; მეორე რვეულის (ფფ. 19 r—33 v) დამწერია გულულათ ქალი ანნია (33 v); დაუწერელია: 15 r — 18 v.

1. [ქალ-ვაჟიანი].—„...უთხრეს: შვილო, ნება შენი ათავდესო. მივიდა ხემწიფის სარიაში. კარის კაცებსა უთხრა,—ტყვები(!) არავის უნდა გასაყიდელი? ...“ 1 r—13 r.

შენიშვნა: „ქალ-ვაჟიანი“ ბევრჯერაა გამოცემული: 1881 წ. იაგორ ნერსესოვის მიერ 1887 წ.; 1901, 1910 და 1911 წწ. მიხეილ ზარიძის მიერ; 1916 წ. ბაგ. არნაუტოვის მიერ.

2. [ოთარ ქობულოვი]— „ვიხილეთ საყვარლათ ედემის ვარდი,
ვიშ რა გვიამა,
სურნელბით (!) სავსე კეკელი ვარდი,
ვიშ რა გვიამა...“ 13r — v.

შენიშვნა: ავტორი აღდგენილია S—1522 : 184 ხელნაწერის მიხედვით.

3. „ქ. წიგნი ალექსიონის, თუ ვითარ უშვილო იყვნენ მისი მშობელნი, ვითარცა ენატრებდათ(!), შეიწყალა ღმერთმან ისინი და ისმინა მათი ვედრება. უბოძა ყრმა მშვენიერი და ანუ თუ იგი ყრმა როგორი მეცნიერი და ღვთის მოყვარული გამოვიდა და როგორ დასთმო თავისი დიდება და ქვეყთიერობა (!) და თავისი დედ-მამანი გაუშო ნატრული, ამის ქვემოთ მოგითხრობსთ, თუ როგორი სასიამოვნოთ სასმენელია და საყვარელია.—კაცი ვინმე იყო სტანბოლის ქვეყანას მდინარე(!) და მრავლის მქონიელი, უთვალო ვერცხლის და მარგალიტის პატრონი იყო, სოფლებიც მრავალი ქონდა და სახელად ეფრემ ეწოდებოდა...“ 14 r—v.

წყდება: „...და ყოველსა მრავალი მოწყალება უბოძა დანამ (!) გლახათ ...“

შენიშვნები: 1. ხელნაწერის მეორე რვეული (ფფ. 19 r—33 v) გამეორებაა პირველი რვეულის (ფფ. 1 r—14 v). მხოლოდ „ალექსიანი“ აქ წყდება სიტყვებზე: „ბაღში ოქროთ ნაკერი ორხო ეფინა. ოთხი მიმინო ვერცხლით ნაკეთი იყო...“ (33 v).

2. ხელნაწერი აღწერილ აქვს ე. თაყაიშვილს. იხ. „Описание рукописей...“, ტ. II, გვ. 504.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინაწერი: (ტექსტის ხელით): „ესე წიგნი გულულათ ქალისა ანნიას არის. ვინც წაიკითხოს, ცხონება თქოს“ (33 v).

(1561) **4576**

კრებული. 1827

107 ფ.; 20,5×17; ქაღალდი მომწვანო ფერის, ზოგ ადგილას დალაქავებული; ყავისფერი ტვიფრული ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული, სათაური და დასაწყისები სინგურით, თავსამკაული: 1 r; 1827 წ. (105 r). ქვირნიშანი აქვს; გადამწერი: იოსებ ავალოვი (105 r); დაუწერელია: 104 v, 106 r—107 v.

1. [მარგალიტი (აპოკრიფული კრებული)]. „სწავლანი გამოკრებულნი სოფლიერნი დიდთა წიგნთაგან მარგალიტისა, დაბადებისაგან ღ̃ისა.—დასაბამად ქმნა ცაჲ და ქუეყანა, ესე უხილავი და განუმზადებელი...“ 1 r—96 r.

შენიშვნები: 1. შედგება შემდეგი სტატიებისაგან: [შექმნისათჳს ცისა და ქუეყანისა]; „თარგმანება წმიდისა იპოლიტესი განკაცებისათვის უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი“; „შესხმა და სახელები წმიდისა ღვთისმშობლისა“; „სიტყუა დაბადებისა მისთვის და სამოთხის შვენიერებისათჳს“; „თქმული წმიდისა დიონოსი არიოპაგელისა სიტყვა დაბადებისა სამოთხისა და ადამისთჳს“; „წიგნსა მარგალიტსა წერია საქმე ესე სულისა“; „სწავლა წმიდისა მამისა ჩუენისა მაქსიმე აღმსარებელისა“; „სხვა სწავლა წმიდისა მაქსიმე აღმსარებელისა“; სხვა სწავლა წმიდისა მამისა ჩუენისა მაქსიმე აღმსარებელისა“; „სწავლანი წმიდისა იოანე ოქროპირისანი ფიცისათვის“; „სწავლა წმიდისა იოვანე ოქროპირისა მოწყალებისათვის“; „სხვა სწავლა წმინდისა იოანე ოქროპირისა, თუ ვითარ ადიდებდეს ღმერთსა“; „სხვა სწავლა იოანე ოქროპირისა სწავლისათჳს საღმრთოსა სიტყვისა“; „სიტყვანი მოციქულისა სასოწარკვეთილებისათვის“; „თქმული წმიდისა იოანე ოქროპირისა მართლისა და ცოდვილვისა“; „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანე ოქროპირისა, ოთხშაბათ-პარასკევისათჳს და შერევისათჳს“; „თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისა კვირიაკისა კრძალულებისათვის“; „სწავლანი სულიერნი გამოკრებულნი თითო სახეთა წიგნთაგან“; „მოწყალებისათჳს, უკეთუ წარსცე ყოველი მონაგები იგი და თავიცა იგი ზედა დართო, ვერა სძლო ნიჭი დიდებისა ღ̃სა“; „კითხვა-მიგება ბასილისი და გრიგოლისი“; „კითხვა-მიგება ბასილისი და გრიგოლისა მიმართ“; „კითხუა-მიგება გრიგორი ღ̃ისმეტყველისა ანგელოზთა მიერ“; „ათანასე ალექსანდრიელის თქმული“.

2. ამ ტექსტის შესახებ იხილე: კ. კეკელიძე, „ქართული ლიტერატურის ისტორია,“ 1960, ტომი I, გვ. 451—456.

2. „უწყება პეტროს მკაწრველისათჳს და ალაჯორისათჳს და ალაჯორი მარხვისა. — იყო პატრიარქი კაწცი(!) წმიდა, მართალი და უბიწო და ჰრწმენა სიტყუათა მისთა ყოველსა...“ 96 v—104 r.

შენიშვნა: „უწყებაჲ პეტროს მკაწურალისათჳს და ალაჯორისათჳს“ გამოცემულია, იხ მ. საბინინი, „საქართველოს სამოთხე“, გვ. 629—631; Меликсет—Беков Л., Грузинский извод сказания о посте ,,араджавор“; Христ. Восток, т. V, вып. 2, стр. 85—90.

ანდერძი: „აღიწერა თავადი იოსებ ავალოვისა მიერ ნოენბრის თვრამეტს, ათას რვას ოცდა შვიდს წელსა, პარასკევსა პ (!) მესამისა ჟამისასა, ესე იგი სათისა ზ“ (105 r).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინაწერები: 1. „ № 4576, შეძენილია დეკემბერში 1906 წელსა — ე. თ.“ (ზემო ყდის v).

2. „წელსა ჩყმႺ, ივნისის კბ, წიგნისა ამის ძვირფერად საქებელისა ვიწყე აღმოკითხვად თავადის მელქისედეკ ჭავჭავაძის ასულმან, უბედურმან ქვრივმან სალომემ ანდრონიკოვისამ და რომლითაც შევიქმენ ყოვლის გამოუთქმელის სიამუნებით სრული და არს ესე წერილი სულისათვის წყარო ცხოვრებისა და ხორცთაცა გამანათლებელი, მწრთველი და მასწავლელი. ოჰ, ნეტარ არს კაცი იგი, რომელიცა ღირს იქმნების ამა წიგნის წარკითხვასა და გულისხმისყოფასა ჰყოფს და მასთნივ (!) წარმკითხველთა ამისთათა მიეცემა მხიარულება და ყოველივე ნუგეში მღვთისა. მაშასადამე, კაცმან თავისი თავი არ უნდა მისცეს ეშმაკსა წარსაწყმენდელად, რადგანაც ორივ ხელთა ქვეშე თვისთა აქვს ღვთისა მიერ ნაბრძანები მადლი, თუ რასა ზედა შედგება და ცოდოცა თავისისვე გონებიდგანვე წარმოსდგება. და მასა გთხოვთ შენაცა, აღმოიკითხოთ წიგნნი ესე ხელის წამალად და მისგან მიიღოთ არამცირედი საწყაულნი. მეცა მომიგონეთ უბედურად მცხოვრებელი ქვეყანასა ზედა სადმე. ოდესცა დაშთება ნაწერნი ესე ქაღალდთა ზედა და თითნი მწერალთანი მიწათა შინა მიიქცევ[ი]ს, აი, ვითარ ხედავთ აღმწერელთა ამა წიგნისათა, განსვენებულ იყოს აღმწერთა „მარგალიტინთსა“ საუკუნესა საცხოვრებელსა შინა, ამინ“ (105 r — v).

(1562) 4577

იოანე სინელი, კლემაქსი. 1773

186 ფ.; 21,7 × 16; ქაღალდი (სინესტისაგან დალაქავებული, მელნით გაქღენთილი); ტვიფრული ტყავგადაკრული ხის ყდა; მხედრული, სათაურები და აბზაცის დასაწყისები ასომთავრულით და სინგურით; 1773 წ. (183 v), ჭვირნიშანი აქვს; გადამწერი: სვეტის ცხოვლისა და ანჩისხატის დეკანოზი გიორგი [გიორგი ალექსის ძე მესხიშვილი იხ. S-278 ანდ.] (183 v); დაუწერელია: 1 r—v, 184 r—186 v.

[კლემაქსი] „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა იოანე სინელ მამასახლისისანი, რომელნი მიუძღუაննა მამასა იოანეს, რაითელ მამასახლისსა, რამეთუ ითხოვა მისგან, რათა აღსწერნეს სწავლანი მონაზონთა მიმართ. პირველი, გამოსულისათჳს სოფლით.—შეწევნითა სახიერისა და კაცთ-მოყუარისა და მოწყალისა ღ̃ისა და მეუფისა ჩვენისათა, ვიწყოთ სიტყუად, რამეთუ კეთილ არს, რათა ღმერთი ვჰყოთ დასაბამად სიტყჳსა მონათა მიმართ ღ̃ისათა...“ 10 r — 171 v.

შენიშვნა: 1. კლემაქსის ტექსტს წინ უძღვის: ა. „კიბე სათნოებათა ცად აღმყვანებელი, თქმული დანიელ მონაზონისა რაითელისა, წიგნისა ამისთვის სულთა განმანათლებელისა, რომელსა ეწოდების კლემაქსი, რომელ-არს კიბე“ (2 r — 3 v); ბ. „ცხოვრება წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა იოანე სინელ მამასახლისისა, მოძღურებითა განთქმულისა სულთა განმანათლებელისა და ჭეშმარიტად სანატრელისა, რომელი ესე აღწერა დანიილ მონაზონმან რაითელმან“ (3 v — 7 v); გ. „ებისტოლე წმიდისა მამისა იოანე რაითელ მამასახლისისა ნეტარისა იოანეს მიმართ სინელ მამასახლისისა“ (8 r—v); დ „ებისტოლე წმიდისა და ნეტარისა მამისა იოანე სინელ მამასახლისისა იოანეს მიმართ რაითელ მამასახლისისა, რომელსა ზედა წერილი ესე არს: ფიცარნი სულიერნი, იოანე იოანეს ახარებს“ (8 r — 9 v).

2. ერთვის: ა. „კიბე სათნოებათა“ (171 v—172 r); ბ. „თქმული მისივე ნეტარისა მამისა ჩვენისა იოანე სინელ მამასახლისისა, მწყემსისა და წინამძღურისა მიმართ, რომელი-ესე მისცა სხუათა ამათ პირველ-თქმულთა თავთა თანა იოანეს რაითელ მამასახლისსა, რომელსა ეთხოვა მისგან, რათა დაუწერნეს სწავლანი მონაზონებისანი“ (172 v — 183 r).

3. კიდეებზე მოთავსებულია თარგმანებანი ე. ი. განმარტებანი.

ანდერძები: 1. (მთარგმნელისა, ექვთიმე მთაწმიდელისა): „ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რომელნი იკითხვიდეთ ანუ სწერდეთ წმიდასა ამას წიგნსა, წმინდანო ღმრთისანო, ვითარმედ ნეტარსა მას მამასა, რომელსა ჱსე სულთა განმანათლებელი წიგნი უთქუამს, არა თუ კლემაქსი ეწოდების, ნუ იყოფინ, არამედ იოანე არს სახელი მისი, ხოლო კლემაქსი წიგნსა ეწოდების და არს კლემაქსი ბერძულითა ენითა ვითარმედ კიბეო. ხოლო ამისთვის ეწოდების წიგნსა ამას კიბე, რამეთუ ვითარცა კიბე სათნოებათა შექმნა წიგნი ესე. და მდაბალთა საქმეთაგან იწყების და თანა მაღალთა მიმართ აღვალს, ვითარცა თვით აღსასრულსა წიგნისასა ჳპოოთ გამოსახული კიბე სათნოებათა. ხოლო რომელსა გამოკრებული იგი მცირედი პირველ ეთარგმანა, კლემაქსი ეთქუა მის წმიდისა და აწ, უკეთუ ვინმე წიგნისა სახელსა იტყოდის, თქუნ კლემაქსი, რომელ არს კიბე, ხოლო უკეთუ წმიდისა მის სახელსა იტყოდის, თქუნ იოანე; ვინადგან უკუჱ პირველსა მას თარგმანსა მრავალი მდუმრიად დაეწერა და მრავალი დაეგდო, ამისთვის მე გლახაკმან ეფთჳმე ბრძანებითა წმიდისა მამისა ჩემისა იოანესითა ვსთარგმნე ესე, ვითარცა თვით მას წმიდასა ეთქვა ბერძულად, რამეთუ ბერძენი იყო იგი ნათესავით.

აწ უკუჱ, რომელნიცა იკითხვიდეთ წმიდასა ამას წიგნსა, წმიდაჲ ლოცვა ყავთ წმიდისა მამისა ჩემისა იოანესთვის და ჩემთვის ცოდვილისა ეფთჳმესა, და რომელნი სწერდეთ, ვითარცა აქა ჳპოოთ, ეგრეთ დაწერეთ და თავნი, ვითარცა აქა იყუნენ, ეგრეთ დასხენით, რამეთუ მე ვითარცა მიპოვნიან, ეგრეთ დამისხამნ ყოველნი წერილითა და ამათცა სიტყუათა ნუ ვინ დააგდებთ, არამედ დასწერდით ღ̃თისათვის და ჩემსაცა ცოდვილისასა სახელსა“ (2 r).

2. (გადამწერისა) „აღიწერა კლემაქსი ესე ჴელითა მისის უწმიდესობის მოძღურის სვეტის ცხოვლისა და ანჩისხატის დეკანოზის გიორგისათა, მხილველთა შენდობის მოქენე, თთუჱსა ივლისსა იდ, წელსა **ჩღოგ** ქართულსა ქორონიკონს უჲ“ (183 v).

მინაწერები: 1. „შეძენილია დეკემბერში 1906 წლისა. ე. თ.“ (ექვთიმე თაყაიშვილი, ზემო ყდის შიდა გვერდი).

2. „იოელ ალექსეევი“ (ზემო ყდის შიდა გვერდი).

3. „ესე კლემაქსი ეკუთვნის იოელ ალექსიევს, ღმერთმან განუსვენოს იოელსა. და ახლა წმიდა წერილი ესე ეკუთვნის თავადსა დავით აფხაზოვსა, მიცემითა საფასისათა მის იოელისა ცოლისა მართასადმი, 1833 წელსა, სეკდენბრისა 23 დღესა“ (2 r).

4. „აღვიკითხე კლემაქსი ესე თავადმან ილია აფხაზოვმან ჩყლჱ წელსა, დეკენბრის თ-სა დღესა, წლისა ვარ ოცისა“ (ქვემო ყდის შიდა გვერდი).

(1563) **4578**

ჩარდავრიშიანი. XIX

127 ფ.; 21,5 × 17; მწვანე ფერის ქაღალდი, დალაქავებული; მუყაოს ყდა (კუთხეებში და ყუაზე ტყავი); ბოლონაკლული; მხედრული; [XIX ს.], ჭვირნიშანი აქვს.

[ჩარდავრიშიანი].— „ქ. იყო ჴელმწიფე კოსტანტილეპოლის შუა მორჭმული-განგებიანი, არა გულსა მისისა შეჭირვება, ლხინობდის ასპიროზობის (!) და ბურთაობდის...“ 1 r — 127 v.

წყდება: „...მოიტანეს სურმა, თვალში გამოუსვეს, ორი სამი წვეთი ჩამოსცვივდა და თვალები აეხილად (!). ნახეს, რომ მართლათ თაჯი-თომარნი ჴელმწიფები სხედან და დაინახეს ესე...“

შენიშვნა: 1. ხელნაწერს აქვს ანბანური პაგინაციაც.

2. „ჩარდავრიშიანი“ გამოცემულია ორჯერ. 1876 და 1890 წწ., ამ გამოცემებში ხელნაწერთან შედარებით ტექსტი შემოკლებით და ცოტაოდენი ცვლილებითაა გადმოცემული (იხ. კ. კეკელიძე ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ, II, 1952, გვ. 338).

მინაწერი: „შეძენილია დეკემბერში 1906 წლისა. ე. თ.“ (ზემო ყდის v).

(1564) **4579**

კრებული. XIX

241 ფ.; 21,2 × 17; ქაღალდი, სინესტისაგან დალაქავებული; მწვანე ფერის ხავერდგადაკრული ხის ყდა, დაზიანებული, ჰქონია ორი საკეტი, დარჩენილია ერთი, ხელნაწერი ყდიდან ამოვარდნილია, 45 r-მდე ხელნაწერი დაშლილია; მხედრული, სათაურები და დასაწყისები სინგურით; [XIX ს.], ჭვირნიშანი: 1829 და 1833 წლები; დაუწერელია: 1 v, 5 v—6 v, 157 v—158 v, 191 r—193 v, 217 v, 241 r-v.

1. „ღირსისა მამისა ჩვენისა იოანე მონაზონისა და ხუცისა დამასკელისა, გარდამოცემაჲ უცილობელი მართლ-მადიდებლისა სარწმუნოებისა, ვითარმედ მიუწთომელ არს ღმერთი და ვითარმედ არა ჯერ-არს ძიებაჲ და გამოწულილვაჲ არა მოცემულთა ჩვენდა წმიდათა წინასწარმეტყუელთა მოციქულთა და მახარებელთა მიერ. გ. მ.—თავი ა. ღმერთი არავინ იხილა, ოდესცა მხოლოდ შობილმან ძემან, რომელი იყო წიაღთა მამისათა. მან გამოსთქუა...“ 7 r—157 r.

შენიშვნები: 1. უძღვის: „შეწევნითა ღ~სათა ზანდუკი იოანე დამასკელისა, მიუწთომელობისათჳს ღ~თისა და ვითარმედ არა ჯერ-არს ძიება და გამოწლვილვაჲ არა მოცემულისა ჩვენდა წინასწარმეტყველთა, მოციქულთა და მახარებელთა მიერ“ (2 r — 5 r).

2. გარდამოცემის ეს ტექსტი ქართულ ენაზე თარგმნა არსენ ვაჩეს ძე იყალთოელმა, იხ. ს. გორგაძე, იოანე დამასკელის πηγὴ γνώσεως ქართულ მწერლობაში“, მიმომხილველი, 1926, ტ. I, გვ. 175—187.

2. „თარგმანი ძნიად გულისჴმის საყოფელი მოციქულისა პავლეს სიტყუათა, გამოკრებული თარგმანებათაგან წმიდათა შორის მამისა ჩუჱნისა იოანე ოქროპირისა კოსტანტინუპოლელ პატრიარხისა. მუჴლი დ.—მოციქულისა: რომელი გამოსჩნდა ძედ ღ~ისა. თარგმანი: ესე იგი არს, ვითარმედ საცნაურ იქმნა ჩუჱნ შორის და დაემტკიცა წინასწარმეტყუჱლთა მიერ...“ 159 r—190 v.

შენიშვნა: ერთვის ანდერძი: „მსუროდა უცხოებასა შინა მყოფსა აღწერა ორთავე წიგნთა ამათ, ერთისა ვიდრემე იოანე დამასკელისა და მეორე, ესე გამოკრებული თარგმანი სამოციქულოსა იოანე ოქროპირისა მიერ ქმნილი და აღვწერე მოხუცებულმან, ფრიად მქონებელმან წელთა სამეოცდაათერთმეტთა, მყოფმან მონასტერსა შინა ჯუარისასა ქალაქსა კიზლარს, ძემან ზახარია მეფისმოძღურისამან, გაბაონმან ოსეპროთოიერმან, თებერვლის ოცდაერთს, ქრისტეს აქათ ათას რუას ათოთხმეტსა. აღმომკითხველთა მიერ ვითხოვ შენდობასა და ლოცუასა, რათა ყოვლად სახიერმან მეუფემან და ღმერთმან თქვენცა კურთხევითა მოგიჴსენნეს სასუფეველსა თჳსსა ამინ, ამინ, ამინ. ოსე გაბაშვილი“ (190 v).

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ორი სიტყვა დაწერილია მხედრული ჩართული დამწერლობით.

ეს ანდერძი უნდა ეკუთვნოდეს იმ ხელნაწერს, საიდანაც გადმოწერილია ეს ხელნაწერი. ამაზე მიუთითებს ხელნაწერის ქაღალდის ჭვირნიშანი „1829“ და „1833“ წლები.

3. (სჯულის კანონი).—„...რომელნი შემოკრბეს კოსტანტინუპოლის პალატსა შინა და დაამტკიცეს მართალი სარწმუნოება და დასწერეს ძველი დასამტკიცებლად (აქაცა აკლდა წმიდათა მამათა კრებათა რიცხუნი), რომელთა შეურყეველად დაიცუნეს და რომელთა შეიწყნარნეს...“ 194 r — 240 r.

შენიშვნები: 1. სათაურსა და ტექსტს შორის ასეთი შენიშვნაა გაკეთებული: „აქა, სიძველისა გამო დედანსა პირველსა დაწყებასა თავისა ამის ჰსჯულის კანონისა, სიძველისა გამო, აღარ აჩნდა, აღწერილი სრულიად აღმოხოცილ იყო და, ეგრეთვე წმიდათა მამათა სახელნი და მწვალებელთა სახელნი. და რაოდენი შრომით აღმოვიკითხე თავი ამა სჯულის კანონისა, აღმოვსწერე და ეგრეთვე მწვალებელთა სახელნი და ესე წინამდებარე არს დაწყებული“.

დედანი რომ ნაკლული იყო, ამაზე მიუთითებს სინგურით დაწერილი სიტყვებიც: „აქა ფურცელი აკლდა დედანსა“ (145 v); „აქა აკლდა დედანსა ფურცელი“ (215 v); „აქაცა აკლდა ფურცელი“ (217 r).

2. ერთვის: „შეწევნითა ღ~სათა ზანდუკი ჰსჯულის კანონისა“ (240 v).

3. ზემო ყდის v-ზე დაკრულია ფურცელი, რომელზედაც წერია სინგურით გარდამოცემის სრული სათაური, შავი მელნით კი რუსულად ნაწყვეტი „Богослов. книг 1-ой, глав 12-й“-დან.

მინაწერები: 1. „შეძენილია დეკემბერში 1900 წლისა. ე. თ.“ (1 r).

2. (ფანქრით): „იოანე დამასკელის წიგნი, სამოციქულოს თარგმანი, სჯულის კანონი. 1814 წ.“ (ქვემო ყდის v).

(1565) **4580**

ვახტანგ VI, სამართლის წიგნი. 1846

123 ფ.; 21,5 × 17; ქაღალდი; მუყაოს ყდა, ყუა შემოცლილი; მხედრული; სათაური და მუხლის დასაწყისები სინგურით; 1846 წ. (122 r); ჭვირნიშანი აქვს; გადამწერი: მაქსიმელ ვერაგველიძე(?) (1 v).

„სამართალი ვახტანგ მეფისა მიერ თქმული. თავი ა.—ა. ჯერ ეს გკადროთ და მოგახსენოთ მეფეთა და მსაჯულთა და ყოველს სამართალში მჯდომს კაცსა. ეს იცოდეთ და დამარხვით გუნებაში გქონდესთ...“ 7 v — 111 r.

შენიშვნები: 1. უძღვის ვახტანგ VI სამართლის წიგნთა კრებულში შესული ბერძნული სამართლის პირველი მუხლი და მეორე მუხლის სათაური (2 r — 7 v).

2. ერთვის: „საძიებელი“ 111 r — 121 v.

3. ბოლო 5 მუხლი (280—284) ვახტანგ VI სამართლის წიგნთა კრებულში შესული ბერძნული სამართლის მიხედვითაა გაკეთებული. იხ „ბერძნული სამართალი ვახტანგ VI წიგნთა კრებულიდან“. ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და ტერმინთა საძიებელი დაურთო თ. ბრეგაძემ. 1964, გვ. გვ.: 91,94. მუხ.: 186, 187, 188, 189, 195.

4. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექვთიმე თაყაიშვილს წიგნში „Описание,.,“, ტ. II, გვ. 629.

5. ხელნაწერი A ნუსხის ტიპისაა. იხ. ვახტანგ VI სამართლის წიგნი. ტექსტი გამოსაცემად დაამზადა, გამოკვლევა და ტერმინთა საძიებელი დაურთო ისიდა ენუქიძემ. თბილისი, 1955, გვ. 32.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდერძები: 1. „ღმერთო, აცოცხლე პატონი ამისი მაქსიმელ ვერაგვულიძე და მერმედ აცხოვნე სასუფეველსა შენსა, ამინ. უკეთუ შეცთომა იხილოთ, ნუ მწყევთ, ამინ, თქვენც შეგინდოს“ (1 v).

2. „დაიწერა სამართლის წიგნი ქორანიკონს **ჩყმვ** წელსა, იანუარსა **ზ**ს“ (122 r).

მინაწერები: 1. „განწკის ქახალდი და წითლათ წერისათვის. ყიზირბოია და სიჯიმ-ფირა და ხის წიბორწყალაი ცხელი წყალით მოზილე და წვენი დაასხი საკმარ...“ (ზე-მო ყდის შიდა გვერდი).

2. „ძე ჩემი გიორგი იშუა წელსა **ჩყმვ**-სა ნონოვბრივს(!) იჱ, მთუარე იყო იმ დღეს ცამეტი და რა დღეს იშუა, ორშაფათს“ (1 r).

3. „ღმერთო აცხონე სამართლად მკითხველი წიგნისა ამის, ამ სოფელს აცოცხლე“ (1 r).

4. „შეძენილია დეკემბერში 1906 წელსა. ე. თ.“ [ექვთიმე თაყაიშვილი] (1 r).

5. (რუსული სიტყვების განმარტება ქართულად): „ბოღ—ღმერთი; ხრისტე—ქრისტე; ტროიცა—სამება; ნებო—ცა...“ (122 v — 123 r);

6. „ქ. ენკენისთვის ოცდარვასა დღესა ავიღეთ დუქნის ფიცარი ღოსკა“ (ქვემო ყდის შიდა გვერდი).

(1566) **4581**

კრებული. 1827

113 ფ.; 20,5 × 16,5; მწვანე და თეთრი ფერის ქაღალდი, ჭუჭყიანი, დაზიანებულია ფ. 38; ტვიფრული ტყავგადაკრული ხის ყდა ორი დაზიანებული ტყავის საკეტით, აქვს ყდის საცავი ფურცელი; ბოლონაკლული; მხედრული, სათაურები ნაწილობრივ და საზედაო ასოები ნუსხურით; სათაურები და დასაწყისები სინგურით, საზედაო ასოები ზოგჯერ შესრულებულია სხვადასხვა ფერით. თავსამკაული; 1 r, 15 r, 28r, 39 r, 51 r, 58 r, 70 r, 84 r. ბოლოსამკაული: 26 v, 37 v. ილუსტრაციები: 27 r, 38 v, 80r; 1827 წ. ოქტომბერი (79 v), ჭვირნიშანი: 1824, 1826, 1827 წლები; გადამწერი: იოსებ ავალოვი (79 v); დაუწერელია: 27v, 80 v—83r.

1. „თვესა ნოენბერსა ოცდაოთხსა, (ათანასი მაღიმწერალი), წამება წმინდისა ქალწულმოწამისა, რომელი იყო ასული კოსტა მეფისა, ეკატერინა.—წელსა ოცდა-მეათორმეტესა მეფობასა ულთოსა და უსჯულოსა მეფისა მაქსენტიანესსა შური დიდი იყო კერპთმსახურებისა...“ 1 r—14 v.

შენიშვნები: 1. ბოლოს ტექსტზე მიწერილია: „ეს მე ათანასი მაღიმწერალმა,მონამან წმიდისა ეკატერინესმან, აღვსწერე მოსახსენებელად წმიდისა მის ყოველთა კრძალულებითა, ხოლო აღესრულა დედოფალი ესე ჩუ$\mathit{Ꮷ}$ნი წმიდაჲ ეკატერინა ნოენბერსა (კე), შაბათსა, ჟამსა მესამესა“.

2. ტექსტი კიმენური რედაქციისაა (იხ. კ. კეკელიძე, „ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, ტ. V, გვ. 125).

2. „თვესა დეკენბერსა ოთხსა, წამება წმიდისა ქალწულმოწამისა ბარბარასი.—იყო მათ ჟამთა მეფე, რომელსა ერქუა მაქსიამიანოს და ხელმწიფეყუა(!) აღმოსავლით კერძო, რომელსა სახელი ერქუა მარკიანე...“ 15 r—26 v.

შენიშვნები: 1. ბოლოს მიწერილია: „წმიდაო ბარბარა, აწცა ევედრე შენგან შეყუარებულს იესოსვს(!) პირველ ჟამსა წამებისა შენისასა, რამეთუ მეოხებითა შენითა მოგუ$\mathit{Ꮷ}$ცეს მოტევება ცოდვათა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ტექსტი კიმენური რედაქციისა (იხ. კ. კეკელიძე „ეტიუდები“, ტ. V, გვ. 121).

3. „თვესა ივლისსა მეათშვიდმეტესა, წამება წმიდისა ქალწულ-მოწამისა მარინასი, რომელი იყო ასული მხოლოდ შობილი ედესიოსი.—შემდგომად ამაღლებისა უფლისა ჩუჱნისა იესო ქრისტესა დიდებით და მამისა თანა დაჯდომისა, წმიდათა და სანატრელთა მოციქულთა აღასრულეს სრბა მათი...“ 28 r—38 r.

4. „თვესა ივლისსა ოცდაოთხსა, წამება წმიდისა ქალწულმოწამისა ქრისტინასი.—იყო ვინმე ქალი ერთი წმიდასა ქალაქსა შინა ტვიროსა, სასოებითა ღვთისათა ქალწული, სახელით ქრისტინა...“ 39 r—50 r.

შენიშვნები: 1. ტექსტი კიმენური რედაქციისაა (იხ. კ. კეკელიძე, „ეტიუდები“, ტ. V, გვ. 139).

2. 50 v-ზე წერია: „რომელთაცა წარიკითხოთ წამებანი ესე წმიდათა ქალწულმოწამეთანი, პარაკლისნიცა ესე ამათნი თქუჱნით, რომელნიცა აქა დაწერილ არს, თუმცა ერთი არს და ყოველთა მოეხავების, დიდად ოხის მიმრთმნი არიან ღუთისადმი ჩუჱნ ცოდვილთათვის, რომელთაცა გურწამს სახელი ამათი და თუ ვინმე სახელისათვის ამათისა ვილუწოთ, სასოება გუაქუს, რათა მოგვაგონ ასწილად დღეს მას განკითხვისასა“.

5. „პარაკლისი სავედრებელი წმიდათა ქალწულმოწამეთა.—მღვდელმან—კურთხეულარსი, მეუფეო ზეცათაო...“ 51 r—57 v.

6. „თთვესა სეკდენბერსა კ, სიმხნე და მოთმინება და შემდგომად წამება წმიდისა მოწამისა ევსტატისი. გ. მ.—მესამესა წელსა მარკიანე მეფისასა იყო სპასპეტი ერთი მხნე ფრიად...“ 58 r—70 r.

შენიშვნები: 1. ერთვის: „შენ ღვთისა ჩემთვის იქმენ ხორცითა,
სატანა დაეც შენ სიმდაბლით მოსვლითა,
ადამ ტყვე ქმნილი სიცრუისა ჰჭობითა,
თავისუფალ ყავ ჯოჯოხეთით ყოფნითა,
აწ მეცა მფარევდ მოწამეთა ოხითა,
უკუნითი უკუნისამდე ყოველთა“.

2. ტექსტი კიმენური რედაქციისაა (იხ. კ. კეკელიძე, „ეტიუდები“, ტ. V, გვ. 125)

7. „ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუჱნისა ქსენეფორესი. გ. მ.—გვითხრობდა ბერთაგანი ვინმე ფრიად სათნოჲ, ვითარმედ იყო ვინმე სეფეწული სახელით ქსენეფორე...“ 70 r—79 v.

8. „ქება და დიდება, შესხმა და გალობა ყოვლად წმიდისა ღუთისმშობლისა და მარადის ქალწულისა მარიამისა. უწყება უბიწოსა და სანატრელისა მოქალაქობისა მისისა შობითგან მიცვალებადმდე, აღწერილი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუჱნისა მაქსიმეს მიერ ფილოსოფოსისა და აღმსარებელისა. გ. მ.—ილხინეთ ესე ყოველმან თესლებმან და ყურად იღეთ...“ 84 r—113 v.

წყდება: „...ვიხილეთ ვარსკლავი მისი აღმოსავლით და მოვედით...“

ანდერძი: „აღწერილ არს ესე მოწამეთა ცხოვრება თავადი იოსებ ავალოვისა მიერ. მექმენით მე შემწე, წმინდანო მოწამენო, ცოდვილსა იოსებს ყოველსა შინა საქმესა ჩემსა, რათა მარადის გადიდებდე შენ. აღიწერა ოკტობრის ა დღესა, ჩყკზ-სა წელსა“ (79 v).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინაწერები: 1. „შექენილია დეკემბერში 1906 წელსა. ე. თ.“ (ზემო ყდის v).

2. „1900 აქაზ ანდრონიკოვი“ (ზემო ყდის საცავი ფურცლის v).

იხ. აგრეთვე მინაწერი ფანქრით: 83 v.

(1567) **4582**

მილორდიანი. XIX

114 ფ.; 20,3×17; სხვადასხვა ფერის, მწვანე და თეთრი ქაღალდი, დალაქავებული მუყაოს ყდა (ყუაზე ტყავი); მხედრული (სათაური ნუსხურით); [XIX ს.], ჭვირნიშანი აქვს; დაუწერელია: 1 v — 3 v.

„ისტორია გიორგი მილორდისა. თავი ა.—წარსულსა დროსა ევროპიელნი, არ სრულიად ქრისტიანობისა მიმღებელნი, ჰსცხოვრებდენ კერპთა მსახურებასა შინა, მიიღებდენ პელოვნებისა ჰსწავლასა და სამოქალაქოსა ყოფაქცევისა. ანგლიაში შეემთხუა ჭაბუკსა ერთსა მილორდის საკვირველი განსაცდელი...“ 4 r — 114 v.

მინაწერები: 1. „შექენილია დეკემბერში 1906 წლისა. ე. თ.“ [ექვთიმე თაყაიშვილი]. (ზემო ყდის შიდა გვერდი).

2. „ეს წიგნი ეკუთვნის კნეინა ნინო ამილახოროვისას. მოიგონე სიყვარული, შენთვის თავის გაწირვა“ (114 v).

3. „არ-კი ვანბობდი, არის ტყული,
ტასიკო ტყუის, არ არის შეშლილი,
ამელამ არის მისი ქორწილი,
იცი, ვინ ირთავს? . . . .“

(ნაწყვეტი გ. ერისთავის „შეშლილიდან“ იხ. 1936 წ. გამოცემა გვ. 118).

(1568) **4583**

კრებული. XVIII

236 ფ.; 19×15,5; ქაღალდი (ზოგი ფურცელი ძველი რესტავრირებულია, ფ. 127 გახეულია, ფ. 204-ის მცირე ნაწილია შემორჩენილი); ტვიფრული ტყავგადაკრული ხის ყდა; თავ-ბოლონაკლული; მხედრული, სათაურები და დასაწყისები სინგურით; 150 v-ზე ფერებში შესრულებული ყვავილი. [XVIII ს. I ნახევარი], ჭვირნიშანი აქვს; გადამწერი: მეხდალელ მამასახლისის შვილი გიორგი (201 r); დაუწერელია: 1 v—8 v, 152 v, 201 v, 222 v, 229 r—236 v.

1. [სწავლანი გამოკრებული სიბრძნისაგან და იგავთა სოლომონისა, ისო ზირაქისა სამოციქულოსა და კათოლიკისაგან, რომელიცა ახარებს გულსა და განუსვენებს სულსა კაცისასა. იგავნი სოლომონისანი და სწავლა საყოველთაო გამოკრებული მეფისა ვახტანგისაგან]. — „... ვითარცა იგი უსასყიდლოდ მისა. აღმაშენებელი სახლისა. სახლის მისისა უცხოთა სახელითა, ვითარცა შემკრებელი ქუათა ზამთრისათა...“ 9 r — 150 r.

შენიშვნები: 1. ერთვის: „ზანდუკი წიგნისა ამის.—ა საყოველათ. ბ ღ̃თის შიშისათვის და ცნობისა...“ 150 v—152 r.

2. სულ შეიცავს ჲე (65) იგავს.

3. სათაური აღდგენილია ხელნაწერთა ინსტიტუტის H—370 ხელნაწერის მიხედვით.

3. ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. VI

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ. საქრისტიანო მოძღვრება პირველად სასწავლო ყრმათათვის, აღწერილი სულხან-საბა ორბელიანისაგან და მის მიერ თქმული, რომელსა ეწოდების სამოთხის კარი.—სარწმუნოვებისათვის მართლისა და უბიწოსა შჯულისა, რომელი მოგვეცა წმიდათა მამათა მიერ...“ 153 r—200 v.

შენიშვნები: 1. ერთვის ავტორის ანდერძი: „ესე არს მართალი და უბიწო საქრისტიანო მოძღვრება მოკლითა სიტყუითა მე, სულხან-საბა ორბელიანისაგან თქმული, რომელსა ეწოდების სამოთხის კარი. დავსწერე ქორონიკონს აქათ 1713. ქორონიკონს უ, ივნისსა კა.

ვიყავ ერად, მჯობდენ ვერად,
ვიქმენ ბერად, ვემსგავსე ვერად“ (201 r).

2. 187 v-ზე მოთავსებულია სიტყვა „მკალი“-ს განმარტება: „მკალი — თაფლი ველური“.

3. „წამება წმიდათა წინასწარმეტყველთანი. იესო ქრისტე, ძე ღ̃თისა, ღმერთი ჭეშმარიტი, ვითარ განხორციელდა, იშვა და ჯვარს ეცვა, აღდგა, კუალად მომავალ არს განსჯად ცხოველთა და მკუდართა. გამოღებული სღ̃თო წერილისაგან სულხან-საბა ორბელიანისა მიერ. — თავი ა, ესაია კთ, იგ. შეყუარებული უფლისა იაკობისნი ძენი და რჩეულნი ღ̃თისა, ერი და ნათესავი მათი ვითარ განუდგეს ღ̃თსა...“ 202 r—222 r.

შენიშვნა: ბოლოს ტექსტის ხელით მიწერილია: „ვინც აქიდამ გარდასწეროს და საბას სახელი არ დაწეროს, ღმერთმან მისი სახელი აღმოჴოცოს სასუფეველისაგან“ (222 r).

4. „შესასწავებელად ყრმათა და ერის კაცთა მათ, რომელთა არა აქუსთ გამოცდილებით ძალი და სმენა საღ̃თოთა წერილთა, რათა აქუნდესთ შიში ღთისა და მოხსენებითა საუკუნოსა სატანჯველისათა და სიტკბოება სასუფეველისა.—სადიდებელად წმიდისა სამებით ღ̃თისა სრულისა...“ 223 r—228 v.

წყდება: „... და ზეცად არიან მართალნ სასუფეველის ძენები...“

ანდერძი: „ესე სულხან-საბა ორბელიანის თქმული სარწმუნოვება მეხდალელ მამასახლისის შვილმა გიორგიმ გარდმოვსწერე ჩემის ალალი თეთრითა. დავსწერე ესე სიჭაბუკესა ჩემსა, ოდეს მეფე ვახტანგ რუს ქელმწიფემ იჭმო მოსკო[ვ]სა, ვინც ამ წიგნზედ გარდასწეროს და საბა ორბელიანის სახელი და[ა]კლოს, მართალ მსაჯულმან ღმერთმან ორსავე სოფელს სიხარული და[ა]კლოს და შეარცხვინოს და წარწყმიდოს სოფლითა და სამკუიდრებელისაგან სასუფეველსა ზეცისასა დაკლებულ ყოს“ (201 r).

მინაწერები: 1. „შეძენილია დეკემბერში 1906 წელსა. ე. თ.“ [ექვთიმე თაყაიშვილი] (ზემო ყდის საცავი ფურცლის v).

2. (ფანქრით). „საქრისტიანო მოძღვრება და სხვა ნაწერები საბა ორბელიანისა“ (ზემო ყდის საცავი ფურცლის v). იხ. აგრეთვე ზემო ყდის საცავი ფურცლის v, 1 r, ქვემო ყდის საცავი ფურცლის r.

(1569) **4584**

კრებული. 1835

112 ფ.; 16,5 × 10,5; ქაღალდი (ჭუჭყიანი); ტყავგადაკრული ხის ყდა; მხედრული, სათაურები და აბზაცის დასაწყისები სინგურით, ზოგჯერ მთავრულით; 1835 წ. ნოემბ-

რის 3 (108 v), ქვირნიშანი აქვს; გადამწერი: გიორგი ტერტერაშვილი (108 v); დაუწერელია: 18 r, 109 r, 111 r, 112 r.

1. „პარაკლისი-სავედრებელი წმიდისა იოანე ნათლისმცემელისა.—მღვდელმან „კურთხეულ-არსი“, უკეთუ ერისკაცი იყოს.—ლოცვითა წმიდათა მამათა ჩვენთათა, უფალო იესო ქრისტე, ღ̃თო ჩემო, შემიწყალე მე, ამინ...“ 2 r—17 v.

2. „თუესა აგვისტოსა **იე**, მიცვალება ყოვლად წმიდისა ღ̃თისმშობელისა. საკითხავი, თქმული წმიდათა შორის მამისა ჩვენისა ვასილი კესარიის მთავარეპისკოპოსისა. — რაჟამს იგი სულისაგან წმიდისა ღ̃თისა მშობელმან მარიამ ჟამი განსლვისა თვისისა ამიერ სოფლით გულისჴმაჰყო...“ 19 r—86 v.

შენიშვნა: უძღვის: „შენდამი იხარებს, მიმადლებულო, ყოველი დაბადებული, ანგელოსთა კრებული და კაცთა ნათესავი, ტაძარო სიწმიდისაო, სამოთხეო სიტყვიერო, ქალწულებისა სიქადულო, რომლისაგან სიტყუა განხორციელდა და ყრმა იშუა პირველ საუკუნეთა, ღ̃თი ჩვენი, რომელმან საშო შენი საყდრად გამოაჩინა და მუცელი შენი ცათა უვრცელეს ჰყო, შენდამი იხარებს, მიმადლებულო, ყოველი დაბადებული, დიდება შენდა“ (18 v).

3. „თთუესა დეკემბერსა **დ**, წამება წმიდისა და დიდისა მოწამისა ბარბარასი. — სულთა და გონებათასაცა უსხეულობით და გრძნობისა უაღრესობით, ზესთა თქმისა მიერ კერძომან სიტყვამან ღ̃თნ ჴორც-სხეულიან და გრძნობად ქმნითა შობასა უფროსღა წინა პატივ-სცა რა ქალწულებასა, ქალწულებმცა პატივსცა მას ქალწულებრთა სისხლთა...“ 87 r—108 v.

ანდერძი: „აღიწერა ჴელითა გიორგი ტერტერაშვილისათა, უკეთუ შეცთომა იყოს რაჲმე, შენდობას ვმოქენეობ. წელსა **ჩყლე**-სა, ნოემბრის **გ** დღესა“ (108 v).

მინაწერები: 1. „შეძენილია დეკემბერში 1906 წლისა“. (ექვთიმე თაყაიშვილის ხელით). (ზემო ყდის შიდა გვერდი).

2. „ეს რვეული ანუ წიგნი ეკუთვნის არსენ სირმასს ძე ხავთასს“ (1 v).

3. „წელსა **ჩყნდ** მარიამ[ო]ბის თვის **ივ** დაიბადა ქალი მარიამ ილიასი ილურიძ[ე]სი“ (109 v).

4. „წელს ღვინობისთვის **იე** დღესა დაიბადა გიორგი ილას ძე ილურიძე“ (109 v).

5. „წელსა ენკნისთვის (!) დღესა **იდ** დაიბადა დავით ილიას ძე ილურიძე“ (109 v).

6. „წელსა **ჩყნჱ** დაიბადა იანვრის თვის დღესა **იგ** სამის ძე ნიკოლოზი ილურიევ“ (109 v).

7. „წესა (!) **ჩყნთ** დაიბადა ილიას ძე ივანე იანვრის დღესა **ვ**“ (109 v).

8. „წელსა **ჩყჲ** მარამბითვის (!) **იზ** დაიბადა სამის ასული სალომე“ (110 r).

9. (ფანქრით): „ილიას ასული ნინო დიბადა (!) წელსა **ჩყჲა**“ (110 r).

იხ. მინაწერები: 1 r, 111 v, 112 v.

(1570) **4585**

ანტონ I, შეყვანილება კატეღორიათა სიმეტნე. XVIII

161 ფ; 14,7 × 10,5; ქაღალდი, ფ. 159—160 თავვის მიერაა დახრული, რის გამოც, ფურცლის მარჯვენა მხარეზე მოთავსებული ტექსტი არ იკითხება; ტვიფრული ტყავგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკრული ხის ყდა; თავნაკლული; მხედრული, სათაურები ნუსხურით; [XVIII ს.]; დაუწერელია: 122 r — 123 v.

⟨ანტონ I, შეყუანილება კატეღორიათა სიმეტნე⟩. — „... ... § 8. სული კაცობრივი, რომელ-არს არსება მარტივი, უსხეულო, უკუდავი...“ 1 r—121 v.

შენიშვნა: ერთვის: „პინაქს-სიტყუაობაჲ ჩუენ მიერთა შეყუანილებათა კატიღორიათა სიმეტნეთა და რომელთამე ჰსჯილთა ჩუენ მიერ ქართოლსა ალფავიტასა ზედა“ (124 r —159 v).

მინაწერი: „შეძენილია დეკემბერში 1906 წ. ე. თ.“ (ზემო ყდის v).

4586

წალკოტი ანუ კრებული სხვადასხვა ლოცვებისა

(მხედრული, ყდაში ჩასმული).

დაკარგულია. იხ. დ. კარიჭაშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით შემდგარი 1927 წ. 5 თებერვლის აქტი.

(1571) 4588

ფენელონი, გარდასავალი თელემაკისა. XIX

9 ფ.; 22,2 × 17,5; ქაღალდი; უყდო; (ფ. 1 მოცილებულია); თავ-ბოლონაკლული; მხედრული; [XIX ს.], ჭვირნიშანი: 1830 წ.

[ფენელონი], ⟨გარდასავალი თელემაკისა⟩.—„...მუზიკებისა. აპოლო მითხრა მე; განრისხდა, რომე იუპიტერ ქუხილთა მიერ ანძრევს ცასა. და ენება ზღვევად ციკლოფთა...“

წყდება: „...მე მიუგე მას: ოდეს ოლისე მივიდოდა გარემო დგომად ქალაქისა ტროადისა, მიმიღო მე მუხლთა ზედა თჳსთა და ვეპყარ ჴელითა ესრეთ...“

შენიშვნები: 1. „ხელნაწერი წარმოადგენს II და III წიგნს „გარდასავალი თელემაკისა“-ს.

2. ამ ხელნაწერის შესახებ იხილე: ტრ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან (XVI—XVIII სს.), 1960, გვ. 276—277.

(1572) 4589

ლექსების კრებული. XIX

10. ფ.; 22,4 × 17,5; ქაღალდი, დალაქავებული; უყდო; ნაკლული; მხედრული; [XIX ს.].

1. ⟨ერისთავი გიორგი⟩, „მაზურკის ხმაზედ—

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აგერ ცაში მზე ბრწყინვალებს,
და გაჰფანტა ღამე ბნელი...“ 1r.

შენიშვნები: 1. ბოლოში მიწერილია: „გ. ერისთოვ.“

2. ეს ლექსი შედის გ. ერისთავის კომედია-პოემა „შეშლილში“-ც (იხ. გ. ერისთავის თხზულებათა კრებული შ. რადიანის და ი. ბალახაშვილის რედაქციით, ტფილისი, 1936, გვ. 97).

2. [ერისთავი გიორგი, ნახვამდის (როზალია ბიშპინგს — პასუხი მისის ლექსებისა, ჟამს მოშორებისას)].—

„გმადლობ, რადგანაც მეტყვი ნახუამდის,
და ჰყოფ გულსა ჩემს ნუგეშცემულად...“ 1v.

შენიშვნა: იხ. გ. ერისთავის დასახელებული გამოცემა, გვ. 16.

3. [ერისთავი გიორგი, ე... წ...].—

„ჶი მშვენიერო, რად მიჰფრინავ უცხოსა მხარეს?
უკჳჱ მიტევებ შენსა მღერალს ესრეთ მწუხარეს...“ 1v—2v.

შენიშვნა: ლექსი მცირე ვარიანტული განსხვავებით გამოქვეყნებულია (იხ. გ. ერისთავის დასახელებული გამოცემა, გვ. 45—46).

4. ⟨ერისთავი გიორგი⟩, [მაიორ ანტონ მიცკევიჩს, პოეტს].—

„დრო, ჩემთჳს მარად ჩვეულ მჭმუხვნარე,
შენთან უბნობით დღეს განვიტკბილე...“ 2v—3v.

შენიშვნები: 1. ბოლოში მიწერილია: „გ. ერისთოვ.“

2. იხ. გ. ერისთავის დასახელებული გამოცემა, გვ. 11—12.

5. ⟨ერისთავი გიორგი⟩, [მ... ოს]—

„რად ხარ აგრე შენ ფერმიხდილი?
შენ ტუჩით რად ჰკარგეს ტურფა ღიმილი?...“ 3v.

შენიშვნები: 1. ბოლოში მიწერილია: „გ. ერისთოვ.“

2. იხ. გ. ერისთავის დასახელებული გამოცემა, გვ. 64.

6. ⟨ერისთავი გიორგი⟩, [მარი], „მიბაძვა პუშკინისა.—

შენ სადღეგრძელოს ვსვამ, ჩემო მარი,
შენი სახელით არს ღვინო მტკბარი...“ 3v—4r.

შენიშვნები: 1. ბოლოში მიწერილია: „გ. ერისთოვ.“

2. იხ. გ. ერისთავის დასახელებული გამოცემა, გვ. 26.

7. ⟨ერისთავი გიორგი⟩, „ყაბახსა ზედა.—

ჶი მოედანო! მიყვარდა მე ჟამს გაზაფხულის,
მიმოსვლა შენზედ, დავსტკბებოდი წმიდის ჰაერით...“ 4r—v.

შენიშვნები: 1. ბოლოში მიწერილია: „15 იან. 1836 წ. გ. ერისთოვ.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. იხ. გ. ერისთავის ზემოთ დასახელებული გამოცემა გვ. 6.

8. ⟨ერისთავი გიორგი⟩, „ქალს.—

მითხარ, ტურფავ, რად უჩივი, რადა ჰყვედრი სიყვარულსა?
ნუ არწმუნებ, ნუ აშინებ, მაგგვარ ჰაზრით ჩემსა გულსა...“
4v—5r.

შენიშვნები: 1. ბოლოში მიწერილია: „გ. ერისთოვ“.

2. იხ. გ. ერისთავის ზემოთ დასახელებული გამოცემა, გვ. 20. გამოცემაში ამ ლექსს სათაურად აქვს: „თეოდოსია მირეცკას“.

9. [ორბელიანი გრიგოლ], „იარალისადმი.—

ჩემო იარალი, ნეტავი ოდეს?
ლხინით ალვსილნი ვსხდეთ ველსა მწვანეს...“ 5r—6v.

წყდება: „...რომე მარჯვენით
ერთისა დაკვრით...“

შენიშვნა: იხ. ორბელიანი გრიგოლ, თხზულებათა სრული კრებული, თბილისი, 1959 წ., გვ. 14—17.

10. [ერისთავი გიორგი], „ახალი მოდის იამბიკო—

ჵი მოლექსევ, ღირს-წოდების კაცო,
ჵი გენიავ, მტკიცეო მამაკაცო...“ 7r.

შენიშვნა: იხ. გ. ერისთავის დასახელებული გამოცემა, გვ. 71.

11. ⟨ერისთავი გიორგი⟩, „გაზაფხული—

კუალად მოხვედი, გაზაფხულო, ჩვენო სტუმარო,
ყოველთა ცხოველთ სიქადულო, გულმომლიმარო...“ 7r—v.

შენიშვნები: 1. ბოლოში მიწერილია „გ. ერისთოვ.“

2. ეს ლექსი შედის გ. ერისთავის კომედია-პოემა „შეშლილში“. (იხ. გ. ერისთავის დასახელებული გამოცემა, გვ. 102).

12. ⟨ერისთავი გიორგი⟩. „მოგონება—

მიყუარს გარდაშლა მოგონების ყვავილთ ნაშალთა,
მათში ვკითხულობ წარსულთ დღეთა ჩემთა ნავალთა...“
7v—8r.

შენიშვნები: 1. ბოლოში მიწერილია: „გ. ერისთოვ“.

2. იხ. გ. ერისთავის დასახელებული გამოცემა, გვ. 39.

3. გამოცემაში (იხ. გვ. 70) ამ ლექსის ბოლო სტროფი — „აწლა ფიალა სიტკბოეზის მექმნა დაცლილი“ — წინამდებარე ხელნაწერის საფუძველზე შეცდომით დამოუკიდებელ ლექსადაა დაბეჭდილი. გამომცემლები წერენ: „იბეჭდება საქარ. მუზ. ყოფ. ქართვ. შორის წერა-კითხვის გამავრც. საზ. ხელთ. № 4589 მიხედვით. პირველად ქვეყნდება ჩვენს გამოცემაში“ (გვ. 395).

გამომცემლების შეცდომა გამოწვეულია იმით, რომ მათ არ გაუთვალისწინებიათ ხელნაწერი S—4589-ის ფურცლების არა სწორი შეკინძვა (ფურცლები არეულია). ხელნაწერის გვერდების დალაგების შედეგად ეს სტროფი მოთავსდა თავის ადგილას.

13. ⟨ერისთავი გიორგი⟩, „პატოცკის საფლავს, მიცკევიჩითგან —

გაზაფხულისა მხარეს, საშუალ მდიდართ მტილთა,
დაჰსჭკნი ამაღ, ჵი ვარდო, რომე ჟამთა წარსულთა...“ 8r—v.

შენიშვნები: 1. ბოლოში მიწერილი აქვს: „გ. ერისთოვ“.

2. იხ. გ. ერისთავის დასახელებული გამოცემა, გვ. 24.

ეროვნული ბიბლიოთეკა

14. ⟨ერისთავი გიორგი⟩ „მტკვრისადმი.—

მტკუარო, მდინარევ ჩემის მამულის!
სად ხარ, რომელსა ხშირად შევსვამდი?...“ 8v.

შენიშვნები: 1. ბოლოში მიწერილია: „გ. ერისთოვ“.
იხ. გ. ერისთავის ზემოთ დასახელებული გამოცემა, გვ. 5.

15. „საჩრდილო იგი, ვარდთაგან შეწმახნილი,
წყარო, რომელი გამომცენარებს ტურფად!..“ 9r.

შენიშვნები: 1. ლექსის ავტორი არაა მოხსენებული, არც სათაური არა აქვს, იწყება ახალი გვერდიდან. შეიძლება აქ ხელნაწერს აკლდეს წინა ფურცელი და ამის გამო ლექსის დასაწყისიც.

2. ეს ლექსი ამ ხელნაწერის მიხედვით პირველად გამოქვეყნებულია გ. ერისთავის ზემოთ დასახელებულ გამოცემაში. იხ. გვ. 72 და 396.

16. ⟨ერისთავი, გიორგი⟩, „ერთის მინუტის სიჭაბუკე, ვიქტორ გუგოსაგან.—

მხიარულისა მოგონებით ცხოველებული,
ვკითხულობ წარსულთ წელთა ჩემთა სოფელს ცხოვრებას...“
9r—v.

შენიშვნები: 1. ბოლოში მიწერილია: „გიორ. ერისთოვ.“
2. იხ. გ. ერისთავის დასახელებული გამოცემა, გვ. 37.

17. ⟨ორბელიანი გრიგოლ⟩, [ალბომში ღრაფინია ოპერმანისას].—

„...მაქუს ვედრება ეს,
რაც ვერ ვსთქვი ენით—მიხვდე გულითა...“

შენიშვნები: 1. ბოლოში მიწერილია: „გრ. ორბელიან.“
2. იხ. გრ. ორბელიანის დასახელებული გამოცემა, გვ. 54—56.

18. ⟨ორბელიანი გრიგოლ⟩, „ეპიტაფია მირზაჯანასი.—

მუხთალ ამ სოფელს გსურის ვისაცა იყო ბედნიერ,
სიყუარულითა და ღვინითა ჩემებრ დაითვერ...“ 10r.

შენიშვნები: 1. ბოლოში მიწერილია: „გრ. ორბელიან.“
2. იხ. გ. ორბელიანის დასახელებული გამოცემა, გვ. 24.

19. [პუშკინი], „ოცნება (⟨თარგმანი ალ. ჭავჭავაძისა⟩).—

სადა არიან ოცნებანო სიტკბონნი შენნი!
სად ხარ ღამის სიხარულო, მწრაფლ განმსრბოლო...“ 10r—v.

შენიშვნები; 1. ბოლოს მიწერილი აქვს: „თარგ. ალექ. ჭავჭავაძისა“.

2. ეს ლექსი სათაურით „სიზმარი“ იხ. ალ. ჭავჭავაძის 1940 წ. გამოცემაში, გვ. 140.

3. ეს ხელნაწერი გამოყენებულია გ. ერისთავის თხზულებანის 1936 წ. გამოცემაში.

4. ხელნაწერი აღწერილი აქვს ე. თაყაიშვილს (იხ. „Описание...,“ ტ. II, გვ. 446). იმის გამო, რომ აღმწერელს არ გაუთვალისწინებია ხელნაწერის არასწორი შეკინძულობა, აღწერის დროს დაშვებულია შეცდომები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(1573) **4590**

ერისთავი გიორგი, შეშლილი. XIX—XX

24 ფ.; 22 × 17,5; ქაღალდი (დაზიანებული და დალაქავებული, ფფ. 1 და 24); უყდო; მხედრული; [XIX—XX სს.].

[ე რ ი ს თ ა ვ ი გ ი ო რ გ ი], „შ ე შ ლ ი ლ [ი], კომედია-პოემა. — გამ... ანახანუმ ზის ტახტზედ... ანასტასია, მერმე ნინა)... ნეტა რადა ხარ დაფიქრებ... შენ როგორ... მითხრას...“ 1 r—24 v.

შენიშვნა: თხზულება გამოქვეყნებულია (იხ. გ. ე რ ი ს თ ა ვ ი, თხზულებანი, შალვა რ ა დ ი ა ნ ი ს და ი. ბ ა ლ ა ხ ა შ ვ ი ლ ი ს რედაქციით. ტ ფ ი ლ ი ს ი, 1936, გვ. 92—119).

(1574) **4591 ა**

ეფემია ანდრონიკოვისა, ლექსი და წერილი კნეინა მარიამ ჯანდიეროვისადმი. XIX

2 ფ.; 35,2 × 22; ქაღალდი (გაყვითლებული და დაზიანებული); უყდო; მხედრული, ავტოგრაფი; [XIX ს. II ნახ.].

⟨ე ფ ე მ ი ა ა ნ დ რ ო ნ ი კ ო ვ ი ს ა⟩ 1. [ლ ე ქ ს ი]. „იანვრის ივ-ს შ ი ლ დ ი თ.—

უცხო რამ მფრინველნი, შორის სამხრეთით,
მოფრინდით ოროლნი, ქუფრნი, თალხ მოსით...“ 1r.

2. [წ ე რ ი ლ ი] — „უსაყვარლესნო დებო და სძლებო! რა განმეშორეთ, თქუენი ანბავი დამიძვირდა...“ 1 r — v.

შენიშვნები: 1. ბოლოში მიწერილია: თქუენი მარად მშვიდობის და კეთილი დღე-[ე]ბის მსურველი დაჲ ე ფ ე მ ი ა ა ნ დ რ ო ნ ი კ ო ვ ი ს ა“.

2. 2 v-ზე მოთავსებულია ადრესატის მისამართი: „მათს ბრწყინვალებას უმოწყალეს ხემწიფას ი ვ ა ნ ე ს ა ს უ ლ ს კ ნ ე ი ნ ა მ ა რ ი ა მ ჯ ა ნ დ ი ე რ ო ვ ი ს ს ა. ს. ვ ა ჩ ნ ა ძ ი ა ნ ს“.

3. ხელნაწერი აღწერილი აქვს ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ს იხ. „Описание“ ..., ტ. II, გვ. 444.

4591 ბ

ორი ლექსი. XIX

1. ფ.; 36 × 22,2; ქაღალდი დალაქავებული, მელნით გაქღენთილი; უყდო; მხედრული; [XIX საუკ. II ნახ.].

1. „ს ი ც ო ც ხ ლ ი ს კ ა რ გ ვ ა.—

საყვარელი განმეშორა, მიმეფარა, ვიშ ვაიმე,
სადა ვძებნო, სადა ვჰპოვო, ვერა ვჰპოვო, ვიშ ვაიმე...“
1r—v

2. „ს ი ც ო ც ხ ლ ი ს გ ლ ო ვ ა.—

ჰი, დამმწარდნენ დღენი რა ტკბილნი, გულს
ლახვრად მესხნენ წარსულნი ლხინნი,
სოფლის შვებანი, ტკბილ-გემებანი, აწ დავჰკარგენი, ვითარ
ყოფილნი...“

შენიშვნა: ხელნაწერი აღწერილი აქვს ე. თაყაიშვილს, იხ.: „Описание..." ტ. II. გვ. 444.

4591 გ

ლეკიაშვილი ქიტუა, სიმღერა 1854 წ. ოზურგეთს თურქთა ზედა ი. მ. ანდრონიკაშვილის გამარჯვებაზე. XIX

2 ფ.; 35 × 22; ქაღალდი დაზიანებული; უყდო; მხედრული; [XIX საუკ. II ნახ.].

⟨ლეკიაშვილი ქიტუა⟩, „სიმღერა კნიაზ ივანე მალხაზის შვილისა ანდრონიკოვისა ოზურგეთს თურქთ გამარჯვებასა ზედა **ჩუნდ**.—

1. ივანე მალხასის შვილი საქართველოს სარდალია,
ხელმწიფისა ერთგულია, ჯარები მას აბარია,
ხელმწიფის ბრძანება ესმა, ომს გვიპირობს ხონთქარია,
მაშინ ხმალს ხელი მიახო, ვერას გვიზამს თათარია.
ბრძანება გასცა, მოიხმო, დრუჟინის კამანდარები,
პოლკოვნიკებსა უბრძანა, შაყარეთ თქვენი ჯარები,
ვალი გვმართებს ხელმწიფისა, ვადინოთ სისხლის ღვარები.

2. ბრძანება სპატა სპეტისა ივანე მალხაზისა შვილისა, მისვლა შტურმაზე ქართვლისა, რუსის ჯარებისა, გამარჯვება ივანე მალხაზისა შვილისა და გაქცევა თათარ-ხნისა. ამას ქვემორეთ აღინიშნებიან, რომელთ დარბაისელთაც იბრძოლეს ამავე ომში მხნეთ ახოვანნი მამაცნი და გაიმარჯვეს ჰძალითა მღვთისათა.

3. გიორგი ჯანდიეროვი ხმალში არის გამოსული,
კავკასიის მთა უჭირავს, დაღისტნამდის ქონდა ყური,
ლეკები დამონავა (!), ჩაჩნებს ამოართვა სული,
ოსმალის ჯარს დაიძახეს, ხმა შემოესმა ომისა,
დაკრაჭუნა(!) კბილები, სიმარდე ქონდა ქორისა,
ქისიყის ჯარს, დაინახა, სიმაგრე ქონდა გორისა,
კახეთის ჯარი მოვიდა, ცხენები ყვანდათ ლომისა,
თუშს, ოსსა და ქართლის ჯარს ალმები ქონდათ ყუადისა,
საქართველოს ჯარს გაუძლვა ჩერქეზულათ მოკმაზულსა,
მივიდა ოზურგეთში, ჯარსა საომარი მისცა,
ოსმალის ჯარი მოვიდა ოცი ათას კაცამდისა,
გიორგიმ გაიხედა, ჯარი დაინახა მტრისა მობსა (!)
მობრუნდა, ჯარი დააწყო, რჩევა მისცათ ხლმით მისვლისა,
დილა გათენდა, აღრიან მღვდელსა საწირავი მისცა,
ახსენეს ღმერთი, წმინდანი, ოსმალს დაერივნენ ხმლითა,
ზოგი ხოცავდა ფაშებსა, ზოგს ნაჭერი კაცი მისცა,
ორი რჯულ-ძაღლი ოსმალი ჩამსხდარიყვნენ მუხის ძირსა,
ორთავ უტყუბეს თოფები, გიორგი ცხენს მაგრა ზისა,
ორთავ შტიკებს ხელი სტაცა გამღო (!) მიზის (!) ყურებითა,
ორივ ერთმანეთს შამაკრა, ცხენ წინ მიწა მტვერათ იქცა,
მათზე ხმალი არ იკადრა, ფოფიც (!) თავის ბიჭსა მისცა,
ყალიონი არ მოშალა, დაძახილი კარგის ხმითა,
ზარბაზნები ბევრი დარჩათ, თეთრი ფქვილი სტანბოლისა,
იარაღი გადაყარეს, მკარავები ზურნებიცა.

. . . .

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ივანე ამილახვარი ატუტნატი (!) ჯარებისა,
დღე და ღამე გვასწავლიდა, როგორც კარგი მამა შვილსა,
ასე დაწყისა ჯარები, ვით რომ ანგელოზი ცისა,
გაისარჯენით, ბიჭებო, თუ ხათრი გაქვსთ ხელმწიფისა,
ომში გამოცდილი არის და ნასწავლი რუსებისა.

. . . .

5. სპატა სპეტისა შვილი არჩილი დაიძახის დიდის ხმითა,
დაურბინის ოსმალებსა, სულ ბზესავით დაფანტისა,
ნუ გეშინიანთ, ბიჭებო, ეს სახელ ძვირათ (!) ღირსა,
მამა ჩემი ვასახელოთ და ხელმწიფე რუსეთისა.
ზაქარია ანდრონიკოვი ასისთავი ქისიყისა,
ორი სამი იმან მოკლა, ერთი ფაშაც მოკლა ხლმითა,
მერე თოფი მოგვიხვედრეს ორთავ შუა სუკის ძირსა,
ზაქარია გადმოვარდა, ჭირის ოფლი მოდის პირსა,
სპატა სპეტისა ჩვენი ივანე დაეკონა თვალისა ძირსა,
ნუ გეშინის ზაქარიავ, ვაჟკაცი ხარ ჩვენი გვრისა,
ხელმწიფე შვილებსა შაგინახს, ჯავრი ნულა მიგდევს სხვისაა,
ვაჟკაცურათ სიკვდილი სჯობს, სახელი მაგივა ხლმისა.

. . . .

6. ეს დავითი ვახვახოვი ასი თავი თელავისა, ორი სამი იმან მოკლა,
ორი სამი იმან მოკლა, არც ის დარჩა სხვაზე ძირსა,
იმ ჟამთ ისიც მოგვიკლეს, რაღა ქება უნდა სხვისა.

7. ეს კიაზო ერისთავი ყოჩაღია თვის ჯარითა,
თუშებისა ასისთავი, ძველი სახელი აქვს ხლმისაა.

8. ნიკო ჭავჭავაძე ნახეთ, როგორც ყოჩაღათ დადისაა,
კისერში თოფიდ (!) დაიჭრა, სიმაგრე აქვს დევებისაა,
თითოს აგეთს დაიკივლებს, ოსმალებს ძირს გადმაყრისა,

9. სპატა სპეტი ივანე ნახეთ ბიჭო რას დადისა,
ატრიალებდა თვალებსა, ვით ქორი არაგვისა,
ორი თავადი მამიკლეს ამ ოსმალოთ, ესეც ღირსა,
მაგრამ ჯავრი არ შავჭამე ურჯულო ხონთქარისა,
ოცი ათასი კაციდამ ასიც აღარ დარჩათ ძირსა,
ისიც სტანბოლში გავგზავნენ, ხონთქარ მოახსენონ პირსა,
ანბავი შაატყობინონ დალესილი ჩვენი ხლმისა.
ვესურვი ყველამ ინებოთ დაბეჭვდა ამ ქაღალდისა,
ლაშქარი მხნეთ ახმოჩნდებისა, მამაცობა ჯარებისა.

სურვილით დავწერე გამარჯვებისა გამოთქმა ესე ამავე ჯარის მილიციონერ-ზემო მაჩხანელმა ქიტუა ლეკიაშვილმა.

1855 года Агуства (!) 19 дня" 1r — 2v.

შენიშვნა: სიმღერის დაყოფა ხელნაწერისეულია. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექვთიმე თაყაიშვილს იხ.: „Описание...", ტ. II, გვ. 444.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(1575) **4592**

ავგაროზი. XIX

1 ფ.; 35 × 21,5; სქელი ქაღალდი; უყდო; მხედრული; [XIX ს.].

[ავგაროზი]. — „მე წარმომიწერთ თქვენ, რათა დღესა წმინდისა აღდგომისა ჰქმნათ კეთილ-მორწმუნება...“ 1 r — v.

მინაწერი: (პეტრე უმიკაშვილის) „ეს წერილი რაღაც თანსატარებელია, როგორც ჯადო, ვგონებ“ (1 r).

(1576) **4593**

ამონაწერები სამკურნალო წიგნიდან. XX

21 ფ.; 21 × 13; ქაღალდი, დალაქავებული, დამწვარი, დაფლეთილი; უყდო, დაშლილი, თავნაკლული; ქართული და რუსული დამწერლობა; დაუწერელია: 21 v.

[ამონაწერები სამკურნალო წიგნიდან ქართულ და რუსულ ენებზე]. — ... „16. ფუტკრის ნაკბენისათვის: ფუტკრის ნაკბენი ადგილი დაისველე ნივრისა ანუ ხახვის წვენით და მაშინვე გაქრება ტკივილი და სიმსივნე...“ 1 r — 21 r.

შენიშვნა: ქართულ ტექსტს უკავია ფფ. 1 r—9 v და შეიცავს 72 დარიგებას (აქედან წინა 15 დარიგება ხელნაწერის თავნაკლულობის გამო აკლია). რუსულ ტექსტს უკავია 10 r — 21 v.

(1577) **4612**

ყოვლად საზოგადო ისტორია. წიგნი პირველი. XIX

62 ფ.; 25 × 16,5; ქაღალდი; ქაღალდის ყდა (გაყვითლებული); მხედრული [XIX ს.].

(„ყოვლად საზოგადო ისტორია. წიგნი პირველი“.) — „შესავალი ისტორიასა შინა. — 1. ისტორია ეს-გუარ იზედ წოდების ბერძენთა ლექსისაგან, რომელი ჰნიშნავს ხილუად ამად, ვითარმედ მას შინა წარმოებანი წინაიდებიან რეცალათუ წინაშე თუალთა...“ 2 r — 61 v.

მინაწერები: 1. „მის ღირსებას უ́ლს მღუდელს, გიორგი ოდიშაროვს მიერთვას საჩქაროდ ხორგას ჩყნგ-სა წელსა, ნოემბრის კდ-სა“ (1 r).

2. „Јоро (!) Монахъ Калистрат“ (1 r).

3. „წიგნი ესე მებოძა ბატონის დავით დადიანისაგან ჩყნგ-სა წელსა, იანვარს კდ-სა, მონასა მისსა გიორგი სხვიტარიას. ესე იგი წიგნი არის გიორგი ოდიშარიასი. იცოდეთ“ (1 r).

4. „ვექუთნი ხობის მონასტრის კაზნაჩეის, იერო-მონახს კალისტრატე ჩიჩუას“ (1 v).

5. „წიგნი ესე მებოძა ბატონის დავით დადიანისაგან ჩყნგ-ს წელსა, კ-ს იანვარს, მონასა მისა გიორგი სხვიტარიას“ (61 v).

6. „მისს უგანათლებულესობას, სრულიად მინგრელოის მართულას ეკატირინა ალესადრე (!)“ (62 r).

7. „1862-го год“ (62 v).

(1578) **4613**

ტიმოთე გაბაშვილი. მიმოხლვა. XIX

89 ფ.; 23 × 17; ქაღალდი (ფფ. 1—11 ამომწვარია, ფ. 8 ამოვარდნილია); ქაღალდის ყდა; მხედრული (სათაურები და დასაწყისები სინგურით), თავსამკაული: 3 r; [XIX ს.].

ეროვნული ბიბლიოთეკა

[გაბაშვილი ტიმოთე. მიმოსლვა]. „საუკუნო ჴსნა მოგვანიჭა და უკეთუ ცთომილად საგონებელი რაჲმე იხილოთ, პირველად ღრმად გაჩხრიკეთ მეცნაერთა...“ 2 r — 88 r.

შენიშვნები: 1. უძლვის თავფურცელი: „წიგნი ესე მღუდელთ-მთავრის ტიმოთეს მიმოსლვისა. ჩყმ...ს წელსა მარტის ზ-სა დღესა“ (1 r).

2. ერთვის ზანდუკი „წიგნის ამის საძიებელი“ (88 v — 89 r).

3. ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსლვა“, გამოკვლევით, ლექსიკონითა და საძიებლებით გამოსცა ელ. მეტრეველმა, თბილისი, 1956 წ.

მინაწერები: 1. „ეს წიგნი ეკუთვნის ილუმენს ბესარიონს. 1850 14/ა“ (ყდის v).

2. „წიგნებთაგან კალისტრატესა“ (2 r).

3. „წიგნი ესე ეკუთვნის მამა იერო-დიაკონს კალისტრატეს. 18 $\frac{1}{20}$ 62“ (89 v).

(1579)

4614

კრებული. 1812

108 ფ.; 21,3 × 16,5; მწვანე ფერის ქაღალდი, ჭუჭყიანი; ტვიფრული ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; ორი ტყავის დაზიანებული საკეტით; მხედრული, სათაურები და დასაწყისები სინგურით; 1812 წ. 23 აგვისტო (103 v), ჭვირნიშანი აქვს; გადამწერი: სოლომონ დიაკონი (103 v); დაუწერელია: 2 v — 3 v, 23 v, 104 r — v, 105 v, 106 v — 108 v.

1. [მარგალიტი (აპოკრიფული კრებული)]. „სწავლანი გამოკრებულნი სულიერნი დიდთა წ̃თგან მარგალიტისა დაბადებისაგან ღ̃უთისა.— დასაბამად ქმნა ღმერთმან ცა და ქუეყანა და ქუეყანა ესე უხილავი და განუმზადებელი...“ 1 r — 94 r.

შენიშვნები: 1. შედგენილობა: [შექმნისათჳს ცისა დი ქუეყანისა]; „თარგმანება წმიდისა იპოლიტესი, განკაცებისათჳს უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესსა“; „შესხმა და სახელები წმიდის ღ̃ისმშობლისა;“ „უკეთუ გინდეს, თუ რაოდენი ნათესავნი არიან ქუეყანასა ზედა;“ „სახელები შვიდთა ცათა;“ „სიტყვა დაბადებისა ამისთჳს და სამოთხისა შვენიერებისათჳს;“ „თქმული წმიდისა დიონოსი არიოპაგელისა სიტყვა დაბადებისა სამოთხისა და ადამისათჳს;“ „წიგნსა მარგალიტსა შიგან სწერია საქმე ესე სულისა“; „სწავლა წმიდისა მამისა ჩუენისა მაქსიმე აღმსარებელისა;“ „სხვა სწავლა წმიდისა მაქსიმე აღმსაარებელისა“; „სხვა სწავლა წმიდისა მამისა ჩუენისა მაქსიმე აღმსაარებელისა“; „სწავლანი წმიდისა იოანე ოქროპირისანი ფიცისათჳს“; „სწავლა წმიდისა იოანე ოქროპირისა მოწყალებისათჳს“; „სხვა სწავლა წმიდისა იოანე ოქროპირისა, თუ ვითარ ადიდებს ღმერთსა“; „სწავლა წმიდისა იოანე ოქროპირისა სწავლისათჳს საღმრთოსა სიტყჳსა“; „თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა ეფრემ ასურისა“; „მისივე იოვანე ოქროპირისა“; „სიტყვანი მოციქულისა სასოწარკვეთილებისათჳს“; „სხვა, იოანე ოქროპირისა ქადილისათჳს სიწმინდისა“; „მისივე იოანე ოქროპირისა ლოცვისათჳს“; „თქმული წმიდისა იოანე ოქროპირისა მართლისა და ცოდვილისა“; „თქმული მისივე იოანე ოქროპირისა“; „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისა, ოთხშაბათსა და პარასკევის შერევისათჳს“; „თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგორი ნოსელისა ეკკლესიას მისლვისა და ლოცვისათჳს“; „თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისა კჳრიაკისა კრძალვისათჳს“; „მცნება წმიდისა ბასილისა მღვდელთა მიმართ. თარგმნილი არსენისი“; „სწავლა წმიდისა იოანე ოქროპირისა და სხვათა ფილასოფოსთა, მეორედ მოსლვისათჳს“; „სწავლანი სულიერნი, გამოკრებულნი თითო სახეთა წიგნთაგან“; „სახის-მეტყველებით სიტყჳს განგება წმიდათა მღუდელთმოძღვართა, ბასილისი და გრიგორისი“; „კითხვა-მიგება წმიდისა ბასილისა და გრიგორის;“

„კითხვა-მიგება წმიდისა ბასილისა გრიგორის მიმართ“; „კითხვა-მიგება გრიგორი ღვთის-მეტყველისა ანგელოზისა მიერ“; „ათანასე ალექსანდრიელისა თქმული“; „სიტყვანი წმიდათა მამათანი“; „კითხვა-მიგება წმიდათა მამათა“; „სიტყვანი გამოკრებულნი სახარებისანი წმიდათა მამათა მიერ“.

2. ამ ტექსტის შესახებ იხილე: კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1960, ტ. I, გვ. 451 — 456.

2. „უწყება პეტროს მკარწველისათჳს და ალაჯასათჳს და ალაჯორი მარხვისა.—იყო პატრიარქი კაცი წმიდა, უბიწო და მართალი და ჰრწმენა სიტყუათა მისთა ყოველსა...“ 94 v—96 v.

შენიშვნა: „უწყებაჲ პეტროს მკაწურალისათჳს და ალაჯორისათჳს“ გამოცემულია (იხ. მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, გვ. 629 — 631; Меликсет-Беков Л., Грузинский извод сказания о посте „араджавор“. „Христ. Восток“, т. V, вып. 2, стр. 85—90).

3. „უწყება სუბალიძისა სუბ-სარქისისათჳს.—მათვე ჟამთა შინა კაცი ვინმე იყო ნავმირევი...“ 96 v — 99 r.

4. „თარგმანება სომეხთა წვალებათათჳს და თუ რომლითა პირითა შეიჩვენებიან სომეხნი“ 99 r — 103 r.

შენიშვნა: ხელნაწერს აქვს რვეულობრივი პაგინაცია.

ანდერძი: „წელსა 1812 აღიწერა წიგნი ესე მარგალიტიანი ჴელითა სოლომან დიაკუნისათა, აგვისტოს 23. აღმომკითხველნო წიგნისა ამის მარგალიტისანო, ოდეს აღმოიკითხვიდეთ ამას, უკეთუ შეცთომა რაჲმე იხილოთ, ანუ ასოთა და ანუ ლექსთა, ნუ მწყევთ ამისთჳს, რომე დიდი სურვილი მაქუნდა წიგნის ამის და მოვიმადლე ერთისა ვისგანმე ნათხოვრად წიგნისა ამის დედანი, და ოდეს აღმოვიკითხე და ვსცან ძალი ამისი, ვეტრფე ამას და ვიწყე აღწერად და აღვწერე მცირედსა ოდენ ხანსა ამისთჳს, რომე პატრონი წიგნისა ამის მაშურებდა და უკეთუ ნაკლებულება აღწერილსა წიგნსა ამას შინა იქმნება სწრაფად აღწერისა ამის გამო, მომიტევეთ ცთომა ჩემი, რამეთუ ყოველთა და არს ცთომა ანუ აღწერასა წიგნისასა და ანუ აღმოთქმასა სიტყუათასა, არამედ კურთხევით მომიხსენებდეთ თვითოულისა სიტყჳთა, რაჲთა თქუენცა მოხსენებულ იქმნეთ ქრისტეს იესოს მიერ უფლისა ჩუენისა, რომლისა არს დიდება. უ̃კი უ̃ე, ამინ“ (103 v).

მინაწერები: 1. „დიაკვნად ხელდასხმულ იქმნა გიორგი, გიორგი (!) ენკენისთვის ილ დღესა, ჩყჲგ წელსა ხელითა ევსევისათა“ (ზემო ყდის v).

2. (ნუსხურით): „დიაკონად ჴელ-დასხმულ იქმნა სოლომონ აპრილის იე, წელსა ჩყიე, დღესა დიდსა ხუთშაბათსა ჴელითა წილკნელ სამთავნელ ღერვასისათა“ (1 r).

3. „მღუდელად ჴელდასხმულ იქმნა ფებერვლის 17 დღესა, წელსა 1817 ჴელითა აზრუმის მიტროპოლიტის თეოდოსისათა“ (1 r).

4. „Его высокопреосвященнейшему Архиепископу Карталинскому и Кахетинскому Экзарху Грузии и ковалеру Евгениию Архиерею“ (1 v).

5. „ზაქარია ნადიროვმან“ (106 r).

იხ. აგრეთვე მინაწერები: ზემო ყდის v, 1 r, 2 r, 105 r.

(1580) **4615**

ჟამნი. XVII

157 ფ.; 18,5 × 13,5; ქაღალდი, დაზიანებული, ძველი რესტავრირებული; ტვიფრული ტყავგადაკრული ხის ყდა, ზემო ყდაზე ამოტვიფრულია ჯვარზე გაკრული იესო და ორი ანგელოზი; ამოცვენილია ფურცლები: 1, 5—7, 25, 65, 127, 128, 135; ფფ. 45

ეროვნული ბიბლიოთეკა

და 46 თავის ადგილზე არაა ჩაკრული, ასევე არეულია ფურცლები, რომელზედაც ქრონიკონია მოთავსებული; ნუსხური, სათაურები და დასაწყისები სინგურით, თავსამკაული: 1 r; [XVII ს.], ჭვირნიშანი აქვს.

[ჟამნი] 1. „ჟამნი შუაღამისა ძალითა ღ~თისათა რაოდენი აქუს ლოცვა მსგავსად წესისა მის წმიდისა იჱრუსალიმისა და კეთილთა მონასტერთა. რაჟამს აღსდგე ძილისაგან, განეშორე სარეცელსა და ბრძანეთ. — ლოცვითა წმიდათა მამათა ჩუენთა, უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩუენო, შეგვიწყალენ ჩუენ...“ 1 r — 26 r.

შენიშვნა: შეიცავს: „სხვანი შუაღამისნი, თქმული იოსებ გამომეტყუჱლისა მიერ“ (2 r); „სხვაჲ ლოცვა შუაღამისა ბ“ (6 r); „სხვაჲ ლოცვა ყოვლად წმიდისა გ“. (6 v); „სხვაჲ ლოცვა დ შუაღამისა ქართული“ (7 r); „სხვაჲ ლოცვა ყოვლად წმიდისა ღი~სმშობელისა მიმართ, თქმული გერმანოზ კოსტანტინეპოლელ პატრიაქისა“ (8 r); „სხვაჲ ლოცვა შუაღამისა ვ“ (8 v); „სხვა ლოცვა სავედრებელი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მიმართ ზ“ (10 v); „ლოცვა-სავედრებელი ყოვლად წმიდისა ღი~სმშობლისა მიმართ, თქმული წმიდისა მამისა ჩვენისა მარკოზ მონაზონისა თ“ (11 v); „გალობანი შუაღამისანი“ (13 v); „სხვა ლოცვა შუაღამისა“ (17 v); „სხვაჲ ლოცვა შუაღამისა წმიდისა იოანე დამასკელისა“ (17 v); „სხვაჲ ლოცვა შუაღამისა იბ“ (19 r); „სხვა ლოცვა შუაღამისა, თქმული წმიდისა დიდისა ბასილისი იგ“ (20r); „სხვაჲ ლოცვა შუაღამისა, თქმული მისივე წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა ბასილი კესარიელ მთავარ-ეპისკოპოსისა“ (21 v); „სხუა ლოცვა“ (25 v).

2. „იბაკონი წმიდისა ღისმშობლისანი, რომელ არს დაუჯდომელი. — ზეშთა მბრძოლისა ჩუენისათჳს და მოღვაწისა უძლეველისა...“ 26 v — 34 v.

შენიშვნა: შეიცავს: „ლოცვა ყოვლად წმიდისა მიმართ ღი~სმშობლისა, თქმული ღირსისა კირ ფილოფვისა, არქიეფისკოპოსისა კოსტანტინეპოლის ქალაქისა“ (30 v); „სხუაჲ ლოცვა ყოვლად წმიდისა ღვთისმშობლისა“ (32 v); „ლოცვა უფლისაჲ მიმართ იესჳ ქრისტესა“ (33 r); „ლოცვა დღითი-დღე სათქმელი ყოვლად წმიდისა ღი~სმშობლისა მიმართ, უკუეთუ გსურის ხილვა მას ჟამსა სულისა შენისა განყოფისასა“ (33 r).

3. „წესი და განგებაჲ წმიდისა ზიარებისლოცვისა. — ოდეს გენებოს შეწირვა უსისხლოსა მსხუჱრპლისა...“ 34 v — 54 v.

შენიშვნა: შეიცავს: „ლოცვა ა წმიდისა ზიარებისა, თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა დიდისა ბასილისი“ (38 v); „ლოცვა ბ წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისა“ (39 v); „ლოცვა გ წმიდისა სვიმეონ მეტაფრასისა“ (40 v); „ლოცვა დ წმიდისა სვიმეონ მეტაფრასისა“ (41 r); „ლოცვა ე წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე დამასკელისა“ (42 v); „ლოცვა ვ წმიდისა დიდისა ბასილისი“ (42 v); „ლოცვა წმიდისა სვიმეონ ახლისა ღმრთისმეტყუელისა“ (43 v); „ლოცვაჲ ჱ წმიდისა იოანე ოქროპირისა“ (44 r); „ლოცვა თ წმიდისა იოანე ოქროპირისა“ (44 v); „ლოცვა ი წმიდისა იოანე დამასკელისა“ (44 v); „ლოცვა ია წმიდისა იოანე დამასკელისა“ (45 r); „ლოცვა იბ წმიდისა მამისა ჩუენისა დიდისა ბასილისა“ (45 v); „იდ ლოცვა ზიარებისა წმიდისა იოანე ოქროპირისა“ (47 r); „ლოცვა ა ზიარებისა სამადლობელი“ (48 r); „ლოცვა ბ შემდგომად ზიარებისა, თქმული მისივე“ (48 v); „ლოცვა შემდგომად ზიარებისა მისივე“ (48 v); „ლოცვა დ შემდგომად ზიარებისა მისივე“ (49 r); „ლოცვა ე შემდგომად ზიარებისა, თქმული სვიმეონ მეტაფრასისა“ (49 r); „ლოცვა ვ შემდგომად ზიარე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისა წმიდისა კჳრილე ალექსანდრიელისა“ (49 v); „ლოცვა ზ შემდგომად ზიარებისა წმიდისა ღთ̃ისმშობლისა მიმართ ვედრებაჲ“ (49 v); „პარაკლისი ახლად თარგმნილი ბერძულისაგან“ (50 r).

4. ⟨ლოცვა გმადლობისი⟩. „ლოცვა განთიად და მიმწუხრი სათქმელი წმიდისა იოანე დამასკელისა.—დიდებაჲ შენდა ღმერთო დამბადებელო და ამგებელო ყოველთაო...“ 54 v—69 v.

შენიშვნა: შეიცავს: „ლოცვაჲ თქმული წმიდისა მაკარისი“ (56 v); „ლოცვა წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისა“ (57 v); „ლოცვა წმიდისა იოანე ოქროპირისა აღსარებისათჳს ცოდვათასა და სინანულისა“ (60 r); „ლოცვა წმიდისა ამონისა“ (60 r); „ლოცვა წმიდისა ეფრემისი“ (60 v); „ლოცვა წმიდისა ისაკ განშორებულისა“ (60 v); „ლოცვა წმიდისა ტიმოთესი“ (61 v); „ლოცვა წმიდისა მამისა ჩუენისა დიდისა ბასილი მთავარეპისკოპოსისა სინანულისათჳს ცოდვათასა, თარგმნილი წმიდისა მამისა გიორგისი“ (62 r); „ლოცვა სინანულისა, თქმული მისივე წმიდისა მამისა ჩუენისა დიდისა ბასილისი“ (67 v); „ლოცვა ბოროტთა გულის-სიტყუათათჳს“ (69 r).

5. „ლოცვანი ყოველთა შჳდეულთა დღეთანი, რომელიცა ვინ ჰყოფდეს აღსარებასა თჳსთა ცოდვათასა. კჳრიაკესა სათქმელი. თეოფანესაგან თქმული.—აღვიარებ შენ, მამაო, უფალო ცათა ქუეყანისაო...“ 69 v—110 v.

შენიშვნა: შეიცავს: „ლოცვა ბოროტთა გულის-სიტყუათათჳს კჳრიაკესა“ (73 v); „ლოცვა ბოროტთა გულის-სიტყუათათჳს ორშაბათსა“ (73 v); ლოცვა ორშაბათსა სათქმელი ღ̃ისა მიმართ და წმიდათა ანგელოზთა, თქმული იოანე დამასკელისა“ (74 r); „ამასვე დღესა სხუაჲ ლოცვა სინანულისა, თქმული ეფრემისი“ (78 r); „შეწევნითა ღ̃სათა და იოველ მთავარანგელოზისათა ლოცვაჲ ძილად დაწოლისა“ (80 r); „ლოცვა ბოროტთა გულის-სიტყუათათჳს სამშაბათსა“ (80 v); „ლოცვა სამშაბათსა სავედრებელი წმიდისა იოანე ნათლისმცემელისა და წმიდათა წინასწარმეტყუელთა და წმიდათა მღდელთმოძღუართა“ (81 r); „სამშაბათსავე ლოცვა აღსარებით თქმული ეფრემისი“ (84 v); „სამშაბათსა, შეწევნითა ღ̃საჲთა და იოველ მთავარანგელოზისათა, ლოცვა დაძინებისა“ (86 v); „ლოცვა ბოროტთა გულის სიტყუათათჳს სავედრებელი ყოვლად წმიდისა მიმართ ოთხშაბათსა“ (87r); „ლოცვა ოთხშაბათსა სავედრებელი წმიდისა ღ̃სმშობლისა, თქმული იოანე დამასკელისა“ (88 r); „ოთხშაბათსა ლოცვა წმიდისა ეფრემისი სინანულისათჳს“ (91 v); „შეწევნითა ღ̃ისა და იოველ მთავარანგელოზისთა ლოცვაჲ ძილად დაწოლისა ოთხშაბათსა“ (93 v); „ლოცვა ხუთშაბათსა სინანულისა სავედრებელი წმიდათა მოციქულთა, თქმული იოანე დამასკელისა“ (94v); „ხუთშაბათსა ლოცვა თქმული წმიდისა ეფრემისი“ (99 r); „შეწევნითა ღ̃სათა და იოველ მთავარანგელოზისათა ლოცვა ხუთშაბათსა დაწოლისა“ (100 r); „ლოცვა ბოროტთა გულის-სიტყუათათჳს პარასკევისა“ (100 v); „ლოცვა სავედრებელი ჯუარისა, თქმული იოანე დამასკელისა“ (100 v); „პარასკევსავე სინანულისა თქმული წმიდისა ეფრემისი“ (104 v); „ლოცვა ყოვლად წმიდისა ღისმშობლისა, პარასკევსა“ (105 v); „შეწევნითა და იოველ მთავარანგელოზისათა, ლოცვა დაწოლისა პარასკევისა“ (107 r); „ლოცვა შაბათსა სათქმელი სინანულისა, თქმული წმიდისა იოანე დამასკელისა“ (107 v); „ლოცვა ბოროტთა გულის სიტყუათათჳს“ (110 r); „ლოცვა ძილად დაწოლისა შაბათსა“ (110 v).

6. „ესე ლოცვა ყოველთა დღეთა უნდა შემდგომად მწუხრის გამოლოცვისა.—კურთხეულ-ხარ, მეუფეო ღმერთო, ყოვლისა მპყრობელო... 110 v—113 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: შეიცავს: „ლოცვა წმიდისა ანგელოზისა მიმართ სულისა და ჴორცთა მცველისა სამარადისოდ“ (111 r); „ლოცვა წმიდისა ანგელოზისა მიმართ მწუჱლისა ცხოვრებისა ჩუენისა სამარადისო“ (111 r); „ლოცვა ავაზაკისა ერთისა, რომელი მავრიკ მეფემან მიიყვანა ღ~სა; რაჟამს დაწვებოდი, წართქჳ და უფროს ხოლო პირველსა სიკუდილისასა სამარადისოდ“ (111 v); „ლოცვა ძილად დაწოლისა სავედრებელი ყოვლად წმიდისა ღ~ისმშობლისა მიმართ სამარადისო“ (112 r); „ლოცვა ბოროტთა გულის-სიტყუათათჳს სამარადისო“ (112 v); „სხვა ლოცვა მისივე“ (113 r).

7. „ლოცვანი ღამისანი ათორმეტთა ჟამთანი. ლოცვა პირველისა ჟამისა. — რომელნი ესე ჟამსა დღისასა ხედვითა დაბადებულთა შინა...„ 113 r — 116 v.

8. „ლოცვანი დღისანი ათორმეტნი. ლოცვა პირველისა ჟამისა.— გმადლობ შენ, უფალო ღმერთო ჩვენო, და გადიდებ ნათლითა შენითა...“ 116 v— 121 v.

9. ⟨ლოცვა დაცემისა⟩.—„ლოცვა, უკუეთუ მღდელსა დაცემა შეემთხჳოს ძილსა შინა.— შემდგომად დაცემისა, მეყსეულად აღდგეს და თქუას: კურთხეულარსი, წმიდაო ღმერთო, მამაო ჩუენო,...—ვცოდე შენდამი მაცხოვარ, ვითარცა უძღებმან შვილმან...“ 121 v—125 v.

შენიშვნა: შეიცავს: „და ზედა ლოცვა ესე მარკოზ მონაზონისა“ (122 v); „სხვა ლოცვა წმიდისა დიდისა ბასილისა“ (123 v); „ლოცვა წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისა“ (124 r); „ლოცვა ძილსა შინა დაცემისა ერის კაცისა“ (125 r).

10. [სახარება-სამოციქულოს (პავლეს) საკითხავების ცხრილი, განლაგებული 8 ხმაზე]. — „კუალად მეორესა დაწყებასა ჴმათასა. ჴმ~ ა, სახარებაჲ ბ, პავლე გ...“ 125 v—126 v.

11. „სახარებანი, გამოავლინენი და დიდებაჲ აქებდითისი, ცისკრისა საცისკრონი, სახარებაჲ მათესი. — ხოლო ათერთმეტნი იგი მოწაფენი წარვიდეს...“ 126 v—141 v.

შენიშვნა: ერთვის: ა. ქორონიკონი „ესე ქორონიკონი დაიწერა სხუათა იჱრუსალიმისათა უცთომელი“ (142 r — 152 v); ბ. ცხრილი აღდგომის ქორონიკონისა და მასთან დაკავშირებული სადღესასწაულო დღეებისა (153 r — 155 v); დ. ქელთა (156 r — 157 v).

მინაწერები: (ქორონიკონზე მიწერილი): 1. (მე-19 საუკუნის მხედრულით): „ეს უნდა იყოს გადმოწერილი 1317 წ., რადგან ქორონიკონი „ფბ“ უზის (142 r).

2. (ნუსხურით): „ოჱ [1390] აქა პირველად მზე დაბნელდა“ (143 v).

3. (ნუსხურით): „რნჱ [1463] ქართველთ[ა] [მეფე]მ თავრეზ [დალა]შქრა და თემ[ურა] [ა]აოჴრა“ (144 r).

4. (ნუსხურით): „რჲბ [1474] გიორგი მეფე გარდ[აიცვა]ლა“ (144 r).

5. (ნუსხურით): „როგ [1485] ყაენი მოვი[და], სამცხე ა[ა]ოჴ[რა], აწყვერ[ის] [ღი~ს]მშობელი [დაატყუჱვეს]“ (144 r).

6. (ნუსხურით): „რპზ [1499] [დი]დი ყვერყვე[რ]ა მიიცვალა“ (144 v).

7. (ნუსხურით): „რია [1423] დაწბ~ჲ(!) ბ[ერძე]ნთა“ (145 r).

8. (ნუსხურით): „რივ [1428] სარკინოზ შეიქმნა“ (145 r).

9. (მე-18 საუკუნის მხედრულით): „რკვ [1438] [კ]ონსტანტინე მეფე [გა]რდაიცვალა“ (145 v).

10. (მე-18 ს. ნუსხურით): „რლგ [1445] კონსტანტინეპოლი თათართა დაიჭირეს“ (145 v).

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. (ნუსხურით): „სდ [1516] მ ზ ე ჭ ა ბ[უ კ მიი]ცვალა“ (146 r).

12. (ნუსხურით): „სკგ [1535] მ უ რ ჯ ა ხ ე[თ ს შ]ეიბნეს“ (146 r).

13. (მე-18 საუკ. ნუსხურით): „სკზ [1539] სომეხთ თევდორობის კვირა ჭამეს“ (146 v).

14. (მე-18 საუკ. მხედრულით): „სლა [1543] ...რის ფაშები გამოვიდ[ეს რიც]ხვით ოც და ორი... და ტ ა ო ამოსწყვი[ტეს]. მიუჴდა ბ ა გ რ ა ტ მ ე[ფ ე] ...თლისა ჭ რ ა-ლ ა ქ ს (!), [გაიმარ]ჯვა და ამოსწყვიტა“ (146 v).

15. (მე-18 საუკუნის მხედრულით): „სლჱ [1550]... [ქ]ვეყანა დაიჭირეს [ურუ]მთა“ (146 v).

16. (მე-18 საუკუნის მხედრულით): „სმა [1553] [ა რ] ტ ა ნ უ ჯ ი წაართვენ“ (146 v).

17. (მე-18 ს. მხედრულით): „სმბ [1554] ...მომე ვ ა ხ უ შ ტ ... ყეენმა...“ (146 v).

18. (მე-18 ს. მხედრულით): „სმდ [1556] ...ი მეფეთ მეფის... მ ა რ ი ა მ ყოფილი... მიიცვალა“ (146 v).

19. (მე-18 ს. მხედრულით): „სნდ [1566] დიდი ჟამი გაჩ[და]“ (147 r).

20. (ნუსხურით): „სნზ [1569] ფ ა რ ც ხ ი ს ი ს ომ[ში] მეფე ს ვ ი მ ო ნ თათართ წაიყვანეს“ (147 r).

21. (მე-18 ს. მხედრულით) „სჲა [1573] ყიზილბაშთ ოცხ[ე]... პატრონი ქ ა ი ხ ო ს-[რ ო] [ყაზმი]ნს მიიცვალა“ (147 r).

22. (ნუსხურით): „სჲზ [1579] აქა ლ ა ლ ა ფ ა შ ა გამო[ვიდა]“ (147 r).

23. (მე-18 ს. მხედრულით): „სჲჱ [1580] ს ი ნ ა მ ფ ა შ ა [გამოვიდა]“ (147 r).

24. (მე-18 ს. მხედრულით): „სო [1582] ურუმთ ბატონს... უღალატეს და...“ (147 r).

25. (ნუსხურით): „სპჱ [1600] მეფე ს ვ ი მ ო ნ დაიჭირეს ურუმთა“ (147 v).

26. (ნუსხურით): „სჟა [1603] [კ]ახმა ბატონმა მამა და [ძ]მა მოკლა“ (147 v).

27. (მე-18 ს. მხედრულით): „სჟა [1603] მიიცვალა ა თ ა ბ ა გ ი ს ა ს უ ლ ი თ ე ო-დ ო რ ა“ (147 v).

28. (ნუსხურით): „სჟზ [1609] ... თ ა თ ა რ ხ ა ნ ი მოვიდა ქ ა რ თ ლ ს და მეფეს ლ უ ა რ ს ა ბ ს გაემარჯვა“ (147 v).

(ნუსხურით): „ტ [1612] შ ა ჰ ა ბ ა ზ კ ა ხ ე თ ი ააოხრა, ბატონი ლ უ ა რ ს ა ბ ყაენთან წავიდა“ (148 r).

30. (ნუსხურით): „ტდ [1616] ბატონს თ ე ი მ უ რ ა ზ ს [გა]ემარჯვა ყიზილბ[აშზე]“ (148 r).

31. (მე-18 ს. მხედრულით): „ტკბ [1634] მეორედ სომეხნი [შეიშალ]ნეს“ (148 r).

32. (მე-18 ს. მხედრულით): ტკდ [1636] ხონთქარი გამოვ[იდა და ერევა]ნი აიღო“ (148 r).

33. (მე-18 ს. მხედრულით): „ტლ [1642] ს ე ფ ე ყაენი [მო]ვიდა“ (148 v).

34. (მე-18 ს· მხედრულით): „ტლგ [1645]... [დე]დოფლის მ ა რ ი ა მ ი ს ძე [ო ტ]ი ა მიიცვალა“ (148 v).

35. (მე-18 ს. მხედრულით): „ტლზ [1649] ა რ ჩ ი ლ ი დაიბადა“ (148 v).

36. (მე-18 საუკ. მხედრულით): „ტმდ [1656]... [დაიქ]ცა გუმბათი ...მეფისა (148 v).

37. (ნუსხურით): „ტმვ [1658] [მ]ეფე რ ო ს ტ ო მ მიიცვალა და დაჯდა მეფედ შაჰ-ნ ა ვ ა ზ“ (148 v).

38. (მე-18 ს. მხედრულით): „ტნა [1663] ბატონი თ ე ი მ უ რ[ა ზ ი რ ა] ნ ს მიიც-ვალა“ (149 r).

39. (ნუსხურით): „ტნგ [1665] იმერელთ მეფე ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე მიიცვალა“ (149 r).

40. (მე-18 ს. მხედრულით): „ტნვ [1668] ა რ ჩ ი ლ მ ე ფ ე[მ] თ ე ი მ უ რ ა ზ ი ს ძ[ის დ ა ვ ი თ ი ს ასული] ქ ე თ ა ვ ა ნ შეირ[თო], [მა]სვე წელსა ეყ... ნ“ (149 r).

ეროვნული ბიბლიოთეკა

41. (ნუსხურით): „ტჲგ [1675] მეფე შაჰნავაზ მიიც[ვალა] და დაჯდა მეფე გიორგი“ (149 r).

42. (ნუსხურით): „ტო [1682] მარიამ დედოფალი მიიცვალა“ (149 r).

43. (ნუსხურით): „ტოა [1683] თამარ დედოფალი [მიი]ცვალა. კიდევ ჟამი გ... იმერელთ მეფე ...ურიელი მოკლ[ეს]“ (149 r).

44. (ნუსხურით): ტოვ [1688] კახთ მეფის შვილი ერეკლე დაჯდა მეფედ ქართლს“ (149 v).

45. (ნუსხურით): ტოჱ [1690]... ტფილელს ბისონისა... აცვეს და მიტრა“ (149 v).

46. (ნუსხურით): „ტპ [1692] [შ]აჰ სულიმან მოკუდა. ელენე დედოფალი მიიცვალა“ (149 v).

47. (ნუსხურით): „ტჟა [1703] [ქარ]თველნი წავიდენ ყან[დაა]რს ლაშქრად“ (149 v).

48. (ნუსხურით): „ტჟბ [1704] [დაჯდა] ვახტანგ“ (149 v).

49. (ნუსხურით): „ტჟვ [1708] [სიო]ნის გუმბადი აშენ[და] ლორფინითა“ (149 v).

50. (ნუსხურით): „ტჟჱ [1710] [მეფ]ე გიორგი ყანდაარს მოკლეს“ (149 v).

51. (ნუსხურით): „უ [1712] ვახტანგ წავიდა ყაენთან“ (151 r).

52. (ნუსხურით): „უბ [1714] იესე მოვიდა მეფედ ქ[არ]თლისა, ლევანის ძე“ (151 r).

53. (ნუსხურით): „უდ [1716] ბაქარ დაჯდა მეფედ“ (151 r).

54. (ნუსხურით): „უე [1717] ამ წიგნის პატრონი ...მი შედვა ბერად, [წლი]სა იყო კიგ [33]“ (151 r).

55. (ნუსხურით): „უჱ [1720] აქა მეფე ვახტანგ ის...“ (151 r).

56. (მე-18 ს. მხედრულით): „უთ [1721] მიიცვალა კახთ მ[ეფე] და დაჯდა ქართ[ლ]-კახეთის ბატონათ ...სი კონსტანტინე“ (151 r).

57. (ნუსხურით) „უია [1723] აქა ურუმნი მოვიდნენ“ (151 r).

58. (მე-18 ს. მხედრულით): „უიგ [1725] ვახტანგ მეფ[ე რუსე]თს წავიდა“ (151 r).

59. (მე-18 ს. მხედრულით): „უიზ [1729] კათალიკოზად დაჯდა ბესარიონ“. „კიდევ სომეხნი შე...“ (151 r).

60. (მე-18 ს. მხედრულით): „უიჱ [1730] მიიცვალა ამა [დღესა] [ალავერ]დელი ნიკოლოზ და... (151 r).

61. (მე-18 ს. მხედრულით): „უით [1731] ამ ქორონიკონსა შედგა ბერად ომან და იწოდა ონოფრე“ (151 r).

62. (მე-18 საუკ. მხედრულით): ა. „უკ [1732] და დაჯდა ალავერდელად ბოდბელი ზაქარია. ეფრემ უკან“.

ბ. „კახს ... კონსტანტინე ...“ (151 r).

63. (მე-18 საუკ. მხედრულით): „უკა [1733] დაჯდა კახთ მეფედ თეიმურაზ“ (151 r).

64. (მე-18 ს. მხედრულით): ა. „უკგ [1735] მიიცვალა რუსთველი ნიკოლოზ“.

ბ. „აქა მოვიდა თამაზხან და ქართლი და კახეთი აოჴრა“ (151 r).

65. (მე-18 ს. მხედრულით): „უკდ [1736] დაჯდა ქართლს მეფედ კახთ მეფის დავითის შვილი ალექსანდრე. ამავ ქორონიკონსა მიიცვალა...“ (151 v).

66. (მე-18-ს მხედრულით): „ალავერდელი ზაქარია მიიცვალა და დაჯდა ნიკოლოზ, იმისი ძმისწული, ქორონიკონსა უკვ [1738]“ (151 v).

67. (მე-18 ს. მხედრულით): „უკვ [1738] [გარდაი]ცვალა სახელოვანი ...მოურავი ამ... ...ს და უმარც... ...ენის ძმას იბ... ნს ჭრში... ღეს ოკდონბე... ით“ (151 v).

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: ხელნაწერის კიდეები აკინძვის დროს ჩამოუჭრიათ, რის გამოც მინაწერების ტექსტი სრულად ვერ იკითხება. აღდგენილი ტექსტი კვადრატულ ფრჩხილებში ჩავსვით.

68. „თვენი ქართულნი: აპანი, სურწყუნისი, მირკანი, იგრიკა, ვარდობისა, მარილისა, თბისა, ქველთობისა, ახალწლისა, სთვლისა, ტირისკონისა, ტირისდენი“ (152 v).

69. „ჩყჲთ-სა ქართველთა ვიყიდეთ თიოლოღოს ჯილი და აღვაშენეთ სავანეთ და სქიტათ. გრიგორი მონაზონი“ (152 v).

70. (ხელრთვა): „კათალიკოს ბესარიონ“ (152 v).

71. „შენი შვილი კეთილათ (!) სახსენებელი“ (156 r).

72. „ქ. შენი ჭირი შეყაროს შენსა საყვარელს ძმას ბეჟანს პატიოსანს თავს“ (157 r).

იხ. აგრეთვე მინაწერი: 157 v.

(1581) **4616**

კრებული. XVIII—XIX

111 ფ.; 17,2×10,8; ქაღალდი (პირველი ორი და ბოლო ფურცელი დაზიანებულია); ტვიფრული ტყავგადაკრული ხის ყდა (ორი ტყავის საკეტით); მხედრული; სათაურები და დასაწყისები სინგურით; თავსამკაული: 1 r; მოხატული საზედაო ასოები: 1 r, 18 v, 36 r, 45 v, 62 v, 83 r; [XVIII—XIX სს.].

1. „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ათანასისა ალექსანდრიის მთავარეპისკოპოსისა, კითხუა-მიგებანი წმიდათა მამათა ჩუენთა არსანუფ და იოანესი. — კითხუა. რაჲთამე უკუე შეუნდობ ...ის ქრისტეს უარის-მყოფელსა და სულისა წმიდისა მგმობარსა...“ 1 r — 9 v.

2. „სიტყვანი წმიდათა მამათანი. იგავი. სახარებისა ა. — კაცი ვინმე გარდამოვიდოდა იერუსალიმით იერიქოდ და ავაზაკნი დაესხნეს, განძარცვეს იგი და წყლეს...“ 10 r—18 v.

3. [კითხვა-მიგებანი]. — „ კ͞ი: რომლისა ლოცვისაგან უფროს ეშინის ეშმაკსა? მ͞ი: სხუათა ყოველთა ლოცვათა მიერ უფროსად ეშინის ამათ ლოცვათა მიერ, რომელ არს ფსალმუნი...“ 18 v—35 v.

4. „სწავლანი სულიერნი წმიდისა გრიგორი ღვთიმეტყველისანი, რომელნიცა აქა დაწესებულ არიან. თავი ა.—დასაბამად და აღსასრულად ყოველთა საქმეთა შენთა ღმერთი გაქვნდინ...“ 36 r — 45 r.

5. „წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა დიდისა ვასილისა სწავლა ლოცვისათვის და სხუათა თითო სახეთათვის სათნოებათა საცხოვრებელად სულისა. თავი ა. — „თქვა წმიდამან ვასილი, ლოცვა უბნობა არს გონებითა ღ͞თისა მიმართ, აწ უკუე გულისჴმა-ვყოთ, ძმანო...“ 45 r—62 r.

6. „სწავლა წმინდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა დიდისა ვასილისა. მ. გ.—სახარებასა შინა წერილ არს: ილოცეთ, რათა არა იყოს სივლტოლა თქვენი ზამთარსა შინა, გინა შაბათსა...“ 62 v — 82 v.

7. „თქმული წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა ვასილისა თითოეულთა სათნოებათათვის. — თქუა წმიდამან ვასილი: გარემიქცევა პირისა ღ͞თისა ითქმის, რაჟამს იგი განსაცდელსა მიგვიშვნეს ჩუენ ჴელთა განსაცდელისა მის...“ 83 r — 92 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. (ნიკოლოზ ორბელიანი)—„შვიდნი მომაკდინებელნი ცოდვანი არიან და შვიდნი მისნი წინა-აღმდგომნი მადლნი. პირველი მომაკუდინებელი ცოდვა ამპარტავანებაა. — ამპარტავანება ეს არის, რომელსაც თვისნი ნათქვამნი და ნაქმარი დიდათ მოსწონდეს და დიდათ დიდების მოყვარე იყოს და სწავლების მოთაკილე...“ 92 v—111 v.

შენიშვნა: ერთვის: „ეს შვიდი ლოცვანი მომკლელობის სულისანი და შვიდნი კე[თილ]ნი წამალნი მომკლელნი მათ სენთანი თფილელ მიტროპოლიტის ნიკოლაოზის ორბელიანის მიერ ქმნილ არის, რომელნიც იხილვიდეთ, შენდობას უბრძანებდეთ.“

მინაწერი: „წიგნებთაგან კალისტრატესი“ (1 r).

4617

ნადირ-შაჰის ისტორია სპარსულ ენაზე.

გადატანილია სპარსულ ხელნაწერთა კოლექციაში pers. № 264.

(1582) **4618**

ორბელიანი სულხან-საბა, ქართული ლექსიკონი XVIII

(B რედაქცია)

IV გვ. + 830 გვ.; 19,5 × 14,5; ქაღალდი; მუყაოს ყდა (ყუაზე ტყავი); მხედრული, დასაწყისები სინგურით, ლექსიკონის სათაური ასოები მოხატულია ფერებით და ცხოველებისა და ფრინველების თავებითაა შემკული, [XVIII ს.], ჭვირნიშანი აქვს; გადამწერი: მიხეილ (გვ. 827); დაუწერელია: გვ. 12.

[ს. ს. ორბელიანი. ქართული ლექსიკონი]. — „ანი არს პირველი ასოჲ და ჴმიანი და ართრონი, მრავალრიგად და თავად მოვალს ყოველთა სიტყუათასა და ბოლოდაცა, ვითარცა ზედედ დამიწერია. აა. 18. კავშირში.—იხილე აქა, თუ ვითარ გაჰყოფს აობასა და მყოფსა. მყოფი ზოგადი სახელი არს არსებისა და შემთხვევითისა...“ გვ. 13—827.

შენიშვნა: 1. უძღვის: ა. „ანბანი პირელად სასწავლონი ყრმათანი“ (გვ. I—2); ბ. „ანდერძ-ნამაგი“ (გვ. 3—7); გ. „იესო ქრისტეს მოწაფეთ სახელები ვინ იყუნეს და სად ეპისკოპოს იქმნეს“ (გვ. 7—10); დ. ლექსები:

1. „სიბრძნის წყარო ხარ მდინარე, უფასოდ ასუამ ყოველთა,
მცირე რამ ცუარი გვაპკურე, ჩვენ სიტკბოებითა მთხოველთა“.

2. „ეს ლექსიკონი, ჩემი საკონი, ესრეთ სასურვო, ვით ვარდის კონი“.

3. „ეს ლექსიკონი გულსა ვიკონი, ამის ხილვითა სიბრძნე ვიკონი“.

4. „მოედ, მსწავლელნო სიბრძნისანო, მე ამ წიგნისათვის ვხადილობ,
გული დაატკბო სიტკბოთი, ყური უდევით ვხადილობ,
ეძიებდით და ჰპოოთცა, ვახ, ღ̃თსა მისთვის ვხადილობ,
და უქმისა სასჯელისათვის ცრუებად ნურვინ ნანდვილობ...“ (გვ. 11).

2. ერთვის: ა. შენიშვნა ასო „ჳ“-ს „ჶ“-ს შესახებ. იხ. გვ. 825 და 827; ბ. ავტორის ანდერძი (გვ. 828); გ. მოხელეთა სახელები. (გვ. 829); დ. „დასაბამითგან ქრისტეს მოსლუადმდე ქართულის რიცხვით გარდაჴდა წელნი...“ (გვ. 830).

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ხშირად სხვა ხელით ჩამატებულია სიტყვები განმარტებითურთ. განმარტება ზოგჯერ რუსულადაა მოცემული.

4. ხელნაწერი B რედაქციისაა. იხ. ლ. ქუთათელაძე, „სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები, გვ. 269.

ანდერძი: „დავშუერ წერითა ლექსიკონისათა, მიხეილ" (გვ. 827).

მინაწერი: „შეძენილია სყიდვით ბუკინისტისაგან. ე. თ. 1907 წ. ექვსი მანათი". (ზემო ყდის შიდა გვერდი).

(1583) **4619**

ვაკაფა (ენის სასწავლო). 1725

149 ფ.; 15×9,5; ქაღალდი, დალაქავებული, ზოგან გაცვეთილი; ტვიფრული ტყავ-გადაკრული ხის ყდა; დაშლილი; მხედრული, რუსული სიტყვებიც ქართული ანბანითაა დაწერილი; 1725 წ. (4 r), ჭვირნიშანი აქვს; გადამწერი: ლუარსაბი (5 v); დაუწერელია: 3 v, 137 v.

[ვაკაფა].—Аминь—ამინ·
ბოღ—ღმერთი.
ბოღ ოტეც—ღმერთი მამა.
ბოღ დუხ სვიატ—ღმერთი სული წმინდა.
სვატაა ტროიცა—წმინდა სამება..." 6 r—149 v.

შენიშვნები: 1. ხელნაწერის გვერდები ორ სვეტადაა გაყოფილი. პირველ სვეტში რუსული სიტყვები ქართული ანბანითაა დაწერილი, მეორე სვეტში რუსული სიტყვების განმარტებაა ქართულად.

2. უძლვის ანდერძი: „ჩღკე. ანდერძი წიგნისა ამისა, რომელსა ეწოდების ვაკაფა, წელსა 1725, ამ ქ˜კსა.—სრულად რუსეთის მპყრობელი ჴელმწიფე დედოფალი ეკატერინე, მეუღლე დიდად სახელ-განთქმულის პეტრე იმფერადორისა(!), სანკთ-პეტერბურხს ბძანდებოდა და საქართველოს გამგებელი მეფე ვახტანგ მიბძანდა მათთან ძმითა და ძითურთ. იმ წელს იქ ბძანდებოდენ. მეფის ძე ბაქარ დიდათ სწავლის მდომელი ბძანდებოდა და ინება წიგნი ესე სათარგმნელად და ჴელ-ყოწერად ამისად, რომელსა ეწოდების ვაკაფა—ენის სასწავლო და თარგმნა რუსთ ენა ქართულათ. დიდითა გულის-ჴმიერებითა თვისითა აღასრულა წიგნი ესე. რაოდენი სახელები დაწერილ არს წიგნსა ამას შინა, თვით მათგან თარგმნილი არს. ამას და გარდა მეფისა ძემან მიიღო სწავლა მეორე, სრული და უნაკლულო და ციფირი ისწავლა, რომელი დაწერილ არს წიგნისა ამის დასასრულსა, სრული აღსარიცხავი სრულად აღასრულა სიბრძნითა თვისითა და თარგმანთა ამათ ექმნა პერეოჩიქ კნიაზ მიხაილ.

მეფისა ძესა სწადდა, რომელსამე მათთანა მახლებელთა ქართველთაგანთა მიეღოთ სწავლა მის მიერი და ესწავლათ ენა და ანგარიში ესე, და ჩვენ, ლუარსაბ, კნიაზ წოდებულმა, იმჟამადვე მათის წერილისაგან გარდმოვიღევით და ჴელ-ვყავით სწავლასა ამას შეწევნითა მათითა და რაც ოდენი სახელებს გარდა სიტყვა აღწერილ არს წიგნსა ამას ვაკაფასა შინა, ისიები ჩვენ შევმატეთ შეწევნითა მათითა, იქნება ჩამატებული რვეული ათი. ამასდა გარდა, ჩვენცა მივიღევით სწავლა ანგარიშთა მათ ციფრისა. სრულვყავით ძლიერებითა მათითა; სიბრძნე მათი შემწედ ჩვენდა იქმნა და ეს ციფრიც მისთვის დავსწერეთ წიგნს ამას შინა, რომე სწავლანი ესენი მათგან მივიღევით. ამისთვის გარჯა-დაუზარელ ვყავით ჩვენ მიერ. ამას იქით ვისცა ვის გნებოს სწავლა ცოდნისა ამის, მი[ი]ღებდეთ უსასყიდლოთ. რომელსამე გნებოს წიგნისა ამის გარდაწერა, ჴელ-ყავით წერად ანდერძსა. ამრიგად, როგორც ამაში სწერია, ამრიგად უნდა დაიწეროს. ამისთვის, რომე ნაშრომი მეფეთა ძეთა არს. იმათ უწინ არცა ვის ეს წიგნი უთარგმნია და არცა ვის ეს ანგარიში უსწავლია, თვარემ, დიაღ, ადვილ მისახდომია; თარგმანი იმის მეტის კაცისათვინ არ უთქმევინებიათ და ქართველმა კაცმა ხომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ არავინ რა იცოდა, და ცარევიჩსაც არ შეუკვრევინებია ამისი წიგნი, თითო-თითოს რვეულს ბძანებდა ვაკაფა რაც იყო, და ისწავლიდა და აღარას გამოეკიდებოდა. მე თითოს რვეულს რომ დასწერდა, ვიშოვნიდი და მაშინვე გარდმოვნუსხევდი, იმას ვსწავლობდი, იმით სხვასაც“ (4 r — 5v).

3. „ვაკაფა თარგმნილია ბაქარ ბატონიშვილის მიერ. იხ. ტ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან (XVI — XVIII სს), 1960, გვ. 6, 259, 264, 265; П. Пекарский, Наука и литература, т. I, გვ. 19, 20, 254.

მინაწერი: „ნასყიდია 1907 წ. ბუკინისტისაგან ე. თ. [ექვთიმე თაყაიშვილი] (ზემო ყდის შიდა გვერდი).

იხ. აგრეთვე: 1 r, 2 r—3 r, ქვემო ყდის შიდა გვერდი.

(1584) **4620**

საქმენი და გაწვრთნილობანი ქრისტიანებრივნი კეთილი ცხოვრებისათვის. XIX

26 ფ.; 10,5 × 8; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული, სათაურები და დასაწყისები სინგურით, ტექსტი ჩასმულია ჩარჩოში; [XIX ს.]; დაუწერელია: 1 v, 25 r — 26 v.

„საქმენი და გაწვრთნილობანი ქრისტიანებრივნი კეთილი ცხოვრებისათვის.—ვისაც გული უთქუამს საუკუნოდ ცხონებად, განისაზღაურავს(!) დროსა და ჟამსა...“ 2 r—24 v.

შენიშვნა: ტექსტი წარმოადგენს დარიგებებსა და ლოცვებს.

მინაწერი:„ ნასყიდია ბუკინისტისაგან 1907 წ. ე. თ.“ [ექვთიმე თაყაიშვილი] (1 r)-

(1585) **4621**

კრებული. XIX

95 ფ.; 19×14,5; ქაღალდი, დასაწყისი და ბოლო ფურცლები ჭიისაგან დაზიანებულია; მუყაოს ყდა; მხედრული, საზედაო ასოები მთავრულით; [XIX]; გადამწერი: ბერი გაბრიილ (?) (2 v); ჭვირნიშანი: 1826 (ფფ. 87,93); დაუწერელია: 1 v, 2 r, 77 v, 84 v, 95 v. შემოწირულია ანდრონიკაშვილის მიერ.

1. „ცხოვრება და საკვირველებანი წმიდისა და ნეტარისა შიოსნი, რომელი იყო ანტიოქიად შუამდინარისად ასურეთისა. ხოლო მოიწია ქვეყანად ქართლისა და დაემკვიდრა სარკინისა მღვიმეს, რომელი ესე აღწერა ღირსმან მარტვირი, რომელსა ეწოდა პირველად იოვანე, რომელი იყო მოწაფეთაგანი წმიდისა იოვანესთა კოსტანტინოპოლით. გვაკურთხენ, მამაო! — ჴსენებითა წმინდათათა, ოდესმცა სადა იქმნა განრთომა ცნობის მქონებელთაგან, არა თუ ვინმე სრულიად წარტყვენულ იყოს გონებითა ეშმაკისა მიერ და თვალნი სულისანი აქვნდეს ყოვლად უმხედველო...“ 4 r—48 v.

შენიშვნები: 1. უძღვის: „აღესრულა ნეტარი, სამგზის სანატრელი შიო თვესა მაისსა ცხრასა, დღესა პარასკევსა, მოხუცებული დღეთა და იყო იგი წლისა ოთხმეოცდაექვსისა. იყო ნეტარი შიო გვამითა სრული, ანაგებითა მრთელ, პირ მწითურ და ფეროვან, წვერითა ზომიერ, თვალითა გრემან, წარბითა ბრტყელ, შუბლითა განტკეცილ, თმითა გრძელ, პირითა მოცინარ და სახიერ, ტანადობითა გრძელ და ყოვლითა სახიერებითა სავსე ესე მადლითა ღვთისათა“ (3v).

2. ტექსტი მეტაფრასული რედაქციისაა. ერთვის: ა. „თქმულნი წმიდისა და ნეტარისა შიოს მიერ, რომელსა მარადის იტყვიან ოხითად მკვიდრნი მის მონასტრისანი“ (49 r — v).

ბ. „თხრობა სასწაულთათჳს წმიდისა და ღმერთ-შემოსილისა მამისა შიოსითა, რომელი ესე სხვათა მიერ აღწერილი ადგილ-ადგილ ერთად შემოკრიბა ბასილი კათოლიკოსმან, ძმან დიდისა პატრიკისა ვაჩესმან. გვაკურთხენ, მამაო!“ (49 v — 66 r). ეს ტექსტი დამატების სახით გამოცემულია (იხ. ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ტექსტები გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ, თბილისი, 1955, გვ. 199 — 213). ხელნაწერი S — 4621 გამოცემაში H ლიტერითაა აღნიშნული. „შიოს ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქცია გამოცემულია მ. საბინინის მიერ (საქართველოს სამოთხე, პეტერბურღი, 1882, გვ. 265 — 286).

ანდერძი: „სრულ იქმნეს წმინდა და სულთა განმანათლებელი ცხოვრებანი და სასწაულნი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა შიოსნი“ (66 r.)

2. „თვესა სეკდემბერსა **იზ**, წამება წმიდათა დედათა სოფიასი და სამთა ასულთა მისთა პისტისი, ელპიდისი და აღაპისი. გვაკურთხენ, მამაო! — შემდგომად ყოვლად კერძო განფენისა ქადაგებასა მას ცხოვრებისასა და ყოველთავე აღვსებისა მეცნიერებითა უფლისათა, ვითარცა ნაწილმან რაჲმანმე ულმთოებისამან, ეგრეთ დაიპყრა მეფობაჲ რომთა ანდრიანე...“ 67r—77r.

შენიშვნა: თარგმნილია თეოფილეს მიერ (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, თბილისი, 1957, გვ. 206).

3. „საკითხავი სარტყლის დადებისათჳს უფროსად კურთხეულისა დიდებულისა და ყოვლად ქებულისა დედოფლისა ჩვენისა ღვთისმშობელისა, რომელი იკითხების ივლისს **ბ**. გვაკურთხენ, მამაო! — ჟამთა მათ ლეონ დიდისა, მეფისა მის მორწმუნისა ბერძენთასა, რომელი იგი შემდგომად მარკიანესა მეფობდა, იყვნეს ორნი ერისთავნი...“ 78 r — 84 r.

4. „თვესა დეკემბერსა ოთხსა, წამება წმიდისა და ნეტარისა ქალწულ-მოწამისა ვარვარასი. გვაკურთხენ, მამაო! — იყო მათ ჟამთა მეფე, რომელსა ერქუა მაქსიმიანოზ და ჴელმწიფე იყო აღმოსავლით კერძო კაცი, რომელსა ერქუა მარკიანე...“ 85 r — 95 r.

შენიშვნები: 1. ტექსტი ძირითადად მისდევს კიმენურ რედაქციას (შდრ. კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V, თბილისი, 1957, გვ. 121).

2. ხელნაწერის 2 v-ზე მოთავსებულია: ა. (გადამწერის ხელით) [მიძღვნა] „ბრწყინვალენო კნეინანო დედაო ანნავ, დაო და სძალნო ელენავ და ვარვარავ, მიიღეთ მეტაფრასი ესე ფრიად კეთილისა ამოსაკითხველი და მეცა გახსოვდეთ ცოდვილი ბერი გაბრიილ. არცა ესე წიგნი იპოებადა(!) მშობელს სახლსა ჩემსა შინა და ამისთჳს ესეცა მოგიძღუანეთ.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ. [ლექსი]. — „იქადოდენ ძმა ყოველი, ვინ ქება გზლვნას, მამა შიო,
ხამს სურვილი და ხსოვანი მარად შენი მომამშიო,
შიოს სიბრძნე მონაკადი, ნეტარძი მას, ვინცა ჰსვიო,
და ულირსმან მონამ ვინმე ლექსი ესე კდემით ვთქვიო.“

ლექსის ქვევით თხზული ასოებით წერია: „სვიმონ, გაბრიელ“ (გაბრიელ— განსხვავებული მელნით). ქვევით სხვა ხელით მიწერილია „მსაჯული ძველთაგან ჩვენის ცხოვრებისა, 1865 წელს“.

3. 3 r-ზე ჩამოწერილია „სახელები წმინდათა მოწაფეთა იოანე ზედაძნელისათა: იოანე ზედაძნელი, შიო მღვიმელი, დავით გარეჯელი, სტეფანე ხირსელი, იოსებ ალავერდელი, ზენონ იყალთოელი, ანტონი მარტომყოფელი, ისე წილკნელი, აბიბოს ნეკრესელი, თადეოს სტეფანწმინდელი, ისიდორე სამთავნელი, მიხაილ ულუმბელი“. ქვევით მიწერილია სხვა ხელით: „კვიროს ბრეთელი, ილია დიაკონი“.

მინაწერები: 1. (გადამწერის ხელით) „კარგი კალამი არის ძალი[ან], კოგათაც დამაწერინებს და... მადლობელი ვიქმნები“ (1 r).

2. (სხვა ხელით) „წმინდა სოფიას მოთხრობაა ეს. ვინც აღმოიკითხოთ, მღვდელ-მონაზონს გაბრიელს შენდობა მიუძღვანეთ“ (66 v).

3. მინაწერებია აგრეთვე ზედა და ქვედა ყდის საცავ ფურცლებზე.

(1586) **4622**

კრებული. XIX

130 ფ.; 20,5 × 16; ქაღალდი: ცისფერი და ლურჯი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა, ყდის საცავ ფურცლებად გამოყენებულია მხედრულით ნაწერი ფურცელი, აგრეთვე ძველი გაზეთის ფურცელი; მხედრული, ორი ხელი: I (1 r — 33 v), II (35 r — 130 r); საზედაო ასოები მთავრულით, სათაურები და საზედაო ასოები სინგურით; [XIX]; I ნაწილი (1 r — 33 v) გადაწერილია მღუდელ-მონაზონის ანტონის მიერ (33 v); ჭვირნიშნები: 1809 (ფ. 13), 1815 (ფ. 81); შემოწირულია ანდრონიკაშვილის მიერ.

1. „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ. საქრისტიანო მოძღურებაჲ პირველად სასწავლო, რომელი მოგუეცა წმიდათა მამათა მიერ სარწმუნოებისათჳს მართლისა და უბიწოსა ჰსჯულისა. — მოძღუარმან ჰკითხა ყრმასა მას ვისმე, ვითარმედ: შენ ვინ ხარ? ყრმამან მიუგო და ჰრქუა: ქრისტიანე ვარ.

მ.: რაჲ არს ქრისტიანობა?

ყრ.: რათა გვრწმენეს მართლმადიდებლობისა სარწმუნოებაჲ...“ 1 r—33 v.

შენიშვნა: 33 v-ზე გადამწერის ხელით მიწერილია: „ვრცელად წმიდასა სახარებასა და წმიდათა წერილთა შინა იძიე.“

ანდერძი (გადამწერისა): „განსრულდა სადიდებელად ღვთისა, ამინ. აღიწერა ესე სასწავლო ყრმათა წმიდასა ეკკლესიასა ღვთაებისასა ხელითა ჩემ ულირსის მღუდელ-მონაზონის ანტონის მიერ. უკეთუ ვინმე შეცთომა რაჲმე იხილოთ ნუ მწყევთ. ღმერთი მრავალს შეცთომას მიუტევებს და მეცა შეცთომისათვის ნუ მომიხსენებთ უმადლოდ, რომელ თქვენცა შევინდვნესთ შეცოდებანი თქვენნი. წელსა ჩყივ, ოკდონბრის 3 დღესა ღთაების ეკკლესით (!)“ (33 v).

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. „სიტყუანი და [ს]წავლანი სამეცნიერონი, ფრიად მარგებელნი, სულ სახელობით ორკერძოვე ძუელისა და ახლისა წმიდათა წერილთაგან ჰრჩევით გამოკრებულნი კლემაქსისა და დიდისა ვასილისა და გრიგოლი ღვთისმეტყუელისა და იოანე ოქროპირისა და მამისა ეფრემისა და მაქსიმეს ცხოვრებისაგან, მამათასა და სხუათა წმიდათა მღუდელთ-მოძღუართა, მოციქულთა, წინაწარმეტყუელთა, სოლომონ, ზირაქისა და გარეშე წიგნთა—პლატონ, სოკრატი და მენიანოს და სხუათა ფილასოფოსთა მიერ, თქმულნი კლემაქსისაგან. — ყოველთა, რომელთა გენებოს და ეძიებდენ ღმერთსა, ეპოების მათ, რამეთუ იგი არს ყოველთა ღმერთი და ყოველთა ცხოვრებაჲ...“ 35 г — 70 г.

შენიშვნა: თარგმანი შესრულებულია რუსულიდან ბაქარის თანამედროვის მიერ (იხ. ლ. ძოწენიძე, რუსული „აპოვთეგმატას“ ქართული რედაქციები, 1959 გვ. 26).

ანდერძი: „აღიწერა წიგნი ესე თვესა ივლისსა ით, ქრისტეს აქეთ ჩყივ, დღესა დ“ (70 г).

3. „აპოვთეგმატა, რომელ არს შემოკლებულთა რიტორებრივთა და წესისა მასწავლელთა სიტყვებთა, წიგნი სამი. ხოლო მათ შინა არიან დადებულ თითოეულნი კითხვა-მიგებანი, ცხოვრება და ქცევა და იგავნი (რომელ არიან სახის-მეტყველებანი) და მეტყველება სხვათა და სხვათა ფილასოფოსთა. შემოკლებულთა სიტყვათა და მიგებათა წიგნი პირველი, სწავლა სოგრატისა. მოკლედ სიტყვის გება სოგრატისი, სწავლა პირველი, თარგმნილი და სხვათაცა ფილასოფოსთა რუსულისაგან ქართულს ენაზედ ერასტი თურქისტანისშვილისაგან. — კეთილის კაცის წესი არ არის კაცს პირში აქებდეს და უკან კი სძრახევდეს...“ 70г — 123 г.

შენიშვნები: 1. ტექსტი „აპოვთეგმატას“ ვრცელ რედაქციას წარმოადგენს (შდრ. შედგენილობის მიხედვით S-4634 ხელნაწერს). „აპოვთეგმატას“ ქართული რედაქციების შესახებ იხ. ლ. ძოწენიძე, რუსული „აპოვთეგმატას“ ქართული რედაქციები, თბილისი, 1959, გვ. 35—41.

2. „აპოვთეგმატის“ მომდევნოდ ტექსტში გადამწერის ხელით ჩართულია: „მიიცვალა დიდი ხემწიფე იმპერატრიცა ელისაბედ პეტრეს ასული თვესა დეკენბერსა კე, შობას დღეს, საათსა მესამესა, დღესა სამშაბათსა, ქრისტეს აქეთ ჩღჲა.

მიიცვალა მეფე საქართველოჲსა თეიმურაზ თვესა იანვარსა ც, დღესა სამშაბათსა, ხემწიფის მიცვლის მეთხუთმეტეს დღეს, საათსა მეორესა ღამისასა, ქორონიკონს ქრისტეს აქათ ჩღჲბ“.

4. [ლოცვა] „ვინაცა ესე ლოცვანი სინანულითა და მხურვალითა გულითა მუხლთ-მოდრეკით წართქვას, მტერთა ხელთა არა შთავარდეს კაცი იგი. რაზომით წელიწადით უწინარეს თქვას, წმიდა მარიამ გამოეცხადების, ახარებს სულსა, რომელი შვიდნი სიტყვ[ა]ნი ჯვარსა ზედა თქვნა. — უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისა ცხოველისაო, რომელმან უკანასკნელ დამოკიდებულმან შვიდნი სიტყვანი სთქვნე, რამეთუ იგი პატიოსანი სიტყვანი მარადის მოვიხსენოთ...“ 123 г — 124 г.

5. [ყათმაზასშვილი როსტომ, ლექსი].—

„ფილასოფოსთ უწერიათ, სწორე არის მათი მცნება,
ათასის წლით უწინ იყვნენ, მაშინ იყო ჭკუა-მცნება...“ 124г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: ლექსი სამსტროფიანია, ლექსის ავტორია როსტომ ყათამაზაშვილი (შდრ. S—1625 : 2, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S კოლექცია, III, თბილისი, 1963, გვ. 89).

6. „ხუთნი ხმანი არიან: ნათესავი, სახე, განყოფილება, თვისი და შემთხუევვით...“ 125 r — 127 r.

შენიშვნა: 124 r-ზე მოცემულია სქემა.

7. [ლექსი]. —

„ოფალს ჩემსა გ[ე]ვედრები, არ მომადლის მტერსა ჩემსა,
არ მოუშვა ძალი მათი წარსაწყმენდელად გულსა ჩემსა...“ 127r—v.

შენიშვნა: ლექსი ოთხსტროფიანია.

8. [ლექსი]. —

„ენა—წყარო მწყურვალთათჳს, ენა—ცეცხლი კაცთა მწველი,
ენა—ნუგეშ მწუხარეთა, ენა—მახვილ-გამკვეთელი...“
127v—128r.

შენიშვნა: ლექსი ოთხსტროფიანია, ბოლო სტროფია „ენა ტკბილი, ენა მწარე...“, რომელიც ხელნაწერებში ხშირად ცალკე ლექსად გვხვდება. ამ სტროფის შესახებ იხ. A—1541 : 7, შენიშვნა (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია, V, თბილისი, 1955, გვ. 66), აგრეთვე A—1575 გ : 1, შენიშვნა ა და ბ (იხ. იქვე, გვ. 92).

9. [ლექსი]. —

„მწირ ვიყავ ამ ქვეყანასა, უცხო თესლი გადმოვარდი,
მეფემ მონად შემიყვანა, ნათელ მცა და არ დავარდი...“ 128r.

შენიშვნა: ლექსი ორსტროფიანია.

10. [ზღაპარი]. — „მეფე იყო ერთი რომლისამე ადგილისა და შვილი არა ჰყვანდა მას მეფესა...“ 128 r — 129 r.

წყდება: „...მეფეს აუწყეს ასე...“

11. [სხვადასხვა ერთა სია]. — „ა. ებრაელნი
ბ. სირიანნი...“ 129 v — 130 r.

შენიშვნა: სულ ჩამოთვლილია 67 ერი, ბოლოში მიწერილია: „და იქმნეს სხვათა და სხვათა, ვითარცა გარეგანი ჰკუისა. ხოლო ერთი იგი მეორისას არ ისმენდა, თუ რას იტყვის: იძახდენ მოტანად კირისად და მათ მოაქვნდათ ქვანი, და იძახდენ მოტანათა ქვათა“ (130 r).

მინაწერები: (სხვა ხელით): 1. „ჩყიჱ წელსა, აგვისტოს ივ დღესა ხემწიფე ი[მ]პერატორმა ინება ციბირიდამ ტუსაღების განთავისუფლება კახეთიდამ გაგზავნილების კნიაზებისა და ჩყით წელს, იანვრის გასულს, ტფილი[ს]ში მოვიდნენ, მთავრობასა ერმალოვისასა ალექსეი პეტრიჩის დროს.

ჩყით წელს, ფებ[ე]რვლის თვეში, პირველს კვირას თევდორობის დიდმარხვის დღესა ოთხშაბათსა გარდაიცვალა აშტრახანში და ჩვენ აქ გავვიქლავნეს აპრილის თვის გასულს, პირველ მაისის დღესა სამშაბათსა განსვენებული მამაჩემი ელიაღასი სვიმონ“ (34 r).

2. „ჩყიე წელსა, ოკდომბრის ვ დღესა მე შევიქენ ოცდაცხრის და ოცდამეათეში ჩავდეგ. დიდება ღმერთსა, თომა“ (34 v).

3. „ჩყივ წელს ენკენისთვის იზ დღესა დაიბადა პატარა დარიელ დღესა ხუთშაბათსა“ (34 v).

4. „წელსა ჩყით, ოკდობრის ბ-სა, დღესა ოთხშაბათსა გარდაიცვალა სარდლის იოვანეს კნეინა ანასტასია“ (129 v).

5. „განსვენებული მეფის გიორგის ძე ღირანალეიტანი (!) და სენატორი და ორდენთა კავალერი დავით გარდაიცვალა პეტრებრუხში (!), მაისის ი დღესა წვეთი დაეცა და ცამეტს მოკდა, წელსა ჩყით 1819 წელს“ (130 r).

6. „ჩყით წელსა, სეკდებრის ც, დღესა ორშაბათსა გარდაიცვალა ონანაშვილი ყაფლან ლუარსაბის ძე“ (130 v). ეს მინაწერი მეორდება ქვედა ყდის საცავ ფურცელზეც.

(1587) **4623**

ავიოგრაფიული კრებული. XIX

74 ფ.; 32,5 × 21; ქაღალდი, ცისფერი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული; [XIX]. გადამწერი: კატო (30 r); ჭვირნიშანი: 1811, 1812; დაუწერელია: 1 v, 12 v, 20 v, 34 v — 74 v; შემოწირულია ანდრონიკაშვილის მიერ.

1. „თვესა ივნისსა კე, წამება წმინდისა თებრონიასი. გვაკურთხე, მამაო! — იყო დღეთა დეოკლიტიანე მეფისათა ანთიმოს მთავარი, და იყო იგი უძლურ ხორცითა და იდვა ცხედარსა ზედა...“ 2 r — 12 r.

შენიშვნა: ტექსტი კიმენური რედაქციისაა (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V, თბილისი, 1957, გვ. 138).

2. „თვესა დეკემბერსა ოთხსა, წამება წმიდისა და ნეტარისა ქალწულ-მოწამისა ვარვარასი. გვაკურთხენ, მამაო! — იყო მათ ჟამთა მეფე, რომელსა ერქუა მაქსიმიანოზ...“ 13 r — 20 r.

შენიშვნა: ტექსტი კიმენური რედაქციისაა (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 121).

3. „თვესა ივლისსა იზ, წამება წმინდისა მოწამისა მარინასი. — შემდგომად ამაღლებისა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა და დიდებით ამაღლებისა მისისა ზეცად, ნეტართა მისთა მოციქულთა აღასრულეს ყოველი მცნება მოძღვრისა მათისა...“ 21 r — 30 r.

შენიშვნა: ტექსტი კიმენური რედაქციისაა (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 132).

4. „თვესა ოკდონბერსა იდ, წამება წმიდისა, ყოვლად ქებულისა ქალწულისა პარასკევიასი. — ესე ასული იყო ალათონიკესი, რომისა სტრატილატისა და მეუღლისა მისისა პოლიტასი...“ 30 v — 34 r.

შენიშვნა: ტექსტი კიმენური რედაქციისაა (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, თბილისი, 1957, გვ. 135).

ანდერძი (გადამწერისა, მოსდევს „მარინას წამებას“): „აღვწერ[ე] მე, კატომ. წმინდაო მარინაო, შემეწიე და მეოხ მეყ[ა]ვ მე“ (30 r).

მინაწერი: (ზედა ყდის საცავ ფურცელზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ეჱ უფალი, ქვეყნის მპყრობელი,
ადამისთვის გვერდგანპობილი,
ოთხკუთხი ქვეყანისას მამად ხმობილი,
დედა მმარიამ (!) ქრისტეს მშობელი“.

ამავე გვერდზე ეს სტროფი მიწერილია განმეორებით, სხვა ხელით.

(1588)

4624

„მეტაფრასი“. 1812

294 ფ.; 33 × 21,5; ქაღალდი; ტვიფრული ტყავგადაკრული ხის ყდა; აქვს რვეულებრივი სათვალავი, შეიცავს ლზ რვეულს; მხედრული, საზედაო ასოები მთავრულით, სათაურები და საზედაო ასოები სინგურით; 1812 წ. (294 v); გადამწერი: ბერი ნიკოლაოს ვაჩნაძე (294 v); დაუწერელია ფ. 213; ჭვირნიშანი: 1809 (ფფ. 5,6); შემოწირულია ანდრონიკაშვილის მიერ.

1. „თთუჱსა სეკნდემბერსა(!) ჱ, წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანე მონაზონისა და ხუცისა დამასკელისა სიტყვა შობისათჳს ყოვლად წმიდისა დედოფლისა ჩუენისა ღვთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა. — მოვედით ყოველნი წარმართნი, ყოველი ნათესავი კაცთა, ყოველი ენა და ყოველი პირი და ყოველი ჰასაკი ყოვლისავე თანა პატივისა და მხიარულებით ვდღესასწაულობდეთ ყოვლისა სოფლისა სიხარულსა შობისა დღესა...“ 1 r — 7 r.

შენიშვნა: სათაური შესრულებულია თხზული ასომთავრულით, სინგურით.

2. „თთუჱსა სეკდემბერსა იდ, წმიდათა შორის მამისა ჩუენისა ანდრეა კრიტელ მთავარეპისკოპოსისა სიტყუა მსოფლიოსათჳს ამაღლებისა პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯუარისა. გუაკურთხენ, მამაო! — ჯუარისა კრებასა აღუასრულებთ და ყოვლისავე ეკკლესიისა განბრწყინდების სავსება...“ 7 v — 11 v.

შენიშვნა: თარგმნილია ექვთიმე ათონელის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V, თბილისი, 1957, გვ. 211).

3. „თთუჱსა ოკდომბერს გ, ცხოვრება წმიდისა მღუდელმოწამისა დიონვისიოს არიოპაგელისა. გუაკურთხენ, მამაო! — მოგჳთხრობს თავისა თჳსისათჳს დიონვისიოს და იტყჳს, ვითარმედ: „მე, ძმანო ჩემნო, ვიყავ ძე მთავრისა სოკრატისი, რომელი იყო დიდებულ ათინელთა შორის...“ 12 r — 14 v.

შენიშვნა: ტექსტი ძირითადად მისდევს კიმენურ რედაქციას (შდრ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 123).

4. „თთუჱსა ოკდომბერსა კვ, წამება წმიდისა და დიდებულისა ქრისტეს მოწამისა დიმიტრისა. გუაკურთხენ, მამაო! — აქუნდა სკიპტრა ბერძენთა მეფობისა მაქსიმიანე ერკულსა, ფრიად სასტიკებით მოქადულ იყო იგი ქრისტეანეთათჳს...“ 15 r — 20 v.

შენიშვნა: თარგმნილია ეფრემ მცირის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 167).

5. „თთუჱსა ნოემბერსა ჱ, წმიდათა შორის მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისა, კოსტანტუპოლელ(!) პატრიარხისა, თქმული სერაფიმთათჳს. გუაკურთხენ, მამაო! — ძლითღა სადმე განვლეთ ოზიაჲსა თჳსი უფსკრული, ხოლო ძლით განვლეთ არა გზისა სივრცისათჳს, არამედ სწავლისმოყუარებისა თქუენ ჩუენ თანა ნავით მავალთასა...“ 21 r — 25 r.

6. „თთუჱსა ნოემბერსა კა, ტაძრად მიყუანებისათჳს ყოვლად წმიდისა დედოფლისა ჩუენისა ღვთისმშობლისა, მარადის ქალწულისა მარიამისა, თქმული წმიდათა შორის მამისა ჩუენისა გიორგი ნიკომიდელისა, რიტორისა. გუაკურთხენ, მამაო! —ბრწყინუალე არს მიზეზი ამის კრებისა, რომლისა მიერ მიუწდომელისა მის ნათლისა მიმართ აღიწევიან აქა შემოკრებულნი ესე...“ 25 v — 31 r.

7. „თთუჱსა დეკემბერსა კ, წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისა, შესხმა და ქება ნეტარისა ფილოღონესი, ანტიოქელ მთავარეპისკოპოსისა, და ვითარმედ ყოველთათჳს ზრუნვისა სწორი არარაჲ არს ღვთისა სათნო-ყოფად, და ვითარმედ განუკრძალველად მიახლება წმიდათა საიდუმლოთა სასჯელისა დიდისა მომატყუებელ არს, დაღათუ ერთგ[ზ]ის ხოლო ვინმე ეზიარებოდეს წელიწადსა შინა. ხოლო აღმოთქუა უწინარეს ქრისტეს შობისა პირველ ხუთისა დღისა და იკითხების დეკემბერს ოცს. მამაო, გუაკურთხენ!—მე უკუჱ განმზადებულ ვიყავ მწუალებელთა ღუაწლისა მიმართ წყობად, რათამცა ნეშტი იგი თანა-მდები აღმესრულებინა თქუენდა...“ 31 v — 37 v.

8. „თთუჱსა დეკემბერსა კდ, წინა დღით ქრისტეს შობისა საკითხავი, თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ათანასი ალექსანდრელ პატრიარხისა. სიტყუა აღწერისათჳს ყოვლად წმიდისა ქალწულისა და ღვთისმშობლისა მარიამისა და იოსებისთჳს, რომელმან მიითხოვა იგი. მამაო, გუაკურთხენ!—ვითარცა მუშაკნი იგი, რომელნი აღმოჰკუეთდიან მიწასა გამოსადნობელსა ოქროჲსასა, რაჟამს ჰპოვიან ნაპრალთა მისთაგანი რაჲმე მცირე ნაწილი, ყოვლითურთ შეუდგიან მუშაკობასა მისსა, ვითარცა წინამძღუარსა შესაძინელისასა...“ 38 r — 43 r.

9. „თთუჱსა დეკემბერსა კე, ყოვლად წმიდა და დიდებული შობა უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესი. საკითხავი, თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა იოანე დამასკელისა, სიტყუა შობისათჳს უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. გუაკურთხენ, მამაო!—რაჟამს ზამთრისა ბორიალი მოიწიოს, ყოვლისა სოფლისა ნივთნი კუალად განახლებად მოიქცევიან...“ 43 v — 51 r.

შენიშვნა: თარგმნილია გიორგი ათონელის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 179).

10. „თთუჱსა დეკემბერსა კთ, წმიდისა მამისა ჩუჱნისა ვასილი ისავროელ ეპისკოპოსისა სიტყუა ჩჩჳლთათჳს, ბეთლემს მოწყუჱდილთა. მამაო, გუაკურთხენ!—კუალად მევე ბერი სიტყუათა სტადიონად შევიყუანები...“ 51 v — 54 v.

11. „თთუჱსა იანუარსა ვ, ნათლისღებისათჳს უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესა, თქმული წმიდისა მამისა ჩვენისა იოანე ოქროპირისა.— და ვითარცა ველნი შუჱნიერნი, ყუავილითა ოქროს ფერითა შემკულნი, და ვითარცა ხენი შუჱნიერად შემოსილნი ფურცლითა და სადგურნი მფრინველთა ნივთად მჴმობარეთანი, რომელთა იგი სმენითა ყურნი კაცთანი განუხუნიან...“ 54 v — 56 r.

შენიშვნა: ტექსტს მოსდევს: „თქმული იოანე ეპისკოპოსისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტეს ნათლისღებისათჳს საკითხავი“ (56 r—57 r).

12. „თთუჱსა ფებერვალსა ბ, წმიდათა შორის მამისა ჩვენისა ამფილოქე იკონიელისა სიტყუა მიგებებისათჳს უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესსა. მამაო, გუაკურთხენ! — მრავალნი დიდთა მათ სახელოვანთა კაცთაგანნი საკჳრველ-ჰყოფენ ქალწულებასა და არსცა ჭეშმარიტად საკჳრველ, ვითარცა თანაზიარი ანგელოზთა...“57 v—61 r.

შენიშვნა: თარგმნილია ეფრემ მცირის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 180).

13. „თთუჱსა ფებერუალსა იზ, შესხმა წმიდისა და დიდებულისა მოწამისა თეოდორე ტირონისა, თქმული წმიდისა მამისა ჩვენისა გრიგორი ნოსელისა. გუაკურთხენ, მამაო! — ერნო ქრისტესნო და სამწყსონო წმიდანო, სამეფონო და სამღუდელონო, რომელნი ეგე ქალაქთაგან და დაბათა და ყოვლით კერძო ერთბამად მოიწიენით...“ 61 v—67 r.

შენიშვნები: 1. ტექსტს მოსდევს: „სასწაულნი საკჳრველნი წმიდისა და დიდებულისა ქრისტეს მოწამისა თეოდორესნი“ (67 r — 72 v).

2. თარგმნილია გიორგი ათონელის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 175).

14. „თთუჱსა ფებერვალსა კდ, წმიდისა მამისა ჩვენისა თეოდორე სტოდელისა სიტყუა შესხმისა პოვნასა თავისა იოანე ნათლისმცემელისასა. მამაო, გუაკურთხენ! — მესამე არს წოდება ესე, რომელი მოაქუს ჩვენდა ჰჴსენებისათჳს წინამორბედისა დღეინდელსა ამას დღესა...“ 73 r — 75 v.

შენიშვნა: თარგმნილია ეფრემ მცირის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 57, 183).

15. „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა იოანე ოქროპირისა თქმული იგავისა მისთჳს მეზუჱრისა და ფარისეველისა. მამაო, გუაკურთხენ! — საყუარელნო, ორნი კაცნი აღვიდეს ტაძრად ლოცვად, ერთი ფარისეველი და ერთი მეზუჱრე...“ 76 r — 79 r.

16. „წმიდათა შორის მამისა იოანე ოქროპირისა სიტყუა უძღებისათჳს შჳლისა. მამაო, გუაკურთხენ! — მარადის თანა-მდებ ვართ ქადაგებად კაცთმოყუარებასა ღვთისასა, რამეთუ მის მიერ ცხოველ ვართ...“ 79 r — 84 r.

17. „ქჳრიაკესა ჴორცთა აღებისასა, საკითხავი თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა ეფრემ ასურისა მეორედ მოსლვი-

სათჳს უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესსა. მამაო, გუაკურთხენ! — საყუარელნო, ნურარას პატივ-ჰსცემთ უფროს შეუორგულებელისა სიყუარულისა, რამეთუ ფრიად ვსცთებით დღითი-დღე ყოველსავე ჟამსა ღამისასა...“ 84 r — 91 v.

18. „შა[ბა]თსა ყუჱლიერიერისასა(!), ჴსენებასა წმიდათა მამათასა, სიტყუა წმიდისა მამისა ჩუენისა ეფრემ ასურისა წმიდათა მამათათჳს შესუჱნებულთა. მამაო, გუაკურთხენ! — გული ჩემი მელმის, შემნდობელ მექმენით მე, ძმანო და მამანო კურთხეულნო...“ 91 v — 93 v.

შენიშვნა: ტექსტი კიმენური რედაქციისაა (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 52).

19. „თხრობა დიდებულსა სასწაულსა, რომელი იქმნა წმიდასა მას მას(!) ზედა ჯურღმულსა საუფლოსაგან და პატიოსნისა ხატისა უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესუ ქრისტესსა და მუნ მისრულისათჳს პატრიკისა და ქრისტესმოყუარისა მწიგნობრისა მისისა. მამაო, გუაკურთხენ. თქმული ეფრემისი. — არარაჲ არს ესრეთ მახარებელ სულთა ღმრთის მოყუარეთა, ვითარ საქმეთა ღმრთისა მიერ საკჳრველებით აღსრულებულთა...“ 94 r — 98 r.

შენიშვნა: თარგმნილია ეფრემ მცირის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 181).

20. „თთუჱსა მარტსა თ, წამება წმიდათა ორმეოცთა სევასტიას წამებულთა, რომელთა სახელები ესე არს: დომენტიანო, კირილე, ვალენტი, ევტუქი... გუაკურთხენ, მამაო! — ჟამთა ნოკევის მეფისათა იყო დევნულება დიდი ქრისტეანეთა...“ 98 r — 101 v.

შენიშვნა: ტექსტი ძირითადად მისდევს „ორმეოცთა წამების“ კიმენურ რედაქციას (შდრ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 134).

21. „თთუჱსა მარტსა კე, წმიდათა შორის მამისა ჩვენისა იოანე ოქროპირისა სიტყუა ხარებისათჳს ყოვლად წმიდისა დედოფლისა ჩვენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა. გუაკურთხენ, მამაო! — კუალად სიხარულისა ხარებაჲ, კუალად განთავისუფლებისა უწყებაჲ, კუალად აღმოწოდებაჲ...“ 102 r — 104 v.

22. „თთუჱსა აპრილსა ა, ცხოვრება წმიდისა და ნეტარისა დედისა მარიამ მეგჳპტელისა. გუაკურთხენ, მამაო! — გჳთხრობდეს წმიდანი მამანი, ვითარმედ წმიდასა მამას ზოსიმეს გულმან უთქუა, ვითარ გჳთხრა ჩვენ მისულა უდაბნოდ...“ 104 v — 113 r.

შენიშვნა: 104 v-ს კიდეზე მინაწერია მხედრულით: „მარიამ მეგვიპტელის აბავია (!)“.

23. „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა ანდრეა იერუსალიმელისა კრიტელ მთავარეპისკოპოსისა, სიტყვა ლაზარესთჳს, ოთხ დღე მომკუდრისა, რომელი იგი აღადგინა უფალმან. გუაკურთხენ, მამაო! — ლაზარე შემოჰკრიბა აწინდელი ესე შესაკრებელი და ევულევების სეროზისა ყოფად...“ 113 v — 123 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

24. „წმიდათა შორის ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისა, კოსტანტინუპოლელ პატრიარხისა. საკითხავი, თქმული კჳრიაკესა ბაიაობისასა. მამაო, გუაკურთხენ! — საკჳრველთაგან საკჳრველებად და სასწაულთაგან სასწაულთა მიმართ უფლისათა ვიდოდეთ, ძმანო, და მოვიწივნეთ, რაოდენ შესაძლებელ არს ძალითი ძალად...“ 123 r — 127 v.

25. „იოანე მდაბლისა მონაზონისა და ხუცისა დამასკელისა სიტყუა ლეღჳსათჳს განჴმელისა და იგავისა მისთჳს ვენაჴისა, რომელი აღმოსთქუა დიდსა ორშაბათსა. მამაო, გუაკურთხენ! — აღმძრავს მე სიტყუად ერთ-არსი სიტყუაჲ ღმრთისა მამისა, რომელი იგი მამულთა წიაღთა არაოდეს განეშორა...“ 127 v — 131 v.

შენიშვნა: თარგმნილია ეფრემ მცირის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 67).

26. „წმიდათა შორის მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისა სიტყუა დიდისა ხუთშაბათისა განცემისათჳს იუდასგან და მიცემისათჳს წმიდათა საიდუმლოთასა და რათა არა ვიჴსენებდეთ ძჳრსა. მამაო, გუაკურთხენ! — მცირედ საჴირო არს დღეს თქუენისა მიმართ სიყუარულისა თქმად...“ 132 r — 138 r.

შენიშვნა: თარგმნილია თეოფილე ხუცეს-მონაზონის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 74).

27. „დიდსა პარასკევსა საკითხავი ჯუარცმისათჳს დაფლვისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესისა, თქმული ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი ნიკომიდელისა. მამაო, გუაკურთხენ! — მაღალსა და აღმატებულსა სახილველსა აღიწია ქადაგებაჲ იგი სახარებისა...“ 138 r — 147 v.

შენიშვნა: თარგმნილია ექვთიმე ათონელის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 24).

28. „წმიდათა შორის მამისა ჩუენისა ეპიფანე კჳპრელ მთავარეპისკოპოსისა სამღრთოთა ჴორცთა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესთა და დაფლვისათჳს და იოსებ და ნიკოდიმოსისათჳს და ჯოჯოხეთს შთასლვისათჳს უფლისა, შემდგომად განმაცხოველებელისა ვნებისა მისისა, რომელი ესე იკითხების დიდსა შაბათსა. მამაო, გუაკურთხენ! — რაჲ არს ესე დღეს დუმილი მრავალი ქუეყანასა ზედა...“ 148 r — 156 r.

29. „წმიდათა შორის მამისა ჩუენისა გრიგორი ღმრთისმეტყუჱლისა საკითხავი პასხასათჳს. მამაო, გუაკურთხენ! — აღდგომისა დღე და დასაბამი მარჯუჱ და განვბრწყინდეთ კრებასა და ურთიერთარს შევიტკბნეთ...“ 156 r — 157 r.

შენიშვნა: თარგმნილია ექვთიმე ათონელის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 30).

30. „თთუჱსა აპრილსა კგ, წამება წმიდისა და დიდებულისა მთავარმოწამისა გიორგისა. გუაკურთხენ, მამაო! — მაცხოვრისა ჩვენისა იესუ ქრისტეს პირველ საუკუნეთა მეუფებისა არა არს დასაბამი დღეთა, არცა დასასრული ცხოვრებისა...“ 157 v — 165 r.

შენიშვნები: 1. ტექსტი კიმენური რედაქციისაა (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 122).

2. ტექსტს მოსდევს: „უწყება საკჳრველებათათჳს წმიდისა და დიდებულისა ქრისტეს მოწამისა გიორგისა“ (165 r — 177 r).

31. „წმიდათა შორის მამისა ჩვენისა იოანე ოქროპირისა სიტყუა ამაღლებისათჳს უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესსა. მამაო, გუაკურთხენ! — ბრწყინვალე არს ყოველი დღესასწაული უფლისა განგებულებისა და განმაბრწყინვებელ გულებსა მორწმუნეთასა...“ 177 v — 179 v.

შენიშვნა: თარგმნილია ეფრემ მცირის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 180).

32. „წმიდათა შორის მამისა ჩვენისა გრიგორი ღმრთისმეტყუჱლისა მეერგასისათჳს და სულისა წმიდისა. გუაკურთხენ, მამაო! — დღეს დღესასწაულისათჳს მცირედ ვფილოსოფოსობდეთ, რათა სულიერად ვდღესასწაულობდეთ...“ 180 r — 185 r.

33. „თთუჱსა იუნისსა კდ, თქმული წმიდისა მამისა იოანე ოქროპირისა დადუმებისათჳს ზაქარიასა და შობისათჳს წინამორბედისა სიტყუა შესხმითი. გუაკურთხენ, მამაო! — მოსე, დიდმან მსახურმან ღმრთისამან, წინასწარმეტყუელთა თავმან, ზღჳს მოგზაურმან, რაინდმან ჰაერისამან, ტაბლა-მყოფელმან მანანაჲსამან, ჰსჯულისმდებელმან ღმრთისამან, რომელმან მიიხუნა ფიცარნი დიდებულნი...“ 185 v — 188 r.

34. „თთუჱს იუნისსა კთ, წმიდათა შორის მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისა, კოსტანტინუპოლელ არხიეპისკოპოსისა, შესხმა წმიდათა და თავთა მოციქულთა პეტრესი და პავლესი. გუაკურთხენ, მამაო! — ცისა და ქუჱყანისა ურთიერთარს შესწორებისათჳს ჸდომასა ვჰხედავ დღეს მოწევნილსა ამას დღესასწაულსა ჴსენებასა წმიდათა მოციქულთასა...“ 188 v — 191 r.

35. „თთუჱსა აგჳსტოსა ვ, ღირსისა მამისა ჩვენისა ეფრემ ასურისა სიტყუა ფერისცვალებისათჳს უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესუ ქრისტესსა. გუაკურთხენ, მამაო! — აგარაკისაგან მკაჲ სიხარულისა, ხოლო ვენაჴისაგან ნაყოფნი სანოვაგეთანი და წერილთაგან სწავლანი ცხოველსმყოფელნი...“ 191 v — 195 r.

36. „თთუჱსა აგჳსტოსა იე, საკი[თ]ხავი ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისა მიცვალებისათჳს, თქმული წმიდისა მამისა ჩვენისა ვასილი კესარიელისა, რაჟამს აღვიდა ქუეყანით ზეცად. მამაო, გუაკურთხენ! — რაჟამს სულისაგან წმიდისა ღმრთისმშობელსა მარიამს გულისჴმა-ეყო ჟამი განსლვისა მისისა ამიერ სოფლით, მაშინ მხიარულ იქმნა სიბრძნითა სამღრთოთა...“ 195 v — 212 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

37. „ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა მამისა ჩვენისა მაკარი ჰრომაელისა. მამაო, გუაკურთხენ!—გევედრებით ჩვენ მდაბალნი ესე და გლახაკნი თეოფილე, სერგის და ევლენი, რათა ისმინოთ ცხოვრება ნეტარისა მაკარისი...“ 214 r—217 v.

შენიშვნა: ტექსტი კიმენური რედაქციისაა (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 132).

38. „თთუჱსა სეკდემბერსა კდ, წმიდისა პირველ-მოწამისა და მოციქულთა სწორისა თეკლასი.—მო-რა-უკუჱ-ვიდოდა პავლე იკონია ქალაქად შემდგომად დევნულებისა მის, თანამგზავრად შეუდგეს მას დიმა და ერმოგენი, სპილენძის-მოქმედნი მჭედელნი...“ 218 r—226 r.

39. „თთუჱსა სეკდემბერსა ლ, წამება წმიდისა გაიანესი და მოყვასთა მისთა.—და იყო მათ ჟამთა ოდენ ეძიებდა ცოლსა დეოკლიტიანე კეისარი და წარავლინნა ყოველთა მიმართ საბრძანებელთა მისთა გამომხატველნი ჭეშმარიტებით ჰასაკისა ფიცართა ზედა...“ 226 r—235 r.

40. „თთუჱსა ოკდომბერსა იდ, წამება წმიდისა ყოვლად ქებულ[ი]სა ქალწულ[ი]სა პარასკევასი.—ესე ასული იყო აღათონიკოს, რომაელისა სტრატილატისა, და მეუღლისა მისისა პოლიტასი, მორწმუნეთა მშობელთა...“ 235 v—238 r.

41. „თთუჱსა ოკდომბერსა კთ, თქმული წმიდისა ეფრემისი აბრაამ მონაზონისათჳს და ძმისწულისა მისისა მარიამისთჳს.—მნებავს, საყვარელნო ჩემნო, თქვენსა მაგას ერთობასა სმენად დიდებული იგი საქმე აბრაამისი, რომელი ჰქმნა ჟამსა მას სიბერისა მისისასა...“ 238 r—241 v.

შენიშვნა: ტექსტი კიმენური რედაქციისაა (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 118).

42. „თთუჱსა დეკემბერსა თ, თქმულ[ი] წმიდისა მამისა ჩვენისა ეპიფანე კჳპრელ ეპისკოპოსისა მუცლად ღებისათჳს ანნასა, რაჟამს ეხარა შობა წმიდისა ღვთისმშობელისა. გუაკურთხენ, მამაო!—რაჲ არს საიდუმლო ესე ახალი და დიდებული ღვთისა ქუეყანად გარდამოსლვა და დაძველებულისა მის ბუნებისა ბრწყინვალედ განახლებაჲ...“ 242 r—246 v.

შენიშვნა: თარგმნილია თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 161).

43. „თთუჱსა დეკემბერსა კბ, წამება წმიდისა ქალწულმოწამისა ანასტასიასი.—და იყო ჟამსა მას რაჟამს მოიქცა მეფე დეოკლიტიანე მაკედონიაჲთ სურმიად, აუწყეს მას, ვითარმედ ანასტასია ჰმსახურებს წმიდათა...“ 247 r—253 v.

შენიშვნა: ტექსტი კიმენური რედაქციისაა (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 119).

44. „თთუჱსა დეკემბერსა კე, შობისათჳს უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესა, თქმული წმიდათა შორის მამისა გრიგორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვთისმეტყველისა. მამაო, გუაკურთხენ!—ქრისტე იშუჱბის — ადიდებდით, ქრისტე ზეცით მოვალს — მიეგებოდეთ...“ 254 r — 259 r.

შენიშვნა: თარგმნილია ეფრემ მცირის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 178).

45. „თთუესა იანუარსა ვ, წმიდათა შორის მამისა ჩვენისა გრიგორი ღვთისმეტყუელისა სიტყუა ნათლისღებისათჳს. გუაკურთხენ, მამაო!—კუალად იესუ ჩემი და კუალად საიდუმლოჲ საიდუმლო არა საცთურიანი, არცა უმკობელი, არცა საწარმართოსა საცთურისა და მთურა-ლობისა...“ 259 v — 265 v.

შენიშვნა: თარგმნილია ეფრემ მცირის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 180).

46. „თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა ვასილი კესარია კაბადუკიელისა, შესხმა წმიდათა ორმეოცთა მოწამეთა. გუაკურთხენ, მამაო!—მარტჳლთა ჴსენებითა ოდესმცა იქმნა განძღომაჲ მოყვასისა მათისა, რამეთუ საკუთართა მათ და საყვარელთა მონათა მიმართ მეუფისათა პატივი სხვათა მათ და უდარესთა მეონსათა სასწაული არს მათისა უფლისა მიმართ ერთგულებისა...“ 265 v — 270 v.

შენიშვნა: თარგმნილია ექვთიმე ათონელის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 17).

47. „თთუესა იულისსა **კდ**, წამება წმიდისა ქრისტინასი. — იყო ვინმე ქალი ნეტარი წმიდა ქალაქსა შინა ტჳროსსა სასოებითა ღვთისათა ქალწული ქრისტინა ვითარ ათერთმეტის წლის...“ 271 r — 278 v.

შენიშვნა: ტექსტი კიმენური რედაქციისაა (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 139).

48. „თთუესა იულისსა **კე**, ცხოვრება ანტიგონესი და მეუღლისა მისისა ევპრაქსიასი და ასულისა მათისა, რომლისა სახელი ევპრაქსიავე.—დღეთა ღვთის-მსახურისა თეოდოსი მეფისათა იყო ვინმე კაცი, სახელით ანტიგონე...“ 279 r — 290 r.

შენიშვნა: ტექსტი კიმენური რედაქციისაა (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 120).

49. „თთუესა აგჳსტოსა **ლა**, საკითხავი, თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა გერმანოს მთავარეპისკოპოსისა კოსტანტინუპოლელისა სიტყვა სატფურებისათჳს ტაძრისა ყოვლად წმიდისა დედოფლისა ჩვენისა ღვთისმშობელისა, რომელ არს ხალკოპრატიას და ეწოდების სოროჲ, და მას შინა დადებისათჳს პატიოსნისა და წმიდისა სარტყლისა მისისა და ყოვლად სამსახურებელთა და თაყვანის-საცემელთა საზ[ღ]ვეველთა უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესთა. გუაკურთხენ, მამაო! — დიდებული ითქუა შენთჳს, ქალაქო ღვთისაო, სამღრთოთა სულითა აღძრული დავით მიღაღადებდინ ჩვენ...“ 290 v — 294 r.

შენიშვნა: კრებულში შესულ ძეგლთა უმეტესობა მეტაფრასული რედაქციისაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდერძი (გადამწერისა): „აღიწერა წიგნი ესე მეტაფრასი, რომელ არს საკითხავი უდიდესთა დღესასწაულთა, დიდთა და მცირეთა, ჰრჩევით გამორჩეულთა, საწადი და სასურველი მრავალმთის უდაბნოსა გარესჯისასა, თჳთ სამარხოსა სანატრელისა მამისა დავითისასა, ჴნდოსა მიერ ბერისა ნიკოლაოს ვაჩნაძისა, რომელიცა მხილველთაგან ლოცვით მოჴსენებას ვითხოვ და ცთომისათჳს შენდობას, წელსა ჩყიბ, მაისს იდ“ (294 v).

მინაწერები (ზედა ყდის საცავ ფურცელზე): 1. „Милостивому Государю Князю Анд...

2. „Господину Eристову“ (გვარი გადახაზულია).

3. ... князя приходил (?) Васил“.

4. მინაწერია ქვედა ყდის საცავ ფურცელზეც.

(1589) **4625**

რუსუდანიანი. XIX

238 ფ.; 38 × 21; ქაღალდი: ლურჯი და თეთრი; კოლენკორგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული (ორი ხელი), სათაურები სინგურით; [XIX]; დაუწერელია: ფფ. 1—6, 178, 193 r, 224—238; ჭვირნიშანი: ლურჯი ქაღალდისა: 1816 (11 ფ.), თეთრი ქაღალდისა: 1836 (178 ფ.).

„რუსუდანიანი ეწოდების ამა წიგნსა.—იყო ქვეყანასა ზმირისასა დიდებული და სახელგანთქმული, რომელსა საჴელად ერქვა აფთვიმეანე...“ 7 r—223 v.

წყდება: „...რა მიველ პალატსა მეფისასა, მუნებური ვეზირი მიცნობდა ...“

შენიშვნები: 1. ხელნაწერის ნაკლული ადგილები შევსებულია თეთრი ქაღალდით: ნაწერია სხვა ხელით (ფფ. 7, 12, 13, 171, 179—223). ტექსტს ერთვის ილუსტრაციები, შესრულებული ჩამატებულ თეთრ ქაღალდზე (19 r, 57 r, 58 r, 200 r).

2. ტექსტს 177 v-სა და 179 r-ს შორის აკლია III კარი (შდრ. რუსუდანიანი, ი. აბულაძისა და ივ. გიგინეიშვილის რედაქციით, თბილისი, 1957, გვ. 246—321). ტექსტი წყდება IV კარზე (შდრ. იქვე, გვ. 403).

3. აღწერილია ე. თაყაიშვილის მიერ (იხ. Описание, II, გვ. 481, ხელნაწერი № 250).

(1590) **4626**

რუსუდანიანი. XIX

138 ფ.; 32,7 × 20,7; ქაღალდი; მუყაოს ყდა, დაშლილი; მხედრული, ორი ხელი: I (1 r — 118 v), II (118 v — 133 v); სათაურები და დასაწყისი სიტყვები სინგურით; [XIX]; დაუწერელია: 48 v, 134 r — 138 v; შემოწირულია დავით გურამიშვილისაგან.

„კარი მეოთხე, რუსუდანიანი. აქა ამბავი ყვითელის ქალაქის ჴელმწიფის ნუშრევანისა და ძისა მისისა ხოსროსი, კარგის ჭაბუკისა.—მეოთხემან ძმამან გურზიმ სთქვა: თქვენ ჩემნი უფროსნი და პატრონნი ხართ...“ 1 r—133 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნები: 1. ტექსტი შეიცავს მხოლოდ IV კარს: „აქა ამბავი ყვითელის ქალაქის ჴელმწიფის ნუშრევანისა...“, რომელიც გამოცემის მიხედვით III კარია (შდრ. რუსუდანიანი, ი. აბულაძისა და ივ. გიგინეიშვილის რედაქციით, თბილისი, 1957, გვ. 246).

2. ტექსტს ბოლოში ერთვის ორსტროფიანი ლექსი:

„ეფრათის შვიდნი ნაკადნი, სამოთხით გამომდინარე,
თვითო შვიდ-შვიდ შტოდ იყოფის, ღვთის წყალობისა მინარე...“

3. აღწერილია ე. თაყაიშვილის მიერ (იხ. Описание, II, გვ. 482, ხელნაწერი № 251).

(1591) **4627**

კრებული. 1853

166 ფ.; 34 × 21; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული, სათაურები და სტროფის დასაწყისი სიტყვები სინგურით; 1853 წ. (105 v, 162 v); დაუწერელია: ფ. 106, 163 r—166 v; შემოწირულია დავით გურამიშვილისაგან.

1. „ამბავი სპარსული, ქართულებრ ნათარგმანები, ქვეყნის მპყრობელისა ბარამ ჴელმწიფისა.—

ჵე ერთო ღმერთო, უკვდავო, მამაო ყოვლის მპყრობელო,
ჵე შემოქმედო ცათა და ქვეყნად მფლობელთა მფლობელო...“
1r—105v.

შენიშვნა: გამოცემულია კ. კეკელიძის რედაქციით, ნოდარ ციციშვილი, შვიდი მთიები, ქართული წიგნი, 1930.

ანდერძი (გადამწერისა): „განსრულდა წიგნი ესე დიდბარამიანი **ჩყნგ** წელსა, იანურის ე დღესა“ (105 v).

2. „კარი პირველი. დასაწყისი ჯონშერ ჩინელთა მეფისა ამბავი, რომელსა ზედან იწყების მიჯნურობა გულიჯანისა და ბარამისა, სასმენელად საამო.—

არსებით ვხადი ერ[თ] უფლად სამ სახედ გვამოვნებასა,
მამისა მიერ ძესა და ეგრეთ სულისა თნებასა...“ 107r—162v.

შენიშვნა: ყდაზე დაკრულ ფურცელზე წერია: „დიდბარამიანი და პატარა ბარამიანი.“

ანდერძი (გადამწერისა): „განსრულდა წიგნი ესე პატარა ბარამიანი **ჩყნგ** წელსა, იანვრის კთ-სა დღესა“ (162 v).

მინაწერი (ფანქრით, ზედა ყდის საცავ ფურცელზე): „ეს წიგნი ეკუთვნის კნეინა ქეთევან გურამოვისასა.“

(1592) **4628**

მილორდიანი. 1819

02 + 147 ფ.; 21 × 16,8; ქაღალდი: თეთრი (1 r — 3 v) და ლურჯი (4 r — 147 v); მუყაოს ყდა, დაშლილი, ფურცლები დაზიანებული; მხედრული, ორი ხელი: I (1 r —

3 v), II (4 r — 147 r); 1819 წ. (147 r); გადამწერი: ოსეფ ტერ ვართან ქამოიოვი (147 r); დაუწერელია: 147 v; ჭვირნიშანი: 1815 (ფფ. 8,11); შემოწირულია დავით გურამიშვილისაგან.

[კომაროვი მათე], „კარი პირველი. ანგლიელი გიორგი მილორდისა მცნობცბთა (!) ვისიმე საამოთ სასმენელი.—წარსულსა დროსა ევროპიელნი არა იყვნენ ქრისტიანობის მი[მ]ლებელნი და ესცხოვრობდნენ კერპთმსახურებასა შინა...“ 1 r — 147 r.

შენიშვნები: 1. ტექსტის ნაკლული ადგილი დასაწყისში შევსებულია თეთრი ქაღალდით, სხვა ხელით (1 r — 3v), ტექსტის ძირითადი ნაწილი (4 r — 147 r) ერთი ხელით ჩანს გადაწერილი, თუმც დასაწყისი ფურცლები (4 r — 10 r) გაკრული ხელითაა ნაწერი.

2. ნაწარმოების ავტორისა და მისი მთარგმნელის შესახებ ქართულ ენაზე იხ. ტ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVIII სს., თბილისი, 1960, გვ. 278—279.

ანდერძი (გადამწერისა): „სრულ იქმნა ისტორია მილორდ გიორგისა ჴელითა ოსეფ ტერ ვართან ქამოიოვისათა ამ ქართულს ქორონიკონს ფზ, წელსა ჩყით, თვესა მარტსა კა“ (147 r).

მინაწერი (ზედა ყდის საცავ ფურცელზე): „მილორდის წიგნი“.

(1593) **4629**

დიდმოურავიანი. XIX

63 ფ.; 19 × 16; ქაღალდი; მუყაოს ყდა, დაზიანებული; მხედრული; ფურცლის კიდეები შემოხაზულია, ხელნაწერს აქვს მოხატული საზედაო ასოები და თავსამკაულები, შესრულებული შავი მელნითა და სინგურით; მინიატურებია 13 r-სა და 19 v-ზე; [XIX]; დაუწერელია: 23 r, 62 r — 63 r; შემოწირულია დავით გურამიშვილისაგან.

„ამბავი გალექსით გარდათარგმნილი დიდის მოურავის გიორგის ძისა შაუშისა, რომელი იყო ტფილისისა, ქცხინუალისა და კავკასიის მთისა მდავლეთისა მოურავი, კაცი ძლიერი, საჴელოვანი, ჰაეროვანი და ომისა ფრიად შემმართებელი, რომელიცა დაშვრა დიდითა შრომითა საქართველოსა ზედა ქართლსა და კახეთსა, რომელმანცა მრავალგზის განათავისუფლნა საქართველო ყიზილბაშისა მეორისა შაჰაბაზისაგან აოხრებასა და იყო მთავარი ქართლის სამეფოსა შინა, მდიდარი ფრიად.—

მეფესა ქართლის ცხოვრება ებრძანა განექსულებით,
ხოლო რუსთველის ბაასი კახთ მეფის საქმე სრულებით...“

1r — 110r.

შენიშვნები: 1. კიდეებზე გატანილია სიტყვები განმარტებებითურთ (3r, 4 r, 6 r—8r).
2. გამოცემულია გ. ლეონიძის მიერ (დიდმოურავიანი, თბილისი, 1939).

ანდერძი: „დასასრული დიდის მოურავის ამბისა, ლექსად თქმული თჳსივე ტომის იოსებ ტფილისის მიტრაპოლიტისაგან, კურთხეულმცა არს სული მისი, ამინ. გეძლუნას ჩემგან წიგნი ესე“ (61 v).

(1594) **4630**

თიმსარიანი. XIX

102 ფ; 21,5 × 16,5; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული, სათაურები და დასაწყისი სიტყვები სინგურით; ნაკლული; [XIX]; ჭვირნიშანი: 1825 (ფ. 3); დაუწერელია: 24 v,

ეროვნული ბიბლიოთეკა

25 r, 97 v — 102 v; შემოწირულია დავით გურამიშვილისაგან.

„კარი პირველი. დასაწ[ყ]ისი ინდოთ ხელმწიფის ანბავი მეფის პატრონის თეიმურაზისაგან პარსთა(!) ენისაგან ქართულად ნათარგმნილი(!), სამოდ სასმენელი.—იყო ხელმწიფე ერთი ინდოეთისა სამეფოსა, ნათესავად ჩინგთა ძველთა გვართა ხელმწიფეთა შვილი...“ 1 r — 199 r.

წყდება: „...ჩემი საჴელმწიფო ყოვლის ავის საქმისაგან გაწმენდილი დამიგდია, სამართლითა სავსე და მტერთაგან შეუფარებელი. აწე ნურცა...“

შენიშვნები: 1. ტექსტი გამოცემულია (იხ. თეიმურაზ მეორე, თხზულებათა სრული კრებული, გიორგი ჯაკობიას წინასიტყვაობით, რედაქციით, ლექსიკონით და შენიშვნებით, თბილისი, 1939). გამოცემაში ხელნაწერი S — 4630 აღნიშნულია P ლიტერით.

2. ბოლოში ტექსტი გაწყვეტილია (შდრ. გამოცემას, გვ. 222).

მინაწერი: ქვედა ყდის საცავ ფურცელზე.

(1595) **4631**

ჩარდავრიშიანი. 1829

143 ფ.; 22 × 17; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული; 1829 წ. (ფ. 131); გადამწერი: აზნაური მოსესა ყორღანოვი (ფ. 130); შემოწირულია დავით გურამიშვილისაგან; დაუწერელია: 131 v — 133 v, 134 v — 137 r, 138 v — 141 v, 142 v — 143 v; ჭვირნიშანი: 1828 (ფ. 133).

„კარი პირველი, დასაწყისი და შესაქცევარი. ამა წიგნსა ჩარ დავრიშიანი ეწოდება, ესე იგი ოთხი დავრიშის ამბავი არს. რომელთაცა არა გსმენოდესთ, ისმინეთ და ყურად მიიღეთ.—იყო ჴელმწიფე კოსტანტინეპოლესა შინა მორჭმული, გამდიდრებული და ყოველსა ქუეყანასა სახელგანთქმული...“ 1 r — 130 r.

შენიშვნები 1. დასაწყისში ხელნაწერს ჰკლებია ორი ფურცელი. ნაკლული პირველი ფურცლის ნაცვლად ხელნაწერში ჩაკერებულია სხვა ხელით ნაწერი ფურცელი.

2. 131 r-ზე გადამწერის ხელით მიწერილია [გამოცანა]:

„ორსა ბროლის ბურჯსა შუა შიგან უფასო თვალია,
იაგუნდისა აუზი, მაშიგან ვარდის წყალია,
გარემოს ჭალა ავლია, ვერ დასწვავს ნაპერწკალია
და ყველა მაზედან ვაჯისობს: მეფე და მისნი სპანია.
ვინცა ამა ლექს შეიტყობთ, ხართ სიბრძნე მოსაწონია“.

3. „ჩარდავრიშიანი“ რამდენჯერმე გამოცემული: ე. ხელაძის მიერ 1876 წ. და 1890 წ., დ. კაზაროვის მიერ 1913 წ.

ანდერძი (გადამწერისა): „დაიწერა წიგნი ესე და დასრულდა ჴელითა მისითა აზნაური მოსეს ყორღანოვისათა ორთაჭალის კარახტინში ბრწყინვალის კნიაზ რევაზ თუმანოვისათვისა საკითხავად, შესაქცევრად და ძველთ ანბავთა საგონებლად. ვითხოვთ ამა წიგნისა მქონელთა და ანუ აღმომკითხველთა, რომელთაცა კითხვით შექცევა მოინებოთ, არა გაგვკიცხოთ, თუმცა რაიმე შეცდენა იხილოთ, არამედ მოგვიხსენიოთ ჩვენ ამისი ცოდვილი ზემორე. ხსენებული აღმომწერალი, რომელნიცა თქვენცა იყვნეთ წინაშე ღვთისა ხსენებულნი. ამინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კურთხეულ Ϭყოს, რომელმანცა ამგვარი შესაქცევარი და(!) საკითხავად გარდაწეროს, მაზედან იჭირნახულოს, ამად, რომე ქვეყანათა ზედან პირველნი და ძველად გასრული საქმე არ ამოვარდეს და მათთა გარდავლილ ფალავანთა და ანუ სხვათა ანბავნი არ ამოვარდეს, მეორეთ გარდაწეროს და განაახლოს. შესაქცევრად კარგია და, თუმცა მკითხავს ჩაუვარდება, თვით შეექცევა და სხვათაც შეაქცევს. ყმაწვილმან ამგვარი წიგნები იკითხოს, კაი მსწავლულიც შეიქნება და ენასაც გაიტეხს, მრავალს შეიმატებს და მარადის გამოიყენებს სამღვთო თუ საეროში ჴელმწიფეთა თუ ამხანაკთანა. ჟამი მოხვდება, რომ კითხვა და სწავლა დიდათ გამოადგეს.

აღიწერა წიგნი ესე, რომელს ეწოდების ჩარდავრიშიანი, სპარსთაგან გარდმოწერილი ქართულსა ენასა ზედან დროსა მისის დიდებულების ჴელმწიფის ნიკოლაი პავლოვიჩისასა, რომელსაცა ეპყრა საბრძანებელნი თვისნი რუსეთი და სრულიად საქართველო, ჟამსა მთავარმმართველობისასა მის პრწყინვალესობის ღენერალ-ატიუტანტი ღრაფ პასკევიჩისასა, რომელმანცა თვისითა ბედნიერობითა ქმნა მძლავრობანი სპარსეთსა ზედან და დაიპყრა ქვეყნები მათი და აგრეთვე ოსმალთაგანი, არა თუ მარტო ქვეყანანი, არამედ წარმოგზავნა სარასკანი და ფაშანი, ტყვენი მრავალნი, რომელ ყოველგან განითქო ანბავნი ესე და დაპყრობა აზრუმისასა თვესა ივნისის დღესა, და კულავად Ϭყოს მძლავრი მტერთა თვისსა ზედან, ამინ და ამინ. **ჩყკთ** წელსა **18**$^{\underline{6}}$ **29**“ (130 r — 131 r). ანდერძში რევაზ თუმანოვი ჩაწერილია ამოშლილ ადგილზე. როგორც ჩანს, მის ნაცვლად ჯერ სხვა სახელი ეწერა.

მინაწერები: 1. „მღთით ვიქორწინე თავადსა ალექსანდრე დავითის ძეს გურამოვთან **ჩყნდ** წელსა. მღთით დაიბადა ასული ჩემი ოლინკა **ჩყნე** წელსა მარიამობის **ც** დღესა ქალაქს ტფილისს და მონათლულ იქმნა კეთილშობილის იესე სულხანოვისა მიერ“ (134 r).

2. „ღვთით ჩემ შვილს გიორგის წიგნი გაუგზავნე რუსეთს ფოშტით თიბათვის **იბ** დღეს, **ჩყოგ** წელსა“ (134 r).

3. „**ჩყლბ** წელსა, თიბათვის **ლ** დღესა წავიდა ჩემი შვილი გიორგი რუსეთს კორპუსტში. ღმერთმან მშვიდობითა ჰყოს მგზავრობა მისი და ბედნიერათ და[ა]ბრუნოს“ (137 v).

4. „**ჩყლგ** წელსა, თიბათვის **ით** დღესა ღვთით წავიდა ჩემი მეორე შვილი დიმიტრი რუსეთს კორპუსტში. ღმერთმან მშვიდობითა ჰყოს მგზავრობა მისი და ბედნიერათ და[ა]ბრუნოს“ (137 v).

5. „ჩემი მესამე შვილი **ჩყლე** წელსა, მარიამობის **იზ** დღესა ღვთით წაკიდა ჩემი შვილი აპოლონ რუსეთს კორპუსტში. ღმერთმან მშვიდობით და ბედნიერ ჰყოს მგზავრობა მისი. თავადი რევაზ თუმანოვი (138 r).

6. [გამოცანა] „ფრანგნი და ურიანი ხომალდსა შინ ისხდნენ და ხომალდი დამძიმდა. და ფრანგთა ურიანი ისე და[ა]ყენეს, რომ ხომალზედ(!) რო რვა შესრულდებოდა და მეცხრეს ზღვაში გარდა[ა]გდებდნენ. და ფრანგთ ურიანი გადაყარეს ზღვაში და მათი საქ[ო]ნელი სო (!) მათ დარჩათ და თვითონც მორჩნენ“ (142 r).

7. „ოთხი წითელი, ხუთი თეთრი, ორი წითელი, ერთი თეთრი,
სამი წითელი, ერთი თეთრი, ერთი წითელი, ასი თეთრი,
ასი წითელი, სამი თეთრი, ერთი წითელი, ასი თეთრი
ასი წითელი, ერთი თეთრი“ (142 r).

8. 142 v-ზე მინაწერია სომხურ ენაზე.

9. „ეს წიგნი ეკუთნის კნეინა თამარ თუმანოვისას. ეგევე მინაწერი გაკეთებულია ქართულად ნუსხურითაც, აგრეთვე სომხურ და რუსულ ენებზეც. ქვევით მიწერილია თარიღი: „**1832-го года**“ (ქვედა ყდის საცავ ფურცელზე).

(1596) **4632**

ს.-ს. ორბელიანი, სიბრძნე სიცრუისა. XVIII

92 ფ., 19,5 × 16; ქაღალდი (სხვადასხვა); ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; მხედრული (ორი ხელი), სათაურები და დასაწყისები სინგურით; [XVIII]; ჭვირნიშანი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1781 (57 ფ.); შემოწირულია დავით გურამიშვილისაგან.

„წიგნი სიბრძნე სიცრუვისა, ნათქვამი სულხან ორბელიანისა ჟამსა სიჭაბუკისა მისისასა. — იყო ჴელმწიფე ერთი, რომლისა საქმენი არავისგან მოიგონებიან...“ 1 r — 92 v.

შენიშვნები: 1. ხელნაწერის ნაკლული ადგილები შევსებულია სხვა ხელით ნაწერი ფურცლებით (5 r — 7 v, 88 r — 92 v).

2. გამოცემულია (იხ. სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, I, გამოსაცემად მოამზადეს ს. ყუბანეიშვილმა და რ. ბარამიძემ, თბილისი, 1959). S—4632 ხელნაწერის შესახებ იხ. იქვე, გვ. 268.

მინაწერები: 1. „ეს სიბრძ[ნ]ე სიცრუის წიგნი თუმცა ზაქარია ფალენოვისაა(!), მაგრამ ახლა ნონა ტერტერას ძის მურადოვისაა“ (1 r).

2. „მომიხსენე მე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა“ (13 r).

3. „მომიხსენიე, უფალო, სადაცა მართალნი იხსენებიან, სული მონისა შენისა — ს. ტყავაძე“ (46 v).

4. მინაწერებია აგრეთვე: 2 v, 18 v, 34 r, 37 v, 40 v.

(1597) **4633**

კრებული. XIX

63 ფ.; 21 × 17; ქაღალდი, სხვადასხვა; კოლენკორგადაკრული მუყაოს ყდა, ახალი რესტავრირებული; მხედრული, სამი ხელი: I (1 r — 29 v), II (30 r — 39 v), III (40 r — 53 r); ნაკლული; [XIX]; დაუწერელია: 48 v, 54 v — 56 r, 57 v — 59v; შემოწირულია დავით გურამიშვილისაგან.

1. [ქრისტეს ცხოვრება]. — „საჴელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ. ღუთისმოყუარებამან თქუჱნმან და კეთ[ი]ლჰმსახურებამან კეთილად უწყის, რამეთუ უფალი უფალთა და მეუფე მეუფეთა, შემომქმედი ყოველთა ქმნულთა, მხოლოდშობილი ძე ღუთისა მეუფისა ზეციერისა დღეს ჯორცით მოკუდა ჩუჱნთჳს...“ 1 r — 29 v.

წყდება: „...და შემდგომ წარგრაგნეს იგი არმენაკსა წმიდასა სულნელთა მათ თანა, ვითარცა ჩუჱულება იყო...“

შენიშვნა: მოთხრობილია ქრისტეს ცხოვრება საიდუმლო სერობიდან აღსასრულამდე.

2. „ქება და დიდება ქალწულის მოწამის წმინდა მარინასი. —

> თვით მშვენიერი, ბრწყინვალე იყო უფლისა ნებისა,
> ქალწული წმინდა, მლოცავი იყო ქრისტეს წამებისა...“
> 30r — 40v.

წყდება:

> „...დასწერა ნიში ჯვარისა, ლამის მით წარწყმედულისა
> და აწ ამას იქით ეშმაკი ნულარ მოელის ლხენასა...“

შენიშვნა: ილუსტრაციებისათვის გაშვებულია შემოხაზული ადგილები, ქვევით მიწერილია ილუსტრაციების შინაარსი.

3. ⟨ნანი⟩. —

> „მოისუჱნე, მოისუჱნე,
> შვილო ჩემო, საყვარელო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტკბილის ძილით დაიძინე,
გულს ნათელი დაიფინე,
ნანი, ნანი, ნანი, ნანი...“ 41r — 42v.

შენიშვნა: ლექსი ცამეტსტროფიანია, მიძღვნილია ქრისტესადმი.

4. „სიზმრის წიგნი. — № 1. დღე მთვარისა პირველი კეთილი არს ყოვლისა საქმისათვის...“ 43 r — 47 v.

წყდება: „...ესე არს ბოროტი ვარსკვლავი, რომე განეცხადა ღმერთი...“

5. [სამკითხაო წიგნი]. — „ა. ჵი კაცო, გიხსნას შენ ღმერთმან ყოვლისა განსაცდელისაგან...“ 49 r — 53 r.

შენიშვნები: 1. ტექსტს უძღვის ცხრილი (48 r).

2. ხელნაწერს ბოლო ფურცლებად ერთვის რესტავრაციის დროს ძველი მუყაოს ყდიდან ამოღებული ორი ფურცელი (61, 62 ფფ.) XVIIIს-ის მიწურულისა, შეიცავს ფრაგმენტს თხზულებიდან „აღსარება სარწმუნოებისა სომეხთა ეკკლესიისა“.

მინაწერები: 1. „ჩყნდ წელსა, გიორგობის ილ დღესა ვიქორწინეთ მე, თავადის რევაზ თუმანოვის ასულმა ქეთევანმა და თავადმა ალექსანდრე დავითის ძემ გურამოვმა“ (53 v).

2. „ჩყნე წელსა, მარიამობის Ⴈ დღესა დაიბადა პირმშო ასული ჩემი ოლღა და მონათლულ იქმნა კეთილშობილის იასე სულხანოვისა მიერ“ (53v).

3. ჩყნჳ წელსა, ფებერვლის ექვსსა მღვთით დამებადა ძე ჩემი დავით და მონათლულ იქმნა თავადის პართენ ბარათოვისა მიერ“ (53v).

4. „ჩყჲა წელსა, ენკენის თვის 28 დღესა მღვთით დაიბადა მეორე ასული ჩემი მაშიკო და მონათლულ იქმნა თავადის თადეოზ გურამოვის ასულის ოლიკოს მიერ“. (53v).

5. „ჩყჲი მღვთით დაიბადა მესამე ასული ჩემი ნინა აპრილის ცხრასა და მონათლულ იქმნა კეთილშობილის ვანო პაიჭაძისაგან“ (54r).

6. იგივე მინაწერები გამეორებულია ფანქრით 54r-ზე, 56v-ზე და 57r-ზე. მინაწერებია აგრეთვე 60v-ზე და 63r-ზე.

(1598) **4634**

კრებული. XVIII

102 ფ.; 16,7 × 10,5; ქაღალდი; ტვიფრული ტყავით შემოსილი ხის ყდა, ქვედა ყდის საცავ ფურცლად გამოყენებულია ნუსხურით ნაბეჭდი ფურცელი; მხედრული, საზედაო ასოები მთავრულით, სათაურები და საზედაო ასოები სინგურით; [XVIII]; ჭვირნიშანი: 1788 (ფფ. 12,13); დაუწერელია: 78 v, 102 v.

1. „მოკლედ სიტყჳს-გება სოკრატისად, სწავლა პირველი და სხვათაცა ფილოსოფოსთა ქართულს ენაზედ თარგმნილი. — კეთილის კაცის წესი არ არის კაცს პირში აქებდეს და უკან სძრახევდეს...“ 1 r — 78 r.

შენიშვნები: 1. ხელნაწერი „აპოვთეგმატას“ ვრცელ რედაქციას შეიცავს (იხ. ლ. ძოწენიძე, რუსული „აპოვთეგმატას“ ქართული რედაქციები, თბილისი, 1959, გვ. 40).

2. თარგმნილია რუსულიდან ერასტი თურქისტანიშვილის მიერ (იხ. იქვე, გვ. 43—44).

2. „კარი პირველი. დასაწყისი ამირნასარიანი, თქმული სპარსთა ენისაგან ქართულად ბატონის შვილის განმგებელის ვახტანგისაგან. ანდერძი შამქირისა ძისა თჳსისა თანა.—იყო ჴელმწიფე ქექაოზ და შვილი მისი ამირნასარ, და შვილი ამირნასარისა—ალექსანდრე, შვილი ალექსანდრესი—ყაბოს, და შვილი ყაბოსი—შაქირ...“ 79r — 102r.

შენიშვნები: 1. ტექსტი გამოკვლევითურთ გამოცემულია (იხ. გ. იმედაშვილი, ყაბუს-ნამეს ქართული ვერსია ამირნასარიანი, ლიტერატურული ძიებანი, IX, გვ. 347—373).

2. აღწერილია ე. თაყაიშვილის მიერ (იხ. Описание, II, გვ. 443—444, ხელნაწერი № 209).

მინაწერი: ზედა ყდის საცავ ფურცელზე.

(1599)

4699 ა

ლექსი. 1865

2ფ.; 22 × 17,5; ქაღალდი; მხედრული; 1865 წ. (2 v); ადგილი: გორი (2 v).

[ლექსი]. —

„ქვეყნის მპყრობელის მემკვიდრევ, ჭაბუკო ყვავილოვანო,
ყველგან საქებრად განთქმულო, სვე-სრულო, სახელოვანო...“
1r — 2v.

შენიშვნები: 1. H — 2762 ხელნაწერში ლექსის ავტორად გატანილია ინიციალები ე. ე. ამის საფუძველზე ავტორად აღდგენილია ეკატერინე ერისთავისა (იხ. H კოლექციის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, VI, თბილისი, 1953, გვ. 168, ხელნაწერი № 2762 : 1).

2. აღწერილია ე. თაყაიშვილის მიერ (იხ. Описание, II, გვ. 466 — 467, ხელნაწერი № 233). ე. თაყაიშვილის აზრით „ლექსი მიძღვნილია უფლისწულის ნიკოლოზ ალექსანდრის ძის გარდაცვალებისადმი“ (იხ. იქვე).

ანდერძი: „1865-სა წელსა, აპრილის 20-ს დღესა, გორს“ (2 v).

4699 ბ

ლექსი. XIX

1 ფ.; 21 × 13,5; ქაღალდი; მხედრული; [XIX]; დაუწერელია 1 v.

[ლექსი].—

„მასვე ვვედრებ, ვინც სიცოცხლე დანასა,
ვინც მშვენებით გული სრულად დანასა...“ 1r.

შენიშვნა: აღწერილია ე. თაყაიშვილის მიერ (იხ. Описание, II, გვ. 467, ხელნაწერი № 234).

4699 გ

პასუხი. 1858

1 ფ.; 20,5 × 13; ქაღალდი, დაზიანებული; მხედრული; 1858 წ. (1 v).

ეროვნული ბიბლიოთეკა

„პ ა ს უ ხ ი.—

ცეცხლი მოედოს, ვინც რომ ენდოს ეხლანდელ კაცსა,
ცივ-უგრძნობელსა, ულმობელსა, ქალთ მატყუარსა...“ 1r-v.

შენიშვნები: 1. აღწერილია ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს მიერ (იხ. Описание, II, გვ. 467, ხელნაწერი № 234).

2. უძლვის ეპიგრაფი: „ცეცხლი მოედოს, ვინც რომ ენდოს ლამაზსა ქალსა“, რომლის ავტორადაც Q-27 ხელნაწერში მოხსენიებულია ბ ა რ ა მ ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი (იხ. Q კოლექციის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, I, თბილისი, 1957, გვ. 24, ხელნაწერი № 27 : 20) 1 r-ზე სხვა ხელით გაკეთებულია მინაწერი: „ჩემის სიყრმის მეგობრობის დროს დაწერილი თ. პ ა ვ ლ ე ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს ძ ი ს თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ა, ქ უ თ ა ი ს შ ი მომრიგებელ მოსამართლედ იყო 1880 წლებში“. ამ მინაწერის საფუძველზე კი ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ვარაუდობს, რომ ეს ლექსი დაწერილია პ ა ვ ლ ე თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ლექსის პასუხად (იხ. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს დასახ. აღწერილობა)

ანდერძი „1858-ს წელსა, ენკენისთვის 13-სა, ე. ი.“ (1 v).

4699 დ

ლექსი (ფრაგმენტი). XVIII

1 ფ.; 17,5 × 21,5; ქაღალდი; მხედრული, სტროფის დასაწყისი სიტყვები სინგურით; [XVIII]; აქვს ჭვირნიშანი.

[ლ ე ქ ს ი].—

„...მათ განმაშორონ გზაზედა მავნე ჰაერის მცველია...“ 1r—v.

შენიშვნები: 1. ფურცელი გადახეულია, იწყება ერთ-ერთი სტროფის მეოთხე სტრიქონიდან. ლექსი წარმოადგენს სულისა და ხორცის გაბაასებას.

2. აღწერილია ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს მიერ (იხ. Описание, II, გვ. 468, ხელნაწერი № 236).

4699 ე

რუსთაველი შოთა, ვეფხისტყაოსანი (ფრაგმენტი). 1837

1 ფ.; 21,5 × 16; ქაღალდი, დაზიანებული; მხედრული; 1837 წ. (1 v).

[რ უ ს თ ა ვ ე ლ ი შ ო თ ა, ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ა ნ ი].—

„...ქართველთა ღუთისა დავითის, ვის მზე მსახურებს სარებლად,
ესე ამბავი გავლექსე მე მათად საკამათებლად...“ 1r—v.

შენიშვნები: 1. ტექსტი გადმოწერილი ჩანს ვ ა ხ ტ ა ნ გ VI-ის მიერ გამოცემული „ვეფხისტყაოსნიდან“, შეიცავს ეპილოგის ბოლო სტროფებს (შდრ. შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი, 1712, გვ. სპე, სპვ).

2. აღწერილია ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს მიერ (იხ. Описание II, გვ. 468, ხელნაწერი № 237).

ანდერძი: „ჩყლზ-სა წელსა, თებერვლის გ-სა დღესა“ (1 v).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

(1600) **4730**

ქართლის ცხოვრება (ჯანაშვილისეული). XVIII

408 ფ.; 30,5 × 20,5; ქაღალდი; ზედა ყდიდან შემორჩენილია მუყაო, ქვედა ყდა—ტყავგადაკრული მუყაო; დაშლილი; მხედრული, ორი ხელი: I (1 r — 370 v, 407 r — 408 v), II (371 r — 406 v); ნაკლული; [XVIII]; აქვს ჭვირნიშანი (ფ. 41, 371).

[ქართლის ცხოვრება]. — „...თვინიერ ქართულისაჲ. და მან შექმნა მწიგნობრობაჲ ქართული...“ 1 r — 408 v.

წ ყ დ ე ბ ა: „...დიდისა დიდებითა შთავიდა ისპაანს...“

შენიშვნები: 1. ხელნაწერის კიდეებზე გაკეთებულია შენიშვნები.

2. ხელნაწერი ჯანაშვილისეულია. ზედა ყდის საცავ ფურცელზე მინაწერია: „**1906 წ. 21** მაისს შეიძინა ეს წიგნი მ. გ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ მ ა და გადასცა წერა-კითხვის საზოგადოებას თხოვნით, რომ იგი (ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი) გაანთავისუფლონ საწევრო ფულის (წარსულ და მომავალ დროის) შეტანისაგან. **29** დეკემ. **1907** წ“.

3. აღწერილია მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს ა და ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს მიერ (იხ. ა. მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ნაშრომი, საისტორიო საბუთების შესწავლის მდგომარეობა ჩვენში და ახლად აღმოჩენილი „ახალი ქართლის ცხოვრება,“ ტფილისი, 1907. ბ. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, Описание, II, გვ. 114—132).

4. გამოცემულია (იხ. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, I — II, თბილისი, 1955, 1959). გამოცემაში ხელნაწერი S — 4730 აღნიშნულია D ლიტერით.

5. ხელნაწერში ჩადებულია ლექსი:

„არც დვალეთში, არც ქიზიყში, არც ჰერეთში,
არც დღეის დღეს, არც ხვალეთში, არც მერეთში,
არც ბოხოხში, არც ცილინდრში, არც ბერეტში,
სვინტრი იგი ხარობს თურმე იმერეთში.

უნდა შუბლით ფიქრთა ნისლი გამერეკა,
მსურდა სწრაფად მსოფლიოსთვის დამერეკა,
რომ აღმოჩნდა, რომ აღმოჩნდა ამერიკა
და რომ სვინტრი ბალახია იმერეთში“.

ქვევით მიწერილია: „გ ა ლ ა ქ ტ ი ო ნ ი, 10/X-54 წ“. ლექსი გალაქტიონისა არ უნდა იყოს.

(1601) **4731**

იოსებზილიხანიანი (ფრაგმენტი). XIX

3 ფ.; 37 × 22,5; ქაღალდი; დაშლილი; მხედრული; [XIX]; ჭვირნიშანი: 1819 (ფ. 3)

[თ ე ი მ უ რ ა ზ I, ი ო ს ე ბ ზ ი ლ ი ხ ა ნ ი ა ნ ი]. —

„...მისრეთს ღმერთი არ იცოდნენ, ყველას კერპი დაესვენა,
და ეშმაკთ ზორუა მას ქალაქსა სასიკვდინედ დაესვენა...“

1r—3v.

წ ყ დ ე ბ ა:

„...ბრძანა: უხმეთ, დაჰპატიჟეთ, მალვით უთხართ, წადი, ყურსა,
მას მნათობსა ჰელმწიფესა, მაგრამ ახლა მონა-ყულსა.
მოვიდეს და მოილხინოს გულს (!) მისგან მონაყულსა
და აწ მსახუროს ჰელსა, მისგან დაჭირულსა, დასსახულსა (!)...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნები: 1. სტროფის დასაწყისი სიტყვებისა და სათაურებისათვის გაშვებულია ადგილი, სტროფის დასაწყისი სიტყვები ჩაწერილია გვიან, ფანქრით.

2. ფრაგმენტი მოიცავს 109—138 სტროფებს (შდრ. თეიმურაზ I, თხზულებათა სრული კრებული, ტექსტი, გამოკვლევა, ლექსიკონი, ალ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით, ტფილისი, 1934, გვ. 73—77). გამოცემულ ტექსტთან შედარებით ფრაგმენტი გვაძლევს რედაქციულ სხვაობებს.

3. აღწერილია ე. თაყაიშვილის მიერ (იხ. Описание, II, გვ. 506, ხელნაწერი № 298).

(1602) 4732

რუსთაველი შოთა, ვეფხისტყაოსანი. 1827

164 ფ.; 33×21; ქაღალდი; ტვიფრული ტყავით შემოსილი მუყაოს ყდა; მხედრული, სათაურები და სტროფების დასაწყისი სიტყვები სინგურით; 1827 წ. (141 v); გადამწერი: პეტრე ლარაძე (141 v); აქვს ჭვირნიშანი (ფ. 10); დ. ბაქრაძის ბიბლიოთეკიდან; დაუწერელია: ფ. 142, 145 v, 162 v — 164 v.

[რუსთაველი შოთა, ვეფხისტყაოსანი]. „შესავალი პირველი ვეფხისტყაოსნისა. ამა ამბისა დასაწყისი პირუშლი, ჰამო და სასმენელად შუენიერი სწავლისათჳს მოშაირეთასა, ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა, რომელსა ვეფხისტყაოსნობით უხმობენ.—

რომელმან შეჰქმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა...“

1r — 141v.

შენიშვნები: 1. ერთვის: **ა.** „საძიებელი წიგნისა ამის ვეფხისტყაოსნისა“ (143 r — 145 r).

ბ. „ლექსიკონი ამა წიგნსა შინა წერილთა ძნელთა ლექსთა“ (146 r — 162 r). ლექსიკონს მოსდევს შენიშვნა: „განმარტება ლექსთა ამათ, რომელნიცა უხმარნია ბრძენსა მას შოთა რუსთველსა თჳსსა ამას შრომილსა ვეფხისტყაოსანსა შინა. რომელნიცა ვიეთთაგანმე მძიმედ საცნობელ და მისახდომ იქმნებიან, ამისთჳს აქა ანბანსა ზედა ასხმულ არიან ლექსნი იგი მისგანვე განმარტებითა თჳსითა მხილველთაგან ადჳლ მისახდომელად. ხოლო მრავალთა უწყიან და არად საჭმარ არს მათთჳს განმარტება ლექსთა, და ესე შრომა დაჰშთების მათთჳს, რომელთაცა საჭმარ ექმნების. ესრეთ ეწერა უძველესსა და ძნელად აღმოსაცნობელსა დედანსა შინა“ (162 r).

2. 01 r-ზე ფანქრით მიწერილია: „ეს ისეთივეა, როგორც № 305“. S — 305 ხელნაწერის 01 გვერდზე აგრეთვე გაკეთებულია მინაწერი: „ეს იგივეა, როგორც 4732“. ქრ. შარაშიძის აზრით მინაწერები ეკუთვნის დ. კარიჭაშვილს (იხ. S კოლექციის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, I, თბილისი, 1960, გვ. 358, ხელნაწერი № 305).

3. ტექსტი არტანუჯული რედაქციისაა (იხ. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, თბილისი, 1957, გვ. 65—74).

4. აღწერილია ე. თაყაიშვილის მიერ (იხ. Описание, II, გვ. 554—556, ხელნაწერი № 314).

ანდერძი (გადამწერისა): „სრულ იქმნა, დიდება ღმერთსა, ყოველთა კეთილთა მიზეზსა დამბადსა. თუმცა იყუნეს წიგნნი ვეფხისტყაოსნობით ჭმობილნი საქართუელოსა შინა ბეჭდილნი და ჴელწერილნიცა, გარნა ფრიად განრყუნილნი და არად საჭმარნი. ამისთჳს მისცემოდა გულსმოდგინება თავადს სტატკის სოვეტნიკს და კავალერს თუმანოვს გიორგი ეგნატის ძეს და მოეპოვა უძველესი ნაწერი ვეფხისტყაოსანი კერძოთა არტანუჯისათა, და ესე მე პეტრე ყარიბმან ლარაძემან მრავლითა შრომითა და ლუაწლის დადებითა მუნით გარდმოვსწერე იანვრის ა-სა დღესა, ჩყკზ-სა წელსა.

ჴელი მშრომელისა მიწდების,
ხოლო შრომილი მისი ჰშთების“ (141 v).

მინაწერი: „Приобретено 29 апр. 1877 г. от Николая Тад-ича кн. Чолокаева Дм. Захарьевичем Бакрадзе“ (1 r).

(1603) **4733**

მარმონტელი, ველისარიონი. 1817

118 ფ.; 19,5 × 16; ქაღალდი; ვარაყიანი წითელი ტყავით შემოსილი მუყაოს ყდა; მხედრული, საზედაო ასოები მთავრულით; 1817 წ. (115 v); გადამწერი: ივანე (115 v); ადგილი: სანკტპეტერბურღი (115 v); დაუწერელია: 1 v — 3 r, 116 r — 118 v; ჭვირნიშანი: 1816 (ფ. 76); დ. ბაქრაძის ბიბლიოთეკიდან.

[მარმონტელი, ველისარიონი] „თავი ა.—მოუძლურებული განგრძელებულითა მძ[ა]რცველობითა ჰრომის იმპერია სახელმწიფო დღეთა იუსტინიანეს მოხუცებულებისათა დაუახლოვდა უკუნჱ სრულსა შემუსრუასა...“ 4 r — 115 v.

შენიშვნა: თარგმნილია რუსულიდან კაიოზ არქიმანდრიტის მიერ (იხ. ტ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVIII სს., თბილისი, 1960, გვ. 244).

ანდერძი (გადამწერისა): „სრულ ვჰყავ წელსა ჩყიზ, თთუჱსა ნოენბერსა კ-სა, სანკტპეტერბურღსა, ივანე“ (115 v).

მინაწერები: 1. „Отд. I № 139, История Юстиниана и Велизария, написанно в Петербурге в 1817 г“. (1 r).

2. „ველისარიონს (!) წიგნია“ (3 v).

3. „ველიაზარ“ (4 r).

4. „პეტრე“ (4 r).

5. „წიგნი ესე ეკუთვნის პეტრე ქებაძეს“ (115 v).

(1604) **4734**

ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია და ისტორია. XIX

432 ფ.; 32,5 × 20,5; ქაღალდი; ვარაყიანი მწვანე ტყავით შემოსილი მუყაოს ყდა; მხედრული, საზედაო ასოები და სათაურები სინგურით; [XIX], ჭვირნიშანი: 1823 (ფფ. 429, 430); აქვს რვეულებრივი სათვალავი, შეიცავს ნგ რვეულს; დაუწერელია: 1 r — 5 v, 13 v, 26 v, 150 v, 196 v; დ. ბაქრაძის ბიბლიოთეკიდან.

[ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია და ისტორია] „ზნენი და ჩუჱულებანი საქართუჱლოსანი.—ღმერთმან სიბრძნითა თჳსისა მოწყალებისათა გამოუთქმელითა და მიუწდომელითა დაჰბადა კაცი...“ 14 r — 424 v.

წყდება: „...ხოლო შემდგომად კაციას ჩიქოანის სიკუდილისა ნაცოლარი მისი და დედინაცვალი გიორგი ლიპარტიანისა, დისწული შოშიტა ერისთვისა, შეირთო გურიელმან გიორგიმ ცოლად და ამათ გამო მცდელობდა პირველ ოდიშსა და აწ უმეტეს იმერეთსაცა...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნები: 1. შედგენილობა: ა. „მკითხუჱლთათჳს სიტყუა, რაჲსათჳს არს შრომა ესე“ (6 r — 13 v).

ბ. „ზნენი და ჩუჱულებანი საქართუჱლოსანი“ (14 r — 26 r).

გ. „აღწერა სამეფოსა საქართუჱლოჲსა“ (27 r — 67 v).

დ. „აქა დაიწყება ბაგრატიონთ მეფობა“ (67 v — 150 r).

ე. „უწყებულება მკითხუჱლთათჳს“ (151 r — 158 v).

ვ. „აღწერა აწინდელისა ქართლისა სამზღურით, მთით, მინდურებით და ადგილთა და მათ შინათა შენებულებათა (159 r — 196 r).

ზ. „შემდგომად განყოფისა სამეფოსა სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ ცხოვრება და ქმნულება მეფეთა ქართლისათა“ (197 r — 267 v).

ჱ. „აღწერა ჱრეთისა, კახეთისა და კუხეთისა, კუალად თუშეთისა და დიდოეთისა“ (268 r — 321 r). ეს თავი შეიცავს: 1. „ქმნულება და ცხოვრება კახეთისა და ჱრეთისა“ (282 r — 285 v), 2. აღმოჩენა და პყრობა აწინდელთა მეპატრონეთა კახეთისათა“ (285 v — 287 r), 3. „ცხოვრება აწინდელთა მეპატრონეთა“ (287 r — 321 r).

თ. „აღწერა აწინდელისა ოვსეთისა ანუ კავკასიათა შინათა საჴელისათჳს“ (321 r — 331 v). ეს თავი შეიცავს: 1. „ქუჱყანისათჳს“ (322 v — 323 v), 2. „კაცისა და ჩუჱულებისა, ზნისა და ჴელოვნებისათჳს“ (323 v — 330 v), 3. „ცხოვრება“ (330v— 331 v).

ი. „აღწერა საჩინოთა ადგილებთა სამცხე-საათაბაგოსთა“ (331 v — 354 r). შეიცავს: „ცხოვრება სამცხე-კლარჯეთისა“ (348 r — 354 r).

ია. „წარმოჩენა ბაგრატიონთ ნათესაობისათჳს“ (354 v — 373 v).

იბ. „აღწერა ეგრისის ქუჱყანისა ანუ აფხაზეთისა ანუ იმერეთისა“ (374 r —424 v). წყდება კ თავზე (შდრ. საქართველოს ცხოვრება 1469—1800 ბატონიშვილი ვახუშტის მიერ, II, გამოც. ზ. ჭიჭინაძისაგან, 1913, გვ. 318).

2. აღწერილია ე. თაყაიშვილის მიერ (იხ. Описание, II, გვ. 668 — 669, ხელნაწერი № 392).

3. გამოცემები: ვახუშტი, საქართველოს ისტორია, განმარტებული და შევსებული... დ. ზ. ბაქრაძის მიერ, ნაწილი პირველი, ტფილისი, 1885. საქართველოს ცხოვრება 1469 — 1800-მდე ბატონიშვილი ვახუშტის მიერ, II, გამოც. ზ. ჭიჭინაძისაგან, თბილისი, 1913). ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია) თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941.

ანდერძი: „ხოლო სრულ იქმნა შრომა ესე ქრისტეს აქეთსა ქორონიკონსა წლისასა ჩღმე, ქართულსა ულგ, ოკდომბერს კ მეფის შვილის ვახუშტის მიერ სამეუფოსა ქალაქსა მოსკოვს, ნაპრესნასა“ (13 r).

(1605) **4735**

საქართველოს ისტორია. XIX

209 ფ.; 32 × 21,5; ქაღალდი, ლურჯი; ტვიფრული ტყავით შემოსილი ხის ყდა; მხედრული, სათაურები და საზედაო ასოები მთავრულით, სინგურით; აქვს რვეულებრივი სათვალავი, შეიცავს კვ რვეულს; [XIX], ჭვირნიშანი: 1818 (ფ. 207); დ. ბაქრაძის ბიბლიოთეკიდან; დაუწერელია: 1 v — 2 v, 3 v, 204 r — 209 v.

1. [ვახუშტი], „ისტორია ყოვლისა საქართუჱლოჲსა ნოეს ძის იაფეთის თესლისაგან ვიდრე ქართლოსისა და ძმათა მის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამდე და განყოფილებანი მათნი და ძეთა მათთა.—აწ ზნეთათჳს ვიწყოთ ძველიდამ ახლადმდე საქართუჱლოჲსათა ზნეთა და ჩუჱულებათა და წესთა მათთა პირველ განყოფილებისა და შემდგომად განყოფილებისა..." 4 r — 187 v.

შენიშვნები: 1. ყდის თავფურცელი: „ისტორია გეორგიისა ანუ ყოვლისა საქართუჱლოჲსა, ქმნილი ვახუშტის მიერ ბაგრატოანისა, ძისა ვახტანგ მეფისა" (3 r).

2. შედგენილობა: ა. „აღწერა სამეფოისა საქართუჱლოჲსა" (12 r — 23 v).

ბ. „ათნი სიტყუანი წმიდისა ნინასდა მოცემულნი" (24 r — 96 r).

გ. „აღწერა აწინდელისა ქართლისა საზღურით, მთით, მდინარებით, ადგილთა და მას შინა შენებულებათა" (96 v — 119 r).

დ. „შემდგომად განყოფისა სამეფოჲსა სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ, მათი ცხოვრება და ქმნულება მეფეთა ქართლისათა" (119 v — 163 v).

ე. „აღწერა ჱერეთისა, კახეთისა და კუხეთისა, კუალად თუშეთისა და დიდოეთისა" (164 r — 187 v). წყდება ბექან ხანის ისტორიაზე (შდრ. საქართველოს ცხოვრება 1469—1800, ბატონიშვილი ვახუშტის მიერ, II, გამოც. ზ. ჭიჭინაძისაგან, 1913, გვ. 194).

2. [სუმბატ დავითის ძე] „მეათცხრამმეტე(!) მეფე ქართლისა გურამ ბაგრატოვანი. ხოლო ესე გურამ იყო დედით ხოსროიანი და მამით ბაგრატოანი. ხოლო ესე ბაგრატოანნი, რომელნი აწ მეფობით მეშკჳდრეობენ, შჳლისშჳლნი და ნათესავნი არიან ამა გურამისანი. და აწ ვიწყოთ ყოველივე ჰანბავი ბაგრატოანთა, თუ ვითარ არიან ნათესავნი დავით წინაწარმეტყუჱლისა და სოლომონისნი, ანუ ვითარ მოიწინეს ქუეყანასა ჩუენსა. ვიწყოთ ადამისით და წარმოვსთქუათ ყოველი ნათესაობაჲ მათი.—ადამ ჰშუა სეით, სეით ჰშუა ენოს, ენოს ჰშუა კაინან..." 188 r — v.

შენიშვნა: სუმბატ დავითის ძის ქრონიკა გამოცემულია (შდრ. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბილისი, 1955, გვ. 218—220, სქოლიო). S — 4735 ხელნაწერის ტექსტი რედაქციულად მისდევს BD... ხელნაწერების ტექსტს (იხ. იქვე).

3. [ხერხეულიძე ომან], „შემოკლებული ისტორია ქართლისა ირაკლი მეორისათჳს. იწყების, თუ ვითარისა შრომითა მიიღო მეფობა ქართლისა, გარნა პირველად მოუბოძა გარდამატებულისათჳს სიმჴნისა(!) მისისა კახთ მეფობაჲ შაჰნადირ, ხოლო შემდგომად შეაერთნა სკიპტრაჲ ორმეფობითი.—წელსა 1722 დაჰსჯდა ყაენად ძე შაჰ სულტან უსეინისა შაჰ თამაზ..." 189 r — 203 v.

შენიშვნები: 1. ავტორია ომან ხერხეულიძე (შდრ. ქართლის ცხოვრება, II, დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, 1854, გვ. 475—500).

2. 203 r-ზე სხვა ხელით მიწერილია ერთი სტროფი:

„მეფეო, შენის გარდაცვალებით აწ ჩვენ მოგვეცა დიდი ურვანი,
ყოველთა შენთა და შორიელთა ვერღარ ვიხილეთ ნათელთ ბრუნვანი.
შენს ქვეყანასა, სიტყვიერ მზეო, დაეცა ბნელი უკუნ ბრუნვანი,
თვალნი დაბინდდეს, გულნი დავვიდნეს, გვაქვს სიცოცხლისა ფრიად
მდურვანი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ხელნაწერი აღწერილია ე. თაყაიშვილის მიერ (იხ. Описание, II, გვ. 677, ხელნაწერი № 405)

მინაწერი: „უგანათლებულესის მეფის ირაკლის ასულის თეკლესია, ვინც მოიპაროს, გაუწყრეს...“ მომდევნო სიტყვა ამოშლილია (ქვედა ყდის საცავ ფურცელზე).

(1606) **4736**

ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია და ისტორია. 1785

392 ფ.; 28 × 19; ქაღალდი; ტვიფრული ტყავით შემოსილი ხის ყდა; მხედრული, სათაური ასოები სინგურით; 1785 წ. (335 r); გადამწერი: დეკანოზი მიხაილ (335 r); დაზიანებულია ფ. 127; დ. ბაქრაძის ბიბლიოთეკიდან; დაუწერელია: 2 v, 335 v, 336 r, 386 r — 392 v.

[ვახუშტი], „ტომობა და ჩამომავალობა ქართუჳლთა და ცხოვრებაჲ მათ[ი], რომელ ეწოდების წიგნსა ამას ცხოვრება ქართლისა, ნოეს ძის იაფეთის თესლისაგან ვიდრე ქართლოსისა და ძმათა მისთამდე და განყოფილებანი მათნი და ძეთა მათთანი. — აწ ზნეთათვის ვიწყოთ ძუჳლთაგან ახალთამდე საქართუჳლოსა ზნეთა [და] ჩუჳულებათა და წესთა მათთა პირველ განყოფილებისა და შემდგომად განყოფილებ[ი]სა...“ 3 r — 385 v.

წყდება: „...იხილა სიამაყე ესე კახთა ხანმან, იწყო მოწამლვით და რომელთამე ცხად სიკუდილი. ამისთვის კახთაცა იწყეს კრძალვა...“

შენიშვნები: 1. შედგენილობა: ა. „ტომობა და ჩამომავალობა ქართუჳლთა და ცხოვრებაჲ მათი“ (3 r — 193 v).

ბ. „აღწერა აწინდელისა ქართლისა საზ[ღ]ურით, მდინარებით, ადგილთა და მას შინა შენებებულებათა“ (194 r — 241 v).

გ. „შემდგომად განყოფისა სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ ცხოვრება და ქმნულება მეფეთა ქართლისათა“ (242 r — 335 r).

დ. „აღწერა ჳერეთისა, კახეთისა და კუხეთისა, კვალად თუშეთისა და დიდოეთისა“ (339 r — 385 v). წყდება ბეჟან ხანის ისტორიაზე (შდრ. საქართველოს ცხოვრება 1469—1800, ბატონიშვილი ვახუშტის მიერ, II, გამოც. ზ. ჭიჭინაძისაგან, 1913, გვ. 194).

2. ხელნაწერის კიდეებზე მიწერილია ვახუშტის შემდეგდროინდელი ისტორიული ცნობების შემცველი შენიშვნები: ა. „ქ~კს უპგ ამ წელს ს[ე]კდემბრის იაყაჯარი ხოჯა მამადხან მოვიდა ტფილის. მეფე საქართველოსი ირაკლი და მეფე იმერთა სოლომონ შეებნენ სეიდაბათსა და კრწანისის ბაღებთანა და ცოდვათა ჩვენთათვის იძლივენს (!) ორნი ესე მეფენი ქართველი და კახნი და იმერნი. მოჰყვნენ სპარსნი და მასვე დღეს სამშაბათსა აღიღეს ტფილისი ქალაქი და... ცეცხლითა. და ორნი ესე მეფენი განერნენ მშვიდობით. და მერვეს დღეს აიყარა ყაჯარი ალამამად ხან და წავიდა. და ამავ ქრონიკონს ნოენბერში რუსეთის ჯარი მოეშველა საქართველოსა“ (239 v — 240 r).

ბ. „ქ~კს უპდ ამ წელს აპრილში რუსის ჯარი შემოადგა დარბანდს“ (240 v).

გ. „წელსა 1803 მარტის 9 რუსისა და კახეთის ჯარები ბელაქანში გავიდნენ, ჭარელნი და დაღისტნის ჯარი დაამარცხეს, მრავალი მოკლეს და მრავალი დაიჭირეს, ბელაქნის სოფელში შევიდნენ, დაატყვევეს, აიკლეს და დაწვეს“ (382 v).

3. ხელნაწერის სათაურად 2 r-ზე სხვა ხელით გატანილია „ქართლის ცხოვრება.“

4. აღწერილია ე. თაყაიშვილის მიერ (იხ. Описание, II, გვ. 677 — 678, ხელნაწერი № 406).

5. გამოცემები: ვახუშტი, საქართველოს ისტორია, განმარტებული... დ. ბაქრაძის მიერ, I, 1885. საქართველოს ცხოვრება 1469—1800, ბატონიშვილი ვახუშტის მიერ, II, გამოც. ზ. ჭიჭინაძისაგან, 1913. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1941.

ანდერძი (გადამწერისა): „აღმწერი წიგნისა ამის ულირსი ჴუცესი დეკანოზი მიხაილ მო[ვ]ყევ წერად თთუჱსა აპრილს იე და გავასრულე მთიბათვის **დ**, რომელ იქნება დღე ორმოცდაათი. თუ მეტ-ნაკლებობა ჰპოვოთ, საგიობელ ნუ მყოფთ, ამიტომ, რომელიც დედანი იყო, იმ დედანზედ ჩაკითხვით და განსწორებით და შემოწმებით ქმნილი არს. და მაინც რომელიმე ლექსი ჰპოვოთ ცთომილი, მოხუცებულობის მიზეზი იქნების, რომელიც ვიყავ ამ ჟამად წლისა **ჲვ** და თვისა **დ** და ქრისტეს გაჴორციელებითგან ჩღპე, ქორონიკონს ჳოგ“ (335 r). ანდერძში მიხაილი-ს წინა სიტყვა ამოშლილია.

მინაწერები: 1. „თვესა მაისსა მოტყვენა მათს ბრწყინვალებას ჩემს მწყალობელს ბაგრატოვანს დავითოვს(!) როსტომს“ (99 r).

2. „შავმან მიწამან გამისაკუთრა ტურფათა სახლთა მომლოდებელი,
თურამეტის წლისა ვარ შავაი დღისა, ვეღარა მხედეს ჩემი შობელი,
ჵი სოფელი, მუხთალმყოფელი, ჩემის სიცოცხლის აღმამხოცელი,
ლხინთა მჟაგიერ მამეგზნო ცე[ც]ხლი, ვაჟკაცობისა დამადნობელი“
(324 v — 325 r).

სტროფის ბოლო ორი სიტყვა განმეორებითაა მიწერილი

3. „ღთისმშობელი და ყოვლად პატიოსანი დედა,
ქალწული შვენიერი შროშანი, მას ახარებდა
ანგელოზი ფთოსანი: შენგან იშვების მეუფე გვირგვინოსანი
და მას მონებენ მეფენი მრავალყმოსანი.

შენ ხარ ვენახი, ახლად აყვავებული
მორჩი კეთილი, ედემს მინა ნერგული,
ალვა სუნელი სამოთხეს შინა აღმოსრული,
ღმერთმა შეგამკო, ვერავინ გვიზობს(!) ქებული
და თავით თვისით მზე ხარ გაბრწყინვებული“ (337 v).

4. 136 r-სა და 338 r-ზე სლავური სიტყვებით ქართული ტრანსკრიპციით მიწერილია ნაწყვეტი ლოცვიდან.

5. მინაწერებია აგრეთვე: 1 r, 117 r, 135 r, 324 v, 325 r, 326 r, 336 V, 337 v, 338 r, v, 340 r.

(1607) **4737**

საპოლიტიკო თეატრონი ანუ საყოფაქცეო სახილველობა. 1827

242 ფ.; 35,5 × 21,5; ქაღალდი; ტვიფრული ტყავით შემოსილი ხისყდა; მხედრული, საზედაო ასოები მთავრულით; 1827 წ. (239 v); გადამწერი: მონაზონი გრიგოლი (239 v); დ. ბაქრაძის ბიბლიოთეკიდან; დაუწერელია: 3 v, 241 r — 242 v; ჭვირნიშანი: 1826 (ფ. 2).

„საპოლიტიკო თეატრნი ანუ საყოფაქცეო სახილველობა, რომელსა შინა შეკრებულ არიან უაღრესნი განზრახუანი, თუ რაჲ უხმს ქმნად და რაჲსაგან ლტოლვად სათანადო არს მთავარი. თავი ა. ვითარმედ მთავარსა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანა-აძს, რათა განატაროს ცხოვრებაჲ თჳსი პატიოსნებით, რამეთუ მას შეუდგებიან ჴელის-ქუჱშენი თჳსნი, ვითარცა აჩრდილი გუამსა. — თუმცა თჳთოეული კაცი თანა-მდებ არს, რათა გარე შეიცჳდეს სათნოებასა, ვითარცა ბუნებით სასურუჱლსა და ჰბრწყინვიდეს წინაშე კაცთა კეთილსახილველობითა თჳსითა, გარნა ესე პირველ თქმითა უმეტეს საძიებელ არს მისგან, რომელიცა ღირსებითა და ბედნიერებისა თანა-მოქმედებითა აღყუანებულ იქმნების უმაღლესსა ზედა ხარისხსა..." 5 r — 239 v.

შენიშვნები: 1. უძღვის: ა. თავფურცელი „საპოლიტიკო თეატრი ესე იგი საყოფაქცეო სახილველობა, თარგმნილი ლათინურისაგან ელლინურსა ენასა ზედა უმაღლესისა ყოვლად ბრძნისა უნკრო-ვლახიის მთავრისა ნიკოლაოს მავროკორდატოვისაგან, რომელიცა პირუჱლად გამოიცა ტიპოგრაფიით და მიეძღუანა ძისა მისისა ღვთის მსახურსა და ყოვლად ბრძენსა უმაღლესსა მთავარსა უნგრო-ვლახიისასა უფალსა უფალსა(!) კონსტანტინეს ნიკოლაოსის ძეს მავროკორდატოვსა წარსაგებელითა უჩინებულესისა და სამეუფოჲსა მონასტრისა ყოვლად წმიდისა ღვთისმშობლისა კიკოდ წოდებულისა, რომელიცა არს ქალაქსა შინა კიპრიისასა.

ადგილი ბეჭდისა, ხატი ყოვლად წმიდისა ღვთისმშობლისა კიკოს მონასტრისა შრომითა და გულსმოდგინებითითა მეცადინობითა ყოვლად ღირსისა და უკეთილსწავლულესისა უფლისა სერაფიმ პისიდიელისათა, მისვე სამეუფოჲსა მონასტრის არხიმანდრიტისათა.

დაიბეჭდა იოანეს მიერ ვოტტოლოპ ემმანუილ პერითკოპისა საქსონიის ქალაქსა შინა ლიფსიას **1758** ჩღნჱ. ხოლო ქართულსა ენასა ზედა გარდმოღებულ იქმნა ტფილისს, იერუსალიმის მონასტერსა შინა ეკკლესიასა პატიოსნის ჯუარისასა არხიმანდრიტისა ვენედ[ი]კტესაგან და შეწყობილ იქმნა ქართულსა ენასა ზედა წელსა **1817** ჩყიზ" (1 r — v).

ბ. [სერაფიმ პისიდიელის მიმართვა უნგრო-ვლახიის მთავრის კონსტანტინესადმი] — „უმაღლესო და უაღმატებულესო ღვთის-მსახურო მთავარო, მოწყალეო ჴელმწიფევ! მრავალნი უკუჱ არიან მიზეზნი, რომელთა გამოცა წიგნი, ესეოდენ ჩინებული შეთხზვისამებრ თჳსისა და საკჳრველი ყოვლად ბრძნისა აღმწერელისა მიერ, ეგოდენვე შუჱნიერ და ბრწყინვალე არს ჩვენისამებრცა ენისა, რომელიცა გარდმოღებულ იქმნა უტკბილესსა ფრასსა ზედა უმჭევრმეთქუჱსისა მთარგმნელისა მარად სახსოვრისა თქუჱნის უმაღლესობისა მშობელისაგან..." (2 r — 3 r).

გ. „კითხვის მოყუარეთადმი — უკეთუ ვინმე სიხარულით კმაყოფილ იქმნების აღმოკითხუასა აღმოკითხუასა (!) ზე რომლისამე ძუჱლთა კაცთა ანუ სახელოვანთა ფილოსოფოსთა ისტორიისასა, რაოდენ უმეტეს მიიღებს სიხარულსა და შესაძინელსა საპოლიტიკოჲსა ამის თიატრისაგან..." (4 r — v).

2. ერთვის [პილატე პონტოელის განჩინების პოვნა] — „1550-სა წელსა, კონსტანტინუპოლის იერემიას პატრიარხობისა ჟამსა განჰსცხადნა ვანჩინება ესე პონტოელისა პილატეს მიერ გამოცემული მაცხოვარსა ჩუენსა იესოს ქრისტეს ზედა, რომელი ჰპოვეს ქალაქსა შინა აკილლიასა, რომელიცა ერთსა კლდესა შინა მდებარე იყო შვენიერისა რკინისა კიდობნითა, რომელსაცა შინა იყო სხუა კოლოფი მარმარილოჲსა საკჳრველი და მუნ მას შინა იდუა დაბეჭდულად განჩინებაჲ ესე, ეტრატსა ზედა დაწერილი ებრაულისა ენითა და ითარგმნა ენასა ზედა ბერძულსა, რომელსა შინა წერილ იყო ესრეთ..." შემდეგ მოტანილია დოკუმენტის ტექსტი (240 r — v).

3. კიდეებზე ფანქრით გაკეთებულია შენიშვნები: 39 r, 66 r, 67 r, 68 r, 69 v, 72 v, 75 r, 79 r, 85 r, 86 v, 87 r, 96 v, 97 r, 109 r, 111 r, 130 r, 132 v, 143 r, 180 v.

4. ხელნაწერში ჩადებულია წერილი — „დიმიტრი კონსტანტინიჩ! ამ თქუჱნ დავითიან წიგნს გიგზანით და მადლობას მოგახსენებთ. გარდა ამისა, თუ სხუა წიგნი გახლამთ კარგი საკითხავი, კიდევ გვათხოვეთ. თქვენი მონა ზაალ ჩიკოიძე. **1873** წელს, დეკემბერი, **6** დღეს".

ანდერძები (გადამწერისა): 1. „მებრძანა მისის უგანათლებულესობის რუსეთის ღენერალ-მაიორის და კავალერის და სრულიად სადადიანოს სამფლობელოს მსაჯულთ-უხუცის და სარდალთ-სარდლის და მოურავთ-მოურავის დადიანოვის ნიკოლაოს პირველისაგან მე უღირსს, მდაბალს მონაზონს მარტიმყოფს გრიგორის საღმრთოსა სამოქალაქოსა წიგნისა ამის გარდმოწერად. და აღვსწერე მოკლესა ჟამსა შინა გულსმოდგინედ ბრძანებისამებრ მისისა და მებოძა მისის უგანათლებულესობისაგან სრული შრომის სასყიდელი. ღმერთმან განადიდოს სახელი მისი ორთავე შინა ცხოვრებასა სრულებით, ამინ. **1827** წელსა, ოკდომბრის **14**“ (239 v).

2. „დიდება ღმერთსა ყოველთა კეთილთა სრულმყოფელსა, ამინ. აღიწერა წელსა ქრისტესით **ჩყკზ**-სა, ოკდომბერს **იდ**-სა დღესა“ (240 v).

(1608) **4738**

ვახტანგ VI, დასტურლამალი. XVIII

78 ფ.; 31 × 21; ქაღალდი; ტვიფრული ტყავით შემოსილი მუყაოს ყდა; მხედრული, სათაურები და საზედაო ასოები სინგურით; [XVIII]; დ. ბაქრაძის ბიბლიოთეკიდან; დაუწერელია 1 v.

[ვახტანგ VI, დასტურლამალი] „აწ ვიწყოთ და ამით ყოველთა სცნან და დაიმარხონ წესი და რიგი ესე, თუ რომელი სამსახურის მოქმედნი და მოხელენი დაგვიდგინებია სახელოთა თვისთა ზედან. ესრეთ თვითეულად აღწერილის წიგნითა ამით იცნობდენ და ეგნენ, და ნუმცა ვინ დაკლებულ იქნების ნახევარი ერთ ხანს და ნახევარი მეორე ხანს ცვალებითა და რიგითა სამსახურსა ჩვენსა, რაჟამს რომელსა რიგი აღესრულოს, კვალად სხვა კარისაგან განუყრელად იქმნებოდეს თვისთა უხუცესთა დასტურით და შეკითხვით. პირველ პირველ (!) ჯერ-არს ხსენება და აღწერა, რამეთუ ამათ მიერ არს რიგი პურობისა, წყალობისა და რისხვისა. კარი პირველი. ყოვლისა ჴელოსნისა და მათის სარგოსი. — დაგვიდგენია ეშიკაღასბაშათ არაგვის ერისთვის შვილი ზურაბ და ამილახორის შვილი რევაზ. ეს ორნი ამის სახელონი იყვნენ...“ 2 v — 77 r.

შენიშვნები; 1. გამოცემულია (იხ. დასტურლამალი მეფის ვახტანგ მეექვსისა, რედაქტორობით პეტრე უმიკაშვილისა, ტფილისი, 1886). S—4738 ხელნაწერის ტექსტი წყდება ჲვ თავზე (შდრ. დასახ. გამოცემას, გვ. 39).

2. „დასტურლამალის“ ტექსტს უძღვის: „ეჰა დიდება შენდა, მბადო ყოველთაო, რომელმან ყოველნი არსნი არსებად მოიყ[ვ]ანენ, ხარ და ეგები უკუნისამდე ჟამთა და წელთა და უბერაობითა, და შენ გადიდებენ ყოველნი ქმნილნი ჴელთა შენთანი...“ (2 r — v), (შდრ. დასახ. გამოცემას, გვ. 3—4).

3. ერთვის „ზანდუკი წიგნისა ამის“ (77 v—78 v).

4. ტექსტი ალაგ-ალაგ ნასწორებია სხვა ხელით: ზოგან გადახაზულია, ზოგან კიდეებზე მიწერილია ჩასამატებელი ტექსტი.

მინაწერები: 1. „ეს წიგნი სულხან მდივნისა არის“ (1 r).

2. „ეს დედანი დასტურლამალისა (როგორც წინა ფურცელზე სწერია სულხან მდივნისა) მქონდა პირველად დაბეჭდვის დროსა და ამ დედნის ვარიანტები დაიბეჭდა დასტურლამალის პირველ გამოცემაში ჩემის რედაქტორობით **1886** წელსა **10** მკათათვეს, ტფილისი, პეტრე უმიკაშვილი. ფრიად შესანიშნავი დედანია და კარგი შენახვა უნდა სამუდამოდ დასაცველად. პეტრე უმიკაშვილი“ (2 r).

3. „ესე წიგნი მოგართვი. სიბრძნემან მამისამან, მხოლოდშობილმან ძემან ღვთისამან, ყოვლად კეთილმან ღმერთმან მოგანიჭოს ზეგარდამოითა წყალობითა ნიჭნი კეთილთანი, უფალო თავადო დარჩი ბებუთოვო“ (1 r). ეს მინაწერი ამავე გვერდზე გაკეთებულია სომხურადაც.

(1609) **4739**

მხითარ სევასტიელი, რიტორიკა. 1764

168 ფ.; 15,5 × 10,5; ქაღალდი; მწვანე ტვიფრული ტყავით შემოსილი ხის ყდა; მხედრული, სათაურები და საზედაო ასოები მთავრულით, სინგურით; სათაური შესრულებულია თხზული ასოებით (10 r); 1764 წ. (1 r); დ. ბაქრაძის ბიბლიოთეკიდან; დაუწერელია: 2 r, 9 r — v; აქვს ჭვირნიშანი (ფ. 57).

„თჳს ჴელოვნებისა სარიტორიჲსა ესე იგი სამჭევრმეთქოჲსა. თჳს საზღურისა სამჭევრმეთქოჲსა და წუალებისა ნაწილთა მისთასა. თავი ა. — მჭევრ-მეთქუჱობა, რომელიცა ითქმის რიტორებად, არს ჴელოვნება საკეთილმეთქვო...“ 10 r — 165 r.

შენიშვნები: 1. უძღვის: ა. „...მამათმთავრობასა ანტონისსა წელსა დასაბამითგან სოფლისა **7272**, ჴორციელად შობითგან სიტყჳსა ღმრთისა **1764**, თთუჱსა მეშჳდესა, რიცხუსა **10**“ (1 r). წინ აკლია 1 ფ. (შდრ. H კოლექციის ხელნაწერთა აღწერილობა, I, თბილისი, 1946, გვ. 183, ხელნაწერი № 256).

ბ. „წინასიტყუაობა. ეპისტოლე, მიწერილი ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა ყოვლისა საქართუჱლოჲსა, დავითიან ბაგრატოვანისა, ირაკლის მიმართ მეორისა, ძმისა თჳსისა, მეფისა ყოვლისა საქართუჱლოჲსა დავითიან ბაგრატოვანისა. ირაკლი დავითიან ბაგრატოვანსა, ყოვლად ბრწყინუალესა მეფესა ყოვლისა საქართუჱლოჲსასა, მის მეფობის სიმაღლეს, ჩემს ყოვლად სატრფოს ძმას. — იცის საზოგადომან ჩუჱ[უ]ლებამან, ვითარმედ ყოველნი უმჯობესისა[დ]მი მიმართებენ თავთა თჳსთათჳს, ვითარ-იგი ბრძანებს სჯულიცა ბუნებითი...“ (2 v—8 v). ეპისტოლის სათაური მეორდება 1 v-ზეც.

2. ერთვის „პინაქსსიტყუაობა სარიტორიჲსა ჴელოვნებისა, ესე იგი სამჭევრმეთქვოჲსა...“ (165 v — 168 v).

3. თარგმნილია სომხურიდან ფილიპე ყაითმაზაშვილის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, თბილისი, გვ. 367).

მინაწერები: 1. „17 $\frac{4}{13}$ 85, დღესა ოთხშაბათს“ (169 v).

2. მინაწერებია ქვედა ყდის საცავ ფურცელზე.

(1610) **4740**

კრებული. XIX

68 ფ.; 22 × 18; ქაღალდი; ქაღალდის ყდა; მხედრული; [XIX]; დ. ბაქრაძის ბიბლიოთეკიდან; დაუწერელია: 62 r — 68 v.

1. [ხერხეულიძე ომან], „შემოკლებული ისტორია ცხებულის მეფის თეიმურაზისა და ძისა მისისა მეფის ირაკლი მეორისა, თუ ვითარითა შრომითა, ღვაწლითა და მხნურითა მორბედობითა მოილო მეფობა ქართლოსიანთა ზედა გულოვანმან ირაკლი თეიმურაზის ძემან. — დაჯდა ყენად ძე შაჰ სულთან უსეინისა შაჰ თამაზ წელსა **ჩლკბ**, რომელსა რიცხვსა შინა იჯდა მეფედ ქართლისა ვახტანგ, ძე ლეონისა, ხოლო კახეთს მეფობდა კოსტანდინე (!), ირაკლი პირველისა ძე, რომელსა მეორე სახელად ეწოდა მაჰმად ყული ხან...“ 1 r — 49 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: ტექსტი რედაქციულად განსხვავდება გამოცემისაგან (შდრ. ქართლის ცხოვრება, II, დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, 1854, გვ. 475—500).

2. „შემდგომად წყლის რღვნისა. — ნოეს ძის იაფეტისაგან იყო მესამე თაობა თარგამოს, ამას ესხნეს რუანი ძენი...“ 50 r — 61 v.

შენიშვნები: 1. წარმოადგენს საქართველოს ისტორიის მოკლე კონსპექტს, რომელიც თავდება **1798** წლით: „გიორგი, ძე ირაკლისა — **1798**“.

2. აღწერილია ე. თაყაიშვილის მიერ (იხ. Описание, II, გვ. 689, ხელნაწერი № 416).

მინაწერი: (ექვთიმე თაყაიშვილის ხელით) „61 ფურცელია ამ წიგნში, ე. თ.“ (61 v).

1611) **4741**

დავით და კოსტანტინეს წამება. XIX

16 ფ.; 22 × 17; ქაღალდი; უყდო; მხედრული; [XIX ს.]; დ. ბაქრაძის ბიბლიოთეკიდან.

„თვესა ოკდომბერსა ორსა. წამება და ღვაწლი წმიდათა და დიდებულთა მოწამეთა დავით და კოსტანტინესი, რომელნი იწამნეს ქუÇყანასა ჩრდილოეთისასა. გვაკურთხენ, მამაო! — მეფობასა ბერძენთა ზედა ღუთის-მსახურისა ჰერაკლისასა, ოდეს იგი განაგებდა საბრძანებელსა მისსა კურთხევითა მეფობისა თჳსისათა, განილაშქრა სპარსთა მეფე ხუასრო ქალაქსა მას ზედა ღუთივ დაცულსა წმიდასა იერუსალიმსა...“ 1 r — 16 v.

შენიშვნები: 1. კიდეებზე ფანქრით რუსულ ენაზე გაკეთებულია შენიშვნები.

2. S—4741 ხელნაწერის ტექსტი რედაქციულად მისდევს ს. ყუბანეიშვილის გამოცემას (შდრ. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, თბილისი, 1946, გვ. 233—240).

(1612) **4742**

იტალიურ-ქართული ლექსიკონი. XVIII

26 ფ.; 19 × 13; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული; [XVIII]; გადამწერი: ანტონ (22 v); დ. ბაქრაძის ბიბლიოთეკიდან; დაუწერელია: 8 r — v, 16 r, 17 v, 19 r — v, 26 v. აქვს ჭვირნიშანი (ფ. 23).

[იტალიურ-ქართული ლექსიკონი]. — „Acanito — შხამიანი ძაღლის ყურძენი...“ 1r — 26 r.

შენიშვნები: 1. იტალიურ სიტყვებს ალაგ-ალაგ სხვა ხელით მიწერილი აქვს შესატყვისი ლათინური ფორმები.

2. ლექსიკონში ძირითადად განმარტებულია სამკურნალო მცენარეები.

3. 22 v-ზე რ-ს ბოლოს გადამწერის ხელით მიწერილია ანტონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინაწერები: 1. „Ильи И. Цинамзгварова“ (ფანქრით, ზედა ყდის საცავ ფურცელზე).

2. 6 v-ზე ჩამოწერილია გვარები: „Наказаний: Сумбатов, Картвелов, оба Аракеловы, Ив. Абимеликов, Ио. Абимеликов, То. Резников, Ва. Резников, Ис. Аргутинский, Ми. Аргутинский, Ал. Аргутинский, Зу. Ратиев, Кобиев, Каитмазов, Бектабегов, Вачинадзе, Да. Вачинадзе. Похвала: Дакишевич, Кандинов, Караев — очень хорошо учились“. ბოლო სამი გვარი მიწერილია 5 v-სა და 13 v-ზე.

3. „Шлем: Гедеван, Саам, Каихосро, Иване, Иосеб. ბარბარა“. სხვა მელნით მიწერილია „ზაქარა“ (13 v). იმავე ხელით „ზაქარა“ მიწერილია 17 r-ზეც.

4. „პეტრე ბ῀ზი, კასკალოვი ი῀კო, ნ῀ი კანდინოვი, მ῀ი დაკიშევიჩი, რ῀ა კარაევი, ა῀ლ ბეზირლანოვი, ზ῀ა ყანდინოვი, მ῀ი ყანდინოვი, ი῀ო ენდრონიკოვი, ნ῀ი ენდრონიკოვი, ნ῀ი კარაევი, კო῀ს კანდინოვი, ნ῀ი იეზოვი, ა῀ლ ისარლოვი, ია῀გო ისარლოვი, ილ῀ია(!) ისარლოვი, ი῀ოს ისარლოვი, ი῀ოვ ბუბალოვი, ნ῀ი (?) ბუბალოვი“ (15 v).

5. „გიორგა“ (16 v).

6. „Сие книга принадлежит Яковь Михаилов Г. Сааков. 1841“ (ქვედა ყდის საცავ ფურცელზე).

7. მინაწერებია აგრეთვე 11 v-სა და 13 v-ზე.

(1613) **4743**

ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი. 1773

125 ფ.; 16 × 10; ქაღალდი; ტვიფრული ტყავით შემოსილი მუყაოს ყდა; ახალი რესტავრირებული; ნუსხური, სათაურები და საზედაო ასოები სინგურით; ფერებით შესრულებული თავკაზმულობა (3 r); 1773 წ. (2 r); გადამწერი: იოვანე (87 r); დ. ბაქრაძის ბიბლიოთეკიდან; აქვს ჭვირნიშანი (6, 7 ფ.).

„სძლისპირნი და ღმრთისმშობელისანი საცისკრონი, ო῀გლბსჲ, ჴმაჲ ა. — სასწაულითა იჴსნა ერი უფალმან და ზღუაჲ მღელვარე სიტყჳთ განაჴმო პირველ...“ 3 r — 123 r.

შენიშვნები: 1. გაწყობილია რვა ხმაზე.

2. ხელნაწერს ბოლო ფურცლებად (124, 125 ფფ.) ერთვის რესტავრაციის შედეგად ყდიდან მოცილებული ფურცლები, ნაწერია ნუსხურით, XVIII ს-ის ხელით, შეიცავს ღვთისმშობლის საგალობლებს. 124 ფ-ზე ჩამოწერილია ქართული ანბანი, როგორც ჩანს, ვარჯიშის მიზნით.

3. 1 v-ზე თხზული ასოებით წერია: „სძლისპირი გიხა...“

ანდერძი (გადამწერისა): „ესე გეთხოა ჩემთჳს ბოდიშით და რად ბოდიშით, ვაჲ ამად, ეზდენსა ხანსა მიცნობ და არა მიცან. ჯელად მიიღე და, რა ტკბილ მუსიკობდე, გამიჴსენებდე, მარამ დიდად ვსწუხ ცუდ ხელობისა ამისისათჳს. სიმცროსა ჟამსა წარმიწერია და სწავლაც ამაში მიმიღია. ნუ მეცინები, თუ არ საკადრი იყოს. აპრილის იე, ქ῀კ῀ს უჲა“ (2 r).

მინაწერები: 1. (გადამწერისა, სინგურით, ნუსხურით) „ილი, ილი, რომელ არს ებრაულად ღმერთო, ღმერთო, და შეიწყალე ცოდვილი და ყოვლით ბიწით შესვარული იოვანე“ (87 r).

2. „ეს წიგნი ვაჩუქე სახსოვრად სიძეს დიმიტრი ბაქრაძეს 1878 წელსა მოყვარემ დიმიტრიმ მეღვინეთხუცესოვი“ (123 v).

3. „წელსა ქ̃კსა უოზ ბიძის ჩემის თომას სახლიდამ გამოვედით აპრილის კბ, დღესა კვირიაკესა გიორგობას“ (123 v).

4. „ღმერთო, ანგელოსთ ჴელმწიფევ, კეთილი ქმენ ჩემთვის და მათთვისაც“ (123 v).

5. მინაწერებია აგრეთვე 1 r-ზე.

(1614) **4744**

კრებული. XVIII

77 ფ.; 15 × 10; ქაღალდი; ტვიფრული ტყავით შემოსილი ხის ყდა; ნუსხური, სათაურები და საზედაო ასოები სინგურით; [XVIII]; დ. ბაქრაძის ბიბლიოთეკიდან; დაუწერელია: 2 r — 7 v, 71 v, 72 r — 75 v, 76 v, 77 r — v.

1. „პირველსა შაბათსა წმიდათა მარხვათასა წმიდისა მამისა ჩუენისა ნეკტარი კონსტანტინოპოლელ მამათ-მთავრისა საკითხავი ესე, რომელი აღწერაჲ სასწაულისა მისთჳს წმიდისა თევდორეს მიერ აღსრულებისა, რომელი იგი აღასრულა ყოვლად ქებულმან და უძლეველმან მოწამემან ჟამთა ივლიანე განდგომილისათაჲ, რომელი იკითხვების პირველსა შაბათსა მარხვათასა. მამაო, გუაკურთხენ!—ბრწყინვალე არს და შუჱნიერ დღეს მგალობელთ მთავრისა დავითის თანაგალობად ჩუენდა...“ 8 r — 23 v.

2. „თუესა ოკდომბერსა. წამებაჲ წმიდისა და დიდებულისა მოწამისა დიმიტრისი. მამაო, გუაკურთხენ! — მას ჟამსა შინა უსჯულომან მეფემან მაქსიმიანე დაიმორჩილნა გუთნი და სავრომატნი და მოვიდა თესალონიკელთაჲ ქალაქსა და მუნ იყოფებოდაჲ...“ 24 r — 35 r.

შენიშვნა: ტექსტი კიმენური რედაქციისაა, თარგმნილია ექვთიმე ათონელის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 123).

3. „თუესა აგჳსტოსსა კთ. თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ანდრიაჲ იერუსალჱმელისა კრიტელ მთავარებისკოპოსისა თავის კუჱთისათჳს(!) წმიდისა და დიდებულისა წინამორბედისა ნათლისმცემელისა იოვანესსა. მამაო, გუაკურთხენ! — ჰკრთების სიბერ[ე], ვითარცა მრავალსახედ მორთხმული ძარღუჱბითა გულსმოდგინებისათა და სიტყუაჲ უძლური განძლიარდების...“ 35 v — 71 r.

შენიშვნა: ხელნაწერს ახასიათებს ჲმეტობა.

მინაწერები: 1. „ყოვლად წმიდაო დედოფალო, დამიცევ და დამიფარე ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა და ნუ მიმანდობ მე კაცობრივსა განზრახვასა. არავინ მივის თვინიერ შენსა არც ცასა და არცა ქვეყანასა ზედა. შემიწყალე მე ფრიად ცოდვილი გლახაკი ბერი თეოფანე“ (1 v).

2. „თეოფანე იყო პაპიჩემის ძმა მეღვინეთუხუცესოვი, რომელიც გაჰყ...“ (1 v). მინაწერი დიმიტრი მეღვინეთუხუცესისა უნდა იყოს (შდრ. ხელის მიხედვით S—4743 ხელნაწერის 123 v-ზე დიმიტრი მეღვინეთუხუცესის ხელით გაკეთებულ მინაწერს).

3. „პატარა რევაზ დაიბადა გიორგობის თვის კჱ დღესა, ოთხშაბათსა, ქ̃კს უოა“ (76 r).

ეროვნული ბიბლიოთეკა

(1615) **4745**

სამთვარიო. 1844

42 ფ.; 10,5×8 ქაღალდი; ხის ყდა; მხედრული, საზედაო ასოები სინგურით; 1844 წ. (39 r); გადამწერი: დიაკვანი ნიკო (40 r); დ. ბაქრაძის ბიბლიოთეკიდან; აქვს ჭვირნიშანი (ფ. 21).

„მთოვარის მსრბოლობა. — თვითოეულსა მთოვარესა აქუს დღე ოცდაცხრა, ნახევარი დღისა ანუ ღამისა და ჟამისაცა ნახევარი და მეხუთე ნაწილი საათისა...“ 1 r—39 v.

შენიშვნა: 39 v-ზე ჩამოწერილია თვეები და გასწვრივ მიწერილია რამდენ დღიანია თითოეული მათგანი.

ანდერძები: (გადამწერისა) 1. „დასრულდა სამთვარიო ესე **ჩყმდ**-სა წელსა ივლისის ვ-სა (39 r).

2. „აღიწერა ხელითა ჩემითა კერძო დიაკვნის ნიკოს მიერ. შეცთომა თუ რამე ნახილოთ, ნუ მწყევთ, არამედ შემინდევით, მამანო და ძმანო“ (40 r).

მინაწერები: 1. „ეს წიგნი ეკუთნის ნინა ქაიხოსროვნას“ (1 r).

2. ეს წიგნი ეკუთნის ნინო მიქელაძის ასულს და მოახმაროსო“ (41 r).

3. „**1847** года мая **20**-го дня მიიცვალა ნეტარხსენებული მარიამ აბაშიძის ასული“ (40 r).

4. „**1855** умер Давид Цулукидзе (ქვედა ყდის საცავ ფურცელზე).

5. მინაწერებია აგრეთვე ზედა და ქვედა ყდის საცავ ფურცლებზე, 40 v, 41 r — v.

(1616) **4746**

მარხვანი. XVIII

469 ფ.; 15,5 × 10,5; ქაღალდი; ტვიფრული ტყავით შემოსილი ხის ყდა; ქვედა ყდის საცავად გამოყენებულია ნუსხურით ნაბეჭდი ფურცელი; ნუსხური, სათაურები და საზედაო ასოები სინგურით; სათაური შესრულებულია თხზული ასოებით (1 r); [XVIII].

„იწყებიან წმიდანი მარხვანი მეზუერისა და ფარისევლისანი კჳრიაკესა. ო͠ო ღ͠ღყჲ პირველად აღდგომისანი, მერმე ესე ჴმაჲ ა. ეჰა დიდებული საკჳრველი.—ნუმცა ვილოცავთ ფარისევლებრ, ჵ ძმანო, რამეთუ რომელმან აღიმაღლოს თავი თჳსი, დამდაბლდეს...“ 1 r — 23 v.

„ყველიერისა ორშაბათსა ცისკრად ხუცდრნი. ჴმაჲ ა. მონებისა. ბრწყინავს წინა დღესასწაული ესე მარხვისა და მოღუაწებისა...“ 23 v — 69 v.

შენიშვნა: შეიცავს: ა. შიოს საგალობლებს—„სხუანი გალობანი წმიდისა შიოსნი, რომელთა თავნი იტყჳან: არსენი ქართლის კათალიკოზი შიოს უგალობ“ (40 r — 44 v).

ბ. „სწავლანი სულიერნი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა თეოდორე სტოდელთა წინამძღუარისა თჳსთა მოწაფეთა მიმართ“ (63 v — 65 r).

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ორშაბათსა პირველსა შჳდეულისასა მარხვისათჳს და უვნებელობისა, რომელი თქუა დაწყებასა მარხვათასა. გუაკურთხენ, მამაო! — ძმანო და მამანო, მარხვისა ესე ჟამი, ყოველსავე წელიწადსა შინა შეერთებული, მსგავს არს ნავთსაყუდელსა რასამე უღელვოსა, რომელსა შინა შევლენ ყოველნი კაცნი და იშუებენ მყუდროებითა სულიერითა...“ 69 v — 119 r.

„ორშაბათსა მეორესა შჳდეულისასა, რათა არა გჳყვარდენ სოფლისა ამის საშუებელნი სურვიელთათჳს საუკუნეთა კეთილთასა. გუაკურთხენ, მამაო! — ძმანო და მამანო, სარბიელსა წმიდათა მარხვათასა წინამდებარედ აქუს ღუაწლი მარხვისა...“ 119 r — 154 r.

„ორშაბათსა მესამისა შჳდეულისასა მადლობისათჳს და მოთმინებისა. გუაკურთხენ, მამაო! — ძმანო და მამანო, რომელთა ესე სანთლად მგზებარედ გუაქუს სიყუარული უფლისაჲ და სურვილი საუკუნეთა მათ კეთილთა თანა გუაც, რათა მარადღე აღუგებდეთ ზეთსა მას სიპოხისასა...“ 154 r — 195 r.

„ორშაბათსა მეოთხესა, რათა განვეკრძალნეთ სწავლისაგან და მხილებათა წმიდათა მამათასა. გუაკურთხენ, მამაო! — ძმანო და მამანო, ვინათგან საქმედ ჩემ... სიტყუაჲ მოცემულ არს, სწავლისა არა ჯერ-არს უდებებაჲ...“ 195 r — 241 r.

„ორშაბათსა მეხუთესა საღმრთოსა მოქალაქობისათჳს და შურისა კეთილისა და სათნოებათა წარმართებისათჳს. გუაკურთხენ, მამაო! — ძმანო და მამანო და შვილნო სულიერნო, კუალად ვიწყებ მივლინებად თქუენდა ჩუეულებისაებრ სიმდაბლისა ჩემისა სიტყუათა გრილთა და უნდოთა...“ 241 r — 304 v.

შენიშვნა: შეიცავს „გალობანი სინანულისანი, თქმულნი წმიდისა ანდრია იერუსალემელ კრიტელისნი“ (260 r — 262 r).

„ორშაბათსა ვ, ვერაგობისათჳს მზაკვრობისა მის გუელისა და ვითარმედ ჭეშმარიტითა სიმდაბლითა და გზასა სამეფოსა სლვითა განვერნეთ მისთა მრავალ-სახეთა მანქანებათაგან. — ძმანო და მამანო, დღეთა ამათ შინა წმიდათა ყოველთავე თანა-მაც სწავლა...“ 304 v — 357 r.

„დიდსა ორშაბათსა ცისკრად ალ˜ჲსა ზედა, ღ გ˜ი. — აჰა ესერა სიძე მოვალს შუვაღამესა და ნეტარ არს მონა იგი, რომელი იპოოს მღჳძარედ...“ 357 r — 469 v.

შენიშვნა: კიდეებზე გატანილია საგალობელთა ავტორები: თეოფანე (14 r, 145 r), იოსებ (26 r, 63 v, 65 r, 71 v, 84 v, 86 v, 125 v, 196 v), თეოდორე (63 r, 87 r, 145 v), რომანოზ (60 v), არსენი (108 v), კოზმან (347 v, 357 v), ანდრია (376 r).

მინაწერები: (მხედრულით) 1. „დავით“ (1 r).

2. „ბზობის დღეს ოქროპირით უნდა წირვა“ (351 r).

3. მინაწერებია აგრეთვე: 351 v, 388 v, 469 v და ქვედა ყდის საცავ ფურცელზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(1617) **4747**

კრებული. XVIII

376 ფ.: 29 × 19; ქაღალდი; ტვიფრული ტყავით შემოსილი ხის ყდა; ნუსხური, სათაურები და საზედაო ასოები სინგურით, საზედაო ასოები მთავრულით; სათაური შესრულებულია თხზული ასოებით (1 r); [XVIII ს.]; ნაკლული; ხელნაწერის ფურცლები დაზიანებულია და ძველი რესტავრირებულია; აქვს ჭვირნიშანი (ფ. 322).

I. „დასდებელნი აღდგომისანი ო´ო ღ´ღყჲ, ჴმაჲ ა. — სამწუხრონი ლოცვანი ჩუენნი შეიწირენ, წმიდაო უფალო, და მოვუმადლე ჩუენ მიტევებაჲ ცოდვათა...“ 1 r — 152 v.

შენიშვნა: გაწყობილია რვა ხმაზე.

II. [სადღესასწაულო] 1. „თუესა სეკდენბერსა აქუს დღე ლ, დღეთა აქუს ჟამი იბ და ღამეთა ჟამი იბ. თუესა სეკდენბერსა ა, დაწყებაჲ ინდიკტიონისა ახლისა წელიწდისა და წმიდისა მამისა ჩუენისა სჳმეონისა და ჴსენებაჲ, წმიდისა ღვთისმშობელისა მასიანეს შინა...“ 153 r — 156 r.

2. „თუესა სეკდენბერსა ე, წმიდისა წინაწარმეტყუელისა ზაქარიასი ნათლისმცემლის მამისა...“ 156 r — 157 v.

3. „თუესა სეკდენბერსა ვ, მიქაელ მთავარანგელოზისა ხონას...“ 157 v — 159 r.

4. „თუესა სეკდენბერსა ჱ, შობაჲ წმიდისა ღვთისმშობელისა...“ 159 v — 163 r.

5. „თუესა სეკდენბერსა იგ, სატფურებაჲ წმიდისა ქრისტეს აღდგომისა და წმიდისა კორნილიე ასისთავისა და წინა დღე ჯუარის ამაღლებისა...“ 163 r — 164 v.

6. „თუესა სეკდენბერსა იდ, ამაღლებაჲ პატიოსნისა ჯუარისა და დაძინებაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისა...“ 165 r — 169 v.

7. „თუესა სეკდენბერსა კ, წმიდისა დიდებულისა მოწამისა ევსტათისი...“ 169 v — 171 r.

8. „თუესა სეკდენბერსა კგ, მუცლად ღებაჲ წმიდისა იოანე ნათლისმცემლისა და დადუმებაჲ ზაქარიასი...“ 171 r — 173 r.

9. „თუესა სეკდენბერსა კდ, წმიდისა და დიდებულისა პირველ-მოწამისა თეკლასი...“ 173 r — 174 v.

10. „თუესა სეკდენბერსა კვ, მიცვალებაჲ წმიდისა იოანე მახარებლისა და ღვთისმეტყუელისა...“ 174 v — 177 r.

11. „თუესა სეკდენბერსა ლ, წმიდისა გრიგოლი პართეველისა...“ 177 r — 178 v.

12. „თუესა ოკდონბერსა ა, საგალობელი სუჱტისა ცხოველისა და კუართისა საუფლოსა და კათოლიკე ეკლესიისა...“ 178 v — 183 r.

13. „თუესა ოკდონბერსა გ, წმიდისა დიონოსი არიოპაგელისა...“ 183 r — 185 r.

14. „თუესა ოკდომბერსა ვ, წმიდისა თომა მოციქულისა...“ 185 r — 186 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

15. „თუესა ოკდომბერსა ზ, წმიდათა მოწამეთა სერგის და ბაქოსი...“ 186 v — 187 v.

16. „თუესა ოკდომბერსა იჱ, წმიდისა მოციქულისა და მახარებელისა ლუკასი...“ 187 v — 189 r.

17. „თუესა ოკდომბერსა კ, წმიდისა და დიდებულისა მოწამისა არტემისი...“ 189 r — 190 r.

18. „თუესა ოკდომბერსა კა, წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა ილარიონისი...“ 190 r — 191 r.

19. „თუესა ოკდომბერსა კბ, წმიდისა მამისა ჩუენისა მოციქულთა სწორისა ამბერკისი, იერაპოლელ ეპისკოპოსისა, და წმიდათა შჳდთა ყრმათა ეფესელთა...“ 191 r — 192 r.

20. „თუესა ოკდომბერსა კგ, წმიდისა იაკობ, ძმისა უფლისა...“ 192 r — 193 r.

21. „თუესა ოკდომბერსა კვ, წმიდისა და დიდებულისა მოწამისა დიდისა დიმიტრისი...“ 193 r — 195 v.

22. „თუესა ნოენბერსა აქუს დღე ლ, დღეთა აქუს ჟამი ი და ღამეთა ჟამი იდ. თუესა ნოენბერსა ა, წმიდათა და საკჳრველთმოქმედთა კოზმან და დამიანესი...“ 195 v — 197 v.

23. „თუესა ნოენბერსა გ, წმიდათა მოწამეთა აკეფსიმა და აითალასი და იოსებ და წმიდისა გიორგის სატფურება ლუდიას შინა...“ 197 v — 198 v.

24. „თუესა ნოენბერსა ვ, წმიდისა მამისა ჩუენისა პავლე აღმსარებელისა...“ 198 v — 200 r.

25. „თუესა ნოენბერსა ჱ, კრებაჲ წმიდათა მთავარანგელოზთა მიქაელ და გაბრიელისი...“ 200 r — 203 v.

26. „თუესა ნოენბერსა ია, წმიდათა მოწამეთა მინა, ბიკტორ და ბიკენტისი და წმიდისა სტეფანიდასი და წმიდისა თეოდორე სტუდელისა...“ 203 v — 204 v.

27. „თუესა ნოენბერსა იბ, წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე მოწყალისა და წმიდისა მამისა ჩუენისა ნილოსი...“ 204 v — 206 r.

28. „თუესა ნოენბერსა იგ, წმიდათაგანისა მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისა...“ 206 r — 210 r.

29. „თუესა ნოენბერსა იდ, წმიდისა მოციქულისა ფილიპესი...“ 210 r — 212 r.

30. „თუესა ნოენბერსა ივ, წმიდისა მოციქულისა და მახარებლისა მათესი...“ 212 r — 213 v.

31. „თუესა ნოენბერსა იზ, წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლი საკჳრველთმოქმედისა. ამასვე დღესა წმიდისა მოწამისა მიქაელ ქართველისა, რომელსა ეწოდა გობრონ...“ 213 v — 215 v.

32. „თუესა ნოენბერსა ით, წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ილარიონ ქართველისა...“ 215 v — 217 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

33. „თუესა ნოენბერსა კ, წინა დღე ტაძრად მიყვანებისა ყოვლად წმიდისა ღვთისმშობელისა და წმიდისა მამისა ჩუენისა პროკლე კონსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისა და ღირსისა გრიგოლი ათქალაქელისა...“ 217 v — 219 r.

34. „თუესა ნოენბერსა კა, ტაძრად მიყვანება ყოვლად წმიდისა დედოფლისა ჩუენისა ღვთისმშობელისა...“ 219 r — 222 r.

35. „თუესა ნოენბერსა კდ, წმიდისა დიდისა მოწამისა ეკატერინესი და წმიდისა მოწამისა მერკჳრისი...“ 222 r — 224 r.

36. „თუესა ნოენბერსა კე, წმიდისა კლემენტოზ, ჰრომთა პაპისა და პეტრე ალექსანდრიელისა...“ 224 r — 225 v.

37. „თუესა ნოენბერსა კზ, წმიდისა მოწამისა იაკობ სპარსისა...“ 225 v — 227 r.

38. „თუესა ნოენბერსა კჱ, წმიდისა მამისა ჩუენისა სტეფანე ახლისა და წმიდისა მოწამისა ირინარხოსი...“ 227 r — 228 r.

39. „თუესა ნოენბერსა ლ, წმიდისა და ყოვლად ქებულისა მოციქულისა ანდრიასი...“ 228 r — 230 r.

40. „თუესა დეკენბერსა დ, წმიდისა მოწამისა ბარბარასი და წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე დამასკელისა...“ 230 r — 232 r.

41. „თუესა დეკენბერსა ე, წმიდისა მამისა ჩუენისა საბასი...“ 232 r — 234 v.

42. „თუესა დეკენბერსა ვ, წმიდისა და ნეტარისა ნიკოლოზისა, მირონ ქალაქისა ლუკიის ეპისკოპოსისა...“ 234 v — 237 r.

43. „თუესა დეკენბერსა ზ, წმიდისა მამისა ჩუენისა ამბროსი მედიოლანელ ეპისკოპოზისა...“ 237 r — 238 r.

44. „თუესა დეკენბერსა თ, მუცლადღება დედის დედისა ღმრთისა წმიდისა ანნასი...“ 238 r — 239 r.

45. „თუესა დეკენბერსა ი, წმიდათა მოწამეთა მინა, ერმოგენი და ევგრაფოსი...“ 239 r — 240 v.

46. „თუესა დეკენბერსა იბ, წმიდისა მამისა ჩუენისა სფირიდონისი...“ 240 v — 242 v.

47. „თუესა დეკენბერსა იგ, წმიდათა მოწამეთა ევსტრატი, ავქსენტი, ევგენი, მარდარი, ორესტი და წმიდისა ლუკიასი...“ 242 v — 246 r.

48. „თუესა დეკენბერსა იზ, წმიდისა წინაწარმეტყუელისა დანიელისი და წმიდათა სამთა ყრმათა ანანია, აზარია და მისაელისი...“ 246 r — 249 v.

49. „თუესა დეკენბერსა კ, წინა დღე ქრისტეს შობისა და წმიდისა მღდელ-მოწამისა ეგნატი ღმერთშემოსილისა...“ 249 v — 251 v.

50. „თუესა დეკენბერსა კდ, წინა დღე ქრისტეს შობისა და წმიდისა მოწამისა ევგენიასი...“ 251 v — 258 r.

51. „თუესა დეკენბერსა კე, შობაჲ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი ბეთლემს წმიდისა ქალწულისა მარიამისგან...“ 258 r — 263 v.

52. „თუესა დეკენბერსა **კგ**, კრებაჲ ყოვლად წმიდისა ღვთისმშობლისა და ჴსენებაჲ წმიდათა და მართალთა დავით, ღმრთისა მამისა იოსებ მართლისა და იაკობ ძმისა...“ 263 v — 265 r.

53. „თუესა დეკენბერსა **კზ**, წმიდისა პირველ-მოწამისა სტეფანესი...“ 265 r — 266 r.

54. „თუესა დეკენბერსა **კჱ**, წმიდათა ჩჩჳლთა ყრმათა, რომელნი ჰეროდეს მიერ მოისრნეს და წმიდისა მარკიანესი...“ 266 r — 267 r.

55. „თუესა იანვარსა აქუს დღე **ლა**, დღეთა აქუს ჟამი **ი** და ღამეთა ჟამი **იდ**. თუესა იანვარსა **ა**, წინადაცუეთა უფლისა ჩუენისა იესუს ქრისტესი და წმიდისა მამისა ჩუენისა დიდისა ბასილისი...“ 267 r — 271 r.

56. „თუესა იანვარსა **ბ**, წინა დღე განცხადებისა და წმიდისა მამისა ჩუენისა სილიბისტრო ჰრომთა პაპისა...“ 271 r — 273 v.

57. „თუესა იანვარსა **ე**, წინა დღე ნათლისღებისა და წმიდისა სჳნკლიტიკესი და წმიდისა მოწამისა თეონასი...“ 273 v — 278 v.

58. „თუესა იანვარსა **ვ**, განცხადება და ნათლისღება უფლისა ჩუენისა იესუს ქრისტესი...“ 278 v — 285 v.

59. „თუესა იანვარსა **ზ**, წმიდისა წინაწარმეტყუელისა წინამორბედისა ნათლისმცემლისა იოანესი. ამასვე დღესა წმიდისა მოწამისა აბო ქართველისა, ტფილისისა ქალაქსა შინა წამებულისა...“ 285 v — 288 r.

60. „თუესა იანვარსა **ი**, წმიდისა გრიგოლ ნოსელისა და წმიდისა მარკიანე, მამისა ჩუენისა დიდისა ეკლესიისა იკონომოსისა...“ 288 r — 289 r.

61. „თუესა იანვარსა **ია**, წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა თევდოსი ზოგად-ცხოვრებულისა...“ 289 r — 291 r.

62. „თუესა იანვარსა **იდ**, წმიდისა დედისა ჩუენისა ნინო მოციქულისა...“ 291 r — 294 r.

63. „თუესა იანვარსა **იე**, წმიდათა და ღირსთა მამათა ჩუენთა პავლე თებელისა და იოანე გლახაკისა და წმიდისა მოწამისა პანსოფისა...“ 294 r — 295 r.

64. „თუესა იანვარსა **ივ**, თაყუანის-ცემა პატიოსანთა ჯაჭუთა პეტრე მოციქულისათა...“ 295 r — 296 v.

65. „თუესა იანვარსა **იზ**, წმიდისა მამისა ჩუენისა დიდისა ანტონისი...“ 296 v — 298 r.

66. „თუესა იანვარსა **იჱ**, წმიდისა დიდისა ათანასესი და კჳრილესი...“ 298 v — 299 r.

67. „თუესა იანვარსა **ით**, წმიდისა მაკარი მეგჳპტელისა და წმიდისა თეოდოტი მღდელთ-მოძღურისა...“ 299 r — 300 v.

68. „თუესა იანვარსა **კ**, წმიდისა მამისა ჩუენისა დიდისა ეფთჳმისი...“ 300 v — 302 v.

69. „თუესა იანვარსა **კა**, წმიდისა მაქსიმე აღმსარებელისა და წმიდისა ნეოფიტე მონაზონისა და წმიდისა აღნისი...“ 302 v — 304 r.

70. „თუესა იანვარსა **კბ**, წმიდისა ტიმოთე მოციქულისა და ანასტასი სპარსისა...“ 304 r — 305 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

71. „თუესა იანვარსა **კგ**, წმიდისა და დიდებულისა კლიმი და აღათანგელესი...“ 305 v — 307 r.

72. „თუესა იანვარსა **კდ**, წმიდისა და საკჳრველთმოქმედისა ქსენისი...“ 307 r.

73. „თუესა იანვარსა **კე**, წმიდისა და ღმრთშემოსილისა გრიგოლი ღვთისმეტყველისა...“ 307 r — 309 r.

74. „თუესა იანვარსა **კზ**, ნაწილთა აღმოყვანებაჲ წმიდისა იოანე ოქროპირისათა...“ 309 r — 312 v.

75. „თუესა იანვარსა **კთ**, წმიდისა ეგნატის ნაწილთა მოყვანებაჲ ...“ 312 v — 314 r.

76. „თუესა იანვარსა **ლა**, წმიდათა მოწამეთა კჳროს და იოანესი და მათ თანა წმიდათა ქალწულთა ...“ 314 r — 315 r.

77. „თუესა ფებერვალსა აქუს დღე **კჱ**, დღეთა აქუს ჟამი **იბ** და ღამეთა ჟამი **იბ**. თუესა ფებერვალსა **ა**, წინა დღე მიგებებისა უფლისა ჩუენისა იესუს ქრისტესი და წმიდისა და დიდებულისა მოწამისა ტურიფონისი...“ 315 r — 316 v.

78. „თუესა ფებერვალსა **ბ**, მიგებებაჲ უფლისა ჩუენისა იესუს ქრისტესი, რომელი მეორმოცესა დღესა ტაძრად მიიყვანა წმიდამან ღვთისმშობელმან...“ 316 v — 319 v.

79. „თუესა ფებერვალსა **გ**, წმიდისა სჳმეონ მართლისა და წმიდისა ანნასი...“ 319 v — 320 v.

80. „თუესა ფებერვალსა **ჱ**, წმიდისა და დიდებულისა მოწამისა თეოდორე სტრატილატისა...“ 320 v — 321 r.

81. „თუესა ფებერვალსა **იზ**, წმიდისა და დიდებულისა მოწამისა თეოდორე ტირონისა...“ 321 r — 322 r.

82. „თუესა ფებერვალსა **კდ**, თავის პოვნა წმიდისა იოანე ნათლისმცემელისა...“ 322 r — 324 r.

83. „თუესა მარტსა **თ**, წმიდათა და ყოვლად ქებულთა ორმეოცთა მოწამეთა...“ 324 r — 325 v.

84. „თუესა მარტსა **კდ**, წინა დღე ხარებისა...“ 325 v — 326 v.

85. „თუესა მარტსა **კე**, ხარება ყოვლად წმიდისა ღვთისმშობელისა...“ 326 v — 329 v.

86. „თუესა აპრილსა აქუს დღე **ლ**, დღეთა აქუს ჟამი **იგ** და ღამეთა ჟამი **ია**. თუესა აპრილსა **ა**, წმიდისა დედისა ჩუენისა მარიამ მეგჳპტელისა ...“ 329 v — 330 v.

87. „თუესა აპრილსა **კგ**, წმიდისა და დიდებულისა მოწამისა გიორგისი...“ 330 v — 333 v.

88. „თუესა აპრილსა **კე**, წმიდისა და ყოვლად ქებულისა მარკოზ მახარებელისა...“ 333 v — 334 v.

89. „თუესა აპრილსა **ლ**, წმიდისა მოციქულისა იაკობ, ძმისა წმიდისა იოანე მახარებელისა...“ 334 v — 335 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

90. „თუესა მაისსა აქუს დღე **ლა**, დღეთა აქუს ჟამი **იდ** და ღამეთა ჟამი ი. თუესა მაისსა **ბ**, წმიდი[სა] მამისა ჩუენისა დიდისა ათანასესი...“ 335 r.

91. „თუესა მაისსა **ზ**, გამოჩინებაჲ პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯუარისა, რომელი გამოჩნდა ზედა წმიდასა გოლგოთას ჟამსა მესამესა დღისასა ნათლის სახედ კოსტანტინეს ზჱ მეფისა ძისა დიდისა კოსტანტინესსა...“ 335 r.

92. „თუესა მაისსა **ჱ**, წმიდისა იოანე მახარებელისა და ღვთისმეტყუჱლისა...“ 335 r.

93. „თუესა მაისსა **ი**, წმიდისა მოციქულისა სიმონ მოშურნისა...“ 335 r — 336 r.

94. „თუესა მაისსა **კა**, წმიდათა მეფეთა კოსტანტინე და ელენესი...“ 336 r — 337 r.

95. „თუესა მაისსა **კდ**, წმიდისა და ღმერთ-შემოსილისა მამისა ჩუენისა სჳმიონ (!) საკჳრველთ-მოქმედისა...“ 337 r – 338 v.

96. „თუესა მაისსა **კე**, მესამედ თავის პოვნა წმიდისა იოანე ნათლისმცემელისა...“ 338 v.

97. „თუესა ივნისსა აქუს დღე **ლ**, დღეთა აქუს ჟამი **იე**, და ღამეთა ჟამი **თ**. თუესა ივნისსა **ჱ**, წმიდისა და დიდებულისა მოწამისა თეოდორე სტრატილატისა...“ 338 v.

98. „თუესა ივნისსა **ია**, წმიდათა მოციქულთა ბართლომესი და ბარნაბაჲსი...“ 338 v.

99. „თუესა ივნისსა **იდ**, წმიდისა წინაწარმეტყუელისა ელისესი...“ 340 v — 341 v.

100. „თუესა ივნისსა **ით**, წმიდისა იუდა მოციქულისა ..“ 341 v — 342 v.

101. „თუესა ივნისსა **კდ**, შობაჲ წმიდისა იოანე ნათლისმცემელისა...“ 342 v — 346 r.

102. „თუესა ივნისსა **კჱ**, ნაწილთ აღმოყუანებაჲ წმიდათა და საკჳრველთ-მოქმედთა კჳროს და იოანესი...“ 346 r.

103. „თუესა ივნისსა **კთ**, წმიდათა და ყოვლად ქებულთა თავთა მოციქულთა პეტრესი და პავლესი...“ 346 r — 349 r.

104. „თუესა ივნისსა **ლ**, წმიდათა ათორმეტთა მოციქულთა და გიორგი მთაწმიდელისა.. “ 349 r — 351 v.

105. „თუესა ივლისსა აქუს დღე **ლა**, დღეთა აქუს ჟამი **იდ** და ღამეთა ჟამი **ი**. თუესა ივლისსა **ა**, წმიდათა და საკჳრველთ-მოქმედთა მკურნალთა კოზმან და დამიანესი...“ 351 v.

106. „თუესა ივლისსა **ბ**, დადება პატიოსნისა სარტყლისა... ღვთისმშობლისა ვლაქერნას...“ 351 v — 352 v.

107. „თუესა ივლისსა **ჱ**, წმიდისა დიდებულისა მოწამისა პროკოპისი...“ 352 v — 354 v.

108. „თუესა ივლისსა **იგ**, მიქაელ მთავარანგელოზისა...“ 354 v.

109. „თუესა ივლისსა **იე**, წმიდათა მოწამეთა კჳრიკე და ივლიტასი...“ 354 v — 355 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

110. „თუესა ივლისსა იგ, ჴსენებაჲ წმიდათა მამათა ქლ, რომელნი შეკრბეს ქალკიდონს მეოთხესა კრებასა...“ 355 v — 357 r.

111. „თუესა ივლისსა იზ, წმიდისა და დიდებულისა მოწამისა მარინასი...“ 357 r — 358 r.

112. „თუესა ივლისსა კ, წმიდისა წინაწარმეტყუელისა ელიასი... 358 r—360 v.

113. „თუესა ივლისსა კბ, წმიდისა მარიამ მაგდანელისა...“ 360 v—361 v.

114. „თუესა ივლისსა კე, დაძინებაჲ წმიდათა და მართალთა იოვაკიმ და ანნასი, მშობელთა წმიდისა ღვთისმშობელისათა, და ჴსენებაჲ წმიდათა დედათა ევპრაქსია და ულუმპიასი...“ 361 v — 362 v.

115. „თუესა აგჳსტოსსა აქუს დღე ლა, დღეთა აქუს ჟამი იგ და ღამეთა ჟამი ია. თუესა აგჳსტოსსა ა, გამოჩინებაჲ პატიოსნისა ძელისა ცხოველსმყოფელისა ჯუარისა და ჴსენებაჲ შჳდთა ძმათა წმიდათა მოწამეთა მაკაბელთა და დედისა მათისა სოლომონიდასი და მოძღვრისა მათისა ელიაზარისი...“ 362 v — 364 v.

116. „თუესა აგჳსტოსსა ბ, აღმოყვანებაჲ ნაწილთა პირველ-მოწამისა სტეფანესთა...“ 364 v.

117. „თუესა აგჳსტოსსა ვ, ფერისცვალებაჲ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი...“ 364 v — 368 r.

118. „თუესა აგჳსტოსსა თ, წმიდისა მოციქულისა მატათასი...“ 368 r—369 r.

119. „თუესა აგჳსტოსსა იე, მიცვალებაჲ ყოვლად წმიდისა ღვთისმშობელისა...“ 369 r — 372 r.

120. „თუესა აგჳსტოსსა კთ, თავის კუეთა წმიდისა და დიდებულისა წინაწარმეტყუელისა წინამორბედისა და ნათლისმცემლისა იოანესი...“ 372 v — 376 v.

წყდება: „...გალობით ვადიდებდეთ ზეცისა ძალთა თანა მოციქულთა...“

შენიშვნები: 1. კიდეებზე გატანილია საგალობელთა ავტორები: თეოფანე (306 r, 362 r), იოსებ (310 r, 375 r), იოანე (314 r, 371 r), ტარასი (338 v), თეოფანე (339 r), გერმანოს (343 r), ანდრია (363 r, 375 v).

2. „სადღესასწაულო“ ტრადიციული ძველი რედაქციისაა.

(1618) 4748

ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი. 1730

03 + 242 ფ.; 22 × 16,5; ქაღალდი; ტვიფრული ტყავით შემოსილი ხის ყდა; მხედრული, დასაწყისები სინგურით; 1730 წ. (199 r); გადამწერი: მხატვრის ძე ალექსი (214 v); დაუწერელია: 215 v, 217 r — 222 v, 225 v, 241 v — 242 v.

[ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი]. — „ა ჴმიანი, თავი, ბოლო. აქა იწყების ლექსიკონი ქართული განმარტებულად ენათა, რომელსა თანავე ენა თურქთა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სომეხთა უწერია. ა ეთავების ყოველსა სიტყუასა და ებოლოებისცა. ჰა 18 ჰკვ-შირში, აქა დასჭრვიტენ, სწავლის მოყუარეო, ვითარ ძნელ არს ფილასოფოსთა ენანი, არამედ გემოან და საწადელ...“ 8 r — 215 r.

შენიშვნები: 1. ლექსიკონს უძღვის: ა. „ცნობისათვის და უწყებისათჳს ჭეშმარიტად, რომელნი მოგვითხრნა ჩვენ მოძღვართა“ (1 r — 2 v). ეს ტექსტი გამოცემულია მ. შანიძის მიერ (ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები X — XIII საუკუნეების ხელნაწერების მიხედვით, თბილისი, 1960, დანართი II, გვ. 461 — 466).

ბ. „ან-ბანნი სასწავლონი ყრმათა მიერ“ (3 r).

გ. „რიცხვი ქართულთა ანბანთა“ (3 v — 5 r).

დ. „საქცევნი ხუთთა ასოთა და სხვათა თავ-ბოლოთანი“ (5 r — 6 r).

ე. „ანდერძნამაგი მუშაკისა ფრიად დამაშვრალისა მოსწავლ[ე]თათვის, ხოლო მრავალნი მოსწავლენი მგმობარ და მოკიცხარ ექმნებიან შრომისათვის და არა სარეწავად მისცემენ შენდობასა“ (6 r — v), მერმე ხელნაწერს აკლია.

2. ლექსიკონს ერთვის: ა. „რიცხვი ჩინელთა“ (212 v).

ბ. „დღეთა სახელნი ძველი ქართული“ (212 v).

გ. „ათორმეტთა ზოდიაქოთა სახელები“ (213 r).

დ. „ქართული მოკლე რაც ვთარგმნე“ (213 r — 214 v).

ე. „იესო ქრისტეს სამეოცდაათორმეტი მოწაფეთ სახელები“ (216 r — v).

ვ. [ქელთა და ათცხრამეტური] (223 r — 225r).

ზ. [რიცხვი პასექთა] (226 r — 240 v).

3. რედაქციულად ეს ლექსიკონი დგას S — 2498 და ქუთ. 300 შორის. S — 2498 გამოცემაში D ლიტერითაა აღნიშნული, ქუთ. 300 — Cq ლიტერით (იხ. ს.-ს. ორბელიანი, თხზულებანი, IV, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ილია აბულაძემ, თბილისი, 1965).

4. ხელნაწერს დართული აქვს მინიატურა ბერის გამოსახულებით (ამ სურათის შესახებ იხ. ა. ლ. ქუთათელაძე, სულხან-საბა ორბელიანის მინიატურული პორტრეტი და მისი შემსრულებელი ალექსი მესხიშვილი, საბჭოთა ხელოვნება, № 10, 1959, გვ. 17 — 20. ბ. კ. კეკელიძე, სულხან-საბა ორბელიანის პორტრეტისათვის, კომუნისტური აღზრდისათვის, № 3, 1960, თბილისი, გვ. 87 — 89).

5. ხელნაწერი მხატვრულადაა გაფორმებული, 02 v-ზე ჯვარის გამოსახულებაა. სალექსიკონო ასოები მოხატულია სინგურით, ს-ში ჩაწერილია „ალექსი“ (125v), ხ-ში — „ჴელითა ალექსისათა“ (199 v).

ანდერძი: 1. „ჵი ტკბილო იესო, მაცხოვნე ფრიად ცოდვილი მნუსხველი ამა წიგნისა (მომდევნო სიტყვა „ალექსი“ გადაშლილია), ნაღველთაგან შეპყრობილ ვიყავ და მტერთაგან დასაკლავად მიცემულ და სასოწარკვეთ[ი]ლ ვიყავ ყოვლისა საქმისაგან. არამედ რაოდენ ძალ-მედვა, აღმადგინა უფალმან წყლული და მწარედ გულ-კაეშანშემოყრილი და ძლით უნდო ესე ვიმუშაკე. ფიქრითა და ნაღვლითა სრულ იქმნა ლექსიკონი ესე. რომელი დედანში ეწერა, მეც ის დავწერე. რომელიცა იხილოთ ამა წიგნსა გინა კეთილ, გინა ბოროტ, მე არცეთში შუა ვარ. ორივ, დასაწუნი გინა მოსაწონი, დედნისა არის, მე გადმოწერის მეტში არას შუა ვარ. ამისთვი[ს] დავშვერ, რამეთუ ნაღვლისაგან მწარე უდებება შემექმნის და უდებების განმაქარვებლად ესე მოვიგონე, რათა არა მომეწყინოს ყოვლადვე შემწეობითა წმიდათა მამათა ჩვენთათა.

ღაღადებს სისხლი ჩემი წინაშე მართლმსაჯულისა მიმართ შორის ჩემსა და შორის ნათესავთა ჩემთა, რომელთა შემასმინეს წინაშე უსჯულოთა, რამეთუ ყუეს შეთქმულება ურთიერთას ესრეთ, რამეთუ ამას მრავალი განძი მეფეთა აქვს და სხვაცა მრავალი სიტყუა დაარწმუნეს უსჯულოთა და განუკითხავად სიკუდილსა მიმცეს. არამედ ძლივ ქრისტემან მიჴსნა, სისხლი ვიყიდე. მცირედ ვთქვი ჩემი ტანჯვა, რამეთუ აქ არ აღიწერება და გძელი იქმნებოდა. მრავალი ძვირი და განსაცდელი მოაწიეს ჩემ ზედა. რომელთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოაწიეს, ესეა სახელები მათი (სახელები გადაშლილია და აღარ იკითხება). ქ˜ქს ჳ˜იႺ“ (199 r).

2. „დაიწერა ჴელითა მხატვრის ძის ალექსისათა“, ქვევით თხზული ასოებით წერია: „მონისა ღვთისა ჴელოვანისა მწერალ-მწიგნობარ-მგალობელისა“ (214 v).

3. „პასექის“ ბოლოს მიწერილია ანდერძი: „დასასრული წმიდათა პასექთა, რომელი არს სამარადისოდ მბრუნავი ხუთას ოცდათორმეტს წელიწადსა შინა და კუალად თავითგანვე იწყებიან, ესრეთ საუკუნოდ სრულ არს თავის ზედნადებით და ნაკით. რამდენსაც მარტსა თუ აპრილს აღდგომა გათენდეს, მის წლის მარხვა, ჴსნილი თუ ბედნიერი დღე, ზევით კინკლოსში იძიეთ, რომელი არს შეკრებული ერთად სამარადისო ყოველი აღდგომა მარტის კბ აპრილს კე, ამაების კარებში ყოველსავე ჰპოებთ. ხოლო ესრეთ სრულ იქმნა ჴელთის რიცხვით მონისა ღმრთისა მღუდლის ალექსის დეკანოზისათა, რომლისათვის არად საჴმარ იყო დედანი რიცხვთა ამათთვის, ქრისტეს აქეთ **1737**. ღმერთო, კეთილად აღგვასრულებინე რიცხვი პასექთა ჩუენ დეკანოზს ალექსის. უჴმს უგულებელს ყოფა გარდამწერთა მშრომელთა ამის“ (240v.).

მინაწერები: 1. „ე—ერთი ფული, ი—ორი ფული, კ—ერთი ბისტი, ლ—ექუსი ფული, მ—ორი ბისტი, ნ—ერთი შაური, ჲ—სამი ბისტი, ო—თოთხმეტი ფული, პ—ოთხი ბისტი, ჟ—თვრამეტი ფული, რ—ორი შაური, ს—ერთი აბაზი, ტ—ექუსი შაური, უ—ორი აბაზი, ფ—ათი შაური, ქ—სამი აბაზი, ღ—თოთხმეტი შაური, ყ—ოთხი აბაზი, შ—თვრამეტი შაური, ჩ—ერთი მილანთული, ც—ორი მილანთული, ძ—სამი მილანთული, წ—ოთხი მილანთული, ჭ—ხუთი მილანთული, ხ—ექვსი მილანთული, ჴ—შვიდი მილანთული, ჯ—რვა მილანთული, ჰ—ცხრა მილანთული, ჵ—ერთი თუმანი“. ქვევით მიწერილია: „დავითი“ (01).

2. „იოელ ალექსევი“ (03 v).

3. „პეტრე უმიკაშვილისა, Петра Умикова“ (1 r, 8r).

4. „№ 06. ეს ლექსიკონი ეკუთუნის იოელ ალექსიევს“ (8r).

5. „შეწევნითა ღვთისათა **1835 ჩყლე**-სა წელსა, ოკტომბრის **18** დღესა, პარასკებს, პატარა ქალი ელენე დაიბადა შუაღამიდამ მეოთხე სა[ა]თზედ. მთვარე იყო ცხრისა, თავადი ალექსანდრე სუმბატოვის ასული. ნათლიად იყვნენ გრიგოლ ბებუთოვი, იაგორ სტეფანიჩი სუმბატოვი, დავით აფხაზის კნეინა დარუხა და პაპოვის ცოლი“ (241r).

6. „**1836**-სა წელსა გიორგობის **28** დღესა, კვირა ღამეს პატარა ქალი მელანია დაიბადა შუაღლიდამ მეთერთმეტე სა[ა]თზედ. ნათლიად იყვნენ: იასე ერისთოვი და ჩუმბაროვის ცოლი ელისაბედ“ (241r).

7. „**ჩყლႺ 1838**-სა წელსა თებერვლის **28**-სა დღესა ორშაფათს პატარა ქალი ნინო დაიბადა შუაღლიდამ მეთორმეტე სა[ა]თზედ, მთვარე იყო თოთხმეტისა“ (241r).

8. მინაწერებია აგრეთვე 02 r, 189r, ქვედა ყდის საცავ ფურცელზე.

(1619) **4752**

ჯუარის გზა. XIX

6 ფ.; 20,5 × 15,5; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული; [XIX ს.]; აქვს ჭვირნიშანი (ფ. 4,5).

„ჯუარის გზა, გინა ჯვარაზიდულის ქრისტეს მგზავრობის კაპპეთით გოლგოთამდის, საფიქრებელნი ათოთხმეტთაგანი წესისამებრ ადგილთა მათ წმიდათა იერუსალ[ე]მისათა. — სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა, ამენ. ღმერთო, შეწევნასა ჩემსა მოხედენ. უფალო, შეწევნად ჩუენდა ისწრაფე. დიდება მამასა და ძესა და

სულსა წმიდასა, ვითარცა პირველად იყო აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ. ქება შენდა უფალო, მეუფეო დიდებისა საუკუნოსაო. 1. პირუელსა ადგილსა ამასა ქრისტეს გაასამართლებენ ჯვარსაცმელად. თათყუანსა (!) გცემთ შენ, ქრისტე, და გაკურთხებთ შენ, რამეთუ წმიდისა ჯუარისა მიერ შენისა დაიხსენ ქუეყანა...“ 1r—6r.

შენიშვნა: 6r-ს ქვედა კიდეზე და 6v-ზე მინაწერია ლათინურად.

(1620) **4753**

იავორსკი სტეფანე, სასწაული ანტექრისტეს მოსვლისა. XVIII

164 ფ.; 20,2 × 16,5; ქაღალდი; ტვიფრული ტყავით შემოსილი ხის ყდა; მხედრული, სათაურები და საზედაო ასოები სინგურით; [XVIII]; ჭვირნიშანი: 1752 (ფ. 12); დაუწერელია: 1r—2v, 25v, 26r, 146v.

[იავორსკი სტეფანე], „სასწაული ანტექრისტეს მოსვლისა და ამ სოფლის აღსრულებისა. თავი პირველი, პირველისა მის სასწაულისათვის მოსულისა ანტექრისტესისა წინამორბედობითა, რომელ არს მოოხრება და [ა]ღსასრული რომლისა (!) პელმწიფებისა.—ხოლო თესალონიკელთა და კოლასელთა იხილეს რა ფიცხელი ჟამი იგი, რომელსაცა ჟამსა იყუნენ სოფელსა ამას, წმიდა იგი მოციქულნი ჰგონებდენ უკვე მოახლებასა უკანასკნელისა მის ჟამისა ანტექრისტესისასა...“ 52r—163v.

შენიშვნები; 1. ტექსტი თარგმნილი ჩანს მოსკოვის 1703 წ. გამოცემიდან.

2. უძღვის: ა. 1703 წ. მოსკოვური გამოცემის თავფურცლის ტექსტი: „სასწაული ანტექრისტეს მოსვლისა და ამ სოფლის აღსრულებისა სამღთოთაგან წერილთა გამოჩენილი. მოციქულთაგან კითხვა: შენი რა არს სახელდება სასწაული მოსვლისა შენისა და სოფლისა ამის აღსრულებისა? მათესა შინა **კდ** თანაშეხმობითა.

დაიბეჭდა ბრძანებითა კეთილისმყოფელისა დიდისა პატრონისა ჩვენისა მეფისა და დიდისა მთავრისა პეტრე ალექსივიჩისათა, ყოვლისა დიდისა და მცირისა თეთრისა რუსეთისა თვითმპყრობელისათა, და ჟამსა კეთილად შობილისა პატრონისა ჩვენისა მეფის შვილისა და დიდის მთავრისა ალექსი პეტრეს შვილისათა, ხოლო კურთხეულითა ყოველთა მათ სამღვდელოთა კრებათათა (!) შორის პატრიაქობისა სამეუფოსა შინა დიდად სახელდებულისა ქალაქსა მოსკოვს, წელსა დასაბამითგან სოფლისა ამის **ჴსიბ**, ხოლო შობითგან განჴორციელებისა მღ͠თისა სიტყვისათა **ჩღგ**, ინდიკტიონს **იბ**, თვესა ნოენბერსა **ია**“ (3r—v).

ბ. თავფურცელს მოსდევს მოციქულთა წიგნებიდან ამოწერილი ციტატები ანტექრისტეს მოსვლისათვის და „წინამეტყველება კეთილის მყოფელთა მკითხველთა მიმართ“ (3 v—52r).

3. ტექსტს მოსდევს: „მწუხარებათაგან მრავალთა და სნეულებათაგან გულისათა აღვსწერე თქვენდა მრავლითა ცრემლითა არა ვითარცა რათა მწუხარე იქმნეთ, არამედ რათა სცნოთ სიყვარული, რომელი გუაქვნ ნაყოფიერად თქვენდა მომართ. მეორე კორინთელთა, თავი **ბ**“ (163v).

4. ეს თარგმანი განსხვავებულია ამავე თხზულების ვახუშტისეული თარგმანისაგან (შდr. A—58).

5. ამ თხზულების შესახებ იხ. ტ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, XVI—XVIII სს., თბილისი, 1960, გვ. 216—218

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანდერძი (გადამწერის ხელით): „ამას ყოველთა მღ̃თივ განბრძნობილთა წმიდისა ეკლესიათა მართალმადიდებელთა კათოლიკისა აღმოსავლეთისასა განსამზღურებითა ჴელ-გიდებ თქვენ მზასა გამართვად, უკეთუ იყოს ამაში შეცოდებანი რომელნიმე“ (164 r).

(1621) **4756**

სიმოკლე საქრისტიანო მოძღვარებისა. XVIII

125 ფ.; 14,3×10; ქაღალდი; ტვიფრული ტყავით შემოსილი ხის ყდა, ზემო ყდაზე გამოსახულია ჯვარცმა; ზემო ყდის საცავი ფურცელი ძველი რესტავრირებულია, რესტავრაციისათვის გამოყენებულია მხედრულით ნაწერი ფურცელი; მხედრული, სათაურები და დასაწყისები სინგურით; [XVIII]; ფ. 35,36 ძველი რესტავრირებულია; დაზიანებულია ფ. 13, აგრეთვე ქვედა ყდის საცავი ფურცელი; აქვს ჭვირნიშანი (ფ. 125).

„სიმოკლე საქრისტიანო მოძღვარებისა. ა თავი, სარგებლისათვის საქრისტიანო მოძღვარებისა.—

მ. საჭირო არს საქრისტიანო მოძღვარება თუ არა?

შ. საჭირო არს, ოდეს ცხონება გვინდა...“ 2r—125v.

შენიშვნები: 1. უძლვის თავფურცელი: „თარგმანი ხუცურ სიტყვათა: ვ̃ა—ვითარცა, ყ̃დ—ყოვლად...“ (1v). ჩამოწერილია ხშირად ხმარებული დაქარაგმებული სიტყვები და მათი შესაბამისი გახსნილი ფორმები.

2. თხზულება შეიცავს 6 თავს, დაწერილია კითხვა-მიგების სახით მოძღვარსა და მოწაფეს შორის, შიგადაშიგ ჩართულია „მოთხრობები“. ტექსტი ლათინურიდან ჩანს თარგმნილი.

3. ხელნაწერში ჩაღებულია დაბეჭდილი წიგნიდან ამოჭრილი სურათი, ქვევით მიწერილია იტალიურად: „T o m a s o di villa Noua“.

4758

რუსთაველი შოთა, ვეფხისტყაოსანი.

ნომერი გაუქმებულია, ხელნაწერი ამჟამად გატანილია S-5006 ნომრით. ხელნაწერი ძველი ნომრით აღწერილია ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს მიერ (იხ. Описание, II, გვ. 566).

(1622) **4774**

ანტონ I, წყობილსიტყვაობა. 1792

01+135 ფ.; 16,3×10,5; ქაღალდი, სხვადასხვა: თეთრი და ცისფერი; ტვიფრული ტყავით შემოსილი ხის ყდა; მხედრული, სათაურები და საზედაო ასოები სინგურით, მთავრულით; 1792 წ. (133r); გადამწერი: ერისთავის ძე გიორგი (133r); დაუწერელია: 01v, 10v, 134r—135v; ჭვირნიშანი: 1790 (132 ფ.).

„წიგნი წყობილსიტყუაობა. ნაწილი პირუელი, ღუთისმეტყუჱლებისათჳს. თავი პირუელი, თჳს სამობისა და ერთობისა.—

ერთ არს ზესთა დაუსაბამო კეთილ,
ზესთნათლოვანი ერთობა სამპირებით,
უდასაბამო და უმიზეზო ყოფის,
ერთის წყაროსგან ორნი ნექტარნი მყოფნი...“ 11r—132r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნები: 1. უძღვის: ა. „წინასიტყუაჲბა წინამდებარისა წიგნისა ხუთტაეპოვანთა სტიხთა ანუ შაირთა, ქმნილი გაიოსის მიერ არხიდიაკონისა.—

წინასიტყუაობით შეყუანილებათა რა
ვაწინმდებარებთ ანტონი ყოვლად ბრძნისთა
შუჱნიერ თქმათა, სტიხთა წყობილსიტყუათა...“ (1r—4r).

წინასიტყვაობის დასაწყისი სამი სტრიქონი წერია 01 r-ზეც.

ბ. „პინაქსი წყობილსიტყუაობისა...“ (4v—10r).

2. ერთვის: ა. „ქმნილი მცირისა ტრიფილესაგან დიაკონ-მონაზონისა—

ეს წყობილ-სიტყუა განკარგულ ქმნილ, თხზულ, ლექსულ
არს ანტონისგან ყოვლად ბრძნის, ბრძენთ უბრძნესის...“
(132v—133r).

ბ. „თჳს სახელწოდებისა მისის უწმ[ი]დესობისა.—

დღე ესე მჳსგავს არს დღისა მეერგასისა,
ჩუჱნთჳს ანტონი ახალ მეტაფისიკოს...“ (133r).

3. გამოცემულია პლ. იოსელიანის მიერ (წყობილსიტყუაობა, ქმნილი ანტონისაგან პირუჱლისა, დაბეჭდილი ტფილისს, 1853 წ.)

ანდერძი (გადამწერისა): „სრულ იქმნა წელსა **1792**, თთუჱსა ივლისსა **27** გიორგისაგან ერისთჳს ძისა, დროსა სიყრმისასა პალატსა შინა საპატრიარხოსა“ (133v).

(1623). **4775**

ანტონ I, გრამატიკა. 1789

139 ფ.; 32,8 × 21,5; ქაღალდი, ცისფერი; ტვიფრული ტყავით შემოსილი ხის ყდა; მხედრული, სათაურები მთავრულით; 1798 წ. (137v); გადამწერი: ერისთავის ძე გიორგი (137v); დაუწერელია: 3v, 50v, 97v, 138r—139v; ჭვირნიშანი: 1796 (116 ფ.)

⟨ანტონ I⟩, „თჳს ჳელოვნებისა ღრამმატიკოსობითისა. ნაწილი პირუელი, რომელსა შინა მარტივად მდებარე არიან თჳთოეულნი ნაწილნი სიტყუათანი მაგალითებითურთ, რომელიცა ზეპირებად სათანადო არიან ღრამმატიკაჲსა მოწაფე ქმნილთა. თავი პირუელი, ბრუნუათათჳს სახელთასა. § 1 — რიცხუსა შორის ჩუენ მიერ განჰსჯითა შემოყუანილნი ბრუნუანი სახელთანი არიან რუა...“ 4r—137r.

შენიშვნები: 1. ტექსტს უძღვის: ა. „შეყუანილება წიგნისა ღრამმატიკაჲსა, მიწერილი მოძღუართად და მოწაფეთად ღრამმატიკაჲსათა ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა ყოვლისა ზემოჲსა საქართუჱლოჲსათა“ (1r—v).

ბ. „პინაქსი ღრამატიკაჲსა“ (2r—3r).

2. გრამატიკის ტექსტი რედაქციულად მიყვება 1885 წლის გამოცემას (შდრ. ქართული ღრამმატიკა, შედგენილი ანტონ I-ის მიერ, თბილისი, 1885).

ანდერძი: **17 $\frac{10}{12}$ 98**, იყავნ სადიდებელად შენდა, სიტყუაო და სიბრძნეჲ ღუთისაჲ, და უბიწოდ მშობელისა შენისა ყოვლად კურთხეულისა დედოფლისა. მწერალი ამისი ჳევედრები მხილველთა ამისთა ცთომის მოტევებასა. თთუჱსა ივნისსა **12**, ერისთჳს ძე გიორგი“ (137v).

ეროვნული ბიბლიოთეკა

(1624) **4776**

ანტონ I, კატიღორია სიმეტნე. XVIII

I + 189 ფ.; 13,5 × 9,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფრული ყდა; მხედრული (სათაურები ასომთავრულით); [XVIII ს.]; გადამწერი — გიორგი ერისთჳს ძე (189r); დაუწერელია: 1, 2 და 5 ფფ.

„ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა დავითიანისა კატიღორიათა არისტოტელითთად შეყუანილებაჲ. — საჭირო ვიდრემე არს სიბრძნის-მოყუარებისად მოწაფე ქმნილთა ცნობაჲ, რაოდენ გვარობს ზედმიწევნილებაჲ კაცობრივი...“ 6r—145v.

შენიშვნები: 1. ტექსტს წინ უძღვის: ა. თავფურცელი: „სადიდებელად ცხოველსმყოფელისა თანაარსისა და განუყოფელისა სამებისა ანტონისაგან არხიეპისკოპოსისა, ყოვლისა ზემოჲსა საქართუჱლოისა დავითიან-ბაგრატოვანისა, ქმნილი ანუ თქმული წიგნი კატიღორიაჲ სიმეტნეჲ, და ჰსჯილი მისგან ჭმასა ზედა არისტოტელისსა შედგომითავე მისითა, მაკრა სხუათაცა სხოლასტიკოსთა და ახალთა ფილოსოფისთა განსაზღურებათაგან და გარდამოცემათა მოღებული. ხოლო წინადადებული თჳსისა სხოლისა მოწაფეთად, დროსა ყოვლად ბრწ[ყ]ინუალისა უკეთილმსახურესისა და უმაღლესისა ირ[ა]კლი მეორისა, მეფისა ყოვლისა ზემოჲსა საქართუჱლოჲსასა, ხოლო მამათ-მთავრობასა თჳსისასა. წელსა დასაბამითგან სოფლისა 7275, ჴორციელად შობითგან სიტყჳსა ღმრთისა 1767, თუჱსა მერუჱსა, რიცხუსა 9. დაიწერა ახალსა გნოსისსა შინა სამეფოსა მისისა მეფობის უმაღლესობისასა“ (1r—v).

ბ. „წინასატყუაობა (!) წინამდებარისა წიგნისა ხუთნაწილოვანთა, ანუ დასდებელთა ზედა ცხრა რიცხუთა ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა დავითიანისა. — 1. „არ სილაღითმან კადრმან გუათანადა ჩუენ ახლად ხელყოფად ქუჱთქმულებანი ძუჱლნი...“ (3r—4v).

2. ერთვის „პინაქსსიტყუაობ[ა] ჩუენ მიერთა შეყუანილებათა კატიღორიათა სიმეტნეთა, და რომელთამე ჰსჯილთა ჩუჱნ მიერ ქართულსა ალფავიტასა ზედა...“ (147 r — 189 r).

3. 34v-ზე მოთავსებულია არსების სქემა.

4. იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1951, გვ. 357.

ანდერძი: „იყავნ სადიდებელად ემმანუილისა და უბიწოდ მშობელისა მისისა, ამინ. მოქმედი გიორგი ერისთჳსძე“ (189r).

(1625) **4788**

ბაუმეისტერი, ფილოსოფია ყოფაქცევათა მოძღურებისა. 1779

I + 260 ფ.; 14 × 9,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფრული მუყაოს ყდა; მხედრული (სათაურები ასომთავრულით); 1779; გადამწერი — იოანე ოსესძე (259r); შემომწირველი — ქაიხოსრო ქავთარაძე; დაუწერელია: 4v, 259v, 260r—v.

[ბაუმეისტერი] (ფილოსოფია ყოფაქცევათა მოძღურებისა). — თავი პირველი. „საქმეთათჳს კაცობრივთა და განწუალებისა მათისა, ოდეს ფილოსოფიასა შინა ითიკასა მჩუჱნებელსა, ვითარმე ნივთთა მწადნე ყოფად და რომელთაგანმე განშორებად...“ 10r—220v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნები: 1. ტექსტს წინ უძღვის: ა. თავფურცელი: „ფილოსოფია ყოფაქცევათა მოძღურებისა. ზედ-დადგინებანი, რომელნი შეიცუჩნ ბუნებითსა სამართალსა, ითიკასა და პოლიტიკასა“ (1r).

ბ. „პინაქსი საყოფაქცეოსა ფილოსოფიისა...“ (2r—4r).

გ. „წინასიტყუაობა საითიკოჲსადმი ფილოსოფიისა.—უკეთუ ვშურებით ჩუენ ამისთჳს, რაჲთა უცხადესად გამოვაჩინენითმცა კანონნი...“ (5r—10r).

2. საყოფაქცეო ფილოსოფიის შედგენილობა: I. „თავი პირველი. საქმეთათჳს კაცობრივთა და ვანწუალებისა მათისა“ (10r — 95r).

II. „ფილოსოფიისა საპრაქტიკოჲსა ნაწილი მეორე, ზედ-დადგინებანი ბუნებითისა სამართლისანი“ (95v — 165v).

III. „ფილოსოფიისა საპრაქტიკოჲსა ნაწილი მესამე. ზედ-დადგინებანი საითიკოჲსანი ანუ ყოფაქცევათა მოძღურებითისა ფილოსოფიისა ესთა შემოკლებით ზედწოდებულისანი“ (166r — 220v).

3. ტექსტს ერთვის: „ზედ-დადგინებანი პოლიტიკისანი, ესე იგი სამოქალაქოჲსანი. წინასიტყუაობა. — ფილოსოფია პრაქტიკა იპყრობს თჳს შორის სამთა ვიდრემე სწავლათა, ვითარ-იგი ზემო ითქუა მისთჳს“... (221r — 258v).

4. ტექსტს ახლავს მრავალი სქოლიო, რომელიც ანტონ კათალიკოსს ეკუთვნის. ყოველი სქოლიოს ბოლოში მიწერილია ნუსხურად ანტონი. (იხ. 14v, 16r, 23v, 26r, 46v, 57v, 60v, 74r, 104v, 108v, 111v, 114r, 141v, 150v, 160v და სხვ.).

5. იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ I, 1951, გვ. 357.

ანდერძი: „იყავნ სადიდებელად შენდა მხოლოდშობილო სიტყუაო მამისაო და უბიწოდ მშობელისა შენისა, მარიამ ყოვლად უკურთხეულესისა დედუფლისა. 1779 წ. 16.4 სრულ იქმნა ჩემ მიერ ყოვლად ულირსისა ხუცისა იოანე ოსესისა“ (259r).

მინაწერები: 1. გადამწერის ხელით. „გაქებ, გაკურთხევ, გმადლობ და გადიდებ შენ, ღმერთსა ჩემსა, ცხოველმყოფელსა სულსა მით, რამეთუ ყოველივე ნიჭთა შენ მიერ წარმართებაჲ შენ მიერვე მიეცემის თჳთოეულთა“ (259r).

2. „იმერეთის მიტროპოლიტი დავით გარდაიცვალა იდ-სა ფებერვალსა ჩყნგ-სა წელსა. ქუთაისი“ (260r).

3. „სამეგრელოს მთავარი დავით დადიანი გარდაიცვალა წელსა ჩყნგ-სა, ლასა აგვისტოსა“ (260v).

4. „ჩყნა წელში იყო დალამება ნაშუალამევის ექვს საათზე, ივ-ს კათათვეს. შემდეგ ისევ მზე გამოვიდა“ (Ir).

5. „ქაიხოსრო ქავთარაძის შემოწირული“ (საცავი ფურცლის შიდა მხარე).

(1626) **4789**

ხრონოგრაფი. 1815

358 ფ.; 31 × 20,5 სმ; ქაღალდი (ლურჯი და თეთრი); მხედრული (სათაურები სინგურით, საზედაო ასოები ასომთავრულად); ტყავგადაკრული ტვიფრული მუყაოს ყდა; 1815 წ., გადამწერი — ანჩისხატის კანდელაკის შვილი დავით დიაკონი (358v); შემომწირველი — ივანე გიუნაშვილი.

„შემოკლებით მოთხრობა, დაწყებული დასაბამითგან სოფლისა მეფობადმდე კოსტანტინე პალეოლოლოსა უკანასკნელისა ბერძენთა მეფისა, რომელსა ხონოღროფი ეწოდების. წიგნი ა. — სათნო უჩნდა სიბრძნითა შემოქმედსა მას ღმერთსა და უფალსა ჩუენსა, რათა შექმნას სოფელი ესე მრავლითა სიბრძნითა მისითა...“ 1 r — 353 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნები: 1. ერთვის „ზანდუკი წიგნისა ამის საქმეთა, რომელსა გარეშეიქავს შემოკლებით მოთხრობა, დაწყებული დასაბამითგან სოფლისა მეფობადმდე კოსტანტინე პოლეოლოღოსა, უკანასკნელ ბერძენთა მეფისა“ (354r — 358v).

2. ხრონოღრაფი ქართულად თარგმნეს ბაგრატ სოლოღაშვილმა და არჩილ მეფემ (იხ. H-294 ხელნაწერის ანდერძი, 128r).

3. იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1951, გვ. 469.

ანდერძი: „სრულ იქმნა ხელითა ანჩისხატის კანდელაკის შვილის დიაკონის დავითისათა 1815-სა წელსა, 22-სა სეკდემბერსა, დღესა სამშაბათსა. მხილველთა გევედრებით, რათა არა მოიღოთ ჩემდამი გიობა შეცთომისათჳს“ (358v).

მინაწერი: „ივანე გიუნაშვილისაგან 1908 V — 26“ (ყდის შიდა მხარე).

(1627) **4795**

კრებული. XIX

167 ფ.; 20,5 × 15,5 სმ; ქაღალდი (ლურჯი); ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული; [XIX ს.]; ჭვირნიშანი — 1819 წ; დაზიანებულია.

1. „წიგნი სიბრძნე სიცრუვისა, ნათქვამი სულხან ორბელიანისა ჟამსა სიჭაბუკისა თვისისა. — იყო ჴელმწიფე ერთი, რომლისა საქმენი არავისგან მოიგონებიან, რომლისა სიკეთისა და სიქველისაგან ევე ოდენი მოწყალებანი შეეკრიბნა გულსა თვისსა“... 2r — 132v.

შენიშვნები: 1. ხელნაწერს წინ უძღვის „სიბრძნე სიცრუის“ ტექსტის დასაწყისი ნაწილი, სხვა ხელით შესრულებული (1 v).

2. ტექსტი გამოყენებულია 1959 წლის გამოცემაში; ეკუთვნის მეორე რედაქციას (იხ. სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. I, 1959, გვ. 269).

(ჩარდავრიშიანი). — „...დასაწყისი მესამეს დავრიშისაგან, რომელი იყო სპარსი. წამოიჩოქა და მწარედ ამოიოხრა და დაიწყო ტირილი...“ 133r—168r.

წყდება: „...ჴელმწიფეს გული ეტკინა და მანცა ბევრი იტირა. იმ ყმარწვილს გული დაუამა და ამბვის თქმა უბრძანა. მოჰყვა ის ყმაწვილი თავისის ამბვის თქმას და იწყო...“

შენიშვნები: 1. ტექსტი ნაკლულია, შეიცავს მხოლოდ მეხუთე კარს (იხ. დავრიშიანი, გამოცემა პირველი, 1876 წ).

2. ხელნაწერის ტექსტი გამოცემული ტექსტისაგან განსხვავდება.

3. იხ. კ. კეკელიძე, ძვ. ქართული მწერლობის ისტორია, ტ. II, 1952, გვ. 338.

4. ხელნაწერის საცავ ფურცელზე და ყდის შიდა მხარეს არის მინაწერები უწიგნური ხელით.

მინაწერები: 1. (ანბანთქება). —

„ან ალვად ნაზარდო ნიარჩო,
ბან ბროლთ ნათალ მინაო“... (1r).

2. „თალხად მოსილსა, შემოსილსა, ვეტრფოდი მარად,
ხელმწიფად ჩემთვის ღმერთსა ერთარს მარად და მარად“ (168v).

შენიშვნა: ამ ლექსის ავტორი S—2531 ხელნაწერის მიხედვით არის სოლომონ ონიკოვი (იხ. S ფონდი ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. IV, № 2531 : 26).

ეროვნული ბიბლიოთეკა

H—2761 ხელნაწერის მიხედვით კი — ბ ე ს ი კ ი (იხ. H ფონდის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ტ. VI, № 2761 : 1). ბ ე ს ი კ ი ს თხზულებათა ახალ გამოცემაში ეს ლექსი შეტანილი არ არის (იხ. ბ ე ს ი კ ი, თხზულებანი, ტექსტი, შენიშვნები, ლექსიკონი, ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს ა და ვ. თ ო ფ უ რ ი ა ს რედაქციით, 1962).

4797

წერილები მარი ბროსესადმი.

ნაწილი გადატანილია მ. ბროსეს არქივში: № 4, 5, 6, 27—145, 147—151, 153—158, 161—163, 164, 165, 166.

ნაწილი — მელვინეთ-უხუცესის არქივში: № 22, 53.

(1628)

4798

ვახტანგ VI, სამართლის წიგნი. XVIII

34 ფ.; 22,5 × 16 სმ; ქაღალდი; უყდო; მხედრული; თავ-ბოლონაკლული; [XVIII ს.].

⟨ვ ა ხ ტ ა ნ გ VI კ ა ნ ო ნ ე ბ ი, მუხ. 5⟩. — „...ჰკითხოს ღმრთის წინაშე, რასაც მიხვთეს, სწორე და მართალი უნდა თქვას და არ დაზოგოს და არც არავის მიეფეროს. მეფის ვორგულობისა, ღალატისა, რა ჭმალში გატარებისა, სალაროსა და საყდრისა გატეხისა, მსგავსსა ამათებრზე ამ წესით, რომე ვორმოცსა და ან ნაკლებს დღემდის ალოცონ, თვითო წიგნი დაუწერონ...“ 1r—34v.

წ ყ დ ე ბ ა: „...თუ უშვილო კაცმა ერთი მტყვე იყიდოს და ან ისე უცხო იშვილოს, ხელმწიფით მოსამართლით სახლის კაცის ნებით როგორც მართალი, ისე შვილი იქნება. ბატონსაც ემსახუროს და თუ რამე ვალი აქვს, ისიც მისცეს“.

შენიშვნები: 1. ტექსტი დამუხლულია, შეიცავს 125 მუხლს.

2. გამოცემული ტექსტის მიხედვით ხელნაწერი იწყება 5 მუხლიდან და თავდება 261 მუხლით.

3. ტექსტი ზოგან შეცვლილია, ტოვებს გამოკრებილის შთაბეჭდილებას (იხ. ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, ი. ე ნ უ ქ ი ძ ი ს გამოცემა, 1955).

(1629)

4799

კრებული. XIX

8 ფ.; 17,5 × 22 სმ.; ქაღალდი; უყდო; მხედრული; [XIX ს.]; თავ-ბოლონაკლული.

1. ⟨ხ ი ლ თ ა ქ ე ბ ა⟩. —

„... და სუფრას ავავსებ ნიადაგ იაგუნდითა და ლალითა.
შვინდმა თქო: ტურფა ხილი ვარ, არ გავერევი ლალშია...“
1r—2r.

შენიშვნები: 1. ტექსტს აკლია დასაწყისი.

2. ტექსტი შეიცავს შემდეგ ხილთა ქებებს: შვინდის, კომშის, თურინჯის, მსხლის, ღეღვის, ხურმის, წაბლის, ზეთისხილისა და კოწახურის.

3. ტექსტი რედაქციულად განსხვავდება თ ე ი მ უ რ ა ზ II, გ. ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ი ს ა და გ. ჭ ა ბ უ კ ა შ ვ ი ლ ი ს ხილთა ქებისაგან (შდრ. თ ე ი მ უ რ ა ზ II, თხზულებათა სრული კრებული, გ. ჯ ა კ ო ბ ი ა ს წინასიტყვაობით, რედაქციით, ლექსიკონით და შენიშვნებით, 1939, გვ. 109—113; S—6, 28r—30v და S—1408, 19v—26v).

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. იხ. ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, 1940, გვ. 470.

2. „ანბავი ვარდისა და ბულბულისა. ბრჭობა კაცთა თავის სახბოთ (!) ნათქომი; ბატონის თეიმურაზისა თქმული. —

Შეი, არზისა (!) შემოქმედო, შენგან არის ყოვლიფერი:
ცა, ქვეყანა, ზღვა და ხმელი, დარი მზისა მონაფერი...“
2v—8v.

წყდება:

„...მიწის ნამყოფსა ყვავილსა სიტურფით გავახარებო,
თავს მოუხდება სავსესა, ჭიქასა მე ვაჭიქებო...“

შენიშვნები: 1. ტექსტი მისდევს გამოცემას (იხ. თეიმურაზ I, თხზულებათა სრული კრებული, ტექსტი, გამოკვლევა, ლექსიკონი ალ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით, 1934).

2. ტექსტი წყდება 45 სტროფზე.

მინაწერები: 1. „შენსა განშორებას, განშორებეს (!), ვინ გაიგონებს,
ცხარე ცრემლით ვსტირი, ვინ გამიგონებს“
(გიორგი ჩუთანოვის ხელით) (2v).

2. „ამ ბარათისა მოწამე ვარ გიორგი ჩუთანოვი“ (3r).

(1630) **4800**

ბეჟანიანი (ფრაგმენტი). XIX

9 ფ.; 17,5×21 სმ.; ქაღალდი; უყდო; მხედრული; [XIX ს.]; თავ-ბოლონაკლული.

⟨ბეჟანიანი⟩.—

„... და ხოსრულად სტავრები სავარდენსა შიგ ეფინა.
ტახტ გვირგვინისა საჩრდილოთ ამართეს ვერცხლის ხეარი,
შტო ესხა ხშირათ ოქროსი ფურცელი თვალგვარიანი...“
1r—9v.

წყდება:

„...და როსტომ გამოჩნდა ლომგული, ჰფეროდს ჯვარ სრულითა.
გოდერძი და ტუსი, როსტომ გარდმოხდეს ცხენებითა...“

შენიშვნები: 1. „ბეჟანიანის“ ტექსტი ნაკლულია; იწყება 4284 სტროფიდან და თავდება 4362 სტროფით. ხელნაწერს აკლია შუაში სტროფები: 4328—4341.

2. ტექსტი მისდევს „შაჰნამეს“ 1934 წ. გამოცემას.

3. გამოცემასთან შედარებით ზედმეტია შემდეგი სტროფი:

„აწ ამბავი ჭელმწიფესა მიუტანა ჩქარმა კაცმა,
ჰკითხა, ჰკადრა, ბეჟან ორმოდამან ცხენსა შესვა ლომა კაცმა.
წამოვედით, დაგვეწივნენ, რა შეიტყო პაპამ თქვენმა,
და შემოგვებნენ ამოვწყვიტეთ ასი მოკლა ჩემა კაცმანა“ (9v).

ზედმეტი სტროფი მოთავსებულია გამოცემის 4359—4360 სტროფებს შუა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(1631) **4801**

ანტონ I, მეტაფიზიკა. 1784

117 ფ.; 20,5×17 სმ.; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; მხედრული (სათაურები და საზედაო ასოები ასომთავრულით, სინგურით შესრულებული); 1784 წ., გადამწერი — მიხეილი 112 v; დაუწერელია: 1, 4, 113 — 117 ფფ.

(მ ე ტ ა ფ ი ზ ი კ ა). — თავი 1. „პირუჱლთათჳს დასაბამთა კაცობრივისა ცნობისათა. — ონტოლოღიასა თანა-აძს დადგინებად უპირუჱლესნი დასაბამნი კაცობრივისა ცნობისანი (§ 6). ხოლო ყოვლისა კაცობრივისა ცნობისა ორნი ვიდრემე არიან დასაბამნი: პირუჱლი ვიდრემე არს წინააღმდგომ თქმისა, ხოლო მეორე— კმაჲსა მიზეზისა...“ 7r — 112 v.

შენიშვნები: 1. ტექსტს წინ უძღვის: ა. თავფურცელი: „მეტაფისიკისა ნაწილი პირუჱლი. ონტოლოღია ანუ ფილოსოფია პირუჱლი“ (2r).

ბ. „პინაქსი მეტაფისიკისა. — წინასიტყუაობა ბუნებისათჳს და თჳსებისა მეტაფისიკისა, ზედდადგინებანი ონტოლოღიისანი...“ (3r—4r).

გ. „ზედდადგინებანი მეტაფისიკაჲსანი. — წინასიტყუაობა ბუნებისათჳს და თჳსებისა მეტაფისიკაჲსა...“ (5r — 6r).

დ. „ზედდადგინებანი ონტოლოღიისანი. — წინასიტყუაობა...“ (6r — 7r).

2. მეტაფიზიკა ოთხი ნაწილისაგან შედგება:

I. „ონტოლოღია ანუ ფილოსოფია პირუჱლი“ (7r — 43v).

II. „კოზმოლოღია საზოგადო“ (44r — 56r).

III. „პნევმატოლოღია პსიხოლოღიისა და ბუნებითისა ღმრთის-მეტყუჱლებისა გარეშემცუჱლი“ (56v—99r).

IV. „ღმრთის-მეტყუჱლება ბუნებითი“ (99v — 112v).

3. ტექსტს ახლავს მრავალი სქოლიო, რომელიც ა ნ ტ ო ნ კ ა თ ა ლ ი კ ო ს ს ეკუთვნის. ყოველი სქოლიოს ბოლოს მიწერილია ა ნ ტ ო ნ ი (მთავრული ასოებით).

4. ტექსტს ბოლოს ერთვის:

„იგავი: 3 ნეტარ არს კაცი, რომელმან ჰპოვა სიბრძნეჲ,
13 და მოკუდავმან, რომელმან იხილა გონიერებაჲ.
14 ესე უმჯობეს არს მოსაგებელად,
15 ვიდრე ოქროჲ და ვეცხლი საუნჯესა
უპატიოსნეს ძვირფასისა ანთრაკის. ა ნ ტ ო ნ ი (112v).

5. იხ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, 1951, გვ. 357.

ანდერძი: „იყავნ სადიდებელად შენდა სიბრძნეო და სიტყუაო ღმრთისაო და უბიწოდ მშობელისა შენისა. მ ი ხ ე ი ლ (თხზული ასოებით). სრულ იქმნა 17 $\frac{9}{2}$ 84“ (112 v).

(1632) **4802**

ანტონ I, მზამეტყველება. XVIII

231 ფ.; 30,5 × 20,5 სმ; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; მხედრული (სათაურები და საზედაო ასოები სინგურით); [XVIII ს.]; ჭვირნიშანი 1746 (15-18 ფფ.); დაუწერელია: 19, 75, 230v, 231 ფფ.; ჩამოტანილია ატენიდან ქ. ქავთარაძის მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„წიგნი, რომელსა ეწოდების მზამეტყველებაჲ, აღწერილი ანტონის მიერ ქართველთა სამეუფოსა ქალაქისა მცხეთისა და სრულიად საქართველოსა მთავარეპისკოპოსისა დავითიანისა, ნისტორიანთა ბოროტისა წვალებისა დასარღვეველად. წიგნი 1.—ნამდვილ ქადაგთა მათ ჭეშმარიტებისათა სამღვდელოთა მწყემსთა კმა საყოფელ არს...“ 20r — 224v.

შენიშვნები: 1. ტექსტს წინ უძღვის: ა. „წინასიტყვაჲ წიგნისა მზამეტყველებისა, რომელითაცა გამომთქმელი ძლვნისმრთმელობს წიგნსა ამას ყრმათამი აღმოსავალისა წმიდისა ეკკლესიისათა.—არა მრავლისა წლისანი არიან ბერძენნი...“ (1r—2v).

ბ. დამოწმებულ წყაროთა ნუსხა (2v—3v).

გ. ზანდუკი (3v—4v).

დ. პინაქსსიტყვაობა (4v—18v).

2. ტექსტს ერთვის: ა. „ერგასეულნი ანტონი სრულიად საქართველოსა მამათმთავრისა დავითიანისანი, ხუთმუხლნი დასდებელნი. კმა დ. ლოცვამანნა.—

ერთი არს ზესთა დაუსაბამო კეთილ,
ზესთ ნათლოვანი ერთობაჲ სამპირებით,
უდასაბამო და უმიზეზო ყოფის,
ერთ ნექტარისაგან ორნი ნექტარნი მყოფი“... (225r — 228v).

ბ. „თქმული ტიმოთეს მიერ ყოვლად სამღვდელოსა სამთავროსა და გორისა მიტროპოლიტისა ანტონი მამათმთავრისა დავითიანისა ვითარებათათვის“ (229r — 230r).

3. „მზამეტყველება“ შედგება სამი ნაწილისაგან.

4. ტექსტს ახლავს მრავალი სქოლიო, რომელიც ანტონ კათალიკოსს ეკუთვნის: „სხოლიონნი ანტონი სრულიად საქართველოსა მთავარეპისკოპოსისანი“ (71r).

5. ტექსტი მისდევს „მზამეტყველების“ გამოცემას (იხ. ანტონ კათალიკოსი, მზამეტყველება, მღ. პ. კარბელოვის რედაქტორობით, ტფილისი, 1892).

6. იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, 1951, გვ. 351.

7. ხელნაწერში დევს ორი სურათი ნაბეჭდი წიგნიდან.

ანდერძები: 1. ანტონ კათალიკოსის: „ვიყავ, ოდეს სრულ იქმნა წიგნი ესე, მე, ანტონი, სრულიად საქართველოს მამათმთავარი, წლისა ვიდრემე 31 და თთვისა 4. ხოლო მონაზონებისა აღკვეცისა შემდგომად დამეყო წელიწადი ვითარ 13 და თთვე 3. ხოლო მამათმთავრობასა შინა წელიწადი ვითარ 7 და თთვე 8“ (224v).

2. გადამწერის: „დასრულდა წიგნი ესე მზამეტყველებაჲ. დიდება ღმერთსა, ყოვლად წმიდასა სამებასა“ (224v).

(1633) **4803**

ანტონ I, კატეხიზმო. XVIII

I + 89 ფ.; 20 × 13,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; მხედრული (სათაურები სინგურით); [XVIII ს.]; გადამწერი — გიორგი (77r). ჩამოტანილია ატენიდან ქ. ქავთარაძის მიერ.

„წიგნი კატეხიზმოს ანუ მოწოდება, რომელიცა თანა არს ქრისტეანეთა კეთილმსახურთა აღსარებად და შეწყნარებად, რომლისა შორის სიმოვლიონ (!) აღიხსენების 123 შინა კითხვსა მიგებათა.— კითხუა: რაჲ არს სათანადო ქრისტეანეჲსა მიმართ, რაჲთა ჰრწმენეს? მიგება: სიმოვლიონ, რომელი არს ათორმეტი ტაეპი, ქმნილი მეორისაგან მსოფლიოისა კრებისა, პირველად კოსტანტინუპოლის შეკრებულისა...“ 3r — 89r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნები: 1. უძღვის: ა. „შეყუანილება ანუ წინასიტყუაობაჲ წიგნისა კატეხიზმოსისა. —

არ მომჴყინდების თქუჱნთანა საუბარი,
ჵ ქართუჱლნო, სიბრძნის შემყუარებელნო,
ალტებილება მაქუს ნიჭად თქუჱნდა მიმართ,
შრომად, უბნობად, წერად, მეშაირობად...“ 1r — v.

ბ. სადიდებელად ცხოველსმყოფელისა თანაარსისა და განუყოფელისა სამებისა, მამისა, და ძისა, და სულისა წმიდისა. ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა ზემოჲსა საქართუჱლოჲსა დავითიან-ბაგრატოანისა წიგნი კატეხიზმოს, რომელ არს მოწოდება თჳსთა მოწაფეთა ჭეშმარიტებისა მიმართ სარწმუნოებისა და საქმისა, რომელიცა სათანადოსა ქრისტეანეთასა აღმოჩინებითა ღმრთის-მეტყუჱლებითისა და ფილოსოფოსობითისათა იპყრობს თჳს შორის კითხუა-მიგებითად დროსა უკეთილმსახურესისა და უმაღლესისა ირაკლი მეორისა, მეფისა ყოვლისა საქართუჱლოჲსასა, მამათმთავრობასა თჳსისასა ქართუჱლთა ზედა. წელსა დასაბამითგან სოფლისათ 7275; განხორციელებითგან სიტყჳსა ღმრთისა 1767, თთუჱსა მერუჱსა, რიცხუსა 20“ (2r).

2. ერთვის: „პინაქსსიტყუაობა ჩუენ მიერ ქმნილისა წიგნისა კატეხიზმოსისა, რომლისა შორის სიმოვლიან აღიხსენების 123 კითხვისა მიგებათა შინა ქართულსა ალფავიტასა ზედა...“ (78r—89r).

3. გადამწერია გიორგი [ერისთავი] (77r) (შდრ. S—4776 ხელნაწერის 189 r).

4. იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1951, გვ. 350.

1634) 4804

ისტორია ბერძენთა და რომაელთა განხეთქილებისა. 1775

51 ფ.; 20 ⨯ 16,5 სმ.; ქაღალდი (ლურჯი); მუყაოს ყდა (ჭიანაჭამი); მხედრული (საზედაო ასოები და სათაური ასომთავრულით); 1775 წ. (2v); დაუწერელია: 1, 50, 51 ფფ.; ჩამოტანილია ატენიდან ქ. ქავთარაძის მიერ.

⟨ისტორია ბერძენთა და რომაელთა განხეთქილებისა⟩. — „განხეთქილება გამოსლვისათჳს სულისა წმიდისა, ვითარმედ მხოლოჲსაგან მამისა, ანუ მამისაგან და ძისაგან გამოვალს, ფრიად განცხადებული არს ყოველსა შინა სოფელსა...“ 3r — 49v.

შენიშვნები: ტექსტს წინ უძღვის: 1. „ისტორია თჳს დაწყებისა და განხეთქილებისა შორის ბერძენთა და რომაელთათჳს გამოსლვისა სულისა წმიდისა, ქმნილი წელიწადსა 1714 თეოფანეს მიერ პროკოპოვიჩისა, არხიეპისკოპოსისა დიდისა ნოვაღოროდისა და დიდისა ლუკიისა, ქმნილი ისტორია ლათინურსა ენასა ზედა დაწყებისათვის განხეთქილებისა ბერძენთა და რომაელთა შორის გამოსლვისათვის სულისა წმიდისა. ხოლო როსიისა ენასა ზედა თარგმანებულ საიმპერატოროჲსა უნივერსიტეტისა მოწაფისა მატთე სოკოლოვისაგან და დაბეჭდილი ბრძანებითა უწმიდესისა მმართებელისა სინოდისათა მოსკოვის უნივერსიტეტისა ტიპოღრაფიასა შინა 1773. ხოლო ქართულსა ენასა ზედა გარდმოღებულ იქმნა პორფირის მიერ არხიმანდრიტისა ბაგრატოვანისა, ბრძანებითა ყოვლისა საქართუჱლოჲსა უწმიდესისა პატრიარხისა, მეფის ძის ანტონი ბაგრატოვანისათა, რომლისა სახელი იყავნ კურთხეულ უკუნისამდე, წელსა 1775, ყიზლარს“ (2r).

2. „უწმიდესო მეუფეო, ჩემო მოწყალევ ჴელმწიფევ! — ძუჱლთა ემოლიელთა (!) იყო ჩუჱულება, რომელ წალკოტთა თჳსთაგან პირველსა ნაყოფსა მოწყალეთა თვისთა, ნიშნად მადლობისა და მორჩილებისა, მოართმიდიან. ხოლო მე, მცოდნელმან ამისმან, განვჭსაჯე შესაბამად, რათა წიგნი ესე ჩემმიერ თარგმანებული, ვითარცა პირველი ნაყოფი შრომისა ამის ჩემისა, მოვართუა უწმიდესობასა თქუჱნსა, ვითარცა მოწყალესა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამწყებელსა კეთილდღეობისა ჩემისასა. ვინაჲთგან ცხად არს ესე, რომელ ავტორი წიგნისა ამის იყო მწყემსი კეთილი ქრისტეს სამწყსოჲსა და მრავალგზის პირადპირადთა როსიისა მონარხთაგან მაღლისა განზრახვისა ქონებისათჳს პატივცემული, და უზენაესისა სწავლულებისათჳს, თუ ჰსთქუა, სრულიად ევროპიისაგან, მაშასადამე ვესავ, რომელ წიგნი ესე არ დატევებულ იქმნების უწმიდესობისა თქუწნისა მოწყალეებითი (!) მიღებისაგან, ხოლო მე, ბრძანებითა უწმიდესობისა თქუწნისათა მთარგმნელი ამისი, მარადისმორჩილებასა და მონებასა შინა სამსახურისა მიმართ განმზადებული ვჰგიე; უწმიდესო მეუფეო, ჩემო მოწყალევ ჴელმწიფევ, უკანასკნელი მონა პორფირი. **1775** წელსა, ოკდომბერს **15**. ყიზლარს“ (2v).

3. თარგმანთან დაკავშირებით იხ. ტრ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVIII სს., 1960, გვ. 220.

მინაწერი: „დიდება მარკოზ ეფესელის მართლმკუწთელობას. ამინ“ (49v).

(1635)

4805

ბაუმეისტერი ფ. ხ., ლოღიკა. XVIII—XIX

96 ფ.; 21×16,5 სმ.; ქაღალდი (ლურჯი); ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა (ჭიანაჭამი); მხედრული (სათაურები და საზედაო ასოები ასომთავრულით); [XVIII — XIX სს.]; ჭვირნიშნები: 1790, 1791, 1792 (19, 70—71, 76 ფფ.); გადამწერი—გიორგი ერისთჳს ძე (96v); დაუწერელია: 1. 11, 13 ფფ.; ჩამოტანილია ატენიდან ქ. ქავთარაძის მიერ.

„ნაწილი პირველი ლოღიკისა, სათეორეტიკო ანუ სამთათჳს მოქმედებათა გონებისათა. თავი ა. მოგონებათათჳს ანუ იდეათა. § 29. — პირველსა ვიდრემე მოქმედებასა გულისხმის-ყოფისა ჩუენისასა მარტივად მოგონებად ანუ იდეად წოდებულ-ვჰყოფთ...“ 22v—96r.

შენიშვნები: 1. ტექსტს წინ უძღვის:

ა. ფრიდერიკოს ხრისტიანოს ბაუმეისტრისა, გორლიციურის ღიმნაზიისა რეკტორისა, დასაბამი ფილასოფიისა ახლისა, სარგებელად ყრმათა სხოლისა შინათა ქმნილი და მრავალთა მიერ იგავთა და მაგალითთა ძუწლთაგან მწერალთა რომაელთასა მოღებულთა, განმარტებული ქართულსა ჴმასა ზედა, გარდამოღებით შრომილი ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა, დავითიან ბაგრატოვანისა, დროსა ყოვლად უბრწყინუალესისა და უმპყრობელესისა დიდისა ხელმწიფისა იმპერატრიცა ეკატერინა ალექსევნასა, თჳთმპყრობელისა ყოვლისა როსიისასა და მემკჳდრისა მისისა კეთილმორწმუნისა ჴელმწიფისა ცესარევიჩისა და დიდისა მთავრისა პავლე პეპროვიჩისა (!); წელსა დასაბამითგან სოფლისა 7270, ჴორციელად შობითგან სიტყჳსა ღმრთისა 1762, ინდივტიონსა (!) 10, თთუწსა მეშჳდესა, რიცხუსა 30“ (2r—v).

ბ. ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა წინასიტყუაობა ფილოსოფიისა ამის წინამდებარისა...“ (3r — 11r).

გ. „პინაქსი ლოღიკისა, ნაწილი პირუწლი, სათეორეტიკო ანუ სამთათჳს მოქმედებათა გონებისათა...“ (12r—v).

დ. „თავი პირუწლი. წინასიტყუაობა ფილოსოფიისა და ნაწილთა მისთა, § 1. — ვინათგან აწ შრომა ჩუწნი არს ამას შინა...“ (14r — 22v).

2. ტექსტს ახლავს სქოლიოები, რომელიც ეკუთვნის ანტონ კათალიკოსს. ყოველ სქოლიოს მთავრული ასოებით მიწერილი აქვს ანტონი.

3. იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, 1951, გვ. 357.

ანდერძი: „აღიწერა ჴელითა გიორგის ერისთჳს ძისათა პალატსა საპატრიარხოსა ჟამსა სიყრმისასა, წლისა 19“.

შემდეგ კრიპტოგრამით (317131) და თხზული ასოებით სწერია „გიორგი“ (96v)

ეროვნული ბიბლიოთეკა

(1636) **4806**

ბასილი დიდი, სუფევა. 1799

I+134 ფ.; 17,5 X 11; ქაღალდი (ლურჯი); ტყავგადაკრული, ტვიფრული ყდა; მხედრული (სათაურები და საზედაო ასოები ასომთავრულით, შესრულებულია სინგურით); 1799 წ., გადამწერი—გრიგოლ (134v); მფლობელი—გაიანე (Ir).

„წმიდათა შორის მამისა ჩუენისა დიდისა ვასილისა, კესარია კაბბადუკიისა ახრიეპისკოპოსისა (!) თქმულთაგან ღმრთივ-შუენიერნი სწავლანი, რომელსა ეწოდების სუფევა. სწავლა ა. სარწმუნოებისათჳს წმიდისა სამებისა.—ღმრთისა ხსენება მარადის კეთილ არს და განუძლომელ სულისა მის ღმრთის მოყვარისა, ხოლო სიტყვით გამოცხადება საქმეთა ღმრთისათა კადნიერება არს...“ 1r — 123r.

შენიშვნები: 1. შეიცავს 12 სწავლას: ა. „სარწმუნოებისათჳს წმიდისა სამებისა“ (1r—8v); ბ. „სიყვარულისათჳს ღმრთისა“ (8v — 16r); გ. „სურვილისათჳს ღმრთისა“ (16v—30v); დ. „სიმდაბლისათჳს (30v—40v); ე. „სამარადისოსა ლოცვისათჳს და მადლობისათჳს ღმრთისა“ (41r — 50r); ვ. „მოწყალებისათჳს გლახაკთასა“ (50r—62r); ზ. „ანგაჰართა მიმართ“ (62r—75r); ჱ. „მთვარწუეთა მიმართ“ (75r — 87 r); თ. „მრისხანეთა მიმართ“ (87r — 100v); ი. „მოშურნეთა მიმართ“ (100v — 110v); ია. „სინანულისათჳს“ (110 v—116v); იბ. „ღმობიერებისათჳს“ (117r — 123r).

2. ტექსტს წინ უძღვის: (ლოცვა ბასილისათვის) „ჴმა დ: რომელი იწოდე სეჰნად სუფევისა, რაჟამს იგი სამეუფო შენდა სამღუდელო ერი, საზეპურო ქრისტესი სიბრძნით და გონიერებით დაამწყსე. მღუდელ-მთავარო, მაშინ გვირგვინითა სუფევისათა შევამკო მეუფემან მეუფეთამან, და მამისა თანასწორმან სიტყვამან, და თანაარსმან და თანამფლობელმან. ღმერთშემოსილო დიდო მღუდელ-მთავარო ვასილი, მას ევედრე ცხოვრებად და განათლებად სულთა ჩუენთათჳს“ (Iv).

3. ერთვის: ა. „ეპისტოლე წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა დიდისა ვასილისა ღმრთისმეტყველისა გრიგორის მიმართ“ (123 v — 129v); ბ. „გრიგორის მიერ ღმრთისმეტყველისა დიდისა ვასილის საფლავსა ზედა წარწერილნი სიტყვანი, რომელსა ეწოდების ეპიტაფია“ (130r — 132v); გ. „ბეჭედი“. — „ღმრთივ სულიერი და პატიოსანი ესე წიგნი წმიდისა და ღმერთშემოსილისა ვასილი დიდისა მრავალთა და ვრცელთა სწავლათაგან რჩევით აღმოწერილ არს, ვითარ-იგი კაცი ბრძენი და ჴელოვანი შთავიდის რა სიღრმესა და სივრცესა ზღვისასა და ჰპოვის კეთილნი მარგარიტნი, აღმოიღის და განჰკარგის და შეაწყვის, ვითარცა ფარლული შუენიერი სამკაული იგი ჴორცთა და ესე სულისა; და ეწოდების ამას სუფევა მით რამეთუ, ვინათგან წიგნსა მას საგალობელსა (!) ფსალმუნსა ეწოდების მთქმელისა მის სახელი დავითი. და საღმთოსა დიონვისიოსის წიგნსა — დიონვისიოს, და გრიგორი ღმრთისმეტყველის წიგნსა — ღმრთისმეტყველი, და სხუათა მრავალთა ესრეთვე, ვითარ-იგი ეფრემი და დამასკელი; ამისთჳს ამასცა ღირსად და სამართლად შვენიერად ეწოდა სუფევა, რამეთუ ვასილი სუფევად გამოითარგმანების.

და ჰქონან თჳს შორის სწავლანი ათ ორნი, მსგავსად იესუ ტკბილისა მოძღვრებისა. რაჟამს იყო რა იგი ათორმეტისა წლისა, ტაძარსა შინა მჯდომარე სიტყვას უგებდა და განაკვირვებდა ყოველთა. და შემდგომად გამოირჩინა ათორმეტნი მოციქულნი და წარავლინნა ქადაგებად და სწავლად და ესეცა ამცნო ღმრთივშვენიერად მეტყველმან: არა ათორმეტნი ჟამნი არიანაა დღისანი, რომელი ვიდოდეს ამათ რიცხვთა სწავლათა შინა. არა წარსცეს ფერჴი საბრხითა ეშმაკისათა, რ~ ნათელსა ამის სოფლისასა ჰხედავს, რომელ არს მეტყველი: მე ვარ ნათელი სოფლისა, და მერმესა მას შვებას დასხდეთ თქუენცა ათორმეტთა საყდართა დასჯად ათორმეტთა ტომთა ისრაილისათა. ხოლო ღმრთისმეტყველი გრიგორი ჰქუხს: ვითარმედ, რაჟამს ჴელად მივიღო წერილნი ვასილისნი, დამავიწყდების თავი ჩემი და ზეცას მივიტაცები გონებითა და თაყვანისვსცემ სულსა წმიდასა, რამეთუ მისნი არიან ნიჭნი ესე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჰა, სწავლისა მოსურნენო და სიტყვათა ტრფიალნო, მიიღეთ სუფევა ესე, და აღმასრულებელთა მიიღეთ ზეცისა იგი სუფევა ღმრთისა მიერი, რომლისა არს სუფევა და ძალი და დიდება საუკუნეთა მიმართ, ამინ“ (133r — v).

დ. „ზანდუკი წიგნისა ამის“ 134r.

4. „სუფევა“ შედგენილია გაბრიელ მცირის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. V, 1957, გვ. 20).

5. ა. 134v-ზე წერია ხელნაწერის გადაწერის თარიღი $17\frac{5}{13}99$ წ. და გადამწერის სახელი გრიგოლ (შესრულებულია ხვეული ასომთავრულით, შედგება ორი ასოსაგან გ̃ლ).

ბ. გრიგოლს, იერომონახად წოდებულს (შდრ. H — 906), გადაწერილი აქვს ამ ხელნაწერის გარდა კიდევ ორი „სუფევა“. ეს ხელნაწერებია H—906 და A—232.

მინაწერი: სხვა ხელით: „წიგნი ესე არს მათის უგანათლებულესობის მეფის ასულის გაიანესი, რომელი მიართვა თჳსმა ნათლიამ, ყოვლად სამღუდელომ წილკნელ არხიეპისკოპოსმა იოანემ“ (Ir).

(1637) **4807**

სვიმეონ ჯულფელი, დიალექტიკა. XVIII

136 ფ.; 16,5 × 10,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფრული ყდა; მხედრული (სათაურები და საზედაო ასოები ასომთავრულით და მხედრულით, შესრულებულია სინგურით); [XVIII საუკუნის ბოლო]; ჭვირნიშანი 1750 წელი.

[ს̃ვიმეონ ჯულფელი, დიალექტიკა]. — „დაწყებასა შორის დიალიკტიკისასა საჭმარ არს კითხვისათჳს მცირისა რაჲსამე თქმად, რომელსა განსაზღურებს არისტოტელი. ესრეთ კითხუა არს ძიება მიგებისა. — აწ უკუჱ დალაცათუ მრავალ არიან სახენი კითხჳსანი, გარნა აქა საჭმარ არიან ჩუენდა, რაჲ არსისა და ვითარი არსისათჳს, რომელნი თქმად არიან ამათთჳს, რომელთა ყოფა აღსარებულ არს“... 1r — 136v.

შენიშვნები: 1. ტექსტის სათაური აღდგენილია S—255 ხელნაწერის მიხედვით.

2. დიალექტიკაში წარმოდგენილია შემდეგი ნაკვთები:

ა. „მარტივ-მიღებისათჳს, რომელ არს ნაკუჱთი პირველი“ (2r — 52v);

ბ. „თხზვისათჳს, რომელ არს ნაკუჱთი ბ“ (53r—73v);

გ. „სილოგიზმოსათჳს, რომელ არს ნაკუჱთი მესამე“ (74r — 100r);

დ. „ადგილთათჳს დიალიკტიკობისათა წიგნისაგან არისტოტელისა, რომელ არს თოფიქონცი“ (100r — 122v);

ე. „ცთომილებისათჳს, რომელ არს ელენქონც“ (122v — 136v).

3. იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951, 340 — 341 გვ.

მინაწერი: „აქა არს სიბრძნე, რომელსა ისხენ ყურნი სმენად, ისმინენ“ (27r).

(1638) **4808**

მხითარ სევასტიელი, რიტორიკა. 1792

144 ფ.; 15,5 × 10; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; მხედრული (სათაურები და საზედაო ასოები ასომთავრულით); 1792 წ., გადამწერი — იოანე ხუცესი (142r); დაუწერელია: 1, 2, 3, 10 ფფ., 142v, 143, 144 ფფ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(მხითარ სევასტიელი). — „თჳს ჰელოვნებისა სარიტორროჲსა, ესე იგი სამჭევრმეთქოჲსა წიგნი ა. თჳს საზღურისა სამჭევრმეთქოჲსა და წუალების ნაწილთა მისთასა. თავი ა. — მჭევრმეთქუჱობა, რომელიცა ითქმის რიტორებად, არს ჰელოვნება საკეთილმეთქვო...“ 11r — 139r.

შენიშვნები: 1. ტექსტს წინ უძღვის:

ა. „მ ხ ი თ ა რ ყოვლად ბრძნისა, მოძღურისა სომეხთასა, ს ე ვ ა ს ტ ი ე ლ ი ს ა ქმნილი წიგნი რ ი ტ ო რ ი კ ა, სარგებელად ყრმათა სხოლის შინათა ქართულსა ხმასა ზედა, გარდმოღებით შრომილი ა ნ ტ ო ნ ი ს მიერ, არხიეპისკოპოსისა ყოვლისა ზემოჲსა საქართუჱლოჲსა, დ ა ვ ი თ ი ა ნ-ბ ა გ რ ა ტ ო ა ნ ი ს ა, დროსა უკეთილმსახურესისა ყოვლად უბრწყინუალესისა და უმაღლესისა მეფისა ი რ ა კ ლ ი მ ე ო რ ი ს ა, ყოვლისა საქართუჱლოისასა მამათმთავრობასა ა ნ ტ ო ნ ი ს ა ს ა. წელსა დასაბამიდგან სოფლისა 7272, ჴორციელად შობიდგან სიტყჳსა ღმრთისა 1764, თთუჱსა მეშჳდესა რიცხუსა 10“ (4r).

ბ. „წ ი ნ ა ს ი ტ ყ უ ა ო ბ ა, ეპისტოლე მიწერილი ა ნ ტ ო ნ ი ს მიერ, არხიეპისკოპოსისა ყოვლისა ზემოჲსა საქართუჱლოჲსა, დ ა ვ ი თ ი ა ნ-ბ ა გ რ ა ტ ო ვ ა ნ ი ს ა, ირაკლის მიმართ მ ე ო რ ი ს ა, ძმისა თჳსისა, მეფისა ყოვლისა საქართუჱლოჲსა დავითიან-ბაგრატოვანისა...“ (4v—9v).

2. ერთვის: „პინაქსსიტყუაობაჲ სარიტორროჲსა ჰელოვნებისა, ესე იგი სამჭევრმეთქოჲსა...“ (139v—142r).

3. ტექსტს სქოლიოებში დართული აქვს ა ნ ტ ო ნ ი ს შენიშვნები.

4. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, 1951, 340, 344 გვ.

ანდერძი: „სრულ იქმნა, იყავნ სადიდებელად შენდა სიტყუაო და სიბრძნეო ღმრთისაო, $17\frac{10}{2}92$ (142r). ცოდვილი ხუცესი ი ო ა ნ ე ცდომილის შენდობის მთხოველი მხილუჱლთაგან. ივნისის ბ. ქ˜კს უ˜ჰ, 18 3 — იჱ გ“ (142r).

(1639) **4809**

მაქსიმე აღმსარებელი და იოანე დამასკელი, მაევრობა. XVIII

I + 125 ფ.; 15 × 10,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; მხედრული (სათაური და საზედაო ასოები ასომთავრულით); [XVIII საუკუნის ბოლო]; დაუწერელია: I, 119v, 120—125 გვ.

„მ ა ე გ ო ბ ა სულისათჳს, შემოკრებული სიტყუათა და მოგონებათა წმიდათა მამათა ჩუენთა მ ა ქ ს ი მ ე ა ღ მ ს ა რ ე ბ ე ლ ი ს ა და ი ო ა ნ ე დ ა მ ა ს კ ე ლ ი ს ა.— ვინაითგან მყოფნი ყოველნი ვიდრემე ანუ გრძნობითა იცნობებიან, ანუ გონებით მიიწთომიან“... 1r—119r.

წ ყ დ ე ბ ა: „...ვინა ესე არს აწ შორის საცხადოთა, რამეთუ რომელთაცა შორის პირველნი ნაკუჱთნი მუნცა პირველნი გუარნი, ხოლო სა...“

შენიშვნა: ხელნაწერის ჩამონაჭერზე ირგვლივ მოთავსებულია კრიპტოგრამა რიცხვითი გამოსახულებით: 4 1 5 3 7 2 1 2 4 3 1 2 1 2 4 3 1 2 1 4 1 5 1 3 1 5 2 6 1 4 5 2 4 3 1 2 4 5 5 2 1 9 1 4 4 1 7 5 2 9 1 4, რომელიც იკითხება: მაეგობა სულისა სულისა მიერ განცხადებული ბუნებითად და ზესთად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(1640) **4810**

საფუძველი არტილერიისა. XVIII

75 ფ.; 33,5 × 20,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა, მეტად დაზიანებული; მხედრული (სათაურები სინგურით); [XVIII ს. ბოლო]; ჭვირნიშანი 1750 წ.; დაუწერელია: 1,30 — 32 ფფ., 33v, 34r, 35r — 56r, 57 — 69 ფფ., 70v, 71v, 72r, 73ფ., 74v, 75v.

„საფუძველი არტილერისა ანუ უწყება მდგომარე საძირკველთათვის.—თუცა ამისთვის არიან პირდაპირნი განძრახვანი, მარამ უმრავლესთაგან (!) ცნობილ-არს, რომელ მდგომარე საფუძველი არტილერისა მდგომარეობს სამთა შინა ნივთთა, ესე იგი არს გვაარჯილა (!), გოგირდი და ნახშირი...“ 2r — 27r.

შენიშვნები: 1. თარგმანის ტექსტში მოცემულია: ა. პრაქტიკული ხასიათის დარიგებანი თოფის წამლის შემზადებისა: „თოფის წამლისა შემზადებისათვის“; „ვითარ იცნობის კარგი წამალი“. ბ. კანონები სწავლისა: „მოძიებისათვის კუბიკურისა ტაბლიკისა ფუნთებთა“; „მოძიებათათვის ლოტებთა ტაბლიცისა; რადიქს კუბიკისა გამო“; „მოძიება დიამეტრისა 22/3 ლოტისა“; „მოძიებათათვის ლოტებთა სხვა კანონითა“; „ტაბლიცა დიამეტრთა 32 ლოტისათა, რომელ არს ერთი ვუნთი“ და სხვა.

2. ტექსტს ახლავს გეომეტრიული ჩანახაზები.

3. თარგმანში ჩართულია ჩანახაზები წარწერებით: „მარტირქა“ (70r); „ამ მარტირს ვულა მოუნდება ცხრა ფუთი 9“ (71r); „სიმაგრის დამრღვეველი“ (75r).

4. ხელნაწერის ტექსტი ვანსხვავდება დავით ბატონიშვილის, იოანე ბაგრატიონისა და ალექსანდრე არჩილის ძის მიერ თარგმნილი საარტილერიო წიგნებისაგან. ჩანს, რომ მთარგმნელი სარგებლობდა სხვა დედნით.

5. ტრ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVIII სს., 1960, გვ. 259

6. ყდის შიდა მხარეს მოცემულია არითმეტიკული გამოანგარიშებანი.

(1641) **4811**

მარმონტელი, ველისარიონი. 1787

26 ფ.; 34,5 × 21,5; ქაღალდი; უყდო; თავნაკლული; მხედრული; 1787 წ., გაიოზ რექტორის ავტოგრაფი (26r); დაზიანებულია: 24—26 ფფ.

[მარმონტელი, ველიაზარ].— „...შინა და დამონებულ. უთხრა ტიბერიოს: ნუთუ ჰსწუხდე შენ ამათ მტანჯუჱლთა თავისუფლებასა და მონათა მტანჯუჱლობასა ზედა. მიუგო მჴნემან: ვჰსწუხ არა ევრეთისა სენათისათვის, ვითარცა იყო იგი“... 1r — 26r.

შენიშვნები: 1. ხელნაწერი იწყება მე-12 თავიდან.

2. ტექსტი თარგმნილია გაიოზ რექტორის მიერ (იხ. H ფონდის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. III, № 1007).

3. ტექსტის სათაური და ანდერძი აღდგენილია H—1007 ხელნაწერის მიხედვით.

4. გ. ლეონიძე, ბესიკი, მარმონტელი და ლესაჟი, ლიტერატურული საქართველო, 1938, 30 IX, № 24; ტრ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVIII სს., 1960, გვ. 276.

5. ხელნაწერის ბოლო სამი ფურცლის ზედა ნაწილი მოხეულია.

ანდერძი: „სრულ ვჰყავ წელსა 1787, თთუესა დეკემბერსა 14, კრემენჩუკს, გაითს]“ (26r).

(1642)

4812 ა

აპოკრიფი (ფრაგმენტი). XIX

4 ფ.; 34,5 × 21,5; ქაღალდი (ლურჯი); მხედრული; [XIX ს.]; ჭვირნიშანი 1801 წ.

[ქრისტესა და მოციქულთა შესახებ].—„აჰა მნებავს უუნდოესსა და უუგუნურესსა ხუცესსა მცირედი რაჲმე სიტყვა, ერნო საზერნო(!) მაცხოვრისანო, უმეცრულითა გონებითა უკადრითა სულითა და ულირსითა ბაგითა...“ 1r—4v.

4812 ბ

მოსეს წიგნების შინაარსი (ფრაგმენტი). XIX

10 ფ.; 34,5 × 21,5; ქაღალდი (სხვადასხვა ფერის); მხედრული; [XIX ს.]; ჭვირნიშანი 1800—1801 წწ.

[მოსეს წიგნების შინაარსი].—„...იუდასა და უფროსად. აწ რამეთუ მიახლა იგი, რომელიცა მოსლვად არს, რ˜იგი არს მოსალოდებელი წარმართთა...“ 1r—10v.

წყდება: „...პოეს წყალი სასმელად მათდა და მივიდეს ადგილსა მას, რომელსა ეწოდების მერრა და ვერ ძალ-ედვათ წყლისა მისმად, რომელიცა პოეს...“

შენიშვნა: ტექსტში გზადაგზა ჩართულია კომენტარები.

4812 გ

კრებული. XIX

8 ფ.; 34,5 × 21,5; ქაღალდი (ლურჯი); უყდო, თავ-ბოლონაკლული; მხედრული; [XIX ს.]; ჭვირნიშანი 1800 წ.

1. „იოანე მოციქულისა თუესა სეკდემბერსა ოცდაექუსსა, ცხოვრება და ქადაგება წმიდისა და ყოვლადქებულისა მოციქულისა და მახარებლისა იოანე ღმრთისმეტყუელისა, აღწერილი პროხორეს მიერ მოწაფისა მისისა, ერთისა შვიდთა დიაკონთაგანისა, ძმისწულისა სტეფანე პირველმოწამისა(!). თარგმნილი წმიდისა მამისა და განმანათლებელისა ჩუენისა ახლისა ოქროპირისა ეფთიმის მთაწმიდელისა მიერ. მამაო გვაკურთხენ. — ესეცა კაცი ღმერთშემოსილი უზესთაესი ანგელოსთაცა შეყვარებული...“ 1v — 5v.

შენიშვნები: 1. ცხოვრება კიმენური რედაქციისაა (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V, 1957, გვ. 129; ძველი ქართული მწერლობის ისტორია, 1951, გვ. 418).

2. ტექსტს აკლია 1v—2r-სა და 2v—3r-ს შუა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. თთუჱსა ოკდომბერსა ვ. მოსახსენებელი წმიდისა მოციქულისა თომასი. მამაო გვაკურთხენ.—ოდეს იგი პირველ სადამე მიმოვიდოდა ქვეყანასა ზედა...“ 5v—8v.

წყდება: „...მამა მიდრკა ბუნებითისა. ღმობისა მიმართ გოდებით ცრემლთა გარდამოადინებდა და გლოვით განი...“

შენიშვნები: 1. ტექსტი მეტაფრასული რედაქციისა (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. V, 1957, გვ. 177).

2. 1r-ზე მოცემულია ჯვარის საკითხავის დასასრული.

4812 დ

სამოციქულოს თარგმანება (ფრაგმენტი). XIX

12 ფ.; 34,5×21,5; ქაღალდი (ლურჯი); მხედრული; [XIX ს.]; ჭვირნიშანი 1801 წ.

⟨სამოციქულოს თარგმანება⟩. — „...ბ კორინთელთა თავი იგ. მოციქულისა: წინასწარ ვჰსთქუ და აწცა წინასწარ ვიტყვი, ვითარცა იგი პირისპირ მეორედ მაშინ და აწ შორით მივსწერ წინასწარ შეცოდებულთა მათ და სხვათა ყოველთა. და უკეთუ მოვიდე კუალად, არღარა ვრიდო. თარგმანი: შუჱნიერად შეამკო აღწერილი ესე...“ 1r—12v.

შენიშვნა: ტექსტი ნაკლულია; შეიცავს თარგმანებებს:

1. ბ. კორინთელთა თავი იგ, იწყება: 13 თავის მეორე მუხლიდან (1r—2v).

2. წიგნი გალატელთა მიმართ: 1, 1—6 (2v—4v).

3. იოანეს გამოცხადების თარგმანება: 6, 12—13, 17; 22,5—20 (5r—12v).

მინაწერი: ტექსტისავე ხელით, ნუსხურად: „დედანსაც აკლდა“ (1r).

(1643)

4813

მამათა ცხოვრება (პატერიკი). XVIII

23 ფ.; 35×22; ქაღალდი; უყდო; მხედრული (სათაურები სინგურით); [XVIII ს.]; ბოლონაკლული.

⟨მამათა ცხოვრება⟩. — 1. „სიტყვა ლიმონისაგან მინა დიაკონისთვის, რომელი წარვიდა სოფლად და განიძარცვა სახე მონაზონებისა და ვითარცა წმიდამან სენმან ამხილა მას და ცხონდა.—მოგვითხრობდა ჩუენ იგი რაითელი ძმისათვის ვისმე დიაკონისა მუნ მყოფისა, სახელად მანოესა...“ 1r.

2. „სიტყვა ჭაბუკისათვის, რომელი სცრცვიდა (!) პირველ მკუდართა და მოიქცა და შეინანა უსჯულოება თვისი. — წმიდისა მამისა ჩუენისა ი͠ესი, რომელი იყო თებაიდას მონაზონ, მოგვითხრობდა და იტყოდა: ესრეთ იყო ვინმე ჭაბუკი ქალაქსა შინა ფრიად ბოროტის მყოფელი...“ 1r—v.

3. „სიტყვა მრისხანებისათვის, რომელი იპყრობდეს რისხვასა თვისსა მეგობარსა ზედა, იხელმწიფებს ეშმაკსა.—მოგვითხრობდა მონაზონი ისაკ და იტყოდა: მექმნა მე ოდესმე მკსინვარება ძმათა...“ 1v.

4. „ამბა სისოსთვის მოთხრობა. — იტყოდეს ამბა სისოსთვის, რამეთუ იყოფოდა კალმენიას შინა...“ 1v.

5. „სიტყვა ლიმონისაგან მონაზონისათვის, რომლისა მოკულა ინება სარცმან. — მოგვითხრობდა ჩუენ სარცი ვინმე და იტყოდე, რამეთუ წარვედ ერთგზის მთასა მამისა ანტონისასა...“ 1v.

6. „სიტყვა ჭაბუკისა ვისთვისმე ოქრომჭედელისა, რომელმან უქმნა ჯუარი პატრიკსა და შესძინა ათი ოქრო თვისი. — იყო ვინმე ჭაბუკი ჴელოვნებით ოქრომჭედელი ყ˜ის სამკაულისა...“ 1v — 2r.

7. „სიტყვა სინანულისათვის. — იყო ვინმე ებისკოპოზი რომელსამე ქალაქსა, და ეშმაკისა ბოროტად ხელოვნებითა შთავარდა სიძვასა...“ 2r.

8. „სიტყვა დავითისთვის, ესე ღირსი მამა პირველ იყო ავაზაკი. — ესე წმიდა და ღირსი მამა ჩუენი დავით იყო პ˜ლ ავაზაკი და იქცეოდა უდაბნოსა შინა...“ 2r.

9. „მოთხრობა რომლისა მემღუდელისა და სოზონ დიაკონისა, რომელთა აქუნდა თავსა შორის მტერობა. — მღუდელსა ვისმე ღ˜თის მოყვარესა და დიაკონსა მოეგოთ ურთიერთისა მიმართ სამღთო სიყვარული...“ 2r—3r.

10. „სიტყვა სამთა დედათა, პოვნილთა მთათა შინა, რომელთათვის მოგვითხრობდა პავლე ებისკოპოზი მანოვანისა. — პავლე, ძე ლეონისი, იტყოდა მათთვის წმიდათა, ვითარმედ წარვიგზავნე აღმოსავლეთით მოღებად ხარკთა მეფისათა...“ 3r — v.

11. „სიტყვა ლიმონისაგან ალათონისთვის, თუ ვითარ განსდევნა სიტყვითა ეშმაკი. — მოვიდეს უკვე ოდესმე წარმართნი ბეთსაიდას ბერისა მიმართ ალათონისა...“ 3v.

12. „სიტყვა ევლოგი მონაზონისა და გლახაკისა განრღვეულისათვის. — სახოლისტოვი რომელიმე, სახელით ევლოგი, აღძრულმან ღ˜თისა სიყვარულისათვის დაუტევა სოფლისა ამის სიყვარული...“ 3v — 4v.

13. „სიტყვა პატრიკისაგან ფილოღრე(!) მონაზონისათვის, რომელმან პოვა ათასი დრაჰკანი და მიაქცია მისდავე, რომელსა იგი წარეწყმიდა. — იყო ვინმე მონაზონი სახელით ფილოღორე, რ˜ი იყოფოდა იჱ˜ლიმს...“ 4v.

14. „სიტყვა ორისა მონაზონისა, რ˜ლთა აცხოვნეს მეძავი. — ორნი ვინმე მონაზონნი წარვიდეს უდაბნოთაგან ტარსო ქალაქად...“ 4v.

15. „სიტყვა მოწყალებისათვის, რომელ მიმცემელი გლახაკისა, ქ˜ს მისცემს. — კაცი ვინმე იყო კოსტანტინეპოლის დიდად მოწყალე...“ 4v — 5r.

16. „სიტყვა მღუდელისათვის, რომელი შეკრა ეფისკოპოზმან. — მოგვითხრობდა ფილონ მონა ქრისტესი...“ 5r.

17. „სიტყვა იოანე მოწყალისა პეტრე მეზვერისათვის. — აფრიკეთს ფრიგვიისასა იყო ესე პეტრე მეზვერე დიდად უწყალო...“ 5r — v.

18. „სიტყვა წმიდისა იოანე ღმრთისმეტყველისა, თუ ვითარ ასწავა კაცსა გონიერად გამოწერა ხატისა. — არს ქალაქი მცირე მახლობელ ქალაქისა მის სამეუფოსა...“ 5v — 6r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

19. „სიტყვა იოვანე კლემექსისა(!). — მოგვითხრობდა იოვანე კლემექსი: იყო ვინმე წინამძღუარი წმიდა საზოგადოსა მამათა საყოფელსა, ყოვლითა სათნოებითა შემკული და მოწყალე გლახაკთა...“ 6r—v.

20. „სიტყვა მღუდელისათვის, რომელი დაეცა სიძვითა და მიემთხვია შენდობასა სინანულითა. — მღუდელი ვინმე იყო კოსტანტინეპოლის და მოქმედებითა ეშმაკისათა შთავარდა სიძვასა...“ 6v—7r.

21. „სიტყუა ეფრემისი განცხადებისათვის სეფისკვერისა ძმისა მის დაბრკოლებულისა. — იტყოდა რომლისამე ძმისათვის, ვითარცა იქმნა შეკრება ჟამსა კვირისასა. აღდგა ჩვეულებისაებრ, რომელ შევიდეს ეკლესიად...“ 7r—v.

22. „სიტყვა მჭედლისათვის, რომელმან ლოცვითა თვისითა აღფხურნა მთა მიქცევად მდინარესა შინა ნილოსისასა. — ალექსანდრიას შინა ევვიპტისასა იყო ვინმე ოქრომჭედელი, სახელოვანი ფრიად ყოველსა შორის ქალაქსა...“ 7v—8v.

23. „მოთხრობა ვისმე მონაზონისა სულთა სარგებელისათვის. — იყო ვინმე მონაზონი სკვითს შინა მორჩილი მამისა მრავალთა წელთა...“ 8v.

24, „სიტყ'ვს რომლისამე წინამძღუარისა, რომელი გამოსცადა ქრისტემან სახითა გლახაკისათა.—საყოფელსა საზოგადოსა იყო ვინმე წინამძღუარი და ჰყვეს ძმანი ურწმენესნი...“ 8v—9r.

25. „თქმული მუსხიოს ასისთავისათვის, ვითარ ჰყო წყალობა გლახაკისა დედაკაცისა თანა, რომელი არა შეეხო მეძაობით.—ქალაქსა ტივერიისასა იყო ვინმე ათისთავი სახელით მუსუხ...“ 9v.

26. „თქმული ვაჭრისა ვისმე ღმრთისმოყუარისათვის, რომელსა ზედა მოავლინა ეშმაკმან განსაცდელი მოწყალებისა მისისა მოშურნემან.— მოგვითხრობდა მამათაგანი ვინმე საქმესა საკვირველსა და სარგებელითა სავსესა, რამეთუ ვაჭარსა ვისმე კეთილმორწმუნესა და მოწყალესა...“ 9v—10v.

27. „თქმული დედაკაცისათვის მეუდაბნოვისა მის.— მონაზონი ვინმე წარვიდა უშორესსა უდაბნოსა და იხილა დედაკაცი კლდესა ზედა მჯდომარე...“ 10v.

28. „თქმული წმიდისა სერაპიონისათვის, თუ ვითარ აცხოვნა მეძავი.—ბერი ვინმე სახელით სერაპიონ იყოფებოდა უდაბნოსა შინა...“ 10v.

29. „თქმული პატრიკისაგან სულთა სარგებელისათვის. — იტყოდა ბერი ვინმე თებაიდელი: ვიყავი მე კერპთა მღუდელისა ძე...“ 10v—11r.

30. „თქმული ევხარის მწყემსისათვის. — ორნი მამანი იყოფოდეს უდაბნოსა შინა და ევედრებოდეს ღმერთსა...“ 11r.

31. „თქმული ღმრთისა სამართალთა გამოუძიებლობისათვის.—ევედრებოდა რომელიმე მონაზონი ღმერთსა ამისთვის, რათამცა ეცნა საშჯელი ღმრთისა...“ 11r—v.

32. „თქმული ბერისათვის, რომელი შეასმინეს იოვანე მოწყალესა.— დიდი პატივი აქუნდა იოვანე მოწყალესა მონაზონებისა სახეთა ზედა...“ 11v—12r.

33. „თქმული ბერისათვის იორიოსა, რომელი გამოსცადა ეშმაკმან და არცხვინა.—იყო ბერი ვინმე უდაბნოსა შინა იორიოს. ამან უკვე არა იხილა გემო მიწიერთა საზრდელთა ათ წელ...“ 12r.

34. „სწავლა უცხოთა შეწყნარებისათვის. უცხოთ შეწყნარება უფროს არს წინაშე ღმრთისა მმარხველობისა და უდაბნოს ცხოვრებისა. — იყო ვინმე ბერი ასურეთს. დაჯდა თანა-წარსლვასა გზისასა მახლობელ უდაბნოსა...“ 12r

ეროვნული ბიბლიოთეკა

35. „თქმული ვონიფანტესთვის მოწყალებისათვის.— წმინდა ვონიფანტე იყო დიდებული მოწყალებითა და შეწყალებითა ყოველსა შორის ქუეყანასა ჰრომისასა...“ 12г — v.

36. „თქმული ბერისათვის, რომელი ვერა აცთუნა მეძავმან და მოკუდა, ევედრა ღმერთსა და აღადგინა იგი.—ბერი ვინმე იყო უქვენაესსა ქუეყანასა ეგვიპტისასა, სახელოვანი მარტომყოფელი უდაბნოსა ადგილსა შინა...“ 12v.

37. „თქმული რი῀სამე მონაზონისა, რომელი შევიდა ქუაბსა შინა მონებად უფლისა და სცთა ეშმაკისაგან. კუალად შეიყვანეს მონასტერსა და ცხონდა.—მონაზონი ვინმე ღმრთისმოშიში, სახელით გრიგოლ, მოგვითხრობდა...“ 12v—13v.

38. „თქმული წმიდისა მარკიანესთვის, თუ ვითარ განიძარცუა სამოსელი თვისი და მისცა იგი გლახაკსა.— წმიდისა გენადი პატრიაქისა სლვასა ნაწილთა მიმართ წმიდისა მოწამისა ანასტასიასა...“ 13v—14г.

39. „თქმული პავლინა ებისკოპოზისათვის, რომელმან მისცა ყოველი მონაგები თ῀სი ქველის საქმედ და უკანასკნელ თავიცა თვისი მისცა განსყიდვად წარტყვენულთათვის.— რომელი შეცთომილთა მათთვის სულსა თვისსა დასდებდეს სიტყვისაებრ ამის თქმულისა...“ 14г—v.

40. „თქმული ავაზაკისათვის, რომელმან მოკლა მცირე ყრმა და შემდგომად იქმნა მონაზონ და ცხონდა.— იყო ვინმე ავაზაკი და მივიდა მამისა მიმართ ზოსიმესა და ევედრებოდა...“ 14v—15г.

41. „სიტყვა ორისა ბერისათვის და მეძვისა მისთვის. — რომელსამე უკვე ქალაქსა შინა იყუნეს ორნი ბერნი და წარვიდენ მსახურებად...“ 15г.

42. „სიტყვა რომლისამე მეძვისათვის, რომელი ჰიყოფოდა ქველის საქმესა და არა უტევა სიძვა.—წელსა ლეონ მეფისასა იყო ვინმე კოსტანტიპოლის კაცი დიდებული და ფრიად მდიდარი და მოწყალე გლახაკთა...“ 15г—v.

43. „სიტყვა მამათაგან.—მოგვითხრობდა ჩუენ მამა ვინმე მეტყველი, ვითარმედ იყუნენ ორნი ვაჭარნი ერთისაგან დაბისა და სიყვარული აქუნდათ ურთიერთისა მიმართ...“ 15v—16г.

44. „თქმული მისთვის, რამეთუ ეკლესიასა შინა დამარხვენ ცოდვილთა.— იყო ვინმე ბერი ქვეყანასა თებაიდისასა, რომელსა მოეგო ჴორცთა კრძალულება...“ 16г.

45. „თქმული მკუდართა ეკლესიასა შინა დამარხვისათვის. — ვალზნთიანე ვინმე სახელით, მსაჯული ლადიონისა, მოკუდა ოდესმე კაცი სრულიად ბოროტისმოქმედი და ქრთამის მიმღებელი...“ 16г.

46. „სწავლა ლხინებისათვის სალმობათაგან მოწყალებათათვის და კუალად რ῀ა, რომელი შემნანებელი მოკუდა.— კაცი ვინმე იყო კოსტანტინეპოლის, სალმობიერ იქმნა და შეიშინა სიკუდილისა...“ 16г—v.

47. „თქმული გრიგოლი რომთა პაპისა უცხოთ შეწყნარებისათვის.— კაცი ვინმე იყო მდიდარი და ყოვლითა მოსწრაფებითა უნებდა სტუმართ მსახურება...“ 16v.

48. „თქმული ცხოვრებისაგან წმიდისა მარტიანე მოწყალისა.— იყო-და რა წმიდა მარტიანე ოცისა წლისა და არა მიელო კუალადდა წმიდა ნათლისღება...“ 16v—17г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

49. „თქმული მონაზონისა ვისთვისმე, რომელი განვიდა მონასტრით სხვად მონასტრად, ვერ დამთმენელი ძმათა შეურაცხებისა. — ძმა ვინმე ჰყოფდა საზოგადოსა საყოფელსა შინა მონანული და იყო საყვარელ ხუთთა მათ და შეაჭირვებდეს მას ერთი...“ 17r.

50. „თქმული პატრიკისაგან ტირილისათვის ვისამე. — ღმერთო შეიწყალე ქს͠ია. ძმა ვინმე ჯდა მონაიდისა მონასტერსა შინა და ესე იყო ლოცვა მისი მარადის...“ 17r—v.

51. „თქმული ლიმონისაგან ივლიანე მონაზონისათვის, რომელი აცხოვნა ანგელოზმან სიძვისაგან.— მოგვითხრობდა მონაზონი ივლიანე თავისა თვისისათვის ჯდომასა ჩ͠ა კიდესა შინა...“ 17v.

52. „თქმული ლიმონისაგან ლევი მონაზონისათვის, რომელი იტყოდა სასუფეველისა ქონებად.— წელსა ტიბერიოს რომთა კეისრისასა იყო ვინმე მონაზონი ქალაქსა შინა ასიასა, ქალაქისა კაბადუკიისა...“ 17v—18r.

53. „სიტყვა იოვანე იელუსალემელ(!) ეფისკოპოზისათვის, ვითარ უკვე ეპიფანე ხელოვნებითა აღილო ვეცხლი და განუყო გლახაკთა ქველის საქმით.—მოვიდა ვინმე ოდესმე იეროსალემით დიაკონი და მიუთხრობდა წმიდასა ეფიფანეს იოვანე იერუსალემ ეფისკოპოზისათვის...“ 18r—v.

54. „სიტყვა პაფნოტი მონაზონისათვის და სათნოებისათვის მამასახლისისა, ხოლო რისათვის ღმერთმან აუწყა. — პაფნოტი დიდი მეუდაბნოვე, წმიდა ბერი მავედრებელი ოდესმე ღმრთისა გამოჩინებად მისა, რომელთა წმიდათა მსგავს არს...“ 18v—19r.

55. „სიტყვა პატრიკისაგან მარკოზ მონაზონისა წინა მხილველობისათვის მისისა, ვითარ იხილა. — იტყოდეს მონაზონისა მარკოზ მეგვიპტელისათვის, რამეთუ იყო ოცდაათი წელი, რომელ არა გამოვიდა სენაკისაგან თვისისა...“ 19r.

56. „სიტყვა მღუდელისა ვისთვისმე, რომელსა ანგელოზი მსახურებდა.— მოგვითხრობდა ბერი ვინმე, რამეთუ იყო მღუდელი წმიდა ღირსი...“ 19r—v.

57. „სიტყვა დანიელ მონაზონისათვის, რომელი შეისმინებოდა მეძავითა. — მოგვითხრობდა ჩუენ მოხუცებული აბბა დანიელ მეგვიპტელისათვის მეტყველი...“ 19v.

58. „სიტყვა წმიდისა პაფნოტი მეუდაბნოისა ავაზაკისათვის, რომელი ცხონდა.— იყო კაცი უდაბნოსა შინა, ქვეყანასა ირაკლი თებაიდასა...“ 19v — 20 r.

59. „სიტყვა ქალისათვის მონოინისა, ვითარ აცხოვნა იგი წმიდამან მაკარი უწყალოებისა მისგან. — ქალი ვინმე იყო ალექსანდრიას შინა სახელით მონოინა...“ 20r — v.

60. „სიტყვა პატრიკისაგან.— ძმა ვინმე წარიგზავნა მამისაგან მსახურებად და მივიდა ადგილსა მწყურნებსა რასამე და პოვა დედაკაცი ვინმე, რომელი რეცხდა სამოსელსა...“ 20 v.

61. „სიტყვა დედაკაცისათვის ღმრთის მვედრებელისა, რომელსა ზედა არა რა განსაცდელი მივიდა.— მოგვითხრობდა ჩუენ ერთი ვინმე მამათაგანი: რამეთუ ალექსანდრიას შინა შეველ და შევლე ეკლესიასა შინა...“ 20v—21r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

62. „სიტყვა ბერისათვის, რომელმან დაავნა (!) სენაკისათვის ძმანი. — იყო მონაზონი ვინმე განშორებული, ფრიად წარჩინებული...“ 21r.

63. „სიტყვა ქალისა ვისთვისმე, რომელმან ყო წყალობა დაშთობად მნებებელსა ზედა ვაზშმისათვის.—ალექსანდრიას შინა ეგვიპტისასა...“ 21r—v.

64. „სიტყვა პატრიკისაგან ქურივისათვის, რომელ შეიწყალა მთავარმან სიმდაბლისათვის ძისა მისისა. — დედაკაცსა ვისმე მოხუცებულსა და გლახაკსა ესხნეს ორნი შვილნი...“ 21v—22r.

65. „სიტყვა მონაზონისათვის საეშმაკოთა საქმისა ხილვისა, რათა ნუ ვინმე სცთების საოცრებათა გამოჩინებისათვის.—მონაზონსა რომელსამე გამოუჩნდა ეშმაკი ანგელოზისა სახითა შეცვალებული...“ 22r.

66. „სიტყვა სისოსათვის წმიდისა მის, თუ ვითარ აღადგინა მკუდარი.— მოვიდა უკვე ერის კაცი ვინმე მამისა მიმართ სისოსა...“ 22r.

67. „სიტყვა პატრიკისაგან.— ძმა იკითხვიდა რომლისაგან მამისა, ვითარ მოაძლევს ეშმაკი განსაცდელსა...“ 22r.

68. „სიტყვა პატრიკისაგან.— წარვიდა ძმა აღმოვსებად წყლისა მდინარისაგან და პოვა დედაკაცი მრეცხელი სამოსლისა...“ 22v.

69. „სიტყვა გრიგოლი მზრახველისა.— მჴედარი ვინმე ამის ქალაქისა ჩუენისა შეჭირვებისაგან ზღვისა იძლია და მოკუდა...“ 22v—23r.

70. „თქმული პატრიკისაგან, რომლისათვისმე მეუდაბნოისა შენანებისათვის.—მოგვითხრობდა მამა პაფნოტი, ვითარმედ განვიზრახე განსულა უდაბნოსა შინა...“ 23r.

71. „თქმული მამათაგან, რომელმან სძლო მტერსა და მოიღო გვირგვინი.— ხოლო მოგვითხრობდა ძმა, ვითარმედ ვიდოდით განტევებულნი დაბასა შინა...“ 23 r.

72. „სიტყვა წმიდისა ათანასი ალექსანდრიელ მთავარეფისკოპოზისა მელიქისედეკისთვის. — მეფესა მელქილს, ვითარცა ვთქუთ, ესვნეს ორნი ძენი.—“ 23v.

წყდება: „...ხოლო სალიმა, დედა მელქისედეკისა, ჯდა სახლსა თვისსა და ღაღადყო ჴმითა დიდითა და თქუა: შვილო, არა სტირა მელქისედეკ ძმასა შენსა, რომელი ესე ოდენთა შრომათა წარვალს დაკულად. და არა უწყი, ღმრთისა მიმართ წარვალს მსხუერპლად...“

(1644) **4814**

ზატიკი. XIV

40 ფ.; 26,5 × 20,5; ეტრატი, ნაწილობრივ დალაქავებული. მე-19 ფ. 3/4 ამოჭრილია; ყდად გამოყენებულია ეტრატის ფურცელი (შერჩენილია მხოლოდ ზემო ნაწილი); დაშლილი, ბოლონაკლული; ნუსხური, სათაურები და დასაწყისები სინგურით; თავსამკაული და მოხატული საზედაო ასო (XIV საუკუნისათვის დამახასიათებელი მხატვრობა) (1r); [XIV საუკ.]; გადამწერი: ბარნაბა (20r).

„იწყებიან წმიდანი ზატიკნი წმიდით და განმაცხოველებელით ქრისტეს აღდგომით და სრულ იქმნებიან კჳრიაკესა ყოველთა წმიდათასა რვანივე კჳრიაკენი სრულნი ყოვლითურთ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდსა შაბათსა მწუხრი, უფალო ღაღადყავსა, ჴ̃ჲ ა.— სამწუხრონი ესე ლოცვანი ჩუენნი შეიწირენ, წმიდაო უფალო, და მოგუმადლე ჩუენ მოტევება ცოდვილთაჲ...“ 1r—4r.

„ბრწყინვალესა კჳრიაკესა ცისკრად გალობანი, ოგ̃ბ ჴ̃ჲ ა.— აღდგომისა დღე არს, განვბრწყინდეთ აწ ერნო...“ 4r — 19v.

„დასდებელნი ახალკჳრიაკისანი, უფალო ღაღადყავსა, ჴ̃ჲ ა.— რომელი ბჭეთა ჴშულთა მოწაფეთა კრებულსა თანა შეხუედი...“ 20r — 40v.

წყდება: „...ჰოი, იოსებ სანატრელო, აღ...“

შენიშვნები: 1. უძლვის მღვდელმსახურების წესი აღდგომის დღესასწაულისათვის (ზემო ყდის v).

2. გალობათა სახელწოდებები გატანილია ხელნაწერის კიდეებზე.

3. ხელნაწერს აქვს რვეულობრივი პაგინაციაც. სულ ხუთი რვეულია.

4. 19 r-ზე ტექსტის ხელით დაწერილია კრიპტოგრამა.

ანდერძები: 1. (სინგურით სათაურთან): „უფალო ღმერთო, წარმართე საქმე ჴელთა ჩუენთა. ადიდენ ღმერთმან ორსავე ცხოვრებასა შინა ერისთავთ ერისთავი შალვა“ (1r).

2. „ბარნაბას და მშობელთა მისთა შეუნდენ ღმერთმან“ (20r).

მინაწერი (გადამწერის): „დედასა ძლისპირი არა ჩნდა“ (2r).

იხ. მინაწერები: ზემო ყდის v, 4r, 4v, 5r, 5v.

(1645) **4815**

განყოფისათჳს არტილერიისა საჭურველთა. XVIII — XIX

8 ფ. (16 გვ.); 22,5 × 17; მწვანე ფერის ქაღალდი; უყდო; მხედრული; [XVIII—XIX სს.], ჭვირნიშანი 1797 წ.; დაუწერელია გვ. 16.

„განყოფისათჳს არტირელიისა საჭურველთა სიმძიმისა რაოდენობისათჳს ნივთთა წინამდებარისა სასროლისა მათისათა.— კითხვაჲ: როგორ განიყოფებიან არტირელიისა საჭურველნი მებრ თვისითა სიმძიმითა.

მიგებაჲ: განიყოფებიან ესენი სამად... გვ. 1—15.

შენიშვნა: ტექსტი, რომელიც წარმოადგენს კითხვა-მიგებას, ორი თავისაგან შესდგება: 1. „თავი ბ. განყოფისათვის არტილერიისა საჭურველთა სიმძიმისა...“ (გვ. 1—12); 2 „თავი გ. მისთვის, რაჲცა საჭმარ არიან ზარბაზნისა“ (გვ. 12—15).

(1646) **4871**

კილოზანი სწავლათა. XIX

115 ფ.; 21,5 × 17; ლურჯი ფერის ქაღალდი (80v—81r დასვრილია მელნით); ტვიფრული ტყავგადაკრული ხის ყდა (ჰქონია 3 ტყავის საკეტი); თავნაკლული; მხედრული, სათაურები და დასაწყისები სინგურით; [XIX ს.], ჭვირნიშანი აქვს: 1816 წ.

[კიდობანი სწავლათა]. 1. [მახვილსიტყვაობანი]. —… „…ნი და ეტყოდნენ — თეთრი მოგვეცო. მან უპასუხა თავაზიანად: ეს იყო ახლა შამეყვარნენ თქვენსავით პატიოსანნი კაცნიო …“ 1r — 50r.

შენიშვნა: წინ აკლია 54 მახვილსიტყვაობა.

2. „დემოფონ ფილოსოფოსისათჳს. — ვილტი კაცთაგან, იტყვის დემოფონ…“ 50v — 52v.

3. „სიყვარული ცოლისა ქმრისა თჳსისა მიმართ. — ინგლისს მეფედ ყოფილი იაკობ მეცადინობდა…“ 52v—56r.

4. „შოტლანდიის ლიტონი სალდათი. — ღლასკოვსა შინა სალდათი, სახელად რიჩარდ მედილტონ, დღესა კვირიაკისასა მივიდა ეკკლესიას…“ 56r — 63v.

5. „სხვადასხვა გვარნი ხუმრობანი. — ერთსა სადმე მეჯლისსა ჩამოაგდეს სიტყვა ტრანსილსა ზედა…“ 63v — 64v.

6. „სხვადასხვა სააზრონი წინადადებანი. — მეცნიერული წინადადება. პლანტენი (!) არნ მყარნი და ბნელნი სფერანი…“ 64v—65r.

7. „ღირსსახსოვარნი სიტყვანი. — ოთხნი ნივთნი არიან უკმოუქცეველნი…“ 65r — 66r.

8. „რომელნიმე შესწავებანი დედაკაცთათჳს და ქორწინებისათჳს. — დედაკაცთა სილამაზეს შეადგენენ: ახალ მოასაკობა, საშუალ ტანადობა და წყობილობა ყოველთა ნაწილთა სხეულისათა…“ 66r—67r.

9. „მეცნიერულნი განსაზღვრებანი და შესწორებანი ანუ შემსგავსებანი. — სული და ჴორცი არიან განუშორებელნი მტერნი …“ 67r — 69 v.

10. „კეთილნი აზრნი. — ჩინებულება უმეტეს დამოკიდებულ არს ბედნიერებასა, ვიდრე გვაროვნებასა…“ 69v—71v.

11. „აღწერა თვისებათა უჩინებულესთა ერთა ევროპიისათა. — ნემეცნი, ფრანციცნი, იტალიელნი, ღიშპანელნი, ინგლისნი…“ 71v — 72 r.

12. „უბნობა შორის მწიგნობრისა და ყმაწვილისა. — ყრმა ერთი დასეირნობდა პირსა ზედა მდინარისასა…“ 72r — 74v.

13. „ყოვლად საზოგადო დასახულება სწავლათა და ჴელოვნებათა. — ცნობა ნივთთა არს სამგვარი…“ 75r—76r.

14. „წარმოება კაცობრივთა ცნობათა. — ბუნებითნი ნივთნი ანუ პირუტყვნი მოქმედებენ გრძნებათა ზედა…“ 76r — 76v.

15. „მეხსიერება, რომლისაგანცა არს ისტორია. — ისტორია არს აღწერა საქმეთა…“ 76v — 78r.

16. „ზნეთ-სწავლებითნი განზრახვანი, გარდამოცემულნი კანცლერისა მიერ ღრაფისა ოქსენსტირისა. — 1. კაცი ცრუ არს, საცავი ქარისა, ეზო ეშმაკისა და დაფიცებული მტერი თჳსისა პატიოსნებისა …“ 78r — 90r.

17. „მოძღვრება სამკურნალო. — კაცნი სიჭაბუკესა შინა უმეტეს მეცადინობენ…“ 90r—92r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

18. „სწავლა ახალ მოსწავლეთა ყრმათათჳს კერძოობითად ჟამის განყოფისათჳს.— ერთსა საუკუნესა შინა არს ასი წელიწადი...“ 92r—93r.

19. „აზრი ადგილის მყოფობისათჳს სულისა ჩვენისა კაცსა შინა.— ოდეს ღმერთი არს არსება და ბრძენი სულიერი დაუსრულებელი...“ 93r—93v.

20. „აღმოჩინება უკვდავებისათჳს სულისა ჩვენისა.— ოდეს იგი არს არსება მარტივი და ესრეთ ვერ შემძლებელ არს დარღვევად...“ 93v—94 v.

21. „შვილთა მშობელობისათჳს.— მსგავსადვე ამისა სიბნელითა დაფარულ არს ჩვენგანა შემეცნებაცა შვილთა მშობელობისა...“ 94v—97r.

22. „აზრი ეპიკტიტე ფილასოფოსისა სიკვდილისათჳს.— სიკვდილი, დევნულება და ყოველივე, რაჲცა ოდენ უდიდეს უბედურებად შერაცხილ არს...“ 97r—98r.

23. „უჩინებულესნი პოვნილებანი რომლისამე ჟამითგან ევროპიასა შინა ქმნილნი.— 1. უკანონო და ცვლილებით მდგომარეობა უძრავთა ვარსკლავთა აღმოაჩინა უფ. ბრადლეიმ...“ 98r — 108v.

24. „დროს განყოფისათჳს სხუა და სხუა ეპოხად და სხუანი.— ქრისტიანენი ჰრაცხენ წელიწადსა ორად...“ 108v—110v.

25. „განმარტება კაცთა სახელებისა.— ა. აარონ, მწარე ანუ მაღალი. ებრაულ...“ 111r—115r.

შენიშვნა: S—1517 ხელნაწერის მიხედვით ტრ. რუხაძეს „სწავლა კიდიაბანთა“-ს მთარგმნელად კონსტანტინე ჯორჯაძე მიაჩნია (იხ. ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან (XV—XVII სს. გვ. 287, შენ. 6), სინამდვილეში კონსტანტინე ჯორჯაძე ხელნაწერის გადამწერია (იხ. ქართულ ხელნაწერთა (S კოლექცია) აღწერილობა, ტ. II, გვ. 311; ე. თაყაიშვილი, Описание...“, II, გვ. 265).

მინაწერები: 1. „ჩყკ-სა წელსა, ივლისის იბ, დღესა სამშაბათს მთჩეს (!) თოთხმეტსა დღესა შეწევნითა ღ̃თისათა ჩავყარე სახლებს საძირკველი და ვიმუშავე სახლები“ (71 r).

2. „ჩყლდ წელსა, ივლისის კƟ, დღესა შაბათსა წაიყვანეს ჩემი ქალი დარილალ ...ბიჩნა ჩოლაყვამა, ღმერთი იყოს მათი შემწე“ (71r).

3. „ჩყლთ წელს, სეკდემბერს Ɵ დღესა გარდიცვალა თავად პოლკნკის (!) ივნეს (!) ძე მალხაზ, წლისა თოთხმეტისა, ცხელებითა. ამავე თვის იმავ დღესა ხუთშაბათსა ანუ ოთხშაბათს ღამით. პარასკევს მიიღეს ვეჯინს ღთების (!) ეკლესიაში“ (74v—75r).

4. „ჩყკ წელსა, ოკდომბრის იე, დღესა პარასკებს გარდაიცვალა კნიაზი ორბელიანი დიმიტრი ზაალის ძე ძმანას და იქავ მიიღეს“ (87r).

5. „ჩყლƟ წელსა, მაისის თვის კზ დღესა, პარასკებსა დღისასა არა..... გარდაიცვალა უეცრათ, რომელიც ილოცევდა იმ დროს და ძლით დღესა პარასკებსა, თავადის თომა სვიმონის ძის მეუღლე კნეინა ანასტასია, თავადის ელიზბარ ქსნის ერისთავის ასული, და დავასაფლავეთ ფხოვეშივე ეკლესიას კვირაცხოველში“ (108v—109v).

6. „გარდაცვალება იპერატორსა (!) პეტრე დიდისა ასცამეტი წელი არს“ (110v).

7. „ჩყლƟ წელს, მარტის იზ დღესა, პარასკებსა გარდაიცვალა პარუჭიკი (!) და მერმე ანას კავალერის მქონე თავადი აბელ ქაიხოსროს ძე ჩოლოყაევი სო-

ფელსა ახმეტას; ჩყზლ წელსა, ფებერვალს იჱ დღესა გარდაიცვალა პარუჩიკი და მექონე მერმე ანას კავალერისა თავადი ზურაბ სოლომონისძე აზენიკოვ, ფხოველს, შიო... მონასტერში დავით.... (110v).

8. „წელსა ჩყმვ გარდაიცვალა თ῀ა ივანე აბაშიძე, დავითის ძე და დაშთა წვრილი შვილნი და ცოლი უბედურად მყოფი. ვინცა აღმოიკითხოთ, შენდობას უბრძანებდეთ. სეკდენბერს პირველს კვირას დილით განუტევა სული“ (114r).

9. „ჩყკ წელსა, სექტემბრის კგ, დღესა ხუთშაბათსა, პირველ ღამეს ცხეში (!) კარიდამ თოფი გვესროლეს... კნეინას ანასტასიასა მარჯვენას თითებში მოხდა... დაიჭრა და მე დამცდა“ (115r).

10. „ჩყკგ წელსა, იანვრის კ დღესა, კვირა იყო. მთვარის ოცდაერთს დაიბადა თომას ძე სვიმონ ღამისა....“ (115 v).

11. „ჩყკგ წელს, იანვრის ი დღესა, კვირას მთვარის თხუთმეტს დაბნელდა. მთვარე დადგა 22 საათს...“ (115 v).

12. „ჩყკბ წელსა, დეკემბერს დღესა გარდაიცვალა ქალაქს თავადი ბეჟანი ბევის ძე გიორგი მანანოვის სახლში“ (115 v).

13. „ჩყკგ წელსა, დეკემბრის კზ დღესა, ხუთშაბათსა დღის მეცხრე საათს ვარდაცვალა თავადი მიხელ დავითის ძე ანდრონიკოვი თბილისს და წამოვიღეთ, დავასაფლავეთ ვეჯინს ღთეების ეკლესიაში“ (115 v).

იხ. მინაწერი: 5 r, ქვემო ყდის v.

(1647) **4872**

ნებიერიძე იოანნე, კრებული. 1861

28 ფ.; 26,5 × 21,4; ქაღალდი (გაყვითლებული); უყდო; მხედრული, თავსამკაული (3r, 13r); ავტოგრაფი; 1861 წ. (2r); ადგილი: ახალციხე (2r); დაუწერელია 2v.

1. „ანდერძი იაკობ მამათ-მთავრისა, ქმნილი ათორმეტთა ძეთა თჳსთადმი ჟამსა მხცოვანებისა მისისა, სასიკუდინედ განმზადებულისა, რომელ იყო მდებარე ლოგინად სარეცელსა ზედა თჳსსა 147-ის წლის მიჰრწნილი მოხუცებული, დამეტებით აღწერილი ვიდრე სიკუდილადმდე ძისა მის იოსებ მშუჱნიერისა, რომელიცა გარდაიცუალა ეგვიპტის ქვეყანასა შინა 110-ის წლისა. განმარტებული ლექსითი ლექსად, ადჳლ სმენისათჳს ჰაზრისა, მდაბიურის უბნობითა იოანნე ნებიერიძის მიერ ახალციხელისა. ჩახრუხაულად წყობილი ოთხტაეპოვანი ოცმარცულოჳნედი. 1— ა. — შემოკრბით ჩემნო, თორმეტნო შვილნო, ძენო იაკობის ისრაილისნო...“ 3r—10r.

2. „აქა განიმარტების პროზად (და არა ლექსად), წულილიადითა გამოძიებითა, მდაბიურის უბნობითა წინა თქმული ანდერძი იგი იაკობ მამათმთავრისა შესამეცნებელად ჩვენდა, თუ ვითარითა სახითა წარმოებულ არს შთამომავლობაჲ მისი შვილითი შვილამდე ძველთა ჰსჯულთაგან მოდგმით.— 1. რუბენი არის პირველი შვილი იაკობ მამათმთავრისა...“ 10r — 13r.

3. „ცხოვრება იოსებ მშუჱნიერისა კითხვა-მიგებითად განმარტებული.— აქა იაკობ მამათმთავრისა ათნივე ძენი მოიძულვებენ თავიანთსა ძმასა იოსებს. იოსები ნახავს ორსა სიზმარსა. იაკობი წარგზავნის იოსებსა თავის ძმების სანახავად. ძმანი შეთანახმავდებიან იოსების მოსაკულელად. რუბენი დაიჴსნის მათგან იოსებსა და მისყიდვენ მას ისმაიტელების ვაჭართა ოც ვეცხლ ფულად. იაკობი თავის შვილებისაგან მოტყუვებით სისხლით შესვარულსა იოსე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის ტანისამოსსა ზედა იგლოვებს. იოსებსა ეგვიპტის ქვეყანაში მისყიდვენ პეტაფრესა, ვითარცა ფარაონ მეფისა ჯალლათ მთავარსა ბოქაულსა. — კითხვა: ვინ იყო იოსებ? მიგება: იოსებ იყო მეათერთმეტე ძე იაკობ მამათმთავრისა...“ 13r — 28 v.

შენიშვნები; 1. 1r-ზე წერია: „ანდერძი იაკობ მამათმთავრისა“. აქვე მოთავსებულია საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბეჭედი.

2. უძღვის: ა.

„ანდერძი ესე განმარტებულ არს,
ვითა ჰშუენოდა, წმასნვით წყობილ არს,
ლექსითი ლექსად მითვე დათხზულ არს,
აღჳლ სმენისად ზედი-ზედ ჰრთულ არს.
ანდერძნამავი, ვით ჰრჩეულ მანგი,
საარმაღანოდ ძნობილი დანგი,
ეძღუნის სანუკურად არ მცხრალი მანგი,
მწულილი წურილადი, მოძღუნილი დარგი“ (1v).

ბ. „ყოვლად უსამღუდელოესსა მეუფეს, უმოწყალესსა მწყემსთ-მთავარს, ქუთაისის კათედრისა და იმერთა ეპარხიისა მღუდელთ-მთავარსა, ეპისკოპოზს და კავალეროსანს გაბრიელს მდაბლად მიუძღუნის იაკობ მამათ-მთავრისა ანდერძსა ამას, ლექსად განმარტებულსა. — აღჳლ სმენისათჳს ზედმიწევნილებითისა იდუმალთა ჰაზრთა წინათ-მაუწყებელთა წმიდანთა მამათა ჩუენთათა, რათამცა წულილიადითა გამოძიებითა შევიმეცნებდეთ ღრმად გარდამოცემულთა მათ მიერ ჩუენდა ესევითართა მისაწთომადთა გონებისა ჩუენისადმი საიდუმლოვანთა სიტყუათა საღმრთოჲსა წერილისათა და მით დავჰსტკბებოდეთ სრულითა მეკსიერებითა ჩუენითა და არღა ვიჭუნეულებდეთ საგონებელად სხუა და სხუა ჰაზრით.

ყოვლად უმოწყალესო მეუფეო! წარმოდგენილი წინაშე ყოვლად უსამღუდელოესობისა თქუენისა უმცირესი ნაღუაწი ესე ჩემ მიერი, ვითხოვ, ფრიადითა კეთილ-მოწიწებითა მიიღოთ მჰსგავსად ქურივისა მის შემწირუელისა ორისა მწულილისა და მით დააჯილდოვოთ მოწყალებითი გარდამოსლუაჲ განმკნობისათჳს მთხზუელისა ამის კეთილ-მიმთხუეულებისადმი ივერთა სასარგებლოდ თანა-მემამულეთა ჩუენთათა. თქუენის ყოვლად-უსამღუდელოესობისა უუმდაბლესი მონა იოანნე სტეფანეს ძე ნებიერიძე. 23-სა დეკემბერსა 1861-სა წელსა, ახალციხით“ (2v).

5. (მასვე, 1841 წ. 18 ოქტომბერს).— „საყვარელო ძმაო გრიგოლ, შენი წიგნი მომიტანა დ. ჯ-ძემ...“ 17r — 18r.

6. (მასვე, 1842 წ. 2. მაისს).—საყვარელო ძმაო გრიგოლ! ილია მართლა ტყვედ არის შამილთან...“ 18r—20v.

7. (მასვე, 1843 წ. 21 აგვისტოს).— „საყვარელო ძმაო გრიგოლ, არა, უკაცრავად, მთავარო ავარისაო...“ 20v—23r.

8. [მასვე].— „აი ჩემი უკანასკნელი ლექსი, რომელიც კნიაზ ბარათოვს ალბომში ჩაუწერე...“ 23v—24r.

შენიშვნა: ბოლოს ფანქრით მიწერილია: „მეუნარგიას იონას 6 и 8 письмо и ...“

9. „ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილები ზაქარია ორბელიანთან“.—„უსაყვარლესო ძმაო ზაქარიავ! მომილოცავს პოლკოვნიკობა!...“ 25r—26r.

10. „წერილი ნიკოლოზ ბარათაშვილისა ზაქარია ორბელიანთან.—Любезный брат Захарий, отчего мы не переписываемся...“ 27r—28r.

შენიშვნა: წერილი 1844 წ. 15 აპრილსაა დაწერილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. „კიდევ ზაქარია ორბელიანთან.— Любезный брат Захарий, с восторгом поздравляю...“ 28r—v.

შენიშვნები: 1. წერილი დაწერილია 1844 წ. 10 მაისს.

2. 29r—34r-ზე მოთავსებულია ამ ორი უკანასკნელი წერილის ქართული თარგმანი, როგორც 28r-ზე გაკეთებულ წარწერიდან ვგებულობთ, ეს თარგმანები გაზეთ „კვალში“ გამოქვეყნებულა: „დაბეჭდილია თარგმანი ამ წერილებისა გაზეთ კვალში 1893 წელს“.

3. ერთვის: „წერილი თ. ლევან მელიქიშვილისა თ. გრიგოლ ორბელიანთან, 19 იანვარს 1846 წ., ტფილისი.—საყვარელო გრიგორ, არ ვიცი როგორ აგიწერო ის საშინელი გრძნობა, რომლითაც გული სავსე მაქვს საწყალი ბარათაშვილის სიკვდილის გამო...“ 35r—44r.

აქვე პარალელურად მოთავსებულია წერილის რუსული ტექსტი.

4. ხელნაწერის სტამბაში ნამყოფობაზე მიუთითებს სტამბის მური და რედაქტორის, პ. უმიკაშვილის, სასტამბო ხასიათის მინაწერები და შენიშვნები.

5. ეს ხელნაწერი აღნიშნულია ნ. ბარათაშვილის 1945 წ. გამოცემაში K ლიტერით. იხ. გამოცემის 125 გვ.

4911 გ

გრიგოლ ორბელიანი, ლექსები. 1879

მოადგენს გრიგოლ ორბელიანის ლექსების 1879 წლის გამოცემის 23 ფურცელს (1—47 გვ.), ჩასწორებულს ფანქრით და მელნით. ფურცლები გამზადებულია სასტამბოდ.

4911 დ

რობერტ ბერნსი, ყველაზედ უფრო. XIX

2. ფ.; 17,5×11, ქაღალდი, უყდო, დაშლილი; [XIX ს.].

„ყველაზედ უფრო [რობერტ ბორნსისა(!)].—

იყავ ღარიბო პატიოსანი,
შრომა გიყვარდეს ყველაზედ უფრო...“ 1r—2r.

შენიშვნა: ბოლოს უზის თარიღი 1863 წ. 26 ოქტომბერი.

(1657)

4912

ერისთავი დ., რა არის ბენეფისი? 1881

4 ფ.; 22,5×8; ქაღალდი; უყდო; მხედრული, ავტოგრაფი; დასაწყისი წითელი ფერის მელნით; 1881 წ. (1r); დაუწერელია 4v.

⟨დავით ერისთავი⟩, „რა არის ბენეფისი? ინტერმედია-დივერტისმენტი. მიბაძვა ლრისოლოგუბისა(!). ფარდა რომ აიხდება, მთელი ტრუპპა სცენაზეა. ერთ მხრივ ქალები, მეორე მხრივ კაცები. შუაში აბაშიძე სდგას.— აბაშიძე: მოწყალენო ხელმწიფენო!...“ 2r—4r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: 1г-ზე წერია: „რა არის ბენებისი? ინტერმედია - დივერტისმენტი (მიბაძვა გრაფ. სოლოგუბისა), ვ. აბაშიძის ბენეფისისათვის დაწერილი თ. დ. ერ.... სავან. 1881 წ“.

მინაწერი: „დავით ერისთავის ნაწერი, წაკითხული 24 მაისს 1881 წ. აბაშიძისაგან, დუმილით და ცოტა შტვენით მიღებული პუბლიკისაგან.“ (1г).

(1658) **4913**

„წერა“ ზმნის უღლილება. 1853

1 ფ.; 68×102; სქელი ქაღალდი, ნაკეცებში გახეული; უყდო; მხედრული, რუსულ-ქართული ტექსტი; 1853 წ. 31 მარტი. თბილისი(1г); დაუწერელია 1v.

„Спряжение глагола წერა—писать. — К представлению грузинского отдела в комитет начертаний учебных пособий от 31 марта 1853 года. Тифлис“ (1г).

შენიშვნა: წარმოადგენს „წერა“ ზმნის უღლილების ცხრილს, რომელსაც ხელს აწერენ ამ კომიტეტის თავმჯდომარე დ. ყიფიანი, წევრები: პ. იოსელიანი, ზ. ყორღანოვი, მღვდელი ეფრემ ალექსეევი და სხვები.

(1659) **4914**

ერისთავი გიორგი, წარსული დროების სურათები. 1863—1864

12 ფ.; 22×18; ქაღალდი; უყდო, ჩადებულია ორად ვაკეცილ თეთრ ქაღალდში; ავტოგრაფი; 1863—1864 წ., ქ. გორი (12г); დაუწერელია 12v.

„წარსული დროების სურათები. თხზ. გიორგი ერისთავისა.— მოქმედნი პირნი: ივან მიკირტიჩ მინასოვი. გაბრიელ, მისი ძმა. ხანფერვან, ივანეს ცოლი...“ 1v—12г.

შენიშვნა: ხელნაწერი, როგორც ავტოგრაფი, გამოყენებულია წიგნში: გიორგი ერისთავი, თხზულებანი. შალვა რადიანის და ი. ბალახაშვილის რედაქციით, 1936 წ. ტფილისი, გვ. 265—278 და 407.

4915

ილია ჭავჭავაძის წინასიტყვაობა ვისრამიანის გამოცემისათვის და მისი წერილი პეტრე უმიკაშვილთან.

(გადატანილია ილ. ჭავჭავაძის არქივში. № 53).

4916

ხუთი წერილი ილია ჭავჭავაძისა პეტრე უმიკაშვილთან და ილიას ნაწერების შავები

(ბაზალეთის ტბა, დიმიტრი თავდადებული, по поводу письма Яновского).

(გადატანილია ილია ჭავჭავაძის არქივში № 54).

ეროვნული ბიბლიოთეკა

4917

გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებების ინგლისური თარგმანის წინასიტყვაობა რუსულ ენაზე.

(გადატანილია Ros. № 127).

4918

რაფიელ ერისთავის ბარათი ლექსით ნინო ორბელიანთან.

ავტოგრაფი. იქვეა მინაწერი ნ. ორბელიანის ლექსი—პასუხი.

(გადატანილია რ. ერისთავის არქივში № 461).

(1660) **4919**

სწავლა ლექსთთხზულებისათჳს საზოგადოდ. XIX

10 ფ.; 21,5×18: მწვანე ფერის ქაღალდი; უყდო, ჩადებულია ორად გაკეცილ თეთრ ქაღალდში; მხედრული, დასაწყისები ნუსხურით; [XIX ს.], ჭვირნიშანი: 1809 წ.

„ჰსწავლა ლექსთთხზულებისათჳს საზოგადოდ. — ლექსთთხზულება არს მეორე ნაწილი ღრამმატიკისა, რომელიცა ასწავებს კანონიერსა შეერთებასა ლექსთასა...“ 1r—9r.

შენიშვნა: 1r-ზე მოთავსებულია ბეჭდები ლეგენდით: ა „სტეფან ზურაბოვ“; ბ „დიმიტრი ბერიევ“.

იხილე მინაწერები: 9v—10v.

(1661) **4920**

სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი. 1835

242 ფ.; 35×22,5; ქაღალდი, სინესტისაგან დაზიანებული და ვაჭუჭყიანებული; უყდო, დაშლილი, ნაკლული, აკლია: 174—175, 175—176, 217—218, 228—229, 232—233 ფურცლებს შორის; მხედრული, ბოლოსამკაული: 20v, 43v, 58r, 67r, 78v, 91v, 106r, 112r, 147v, 161v, 165v, 171r, 195r, 218v, 220v, 240v; 1835 წ. (240v); გადამწერი: დიაკვანი სვიმონ პეტრეს-ძე დადიანიძე (240v); დაუწერელია: 241v—242v; ხელნაწერი შემოუწირავს ივანე გიორგის ძე ავალიშვილს.

[სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი]. — ა. ანი არს პირველი ასო და ჳმიანი და ართრონი მრავალრიგად და თავად მოვალს მრავალთა სიტყუათასა და ბოლოდაც, ვითარცა დამიწერია ა. 18. კავშირში...“ 1r—240v.

შენიშვნები: 1. ერთვის: ა. „პირველად ამა წიგნისა მომღვაწებელსა სულხან-საბა ორბელიანს ლოცვით მოიხსენებდეთ. დაბადებულა სულხან-საბა ორბელიანი ქართულის ქ˜კს ტმკ, ოკდონბრის კდ-ს, რომ ლათინურად ოთხი ნოენბერი იქნება, დღესა კვირიაკესა, ჟამსა შუალამისასა. ვინც ეს ლექსიკონი გარდასწეროს და საბას სახელი ასრევ არ დასწეროს, მის მაგიერად უფალმა ის ვაიკითხოს“ (240v); ბ. „იესო ქრისტეს სამეოცდა ათორმეტი მოწაფეო ჰყამდა“ (241r) (მარტო სათაურია); გ. „მეფის ვახტანგის თქმული. — სიყრმიდამ იყო მუდამად...“ (241r); დ. „საბას თქმული. — ამ ლექსიკონის რიგები, თუ ბრძენმა დამიწუნოთა...“ (241r);

2. ლექსიკონი A რედაქციისაა.

3. ბოლოსამკაულებში ჩაწერილია ნუსხურით: 67r-ზე — „სვიმონ“; 78v-ზე — „კაცი“; 91v-ზე—„ღვთისა“.

4. აქვს რვეულებრივი პაგინაციაც.

5. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბეჭედი უზის: 1r, 2r, 107r.

ანდერძი: „გადავსწერე დედნიდამ აღწერილის საბა ორბელიანისაგან ჟამსა ჩემსა მთავარ დიაკვნობისასა დიაკვანმა სვიმონ პეტრეს ძემ დადიანიძემ მაისის **ლა**-სა, **ჩჳლე** წელს დაიწერა. გთხოვთ ამ წიგნისა გამხილველთ განხსნათ ბაგე თქვენი და მოიხსენოთ ლოცვით მცირე შრომისათვის, რომელზედაც ღმერთი თქვენ მავიერ გაგებთ“ (240v).

მინაწერი: „შევიძინე და შევწირე წ. კ. გ. ს. ივანე გიორგის-ძე ავალიშვილმა. 40 რვეულია, თვითოში 12 გვერდი. 1909 წ. 3 იანვ.“ (1r).

(1662) **4921**

კრებული. XVIII

130 ფ.; 26×18,5; მწვანე ფერის ქაღალდი, დალაქავებული, ქაღალდი მელანს იშრობს; მუყაოს ყდა; ბოლონაკლული; მხედრული, სათაურები და დასაწყისები სინგურით; [XVIII ს.], ჭვირნიშანი აქვს; დაუწერელია: 1r — 3r, 5v, 6v, 9v, 10v, 11v, 12v, 17v, 22v, 23v, 24v, 29v, 61r—v, 85v, 94v, 95v, 99v, 100v, 108v, 111v, 115v, 120v, 129r — 130r; შეძენილია ალალო თუთაევისაგან.

[კრებული]. 1. „ლექსი მუნასიბი ტკბილ-გაწყობილი, მსმენელთათვის საამო, ვარდ-ბულბულის გაბრჭობა, ნათქუამი მეფის თეიმურაზისაგან.—

ჰე, არსისა შემოქმედო! შენგან არის ყოვლიფერი...“ 4r—16v.

შენიშვნა: გამოქვეყნებულია წიგნში: თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული ალ. ბარამიძის და გ. ჯაკობიას რედაქციით. 1934 წ., გვ. 3—14.

2. „შელაპარაკება და ბაასი მათ მათი შესაფერი, მიჯნურობა ფარვანასაგან და თავის დაწვის გაწირვა, თქმული მეფის თეიმურაზისაგან.—

ღმერთო, ყოველთა ცხადთა და იდუმალ დაუფარაო...“
17r—25v.

შენიშვნა: თეიმურაზ პირველის დასახელებულ გამოცემასთან შედარებით აკლია 21-ე სტროფი.

3. „ლექსნი მუნასიბნი და ქებით მკობა მეფის ალექსანდრესი და დედოფლის ნესტან-დარეჯანისა, მეფის თეიმურაზისაგან თქმული.—

რადგან არ ვსცხრები ქებასა, ვგონივარ ამით მისანი...“
26r—29r.

შენიშვნა: იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 121—124.

4. „ანბანთქება, თქმული მისვე მეფის თეიმურაზისაგან.—

აღვახვენ ჩემნი ბაგენი, ღმერთო, სამებით ქებულო...“
30r—33v.

შენიშვნა: იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 149—154.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. [შვიდთა კრებათათვის]. „ქება წმიდისა და ერთარსისა სამების, თქმული მეფის თეიმურაზისაგან.—

ალვალო პირი, სიბრძნე და ძვირი, ზესთა ძალისა ჩემისა მბო-
ბალ...“ 34r—36v.

შენიშვნა: იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 161—167.

6. „მეფე თეიმურაზ დავით გარეჯას მივიდა და მეფის თამარის სახე ნახა და იმას უალერსა ესრეთ.—

მეფენი მოვლენ სურვილით, შენსა სახელსა მონებენ...“ 36v.

შენიშვნა: ხელნაწერში მხოლოდ პირველი სტროფია მოთავსებული. იხ. ზემოთ დასახელებული გამოცემის გვ. 144.

7. „თავადის ყაფლანისშვილის დიმიტრი სალთხუცის (!) თქმული: ხარება. — მოვა ნაზარეთს ქალაქად ერის მთავარი ღთისადა...“
36v—45r.

შენიშვნა: ტექსტი შეიცავს სახარების გალექსილ სიუჟეტებს: „ხარება“ 36v — 37r; „შობა“ 37r—v; „მირქმა“ 37v—38r; „ნათლისღება“ 38r—v; „ფერისცვალება“ 38v; „ბზობა“ 39r; „ვნება“ 39r—44r; „აღდგომა“ 44r—45r.

8. „მეფის არჩილისაგან. [ვისრამიანი (ნაწყვეტი)].—

ვაი სრულ ცუდად ყოფასა, ვაი სრულ შაირობასა...“
45r—46v.

შენიშვნა: ტექსტი წარმოადგენს „ვისრამიანის“ ბოლო ნაწილს. იხ. არჩილიანი, 1937 წ. გამოცემა, ტ. II, სტროფები 723—743.

9. [არჩილი]. — „საქართველოს ზნეობა. სიტყვა ა. —

მოწყალე ხარ მართლის გულით მოქენეთა უხვად, ღმერთო...“
47r—59r.

შენიშვნა: იხ. არჩილიანის დასახელებული გამოცემა, გვ. 3—16.

10. [არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა (ნაწყვეტი)]. — „აქა ამილახვარი და ზაალ ერისთავი მეფეს თეიმურაზს ახლდენ და კათალიკოზი ევდემოზ დიასამიძე, გოჩაშვილი გიორგი და ნოდარ ციცისშვილი წიგნით გაუორგულდენ როსტომ მეფესა. სადამდინ მეფე თეიმურაზ მიასწრობდა, როსტომ მეფე წავიდა და ნოდარზედ გაემარჯვა. —

ამილახვარი ოთამ და ზაალც მაშინც მე მახლდენ...“
59r—60v.

შენიშვნა: არჩილიანის II ტ. 1937 წ. გამოცემის მიხედვით სტროფები 768—780.

11. „კნიაზ დიმიტრის ბაგრატიონისაგან. —

ვისი ვსთქვა ქება, თქვენც ნახეთ, ვისაც გჭირს ცეცხლთა
დებანი...“ 62r—63v.

12. (დიმიტრი ბაგრატიონი) — „ელისაბედიანი, ლექსი ალერსიან მამისაგან ნათქვამი ალარ დასავვიანი.—

ღმერთმან ინება ალორძინება...“ 63v—64v.

შენიშვნა: იხ. ტ. რ. რუხაძე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, 1854, გვ. 264—267.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. ⟨დიმიტრი ბაგრატიონი⟩, „ნანა.—
ვეტყვი ახოს ნანასა, მისსა შესაგვანასა...“ 65r.

შენიშვნა: იხ. ტრ. რუხაძის დასახ. წიგნი, გვ. 268.

14. ⟨დიმიტრი ბაგრატიონი⟩.—

„ჩემო მთვარეო, შენთვის ვარეო,
სრულად მოვლახე თემთა ჰარეო...“ 65r—v.

15. ⟨დიმიტრი ბაგრატიონი⟩, „რუსული ჴმა.—
ვაქო პირად ბადრია, გინა თუცა ადრია...“ 65v—66v.

შენიშვნა: იხ. ტრ. რუხაძის დასახ. წიგნი, გვ. 268.

16. ⟨დიმიტრი ბაგრატიონი⟩, „სხვა.—

გულის ყვავილო, გულის ვარდო,
შვების წალკოტო, მოსანავარდო...“ 66v.

შენიშვნა: იხ. ტრ. რუხაძის დასახ. წიგნი, გვ. 264—266.

17. ⟨დიმიტრი ბაგრატიონი⟩, „შაირი.—
ღმერთო, რომელმან ყოველი ბრძანებით შექმენ ზენითა...“
67r—73v.

შენიშვნა: იხ. ტრ. რუხაძის დასახ. წიგნი გვ. 270.

18. ⟨დიმიტრი ბაგრატიონი⟩, თათრული ჴმა.—
ჩემს ქალს მივმართავ ვულ-სევდიანი...“ 73v—74v.

შენიშვნა: ლექსები № 12 — 18 გამოქვეყნებულია, იხ.: ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის ანთოლოგია, ტ. II, 1928 წ. გვ. 249 — 255; ტრ. რუხაძის დასახ. წიგნი, გვ. 273.

19. „ანბანთ-ქება, დიმიტრისაგანვე თავის ქალის მკობა.—
ახლად ალვამკობ ალვასა, ანაგებ ანაზებულსა...“ 74v—75v.

20. ⟨დიმიტრი ბაგრატიონი⟩.—
„ვით ალგიწერო, არ ძალმიცს, მე ჩემი ანასტასია...“ 76v—77r.

შენიშვნა: წინ უძღვის დ. ბაგრატიონის ვრცელი შესავალი „ჩემის მეორის ქალის თვალადობა ექითხა კნეინა მახის და იმას ვსწერე...“ (75v—76v).

21. ⟨დიმიტრი ბაგრატიონი⟩, „მდურვა სოფლისა ძაგნაკვალი.—
აწ გზასა მივალ საჭიროს, არ დია საადვილოსა...“ 77r—80v.

22. ⟨დიმიტრი ბაგრატიონი⟩, „ზმა ხეობაებზედ.—
შენ ამალეკი უარჰყავ, იქ ის სტიროდა მწარეთა...“ 80v.

23. ⟨დიმიტრი ბაგრატიონი⟩, „ხილზედ—
მონე სვიანსა უფალსა, მოსხალის აპობს ცულითა...“ 80v.

24. ⟨დიმიტრი ბაგრატიონი⟩, „ამიცანა.—
ვნახე ვით მკვდარი გამჴმარი, საკაცეზედან მდებარე...“ 81r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

25. („ესე შესაქმე, ლექსად თქმული კნიაზ დიმიტრი გიორგის ძის ბაგრატიონისა მიერ).—

ღმერთმან ჰქმნა ცა და ქვეყანა, უძლიერესმან ძალითა...“
81r—85r.

შენიშვნა: ბოლოს მიწერილი აქვს: „ესე შესაქმე ლექსად თქმული კნიაზ დიმი-ტრი გიორგის ძის ბაგრატიონისა მიერ“ (85r).

26. „კარი პირველი ლეილ-მაჯნუნისა ამბავი სპარსულისაგან ქართულად თარგმნილი მეფის თეიმურაზისაგან და ლექსად მისგანვე ნათქვამი.

ღმერთო, რომელი თჳთ სიბრძნე ხარ სიბრძნის მომცემელობით...“
86r—116v.

შენიშვნა: თეიმურაზ I თხზულებათა 1934 წ. გამოცემის მიხედვით ხელნაწერს აკლია სტროფები: 76—83; 196—203; 214—215; 270.

ხელნაწერის მიხედვით გამოცემას აკლია 187 და 188 სტროფებს შორის 6 სტროფი; 215—216-ს შორის 2 სტროფი.

27. [თეიმურაზ I, შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა (ბოლოსიტყვაობა)].—

„...მე ვიყავ უცხო ღარიბად, რაჴა რქვიან თუ აგარა...“
117r—120r.

შენიშვნა: თეიმურაზ I თხზულებათა 1934 წლის გამოცემით შეიცავს სტროფებს: 77—108.

28. „ბრძენი აღმოსავლეთისა, გინა განზრახვა მისი საჴელმწიფოსათჳს მმართებელობისა. შეძღნობილი სამადლობელად აწ მპყრობელისა მეფისად იმერთა სოლომონისა, თავადის მიერ ალექსანდრე ამილახვაროვის შვილისა.—თავი ა. მეფეთა მმართებელობისა.—ნეტარ არს ერი, მქონებელი მეფისა ბრძნისა...“ 121v—128v.

შენიშვნა: 1. შედგება თავებისაგან: ა. „მეფეთა მმართებელობისა“ (121v—123v); ბ. „თავადთა და მთავართათვის სამეფოსათა“ (123v—124v); გ. „მჴედართა და მთავართა მათთათვის“ (124v—125r); დ. „სამღვდელოთა წესთათჳს“ (125r—126r); ე. „ვაჭართათვის“ (126r—v); ვ. „გლეხთათვის ვინა მიწისა მოქმედთა კაცთა“ (126v—127r); ზ. „სამოციქულოთა სჯულთა დადებისათვის“ (127r—v); ჱ. „სწავლისათვის მეცნიერებისა და ჴელოვნებისა“ (127—128r); თ. „საჭურველითა უმეტესისა ხელების მეფე ანუ მშვიდობით“ (128r—v); ი. „საყოველთაოდ გასინჯულობა“ 128v.

2. უძღვის: ამილახვარის მიმართვა მეფე სოლომონისადმი: „ყოვლად მოწყალეო მეფეო, დიდებულო სოლომონ, წყალობა და კეთილნი დიდებულებისა თქვენისა ეგზომ დაბეჭდილ არიან გონებასა ჩემსა, რაზომ იგი ბოროტებანიცა სიყრმითგან მდევნელისა ჩემისა, რომელსა მომცემიეს გრძნობა ორთავე ჭამითგან პირველისა მამისა მიერ ხისა მისგან ცნობადისა ბოროტისა და კეთილისა, რომლისათვისცა ვღაღადებ სიღრმით გულისათ, ვითარ იგი ბოროტებასა მისსა, ეგრეთვე კეთილსა შენსა ყოველსა ქვეყანასა ზედა და სზომცა (!) ვალდებულ ვარ დიდებულებისაგან თქვენისა გამოხსნითა მდევნელისაგან ჩემისა და ცხოვრებითა აწ კურთხეულსა შინა საჴელმწიფოსა. ეგზომ მხიარულება გულისა ჩემისა მოწადეობს თქვენდა ღირსისა მადლობისა მიცემად, გარნა უღონობითა ჩემითა სხვისა ვერასა მპოვნელი შესაფერთა მეფობისა თქვენისა, საძღვნოთა მოგიძღვნი მცირესა ამას ნაშრომსა ჩემსა—განზრახვასა აღმოსავლურისა ბრძნისასა, ჩემ მიერ მოპოვნებულსა. მოხედე სიმაღლით ხარისხისა შენისა მცირესა ამას ძღვენსა ზედა, მიიღე კეთილად და შერთე სიქველესა შენსა განზრახვაცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმოსავლურისა ბრძნისა მისა; მეფობდი სვიანად და კეთილ-დღიანად, მსგავსად ყოვლად ბრძნისა მის მოსახელისა შენისა. უმდაბლესი მონა მეფობისა თქვენისა თავადი ალექსანდრე ამილახვარის შვილი“ (121r—v).

3. ერთვის:

„მცირე ვჰყავ ჭირი, ვაუბენ პირი, შესაწევნელად მამულთა თვისთა,
სიყრმითგან ჩემით, ჭკვა გასაჩემით, შეუპყრავს შურსა კეთილთა თვისთა,
თუ ჩემებრ ძმანი ცდილობდენ სხვანი, ბედნიერ ჰყოფდენ ყოველთა მისთა,
არ ჰქონდესთ თვისი, ავასხონ სხვისი, კვლავ შეეწევდენ ზე ძალთა
ღ͞თისთა“ (128v).

მინაწერები: 1. [იგავი]— „ვითარ გონებთ თქვენ, კაცსა ვისმეს ესხნეს ორ ძე, მოვიდა პირველისა მის და რქვა: შვილო, წარვედ დღეს და იქმოდე ვენახსა ჩემსა. ხოლო მან მიუგო: არა მნებავს (!), და შემდგომ შეინანა და წარვიდა; და მიუხდა მეორესა და რქვა ეგრეთვე, ხოლო მან მიუგო: აწვე წარვიდე, უფალო ჩემო, და არა წარვიდა. და აწ, წარმკითხველნო, თქვენ ბძანეთ, ვინ ორთა ამათგანმან ყო ნება მამის თვისისა. უკეთუ მე მკითხამთ, ორივე ურჩ ექმნენ, გარნა რომელმა შეინანა, იგი ცხონდეს და პირველი შეცდომა მიეტევნეს“ (ზემო ყდის v).

2. „ისაკ გამოითარგმანების ებრაულის ენით სიცილად და სიხარულათ“.

„ბაბილონი გამოითარგმანების შერევნად“ (3v).

3. „მეფის თეიმურაზისგან თარგმნილი სპარსულისაგან ქართულად ლეილმაჯნუნის ამბავი და სხვადასხვა ლექსები შემომიწირამს ქართ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისათვის. ალალო თუთაევი. 1 იანვარი, 1909 წლის, თბილისი“ (4r—5r).

4. „ბრძენს ესრეთ დაუწერიათ:

რა ოსტატი ასოს სმიდეს, მისი გული სხვას იწვრთიდეს,
ონით ხმალებრ სხვას არ სჭრიდეს,
ინსა მახვლად არ ხმარობდეს,
ენსა მშვლდად ნუ იხმარებს, ხანით ისრით არა გმირდეს.
იყოს გულითა წრფელითა, ისმენდეს ღვთისა მცნებასა,
ვითარ გვიბძანებს უფალი, ნუ დაივიწყებს ნურასა,
ეკრძალე ცუდად მეტყველსა
უმსგავსოთ მოუბარესა,
ერთი სთქვას ბრძნული კარგად,
ისმენდე შენცა კეთილად.
ბოროტ ენისა მთრეველსა თავსა ლაფი დაატანე,
ძირში ენა ამოაძრე, კლიტე თანა გაატანე.
შენს საკუთარს ნუ სძულობ, ნუ აგდებ ძველსა შარასა,
რა რომ ახალი დაძველდეს, მასცა ასე იქ შარასა,
მტრის გულისათა ვახდები, სწყევდე ენისა მთრეველსა,
საფრხესა რასმე ჩაგაგდებს საზომით მიუწთომელსა,
ადვილათ ნუ ვინ თმობ გმობელსა და მისა ამაგსა,
მისებრ არავინ დაგინდობს, ვერც პოვო ვერაოდესა,
არავის ღმერთი მოუწონებს მშობლისა განშორებასა,
თვისი ქმნას მას, არ უსმინოს, რათა სჭრს (!) ესე რომელსა.
ნუ აზვავდები გულითა უმაღლეს ამოჩენითა,
გონებას შურსა ნუ შერთავ, ნუცა სძულობ მოკეთესა,
თორემ ინანებ, შენც ეგრე მიგენიჭება,
საქმე ხელი დამწა... ვა, ველარ ეწევი ვერასა
და დღესა არა მისმენ სწავლასა, ბოლოს ინანებ ყოველსა“
(130v — ქვემო ყდის v).

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: ამ ლექსის 1—4 ტაეპის განსხვავებული ვარიანტი იხ. „ქილილა და დამანა“-ში (ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებანი, II_1, ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს ა და ელ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი ს რედაქციით, 1962, გვ. 95).

5. „შესჳ მონათ ღი˜სათ, ამოდ იქმოდე ლხინსათ“ (ქვემო ყდის v).

იხ. მინაწერი აგრეთვე 130v-ზე.

(1663) **4922**

ასტრონომიის წიგნი. XIX

103 ფ.; 20,5×16,5; მწვანე ფერის ქაღალდი, ძველი რესტავრირებული; ტვიფრული ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული, სათაურები და დასაწყისები სინგურით; ილუსტრაციები, ზოგან დატოვებულია ადგილი ილუსტრაციებისათვის. თავსამკაული (5r); [XIX ს.], ჭვირნიშანი 1804 წ; დაუწერელია: 1r — 2v, 3v, 101r—102r, 103r; შეძენილია ალალო თუთაევისაგან.

[ა ს ტ რ ო ნ ო მ ი ი ს წ ი გ ნ ი]. — „დ ა ს ა წ ყ ი ს ი პ ი რ ვ ე ლ ი ფილოსოფოსთაგან თქმული, თუ კაცი რომელს ეტლზე დაიბადება. წმიდა ი ო ბ ბრძანებს, რამეთუ ყოველსა კაცს შეეტყობის თავისავ ჴელზე თავისი ყოფიერი საქმე რასაც იქს. — ესე წმიდის იობისგან თქმული და ფილოსოფოსთაგან გამოცხადებული ესე ცოდინარობა, რომელსა ეწოდების ლათინურად კ ი რ ო მ ა ნ ც ი ა...“ 5r—99r.

შენიშვნა: უძღვის ზანდუკი (4r).

მინაწერები: 1. „ძველი წიგნი ესე ასტრონომიისა შემომიწირამს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისათვის, ა ლ ა ლ ო თ უ თ ა ე ვ ი. 1 იანვარი, 1909 წელს. თ ბ ი ლ ი ს ი“ (4r—v).

2. „დაიბადა გ ი ო რ გ ი ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი ს ა ს უ ლ ი ს ო ფ ი ა **ჩყიბ** წელსა, აგვისტოს კგ-სა, მთოვარის კᲒ-სა, დღესა პარასკევსა, შუადღისა ჟამსა“ (99r).

3. „ეს ლექსი კარგი არის თავმამწონისა დამწერი, ვერეფერია,
მაღლიდან არ ეშინიან, ქვეშეკნელში არაფერია,
ვინცა ნახავს, გაიცინებს, ყმაწვ... არაფერია“ (99v).

იხ. მინაწერები: 3r, 45v, 100r—v, 103v.

(1664) **4923**

ზატიკი. 1679

158 ფ.; 28×20; ქაღალდი დალაქავებული; ტვიფრული ტყავგადაკრული ხის ყდა, ყუა დაზიანებული; ბოლონაკლული; ფფ. 90, 93, 102, 117, 126, 133, 134, 148—150 ამოკვეთილია; ნუსხური, სათაურები და დასაწყისები სინგურით; 1679 წ. (2r), ჭვირნიშანი აქვს; გადამწერი: ნიკოლოზი (2r); დამკვეთი: გენათელი ლორთქიფანიძე გედეონი (2r, 25r, 40r, 59r, 80r, 88v, 94r, 117r, 152v); დაუწერელია 93v; შეძენილია კარბელაშვილისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ხატიკი). „დიდსა შაბათსაჲ მწუხრი, დასბ˜ლნი აღდგომისანი, ჴ˜ჲ ა. — სამწუხრონი ესე ლოცვანი ჩუენნი შეიწირენ, წმიდაო უფალო...“ 2r — 5v.

„ბრწყინვალესა კჳრიაკესა ცისკრად გალობანი. უგალ˜ბსა, ჴ˜ჲ ა. — აღდგომისაჲ დღე არს, განვბრწყინდებოდეთ აწ ერნო...“ 5v—21v.

„დასდებელნი ახალ კჳრიაკესანი, ო˜ ღღ˜ყსი, ჴ˜ჲ ა. — რომელი ბჭეთა ჴშულთა მოწაფეთა კრებულსა თანა შეხუŠდი ცხადად, ყოვლად ძლიერო...“ 21v—40r.

„აღვსებითაგან გ კჳრიაკესა მენელსაცხებლეთა დედათა და იოსებ მართლისა. ო˜ო ღღ˜ყვსა, დასდბ˜ლნი აღდგომისანი, ჴ˜ჲ ბ. — პირველ საუკუნეთა მამისაგან შობილსა...“ 40r — 59r.

„მეოთხესა კჳრიაკესა განრღუŠულისა. ო˜ო ღღ˜დყვსა, დასბ˜ლნი აღდგომისანი, ჴ˜ჲ გ. — ჯუარითა შენითა, ქრისტე მაცხოვარ, და ჰჴსნდა (!) ძალი სიკუდილისა...“ 59r—80r.

„მეხუთესა კუირიაკესა სამარიტელისა. ო˜ო ღღდ˜ყვსა, დასბ˜ლნი აღდგომისანი.—ცხოველს მყოფელისა ჯუარსა შენსა დაუცხრომელად თაყუანის ვსცემთ, ქრისტე...“ 80r—93r.

„მეექუსესა კჳრიაკესა შობითგან ბრმისა. დასდებლ˜ნი აღდგომისნი, ჴ˜ჲ ა გ˜ი. — უქცევთ ათთა ზედა და ვიტყჳთ შჳდთა აღდგომისათა...“ 94r—116v.

„კჳრიაკესაჲ ზ. სამას ათრვამეტთა წმიდათა მამათა ნიკიელთა. დსბ˜ლნი აღდგომისანი, ჴ˜ჲ ბ გ˜ი. ო˜ ღღ˜ყსა. — ძლევაჲ გაქუნდა, ქრისტე, ქუŠსკნელს ჯოჯოხეთისა და ჯუარსა ზედა ამაღლდი...“ 117r—136r.

„კჳრიაკესა მეერგასესა დღესა მოსლვაჲ წმიდისა სულისა წმიდათა მოციქულთა ზედა, ო˜ ღ˜ღდყვსაჲ, დასდებელნი, ჴ˜ჲ ა. ნათელი ნათლისაგან. — მეერგასესა დღესა ვდღესასწაულობთ და მოსლვასა სულისა ცხოველისასა...“ 136r —153r.

„მეცხრესა კჳრიაკესა ყოველთა წმიდათასა. წინა დღით მწუხრი, წინასწარმეტყუელებაჲ ესაიასი საკითხავი. ამას იტყჳს უფალი, ყოველნი წარმართნი შეკრბეს ერთბამად...“ 153r—158v.

წყდება: „...ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: სდევით ბადე ეგე მარჯუენით კერძო ნავისა ამ...“.

შენიშვნები: 1. უძლვის სხვა ხელით დაწერილი „დიდსა და სახ[ა]რულევანსა აღვსებაჲსა აღდგომისა უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესსა. — სამხრად ფსალმუნი....“ (1r—v).

2. ზოგიერთი გალობათა დასაწყისები (ჳმა, ძლისპირი) გატანილია ხელნაწერის კიდეებზე, მაგ: 8r.

3. ზოგ საგალობელთან კიდეზე აღნიშნულია ავტორი: „გალობაჲ არსენისი“ (111r); „არსენი ჭყ˜ლი“ (ჭყონდიდელი) (119r, 127r, 137v, 147v, 151r); „თეოდორე“ (134r); „თეოფანე“ (136r).

ანდერძები: 1. (სინგურით): „ნებითა ღ˜ისათა და იწყო წმიდაჲ ესე ხატიკი ქორონიკონსა სამას სამეოცდაშვიდსაჲ ბრძანებითა ვენათლის ლორთქიფანიძისა გედეონისითა, ხელითა ფრიად ცოდვილისა ნიკოლოზისითა. ვინცა ამათ წმიდათა წიგნთა წაიკითხვიდეთ, ვენათლის გედეონისთჳს შენდობაჲსა ბრძანებდეთ, ვინცა შენდობით მოიჴსენოთ, თქუენც მოგიჴსენოს ღმერთმან სასუფეველსა მისსა. ღმერთო, შეიწყალე და აცხოვნე ვენათელი გედეონ და ცოდვანი მისნი შეუნდევ“ (2r).

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. (სინგურით): „ღმერთო, აცხოვნე განათელი ლორთქიფანიძე გედეონ. ვინცა შენდობაჲ ბრძანოთ, ღმერთმან თქუენც შეგინდოს“ (25r).

3. (სინგურით): „ღმერთო, შეიწყალე და აცხოვნე განათელი ლორთქიფანიძე გედეონ, ამინ“ (40r).

4. (სინგურით): „ღმერთო, შეიწყალე და აცხოვნე განათელი ლორთქიფანიძე გედეონ და ცოდვანი მისნი შეუნდევ“ (59r).

5. (სინგურით): „ღმერთო, აცხოვნე გედეონ განათელი“ (80r).

6. (სინგურით): „ღმერთო, აცხოვნე განათელი გედეონ“ (88v).

7. (სინგურით): „უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩუენო, შეეწიე, შეიწყალე განათელ მიტროპოლიტი ლორთქიფანიძე გედეონ და ცოდვანი მისნი შეუნდევენ, ამინ, ამინ, ამინ და კირილეისონ“ (94r).

8. (სინგურით): „ღმერთო, შეიწყალე და აცხოვნე განათელ მიტროპოლიტი გედეონ და ცოდვანი მისნი შეუნდევ“ (117r).

9. „ღმერთო, შეიწყალე განათელი გედეონ და ცოდვანი მისნი შეუნდევ“ (152v).

მინაწერები: 1. „ქ. დაიფარე, ღმერთო, მონა ღ̃თისა ლუარსაბ მადლითა შენითა და სულისა წმინდისა, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესთა“ (ზემო ყდის v).

2. „თვესა ამისა დღეთასა ვწერ სიტყვასა მას ლექსთასა,
...ზნის ძესა გიორგისა ავედრებ ... ღ̃თს ზეცასა,
...ნცა ღ̃თნ დაგიფაროს განსაცდელთასა ძნელთასა,
..... ვცეთ მეუფესა ქრისტიანეს... მხსნელთასა“ (ზემო ყდის v).

3. [რუსულ-ქართული სალექსიკონო მასალა]. „ხოტელოსბი—ნეტავი.
მნე ზნატ—მე ვიცოდე....“ (ზემო ყდის v).

4. იხ. მინაწერები: 1v, 27v—28r, 50v, 64v, 91r, 158v, ქვემო ყდის v.

(1665)

4924

სადღესასწაულო. XVII—XVIII

219 ფ.; 28,5×20; ქაღალდი, გაჭუჭყიანებული, ამოჭრილია ფურცლები: 65, 66, 151, 176, 182, 189; ტვიფრული ტყავგადაკრული ხის ყდა, ყდაზე დაკრულია ხელნაწერის ფურცლები ჟამნიდან; თავ-ბოლონაკლული, ამოცვენილია ფურცლები: 16—19, 59, 62, 69, 82, 89, 98, 105; ნუსხური, ორ სვეტად, სათაურები, და დასაწყისები სინგურით, მოხატული საზედაო ასო (42r), თავსამკაული: (81v, 93v); [XVII—XVIII ს.], ჭვირნიშანი აქვს; გადამწერი: იოანე დიაკონი (93v); შეძენილია კარბელაშვილისაგან.

[სადღესასწაულო].— 1. „...შენ მიგცე იგი და ნათესავსა შენსა, და იყოს ნათესავი შენი, ვითარცა ქება ზღჳსაჲ...“ 1r—9r.

2. „თ̃ა სეკდენბერსა **იდ**, ამაღლებაჲ პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯუარისა. ამასვე დღესა მიცვალებაჲ წმიდისა იოანე ოქროპირისაჲ, ჳ̃ჲ ბ გ̃ი. ყ̃ი სს̃ბჲ. — დღეს ჯუარი ამაღლდების და მის ზედა ჯუარცმულისა ქ̃ს ღ̃ჲ ვნებათა გალობად მომიწოდს...“ 9r—18r.

3. „თ̃ა სეკდენბერსა **კვ**, მიცვალებაჲ წმიდისა და ყოვლად ქებულისა მოციქულისა მახარებელისა და იოანესი. ჳ̃ჲ ა. ზეცისა განწესებულ. — მოციქულსა ქ̃სსა მოდით დ̃ღეს, ერნო, პატივს ცემდეთ სიწმიდით გალობითა სადღესასწაულოჲთა...“ 18r—21v.

4. „თ͞ა ოკდონბერსა **კვ**, წმიდისა და დიდებულისაჲ მოწამისა დიმიტრისი. ჳ͞ჲ ბ გ͞ი. ს͞სოწარკუ. — სიწმიდისა ნიჭად ს͞ღჲდ სიმდიდრედ გამოუჩნდი დიმიტრი...“ 21v—26r.

5. „თ͞ა ნოენბერსა **Ⴡ**, კრებაჲ წმიდათა მთავარანგელოზთა. ო͞ო ღ͞ღყ, ჳ͞ჲ ა. — ზეცისა გ͞ნწ. — ანგელოზებრ მორწმუნნო, ვდღესასწაულობდეთ და საყდართა მათ ზედა მაღალთა მჯდომარესა...“ 26r—34v.

6. „თ͞ა ნოენბერსა **იგ**, წმიდისა იოანე ოქროპირისაჲ მიცვალებისა ხაც͞ვლი. ო͞ო ღ͞ყ. ჳ͞ჲ ა. ზეცისაგან წ. — ნათლის მცემელსა ემსგავსე...“ 34v—38v.

შენიშვნა: კიდეზე ქვემოთ ტექსტის ხელით: „წმიდისა გიორგისა **კგ** აპრილს ბრძანეთ“ (34v).

7. „თ͞ა ნოენბერსა **კა**, ტაძრად მიყვანებაჲ წმიდისა ღ͞ისმშობლისა. ო͞ო ღ͞ღყა, ჳ͞ჲ ა. ეჰა დიდებული. — დღეს განსცხრებოდეთ თქუენ მორწმუნენო გალობით შესხმითა...“ 38v—43r.

8. „თ͞ა ნოენბერსა **კა**, ტაძრად შეყვანებაჲ ყოვლად წმიდისა დედოფლისა ჩუენისა ღ͞ისმშობლისა. კ͞ხა. ხატისა მის. — ედემისა ბჭენი განხუ͞ნს კაცთა, რომელნი იგი დაეხშნეს პირველ ქმნილსა მას...“ 43r—46r.

9. „თ͞ა დეკენბერსა **დ**, წმიდისა მოწამისა ბარბარასი და იოანე დამასკელისა, ჳ͞ჲ ბ. მამისგან შობილს. — რაჟამს იხილა სამსჯაროსა მას საშინელსა...“ 46r—50v.

10. „თ͞ა დეკენბერსა **ე**, წმიდისა მამისა ჩუენისა საბაჲსი. ო͞ო ღ͞ღყ., გ͞ხნთა, ჳ͞ჲ ა გ͞ი. — გ͞ხნ სამკჳდრებელო, შუენიერო ჭეშმარიტისა ღუაწლისო...“ 50v—54r.

11. „თ͞ა დეკენბერსა **ვ**, წმიდისა მამისა ჩუენისა ნიკოლოზისი, მღდ͞ლთ მოძღურისა მირონ ლუკისა. ზეცისა გნწეს. — ეკლესიისა შვლნი სწავლითა აღაფრინვენ...“ 54r—57v.

12. „თ͞ა დეკენბერსა **თ**, მუცლად-ღებაჲ წმიდისა ანნასი **დ**. რომელი იწოდე. — რომელი მყოფ͞რს მაღალთა შინა ღმერთი...“ 57v—61v.

13. „თ͞ა დეკენბერსა **იზ**, წმიდისა წინასწარმეტყუელისა დანიელისი და წმიდათა სამთა ყრმათა ანანია, აზარია და მისაელისი. ო͞ო ღ͞ღყ. მჴ͞ნი ჳ͞ჲ **დ**. — დანიელ ღმერთშემოსილმან გული უბიწოჲ მოიგო...“ 61r—67r.

14. „თ͞ა დეკენბერსა **კ**, წინა დღე ქრისტეს შობისა და წმიდისა მღდელ-მოწამისა ეგნატი ღ͞თშემოსილისა. ო͞ ღ͞ყა. — ამიერითგან დაეცადების პარაკლიტონი ვ͞ე...“67r — 72r.

15. „თ͞ა დეკენბერსა **კდ**, წინა დღე ქრისტეს შობისა და წმიდისა მოწამისა ევგენიასი. ჳ͞ჲ ა. ეჰა, დბლ͞ი. — ეჰა, დიდებული საკჳრველი, რამეთუ მეფე ყოველთაჲ და უფალი პირველ საუკუნეთაჲ...“ 72r—81v.

16. „თ͞ა დეკენბერსა **კე**, ჴორციელი შობაჲ ო͞ჲ ჩნ͞ისა ი͞ჳს ქ͞სი ბეთლემს წმიდისა ქწ͞ლისა მარიამისაგან. ო͞ ღ͞ყა. ჳ͞ჲ **ბ**. თჳთი. რ͞ჲმე შევწიროთ შენდა ქ͞ე, რ͞ მოხუედ ჴორცითა, ვითარცა კაცი ჩუენთჳს...“ 81v—93v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

17. „თ~ა იანვარსა ა, წინაჲ დაცუჱთაჲ ო~ჲ ჩუენისა ი~ჳ ქრისტესი და წმიდისა ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა დიდისა ბასილისა, ჴ~ჲ ა. — შენ სიტყუაჲ დაუსაბამოჲ ზეცისა მეუფე...“ 93v—100v.

18. „თ~ა იანვარსა ბ, წინა დღე განცხადებისა და წმიდისა სილიბისტროსი ჰრომთა პაპისა. ო~ ღ~ყ. ბ გ~ი. ანგელოზთა დღეს წინა უვიდოდეს...“ 101r—114r.

19. „თ~ა იანვარსა ვ, წმიდაჲ თავისაჲ გამოცხადებაჲ უფლისაჲ ჩუენისა იჳ~ს ქ~სი. ჴ~ჲ ბ. მამისაგან შობილი. — იდეს მოხუჱდ წყალთა მათ ზედა...“ 114r — 133.

20. „თ~ა იანვარსა კ~ე, წმიდისა გრიგოლი ღ~ისმეტყუელისა. — წმიდანო მარტჳლნო, მამაო გრიგოლი, საფლავმან, რომელ არს მიზეზი დავიწყებისა...“ 133r—136v.

21. „თ~ა ფებერვალსა ბ, მიგებებაჲ უფლისაჲ ჩუენისა ი~ჳ ქ~სი, ჴ~ჲ ა. შენ სიტყუაჲ.— ქალწულისაგან შობილი...“ 136v—143v.

22. „თ~ა ფებერვალსა კდ, პოვნა პატიოსნისა თავისაჲ წმიდისა იოანე ნათლის მცემელისა. გხ~ნნი.—გ~ხნ თავო შუჱნიერო...“ 143v—148v.

23. „თ~ა მარტსა თ, წმიდათა ყოვლად ქებულთა ორმეოცთა. ა. ზეცისაგან. —ზეცისა მჴედრობაჲთა თანა...“ 148v—152v.

24. „თ~ა მარტსა კდ, წინა დღე ხარებისა. ბ. ანგელოზთა დღ. — სიხარულისა ხარებაჲ ესმა სოფელსა...“ 152v—156r.

25. „თ~ა მარტსა კე, ხარებაჲ ყოვლად წმიდისა ღ~ისმშობელისა. შენ სიტყუაჲ.—ზეცისა სიმაღლისგან მთავარანგელოზი ნაზარეთს გარდამოჴდა...“ 156r—163r.

26. „თ~ა აპრილსა კგ, წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისი. ა. შენ სიტ~ყჲ.—ალიტყუჱლენით ჴელნი თქუჱნნი...“ 163r—168v.

27. „თ~ა მაისსა ზ, გამოჩინებაჲ პატიოსნისა და ცხოველს მყოფელისა ჯუარისაჲ...“ 169r.

28. თ~ა მაისსა ჱ. წმიდისა მოციქულისა და მახარებლისა იოანე ღ~ის მეტყუჱლისა...“ 169r.

29. „თ~ა ივნისსა კდ, შობაჲ წმიდისა იოანე ნათლისმცემელისაჲ. ო~ ღ~ყა, უქცევთ ჱ-თა მუჴლთა ზედა და ვიტყჳთ: ნეტარ არს კ~ცი. ღმ~ის თევ~ჲ. ჴ~ჲ დ. მჳ~ნნი.—დაუსაბამოსა ღ~ისა სიტყჳსა მქადაგებელსა...“ 169r—178r.

30. „თ~ა ივნისსა კთ, წმიდათა და ყოვლად ქებულთა თავთა მოციქულთა პეტრესი და პავლესი. ო~ო ღ~ყა, ჴ~ჲ ბ. თჳთი.—ეჰა, გჳრგჳნნო ქებისანო...“ 178r—184r.

31. „თ~ა ივნისსა ლ, კრებაჲ წმიდათა და შემდგომად ქებულთა ათორმეტთა მოციქულთაჲ“ 184r.

32. „თუჱსაჲ ივლისსა კ, წმიდისა წინასწარმეტყუელისა ელიაჲსი, ო~ო ღ~ყა ა, შ~ნ სიტ~ყჲ.—შენ რომელმან ელია თეზბიტელი ქუეყნით ცეცხლისა ეტლითა მით, მოწყალეო, მისცჳ~ლე...“ 184r—189v.

33. „თუჱსაჲ ივლისსა კ, წმიდისა წ ი ნ ა ს წ ა რ მ ე ტ ყ უ ე ლ ი ს ა ე ლ ი ა ს ი. კ~ა. რ~ი მ ო ს ე ს. — რომელმან ცოდვანი წინასწარმეტყუელისა ელიას ენითა დაჰჴშენ...“ 189v—191r.

34. „თ~ა აგჳსტოსა ვ, ფერისცვალებაჲ ო~ჲ ჩუენისა ი~ჳს ქრისტესი. შ~დ ნტრ~რს კ~ცისა. ო~ო ღ~ყა ვიტყჳთ და უქცევთ ჱ-თა მჴლ~თა ზედა და ვიტყჳთ ამ~თ ამ~თ მჴ~ლთა. გერნი ბ~-ბ~-ჯერ. დ გ~ი. — პირველ ჯუარცმისა შენისა, უფა-ლო...“ 191r—198v.

35. „თ~ა აგჳსტოსა ვ, ფერისცვალებაჲ უფლისაჲ ჩუენისა იესუ ქრისტესი. კ~ზა აბ~რმიან.—ნათელითა ბრწყინვალითა მიუახლებელითა...“ 198v—201v.

36. „თ~ა აგჳსტოსა იე, მიცვალებაჲ წმიდისა ღ~ისმშობლისა. ჴ~ჲ ა. ეჰა, დიდებული. — ეჰა, დიდებული საკჳრველთა წყარო ცხოვრებისაჲ ...“ 201v—211v.

37. „თ~ა აგჳსტოსა კთ, თავის კუეთა წმიდისა ი ო ა ნ ე ნ ა თ ლ ი ს მ ც ე მ ე-ლ ი ს ა. ჴ~ჲ ა. შ~ნ სიტ~ყჲ. — ანგელოზად სახელ გდებთ შენ წინასწარმეტყუე-ლო...“ 211v—219v.

წ ყ დ ე ბ ა: „...და მოვიდეს და შემოკრბეს მოციქულნი ღ~ჳსა(!) და უთხ-რეს მას ყოველი, რაოდენი ქმნეს და ასწავეს...“

შენიშვნები: 1. ხელნაწერის კიდეებზე ტექსტის ხელით წერია: „ა ნ დ რ ი ა“ (22v. 25v, 70r); „ს~ მ ი ნ ა ნ ტ ი“ (22 v).

2. აქვს რვეულობრივი პაგინაცია.

3. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბეჭედი იხილე: 1r, 38r, 69r, 219 v.

ანდერძი: „ღმერთო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი ი ო ა ნ ე დ ი ა კ ო ნ ი“ (93v).

მინაწერები: 1. (ნუსხური): „ეს საწინასწარმეტყუელო... ვიშოე“ (1v).

2. (ნუსხური): „წმიდაჲ დ ა ვ ი თ გ ა რ ე ს ჯ ა, მოველ შენს...“ (17v).

3. „ქ. ღმერთო, შეიწყალე ამისი მწერალი, ამინ“ (35r).

4. „ქ. ეს დ ღ ე ს ა ს წ ა უ ლ ი გ ი ო რ გ ი ს ე რ ი ს თ ვ ი ს ქალისა არის“ (149v).

იხილე მინაწერები: 35v, 136r, 142r, 208v—209r, 211v—212r.

(1666) **4925**

მარხვანი XIV

239 ფ.; 25,5×18,5; ეტრატი, დაზიანებული, უყდო, დაშლილი, ნაკლული; ნუსხუ-რი, სათაურები და დასაწყისები სინგურით, ზოგჯერ მოხატული საზედაო ასოები; ფფ. 26—31, 84—85, 113r—114v, 134r—140v, 155r-v დაწერილია XVII—XVIII საუკუ-ნისათვის დამახასიათებელი ხელით; [XIV ს.]; შეძენილია კარბელაშვილისაგან.

[მ ა რ ხ ვ ა ნ ი]. — „...რს სამსჯავროჲ იგი საშინელი, სადა იგი გუშგულების ჩუენ წარდგომაჲ...“ 1r—9v.

„ყ ვ ე ლ ი ე რ ი ს ა ო რ შ ა ბ ა თ ს ა მ წ უ ხ რ ი. უფალო ღაღადყავსა ბ. მა-მისაგან შ~ბი. — რომელი ესე მოვიწიენით ასპარეზსა ყოვლად წმიდათა...“ 9v—34v.

„ყ ვ ე ლ ი ე რ ი ს ა კ ჳ რ ი ა კ ე ს ა მ წ უ ხ რ ი, ბ. მამისაგან შ~ბ.— ვანვეყენ-ნეთ ბორო-ტისაგან და შევიდეთ ასპარეზსა წმიდათა მარხვათასა...“ 34v—36r.

„პ ი რ ვ ე ლ ს ა ო რ შ ა ბ ა თ ს ა ხ უ შ ლ რ ნ ი, ბ. განაპო სილ რ. — ჰოჲ, ვითარმე დაწყებაჲ ვყოთ დღეს...“ 36r—60v.

შენიშვნა: ამ კვირის მასალაში შედის „ჴსენებაჲ წმიდისა და დიდებულისა მ ო წ ა-მ ი ს ა თ ე ო დ ო რ ე ს ი“ (49v).

ეროვნული ბიბლიოთეკა

„პირველსა კჳრიაკესა მწუხრი, უ˜ო ლ˜ყა **ლ**. მოგიცე. — მომეცი ლმობიერებაჲ და ბოროტთაგან უცხო ყოფაჲ...“ 60v—61r.

„მეორესა ორშაბათსა ცისკრად ხუÇდრნი. უ˜გა ჴ˜ჲ **ლ**. დაანთქენ.— მხოლოო ს˜ხრ წყალობისა წყაროო...“ 61r—75r.

„მეორესა კჳრიაკესა მარხვათასა უძლებისანი და მარხვათანი. უ˜ო ლ˜ყვსა **გ**. არაჲ დააკლდი. — ჵ, განწირულთა სასოო და დაცემულთა აღდგომაო...“ 75r—78r.

„მესამესა ორშაბათსა ხუÇდრნი. ა გ˜ი. უ˜გა. ეტლთა სიმ. — რომელსა ღთ˜ბრ მწყ˜ლბჲ გ˜ქუს. სინანული ჩემი შეიწირე, რომელმან უძლებებით წარვაგე მე...“ 78v—97v.

„მესამესა კჳრიაკესა მწუხრი. უ˜ო ლღ˜ყდ ჴ˜ჲ **ლ** გ˜ი. უ˜ო ჵ˜ლ ს˜ქნ. — უფალო, რომელმან ჯუარსა ზედა ნებსით...“ 97v—98v.

„მეოთხესა ორშაბათსა ცისკრად ხუÇდრნი. **ლ** გ˜ი. უ˜გა. სიღრმე მეწამ. — ჯუარისა აწ ბრწყინვალე და ცხოველს მყოფელი...“ 98v—121v.

„მეოთხესა კჳრიაკესა მწუხრი, უფალო ღ˜ღყა. ა. შ˜ნ სტ˜ყჲ. — ჟამი ესე ღ˜თივ ბრწყინვალე...“ 122r—123r.

„მეხუთესა ორშაბათსა ცისკრად ხუÇდრნი. უ˜გბა, **ბ** გ˜ი. უქლ˜ვლდ. — გონებანი ჩუÇნნი განვიწმიდნეთ...“ 123r—156r.

„მეხუთესა კჳრიაკესა მწუხრი. უ˜ო ლღ˜ყვსა. ა. წ˜ნო მრ˜ტჳლნ. — დაჰგ˜ლხკენ ჭ˜ე მდიდარი და კ˜ცნი განამდიდრენ...“ 156r — 157r.

„მეექუსესა ორშაბათსა ცისკრად ხუÇდრნი, უ˜გა. ა. მონებსა მისგანმცა. — ვნებანი მოვაკუდინნეთ...“ 157r—180r.

„შაბათსა მწუხრი. დასდებელნი ბზობისანი, უ˜ო ღ˜ღყა, ჴ˜ჲ ა. ზეცისა განწყობილებაჲ ღღესასწაულობს დღეს...“ 180r—185r.

„გალობანი ბაიაობისანი, რომელთა თავნი იტყჳან ბერძულებრ: ოსანნა ქ˜ე კხ˜ლი ღ˜თი. გ˜ლბჲ ა. — იხილვნეს უფსკრულთ წყარონი“ 185r — 192r.

შენიშვნა: „აქვე შედის „სხუანი იოსების იბაკონი ამასვე დღესა“ (191v).

„სამფსალმუნნი დიდისა ორშაბათისანი, რომელთა თავნი იტყჳან ბერძულებრ. ორშაბათსა ა, ჴ˜ჲ **ბ**. — სლვად უჩუეველისა და მღელვარისა...“ 192r—239.

წყდება: „...ბნბა˜ჲთა წ˜თა...“

შენიშვნები: 1. ზოგჯერ ხელნაწერის კიდეზე გატანილია იკოსის ტექსტი (52r, 58 v).

2. ხელნაწერის კიდეებზე: ა აღნიშნულია საგალობლების ავტორები: „თეოდორე სტოდიელი“ 1r, 9r, 15r, 20v, 25r, 35r, 37r, 38r, 43r, 46r, 47r, 48v, 62r, 63r, 64v, 66r, 67r, 68v, 71r, 72r, 79r, 86r, 88v, 97v, 99v, 101r, 102v, 110v, 112v, 117r, 122r, 123v, 126r, 147v, 150v, 156v, 158r, 160v, 162r, 163r, 165r, 166v, 167v, 169r, 198v; „იოსებ“ 7v, 10v, 16v, 19v, 34v, 36r, 38r, 41r, 42v, 44r, 45r, 46v, 48r, 60v, 61v, 63r, 64r, 65v, 67r, 68r, 69v, 72r, 77r, 78v, 80r, 81r, 82v, 87r, 88r, 90r, 91r, 97v, 98v, 100v, 103v, 104r, 110r, 112r, 117r, 122r, 123r, 124v, 125v, 130v, 147r, 148v, 149v, 152r, 157r, 159r, 159v, 162r, 164v, 167v, 168v; „გიორგი“ 170r; „იოანე“ 177r; „კოზმან მონაზონი“ 185r, 205r, 208r, 211v, 216v, 226v; „ანდრია“ 192v, 213v; „რომანოზ“ 211r; ბ მეცხრე

რვეულის ბოლოს გადამწერის შენიშვნა: „რვეულნი მეათენი არა არიან, ნუცა ეძიებთ“ (49v); გ. შავი მელნით მოგვიანებით დაუხატავთ გველთევზა (12v, 225v), იესო ქრისტე (89v, 225v), ჯუარი (107v), მოხატული საზედაო ასოები (195v, 206v).

3. 166v-ზე ამოშლილია სხვა ხელით გაკეთებული მინაწერი.

მინაწერები: 1. „უფალო ღმერთო, შეიწყალე სახელით გიორგი სუანიძე, ამინ“ (12v).

2. (მხედრულით): „ეს მარხვანი იკორთის მთავარანგელოზისა არის“ (70v).

3. (მხედრულით): „ღმერთო, შეიწყალე სვიმონ“ (85r).

4. (მხედრულით): „მოიხსენე, უფალო, მონა შენი დავით“ (91v)

5. „წმიდაო ღმერთო, აცხოვნე სულხან, ამინ“ (133v).

6. „დაუჯდომელნი ამა წიგნისა ბოლოს ჰპოვნე“ (151v).

7. (მხედრულით): „ქ. იკორთის მთავარანგელოზისა არის. ისიმც რისხავს, ვინც გამოსწიროს. **ჩღოა**“ (155v).

8. (მხედრულით): „ღმერთო, აცხოვნე მათე მოძღვარი...“ (180r).

9. (XIV ს. მხედრულით): „ღმერთო და წმიდავო მარხვანო, შეიწყალეთ და დიდნი დღენი მიეცით ამისა მწერლის ძმას ბსა..., ამინ“ (225v).

იხ. აგრეთვე მინაწერები: 17v, 73r, 77r, 84v, 85r, 133v, 140v, 187v, 194v, 233v.

(1667) **4926**

მარხვანი. XVI—XVII

534 ფ.; 27×17,5; ქაღალდი; ტვიფრული ტყავგადაკრული ხის ყდა, ცუდი შეკინძული (ფურცელთა რიგი არეულია), ახალი რესტავრირებული, ბოლონაკლული; ნუსხური, სათაურები და დასაწყისები სინგურით; თავსამკაული (1r); [XVI — XVII ს.], ჭვირნიშანი აქვს; შეძენილია კარბელაშვილისაგან.

[მარხვანი]. „იწყებიან წმიდანი მარხვანი მეზუჱრისა და ფარისეველის[ა]სა. ო̃ო ღ̃ყა, დასდებელნი აღდგომისანი ჴმისანი. ჴ̃ჲ ა. ეჰა, დბ̃ლი.—ნუმცა ვილოცავთ ფარისეველისაებრ......“ 1r—13r.

„ჴორციელისა პარასკევსა, მწუხრი, ჴსენებაჲ შესუჱნებულთაჲ ქრისტეანობით აღსრულებულთა მართალმადიდებელთა. ო̃ო ღ̃ღყა. დასდებელნი წთ̃ანი სმ̃ნი ჴი̃სნი. და შესუჱნებულთანი სამნი. მარხვისაგან სამნი ჲ გ̃ი. ედემი. ო̃ო ღა̃ღყა.—დიდ არს ძალი მოწამეთა შენთა, ქრისტე...“ 13r—22v.

„კჳრიაკესა ჴორცთა აღებასა, ჴსენებაჲ მეორედ მოსლვისაჲ. მწუხრი. ო̃ო ღ̃ყა, უქცევთ ათთა ზედა და პირველად ვიტყჳთ: აღდგომისთა ჴ̃ისთა ს̃მთა და აღმოსვ̃ლრთა სამთა და მეორედ მოსლვისათა სამთა, ბ გ̃ი. ყ̃ი სს̃ბჲ. —ოდეს მოხჳდე დბ̃ით, მსაჯულო სიმართლისაო...“ 22v—30r.

„ჴორციელისა კჳრიაკესა მწუხრი. დს̃ბლნი სინ̃ნლისნი. დ̃ნი მჴგფს̃ისგნი ბ. მამისაგან შ̃ბლი. —რაჲბ̃მი დასაბამი სინანულისა შევწიროთ შენდა...“ 30r--34r.

„ყველიერისა ბ შაბათსა მწუხრი. ბ. მამისაგან შ̃ბ. —რომელნი ესე მოვიწიენით...“ 34r—71r.

„პირველსა ორშაბათსა, ხუჱდრნი, უგალ̃ბჲ. ბ. განაპო სიღრმ.— ჵ, ვითარიმე დაწყებაჲ ვყო დღეს...“ 71r--123v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მ ე ო რ ე ს ა ო რ შ ა ბ ა თ ს ა, ხუცდრნი, ოგ̃ლბა. დ. დაანთქ̃ნ.—მხოლოო სახიერ, წინასწარმეტყუელებისაჲ წყაროო...“ 123v—160v.

„ვ ო რ შ ა ბ ა თ ს ა, ხუცდრნი, ა გ̃ი. ეტლთა სიმრ. — რომელსა ღ̃თბრ მოწყალებაჲ გუაქუს...“ 160v—199v.

„ო რ შ ა ბ ა თ ს ა დ, ხუცდრნი, დ გ̃ი. სიღრმე მეწ.—ჯუარისა აწ ბრწყინვალე და ცხოველს მყოფელი...“ 199v—248r.

„ო რ შ ა ბ ა თ ს ა მ ე ხ უ თ ე ს ა, ცისკრად ხუცდრნი. ოქ̃გლბსა(!). ბ გ̃ი. უკულევლად. — გონებანი ჩუენნი...“ 248r—325v.

„ო რ შ ა ბ ა თ ს ა ვ, ხუცდრნი ოგ̃ლბა. ჴ̃ჲ ა მონებისა. — ვნებანი მოვაკუდინნეთ...“ 325v—389r.

„დ ი დ ს ა ო რ შ ა ბ ა თ ს ა, ცისკრად ალ̃სა ზედა. — აჰა ესერა, სიძე მოვალს...“ 389r—534v.

წ ყ დ ე ბ ა: „...და ესენი რაჲ წარვიდეს, აჰაჲ ესერაჲ და...“

შენიშვნები: 1. კიდეებზე მიწერილია საგალობლების ავტორები: „ი ო ა ნ ე“ 373r, 375r; „თ ე ო დ ო რ ე“ 140r, 154v, 166r, 198v, 200v, 216r, 217v, 304r, 365v; „თ ე ო ფ ა ნ ე“ 154v; „კ ო ზ მ ა ნ“ 154r, 390v, 400v, 468r; „ა ნ დ რ ი ა“ 401v, 414r, 417r; „ი ო ს ე ბ“ 139v, 145r, 150r, 163r, 182v, 199v, 206r, 215v, 217r, 220v, 223v, 224v, 333r, 336r.

2. აქვს რვეულებრივი პაგინაციაც.

3. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბეჭედი ზის 1r-ზე.

მინაწერები: (ნუსხურით): „ღმერთო, შეიწყალე ცოდვილი გ ა ბ რ ი ე ლ“ (292r).

2. „ქ. ღმერთო, ეს მარხვანი ბატონის დ ა რ ე ჯ ა ნ ი ს არის“ (506v).

იხ. აგრეთვე მინაწერები: 178v. 532v.

(1668) **4927**

პარხლის ოთხთავი. X—XI

140 ფ.; 29,5×23; ეტრატი, დაზიანებული (მოცვეთილია კიდეები, მთელი რიგი ფურცლებისა მელნისაგანაა ამომწვარი, ბევრი ჩამოჭრილია); უყდო, დაშლილი, ნაკლული; ნუსხური, ორ სვეტად, სათაურები და დასაწყისები სინგურით; [X—XI სს.], (ფ. ფ. 124 — 130 ქაღალდისაა, დაწერილია XVIII ს. ხელით); გადამწერი: გაბრიელ პატარაი (133r, 140r); შეძენილია კარბელაშვილისაგან.

[პ ა რ ხ ლ ი ს ო თ ხ თ ა ვ ი]. „...ბასა,ანუ საპყრობილესა, და არა გმსახურეთ შენ...“ (მათე 25,44) 1r—132v.

შენიშვნები: 1. ტექსტი მიყვება ჯრუჭ-პარხალს. იხ. ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით გამოსცა ა კ ა კ ი შ ა ნ ი ძ ე მ, 1945 წ. იგი ა (ოპიზური) რედაქციისაა, იხ. ივ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ადიშის ოთხთავი რედაქციულად (თბილისის უნივერსიტეტის შრომები, XXVIII, 1946, გვ. 119—120).

2. ხელნაწერის ქვემო კიდეებზე მოთავსებულია მუხლთა საძიებლები.

3. ტექსტთან გვერდით, ტექსტის ხელით, სინგურით მიწერილია ასეთი ხასიათის განმარტებები: „ალაბასტრი ჭურჭერი იგი იყო“ (50v); „ნელსაცხებელი იყო ქსისტისა ნახევარი“ (50v); „მნაჲ არს ლიტრაჲ ერთი და ლიტრისა მიორისა ნაწილი“ (87v).

4. აქვს რვეულებრივი პაგინაციაც.

5. ერთვის მთელი წლის სახარების საკითხავთა საძიებელი (133v—140r).

6. ამ ხელნაწერის გადამწერის გაბრიელ პატარაის მოღვაწეობის ადგილი პარხალია. აქ მას გადაუწერია A 95 (პარხლის მრავალთავი). იხ. „ქართული წერის ნიმუშები“. პალეოგრაფიული ალბომი შეადგინა ილია აბულაძემ, თბილისი, 1949 წ. გვ. 303. იქვე იხილე S 4927-ის აღწერილობაც.

ანდერძები: 1. „დიდებაჲ შენდა, დიდებაჲ შენდა, დიდებაჲ შენდა, სამებაო წმიდაო, რომელმან ღირს მყავ ცოდვილი ესე აღსრულებად საქმისა ამის კეთილისა. დაესრულა სახარებაჲ ოთხი თავი ჴელითა ჩემ ცოდვილისა გაბრიელ პატარაისაჲთა. გევედრები კეთილთა მორწმუნეთა ქრისტესთა, რომელნი ჩუენსა შემდგომად ყოფ ხართ. გიჴსენებ სული ჩემი, ცოდვილი გაბრიელ პატარაისაჲ წმიდათა ლოცვაჲ... თქუენთა, თქუენისა ღმრთის მოყუარებისათ..., რამეთუ თქუენ მომავალ ხართ და აღორძინებ... ... ...ლებ... ... რა ...ქმ...“ (133r). (ხელნაწერის ამ ფურცლის ნახევარი ჩამოჭრილია და ანდერძის ბოლო აღარ იკითხება).

2. „სული გაბრიელ პატარაისაჲ მოიჴსენეთ ლოცვასა წმიდასა“ (140r).

მინაწერები: 1. (სინგურით, XVII—XVIII საუკუნის მხედრულით): „მოწყალეო ღმერთო და ოთხო თავნო სახარებანო — მათე, მარკოზ, ლუკა და იოვანე, შემიწყალეთ სულითა და ჴორცითა მე, ფრიად შეცოდებული კავკასისა ძისა ასული შუენიერი, და ლელეზმა მტურთელისა. მოწყალეო ღმერთო, ...“ (13 v).

2. (ნუსხურით): „მე ყოველთა ცოდვილთ უცოდვილესმან, ფრიად ცოდვილმან კამნაგარელმან ზანდარ, ესე ქრისტეს სახარებაჲ მწუედ მძიმედ მოჭედილი იყო და ურჯულოთ აგარიანთა დაელეწა და დაეჭრა ესე სრულა. მე უნდო-ულირსმან ავიღე ჴელათ და შევკაზმე, მრავალი სარჯელი გარდამქდა, ღმერთმან უწყის, ბატონიც ჩემი კარგად მომეჴმარა, ღმერთმან გუმარჯოს (!), ვინც ამაზედ მომეჴრა(!), შეუნდეს ღმერთმან დედა-მამათა ჩუჱნთა შორის. ღმერთმან ჩუენს გდელს (!) თუალ მელნისას შეუნდეს, ღმერთმან, ჩუენთა შორის ღმერთმან“ (14r).

3. (ნუსხურით): „ღმერთო, შეიწყალე მონზონი (!) საბა, ამინ“ (14r).

4. (მხედრულით): „ქ. საშინელო დიდო წმინდავო გიორგი და ოთხნო თავნო სახ[ა]რებანო: მათე, მარკაოზ და ლუკა და იოვანე, საული ფარიად შეცოდებაულის ზზუტაის მანვაევალისშვაილს შეუნდოს ღმერთმან. ვაინცა შენდობა ბრძანოთ, თქვენცა შეეინდაოს ღმერთმან“ (14r). (ტექსტი ა მეტია).

5. (ნუსხურით): „ღმერთო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი ჩ῀ჯგნიზე ხუცესი მხ῀რბლიი, ა῀ნ“ (14r).

6. (ნუსხურით): „მოიხსენე უფალო სეხნიაი მანველისშვილი, მეუღლე...“ (14r).

7. (ნუსხურით): „მოიხსენე, უფალო, სეხნიაი მანველისშვილი, მეუღლე მისი მარიამ“ (42v).

8. (ნუსხურით): „სულსა ჯ῀რმელიქისს შ῀ნეს ღ῀თმნ“ (42v).

9. (ნუსხურით): „სულსა კვკასის (!) ძისა გიორჯის და ხოხიასა შეუნდონ ღმერთმან, ამინ“ (42 v).

10. (მხედრულით): „ღმერთო ყოვალისა მაპყარობელო, და ყოვალისა შემოქმედო, და უბიწოთა შობილო დაიდებულო ღამართისაო, შეიწყალე სულითა და ჴორცითა ...ვილი ასათანდარა და საყუარელნი უცოცხლენ“ (42v; ტექსტი ა მეტია).

11. (მხედრულით): „ქ. ღმერთო და ყოვლად წმინდაო ღმთისმშობელო, მათე, მარკოზ, ლუკა და იოვანე და რაცა ამაში წმინდანი სწერიხარ, ამათო მადლო, ორსავე სოფელსა ნუ წახდენ, ნუ წასწყმედ, ღმერთო, ბერიასა ართმელაძე ხალიპარის შვილს, ამინ, კირიალეისონ“ (42v).

იხ. აგრეთვე მინაწერები: 21v, 22r, 32r, 38r, 41v, 42r, 42v, 45r, 66r, 66v — 67r, 68v, 86v—87r, 100v, 112r, 116v.

(1669) **4928**

იოანე ოქროპირი, თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ

(წიგნი II). XI

258 ფ.; 35×25; ეტრატი; ტვიფრული ტყავგადაკრული ხის ყდა (ზე გატეხილია), ყდას შიგნიდან გამოკრული აქვს ტილოს ნაჭერი; ნაწილობრივ დაშლილი, აკლია ერთი ფურცელი 92—93 შორის, ბოლონაკლული; ნუსხური, ორ სვეტად, დასაწყისები და სათაურები სინგურით, მოხატული საზედაო ასო (27v); [XI ს.]; დამკვეთი: გიორგი მეფე (II) (14r, 73r, 160r, 243v); დაუწერელია: 35v, სვეტი მეორე; შეძენილი კარბელაშვილისაგან.

[იოანე ოქროპირი, თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ. წიგნი II, თავი **მგ**. „სიტყუ]აჲ ესე მაშინ მი-ვიეთმე-[უვეს მ]წიგნობართაგან და [ფარის]ეველთა და ჰრქუეს: მოძ[ღუარ], გუნებავს შენგან სასწა[უ]ლისა ხილვაჲ, ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მათ: ნათესავი ბოროტი და მემრუშე სასწაულსა ეძიებს და სასწაული არა ეცეს მას, გარნა სასწაული იონა წინასწარმეტყუჱლისაჲ. — ჵ, გარდამეტებული ესე უგუნურებაჲ და გულფიცხელობაჲ უშჯულოთაჲ მათ, რომელნი შემდგომად ესოდენთა მათ სასწაულთა, ვითარმცა არარაჲ ქმნილ იყო...“ 1v — 257r.

შენიშვნები: 1. ტექსტი იწყება მათეს სახარების **მგ** (43) თავის თარგმანებით.

2. ერთვის ანდერძი: „ძმანო და მამანო ღმრთის მოყუარენო, რომელნიცა ღირს იქმენით აღწერად წმიდისა ამის სულთა განმანათლებელსა მათეს თავისა თარგმანებასა, ესე ანდერძი წმიდისა მამისა ეფთჳმე მთაწმიდელისაჲ თანავე აღწერეთ. ქრისტეს სიყუარულსა ნუ დაავიწყებთ, რაჲთა მადლი მისი მიიღოთ.—რომელი იგი იყო პირველთაგან ღმრთისა თანა სიტყუაჲ, სიტყუაჲ ღმრთისაჲ, თანამოსაყდრე მამისა და სულისა წმიდისაჲ, ყოველივე მის მიერ იქმნა, ვითარცა იტყჳს იოვანე ღმრთისმეტყუელი, და თჳნიერ მისა არცა ერთი რაჲ იქმნა, რავდენი რაჲ იქმნა. და ნეტარი პავლე ღაღადებს, ვითარმედ მის მიერ დაებადა ყოველი ცათა შინა და ქუეყანასა ზედა ხილულნი და არახილულნი, ანუთუ საყდარნი, გინათუ უფლებანი, გინათუ მთავრობანი, გინათუ ჴელმწიფებანი, ყოველი მის მიერ და მისა მიმართ დაებადნეს; და იგი თავადი არს ყოვლისა წინა და ყოველი მის მიერ დაემტკიცა, რამეთუ მრავლითა მით სახიერებითა თჳსითა ყოველივე არა არსისაგან სიბრძნით დაჰბადა და ხილულსა ამას სოფელსა ზედა გარდაართხა სამყაროჲ ცისაჲ, ვითარცა კამარაჲ და მას შინა განაწესნა მნათობნი, რაჲთა ბრწყინვიდენ ქუეყანასა ზედა და შეეწეოდიან კაცთა საქმესა. ხოლო კაცი შექმნა ხატად თჳსად და მსგავსებად და დაადგინა სამოთხესა მას შინა საშუებელისასა თჳთმფლობელობითა პატივცემული და მისცა მას მცნებაჲ ნივთად და საქმედ თჳთ მფლობელობისა თჳსისა, ვითარცა წერილი იტყჳს; ხოლო მან შურითა ეშმაკისაჲთა და ცთომითა დედაკაცისაჲთა დაივიწყა მცნებაჲ იგი მიცემული მისდა და იძლია ჭამად ხისა მისგან და ამისთჳს გამოვარდა სამოთხით და ექსორია იქმნა სოფელსა ამას შინა. და მიერითგან უფლებდა სიკუდილი და განმრავლდა ცოდვაჲ ნათესავსა ზედა კაცთასა და ყოველი სოფელი დაიპყრა უშჯულოებამან. ხოლო უკუანაჲსკნელთა ჟამთა ჯერ იჩინა მხოლოდშობილმან ძემან და სიტყუამან ღმრთისამან ცხორებაჲ კაცთა და განზრახვითა მამისაჲთა გარდამოჴდა ზეცით და ჴორცნი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა და კაცი იქმნა ყოვლითურთ მსგავს ჩუჱნდა, თჳნიერ ცოდვისა და მოგჳყიდნა ყოველნი პატიოსნითა სისხლითა თჳსითა და შეგჳმზადა მეორე სამყაროჲ სულიერი, რომელ არს წმიდაჲ ეკლესიაჲ, და განაწესნა მას შინა მნათობნი ბრწყინვალენი, წმიდანი მოციქულნი, წინაწარმეტყუჱლნი და მღდელთმოძღუარნი, მოწამენი და მამანი, რომელთა მიერ განანათლებს ნათესავსა კაცთასა და გონებათა მათთა გულისჴმის-ყოფად წმიდისა სამებისა აღიყვანებს წინამძღურებითა თჳსისა მადლისაჲთა. და რომელნიცა შეუდგენ მას, შვილ

ღმრთისა ჰყოფს და მკჳდრ ნათელსა მუაჩრდილებულსა. და ხილული ესე სამყაროჲ ცისაჲ, ვითარცა წერილი იტყჳს, წარგრაგნოს, ვითარცა წიგნი დღესა მას მეორედ მოსლვისასა. და ვარსკულავნი, ვითარცა ფურცელნი დაცჳვენ. ხოლო სულიერი ესე ცაჲ, რომელი ქრისტემან განკაცებითა თჳსითა შეგჳმზადა, მაშინ უმეტესად გამოაბრწყინვოს მან თავადმან და მნათობნი იგი მისნი გამოაჩინნეს ფრიად უბრწყინვალეს მზისა ამის სულიერისა სამყაროჲსათჳს.

იტყოდა დავით წინაწარმეტყუელი, ვითარმედ ცანი უთხრობენ დიდებულსა ღმრთისასა დაბადებულსა, ქმნულსა ჴელთა მისთასა. სამყაროჲ, რამეთუ ჭეშმარიტად იქმნა ესე, ვინაჲთგან შემდგომად აღდგომისა უბრძანა უფალმან ჩუჱნმან იესუ ქრისტემან წმიდათა მოციქულთა, ვითარმედ წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი, და მერმე დღესა მას მეერგასესა მოუვლინა სული წმიდაჲ და აღავსნა იგინი მადლითა. განვიდეს და მოიმოწაფნეს წარმართნი და მიუთხრობდეს დიდებასა ღმრთისასა და საქმეთა მათ მიუთხრობელისა განგებულებისა მისისათა. ხოლო არა სიტყჳთ ოდენ აღასრულეს ქადაგებაჲ, არამედ მადლითა სულისა წმიდისაჲთა წერითცა დაგჳტევეს საიდუმლოჲ ცხორებისაჲ, რამეთუ აღწერეს წმიდაჲ სახარებაჲ ყოვლად ქებულთა მახარებელთა, რომელთაცა უბრძანა სულმან წმიდამან აღწერად, და გუასწავლნეს დიდებულნი იგი საკჳრველებანი, რომელნი აღასრულნა უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტე სოფელსა შინა, რაჲ იქცეოდა კაცთა თანა და ყოველივე რაჲ იგი ცხორებისა ჩუჱნისათჳს თავს იდვა: ჯუარცმაჲ, დაფლვაჲ, და აღდგომაჲ, და ზეცად ამაღლებაჲ დიდებით, და დაჯდომაჲ მარჯუენით მამისა, და დიდებული იგი მეორედ მოსლვაჲ მისი და მას წმიდასა წიგნსა უწოდეს სახარება. რამეთუ ყოვლისავე კეთილისა ხარებაჲ წერილ არს მას შინა, ვითარცა წმიდაჲ იოანე ოქროპირი იტყჳს. მერმე კუალად ნეტარმან პავლე და სხუათა მოციქულთა ებისტოლებითა განამტკიცნეს მორწმუნენი და ყოველი სწავლაჲ ღმრთის მსახურებისაჲ მოგუცეს. ხოლო ვინაჲთგან აღწერილსა მას შინა მახარებელთა და მოციქულთასა მრავალი იყო ძნიად საცნაურ და ვიეთნიმე უსწავლელნი და დაუმტკიცებელნი გარდააქცევდეს მსგავსად მათისა წარწყმედისა, ვითარცა მოციქული პეტრე იტყჳს კათოლიკესა შინა, ამისთჳს შემდგომად მოციქულთასა გამოაჩინნა უფალმან სახენიცა მნათობნი სამყაროსა მას ეკლესიისასა წმიდანი მღდელთ-მოძღუარნი მართლ-მადიდებელნი და მართლგამომეტყუელნი სიტყუასა მას ჭეშმარიტებისსა, რომელთა, მსგავსად მოცემულისა მათდა მადლისა, განჰმარტეს ყოველივე ძნიად გულისჴმის-საყოფელი წერილთაჲ და გარდამაქცეველნი იგი ჭეშმარიტებისანი მწვალებელნი შეაჩუენნეს და სირცხჳლეულნი განიოტნეს ეკლესიისაგან და განანათლეს ერი მორწმუნეთაჲ. ხოლო უფროჲს ყოველთასა მიეცა მადლი სწავლისაჲ წმიდასა იოანე ოქროპირსა და გამოთარგმანებაჲ წერილთაჲ, რომელი იყო მთავარეპისკოპოსი კოსტანტინეპოლისაჲ. რამეთუ პირველ მისაცა იყვნეს მნათობნი დიდნი წმიდაჲ ათანასე ალექსანდრიელი, წმიდაჲ გრიგოლი საკჳრველთმოქმედი ნეოკესარიელი, წმიდაჲ ბასილი კესარიელ კაბადუკიელი, წმიდაჲ გრიგოლი ღმრთისმეტყუჱლი და წმიდაჲ გრიგოლი ნოსელი და სხუანი მსგავსნი ამათნი, გარნა, ვინაჲთგან მათთა დღეთა ზე ფრიადი იყო საცთური კერპთმსახურთაჲ და მწვალებელთაჲ არიოზ და ევნომიოს, საბელიოს და მაკედონიოს და აპოლინარი და სხუანი მრავალნი, და წმიდანი იგი მამანი მათისა ბრძოლასა და წინააღდგომასა შექცეულ იყვნეს და მრავლითა ღუაწლითა და შრომითა დაამტკიცეს მართალი სარწმუნოებაჲ, რამეთუ მეფეთაცა მწვალებელთა მიმართ იყო წყობაჲ მათი, ამისთჳს არა მოცალე იყვნეს იგინი თარგმანებად წერილთა, არამედ ყოველი აღწერა მათი მართლისა სარწმუნოებისათჳს იყო და წინააღდგომად მწვალებელთა, თჳნიერ ხოლო წმიდამან ბასილი რავდენიმე თარგმანებაჲცა წერილთაჲ და საღმრთონი სწავლანი აღწერნა სავსენი სიბრძნითა სულიერითა განმანათლებელნი მორწმუნეთანი. ვინაჲთგან მადლითა უფლისაჲთა და მათ ნეტართა მამათა მოღუაწებითა არმური იგი მწვალებელთაჲ განქარდა, და მეფენი მართლმადიდებელნი მეფობდეს და ეკლესიაჲ დაემტკიცა სარწმუნოებასა ზედა და ქადაგებასა ზედა მოციქულთასა, მაშინ გამოაჩინა ღმერთმან სხუაჲ მნათობი დიდი ეკლესიისაჲ—წმიდაჲ იოანე ოქროპირი და აღავსო სოფელი სწავლითა საღმრთოჲთა და ყოველნი წერილნი თარგმანებითა თჳსითა განჰმარტნა და ძალი სიტყუათაჲ მათ გუასწავა.

4. თვესა სეკდენბერსა კდ, ღვაწლი წმიდისა და დიდებულისა და კეთი-ლად მძლისა პირველ მოწამისა თეკლასი. — აწლა დიდისა ჭეშმარიტებისა მახარებელისა და ქადაგისა პავლესსა ვიტყვი, მრავალ ჴელოვნისა, ქრისტეს საყვირისა, ანტიოქიაჲთ ასურეთისათ იკონიად მიწევნასა და ცხოვრებისა სიტ-ყვისა თესლებრ ს͠ღთოთა მუნ განთესვასა...“ 83r — 99v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყდება: „...რამეთუ შენ თანა ვარ, ჭეშმარიტო მჴევალო ჩემო, აღიხილენ თვალნი და იხილე, ვითარ განლებულ არს...“.

5. „თქმული ნეტარისა ჩვენისა გიორგი ნიკომიდიელ მთავარეპისკოპოსისა ცხოველს მყოფელისა ჯვარისათვის და დაფლვისა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა, რომელი იკითხების დიდსა პარასკევსა. გ. მ. — მაღალსა და აღმატებულსა სახილველსა აღიწია ქადაგება იგი სახარებისა, და ვითარცა ჴმა მაღლისა ნესტუისა ღაღადებითა სასმენელად თვისისა ტკბილისა სწავლისა ყოველთავე მიუწოდს დაბადებულთა ამისთვის...“ 100r — 123r.

შენიშვნები: 1. ამ თხზულების თარგმანი ეკუთვნის ექვთიმე მთაწმიდელს (იხ. კ. კეკელიძე, „ეტიუდები“, ტ. V, გვ. 24).

2. ხელნაწერს აქვს რვეულებრივი პაგინაცია.

3. 1r-ზე და 123v-ზე მოთავსებულია მრგვალი ბეჭედი ლეგენდით: „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება 1879“.

(1684) **4943**

ჯუარ-ღვთისმშობლისა. XVIII

16 ფ.; 22 × 16,5; ქაღალდი (გაყვითლებული); უყდო; ნუსხური, ორ სვეტად, სათაური და დასაწყისები სინგურით; [XVIII ს.], ჭვირნიშანი აქვს; დაუწერელია 1v.

„ჯუარ-ღ̃თისმშობლისა. რუა ჴმათა იგალობების. ოთხშაბათსა ანუ პარასკევსა ოდეს იყოს, თთვენისა ანუ პარაკლიტონისა, ღ̃ბჲ და ა̃წჲ ჯუარ-ღ̃ისმშობლისა ჴმისაებრ ესე. — სამშაბათსა მწუხრად დასდებელთა ზედა ა̃წჲ ჯუარ-ღის̃მშობლისა. ჴ̃ჲ ა. — უმსჯავროდ და კულაჲ შენი ქრისტე, იხილა რაჲ ქალწულმან...“ 2r — 16v.

შენიშვნები: 1 r-ზე წერია: „...ერთი იგი ამას ლოცვიდა, ვითარმედ ყ̃ავე. სიმდიდრე მადლითა მათ განვაბნიე, ხოლო დავრჩი ცალიერი და ვსტირი ბორიტთა მათ ვი(!).

გევედრები შენ მაცხო..., გევედრები შენ, ყოველთა შემოქმ (!) ოთჴ ს̃ლთქ. და გარდამოვლინენ მდიდარნი წყალობანი შენნი მატებითა შენ ყოვლად უხრწნელისა დედისა შენისათა“ (1r).

2. აქვს რვეულებრივი პაგინაცია, სულ ორი რვეულია.

3. 1r—v და 2r-ზე მოთავსებულია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბეჭედი.

იხ. მინაწერი 8v-ზე.

(1685) **4944**

კურთხევანი. XVII

215 ფ; 14×11; ქაღალდი; ახლად რესტავრირებული, ლედერინის ყდაში; თავ-ბოლო ნაკლული, აკლია შიგნითაც; 61r—66v და 209r — 215r ნაწერია სხვა ხელით; ნუსხური; სათაურები სინგურით; (XVII]; დაუწერელია 215v.

[კურთხევანი] „...მადლითა და წყალობითა და მოყუარებითა, ღმერთო... ყოვლისა მპყრობელო...“ 1r — 214v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყდება: „...დღეს ეკლესია გამოჩნდა გ῀ნმ῀ნთლ῀ბაად (!) მორწმუნეთა, რომელ...“

შენიშვნები: 1. კურთხევანში შედის: ა. [განგება ნათლობისა] (1r — 20v); ბ. „განგებაჲ წინდობისაჲ“ (20v — 32v); გ. „ლოცვაჲ ახუმასა გჳრგჳნთასა ახალ ქორწინებულთაგან“ (32v—34v); დ. „ლოცვაჲ საფლავის კუბოისა“ (34v—35r); ე. „წესი და განგებაჲ, რომელ აღესრულების დაფლვასა შესუძნებულისასა“ (35r — 56r); ვ. „ლოცვანი შესუძნებულთანი“ (56r — 57v); ზ. „ლოცვაჲ ჩჩჳლსა ზედა აღსრულებულისა“ (58r.); ჱ. „ლოცვა მღდელსა ზედა აღსრულებულსა“ (58r-v); თ. „ლოცვაჲ სხვავე მღვდელსა ზედა“, (58v—59v); ი. ლოცვაჲ მონაზონსა ზედა აღსრულებულსა“ (59v — 60v); ია. „პანაშვიდი, რომელი იჴსნის სულსა მიცვალებულსა ცეცხლისაგან“ (61r—66v); იბ. „გალობანი სულისა“ (67v—72v); იგ. „განგებაჲ წყლის კურთხევისა“ (75r — 89v); იდ. „განგებაჲ ზეთის კურთხევისა“ (80r — 131v); იე. „კურთხევაჲ მონაზონისა, თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ბასილისა“ (132r — 169v); — ივ. „წესი და განგებაჲ წმიდისა და ანგელოზებრისა სქემისა, თქმული წმიდისა ბასილი დიდისა“ (169v—207r); იზ. „განგებაჲ უკუეთუ არაწმიდათაგანი რაჲმე შთავარდეს წყაროსა ანუ ჭურღმულსა“ (207r—209r); იჱ. „კურთხევა ზუარაკისა“ (209r — 210r); ით. „კურთხევა კრავისა აღვსებისა“ (210v—211r); კ. „კურთხევა სულისა საკლავისა“ (211v—212r); კა. „კურთხევა მარილისა“ (212v—213r); კბ. „კურთხევა საღვთოსა ტაბლისა“ (213v—214r); კგ. „კურთხევა პირველ საძირკვლის დადებისა“ (214rv).

2. 215r-ზე მოთავსებულია ფრაგმენტი სხვა ტექსტიდან.

მინაწერები: 1. „იესო ქრისტე, შეიწყალე ბასილი, ფრიად ცოდვილი მონა შენი“ (153r, წვრილი, ლამაზი ნუსხურით).

2. (ეს და შემდგომი მინაწერები XVIII ს. უწიგნური მხედრული ხელით). „შენი ძმის პავლეს სიკეთით სახსვარო (!) ჩემი სიცოცხლე დაო ელენე! შენს მშვიდობას ღთისაგან ვითხოვ. ჩემი ამბავს იკითხ[...], მრავალი მწუხარება გამოვიარე; ყველა მოგწერო—გრძლათ მოვა; ათუნის ქალაქში ვარ მშვიდობითა; თუ ღმერთი შემეწია — სტამბოლის... ჩემს საყვარელ ძმებს, დირბის დეკანოზის შვილებს ერთობლივ მოკითხვას მოგახსენებ თქვენი ძმა პავლე. თუ ჩემს ამბავს მოიხსენებთ, მრავალი მწუხარება გამოვიარე, ართუნის ქალაქს დამიხსნეს სომხებმა შვიდს ყურუშათ კ[ო]ტოშვილმა პეტრემ, კარაპეტამ. თუ ესენი არ გამჩენოდნენ, უთუ... ავათ მამივიდოდა. ღმერთმა ამდიდროს ამათი ოჯახი, ამათი სიცოცხლე ნუ მამიშა...“ (73rv).

3. „მე, დირბის დეკანოზის შვილი პავლე, ათუნის ქალაქში ტყვეთ ვიყავ, [....] ათას ოცში ოცს თიბათვეს დავიკარგე, კათათვეში ათუნს მამიყვანეს, დამრჩა სახლში ცოლი, ერთი ვაჯი (!) წლისა. მრავალი მწუხარება ვნახე“ (146v—147r).

4. „პეტრემ კოტოსშვილმა დამიხსნა პავლე, დირბის დეკანოზის შვილი. ღმერთმა აშენოს ამისი ოჯახი, ამდიდროს ამისი ოჯახი ღმერთმან, ართუნის ქალაქს მიმიყვანეს ტყვეთა პავლე, დირბის დეკანოზის შვილი. ამ პეტრე კოტოშვილმა დამიხსნა, თუ ეს არ გამჩენოდა, ჩემი საქმე ავათ იყო. დავიკარგებოდი. ღმერთმა ნუ მოაკლოს თავისი მოწყალება“ (151v—152r);

5. „ატოცის წმიდა გიორგი, უთხვის წმიდა გიორგი, არბოს წმიდა გიორგი, დირბის წმიდა გიორგი, თქვენ გევედრებით, თქვენ მიშველეთ ამ ტყვეობისაგან“ (38v).

6. სხვა მინაწერები (იმავე შინაარსისა, რაც №№ 2, 3, 4, 5, — 48r, 57v, 58r, 59v — 60r, 69v, 89v, 132v — 133r, 135v — 136r. 137v—138r, 143v—144r, 147v—148r, 149v—150r, 150v—152r, 157v—162r, 166v—167r, 169r, 169v — 170r, 172v — 174r, 182v—183r და სხვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

(1686) **4945**

კრებული. 1773

91 ფ.; 14 × 10; ქაღალდი; ყდა დამტვრეულია, ხისა, მწვანე ტყავგადაკრული; თავნაკლული; მხედრული; სათაური სინგურით; 1743 (74v); გადამწერი დავით მღვდელი (74 v).

1. [თუესა აგვისტოსა იე, მიცვალება ყოვლად წმიდისა ღ~თისმშობლისა, თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა ვასილი კესარიელისა.] „...ეგრეცა ქვეყანასა ზედა, რომლისათვისცა მე მჴევალი და დედა შენი ვითარ ვარ...“ 1r—74r.

შენიშვნები: 1. სათაური აღდგენილია ხელნაწერ Q—838-ის მიხედვით (იხ. Q ფონდის ხელნაწერთა აღწერილობა, II, 1958, გვ. 249).

2. ტექსტს მოსდევს **ანდერძი**: „დასრულდა ესე ყოვლადწმიდის მეტაფრასი, დიდება ღმრთისა; მრავლითა იძულებითა ილვაწა და იგულსმოდგინა და აღმაწერინა სულთა განმანათლებელი ესე მეტაფრასი დავითის ასულმა ელენემ და ჴულმწიფის მდივნის იოსების მეუღლემ, ათის მცნების დამმარხველმან და ახლის აღთქმისა აღმასრულებელმან, და მარადის წმიდის ღ~თისმშობლის მვედრებელმან და მის მიერ დაცულმან და მოზღუდვილმან. წმიდაო ღ~თისმშობელო, მეოხ ეყავ მჩხაბავსა წმიდისა ამის მეტაფრასისა ედიშერის შვილს დავით მღდელს. ქრისტეს აქეთ **ჩღოგ**, ქ~კს **უჲბ**“ (74r—v).

2. „საქრისტიანო მოძღვრება, თავი პირველი. ოს[ტატი]: ვინ დაგბადა შენ? შ[ეგირდი]: ღმერთმან...“ 75r—91r.

შენიშვნა: ქვედა ყდაზე დაკრულია XVIII ს. ხელით ნაწერი საბუთის ფრაგმენტი: „ქ. ესე წიგნი მოგეცი მე, სუფნიშნის ტერ-მოსეს... ოსეფამ, შენ, სახლთხუცის ყამა (!) საკარელი ტ... რი, რომ ავლაბარში სუფკარაპიტის (!) საყდა... სიმამრის გაკეთებული მოგეცი შენ ტერგ... უ საყდარი, თუ წყალი, თუ ბაღჩა, თუ აუ... გარეშემო კედლები, ესენი სულ წახდომი... ახლა შენ ამ პირობით მოგეცი, რომ ეს...“

მინაწერი: „მიცვალება მხევლისა ღ~თისა დავითანთ-ბაგრატიანთ ასული, მდივნის იოსების მეუღლე ელენეს, წმიდაო ღ~თისმშობელო, მეოხ ეყავ იმის სულს, ქრისტეს აქეთ **ჩყით** წელსა, იანვრის **ია**, ქ~კს **ფႺ**“ (74v).

(1687) **4946**

დაუჯდომელი ღვთისმშობლისა. XVIII — XIX

100 ფ.; 8 × 5,5; ქაღალდი; ტვიფრულ ტყავგადაკრულ ხის ყდაში; ყდა დაზიანებულია; ზედა ფრთა მოცილებულია და ზონარზე ჰკიდია; თავნაკლული; მხედრული; სათაურები სინგურით; [XVIII—XIX]; დაუწერელია 99v — 100v.

[დაუჯდომელი ღვთისმშობლისა.] „...უსძლოო. ძალი მაღლისა აგრილობდა...“ 1r — 60v.

შენიშვნები: 1. სათაური აღდგენილია ხელნაწერ S — 2575-ის მიხედვით (396r). ტექსტის დასაწყისის შესაბამი ადგილი იხ. S — 2575-ში, 379v.

2. „დაუჯდომელს“ ერთვის „პარაკლისი ახლად თარგმნილი სავედრებელი ყოვლად წმიდისა ღ~თისმშობელისა მიმართ“ (61r — 99r).

ეროვნული ბიბლიოთეკა

(1688) **4947**

განგება ზიარებისა. XVIII

70 ფ.; 13×9; ქაღალდი; ტვიფრულ ტყავგადაკრულ ტყავის ყდაში; ტყავი შემოხეულია, ქვედა ყდა გატეხილია; ფფ. 31—38 გაქრილია; ამოცვენილია: ფფ. 1—7, 61; ბოლონაკლული; ნუსხური; სათაურები სინგურით; [XVIII]; დაუწერელია 1v.

„განგება წმიდისა ზიარებისა. — ოდეს გენებოს შეწირვა უსისხლოსა მსხვერპლისა, სერობაზე ესრეთ ილოცე: წმიდაო ღმერთო, მამაო ჩუენო, და შემდგომად ესე: უგალობდი ა, ჴმაჲ გ, ძლისპირი: მოვედით, ერნო ...“ 2r — 61v.

შენიშვნები: 1. „განგების“ ტექსტში მოთავსებულია ლოცვები: ბასილი დიდისა (14r, 24v, 31v, 40r), იოანე ოქროპირისა (16v, 28v, 29r, 37r), სიმეონ მეტაფრასისა (18v, 20r), იოანე დამასკელისა (30r, 31r); „გალობაჲ სინანულისაჲ, თქმული დავით მეფისა აღმაშენებელისა (45v — 51v; ტექსტი გამოცემულია, იხ. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, 1946, გვ. 373—376) და სხვ.

2. „განგებას“ ერთვის: „გალობა მიცვალებულთა ყოველთა მართლმადიდებელთათვის“ (61v—69r) და „გალობა-გოდებანი წმიდისა ღვთისმშობელისა დაფლვისათვის უფლისა იესო ქრისტესი“ (69r — 70v; ბოლონაკლულია).

(1689) **4948**

პარაკლისი იესო ქრისტეს ხატისა. XVIII — XIX

34 ფ.; 11×9; ქაღალდი; ტყავგადაკრულ მუყაოს ყდაში; მხედრული; სათაური სინგურით; იესო ქრისტეს მინიატურით (3v); [XVIII — XIX]; დაუწერელია: 1r — 3r, 32v, 34r-v.

„პარაკლისი ჴელით უქმნელისა ხატისა ულისა(!) იესოსი. — კურთხეულ არს ღმერთი ჩუენი, დიდება შენდა, ღმერთო ჩუენო...“ 4r — 32r.

შენიშვნები: 1. 3v-ზე მოთავსებულია ქრისტეს მინიატურა წარწერით: „I҃ис X҃рс нерукотворенный образ гд҃нь“.

3. 33r v-ზე მიწერილია: „ტროპარი. ტყუეთა განმათავისუფლებელო და გლახაკთა ხელის აღმპყრობელო...“

(1690) **4949**

ანტონ I, სიმეტნე ღრამმატიკისა. 1791

52ფ.; 17,5 × 14; ქაღალდი; მუყაოს ყდაში; მხედრული; სათაურები მთავრულით, სინგურით; 1791 (51r); გადამწერი გიორგი (51r); დაუწერელია: 1rv, 51v — 52v.

[ანტონ I]. „სიმეტნე ღრამმატიკისა პირველისა კერძოსა, კითხჳაგებანი ღრამმატიკისათვის და ნაწილთა მისთა, რომელთა ზეპირ სწავლად უჴმსყე გამოხატჳაჲ გონებათა შინა სწავლის შინათა ქჳმო ამისა. ღრამმატიკისა ნაწილთათჳს, თავი ა. — კითხუა: რაჲ არს ღრამმატიკა? მიგება: ღრამმატიკა არს გამოცდილება სიტყჳსა მოქმედთა...“ 2r — 50v.

შენიშვნა: ხელნაწერის ყდის საცავ ფურცლებად გამოყენებულია ნაბეჭდი ტექსტის ორი დიდი, შუა-შუა გაკეცილი ფურცელი. ფურცლები წარმოადგენს ვახტანგ VI-ის მიერ 1709—1722 წლებში გამოცემული ბიბლიის წიგნების (იხ. ქართული წიგნი, I., 1941, გვ. 31) 51—52 და 53—54 ვვერდებს.

ანდერძი: „აღვჰსწერე სიმეტნე ესე ღრამმატიკაჲსა, მე ფრიად ცოდვილმან ალქატმან გიორგი. უკეთუ სგწავლის გამოუცდელობითა ჩემითა არა მებრ პროსოდიაჲსა გჳარითა მექმნას წერაჲ, ნუ ვიებულ მყოფთ: ნამდვილ მსუროდა აღწერაჲ ამისი გჳარითა პროსოდიაჲთა, გარნა დროსა წერისა ამისსა არა სრულ ვიყავ დაჴელოვნებულ მართლუბნობისა და წესიერ წერისად, არამედ მეცნავ და სწავლულ სახელისა დამდევარისა მათისა, გარნა ვითხოვ, რაჲთა ილოცჳდეთ ჩემთჳს სრულ ქმნად ზედმიწევნილებათა ღრამმატიკოსობითთა და სხჳათაცა აზნაურთა სწავლათა. ივლისს 23, ქ~კს აქეთ 1791“ (51r).

(1691) **4950**

გეოგრაფია და არითმეტიკა. 1821

82 ფ.; 22 × 18,5; ქაღალდი; ტვიფრულ ტყავგადაკრულ მუყაოს ყდაში; მხედრული; სათაურები მთავრულით; ჭვირნიშანი 1819 წ. (ფ. 1); 1821 (80r): გადამწერი დიაკონი იოსებ ფოცხვეროვი (80r); დაუწერელია: 1v, 6r, 45v—47v, 80v—82r.

1. „შეყჳანილება ღეოღრაჶიასა შინა. — ღეოღრაჶია არს აღწერა ქუეყანისა...“ 2r—45r.

შენიშვნა: ტექსტში ჩართულია სხვადასხვა ტაბულები.

2. ⟨არითმეტიკა⟩. „ნაწილი პირველი. არითმეტიკისათჳს და ოთხთა მოქმედებათა მისთა მარტივთა რიცხჳთა შინა. — არითმეტიკა არს ჰსწავლა რიცხჳთათჳს და კანონთათჳს...“ 52v — 80r.

შენიშვნა: ტექსტს წინ უძღვის: „თჳს მათემათიკისა საზოგადოდ“ (48r—51r), „ტაბლიცა განმრავლებისა“ (51v), „ტაბლიცა შეკრებისა“ (52r).

ანდერძები: 1. „კნინი ყოველსა შინა თჳნიერ ცოდვისა დიაკონი იოსებ ფოცხვეროვი. 1821-სა წელსა: ი. აღწერილ იქმნა“ (80r).
2. „იოსებ დიაკონ ფოცხვეროვისა არს ესე“ (82v).

მინაწერი: „ა) გეოგრაფია, ბ) არითმეტიკა მღ. პ. კარბელოვისა“ (1r).

(1692) **4951**

დავით ბატონიშვილი, კატეგორია შემოკლებული. 1798

16 ფ.; 16,5 × 11; ცისფერი ქაღალდი; უყდო; თავნაკლული; მხედრული; სათაურები სინგურით; 1792 (16v).

[დავითის მიერ მეფისა ირაკლი მეორისა პირმშოჲს ძის გიორგის პირმშოჲს ძისა ქმნილი კატიღორია შემოკლებული, სარგებელად სწავლის შინათა, სხჳათა კატიღორიათა შორის, ესრეთ კითხჳა-მიგებით.] „...ბითა საქმე რაჲმე შეიპყრობს მარტივად და ამის მიერ დანიშნულნი არიან საზღურითა...“ 1r — 16v.

შენიშვნები: 1. სათაური აღდგენილია S—253-ის მიხედვით (იხ. S ფონდის ხელნაწერთა აღწერილობა, I, 1960, გვ. 262). ამ ხელნაწერის ანდერძში კი მას „მცირე კატილორია“ ეწოდება (იხ. ქვემოთ).

2. ტექსტი წარმოადგენს სვიმონ ჯულფელის „დიალექტიკის“ შემოკლებულ გადმოცემას, როგორც ეს აღნიშნულია თვითონ დავით ბატონიშვილის მიძღვნაში ფარნაოზ ბატონიშვილისადმი (იხ. S — 253, აღწერილობა, აგრეთვე ტრ. რუხაძე, დავით ბატონიშვილი და მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა, ლიტერატურული ძიებანი, I, 1943, გვ. 143).

ანდერძი: „სრულ იქმნა ძალითა ღ~ისათა წიგნი ესე, რომელ არს მცირე კატილორიაჲ, თთუესა მაისსა 24, წელთა 1798“ (16v).

მინაწერი: „კიკვაძიანთ ნინო“ (3r).

(1693) **4952**

მანუილ ქსანთინოს, ქორწინებისა თავთათვის. XIX

33 ფ.; 16×10,5; ცისფერი ქაღალდი; ქაღალდგადაკრულ კარტონის ყდაში; მხედრული; სათაურები სინგურით, ნაწილი მთავრულად; ჭვირნიშანი 1813 წ. (ფ. 20 და 19); გადამწერი იეროდიაკონი გერონტი (31v); [XIX]; დაუწერელია 1rv. 2v. 32r — 33 v.

⟨მანუილ ქსანთინოს,⟩ „ქორწინებისა თავისათჳს **სჟა** მატთესი. — ხარისხნი ქორწინებისანი ამად ვიდრემე იწოდებიან ხარისხად, რამეთუ ვითარიგი კიბეთა ზედა აღვლენ ხარისხად და შთამოვლენ, ეგრეთვე არს ნათესაობაჲცა ხარისხად...“ 3r—31v.

შენიშვნები: 1. „ქორწინებისა თავისათვის“ შედგება ორი ნაწილისაგან: პირველი ამოღებულია მანუილ ქსანთინოსის მიერ უმთავრესად მათე ბლასტარის „სჳნტაგმიდან“; მასში აღნიშნულია ნათესაობის სახეები (3r — 18v); მეორე ნაწილში მოცემულია დიაგრამები ნებადართულ და აკრძალულ ქორწინებათა (19r—31v). მეორე ნაწილის სათაური: „ესა მაგალითნიცა ქორწინებისანი, რომელნიცა დაჰსხნა უბრძნესმან და უსიტყჳერესმან, დიდმან ხარტოფილაქსმან, ესე-იგი წიგნთა მცველმან, უწმიდესისა ქრისტეს დიდისა ეკკლესიისა კონსტანტინუპოლისამან, იეროდიაკონთა შორის უფალმან, მანუილ ქსანთინოს“ (19r; შდრ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951, გვ. 370).

2. თხზულება თარგმნილია იოანე ქსიფილინოს-პაპუწიშვილის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, ხსენ. თხზულება).

ანდერძი: „ცთომის შენდობის მოქენე იეროდიაკონი გერონტი“ (31v, სახელი სწერია ხვეულად).

მინაწერი: „ესე სქიმა არის დიაკონის რაფიელ ფხალაძისა (ანუ კარბელოვისა). ვინც წაიკითხოთ, ისევ პატრონს დაუბრუნეთ. Получил 1866 года 16 Апреля. Пхаладзе“ (2r).

(1694) **4953**

ყარამანიანი (ფრაგმენტი). XIX

12 ფ.; 35 × 22; ქაღალდი უყდო; დაშლილი; თავ-ბოლო ნაკლული (ფრაგმენტი); მხედრული; [XIX].

ეროვნული ბიბლიოთეკა

[ყარამანიანი. „...ყარამანისა და გარდანქეშანისაგან ერანთა და თურანთა ფალავანთა გამოხსნა.—რა ინდოთა დიდი ხელმწიფე რა ინდ ომისაგან გაბრუნდა...“ 1r — 10v.

წყდება: „...საბელი აეხსნას და აწე ნუღარ იშვიშონ... გაისმა ესე მშვიდობისა ამბავი ყოველ...“

შენიშვნები: 1. 11r—12v-ზე განმეორებულია ისევ ის ტექსტი, რომლითაც იწყება ხელნაწერი.

2. „ყარამანიანი“ თარგმნილია დავით ორბელიანის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, 1952, გვ. 254).

3. თხზულება გამოცემულია: 1875—1883 წლებში, 1888 წ. (იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, 1952, გვ. 254). და 1965 წ. ა. გვახარიასა და ს. ცაიშვილის მიერ:

4. ფრაგმენტის ტექსტი მოიცავს 1965 წ. გამოცემის 101—118 გვერდებს.

(1695) **4954**

ყარამანიანი (ფრაგმენტი). XIX

44 ფ.; 34 × 22; ცისფერი და თეთრი ქაღალდი; უყდო, თავ-ბოლო ნაკლული; დაშლილი; მხედრული; ჭვირნიშანი ორივე ქაღალდისა 1826 (ფ. 3 და 10, 16 და 25); [XIX].

[ყარამანიანი.] „... წავიდა, სამანდუნ ბადახშის მთისაკენ გაემართა, აქარუნ დევი გირბადი მთისაკენ წავიდა...“ 1r — 44v.

წყდება: „...უთხრა: მოდი, შენ აღთქმა დადეო, რომ შენ მოპარვით არ მოხვიდეო...“

შენიშვნები: 1. „ყარამანიანი“ თარგმნილია დავით ორბელიანის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, 1952, გვ. 254).

2. თხზულება გამოცემულია: 1875—1883 წლებში და 1888 წ. (იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, 1952, გვ. 254), 1965 წ. ა. გვახარიასა და ს. ცაიშვილის მიერ.

3. ფრაგმენტის ტექსტი მოიცავს 1965 წ. გამოცემული ტექსტის 195 (სტრ. 2 ქვ.)—274 (სტრ. 12 ქვ.) გვერდებს.

(1696) **4955**

გამოკრებილი კარაბადინი და საეტლო ხიროմანტია. XIX

17 ფ.; 35 × 22; ცისფერი და თეთრი ქაღალდი; უყდო; დაშლილი; თავ-ბოლონაკლული; მხედრული; სათაურები სინგურით; ჭვირნიშანი ორივე ქაღალდისა 1808 წ. (ფფ. 1 და 10, 14 და 15); [XIX].

⟨გამოკრებილი კარაბადინი და კირომანცია⟩ „...მილმან წამალმან ისრე არგოს, დააწყნაროს და მოხდების ჭირი ასეთი და აქიმობისა ბედი...“ 1r—17v.

წყდება: „...მაშინვე ერთს წამალზედ გამთელდება და მორჩეს...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: ტექსტი შერეული ხასიათისაა: ნაწილი სამედიცინოა, ნაწილი—ასტროლოგიური; 1r—6v კარაბადინის ნაწილი უნდა იყოს, მისი სათაური მოხსენებულია 1v-ზე: „...და ამ წიგნს (!) სახელი მუნათხაბ(!) შაფია არის, ვითამც სრულის საექიმო წიგნებიდამან გამორჩეულია და გამოკრეფულია...“ 6v — 15v-ზე მოთავსებულია რამდენიმე თავი „საეტლო ხირომანტიიდან“ (შდრ. Q—867, Q ფონდის ხელნაწერთა აღწერილობა, II, 1958, გვ. 269—272): „თავი მერვე: მთოვარისა სიკეთე და სიმარცხე დაბადებულთა ზედა“ (6v—7v); „თავი მეცხრე: მთოვარისა და ეტლებისა ერთმანეთთან შეყრისა“ (7v—9r); „თავი მეათე: მთოვარისა სადგომებისა შესვლა, სიმარცხე და სიკეთე“ (9r—11r); „თავი მეორე: ეტლებისა პატრონობა დაბადებულთა ზედა“ (11v — 15r); „თავი მესამე: ეტლები თუ როგორ უნდა შევიტყოთ კაცის ხელზედან“ (15rv). 16r-ზე მოთავსებულია კარგი და ფათერაკიანი დღეების ცხრილი.

(1697) **4956**

საგალობლები (ფრაგმენტი) XIX

4. ფ.; 18 × 11,5; ქაღალდი; უყდო; მხედრული; სათაურები სინგურით; [XIX].

[საგალობლები] 1. „წმიდაო... ულთა, ნუ იყავნ...“ 1v — 3r.

2. „შობის გალობა. — მოისვენე, მოისვენე, შვილო ჩემო საყვარელო...“ 4r — v.

შენიშვნა: 1r-ზე უწიგნური ხელით სწერია ლოცვა „მამაო ჩვენო.“.

მინაწერი: „ხოლო მე უსწერ (!) მღედელი (!) კიპრეისშვილი(?) ანდრია წერილსა ამას ხუთის მადლით და შეწევნით და რა გელის (?) და გაკლდა ჩემის უმეცრებისაგან და ვინც იხილოთ ეს წერილი, ნუ მწყევთ და ნუმცა მავინებთ თქვენის ხუთის გულისათვის, ეს წერილი რომელსა აცხადებს, ის ხუთის-მშობლის ქება არის, ამით რომ, როდესაც იშვა უფალი ჩვენი ესო ქრისთე და ის აკვანში იყო...“ (3r—v, იმავე უწიგნური ხელით, რომლითაც „მამაო ჩვენო“).

(1698) **№ 4957**

კიტაიის სიბრძნე. 1872

42 ფ.; 21 × 17; ქაღალდი; უყდო; შერჩენილია ყდის საცავი ფურცლები; მხედრული; 1872 წ. (41r); გადამწერი ანასტასია მიქელაძისა (41r); დაუწერელია: 1r—3v, 41v — 42v; შემოწირულია ა. წულუკიძის მიერ.

⟨კიტაიის სიბრძნე.⟩ „ნაწილი პირველი, თავი ა. განხილვისათვის თავისა თვისისა ანუ თანა-მდებობისათვის კაცობრივთა, თუ ვითარ განუყოფელი წევრი არს ქჳეყანისა ერთობისა თვითოეული კაცი. — იფიქრე თავსა შორის თვისსა, ჵ მოკჳდაო კაცო...“ 4r — 40v.

შენიშვნა: სათაური მოცემულია ტექსტის ბოლოს: „დასასრული კიტაიის სიბრძნის აზრთა“ (40v). ამას მოსდევს: „განსრულდა, — დიდება ღმერთსა, — თვესა სექდემბერსა დ, ქ˜ქს უოზ ქელითა მესტამბე ზუბაშვილის მოურავის ძის რომანოზისათა, დაგზის (ნაბეჭდში: დაზგის) მმართჳლობითა დარბიაშვილის თეოდორე დიაკონისათა და მწერლობითა გოგლიძე ზაქარიასითა. შენდობას ვითხოვთ, ახალ მოსწავლენი გახლდით; მოძღჳარსა ჩჳენსა და მასწავლელს, მისის უმაღლესო-

ბის კარის ხუცესს ქრისტესიას შენდობა უბძანეთ“ (40v — 41r). ეს არის ბოლოსიტყვაობა 1784 წლის ბეჭდური გამოცემისა, საიდანაც, როგორც ჩანს, გადმოწერილია ხელნაწერი (იხ. ქართული წიგნი, I, 1941, გვ. 63 — 64, სადაც მოთავსებულია გამოცემის. თავფურცლის სურათი, მთარგმნელის მიძღვნა, ბოლოსიტყვაობა და სხვა). „კიტაიის სიბრძნე“ გადმოთარგმნილია რუსულიდან გაიოზ რექტორის მიერ (იხ. კორნ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951, გვ. 363). მთარგმნელის მიძღვნა დაბეჭდილია S — 525 ხელნაწერის აღწერილობაშიც (იხ. S ფონდის ხელნაწერთა აღწერილობა, I, 1960, გვ. 591).

ანდერძი: „ნანდვილისაგან სწორად გარდამოვიღე თავადის ბეჟან ლორთქიფანიძის ასულმა კნეინა მიქელაძისა ანასტასიამ. აღმომკითხველნო ამისა, შეცდომა თუ რაიმე იპოო, ნუ გვწყევთ, არამედ კურთხევით მოგვიხსენებდეთ. გასრულდა ქ. **ჩყოზ**-სა წელსა, თვესა ნოემბერსა **იბ**. ამინ“ (41r).

(1699) **4958**

ფსალმუნი. XV—XVI

124 ფ.; 16 × 12,5; უხეში ეტრატი; ყდა დაზიანებულია; დარჩენილია მხოლოდ ქვედა ყდის ფიცარი: თავნაკლული, აკლია შიგნითაც; ნუსხური; სათაურები და მუხლების დასაწყისი ასოები სინგურით; [XIV—XV]; გადამწერი შიო (124r).

[ფსალმუნი] „...გარე-მომადგეს მე სალმობანი სიკუდილისანი და ღუარშჯულოებისათა შემაძრწუნეს მე...“ (ფს. 17,5). 1r — 124v

შენიშვნები: 1. ხელნაწერს აკლია დასაწყისში ორი რვეული: ა და ბ; იბ რვეულში, 57 და 58 ფურცლებს შუა, ამოხეულია ერთი ფურცელი. რვეულებში არის 6 — 6 ფურცელი.

2. ტექსტი გიორგი მთაწმიდლისეული რედაქციისა. იხ. ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები, გამოსცა მზექალა შანიძემ, I, 1960.

ანდერძი: „ამისსა მწერალსა შიოს და მშობელთა მი[სთა] შ˜ჱ [ღ˜ნ]“ 124r.

მინაწერი: კრიპტოგრამა: „ორკკჩ უჭმოტჭკჩ ჭტჭფჭკ ჟფ...“ კრიპტოგრამა ანჩინური სისტემისაა. იკითხება ასე: „მისსა მეუღლესა ელენეს შ˜ნ...“

(1700) **4959**

ერაზმ როტერდამელი, ქრისტეანე მხედარი. 1830

106 ფ.; 21,5 × 17,5; ქაღალდი; ჭრელ ქაღალდგადაკრული მუყაოს ყდაში; მხედრული; ავტოგრაფი გ. ავალიშვილისა; 1830 (99v); დაუწერელია: 1v—2r, 3v, 100r—106v,

⟨ერაზმ როტერდამელი.⟩ „ხრისტიანეჲ მჴედარი ხრისტესი და ძლევამოსილი საჭურველი მისი. განყოფაჲ ა. მისთჳს, თუ რაბამ საჭირო არს ჭეშმარიტისა ხრისტიანეჲსთჳს ცხოვრებასა შინა თჳსსა ქონებად განმჴილუჱლობისა, შორის მჴედრუჱლობისა და სიმჴნეჲსა. ა. — თჳთ საჭიროჲ და უუსარგებლიანესი საქმეჲ ჭეშმარიტისა ხრისტეანეჲსა არს ჴსოვნაჲ, მით რამეთუ ცხოვრებაჲ ჩუჱნი არა სხჳა რაჲმე არს, ვითარცა სამარადისოჲ ბრძოლაჲ...“ 5r—99v.

შენიშვნები: 1. სრული სათაური მოცემულია 3 r-ზე: „ხრისტიანეჲ მჴედარი ხრისტესი და ძლევამოსილი საჭურველი მისი, ანუ უმაცხოვრებითესნი კანონნი ხრისტიანებრისა ცხოვრებისანი, წმჳლილად და საჩინოდ განჰხილულნი, გამოხატულნი და საღმრთოთაცა წერილთა ზედა დაფუძნებულნი, წერილთა გამო დიდებულისა ერაზმროტერდამისა წოდებულისა საჴსოვარი მჴედრისა ხრისტეანეჲსა, თარგმნილი როსსიის ენით ქართულსა ზედა თ. გ. ავალოვის მიერ **ჩყლ**-სა წელსა, ივნისის **კე**-სა დღესა, სამეუფოსა ქალაქსა მოსკოვს.“

2. ტექსტს წინ უძღვის სარჩევი „თავი“ (4r—v).

3. ხელნაწერი გ. ავალიშვილის ავტოგრაფია; მასში არის შესწორებულ-გადახაზული ადგილები, რის გამოც იგი შავის შთაბეჭდილებას ტოვებს.

4. ტექსტი თარგმნილია რუსული 1783, 1785 წლების გამოცემიდან (იხ. ტ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVIIIი-სს., 1960, გვ. 238).

ანდერძი: „სრულ იქმნა აგვისტოს **კ**-ს **ჩყლ**-ს წელსა“ (99v).

მინაწერები: 1. „**ჩყლვ** წელსა, იანვრის პირველს დღესა, წიგნი ესე შევაკვრევინე სამეუფოსა ქალაქსა შინა მოსკოვსა, მე მღვდელმა პარმენ დომენტის ძემან წინამძღვაროვმა და ჩემი საკუთარი არის“ (1r).

2. „ეს წიგნი არის სალომესი“ (2v); „ესი სალომეს არის, ღმერთმან ბედნიერებაში მოახმაროს“ (ქვედა ყდის შიდა მხარეს).

(1701) **4960**

კრებული. 1842

68 ფ.; 23 × 18,5; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული; 1840 — 1842 წწ. (2r. ჭვირნიშანი 1839); მთარგმნელი და გადამწერი გიორგი ავალიშვილი (2r); ადგილი მოსკოვი (2r); დაუწერელია ფფ. 1, 63 — 68.

1. „ცხოვრებაჲ წმიდისა ნიკოლაოს სასწაულ მმოქმედისა. — მეოთხესა საუკუნესა შინა, შემდგომად შობისა ქრისტე მაცხოვრისა, ოდესცა მართლმადიდებელი ეკკლესიაჲ...“ 3r — 26v.

შენიშვნა: უძღვის თავფურცელი: „ცხოვრება და სასწაულნი წმიდისა ნიკოლაოს საკვირველმმოქმედისა, მირლიკიის არხიეპისკოპოსისა, გადმოღებული როსსიის ენით ქართვულსა ზედა თავადისა გიორგი ავალოვისა მიერ **ჩყმბ** წელსა, მოსკოვს“ (2r).

ერთვის: «გათავებაჲ» (საძიებელი, 26v—27r).

2. «იოჰან ტაულერი, თჳს ცხოვრებისა და ვნებათა ქრისტე მაცხოვრისათა»: „თავი ა. ლალადებაჲ ღმრთისა მიმართ. — ქმნულსა არ ჴელეწიფების ღირსებით ქებად შემმოქმედისა. იესო, საყუარელო ჩემო, მაცხოვარებაო და ლხინებაო!...“ 29r — 62v.

შენიშვნა: უძღვის თავფურცელი: „თჳს ცხოვრებისა და ვნებათა ქრისტე მაცხოვრისათა, კატასკევილი ი[ოჰან] ტაულერისა მიერ. გარდმოღებული როსსიის ენით ქართვულსა ზედა თავადის გიორგი ავალოვისა მიერ **ჩყმ** წელსა, მოსკოვს“ (28r).

მინაწერები: 1. **ჩყმბ** წელსა, აგვისტოს **ი**გ შევაკვრევინე დეკანოზმა პარმენ წინამძღვაროვმა და ჩემი არის“ (2r).

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. „წიგნი ესე მივეცი სალომეს მამამა. ბლაღოჩინი პანტელეიმონ“ (I ყდის v).

(1702) **4961**

ვნებანი იესო ქრისტესნი. XIX

72 ფ.; 23 × 18,5; ქაღალდი; მუყაოს ყდა: მხედრული; XIX ს-ის 30-ანი წწ. (ჭვირნიშანი 1832); მთარგმნელი და გადამწერი გიორგი ავალიშვილი (3r); დაუწერელია: ფფ. 1v—2v.

„ვნებანი უფლისა ჩუჱნისა იესო ქრისტესნი დროსა დაფარვულისა მისისა ცხოვრებისასა. ა. ვნებაჲ. — წინასწარ-ხილვაჲ და თავსდებაჲ ყოვლისა, რაჲსაცა ვნებად უჩნდა მას: აღდგინებისათჳს კაცთა ბუნებისა, ცოდჳთა პირველისა კაცისათა განჴრწნილისა...“ 27r—68v.

შენიშვნა: I უძღვის: 1. თავფურცელი: „ვნებანი უფლისა ჩუჱნისა იესო ქრისტესნი დაფარვულსა და საზოგადოსა ცხოვრებასა შინა მისსა, ტანჯუათა შინა მისთა პირუჱლ სიკუდილისა და თჳთ სიკუდილსაცა შინა, ე. ი., თჳთ განჴორციელებისა მისისათა განტევებადმდე სულისა ჯუარსა ზედა.

თარგმნილი როსსიის ენით ქართულსა ზედა თავადის გიორგი ავალოვისა მიერ. ტომი ა, ნაწილი ა. ჩყკჱ წელსა, თთუჱსა დეკემბერსა იბ, მოსკოვს (3r).

2. თავთა საძიებელი „გათავებაჲ პირუჱლისადმი ნაწილისა, პირუჱლისა ტომისა...“ (4r — 5r).

3. „წინასიტყუაობაჲ“ (6r—7r).

4. „შემოკლებული აღწერაჲ კატასმკევილის ცხოვრებისა რომლითამე სასულიეროჲთა რჩევაებითა...“ (8r — 26v).

II. სქოლიოებში გატანილია მითითებანი წყაროებზე და მთარგმნელისაგან განმარტებული უცხო სიტყვები.

(1703) **4962**

მარხვანი. XVII

388 ფ. (ხელნაწერს აქვს რვეულებრივი პაგინაცია ქართული და ბერძნული სათვალავით. შეიცავს 49 რვეულს, უკანასკნელში სამი ფურცელია); 29,5 × 18; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა (ზედა ყდის ნახევარი დაკარგულია); დაზიანებული: ფფ. 1—7 ტექსტს გადაჰკრავს ჟანგის ფერი, ყუები ფფ.-სა 1—7, 384 — 388 რესტავრირებულია ძველადვე; ნუსხური; ხელნაწერის მორთულობას შეადგენს სინგურით შესრულებული სათაურები და საზედაო ასოები. სათაურთა დასაწყისები დაწერილია ასომთავრულად მთავრულით (1r, 4r, 8r, 14r, 21v, 26r, 29v, 52r, 75r, 82v, 87v, 139r, 177v, 183v, 273r, 349r); [XVII ს.]; შეძენილია გ. ფერაძისაგან.

1. „იწყებიან წმიდანი ესე მარხვანი კვირიაკესა მეზუჱრისა და ფარისევლისასა. — უფალო ღაღადყავისა იჱრუსალემთა მუჴლთა ზედა, და ვიტყჳთ პირუჱლად აღდგომისასა გ, და აღმოსავლურთა დ, და მარხვანთაგან ამათ ბ, ჳმაჲ ა. — ეჴა დბ῀ული. — პლ῀ი მუჴლი ბ გზის. თუმცა ვილოცავთ ფარისეველებრ,ჵ ძმანო, რამეთუ რომელმან აღიმაღლოს თავი თჳსი...“ 1r—4r.

2. „ჭორციელისა კჳრიაკესა [უძღებისასა]... შაბათსა მწუხ-რი, უფალო ღაღადყავისა. უქცევთ „იჱრუსალემთა“ მუჴლთა ზედა; პირუჱლად ვიტყჳთ აღდგომისასა გალობათა ...ბ გ̃ი, ყოველი სასოებაჲ.—სიმდიდრე განვაბნიე, რომელი მომეც, მამაო...“ 4r—24r.

3. „ყველიერისა ორშაბათსა მწუხრი.—ჴმაჲ მამისაგან შობილმან.—რომელნი ესე მოვიწიენით ასპარეზსა ყ̃დ წმიდათა მარხვათასა...“ 24r—53v.

შენიშვნა: უძღვის საგალობელი იოსებისა.—„ორშაბათსა ცისკრად ხუჱდრნი, ჴმაჲ ა. უგალობდისაჲ, მონებისა მის, «იოსებ». — ბრწყინავს წინადღესასწაუ-ლი მარხვისა და მოღვაწებისა...“ (22v — 24r).

4. „ორშაბათსა პირველისა შჳდეულისასა მარხჳსათჳს და უვნებელობისა, რომელი ითქვა დაწყებასა მარხვათა,, გ.. მ. — ძმანო და მა-მანო! მარხჳსა ესე ჟამი ყოველსავე წელიწადსა შინა შეერთებული მსგავს არს ნავთსადგურსა უღელვოსა რაჲსამე, რომელსა შინა შევლენან ყოველნი კაცნი...“ 57r—89r.

შენიშვნა: უძღვის: 1. საგალობელი: „ორშაბათსა პირველისა მარხვათასა ხუჱდრნი, უგალობდისაჲ, განაპო, იოსებ.—ჭჳთარი დაწყება ვყო დღეს გლოვისა ცოდვილთა მათ ჩემთასა...“ (54r—54v); 2. „ორშაბათსა ა მარხვათა შუადღე, ოხითა ჴმაჲ ა. გ̃ი. — უფალო ღმერთო, რისგან ძრწიან ყოველნივე...“ (55v — 56r); 3. „ორშაბათსა პირველსა მარხვათასა, მწუხრი, გ გ̃ი, მჴდომარე. — ყოვლითა ცოდჳთა შევი-გინე მედგარი...“ (56r—56v); 4. „თ̃ე, დ გ̃ი, ედემი. — მოდით ძმანო წადიერე-ბით...“ (56v): 5. „დაბადების საკითხავი“ (56v—57r); 6. „იგავთა საკითხავი“ (57r — v); 7. „სტიქარონნი, ჴმაჲ გ გ̃ი, არა დააკლ. — ვიმარხოთ მარხვა, წმიდაჲ სათ-ნო...“ (57v).

5. „ორშაბათსა ბ, ცისკრად ხუჱდრნი, უგალობდითსაჲ, ჴმაჲ დ, დანთქ̃ნ. იოსებ. — მხოლოო სახიერ, წყალობისა წყაროო, ტარიგო ღთისაო, ამაღლებულო ცოდვათა სოფლისათა, მიჴსენ მეცა ცოდვათა უფსკრულთაგან ...“ 89r — 118v.

6. „ორშაბათსა გ. მწუხრი, იოსებ. — წმიდანო მარტჳ[ლნო], მარხჳთა ვნებანი ბოროტნი სულთა ჩუჱნთაგან განვიოხოთ, ძმანო...“ 118v — 146 v.

7. „ორშაბათსა დ, ცისკრად ხუჱდრნი, უგალობდითსაჲ, ჴმაჲ დ გ̃ი, სიღრმე მიწ..., იოსებ. — ჯუარისა აწ ბრწყინვალე და ცხოველს-მყოფელი თაყუანისცემა გამობრწყინდა და ყოველთა ზედა მოგუფინა...“ 147r— 186 v.

8. „ორშაბათსა ე, ცისკრად, ხუჱდრნი, უგალობდითსაჲ, ბ გ̃ი, უკლეველად, იოსებ. — გონებანი ჩუჱნნი განვიწმიდნეთ, ძმანო, ერქუნითა მარხჳსათა და ნაყოფი კეთილი სათნოებათა გამოვიყოთ...“ 186v—238v.

9. „ორშაბათსა ვ, ცისკრად ხუჱდრნი, უგალობდითსაჲ, ჴმაჲ ა, მონებისა მისგან, იოსებ. — ვნებანი მოვაკლინნოთ, ძმანო, მარხჳთა და სული განვიცხოველოთ...“ 238v—272v.

10. „ბზობისა წინა შაბათსა, მწუხრი, დასდებელნი ბზობი-სანი, შემდგომად ფსალმუნებისა, უფალო ღაღადყავსაჲ, უქცევთ „იერუსალემ-თა“ მუჴლთა ზედა და ვიტყჳთ ხუთთა მუჴლთა ბ-ბ ჯერ, ჴმაჲ. ა. — ნათე-

ლი ნათლისაგან მოვლინებული, კიცუსა ზედა მჯდომარე, ცოდვათა მეუფე...“ 273r—284r.

11. „დიდსა ორშაბათსა ცისკრად, ალ҃ჲ ზედა, ჲ გ҃ი. — აჰა ესე რაჲ სიძე მოვალს შუაღამესა, და ნეტარ არს მონა იგი, რომელი იპოოს მღჳძარედ; ხოლო ვაჲ არს მონისა მის, რომელი იპოოს უდებებით...“ 284r—382 v.

შენიშვნა: ერთვის: 1. დიდი შაბათის სეროზის დასასრულს დგება «ბრწყინვალე კვირიაკე» „...და ამისა შემდგომად ვრეკთ მეცხრესა ჟამსა ცისკრისასა, შეკრბენ მღუდელთ-მოძღუარნი და მღუდელნი.—ხოლო შეიმოსებიან თეთრითა და წინამძღუარი განუყოფს სანთელსა ძმათა... მღუდელმან იწყოს გ გ҃ი: ქრისტე აღდგა მკუდრეთით სიკუდილითაჲ სიკუდილისა...“ (382v—385v).

2. ცისკრისა დასასრულს „...იქმნების ამბორს-ყოფა სახარებისა და ჯუარისაჲ, მღუდელთა და ძმათა თანა ყოველთა და წიგნის კითხვა“ «წ҃ა აღვსებისა წირვაზე»; „თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისა, სიტყუაჲ ნუგეშინისცემისაჲ აღვსებისათჳს და აღდგომისა უფლისაჲ ჩუენისა იესუ ქრისტესთჳს, გ. მ. — რომელნი ხართ ქრისტეს მოყუარენი და მორწმუნენი მიიღეთ კეთილი დღისა ამის კრებაჲ...“ (385v — 387r).

3. მარხვანის ეს ტექსტი იერუსალიმის რედაქციისაა.

მინაწერები: 1. „ნეკრესელი დოსითეოს“ (მხედრული ჩართული დაწერილობით, 387v).

2. ცოდვანი სხვადასხვა: „ამპარტავნება ეს არის თავისი ნათ[ქ]ვამი და ნაქნარი მოსწონდეს, უმსგავსო დიდების მოყვარე იყოს...

არაწმინდება უწმინდოვება. ამისგან გამოვა ნათესავთ აღრევა...“ (388r—v).

3. „ავილე მე, ასაბაშვილმა პეტრემ ასი თუმანი თეთ[რი]“ (ქვ. ყდის r).

(1704) **4963**

სჯულის კანონი. 1757

258 ფ. (516 გვ.); 10,5 × 7,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული, დაზიანებული ხის ყდა; ნუსხური (სათაურები სინგურით); 1757 წ. (გვ. 516); თავკაზმულობიანი (გვ. 445); გადამწერი ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილი (გვ. 421, 516); თბილისი (გვ. 421).

1. „რჯულის კანონი, ახლად თარგმნილი წმიდისა მამისა ჩვენისა ეფთჳმისა(!). — წესი და განგებაჲ და რჩულის კანონი მეექვსისა კრებისა ას სამეოცდარვათა წმიდათა მამათა, რომელნი შეკრბეს კოსტანტინეპოლეს ახალსა რომსა...“ გვ. 1—240.

2. „კანონნი შეცოდებულთანი, აღწერილნი ნეტარისა მამისა ჩ҃ნისჲ იოანეს მიერ კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისჲ, რომელსჲ ეწოდა მმარხველ. — უწყებულ იყვენით, ვითარმედ ესე ნეტარი იოანე მმარხველი უკანასკნელი იყო ყოველთა მათ, რომელთა რჩულის კანონისჲ წესნი დაწერნეს. მეექვსისაცა კრება შემდგომად იყო...“ გვ. 241—387.

შენიშვნები: ამ თავში შესულია: 1. „კანონნი შეცოდებულთანი, განწესებულნი ნეტარისა მამისა ჩ҃ნისჲ იოანე მმარხველისა მიერ კოსტანტინეპოლელ პატრიაქისა. — უკეთუ ვისმე შეემთხჳვნეს ბუნებითნი ცოდვანი, ესე იგი სიძვანი დედათა თანა, გინა თუ ქვრივთა, ანუ მჴევალთა...“ (გვ. 290—387).

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. „წესი, რომელი აღესრულების აღმსარებელსა ზედა თჳსთა ცოდვათათჳს. — პირველად შეიყვანოს იგი მღვდელმან ეკლესიად და დაკრძალნეს კარნი...“ (გვ. 387 — 389).

3. „აწ უკუჱ ვიწყოთ წესთათჳს საეკლესიოთა.— და ვიტყოდეთ მადლითა და შეწევნითა...“ (გვ. 389—409).

4. „უწყებაჲ აღსარებისათჳს. მომყვანებელ იქმნების სულიერი იგი მამა მათი, რომელთაცა რომლისაჲ ერთბამად ჯერ-უჩნდეს აღსარება ცოდვისაჲ ოდენ ანუ მრავალთა წინაშე ხატისაჲ უფლისაჲ ჩუჱნისა იესუ ქრისტესა თავ აჴდილსაჲ. დაიწყებს პ~დ: წმიდაო ღმერთო, მამაო ჩუჱნო, მოვედით თაყვანის ვცეთ გ, და ზედა მიწყალე...“ (გვ. 409 — 421).

3. „შვიდნი მომაკვდინებელნი ცოდვანი და მისგან გამომავალნი ნაყოფნი“. — „შური არს პირველი შვიდთა სასიკვდინეთა ცოდვათაგანი და მისგან გამომავალნი ათნი ნაყოფნი, რომელ წერილ არს შტოთა ზედან. ესე ყოველნი არიან შტო-დანაყოფნი შურისანი...“ გვ. 422 — 432.

შენიშვნა: წარმოდგენილია 7 სქემა ანუ როგორც ტექსტში იწოდება: შვიდთა ცოდვათა «შტო-დანაყოფნი» (გვ. 422 — 428), და შემდგომ მოცემულია თვითოეული მათგანის ვრცელი დახასიათება (გვ. 429 — 432).

4. «სააღსარებო კითხვა-მიგება». — „სა[ა]ღსარებო. აღმსარებელთა კითხვაჲ: ტყუილისათჳს, კაცის მოტყუებაჲ: დაპირდეს და აღარ მისცეს...“ გვ. 433—442.

შენიშვნები: 1. ერთვის: „ლოცვა, შენდობის თავსა ზედა წარიკითხვის. — სახიერმან და კაცთმოყვარემან ღმერთმან ჩვენმან, რომელი ჩვენთჳს კაც იქმნა...“ (გვ. 443—444).

2. ნაწყვეტი «ქართლის ცხოვრებიდან». — „[თ]ორმეტნი მოციქულნი რომ მოვიდნენ მცხეთას დავით კათალიკოზთან, ამას უკან წავიდნენ კახეთს და ზოგი ქართლსა. [კ]ახეთისკენ წავიდნენ: იოანე ზედაძნელი, ანტონი მარტომყოფელი, დავით გარეჯელი, არსენ იყალთოელი, აბიბოს მეკრესელი(!) ამბა ალავერდელი, სტეფანე ქისიყელი (ჭირსელი დიაკონი იყო).

ქართლს წავიდნენ: შიო მღვიმელი, ისო წირკნელი), ისიდორე სამთავნელი, თეთე მამლებელი(!) პიროზ ბერთელი(!), მიქელ ულუმბელი დიაკონი“ (გვ. 444).

5. «სააღსარებო რჯულის კანონი», „სჳმეონ თესალონიკელისა თქმული. — ჯერ-არს მოძღვრისა მიერ, რათა ქონდეს ადგილი განმზადებული, რათა მუნ აღუარებდნენ კაცნი...“ გვ. 445 — 490.

შენიშვნები: „სააღსარებო სჯულის კანონში“ შესულია: 1. კითხვები აღსარების მთქმელის მიმართ ღვთის ათი ბრძანების საწინააღმდეგო მოქმედების ირგვლივ: „ა. პირველის ბრძანების წინააღმდეგნი ესენი: თუ ეჭვი რაჲმე გქონია სარწმუნოებაზე?...“ (გვ. 452 — 464).

2. „ღ~ის ბრძანების გარდა, სხვა ბრძანებაც არიან წ~თა კაცთა მიერ ბრძანებული, მეათე: ა. თუ მღვდელთ კარგის საქციელის მაგიერად ავი საქმე და საქციელი გიჩვენებიან ერის კაცისათვის...“ (გვ. 464—466).

3. „ესენი არიან შვიდნი მომაკვდინებელნი ცოდვანი ნაყოფნი. პირველ ამპარტავნების ნაყოფი უნდა სთქვა: ა. თუ იამპარტავნე; თუ შ~ნი სიკეთე ღვთისაგან კი არა, მაგრამ შენის თავისაგან, შენის ძალისაგან და შენის ღირსებისაგან გგონებია... (გვ. 466—485).

4. „ნიკიფორე კოსტანტინეპოლელისა პატრიაქისა მიერ თქმული. — უკეთუ ალუაროს კაცმან ცოდვანი თჳსნი ყოვლითა სულითა და გულითა მოძლვარსა, მას უჴმს, რათა მსუბუქად მისცეს წამალი წყლულისათჳს...“ (გვ. 485 — 490).

6. „სჯულის კანონი წმიდისჲ დიდისა ვასილისა, რომელთა ეგულების შემოკრება. — მოუდრიკნეს მუჴლნი მოწაფემან მოძლვარსა და თქვას ცრემლითა: ალგიარებ მამაო, ცოდვათა და ბრალთა ჩემთა...“ გვ. 490 — 516.

ანდერძები: 1. „დაიწერა ესე რჩულის კანონი ჴელითა ჩემ ცოდვილისჲ ჩაჩიკაშვილის, მღვდლის ნიკოლოზისათა, ქალაქსა ტფილისისასჲ, მეფობასა ზედა ცხებულისჲ მეფისჲ თეიმურაზისჲ და ძისჲ მისისჲ კახთა მეფისჲ ირაკლისჲ. გევედრები, უფალნო, ვინც მიემთხჳვნეთ ნაშრომსჲ ამას ჩემსა და ცთომილებჲ რაჲმე ნახოთ, ნუ მწყევთ ღვთის სიყვარულისჲ[თჳს]. ვინც ნახოთ, შენდობჲსჲ ყოფდეთ ჩემთჳს, რამეთუ მშრომელი წარვალს და ნაშრომი გიეს. აღესრულა ივნის[ს] ივ, ქორონიკონს ჳმე. ღმერთო, მშვიდობაში მოაჴმარე ნიკოლოზს“ (გვ. 421).

2. „ღვთით განსრულდა რჯულის კანონი, შვიდი მამაკვდინებლები(!), სა[ა]ლსარებო. ღმერთო, მშვიდობაში მაჴმარე ჩაჩიკასშვილს ნიკოლოზს, რომელმან აღვწერე რჯულის კანონი ესე, ამინ“ (გვ. 516).

3. „განრულდა საალსარებო ესე წიგნი თვის სჯულის კანონითა ჴელითჲ ცოდვილის მღვდელ ნიკოლოზისთჲ, თვესჲ სეკდენბერსჲ კდ, ქკს უმე“ (გვ. 516).

შენიშვნები: 1. პირველი ანდერძის გვერდით, ტექსტის ხელით მიწერილია: „აქნამდინ ლარაძის რჯულის კანონზე დამიწერია, ამას აქათ სხვჲ არის“ (გვ. 421).

2. ყდებს შიგნიდან გაკრული აქვს ერთი ფურცელი მხედრულით დაწერილი ლოცვის ტექსტი.

(1705) **4964**

ძლისპირნი და ღმრთისმშობელისანი. XVIII

82 ფ.; 15 × 9,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული, ჭიისაგან შეჭმული მუყაოს ყდა; დაზიანებული (მე-10 ფურცლის ტექსტის დიდი ნაწილი მოხეულია და დაკარგული; ფფ. 1—10 და 74—82 დაზიანებულია ჭიისაგან); ნუსხური (სათაურები და დასაწყისი ასოები მხატვრული მთავრულით, წითელი საღებავით); სძლისპირთა 7 კანონი მთავრდება ორნამენტული ბოლოკაზმულობებით (11r, 21r, 26r, 39r, 42v, 49r, 53r); [XVIII ს.].

1. „სძლისპირნი და ღმრთისმშობელისანი, უგალობდითსაჲ, ჴმაჲ ა. — სასწაულითა იჴსნა ერი უფალმან და ზღუაჲ მღელუარე სიტყჳთ განაჴმო პირუელ...“ 1r — 11r.

2. „სძლისპირნი და ღმრთისმშობელისანი, უგალობდითსაჲ, ჴმაჲ ბ. — ზღჳსა ღელუათა მძჳნვარეთა წიაღ ვლეს დაულტოლველად...“ 11v — 21r.

3. „სძლისპირნი და ღმრთისმშობელისანი, უგალობდითსაი, ჴმაჲ გ. — უქმი ქუეყანა სამკჳდრებელი ზღუათა იხილა მზემან პირუელ...“ 21v — 26r.

4. „სძლისპირნი და ღმრთისმშობელისანი, უგალობდითისაი, ჴმაჲ დ. — იხილუა ჴმელად სიღრმე ღელუათა აღმადუღებელი და განშიშულებულ იქმნა ძირი...“ 26v—39r.

5. „სძლისპირნი და ღმრთისმშობელისანი, უგალობდითისაჲ, ჴმაჲ ე. — ეტლთა სიმრავლე მჴედრებითურთ, ზღვისა მეწამულისა სიღრმესა შთაითხივნეს...“ 39v—42v.

6. „სძლისპირნი და ღმრთისმშობელისანი, უგალობდითისაჲ, ჴმაჲ ვ. — უკუ-ლევლად ზღუაჲ წიაღ-ვლო ისრაჱლმან, ვითარ ვრცელი ქუჱყანა...“ 43r — 49r.

7. „სძლისპირნი და ღმრთისშობელისანი, უგალობდითისაჲ, ჴმაჲ ზ. — წა-მისყოფითა ღმერთო, ბუნებანი, მდინარენი. ზღუდედ აღამაღლენ...“ 49v — 53r.

8. „სძლისპირნი და ღმრთისშობელისანი, უგალობდითისაჲ, ჴმაჲ ჱ. — ეტლ-თა მფლობელი ფარაო დაანთქა საკჳრველთმოქმედმან კუჱრთხმან მოსესმან...“ 53v — 62v.

9. „სძლისპირნი და ღმრთისმშობელისანი, უფალო ღაღადყავისაჲ ზედა, ჴმაჲ ა. — შენ სიტყუაჲ დაუსაბამო, ზეცისა მეუფე, თანასწორი მამისა სიმდაბლით გარდამოჴედ...“ 63r — 64v.

10. „სძლისპირნი და ღმრთისმშობელისანი, უფალო ღაღადყავისაჲ ზედა, ჴმაჲ ბ. — რომელი იქებინ, რომელთაგან ზეცისათა მეუფჱ ჩუჱნი ქრისტე ქერუ-ბინნი გაქებენ...“ 64r — 69r.

11. „სძლისპირნი და ღმრთის მშობელისანი, უფალო ღაღადყავისა ზედა, ჴმაჲ გ. — ქერუბინთა მიერ ქებული, მამისა მიერ მოსრული ზეცით ქუჱყანად, ქალწულისაგან ჩუჱნ გამოგჳბრწყინდა...“ 69v — 70v.

12. „სძლისპირნი და ღმრთისმშობელისანი, უფალო ღაღადყავისაჲ ზედა ჴმაჲ დ. — სამწუხროსა ამას გალობასა და მსხვერპლსა შენდა ქრისტე შევსწირავთ...“ 70v — 72v.

13. „სძლისპირნი და ღმრთისმშობელისანი, უფალო ღაღადყავისა ზედა, ჴმაჲ ე. — რომელი ქებულ ხარ ქერაბინთა მიერ, მეუფჱ ჩ῀ნი ქრისტე...“ 73r — 74v.

14. „სძლისპირნი და ღმრთისმშობელისანი, უფალო ღაღაყავისა ზედა, ჴმაჲ ვ.—ყოველი სასოება მათი დადვეს ცათა შინა საუნჯე წ῀რლი თავთა თჳსთა...“ 74v — 76v.

15. „სძლისპირნი და ღმრთისმშობელისანი, უფალო ღაღადყავისა ზედა, ჴმაჲ ზ. — წიაღნი მამისანი არადაიცალიერნო მოსლვითა შენითა ქვეყნად ქრის-ტე...“ 76v — 77v.

16. „სძლისპირნი და ღმრთისმშობელისანი, უფალო ღაღადყავისა ზედა, ჴმაჲ ჱ. — კრებული უჴორცოთა და ძალნი ცათანი შენ, ღ῀ა ჩ῀ნსა გიგალო-ბენ....“77v — 80v.

შენიშვნები: 1. უკანასკნელ ფურცელზე, სხვა ხელით, მიწერილია ძლისპირები. — „ჴმაჲ ვ, რომელმან განავლო (!) ზღვაჲ მეწამული...„ (81r—v).

წ ყ დ ე ბ ა: „... განბრწყინდა პირი მისი, ვითარცა მზე და კრებულსა საგულის-ხმოსა ზ῀რ სცემდა სასწაულად ხელ...“ (81v).

2. ამავე ხელით 82r-ზე, (რომელიც დაკრულია ქვედა ყდაზე) მიწერილია: „ამა სძლისპირს ბევრი აკლდა, ყოველივე ბრ... (?) ხელოანს ე ს ა ძ ე ს“.

3. საგალობელთა ტექსტებს აქვს სანოტო ნიშნები.

მინაწერები: (მხედრულით): 1. „ამას ძილის პირში არის დასწერილი (!) ოთხას ორმოცდაორი ძილისპირი. ისაკ ბ ე რ ი ა ს შ ვ ი ლ ი ს არის, ვინც წარიღოს, რისხავდეს ღმერთი. ღმერთო შ῀ე“ (82r, ქვედა ყდა).

2. „საბა ნინოწმიდელი მიტროპოლიტი გარდაიცვალა მარტის კ-ს, დღესა ხუთშაფათსა და მოასვენეს გვამი მისი უდაბნოსა ნათლის მცემელისასა, დღესა შაფათსა, ქ~კს უოგ“ [1785] (პირველი ყდისv).

(1706) **4965**

ძლისპირნი და სადღესასწაულო დასდებლები. XIX

164 ფ.; 19,5 × 11,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული, ტვიფრული მუყაოს ყდა; მხედრული (სათაურები და თავი ასოები მთავრული, სინგურით); ხელნაწერი მოხატულია: თავსა და ბოლოში ჯვრის გამოსახულებაა (3v, 163r); ძლისპირთა დასაწყისებში მოთავსებულია ოთხკუთხა ჯვრების (16r, 31r) და ორნამენტული თავ-ბოლოკაზმულობანი (56v, 66v, 68v, 71r, 72r, 75r, 76r-v, 78v, 79r, 80r, 82v, 83v, 109v, 114r, 115r, 119v, 120v, 123v, 126v, 131r, 139r, 149r, 153r, 157v, 162v), ხელნაწერის დაუწერელ გვერდებსა და თავისუფალ კიდეებზე ჩაკრულია ნაბეჭდი გრავიურები: ჯვარცმის (2v, 78v) მახარებლის (1r, 3r), ორნამენტული ფიგურებისა და ყვავილების გამოსახულებებით (2v, 3v, 30v, 42v, 66v, 79r); XIX საუკუნის 10-ანი წწ. (ჭვირნიშანი 1815); გადამწერი დანიელ (162v, 163); დაუწერელია 1v — 3r, 164v.

1. „სძლისპირნი საცისკრონი, ჴმა ა, გალობა ა. — სასწაულითა იხსნა ერი უფალმან და ზღუა მღელვარე სიტყუით განახმო...“ 4r — 15v.

2. „სძლისპირნი საცისკრონი, ჴმაჲ ბ, გალობა ა. — ზღვისა ღელუათა მძვინვარეთა წიაღ ჰდეს დაულტოლველად...“ 16r — 26r.

3. „სძლისპირნი საცისკრონი, ჴმაჲ გ, გალობა ა. — უქმი ქუჱყანა სამკვიდრებელი ზღუათა იხილა მზემან პლ~ი რაჟამს აზღუდნეს ღელუანი...“ 26r — 30v.

4. „სძლისპირნი საცისკრონი, ჴმაჲ დ, გალობა ა. — იხილუა ხმელად სიღრმე ღელუათა აღმადუღებელი და განშიშვლებულ იქმნა ძირი ზღვისა მის...“ 31r—42v.

5. „სძლისპირნი საცისკრონი, ჴმაჲ ე, გალობა ა. — ეტლთა სიმრავლე მჴედრებითურთ ზღუასა მეწამულსა სიღრმესა შთაითხივნეს...“ 42v — 46r.

6. „სძლისპირნი საცისკრონი, ჴმაჲ ვ, გალობა ა. — უკუვლელად ზღუა წიაღ ვლო ისრაილმან, ვითარ ვრცელი ქვეყანა და მდევარი ფარაო იხილნა დანთქმული უფსკრულთაგან...“ 46r — 52v.

7. „სძლისპირნი საცისკრონი, ჴმაჲ ზ, გალობა ა. — უფსკრულთა ზღჳსათა დაანთქა ეტლებითურთ ფარაო შემუსვრელმან ბრძოლათამან...“ 52v — 56v.

8. „სძლისპირნი საცისკრონი, ჴმაჲ ჱ, გალობა ა. — ეტლთა მფლობელი ფარაო დანთქა საკჳრველთმოქმედმან კუჱრთხმან მოსესმან, რომელმან გამოსახა სახე ჯუარისა...“ 57r—66v.

9. „სძლისპირნი სამწუხრონი, უფალო ღაღადყავსა ზედა, ჴმაჲ ა. — შენ, სიტყუა დაუსაბამო, ზეცისა მეუფე, თანასწორი მამისა სიმდაბლით გარდამოხედ და ქალწულისაგან, ვითარც ყრმა იშევ...“ 67r — 68r.

10. „სძლისპირნი სამწუხრონი, უფალო ღაღადყავსა ზედა, ჴმაჲ ბ. — ძალი იქნებინ ძალთაგან ზეცისათა. მეუფე ჩ~ნი ქრისტე ქერაბიმნი გაქებენ...“ 68v — 71r.

11. „სძლისპირნი სამწუხრონი, უფალო ღაღადყავსა ზედა, ჴმაჲ გ. — ქერაბინთა მიერ ქებული, მამისა მიერ მოსრული ზეცით ქუჱყანად ქალწულისაგან გამოგჳბრწყინდა ჩ~ნ...“ 71r — 72r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. „სძლისპირნი სამწუხრონი, უფალო ღაღადყავსა ზედა, ჴმაჲ დ. — ხისა მიერ ადამ შეცთომილი განვარდა სამოთხით...“ 72r — 73v.

13. „სძლისპირნი სამწუხრონი, უფალო ღაღადყავსა ზედა, ჴმაჲ ე. — რომელ ქებულ ხარ ქერაბინთა მიერ, მეუფე ჩ̃ნი ქრისტე ზეცით მამისა მიერ მოხვედ...“ 73v — 74v.

14. „სძლისპირნი სამწუხრონი, უფალო ღაღადყავსა ზედა, ჴმაჲ ვ. — ყოველი სასოება მათი დასდუას ცათა შინა, საუნჯე წარუალი თავთა თჳსთა მოუგეს...“ 75r — v.

15. „სძლისპირი სამწუხრონი, უფალო ღაღადყავსა ზედა, ჴმაჲ ზ. — ამაღლდა ზეცად მხოლოდ შობილი იგი, რომელიცა განუშორებელ იყო მამისაგან...“ 76r—v.

16. „სძლისპირი სამწუხრონი, უფალო ღაღადყავსა ზედა, ჴმაჲ ჱ. — არა დააკლდი საყდართა მამისა თანა ჯდომასა, მოსდრიკენ ქრისტე ცანი და მოხუჱდინ მოძიებად ადამის ნათესავთა...“ 76v—78v.

17. „თთუჱსა ავგისტოსა ვ, რვა ჴმა ფერისცვალებისა, ჴმაჲ ა. — უპირატესი მზისა და მთიებისა. ქრისტე მეუფე, ხორციელად გამოჩნდა და კაცთა შორის აღიზარდა...“ 79r — 80r.

18. „თთუჱსა ავგისტოსა იე, რვა ჴმა ღ̃ისმშობლის მიცუალებისა. — საღთოთა წამისყოფითა ყოვლით კერძო მოციქულნი, ღმერთშემოსილნი დიდებულნი ღრუბლითა აღიტაცნესა...“ 80r — 81r.

19. „თთუჱსა ავგისტოსა კთ, რვა ჴმა ნათლისმცემლისა თავისკუჱთისა. — დღეს უღთოთა სახითა მშობელმან მკვლელობისამან...“ 81v — 82v.

20. „სძლისპირნი ჯუარის თაყუანისცემისანი, ჴმაჲ ა. — წინათვე გამოსახა დიდმან ღ̃ს მხილველმან მოსე ჯუარი შენი, მაცხოვარ, რაჟამს განაპნა წყალნი...“ 82v — 83v.

21. „სძლისპირნი წმიდისა ნიკოლოზისა, ჴმაჲ ა. — დაამტკიცე გული ჩ̃ი ნებასა შენსა ზედა, ქრისტე ღმერთო...“ 83v—86r.

22. „სძლისპირნი სუჱტისცხოველისანი, ჴმაჲ ვ. — დამფარველი სიღრმესა შინა მდევარისა ჰფარავს საკჳრველად სიტყუა მხოლოდ შობილი...“ 86v — 87r.

23. „წმიდასა და დიდსა პარასკევსა ცისკრად აღსავალნი, ჴმაჲ გ. — დამცეს მე საჭმელად ჩემდა ნაღველი და წყურვილსა ჩემსა მასუჱს მე ძმარი...-“ 87v — 112v.

24. „მეზუჱრისა და ფარისეველის კვირის დასდებელი. — ეჰა დ ი დ ე ბ უ ლ ი. — ნუმცა ვილოცავთ ფარისეველებრ, ჵ ძმანო...“ 113r — 114r.

25. „სეკნდებერსა იდ, დასდებელი. ყ̃ლი ს ა ს ო ე ბ ა. — დღეს ჯუარი ამაღლდების და მას ზედა ჯვარცმულისა ქრისტეს ღ̃ისა ვნებათა გალობად მომიწოდს, ჵ მორწმუნენო...“ 115r — v.

26. „დასდებელი ღირსისა დავითისა, ჴმა ვ. — ღრუბლის სახედ აგრილობ სიცხესა უდაბნოისასა, აჰ[ა] შენდამი მომავალთა...“ 116r — 117r.

27. „დასდებელი ნათლისმცემლისა, ჴმა დ. — საშოსაგან უნაყოფოსა იშევ, განმხსნელი უნაყოფოებისა გულთა ჩ̃ნთასა...“ 117r — 118r.

28. [დასდებელნი] „ღ̃თისმეტყუჱლის იოანესი. — შ ე ნ ს ი ტ ყ უ ა ჲ მხოლუჱლმან გამოუთქმელთა მათ ხილუათამან და მეტყუჱლმან ზეცასა ღ̃ისა საიდუმლოთა, ძემან ზებედესმან დაგჳწერა ჩუჱნ ქრისტესი სახარება...“ 119rv.

ეროვნული ბიბლიოთეკა

29. „დასდებელნი იოანე ოქროპირისანი, მჴნეონი. — ოქროვანსა ორღანოსა და სულიერსა ებანსა, უფსკრულსა მას მოძღვრებისასა...“ 119v — 120v.

30. „დასდებელი ტაძრად მიყვანებისა. ეჰა დიდებული. — დღეს განცხრებოდეთ თქუჱნ, მორწმუნენო, გალობით, შესხმითა ვადიდებდეთ ქრისტესა...“ 120v — 123v.

31. „ნათლისღების დასდებელი, სასოწარკვეთილ. — განმანათლებელი ჩუჱნი, რომელმან განამღთო კაცება, აცხოვნა კაცი...“ 123v — 125r.

32. „ღმრთისმშობლის მიცვალებისა, ეჰა დიდებული. — ეჰა, დიდებული საკვირველი წყარო ცხოვრებისა საფლავსა დაიდების...“ 125r — 126v.

33. „დასდებელი აღდგომისა, ჴმა ა. — სამწუხრონი ლოცვანი ჩუჱნნი შეიწირენ წმიდაო უფალო...“ 127r — 131r.

34. „დასდებელი შაბათს მწუხრად, ჴმაჲ **ბ**. — პირუჱლ საუკუნეთა მამისაგან შობილსა ღ~სა სიტყუასა განხორციელებულსა ქალწულისა მარიამისაგან...“ 131v — 139r.

35. „დასდებელი აღდგომისა, ჴმაჲ **დ**. — ცხოველსმყოფელსა ჯუარსა შენსა დაუცხრომელად თაყუანის ვცემთ...“ 139v — 162r.

ანდერძი: „აღვასრულე წიგნი ესე, აწ გევედრებით, რომელიცა შე[ე]მთხვივნეთ მცირესა ამას წიგნსა, ნუ ჴვებულ მყოფთ მოხსენებისაგან თქუჱნისა. დანიელ“ (162v).

მინაწერი: „ალამამადხან რომ მოვიდა, იყო ქ~კნი უჵგ“ (164r).

(1707) **4966**

სადღესასწაულო. 1786

118 ფ.; 19,5 × 16,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; ხელნაწერს აქვს რვეულებრივი ანბანური პაგინაცია (შეიცავს 17 რვეულს, უკანასკნელი 3 ფურცლიანია); ნაკლული (აკლია III რვეულს 4 ფურცელი, V-ს 4 ფურცელი, VI-ს 6 ფურცელი); ნუსხური (სათაურები სინგურით); 1786 წ. (117v); გადამწერი ანდრია დიაკონი (117v).

[სადღესასწაულო] 1. „თუჱსა დეკენბერსა **დ**. წმიდისა მოწამისა ბარბარაჲსი და წმიდისა მამისა ჩნ~ისა იოანე დამასკელისა. მწუხრი, უქცევთ **გ** მუჴლთა ზედა, ჴმაჲ **ბ**, მამისაგან შობ[ილი]. — რაჟამს იხილა სამსჯავროსა მას საშინელსა ივლია მოწამე ბარბარა...“ 1r — 3r.

2. „თ~ა დეკენბერსა **ე**. წმიდისა მამისა ჩნ~ისა საბასი, მწუხრი, შემდგომად ფს~ნებისა უქცევთ **გ** მუჴლთა ზედა, უფალო ღაღატყავსა ვიტყჳთ. ა გ~-სა, თჳთი. — საბა ნეტარო...“ 3r — 4v.

3. „თ~ა დეკენბერსა **ვ**. წმიდისა მამისა ჩნ~ისა ნიკოლოზ მირონ ლუკიისა ეფისკოპოზისა, მწუხრი, უფალო ღაღატყავსა, უქცევთ ათთა მუჴლთა ზედა და ვიტყჳთ სამთა **ბ-ბ**-ჯერ, ჴმაჲ **ბ**, მამისაგან შობილი. — მირონ ქალაქსა დაემკჳდრე...“ 4v — 6v.

4. „თ~ა დეკენბერსა **თ**. მუცლად-ღებაჲ ანნასი, მწუხრი, შემდგომად ფსალმუნებისა, უქცევთ **გ** მუჴლთა ზედა, ჴმაჲ **დ**, რაჟამს მოწყალე. — რომელი მყოფ არს მაღალთა შინა...“ 6v — 7v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. „თ͠ა დეკენბერსა **იბ**. წმიდისა და საკჳრველთმოქმედისა სფირიდონისა, უქცევთ **ვ** მუჴლთა, ზეცისაგან. — სულისა ბრწყინვალებისა…“ 7v — 9r.

6. „თ͠ა დეკენბერსა **იგ**. წმიდათა მოწამეთა ევსტრატი, ავქსენტი, ევგენი, მარდარი და ორესტისი და წმიდისა ქალწულ მოწამისა ლუკიასი, მწუხრი, შემდგომად ფსალმუნებისა უქცევთ **ვ** მუჴლთა ზედა და ვიტყჳთ დასდებელთა წმიდისათა უფალო ღაღატყავსჲ, ჴმაჲ **ა**, მზისა უწინარეს. — საკჳრველი ევსტრატი დღეს ღვაწლით შემოსილი…“ 9r — 13r.

7. „თ͠ა დეკენბერსა **იზ**. წმიდისა წინასწარმეტყუჱლისა დანიელისი და წმიდათა სამთა ყრმათა, მწუხრი, შემდგომად ფსალმუნებისა უქცევთ **ვ** მუჴლთა ზედა და ვიტყჳთ ჴმაჲ **დ**, მჴ͠ნნი. — დანიელ ღმერთშემოსილმან გული უბიწო მოიგო…“ 13r — 16r.

8. „თ͠ა დეკენბერსა **კ**. წინადღე ქრისტეს შობისა და წმიდისა მღდელ-მოწამისა ეგნატისი, მწუხრი, უქცევთ **ვ** მუჴლთა ზედა და ვიტყჳთ ამათ დასდებელთა თითოჯერ, **ბ** გ͠ი. ანგელოზთა დღეს. — რომელი პირველ მზისა იშვა მამისაგან, აწ ქალწულისა დედისაგან იშუჱბის მზე…“ 16r — 19r.

9. „თ͠ა დეკენბერსა **კა**. წინა დღე ქრისტეს შობისა. **ვ** მუჴლსა, ო͠ო ღაღადყავსა **ბ** გ͠ი. ანგელოზთა დღეს. — დღესასწაულობს ყოველი დაბადებული და ზეცისანი…“ 19r — 20r.

10. „თ͠ა დეკენბერსა **კგ**. წინადღე ქრისტეს შობისა. მწუხრი შემდგომად ფსალმუნებისა. უქცევთ **ვ** მუჴლთა ზედა და ვიტყჳთ ამათ დასდებელთა. ანგელოზთა დღეს. — აჰა ესერა კრავი უფლისა, ამღებელი სოფლისა…“ 20r — 21v.

11. „თ͠ა დეკენბერსა **კგ**. წინადღე ქრისტეს შობისა, უქცევთ **ვ** [მუ]ჴლთა ზედა, უფალო ღაღატყავსჲ, ჴმაჲ **გ** გ͠ი, ანგელოზთა დღეს. — ნებსით მოსდრიკენ ცანი და გარდამოხედ…“ 21v — 23v.

12. „თ͠ა დეკენბერსა **კდ**. წინადღე ქრისტესშობისა, უფალო ღაღატყავსჲ, უქცევთ **ვ** მუჴლთა ზედა, და ვიტყჳთ ამათ დასდებელთა, ჴმაჲ **ა**. — ეჰა დიდებული საკჳრველი, რამეთუ მეუფჱ ყოველთა…“ 23v — 27r.

13. „თ͠სა დეკენბერსა **კე**. ჴორციელი შობაჲ უფლისაჲ ღ͠ჲ და მაცხოვრისა ჩ͠ნისა იესუ ქრისტესი. წმიდისა ქალწულისა მარიამისგან უწყებაჲ. — ვითარმედ უკეთუ დაემთხჳოს ქრისტეს შობა კჳრიაკესა, არა რაჲ ითქმის აღდგომისა, არცა სახარებაჲ ცისკრისა…“ 27v — 32r.

14. „თ͠ა დეკენბერსა **კზ**. წმიდისა პირველმოწამისა სტეფანესი, მწუხრი, უფალო ღაღატყავსჲ, უქცევთ ექუსთა მუჴლთა ზედა და ვიტყჳთ პირველად სამთა დღესასწაულისათა, ჴმაჲ **ა**. შეუნდვენ სიტყ͠ჲ. — მოდით და მივიწინეთ ყოველნი დღეს ბეთლემს…“ 32r — 34r.

15. „თ͠ა იანვარსა **ა**. წინადაცუჱთა უფლისაჲ ჩ͠ნისა იესუ ქრისტესი და ხსენება წმიდისა მამისა ჩ͠ნისა დიდისა ვასილისა, მწუხრად, უფალო ღაღატყავსჲ უქცევთ **ჳ** მუჴლთა ზედა და ვიტყჳთ პირველად ორთა გერთა დღესასწაულისათა **ბ-ბ** ჯერ…“ 34r — 37r.

16. „თ͠ა იანვარსა **ბ**. წინადღე განცხადებისა, მწუხრად, შემდგომად ფსალმუნებისა, უქცევთ **ვ** მუჴლთა ზედა და ვიტყჳთ. ამათ დასდებელთა ჴმაჲ **ა**, შ͠ნ სიტყუა. — მზისა მის სიმრთელისა…“ 37r — 38v.

17. „თ~სა იანვარსა **გ**, წინადღე განცხადებისა, მწუხრი, შემდგომად ფსალმუნებისა [უ]ქცევთ **ვ** მუჳლთა ზედა [დ]ა ვიტყჳთ ამათ დასდებელთა **ვ**, ანგელოზთა დღეს **ბ**-ჯერ. — დღეს საიდუმლოდ იშუჵბდინცა...“ 38v — 39v.

18. „თ~ა იანვარსა **დ**. წინადღე განცხადებისა. მწუხრი, შემდგომად ფ~სნბისა უქცევთ **ვ** მუჳლთა ზედა, ჴ~ჲ ა, ზეცისა განწ~ე. — ზეცისა უსხ~ულონი განკჳრვებულ იქმნნეს...“ 39v — 42v.

19. „თ~ა იანვარსა **ე**, წინადღე განცხადებისა, წესი ჟამთა ლოცჳსა, ვითარცა ქრისტეს შ~ბაჲსა, წერილ არს ეგრეთვე. დარეკონ ძელსა და იწყონ: მ~ღნ კ~ხრსი, მეუფეო ზეცათაო. წ~ო ღ~თო ჩ~ნო, რამეთუ შენი არს, ო~ო შენ, **იბ**. მოვედით თ~ყნსვცეთ სიტყ~ნი ჩ~მნი და ვ~ე(!) გჳრგჳნოსან მყუჱნ ჩ~ნ. — ვიდრემდის დამივიწყებ მე სრულიად, ვიდრემდის გარე მიიქცევ...“ 42v — 45v.

20. „თ~ა იანვარსა **ვ**, განგება და ნათლისღებაჲ ო~ჲ ჩ~ნისა ი~ჳ ქ~სა. მწუხრისასა ვრეკთ, მეათესა ჟამსა და შევჰკრბებით და ვიწყებთ მწუხრისასა და ვიტყჳთ ო~ ღ~ყა, **ბ** ჴმაჲ, აქცევთ ათთა მუჳლთა ზედა, ორთა **გ-გ**-ჯერ და ორთა **ბ-ბ**-ჯერ და წარვალს მღდელი და ჰყოფს დაგებასა. ხოლო უკეთუ კ~კსა მიჰხუდეს, არა რაჲ ითქმის აღდგომისა, ო~ო ღაღადყავ, ჴ~ჲ **ბ**. — განმანათლებელი ჩ~ნი, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა...“ 45v — 50r.

21. „თ~ა იანვარსა **ზ**, წ~ისა წ~წყლისა, წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოანესი. ამასვე დღესა წ~ისა მოწამისა აბო ქართველისა, ტფილისის ქალაქსა შინა წამებულისა. უქმი, ჴსნილი თევზითა. მწუხრი, არა ვფსალმუნებთ, არამედ მეყსეულად აღჳღებთ, ო~ო ღ~ყჲ **ბ**, ჴ~ჲ ა, და ვიტყჳთ პირველად დღესასწაულისათა განმანათლებელი ჩ~ნი, და ორთა მყ~სთა მისთა და ზედა ესენი, ჴ~ჲ ა, ჩ~ნ მიერ. — წინამორბედმან რაჲ გიხილა ნათლისღებად მისა მიმავალი...“ 50r — 52v.

22. „თ~ა იანვარსა **ი**, წ~ისა მამისა ჩ~ნისა გრიგოლი ნოსელისა და წ~ისა მარკიანე იკონომოსისა. ო~ო ღ~ყა. სამნი დღესასწაულისანი და სამნი წ~თნი. ჴ~ჲ ა. წ~ნო მარ[ტ]ჳლნო. — მამაო გრიგოლი, საფლავმან რომელ არს მიზეზი დავიწყებისა...“ 52v — 53v.

23. „თ~ა იანვარსა **ია**, წ~ისა და ნეტარისა მამისა ჩ~ნისა თეოდოსისი, უქმი, ო~ო ღ~ყჲ, სამნი დღესასწაულისნი და სამნი ესე **ბ-ბ**-ჯერ. ა გ~ი. სბჲ(?) ნეტარო. — ღირსო მამაო ღ~თ-შემოსილო თევდოს, დიდად ი~ღწე საწუთროსა ამას...“ 53v — 54v.

24. „თ~ა იანვარსა **იდ**, წ~ისა დედისა ჩ~ნისა ნინო მოციქულისა. უქმი, ო~ო ღ~ყჲ, ჴ~ჲ **დ**, მჴნეონი. — აღზრდილი უბიწოებით მტკიცედ სარწმუნოებითა, მოძღუარი ქართლისა სანატრელი ნინო...“ 55r — 56v.

25. „თ~ა იანვარსა **იე**, თაყუანისცემა პატიოსანთა ჯაჭუთა პეტრე მოციქულისა. მწუხრი ო~ ღ~ყჲ, ჴ~ჲ **ბ**, მამისგან შობილი. — მოდით შემოვკრბეთ მორწმუნენო და გალობით შევასხმიდეთ ნეტარსა პეტრეს... 56v — 58 r.

26. თ~ა იანვარსა **იზ**, წ~ისა მამისა ჩ~ნისა ღ~თ შემოსილისა დიდისა ანტონისი. უქმი, აღვასრულებთ ღამისთევასა. მწუხრი, შ~დ აკ~ხვისასა ნეტარ

არს კაცი. თა ო˜ ღ˜ყჲ. უქცევთ რვა მუჴლთა ზედა ა-ბ-ჯერ. მჴნეონნი. — მოღუაწებისა კუერთხითა განაპე სიღრმე ვნებათა და გზა უყავ მონაზონებისა ალაგთა... 58r—60r.

27. „თ˜ა იანვარსა იჱ, წ˜ისა მამისა ჩ˜ნისა ათანასი დიდისა, მწუხ-რი, უქცევთ ვ მუჴლთა ზედა და ვიტყჳთ დასდებულთა. მჴნეონნი.—სწავლათა შენთა ელვამან უკუდავებისა ყუავილნი, ათანასი ნეტარო, აღმოაცენა...“ 60r—61r.

28. „თ˜ა იანვარსა კ, წ˜ისა მამისა ჩ˜ნისა დიდისა ეფთჳმისი. უკე-თუ ენებას წინამძღუარსა იქმ[ნ]ების ღამისთევა, უკეთუ არა, ჩუეულებისაებრ. მწუხრი, ვიტყჳთ კანონსა, და ო˜ ღ˜ყჲ, უქცევთ რვათა მჴლთა ზედა. ჴ˜ჲ ა, წ˜ნო მარტჳლნო.—მამაო ეფთჳმი, შობასა შენსა მოივლინა ანგელოზი მაუ-წყებელად, ვითარცა პირველად...“ 61r—62v.

29. „თ˜ა იანვარსა კა, წ˜ისა მაქსიმე აღმსარებლისა და წ˜ისა ნეოფიტე მონაზონისა. ო˜ო ღ˜ყჲ ჴ˜ჲ ა. წ˜ნო მარტჳლნო.—მართალო მაქსიმე, ღირსო, სარწმუნოებისათჳს მოღუაწეო...“ 62v—63v.

30. „თ˜ა იანვარსა კე. წ˜ისა მამისა ჩ˜ნისა გრიგოლი ღ˜ისმეტყუე-ლისა. უქმი, მწუხრი. ო˜ო ღ˜ყჲ. უქცევთ რვა მუჴლთა ზედა, ჴ˜ჲ ა გ˜ი, გხნ˜ნი,—გიხაროდენ, ღირსო, წყაროო ღ˜ისმეტ˜ყლებისო...“ 63v—65v.

31. „თ˜ა იანვარსა კზ, აღმოყუანებაჲ ნაწილთა წ˜ისა იოანე ოქროპირისათა. უქმი, ო˜ო ღ˜ყჲ ჴ˜ჲ დ, მჴნეონი. — ოქროსა უბრწყინვა-ლესად სწავლითა და მოძღრებითა (!) შენითა, ყოვლად ბრძენო ოქროპირო...“ 65v—67v.

32. „თ˜ა ფებერვალსა ა, წინა დღე მიგებებისა ღ˜ჲ ჩ˜ნისა და წ˜ისა მოწამისა ტჳრიფონისი, ო˜ო ღ˜ყჲ, ჴ˜ჲ დ, მჴნეონი ბ-ბ-ჯერ. — აჩრდილი უჩინო იქმნეს და სახენი თანა წარგუჴდეს, რამეთუ ქრისტე ჭეშმარიტებაჲ გამობრწყინდა...“ 67v—68v.

33. „თ˜ა ფებერვალსა ბ, მიგებებაჲ ო˜ჲ ჩ˜ნისა ი˜ჳ ქრის-ტესი. უქმი ყ˜თა. ჴსნილი თევზითა და ღჳნითა, უკეთუ არა იყოს მარხვა. ხოლო უკეთუ დაემთხჳვნეს კ˜კენი, უწინარეს ყოველთავე აღდგომისა ითქმის. ხოლო უკეთუ სხუასა დღესა, ვფსალმუნებთ პირველსა ფსალმუნსა: „ნეტარ არს კაცსა“ და ო˜ო ღ˜ყსა, უქცევთ მუჴლთა ზედა ჱ და ვიტყჳთ დასდებელთა ა ჴ˜ისთა. ნათელი, ნათელი—ოთხნივე ბ-ბ-ჯერ.—ნათელი ნათლისაგან მოვლინებული, ქალწულისაგან შობილი ცათა მეუფჱ...“ 68v—71v.

34. „თ˜ა ფებერვალსა ჱ. წ˜ისა დიდისა მოწამისა თეოდორე სტრა-ტილატისა. უ˜ო ღ˜ყჲ. სამნი დღის˜სლნი და სამნი ესე. ჴ˜ჲ ა. შენ სიტ-ყუაჲ.—ღ˜ის მსახურებისა სიმჴნე და დიდებაჲ დიდი მოიგე, ახოვანო, ღ˜წლითა მით...“ 71v—72v.

35. „თ˜ა ფებერვალსა კდ, პოვნა პატიოსნისა თავისა წ˜ისა და დიდებულისა იოანე ნათლისმცემლისა. უქმი, ხოლო უკეთუ მარხვა იყოს, მარხვა ყოვლად და საღამოს ღჳნო და ზეთი. უკეთუ მარხვანი იყ˜ნნ, მწუხრი. ო˜ო ღ˜ყჲ ვიტყჳთ სტიქარონსა დღისასა და ერთსა წ˜თასა და ძე-ლის(!) პირიანითა—დღისათა, მერმე ნათლის მცემლისათა. ჴ˜ჲ ა გ˜ი.—გ˜ხნ თაო შუენიერო ბრწყინვალეო ანგელოზთაგან...“ 72v—74r.

36. „თ͠ა მარტსა **თ**, წ͠თა ორმეოცთა მოწამეთა, რომელნი იწამნეს სევასტიას, უქმი, მარხვა ყოვლადვე თჳნიერ შაბათ-კჳრისა. მწუხრი. ო͠ო ღ͠ყჲ, პირველად გერი დღისა და მერმე ძილისპირიანნი მარხუათანივე და წმიდათა ორმეოცთანი. ჴ͠ჲ **დ**. მჴნეონი.—ახოვანთა ორმეოცთა ყუავილთა მათ შუჱნიერთა, სუნნელ მყოფელთა ყოვლისა სახლისა...“ 74r—75v.

37. „თ͠ა მარტსა **კდ**, წინა დღე ხარებისა ყოვლად წ͠ისა ღ͠ის მშობელისა, მწუხრი, ო͠ო ღყ͠ჲ, გერი დღისა და სამნი ძილისპირიანნი მარხუათანივე და წინა დღისანი. ჴ͠ჲ **დ**, მჴნეონნი.— დაფარული საიდუმალო ანგელოზთა უცნაური აწ ერწმუნა...“ 75v—76v.

38. „თ͠ა მარტსა **კე**, ხარება, უფროსად კურთხეულისა დიდებულისა დედოფლისა ჩუჱნისა ღ͠ისმშობლისა მარიამისა. უქმი, ჴსნილი თევზითა, მწუხრი, ო͠ო ღ͠ყჲ, უქცევთ ათთა მუჴლთა ზედა, და პირველად ვიტყჳთ გერსა დღისასა **ბ**-გზის, და მერმე დღისათავე ძილისპირიანთა. ამისა შემდგომად დღესასწაულისათა **ბ-ბ**-გზის. ჴ͠ჲ **ბ** გ͠ი. ყოველი სასოებაჲ.— წინა საუკუნეთა განზრახჳსა განცხადებად გაბრიილ მოივლინა...“ 76v—78v.

39. „თ͠ა აპრილისა **კგ**, წ͠ისა დიდებულისა მთავარმოწამისა გიორგისი. უქმი, ჴსნილი ღჳნითა და ზეთითა, უქცევთ **ჱ** მუჴლთა ზედა და ვიტყჳთ დასდებელთა ამათ **ბ-ბ**-ჯერ. ჴ͠ჲ **დ**, მჴნეონი.—მჴნეო შორის მოწამეთა ღ͠წლისა მძლეო გიორგი, დღეს ყოველნი შემოკრებულნი გიგალობთ...“ 78v—80v.

40. „თ͠ა აპრილსა **კე**, წ͠ისა მოციქულისა და მახარებლისა მარკოზისი. უქმი. ო͠ო ღ͠ყჲ, ჴ͠ჲ **ა**, წ͠ნო მარტჳლნო.—ეჰა, მარკოზ წ͠ო, სადაიგი პირველ განმრავლდა ულთოებაჲ, შენ უქადაგე ეგჳპტისა მყოფთა ქრისტეს სახარებაჲ...“ 80v—81v.

41. „თ͠ა აპრილსა **ლ**, წმიდისა მოციქულისა იაკობ, ძმისა წ͠ისა იოანე მახარებელისა. ო͠ო ღ͠ყჲ. სამნი ზატიკთაგან და სამნი წ͠ისნი. ჴ͠ჲ **დ**. მჴნეონნი. — კალმითა მით მადლისათა უფსკრულით ულთოებისათ კაცნი აღმოიყუანენ...“ 81v—82v.

42. „თ͠ა მაისსა **ზ**, გამოჩინებაჲ პატიოსნისა ჯუარისა და ჴსენებაჲ წმიდისა მამისა იოანე ზედაძნელისა. უქმი ყოველთა. ო͠ო ღყ͠ჲ. სამნი ზატიკთა და ესე ჴ͠ჲ **დ**. მჴნეონნი.—ვლაღადებდეთ და ვგალობდეთ ჴ͠ითა ტკბილითა სღთოთა...“ 82v—84v.

43. „თ͠ა მაისსა **ჱ**, წ͠ისა მოციქულისა და მახარებლისა იოანე ღ͠თისმეტყუჱლისა. უქმი, ო͠ო ღყ͠ჲ. სამნი ზატიკთა და ესენი. ჵ სასწაული **ბ-ბ**-ჯერ.—ჵ, სანატრელო იოანე, მოიგე შენ მჴურვალე ქრისტეს მიმართ სიყვარული...“ 84v—85v.

44. „თ͠ა მაისსა კა, წ͠თა მეფეთა, მოციქულთა სწორთა, კოსტანტინე და ელენესი. მწუხრი, ო͠ო ღ͠ყჲ. პირველად ზატიკთა და შემდგომად წმიდათა.—მოგიცემიეს: მოეც მეფესა ჩ͠ნსა ქრისტე საჭურველად ძლევისა ჯუარი შენი უძლეველი...“ 85v—87r.

45. „თ͠ა მაისსა **კდ**, ღირსისა მამისა ჩუჱნისა სვიმეონ საკჳრველთმოქმედისა, მთისა საკჳრველისა. უქმი, მწუხრი. ო͠ო ღ͠ყჲ ჴ͠ჲ **ა**, ზე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ც ი ს ა გ ა წ ე ს ე ბ. **ა-ბ** გზის.—ზეშთა კაცთა ბუნებისა საკჳრველთ-მოქმედსა დიდებულსა სვიმეონს...“ 87r—88r.

46. „თ~ა ივნისსა **ია** , წ~თა მოციქულთა ბ ა რ თ ლ ო მ ე ს ი და ბ ა რ ნ ა ბ ა ს ი. ო~ო ღ~ყჲ, ჴ~ჲ **დ**. მ ჳ ნ ე ო ნ ი.—ბადითა მოძღურებისათა ღ~ისმეტყუელო მოციქულო სიღრმეთაგან ბნელისათა აღმოიყუანენ...“ 88r—89v.

47. „თ~ა ივნისსა **კდ**, შ ო ბ ა ჲ წ~ ი ს ა ნ ა თ ლ ი ს მ ც ე მ ლ ი ს ა. უქმი ყოველთა. მწუხრი ღამის თევისა. შემდგომად აკ~ხვსისა, „ნეტარ არს კაცი.“ ო~ო ღყ~ჲ, უქცევთ **ჱ** მუჴლთა და ვიტყჳთ დასდებელთა **დ** მ ჳ ნ ე ო ნ თ ა ზედა. პირველი **ბ**-გზის.—დაუსაბამოსა ღ~ჲ სიტყჳსა მჴადაგებელსა. დასაბამსა სოფლისა“... 89v—92v.

48. „თ~ა ივნისსა **კთ**, წ~თა და ყოვლად ქებულთა თავთა მოციქულთა პ ე ტ რ ე ს ი და პ ა ვ ლ ე ს ი. მწუხრი, „ნეტარ არს კაცი“. ო~ო ღ~ყჲ ვიტყჳთ **ჱ** მუჴლთა ზედა და ვიტყჳთ: „ეჵა გჳრგჳნთა სამთა“ **ბ-ბ**-ჯერ და ორთა სხუათა—თითოჯერ. უკეთუ კჳრიაკე დახუდეს, პირუელად აღდგომისა ითქმის და მერმე ესე **ბ-ბ**-ჯერ. ჴ~ჲ **ბ**, უქმი.—ეჵა გჳრგჳნნო ქებისანო, შემკობილნო თქუენ პეტრე და პავლე...“ 92v—95r.

49. „თ~ა ივნისსა **ლ**, კრებაჲ წმიდათა დიდებულთა და ყოვლად ქებულთა ა თ ო რ მ ე ტ თ ა მ ო ც ი ქ უ ლ თ ა. მწუხრი, ო~ო ღყჲ. სამნი პეტრესი და პავლესნი და სამნი ესე, **დ** მ ჳ ნ ე ო ნ ი.—ვითარცა თუალით მხილველთა და მოწაფეთა სიტყჳსა განჴორციელებისათა გნატრით ღირსნო...“ 95r—96v.

50. „თ~ა ივლისსა **ბ**, დიდებაჲ პ ა ტ ი ო ს ნ ი ს ა ს ა რ ტ ყ ლ ი ს ა ყოვლად წ~ისა ღ~ისმშობლისა ვლაექერნას. მწუხრი, ო~ო ღ~ყჲ, ჴმაჲ **დ**, მ ჳ ნ ე ო ნ ი.—ქალაქსა მგალობელსა და ჯეროვნად მადიდებელსა შენსა... 96v—97v.

51. „თ~ა ივლისსა **ჱ**, წ~ისა და დიდებულისა დიდისა მ ო წ ა მ ი ს ა პ რ ო კ ო პ ი ს ა. მწუხრი. ო~ო ღყ~ჲ, ჴმაჲ **დ**. მ ჳ ნ ე ო ნ ი.—ქრისტეს მეუფისა მიერ, ვითარცა მოციქულისა ზეცით იქმნა...“ 97v—99r.

52. „თ~ა ივლისსა **კ**, წ~ისა წ ი ნ ა ს წ ა რ მ ე ტ ყ ვ ე ლ ი ს ა ე ლ ი ა ს ი. უქმი, ღჳნო და ზეთი ორგზის. ო~ო ღ~ყჲ, ჴ~ჲ **ა**, შ ე ნ ს ი ტ ყ უ ა ჲ.—შენ, რომელმან ელია თეზბიტელი ქუეყნით ცეცხლისა ეტლითა მით...“ 99r—102r.

53. „თ~ა ივლისსა **კზ**, წ~ისა დიდებულისა მ ო წ ა მ ი ს ა პ ა ნ ტ ე ლ ე ი მ ო ნ ი ს ი. ო~ო ღ~ყჲ, ჴ~ჲ **დ**, მ ჳ ნ ე ო ნ ნ ი.—სულისა მიერ წმიდისა აღვსებით იქმენ, ნეტარო დიდებულო...“ 102r—103v.

54. „თ~ა აგჳსტოსა **ა**, გ ა მ ო ჩ ი ნ ე ბ ა ჲ პ ა ტ ი ო ს ნ ი ს ა ც ხ ო ვ ე ლ ს მ ყ ო ფ ლ ი ს ა ჯ უ ა რ ი ს ა და ჴ ს ე ნ ე ბ ა ჲ შ ჳ დ თ ა ძ მ ა თ ა მ ო [წ] ა მ ე თ ა მ ა კ ა ბ ე ლ თ ა და დედისა მათისა სოლომონიდოსი და მოძღვრისა მათისა სოლომონიდოსი. უწყოდეთ, ვითარმედ [ა]ქა ვიწყებთ მარხვასა წ~ისა ღ~ისმშობელისასა. მწუხრი, ო~ო ღყ~ჲ, ჴ~ჲ **ა**, შ ე ნ ს ი ტ ყ უ ა ჲ.—შჳდნო სუეტნო ბრწყინვალენო ღ~ჲ სიბრძნისანო და სოთაჲსა ნათლისა (!)...“ 103v—105r.

55. „თ~ა აგჳსტოსა **ე**, წ ი ნ ა დ ღ ე ფ ე რ ი ს ც ვ ა ლ ე ბ ი ს ა, ო~ო ღყ~ჲ, ჴ~ჲ **ა**, შ ე ნ ს ი ტ ყ უ ა ჲ **ბ-ბ**-ჯერ.—ყოვლად განათლებულისა ფერისცვალებისა წინა დღით ვგალობდეთ...“ 105r—106r.

56. თ~ა აგჳსტოსა **ვ**, ფ ე რ ი ს ც ვ ა ლ ე ბ ა ჲ ო~ჲ ჩუენისა ი~ჳ ქ რ ი ს ტ ე ს ი, უქმი, ჴსნილი თევზითა. ხოლო ო~ო ღ~ყჲ ვიტყჳთ, ჴ~ჲ **დ** გ~ი, და უქცევთ **ჱ**

მუჴლთა ზედა, და **ბ-ბ-**ჯერ ვიტყჳთ **დ** გერთა. **დ** გ̃ი. — პირუჱლ ჯუარცმისა შენისა ო̃ მთა ცათა მობაძავი ღრუბლისა ტალავარითა შეამკუჱ შენსა ფერის ცვალებასა...“ 106r—109r.

57. „თ̃ა აგჳსტოსა **იდ**, წინადღე წმიდისა ღ̃ისმშობლისა მიცვალებისა. ო̃ო ღ̃ყჲ **დ**. მჴნეონი **ბ-ბ-**ჯერ. — წინავდღესასწაულობდეთ და სიხარულით ვგალობდეთ დაძინებასა წ̃ისა დედოფლისასა...“ 109r — 110v.

58. „თ̃ა აგჳსტოსა **იე**, მიცვალებაჲ ღ̃ის მშობლისა. უქმი, ჴსნილი თევზითა, ხოლო ღამისთევად ვფსალმუნებთ „ნეტარ არს კაცსა“. ო̃ო ღ̃ყჲ უქცევთ ჱ ჴ̃ლთა[!მუჴლთა] ზედა და ვიტყჳთ: ეჵა დიდებული, ჴ̃ჲ ა. — ეჵა დიდებული, საკჳრველი წყარო ცხოვრებისა საფლავსა დაიდების...“ 110v — 113r.

59. „თ̃ა აგჳსტოსა **კთ**, თავის კუჱთა წმიდისა და დიდებულისა წინასწარმეტყუჱლისა, წინამორბედისა და ნათლისმცემლისა იოანესი. უქმი, ყოველთა ზედა მარხვა, ხოლო უკეთუ შაბათ-კჳრიაკე გინა სამშაბათ-ხუთშაბათი დახუდეს, ზეთი და ღჳნო ორ-გზის, და სხუათა დღეთა ერთ-გზის ვისერებთ უღჳნოდ. მწუხრი ღამისთევასა. ვფსალმუნებთ პირველსა ფსალმუნსა „ნეტარ არს კაცსა“. ო̃ო ღ̃ყჲ უქცევთ რვათა მუჴლთა ზედა და ვიტყჳთ დასდებელთა ამათ გერთა. ჴ̃ჲ **ბ** გ̃ი. — შობანი რაჲ აღესრულებოდეს უსახურისა იროდიასნი, ლირწისა მროკველისა, სრულ იქმნებოდა...“ 113r — 116r.

60. „თ̃ა აგჳსტოსა **ლა**, დადება სარტყლისა ყოვლად წ̃ისა ღ̃ისმშობლისა ხილკჳპატრიას. ო̃ო ღყ̃ჲ სათუჱო, ჴ̃ჲ **დ**, მჴნეონი. — ტაძარი (!) ესე, რომელსა შინა მდებარე არს წმიდაჲ და უბიწო სარტყელი შენი...“ 116r—117v.

შენიშვნა: სადღესასწაულოს ეს ნუსხა ძირითადად მისდევს A-151-ს.

ანდერძი: „მე, ცოდვილმან ანდრია დიაკონმან აღესწერე (!) თვენი ესე სულისა ჩემისა საოხად, თუ რა გონების უძლურებით წაბღალული და ნაკლები იყოს, ვინც აღმოიკითხოთ, ნუ მწყევთ, ღ̃ის გულისათჳს. ნოენბრის ოცდახუთს. ქკ̃ს **უოდ**“ [1786] (117v).

მინაწერი: „ნეტარად სახსოვარი, ღ̃ისა შორის განსვენებული მეფე ირაკლი დაიბადა **ჩღივ**, შემდგომად აღზრდისა თვისისა მიიღო მეფობა საქართველოზე **ჩღმდ** წელსა, 1744. ევგენი აბაშიძე“ (118r).

4967

დაუჯდომელი. დაკარგული ყოფილა ძველადვე.

(1708)

4968

„გეოგრაფიული ლექსიკონი ახლისა აღთქმისა“. XIX

(ფრაგმენტი)

25 ფ.; 22,5 × 17; ქაღალდი; უყდო; მხედრული (უწიგნური **ხელით**); თარგმნილი რუსული ენიდან ტარასი მესხიშვილის მიერ; გადამწერი ივანე ისაკ მღვდლის შვილი **(1v)**; 23v—25v დაუწერელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ღეოღრაფიული ლექსიკონი ახლისა აღთქმისა. — **აბილინე** ლუკა თავი [ ], მუხლი [ ]. არა ვრცელი სამთავრო ასურასტანისა, მყოფი კერძოსავე შინა მისსა, წოდებულსა ველესირიად, ღელესა მას შორის, რომელიც განყოფს მთასა ლიბანსა ანტილიბანისაგან...“ 7v-23r.

წყდება გეოგრაფიული ტერმინის „გაზა“-ს განმარტებაზე: **გაზა** ანუ ღაზა საქ. (!) მუხ. [ ], ზღვის კიდის ქალაქი პალესტინისა, მყოფი იუდიასა შინა, რომელიცა იყო ოდესმე ფრიად ჩინებულ, ხოლო უმეტეს საქმითა სამსონისათა და მისითავე სიკუდილითა პირუელ დაწყებითგან იყო იგი მთავრობასა ქუეშე ფილისტიმელთასა, ხოლო...“

შენიშვნები: უძლვის: 1. თავფურცელი „ღეოღრაფიული ლექსიკონი ახლისა აღთქმისა, მპყრობელი თვის შორის ანბანთამებრ დაწყობილებითა აღწერის ქვეყანათა, სამთავროთა, ქალაქთა, მდინარეთა, ქალაქთა და სხვათა ღეოღრაფიულთა საგანთა, წერილთა ახალსა შინა აღთქმას, ჩუენებითა ძუელის და ახლის მდგომარეობის მათისა.

რუსულისაგან გარდმოღებული ტარასის მიერ მღვდელ-მონაზონისა, სანკტ-პეტერბურღს, სტამბასა შინა იოსებ იოანესოვისასა“ (2r).

2. [წინასიტყვაობა მთარგმნელისა].—„ვინათგან უქმისაგანცა მიწისა სათანადო არს აღმოცენებად ნაყოფნი რაჲმენი სახმარად კაცთა სავსებისა, ამის გამო, კადნიერ ქმნილმან ესე ვიგულსმოდგინე მეცა მით, რაცა თვის ეტყოდა უწრთველობასა ჩემსა სახმარად სწავლათა შეძინებისა. დაბეჭდადცა არა მრიდმან, ნაღვაწითავე ჩემითა ქრისტებითურთ (!) თვისით პირველგამოცემულითა ქართულსა ენასა ზედა, რომელსაცა ვჰსძღვნი სიმდაბლით ნიჭად სიყვარულისად თანამოძმეთა ჩემთა, ძეთა საქართველოსა კეთილ-კრძალულთა მღვდელთასა, რათა იქმნასთ მათ ლამპრად, ადვილ მოსაძიებელად სამღრთოთა წერილთა შინათ ლექსთა ღეოღრაფიულთა და შესამეცნებელად მდგომარეობათაცა მათთა. ხოლო, უკეთე უხამსობდეს სადამე შრომა ესე ჩემი, ვითხოვ მოეტეოს პირველსა ქელხებასა ჩემსა“ (2rv).

3. [შემდგენლის] „წინასიტყუაობა. — ამას შინა არცაღა მცირედ რამე საიჭველ არს, რომელ სწავლა ისტორიის სათანადო არს; და ვინათგან სწავლასა მისსა, თვინიერ ღეოღრაფიისა ცოდნასა, რომელიცა შერაცხილ არს ლამპრად ისტორიისად, მრავლად ექმნებიან სიძნელენი და დაბრკოლებანი ცხადად სმენისათვის მისისა, მაშა თანასწორად სწავლისათვისცა სამღვდელოსა ისტორიისა საჭირო სადამე არს სამღვდელოცა ღეოღრაფია. იგი, წარმომადგინებელი აღწერისა ძველთა და აწინდელთათვის მდგომარეობათა სამღვდელოსა ისტორიასა შინა მოხსენებულთა ადგილთასა, ჰყოფს მათ სასიამოვნოდ საკითხველ-სასმენელად; და თვით ამათცა მსწრაფლად და ადვილად დაბეჭუდად მისსა შესაძლო არს ხსოვასა შინა. და მისთვის შესაბამ იყო ქონებად ანუ სრულისა სამღვდელოსა ღეოღრაფიისა, ანუ სრულისა ღეოღრაფიულისა ლექსიკონისა. და ვინადგან თხზულება ესევითარისა წიგნისა, მიზეზის გამო მრავალთა შემთხვეულებათა ძუელისა აღთქმისა ღეოღროფიულთა საგანთა შორის, ითხოვს შრომასა ღრმად ცნობისა და ძრძლად გამოძიებისასა ძუელთა მათ ადგილთასა, ამისთვის პირველისა ამის შემთხვევისამებრ დაიბეჭდების მხოლოდ ღეოღროფიული ესე ლექსიკონი ახლისა აღთქმისა ესევითარი თხზულება. კეთილად შევრაცხე მე ამისთვის, რომელ შემთხველული (!) ახლისა აღთქმისა ისტორიასა შინა ლექსი ღეოღროფიული, ანბანთამებრ დაწყობილებათა შორის მსწრაფლად შესაძლო არს მოპოებად; გარნა, ვინათგან ლექსიკონი თვით თვისით ვერ შემძლებელ არს მოცემად სისტემატიკებრისა ხსოვისა ღეოღროფიისათვის ახლისა აღთქმისა, ამად, უკუნქცევისათვის მისისა, დაიდების დასაწყისსა შინა ამის წიგნისასა მოკლე და სხვა სამღვდელოს ღეოღროფიისა ახლისა აღთქმისა, რათამცა მის მიერ ხილუადსა მისვე აღთქმისა. —

აღწერასა თანა თითოეულისა ადგილისასა ვისწრაფე მე დაცუა შემდგომად ამათ წესთა: აღნიშუნა სადაცა მოიხსენებიან სახელნი მათნი **ახალსა** აღთქმასა შინა; რაჲთაცა ჩინებულ არიან იგინი სამღვდელოსამებრ ისტორიისა; ვითარცა ღირსსახსოვართა ცუ[ლი]ლებათა შინა შთავრდომილ იქმნენ, ვიდრე ჩვენ დრომდე;

ვითარსა მდგომარეობასა შინა იპოებიან აწ; და რომელსა ღრადუსსა ქუეშე მდებარეობენ ღეოღროფიულისა სიგრძისა და სივრცისასა. გარნა მათ ყ[ო]ველთა ძალისამებრ ჩემისა მეცადინობათა თანა დაცვისათვის ნანდვილ სრულებასა შინა ზემოხსენებულთა მათ წესთასა ვერ უძლე მე დაცვა მათი ყოველგან, ვინ[ა]დგან იგინიცა, რომელთაც ნავდულთამებრ (!) მმსახურეს მე შეწყობასა შინა ამა ლექსიკონისასა, ვითარ იგი კალმეტ ფილიპპე კლუვერპრიტი ანქვილ, იოსებ ქოლისტაფენალენ და ვრიგორევიჩ[ი], იყვნენ რომელთათვისმე ადგილთა არა საკმაოდ მომთხრობნი.

სხვებრ, უცხადესისათვის გულისხმისყოფისა ლექსიკონსა ამას შინა აღწერილთა ადგილთასა დაიდების თანა ანვილის მიერ შემცირებულისა ზომისამებრ ქარტა წარმომადგინებელი ახალსა აღთქმასა შინა მოხსენებულთა ქუეყანათა, სამთავროთა, ქალაქთა, ჭალაკთა და სხვათა; ქარტა აღთქმის ქუეყანისა ანუ პალესტინისა და სახე ქალაქის იერუსალიმისა დახაზულებათამებრ ღ[ე]ოღროფინნოვისათა, შჩეუნებელი (!) ადგილთა ღირსსახსოვრად შერაცხილთა დროსა შინა ქრისტესსა.

სასურველ არს ჩემდა, უკეთუ შრომა ესე ჩემი კმა-საყოფელ იქმნას რომლითამე სახითა გამოძიებასა მოყვარებით მკითხუელთადმი, ჩინებულთა ქუეყანისა ისტორიათასა და მსურველთა ცხადად ცნობისა მათ ქუეყანათა და ადგილთასა, სადაცა აღსრულებულ იქმნენ აღწერილნი ამას შინა ჩინებულნი შემთხვ[ე]ულებანი ესე-ვითარი. კეთილად აღსრულება ამისი გამაღვიძებდა მე უაღრესისადმი ღვაწლისა მსგავსთა ამათ საგა[ნ]თასა“ (2v - 4v).

4. მისივე „მოკლედ ასახუა სამღვდელოსა ღეოღრაფიისა ახლისა აღთქმისა.— სახელითა სამღვდელოსა ღეოღრაფიისათა გულისხმა-იყოფების აღწერა მათ ქვეყანათა, სამთავროთა, ქალაქთა და სხვათა ღეოღრაფიულთა საგანთა, რომელთათვისცა სამღვდელოსა წერილსა შინა მოხსენებულ არიან...“ (4v - 4v).

ანდერძი: „ესე წიგნი ისაკ ღვდლის შვილს ივანეს დაუწერია“ (1v).

(1709) **4969**

ლიტურგიკული კრებული. XVII, XVIII

(ფრაგმენტი)

29 ფ.; 13,5 × 9; ქაღალდი; ქაღალდის ყდა; თავ-ბოლოდანაკლული; დაზიანებული (სინესტის ლაქებით დაფარული; ქაღალდი დეფორმირებული); ნუსხური (სათაურები და დასაწყისი ასოები სინგურით; სხვადასხვა ხელით); [XVII, XVIII სს.]; დაუწერელია ფფ. 1, 4, 21, 29.

1. [აღდგომის საგალობლები].—„... კ҃დ ქალწულო. ჴმაჲ დ გ҃ი.— შალღით გარდამოჴედ მაცხოვარო ჩ҃ნო, ჯუარცმა თავს იდევ...“ 2r-12v.

წ ყ დ ე ბ ა: „...სახარება მათესი: ჰრქუა უფალმან თჳსთა მოწაფეთაჲ: ყოველმან, რომელმან აღიაროს ჩემდა მომართ წინაშე კაცთა, მეცა აღვიარო“...

2. «კვირის სახარება-სამოციქულო» „სამოციქულო და სახარება შვიდეულთა.—კვირიაკესა ფსალმუნი: იყავნ უფალო წყალობაჲ შენი ჩუენ ზედა...“ 13r-19v.

3. „წმიდათა და დიდთა მარხვათა... ჴმაჲ ა.—მეოხებითა ყოველთა წმიდათა შენთაჲთა და ღმრთისმშობელისათა. შენი მშჳდობა მომეც ჩუენ...“ 20r-v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. «პარაკლისი ღმრთისმშობლისა» „...ჩემთაგან, ღმერთო, რამეთუ შენ შეგევედრე, მასწავე მე, რათა ვყო ნება შენი...“ 22r—28v.

შენიშვნა: შევსებულია „პარაკლისის“ ნაბეჭდი ფურცლებით (24r — 27v); დაზიანებული ბეჭდური ფურცლები აღდგენილია ხელნაწერი ტექსტით, უკანასკნელი 28r—v-ც ხელნაწერია.

(1710) **4970**

ნეკრესელი ამვროსი, ქადაგებანი. 1815

8 ფ.; 22,2 × 17; მოლურჯო ქაღალდი; უყდო; დაზიანებული (ჭიანაჭამია ფფ. 1—4; ტექსტის ნაწილი, I გვერდზე, დაფარულია სინესტის ლაქებით; სათაური გახუნებულია); მხედრული (სათაური სინგურით); 1815 (8v); გადამწერი გრიგოლ დიაკვანი (8v).

«ნეკრესელი» [ამვროსი], „ქადაგება და სწავლანი, ძალითა ღ˜ისათა დიდისა მთავარ-მოწამისა, ღვაწლით შემოსილისა წმიდისა გიორგისა, სულო ყოვლად წმიდაო, შემეწიე. — ღ˜ის მოყვარებით დღეს აქა შემოკრებულნო, კეთილმორწმუნენო მსმენელნო, კეთილად იუწყეთ ესე ყოველთავე მორწმუნეთა...“ 1r—8v.

ანდერძები: 1. „აღვწერე და ვისაჯე ულირსმან ეპისკოპოსმან ნეკრესელმან წელსა **ჩყიე**, ივნისს, ქ˜კს **ფგ**“ (8v).

2. „დავწერე ეს წერილი მე, ულირსმა, ისა მღვდლის შვილმა გრიგოლ დიაკვამა“ (! 8v).

(1711) **4971**

კითხვა-მიგებანი საღმრთო ისტორიიდან. XIX

15 ფ.; 17 × 11; მოლურჯო ქაღალდი; უყდო; თავ-ბოლონაკლული; მხედრული; [XIX ს-ის 20-ანი წწ.].

[კითხვა-მიგებანი საღმრთო ისტორიიდან, **[კითხვა]**: — „...მერმე მოსემ რომელს ქვეყანაში წაიყვანა ისინი? **მიგება:** ქანანეთის ქვეყანაში...“.

წყდება: „... კითხვა: მართალია, რომ იუდამ იმათ მიჰყიდაა იესო ქრისტეს (!) ვნებისათვის...“

(1712) **4972**

«მოკითხვის წიგნი». XIX

4 ფ.; 17,4 × 10; მოლურჯო ქაღალდი; უყდო; მხედრული; XIX ს-ის დამდეგი (ჭვირნიშანი 1808); გადამწერი გრიგოლ ქარიანაშვილი.

«მოკითხვის წიგნი». „პატრიარხს. — მათს უწმინდესობას დიდს მეუფეს, სრულიად საქართველოს პატრიარხს უფალს (სახელი), უზენ[ა]ეს მეუფეს წინაშე ქრისტეს მობაძავთა ჴელთა და ფერჴთა მოწიწებით შევეხები...“ 1r—3v.

შენიშვნა: „მოკითხვის“ მცირე ტექსტები შედგენილია აგრეთვე: მღვდელ-მთავრის, ეპისკოპოზის, არქიმანდრიტის, მღვდელ-მონოზვნის, დეკანოზის, მღვდლის, იერო-დიაკვნის, კერძო დიაკვნის სახელზე. საერო პირებიდან კი: დიდ-თავადთა, თავადთა, აზნაურიშვილთა, თავადთა დედათა და მდაბალ დედათათვის.

მინაწერები: 1.(ტექსტის მომსხო ხელით) „ეს მოკითხვის წიგნი ქარიანაშვილი გრიგოლისა არის, ვინც მაიპაროს, გაუწყრეს ღვთის მადლი, ამინ. გრიგოლ“ (4r. სახელი ჩართული დაწერილობით).

2. „ზურაბაშვილი ტეტია; ზაზიაშვილი იოვანე“ (4v).

(1713) **4973**

წირვის კონდაკი და ლოცვები. 1815

6 ფ.; 15.5 × 10; მოლურჯო ქაღალდი; უყდო; თავ-ნაკლული (დაუმთავრებელი); მხედრული; 1815 წ. (1v); გადამწერი დანიელ ზურიაშვილი (1v); დაუწერელია ფფ. 5, 6.

«კონდაკი წირვისა» და ლოცვები. — „...სამებ[ა]ო შეგვიწყალნე ჩვენ. უფალო გვიხსენ და გვილხინე ცოდვათა ჩვენთაგან...“ 1r—4v.

მთავრდება: „...მერმეცა გევედრებით უკეთილმსახურესისა და უმაღლესისა მეფისა ჩვენისა ირაკლისათვის სიმტკიცისა“...

მინაწერი: (ტექსტის ხელით): „ეს წიგნი ზურიაშვილი დანიელისა არის, ვინც მაიპაროს, გაუწყრეს აღდგომის ძალი, ქ~კს ფგ“ [1815].

(1714) **4974**

პარაკლისნი. XVIII

(ფრაგმენტი)

6 ფ.; 7,3 × 4,5; ქაღალდი; უყდო; თავ-ბოლონაკლული; მხედრული (ლოცვის წესები სინგურით); [XVIII ს.].

[პარაკლისნი] „...უთხრა მის თანამყოფთა მათ, რომელნი იგლოვდეს და ტიროდეს. და მათ რა ესმა, რამეთუ ცხოველ-არს და ეჩვენა მათ, არა რწმენა მისი, ამისა შემდგომად ორთა მათგანთა სლვასა შინა გამოეცხადა სხვითა ხატითა...“

წყდება: „...ყოვლად წმიდაო დედოფალო ღ~თის მშობელო, უმაღლესო წმიდათა ანგელოზთა და მთავარანგელ[ოსთა]...“

(1715) **4975**

კრებული. XIX

111 ფ.; 33 × 20,6; ქაღალდის ყდა; დაშლილი; მცირედ დაზიანებული; ნუსხური, მხედრული (სხვადასხვა ხელით); XIX ს-ის პირველი მეოთხედი (ჭვირნიშანი 1818); დაუწერელია: 18r-v, 53v - 54r, 80v - 81v.

1. „ცხოვრებაჲ და მოქალაქობა წმიდისა და ღ҃თ შემოსილისა მამისა ჩ҃ნისა დავით გარეჯელისა, მ. გ.—საჴსენებელსა მართლისასა მომთხრობელთა და მოქალაქობჲსა წმიდათასა აღმწერელთა გონებისა სადამე თ҃ლითა განმწმედელად ჯერ იყო ქონებაჲ, ხოლო ენასა მეტყუჱლსა კეთილმორთულად და შესწორებულად მიმთხ҃უჱლად ღირსი არა დაიკნინებოდის...“ 1r—17v.

შენიშვნა: თხზულება ვამოცემულია რამდენჯერმე. იხ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V - X სს.), ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, 1963, გვ. გვ. 229 - 240.

2. „წამება წმინდისა ქეთევან დედოფალისა, ლექსათ თქმული კნიაზ დიმიტრი იაგორიჩის ბაგრატიონისაგან.—

შენ უწინარეს ყოველთა საუკუნეთა მყოფელო,
თჳსისა დასაბამისა თვით თავსა შორის მყოფელო...“ 19r—26v.

შენიშვნა: «წამება წმიდისა ქეთევან დედოფლისა, თქმული დიმიტრი ბაგრატიონის მიერ» გამოცემულია სამჯერ. პირველად დაიბეჭდა პეტერბურგში 1819 წ. მეორედ და მესამედ თბილისში: 1876 წელს იგი გამოსცა სერგეი მდივანოვმა, ხოლო 1895 წელს ზაქარია ჭიჭინაძემ.

3. [ქართლის ცხოვრებიდან: ა. ჯუანშერი]. „მეოცდაათჩვიდმეტე მეფე ფარსმან, ძმისწული ფარსმან მეფისა ხოსროიანი.—და იყო იგი მორწმუნე, ვითარცა მამისა ძმაჲ და [ჰ]მატა ყოველთა ეკლესიათა შემკობაჲ და მოკვდა კათალიკოზი ჩირმაგ და მანვე მეფემან დასვა კათოლიკოზად საბა... და ამავე ფარსმანის ზე მოვიდა იოვანე შუამდინარელი, რომელსა ეწოდა იოვანე ზედაზადნელი, განმანათლებელი ქართლისა და განმწმედელი სჯულისაჲ, მაშენებელი ეკლესიათაჲ...“ 27r—31v.

შენიშვნა: იხ. „ქართლის ცხოვრება“, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტ. I, 1955, გვ. 207 — 214.

გ. [ლეონტი მროველი] „მოქცევაჲ «მირიონ»(!) მეფისაჲ და ყოვლისა ქართლისაჲ წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩუენისა ნინო მოციქულისა მიერ.—პირველად ვახსენოთ ცხოვრებაჲ წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩუენისა და ყოვლისა ქართლისა განმანათლებელისა ნინო მოციქულისაჲ, რომლისათვის მანვე ნეტარმან მოგვითხრა...“ 32r—41r.

შენიშვნა: ლეონტი მროველის თხზულებიდან ამ ნუსხაში შესულია აგრეთვე: „თქმული აბიათარ მღვდელისა, რომელი დაემოწაფა წმიდასა და ნეტარსა ნინოს“ (41v - 42v); „მეორე თქმული მისვე აბიათარ მღვდელისაჲ კუართისათვის უფლისაჲ ჩვენის იესოს ქრისტეს (!)“ (42v - 47v); „თქმული სიდონია დედაკაცისა, რომელი იყო მოწაფე წმიდისა ნინოსი, რომელი ესე იხილა და დაიწყრა: მოქცევა სასწაულითა მირიონ(!) მეფისათა და შევრდომაჲ ნინოსი აღსარებისათვის ქრისტესისა, ჯვარისა აღმართებისათვის, ეკლესიათა აღშენებისათვის და მას შინა სასწაულთა მისთათვის“ (47v - 49r); „თქმული მისივე, აღშენებისათვის ეკლესიისათა“ (49r - 56v); „წიგნი, რომელი მიუწერა პატრიარქმა ჰრომისამან და ბრანჯთა მეფემან ნინოს და მეფესა და ყოველთა ერთა ქართლისათა“ (56v - 59v); „მეოცდახუთე მეფე ბაქარ, ძე მირიანისა ხოსროიანი“ (59v - 60r).

იხ. „ქართლის ცხოვრების“ იგივე გამოცემა, გვ. გვ. 72 — 131.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. [დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი] „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, გიორგის ძისა, რომელი იყო სამეოცდამეათვრამეტე შვილი შვილთაგანი დავით წინასწარმეტყველისა, რომელსა ეწოდა აღმაშენებელი. ესე იყო ქართლისა და აფხაზეთისა მეორმეოცდამე[ე]ქვსე [მეფე].—ამისა შემდგომად მოვიდა სულტანი მალიქ-შა, მოადგა სამშვილდესა და წაიღო, და ივანე, ძე ლიპარიტისა, ტყუე ყო და მოაოჴრა სომხითი და წარვიდა მასვე წელსა...“ 60r-80 r.

შენიშვნა: იხ. „ქართლის ცხოვრების“ დასახელებული გამოცემა, გვ. გვ. 318-363.

დ. [ჯუანშერი] „მეოცდაათსამმეტე მეფე ვახტანგ, ძე მირდატისი ხოსროიანი.—მაშინ საგდუხტ დედოფალი შეძრწუნდა მამისა მისისა ბარზაბუდისგან. ნუუკვე შური იგოს მამამან ჩემმან ნაქმრისთვის მამამთილისა და ქმრისა ჩემისა, რომელ ეგოდენნი ბოროტნი მოაწივეს მას ზედა, ნუუკვე შური იგოს ჩემზედა დატევებისათვის სჯულისა...“ 82r — 111r.

შენიშვნა: იხ. „ქართლის ცხოვრების“ იგივე გამოცემა, გვ. გვ. 144-204.

(1716) **4976**

ორბელიანი სულხან-საბა. სიტყვის კონა. XVIII

(ვრცელი რედაქცია)

8 ფ.; 30 × 19; ქაღალდი; უყდო; ფრაგმენტი (ხელნაწერი შეიცავს რომელიღაც ნუსხის მე-15 რვეულს); მხედრული; [XVIII ს.].

[სულხან-საბა ორბელიანი. სიტყვის კონა].— „...**ლარკი** ორი რიგი მოსავალი ერთს საყანურში...“

წყდება: „**მარცუალი** არს ერთი ცერცუთა ანუ ხუარბალთაგანი, გინა წერილთა ასონი და რაჲც ერთი მგრგუალი მცირე იყოს...“

(1717) **4977**

ვახტანგ VI, **სამართლის წიგნი.** 1806

73 ფ.; 20,5 × 15,5; მოლურჯო ქაღალდი; ქსოვილ-გადაკრული ხის დაზიანებული ყდა; მხედრული (სათაურები სინგურით); 1806 წ. (1v); გადამწერი ვახტანგ გოცირიძე.

„სამართლის წიგნი ესე ვახტანგ მეფისა. — ამას გევადრებ[ი]თ (!) და მოგახსენებთ მეფეთა და მსაჯულთა და ყოველს სამართალში მჯდომს კაცს: ეს იცოდეთ, დამარხვით გულში გქონდესთ, რომ ღმერთი ყოვლისა დამბადებელი თქვენგან სამართალს ითხოვს...“ 2r—61v.

შენიშვნები: 1. ერთვის მუხლთა საძიებელი (62r - 71r); 2. ვახტანგის სამართლის ეს ნუსხა შეიცავს 163 მუხლს. იგი II რედაქციისაა და C ტიპის ხელნაწერს მიჰყვება, ვახტანგ VI, სამართლის წიგნი (უძველესი ნუსხა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო თ. ენუქიძემ, 1955 წ., გვ. 27 - 29.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდერძი: „აღიწერა წერილი ესე ვახტანგ მეფისა ქრისტეს აქით **ჩყვ**, თვესა მაის[ს]ა ხელითა ვახტანგ გოცირიძისათა“ (1v).

მინაწერები: 1. „ვახტანგ გოცირიძემ მოიყვანა მაია ყიფიანის ასული და დაიწერა ჯვარი **ჩყლდ** წელსა, თვესა დეკენბერსა (1r); 2. სალომე, ვახტანგ გოცირიძის ასული, იშობა **ჩყლვ** წელსა, ივნის[ის] **ზ**“ (1r); 3. „**ჩყიზ** წელს, მარიამობის ამტენს **იე** დღესა გამოჩდა სურათი [დაიბადა]? ვახტანგ გოცირიძის; ასული კიდევ გამოჩდა მარინე [ვახტანგის და?] **ჩყკდ** წელს, სეკდე[მ]ბრის ამტენს დღეს — **გ**“ (1v); 4. „**ე**. ერთი ფული, **ი**. ორი ფული, **კ**. ერთი ბისტი...“ (1v - 2r. ფულადი ერთეულების აღრიცხვისათვის გამოყენებულია ქართული ანბნის რიგი). 5. ქართული ანბანი მისი რიცხვობრივი მაჩვენებლების აღნიშვნით: „**ა** ერთი, **ბ** ორი, **გ** სამი...“ (72r). 6. რეკომენდაცია ვახტანგ ვოცირიძისა, მიცემული ივანიკა მინდელისათვის: „მის მაღალ ბრწყინვალებას უფალს პოლკონიკს და კაველარს(!) წერეთელს ქაიხოსროს, მოწყალეს ჴელმწიფეს, რაჭის ოკრუზნის(!) ნაჩალიკს(!) უფალს პოპდლკონიკს [! პოდპოლკოვნიკს] და კაველერს(!) უფალს მათე ვასილიჩს უშტარხოვის... ვალდებულების აღმსრულებელს უფალს რაჭის ოკრუგის ნაჩალნიკს კაპიტანს ივანე ლუკიჩს სოკოლოვს... აზნაურის ვახტანგ ვოცირიძის მიერ მოწმობა. — წინადვე მცხადი ამა ოკრუგასა სორს მცხოვრებელი ჩემი ყმა ივანიკა მინდელი შეუდვება ტფილისი(!) ქალაქს შინა მუშავობისათვინ(!). ვთხოვ უმდაბლესად ერთი წლის ვადით ბილეთი უბოძოთ, რომლისათვის ვსწამებ ამას კეთილ ქცევას“ (73r. «მოწმობა» წარმოადგენს შავს. კაპიტან სოკოლოვის ტიტულატურა რამდენჯერმე გამეორებული).

7. [მოკლე ამონაწერები სამდივნო წიგნიდან ანუ მიმართვები სხვადასხვა წოდებისა და თანამდებობის პირთადმი]; „მიტროპოლიტთან. — მისს მაღალ ყ[ო]ვლად უსამღუდელესობას უფალს ქუთათელ მიტრაპოლიტს დოსითეოსს უმცირესადრე მო[ვა]ხსენებ წინარე მისის დიდებულის ტახტს...

თავადთან. — მის უბრწყინვალესობას უფალს, უმაღალშობილესს გვამსა და დიდებულ თავადს და რაც ერქვას.

არხიმანდრიტთან. — მის მაღალ ღირსებას, უფალს, უგანწმედილესს გვამს და რაც სახელი ერქვას...

აზნაურთან. — მისს მაღალ კეთილშობილებას, უფალს, ჩემს შეუორგულებელად საგულვებელს ბატონს, და რაც სახელი ერქვას.

ვაჭარს. — თქვენო პატიოსნებავ, სულიერო და ხორცით სამეგობრო და მოყვასო ჩემო...“ (73v. ამათ გარდა არის მიმართვა მღვდელთან, ეპისკოპოსთან და წინამძღვართან. დასაწყისში დასახელებულია პიროვნება, შემდეგ კი მითითებაა, სადაც უნდა დაიწეროს ადრესატის სახელი).

8. ზედა ყდას შიგნიდან გაკრული აქვს XIX საუკუნის ნასყიდობის წიგნი: „...გიორგი ერისთავის აზნაურმა ლიპარიშვილმა ქაქუჩამ ჩემმა გრიგოლამ შენ მ[...]ანსებულს აზნაურის პაატა ვოცირიძის ყმას ბურდილაძეს სვიმონას ძესა, შენსა გლახუნას და ძმისწულსა შე[ნსა] ლექსიას: ასე და ასე, ვითარად, რომ ის ჴსენებული ჩემი სამკვიდრო ყმა, იმავ მაედანს მცხოვრებელი შენი საჴლის ბერიკა და სვიმონიკა ჟამთა ვითარებისაგან გარდაიცვალნ[ენ]. ის ჴსენებული სამოსახლო და კალო შენ მიგყიდე და ვითარნიც სრულებით იმაში მივიღეთ, რომელ ამ დღიდამ მე დავიმკვიდრე, მ[ას]შინა ჩემთა არა ძალუძს ქონებათ ამათ ზედა არა ნაწილის, ან თქმული ადგილი, კალო და სამოსახლო ამას... ნაყიდობისა ჩემგნითა უხიყოფად(?) ეგრეთ მტკიცედ მიმე[...] აზნაურის პაატა გოცირიძის ყმასა ბურდილაძეს სვიმონას, შენსა გლახუნას და გოგიას წულსა, შენსა ლექსიას. იყავ აქა [...] უკვე, ვითარცა ამათი მოდევენი(!) ვინმე აღმიდგენ, მე თანა მაქსვს(!) ამად(?) ყოველსა ზედა მოდგომილისა მოდავის მოცილებად. გაძლევ და გიმტკიცებრი (?!) საუკუნით ჴელითა და ნებითა ჩემითა უკუნისამდე, ამინ“.

(1718) **4978**

ალბომი წმინდანთა გამოსახულებებითა და ახალი აღთქმის სუჟეტური კომპოზიციებით. 1856

108 ფ.; 21,5 × 17; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფრული, დაზიანებული, ხის ყდა; დაზიანებული (ფფ. 4 — 13 გამომჭვარია შუაში და ნაწილობრივ კიდეზე); წარწერები მხედრულით და ნუსხურით, ზოგან მთავრულითაც (44r, 48r, 88r, 90r, 99r); ალბომში შესულია 109 მინიატურული გამოსახულება; 1856 წ. (108v); მხატვარი დიაკვანი ალექსი ბაქრაძე (108v). ადგილი რაჭა, სოფ. სევა (108v).

[ა ლ ბ ო მ ი წმინდანთა გამოსახულებებითა და ახალი აღთქმის სუჟეტური კომპოზიციებით].—

I. 1. „თვესა ს ე ქ ტ ე ნ ბ ე რ ს ა: **ა** ყ~დ წ~ა [ღმრთისმშობელი], იესო ქრისტე, სვიმონ მესვეტე (1r); **ე** ზაქარია წინასწარმეტყველისა (2r)˙ **ვ** მიხაილ მთავარ ანგელოზისა (3r); **ჱ** შობა ღვთისმშობლისა (4r); **იგ** ქეთევან დედოფალი; **თ** იოვაკიმ და ანნა (5r); **იდ** ჯვართ ამაღლება (6r); **იე** ნიკიტა მოწამისა; აბბა იოსებისა (7r); **იჱ** ბიძინა დაჭრილისა, ელისბარ და შალვასი ქსნის ერისთავთა (8r); **კ** ევსტათი მოწამისა (9r); **კგ** მიდგომილება ზაქარიასი (! 10r); **კდ** წმინდა ქალწულ მოწამე თეკლა (11r); **კვ** იოანე მახარებლის მიცვალება (12r); **კჱ** მამა ხარიტონისა (13r); **ლ** გრიგოლი სომხითის ეპისკოპოზი“ (14r).

2. „თვესა ო ქ ტ ო ნ ბ ე რ ს ა: **ა** სვეტიცხოველი, წმინდა ნინა ქართველთ განმანათლებელი (15r); **ბ** შუშანიკ დედოფალი, წ~ა კვიპრიანე; წ~ა დავით და კოსტანტინე არგვეთის მთავრები (16r); **გ** წ~ა დიონოსი არიოპაგელი (17r); **ვ** თომა მოციქულისა (18r); **ივ** ლონგინოზ ასისთავი (19r); **იჱ** ლუკა მახარებელისა (20r); **კ** არტემი მოწამისა, **კა** დიდისა ილარიონისა (21r); **კბ** ამბერკი იერაპოლელ მღვდელთ-მოძღვრისა (22r); **კგ** იაკობ ძმისა უფლისა (23r); **კვ** დიდისა დიმიტრისა“ (24r).

3. „თვესა ნ ო ე მ ბ ე რ ს ა: **ა** კოსმა და დამიანესი (25r); **ჱ** მთავარანგელოზთა კრება (26r); **იგ** იოვანე ოქროპირი და აბიბოს ნეკრესელ მღვდელთ-მოძღვარი (27r); **იდ** ფილიპე მოციქულისა (28r); **ივ** მათე მახარებელისა (29r); **ით** ილარიონ მამისა ქართველისა (30r); **კა** ტაძრად მიყვანება (31r); **კდ** ეკატირინასი და მერკვირისა (32r); **კზ** იაკობ დაჭრილი (33r); **ლ** ანდრია პირველწოდებულისა“ (34 r).

4. „თვესა დ ე კ ე ნ ბ ე რ ს ა: **ბ** ამბაკო წინასწარმეტყველისა და ისე ეპისკოპოსისა წილკნელისა (35r); **დ** ბარბარა; **ე** საბა (36r); **ვ** ნიკოლაოზ მირონ ლუკიისა (37r); **თ** იოვაკიმ და ანნას მიდგომილება (! 38r); **იბ** სფირიდონ საკვირველთმოქმედისა (39r); **იგ** ევსტრატი, აქვსენტი, ევგენი, მარდარია და ორესტი (40r); სოლომონ, დავით მეფე, აბრაჰამ, ისაკ (40v); **იზ** ანანია, აზარია და მიხაილ (42r); **კ** წმინდა ეგნატი (43r); **კე** შობა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი (44r); **კზ** მთავარდიაკვნისა სტეფანეს ქვით დაქოლვა (45r); **კთ** წმინდათა ჩვილთა მოსვრა“ (46r);

5. „თვესა ი ა ნ ვ ა რ ს ა: **ა** დიდი ბასილი; **ბ** სილიბისტრო რომთა პაპისა (47r); **ვ** ნათლისღება (48r); **ჱ** წმინდისა აბოსი, **ი** გრიგოლ ნოსელისა (49r); **იდ** წმინდისა მოციქულისა ნინასი (50r); **იზ** დიდისა ანტონისა და ანტონ მარტომყოფელისა (51r); **იჱ** ათანასი და კირილესი (52r); **ით** მამა მაკარი; **კ** დიდისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეფთვიმესი (53r); **კა** მაქსიმე აღმსარებელი, **კგ** კლიმი მღვდელთმოძღვარი (54r); **კე** გრიგოლი ღვთისმეტყველისა და **კვ** დავით აღმაშენებელისა (55r); **კზ** ნაწილთ აღმოყვანება იოანე ოქროპირისა (56r); **კჱ** ეფრემ ასურისა (57r); **კთ** ნაწილთ აღმოყვანება ეგნატი ღ̃თშემოსილისა (58r); **ლ** წმინდა იოანე ოქროპირი, ბასილი, გრიგოლისა" (59r).

6. „თვესა ფებერვალსა: **ბ** მირქმა (60r); **იზ** თეოდორე ტირონი, **ჱ** ზაქარია წინასწარმეტყველისა (61r); **კდ** ნათლისმცემლის თავის პოვნა (62r).

შენიშვნა: კიდეზე ტექსტის წვრილი ხელით მიწერილია: „თეოდორე სტრატილატისა იძიეთ ივნისის **ჱ**".

7. „თვესა მარტსა: **თ** ორმოცთა მოწამეთა (63r); **კე** ხარება (64r); **ლ** წმინდა იოვანე [სინელი] კლემაქსი" (65r).

8. „თვესა აპრილსა: **ა** მამა ზოსიმე, მარიამ მეგვიპტელისა (66r); **კგ** წმინდისა გიორგისა, **კე** მარკოზ მახარებელისა", (67r).

9. „თვესა მაისსა: **ზ** გამოჩინება ჯვარისა და იოანე ზედაძნელისა (68r); **ჱ** იოანე მახარებელისა, **იგ** მამისა ჩვენისა ეფთვიმისა (69r); **იე** დიდისა პახუმისი (70r); **კა** კოსტანტინე და ელენესი (71r); **კე** თავის პოვნა იოანე ნათლისმცემელისა" (72r).

10. „თვესა ივნისსა: **ჱ** თეოდორე სტრატილატისა, **ია** ბართლომე და ბარნაბასი (73r); **იბ** ონოფრესი, **იდ** ელისე წინასწარმეტყველისა (74r); **ით** იუდა ძმა უფლისა; **კე** ღირსი ფებრონია (75r); **კა** არჩილ და ლუარსაბისა (76r); **კდ** ნათლისმცემლის შობა (77r); **კთ** პეტრე, პავლე" (78r).

11. „თვესა ივლისსა: **დ** ანდრია კრიტელი, **ჱ** პროკოპი (79r); **იე** ივლიტა და კვირიკე (80r); **იზ** მარინა, **კ** ელია (81r); **კდ** წმინდისა დიდისა მოწამისა ქრისტინასი (82r); **კე** ანნას მიცვალება (83r); **კზ** პანტელეიმონ" (84r).

შენიშვნა: 1. ტექსტის ხელით კიდეზე მიწერილია: „თვესა ნოემბერსა **ა** კოსმა და დამიანესი იძიე" (79r); „ყოვლად წმინდის სარტყლის დადება აგვისტოს **ლა** იძიე" (78v).

2. მინაწერი კიდეზე: „მთავარანგელოზთ კრება ნოემბრის **ჱ** იძიეთ" (80r).

12. „თვესა აგვისტოსა: **ა** შვიდნი ძმანი მაკაბელნი (ავიმ, ანტონინ, გურიინ, ელიაზარ, ევსეონ, მარკელინ, ალიმ. 85r); **ბ** სტეფანეს ნაწილთ აღმოყვანება (86r); **გ** რაჟდენ მოწამისა (87r); **ვ** ფერისცვალება უფლისა (88r); **თ** მატათა მოციქულისა (89r); **იე** მიძინება ღვთისმშობლისა (90r); **ივ** თადეოზ მოციქული (91r); **კთ** თავის კვეთა იოვანე ნათლისმცემლისა (92r); **ლა** სარტყლის დადება ყოვლად წმინდისა" (93r).

შენიშვნა: მინაწერი კიდეზე: „შუშანიკ დედოფლისა იძიე ოკდომბრის **ბ**" (92r).

II. სუჟეტური კომპოზიციები ახალი აღთქმიდან: „ლაზრობა" (94r); „ბაიობა, იერუსალიმს შესვლა" (95r); „დიდ ხუთშაბათს სერობა" (96r); „დიდს პარასკევს ჯვარცმა" (97r); „დიდს შაბათს საფლავს დადება" (98r); „აღ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დგომა" (99r); „თომას გვერდის განხილვა" (100r); „მენელსაცხებელთა კვირა" (101r); „განრღვეულის კვირა" (102r); „სამარიტელის კვირა" (103r); „ბრმის კვირა" (104r); „ამაღლება" (105r); „წმინდა დიდი გარეჯელი, წმინდა დავით გარეჯელი" (106r). „სულის წმინდის მოსვლა" (107r); „ყოველთა წმინდათა კვირიაკე" (108r).

ანდერძი: „დაიხატა რაჭის სოფელსა სევას ხელითა მონის დიაკვნის ალექსი ბაქრაძისათა. მეუფეო წმინდაო გვაკურთხენ.

წელსა ჩყნვ, 1856, თვესა იანვარის იტ დავიწყე ხატვა და ივნისს ვ სრულ ვყავ" (108v).

მინაწერები (ტექსტის ხელით): 1. „Писал алексй" (წარწერა მოთავსებულია ნახატში, 22r); Жи[в]описец Алексй (! 108r).

2. „ღირსი მამა ფედიმი და ღირსი მამა ალექსი კიევის მიტროპოლიტი (31v).

შენიშვნა: თვითოეული მინიატურა ჩასმულია ფერადხაზოვან ჩარჩოში. გამოსახულებანი გადმოცემულია მთიანი პეიზაჟის თანხლებით, იშვიათად გვხვდება არქიტექტურული ნაგებობანიც.

ცალკეული წმინდანების გამოსახულებებსა და სიუჟეტურ კომპოზიციებში დადგენილი იკონოგრაფიული ნორმების დაცვა გვაფიქრებინებს, რომ მხატვარს, მუშაობის პროცესში, ხელთ უნდა ჰქონოდა სადღესასწაულოს ტექსტთან ერთად დასურათებული სახარება, მამათ-ცხოვრება, სვინაქსარი... და სხვა ცალკეული მხატვრული ნიმუშები, რომელთა გამოყენებით მას გაუაზრებია და შეუქმნია ფერწერულ გამოსახულებათა ალბომი შეკრული სადღესასწაულო ციკლის სახით.

(1719) **4979**

კრებული. 1700—1708

244 ფ.; 11 × 7; ქაღალდი; უყდო; ნაწილობრივ დაშლილი; თავ-ბოლონაკლული (დასაწყისში აკლია 4 რვეული და მეხუთის ოთხი ფურცელი); ოდნავ დაზიანებული (პირველ გვერდსა და უკანასკნელი ფურცლის (224) v-ზე ტექსტი გადასულია და ძნელად იკითხება; ხელნაწერს გააჩნია რვეულებრივი ანბანური პაგინაცია (შემორჩენილია **ლვ** რვეული); მხედრული (სათაურები და სიტყვათა დასაწყისი ასოების დიდი ნაწილი ოქრომელნით); ტექსტი ყველა გვერდზე ჩასმულია წითელი, ლურჯი და ოქრომელნით შემოხაზულ ჩარჩოში. ხელნაწერის მორთულობას, გარდა ჩარჩოებისა, შეადგენს თავსამკაულები (93r, 96r, 109r, 158r); ფოთლოვანი ორნამენტები (92v — 93r, 95v — 96r, 108v — 109r, 157v — 158r) და ტექსტში ჩასმული, ხშირი, ოქრომელნით შესრულებული მოზრდილი წერტილები; [1700—1708წწ.]; გადამწერი ქაიხოსრო ბატონიშვილი (90v); ადგილი [ირანი]; დაუწერელია: 91r — 92v, 108v, 141v, 157r — v, 175r—v; შეძენილია პ. კარბელაშვილისაგან.

1. «ფსალმუნი» „...ძირმტკიც[ედ] [სი]ხარულითა ყოვლისა. ქუეყანისაჲთა მთანი [სიო]ნისანი, გუ[ერ]დნი ჩრდ[ილოჲსა]ნი..." 1r — 90v (კანონი **ზ**, მუხლი **მზ**. იხ. ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები X — XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა მზექალა შანიძემ, 1960, გიორგი მთაწმიდელის რედაქციისა, გვ. 120).

2. «ჟამნი». „ჟამნი შუაღამისანი ხუთდღეთანი. — ლოცვითა მამათა ჩ̃ნთა დიდება შენდა ღმერთო ჩ̃ნო..." 93r — 156v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნები: 1. ჟამნის შედგენილობა: „ჟამნი შუაღამისანი შაბათს“ (96r — 97r), „ჟამნი შუაღამისანი კვირიაკესა“ (97r — 98v), „გალობანი შუაღამისანი“ (99r — 102v), «ლოცვა სინანულისა» წმიდისა დიდისა ბასილი კესარიელისა“ (102v — 108r), „ჟამნი პ˜ლი ცისკრისა“ (109r — 115r), „ჟამნი პ˜ლ მზისა“ (115r — 116r), „ჟამნი სამჟამისა“ (116r — v), „ჟამნი შუადღისა“ (116v — 118r), „ჟამნი ცხრაჟამისა“ (118r—121v), „ჟამნი მწუხრისა“ (121v—124r), „ჟამნი მცირე სერობისა“ (124v—125v), ჟამნი ხადილიანთა დიდთა მარხვათა შინა“ (125v— 130r), „წმიდა არსნი რვათავე ჴმათა ზედა“ (130r — 132v), „ოხითა იბაკონი მგზეფსისა“ (132v — 134r), „ოხითა იბაკონი აღდგომისა რვა ჴმანი“ (134r — 136v), „განგება მარხვათა და ზატიკთანი. ოხითა იბაკონი მეზვერისა და ფარისეველისა“ (136v — 142v), „საცისკრონი სახარებანი და ჴმანი თვითეულსა თვისსა, მოქცევისა მათისსავე ბზობის კვირემდინ («ჴმა სახარება» 143r — 144r), „სახარებანი ათერთმეტნი საცისკრონი“ (144r — 150v), „ლოცვა“ (150r—154v), «ლოცვა ანაზდად სიკუდილის ჴსნისა» (154v — 155v), «ლოცვა ჴელთა მტერთასა არა ჩავარდნისა» (155v — 156v).

2. გადამწერი ქაიხოსრო ბატონიშვილი თავისთავს იხსენიებს ლოცვების დასაწყისში (154v, 155v).

3. „იბაკონი წ˜სა ღ˜თისმშობელისა, რომელსა დაუჯდომელი ეწოდების. — ზეშთა მბრძოლისა ჩუენისათჳს და მოღვაწისა უძლეველისა, ვითარცა შენ მიერ ჴსნილნი განსაცდელთაგან...“ 158r — 168r.

შენიშვნა: 163 v-ზე მოხსენებულია გადამწერი: „...შენ შემიწყალე ცოდვილი ქაიხოსრო“ (163v).

4. [თვეთა მეტყველება] „თვესა სეკდენბერსა აქვს დღე **ლ**, დღეთა აქვს ჟამი **იბ** და ღამეთა აქვს ჟამი **იბ**. — თვესა სეკდენბერსა **ა** დაწყება ინდიკტიონისა, ესე იგი არს ახლისა წელიწდისა და ჴსენება ღირსისა მამისა ჩ˜ნისა სვიმეონ ალაბელისა...“ 176r — 238v.

შენიშვნები: 1. ერთვის ლოცვები: ა. „ლოცვა შემდგომად ძილად დაწოლისა“, ბ. „გმადლობისი, თქმული მაკარისი, ოდესცა ჸინდეს“, გ. „ლოცვა წ˜ა ღვთისმშობლის მიმართ სავედრებელი“.

წყდება: „...სახარება-სამოციქულო სამგზებსონი...“ (244v. ბოლო სტრიქონები არ იკითხება).

2. ხელნაწერის შემკულობა აღმოსავლური, კერძოთ, სპარსულ-არაბული სტილისაა. იგი გადაწერილ-მოხატული უნდა იყოს ირანში, როცა ქაიხოსრო [ლევანის ძე] ბატონიშვილი მსაჯულთუხუცესის თანამდებობას ასრულებდა შაჰის კარზე.

ანდერძი; „ქრისტე ღმერთო, შეიწყალე ცოდვილი ქაიხოსრო ბატონიშვილი. ქაიხოსრო (ხელრთვა შესრულებულია ჩვეულად, ტექსტის ხელით, 90v).

(1720) **4980**

ბასილი დიდი, სალმრთო ჟამის წირვა. XII

გრაგნილი (7 კეფი); 334,5 ⨯ 23,5; ეტრატი; დაზიანებული (დასაწყისში თავკაზმულობის ნაწილი წაჭრილია, კიდეები შემოცვეთილი, ზოგან ამოკვეთილია ილუსტრაციები); ნუსხური (სათაური და სტრიქონთა პირველი ასოები სინგურით). [XII ს.]; მოხატული: გრაგნილის თავსამკაულს წარმოადგენს ჯვარი კვარცხლბეკზე, რომელსაც უერთდება ჩარჩოს გვერდითი სვეტების საყრდენი ზოლი. ჯვრის მარჯვნივ და მარცხნივ გამოსახულია მთავარანგელოზები (მარცხნივ მდგომი ფიგურის თავი წაჭრილია). ჯვარი შემკულია წითელი და ცისფერი ხლართული ორნამენტით. ტექსტის თავსამკაულიც

ასეთივე ორნამენტითაა მოხატული. ჯვრის ჩარჩოსა და ტექსტის თავკაზმულობის შორის გამოსახულია ოთხი ფიგურა ნახევარ ტანით: იოანე ოქროპირის, გრიგოლ ღვთისმეტყველის, ბასილი დიდისა და წ~ა ნიკოლოზისა (დაზიანების გამო, დასახელებული ფიგურებიდან შემორჩენილია თმისა და წვერის, ნიმბისა და შესამოსლის კონტურები). გრაგნილის კიდეზე მოთავსებული ქრისტეს ორი წელსზევითა გამოსახულება (ერთი მათგანი ყრმობაში), ერთი მთელი ტანით (სამივე შემთხვევაში ქრისტეს ერთნაირი, სხვებისაგან განსხვავებული ნიმბი აქვს — ჯვრის გამოსახულებით), აგრეთვე, სამი ეპიზოდი ქრისტეს ცხოვრებიდან (ორი მათგანი ამოჭრილია). მე-4 კეფის კიდეზე გამოხატულია მიქელ მთავარანგელოზი. ხელნაწერი შემკულია დიდი ზომის მთავრული საზედაო, სტილიზებული ასოებით. მხატვარს გამოყენებული აქვს ლაჟვარდი, წითელი და ღია ყავისფერი, ეს უკანასკნელი კარგადაა შეხამებული ეტრატის ფონთან; შეძენილია პ. კარბელაშვილისაგან.

„სალმრთოჲ ჟამის წირვაჲ წმიდისა ბასილისი. — უფალო ღმერთო ჩემოჲ გარდამომივლინე მე ძალი მაღლით და განმაძლიერე მე მსახურებასა ამას შენსა...“

მინაწერები: XIV საუკუნის ნუსხურით:

1. „სულსა მელანიას შეუნდვნეს ღმერთმან, ამინ. მისს მეუღლეს მაჩურსსა შეუნდვნეს ღმერთმან“.

2. „ღმერთო, შეიწყალე კირილე ვითა (?) დედათა...“ (ამოფხეკილია).

3. „ამის მეორეთ მამცხოვლებულსა ღმერთმან შეიყ[...]ო დედათა და მამათა მისთა შეუნდვნეს ღმერთმან, ამინ“.

4. „ამისა მეორედა მამცხოვლებელსა ზაქარიჲსა შეუნდვნესა ღმერთმან; ვინცა მოგვიჴსენო შენდობით, თქვენცა მოგიჴსენოს ღმერთმან, ამინ“.

5. „ღმერთო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი ვირშელ“.

6. „ღმერთო და წმიდაო ბასილი, აცხონე და ადღეგრძელე ბა[ტონი] ვირშელი“.

7. „ღმერთო და სუწტო ცხოვ[ე]ლო, აცხოვნე ბ[ე]დაშვილი(?) ვირშელი“. (აქვე მიწერილია მხედრულით პ. კარბელაშვილის მიერ: „**ჩყპბ წ.**, მაისის **კგ**-ს“).

8. „უფალო ღმერთო ჩუწნო, კარგი წერა მასწავლე“ (I კეფის v).

შენიშვნები: 1. ტექსტი ალაგ-ალაგ გადასულია და გაცხოველებულია შემდეგში მუქი მელნით.

2. გრაგნილი დახვეულია ხის კონდაკზე.

3. ხელნაწერზე დასმულია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თარიღიანი ბეჭედი: „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება 1879.“

(1721) **4981**

კონდაკი. XIV — XV

გრაგნილი (5 კეფი); 250 × 20; ეტრატი (უხეში); თავნაკლული, დაზიანებული (პირველ კეფს კიდეები ღრმად აქვს შემოხეული; ნაწერი გადასულია და ტექსტი ძნელი გასარჩევია, ზოგან სრულიად არ იკითხება); ნუსხური; [XIV — XV სს.]; შეძენილია პ. კარბელაშვილისაგან.

[კონდაკი]...„კეთილმსახურისა და ღთ~ივ დაცულისა მეფისა ჩნ~ისა და ყოვლისა პალატისა და მეოჴად მათ ყრმებისა მათისათჳს უ~ო...“ (მეოცე სტრიქონიდან).

შენიშვნა: პირველი კეფის v-ზე ნაწერი გადაფხეკილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(1722) **4982**

ლოცვანი და განზრახვანი (კათოლიკური). 1739

01 + 101 ფ.; 11 × 7; ქაღალდი; ხის ტყავგადაკრული ტვიფრული ყდა; დაზიანებული; ნაკლული (ყოველი გვერდი ჩასმულია მწვანე ფერით შემოხაზულ ჩარჩოში, რომელთაგან ტექსტის მეტი წილი ამოცვენილია, ზოგი მათგანი დაკარგულიც (ფფ. 42, 96, 97, 98, 99); ნუსხური (სათაურები სინგურით); 1739 წ. (90r); ხელნაწერში ჩაკრულია ღვთისმშობლის გამოსახულებანი, ამოჭრილი ნაბეჭდი წიგნიდან (01v, 44v), და ჯვარცმის სიმბოლიური გამოსახულება (68v); მთარგმნელი იტალიურიდან სომხურ ენაზე პეტრე მოძღვარი ტფილისელი, სომხურიდან ქართულად კი—იოანე ჯამბაკურ-ორბელიანი და მესხი დავითი (1r); დაუწერელია: 68r, 89v, 101r-v; შეძენილი პ. უმიკაშვილისაგან.

1. „აქა იწყებიან პირუმლნი შვიდნი განზრახვანი. გაზრახვა პირუმლი. — გან-უკვე-იზრახე ჵ, სულო ჩემო, ჟამი იგი რომელთაგან იწყე შეცოდებად და იხილე, თუ ვითარ მ̃რ დღითგან ვიდრე აქამომდე განმრავლდეს თანა-[ნა]დებნი შენი...“ 7r — 77r.

2. „სწავლანი ამის კეთილად საგონებელთა ლოცვათანი, თუ ვითარ ჯერ-არს. — სვინიდისით ლოცვანი ესრეთ ჯერ-არს, რათა პირუმლად ვისწაოთ გონებისა ლოცჳსა კეთილად შეწირვა და გამოვაჩინოთ სხვაჲ და სხვჲობა ლოცვათა...“ 77v — 86r.

3. „ლოცვა გონებისა განხილვისა, ლათინელთა განკარგვათაგან, ახლად თარგმნული სომხურისა ენისაგან ქართულად მე-7 იოანე ორბელიანისაგან ქრისტეს აქათ 1739. — შორის სულიერისა წურთილებისა, რომლითაცა კაცნი კეთილმსახურნი ილვწიან წმიდად დაცვად თავისა თვისისა წინაშე ღ̃ჲ...“ 90r — 92v.

4. „სიტყული მთარგმნელისა. — იმეცნე ჵ ალმომკითხველო: არა ეკალთაგან მოისთლვიან ყურძენი, არცა კუროს თავთაგან ლეღჳ. ბრძნობჲ არს ჭეშმარიტი ჩ̃მბრსა ეკალთაგან შეშთობილსა ზედა. გარნა ნაღვაწი ესე ჩემი უტკბილეს ყურძნისა და უგემოვნეს ლეღჳსა არს...“ 93r — 100v.

მთავრდება: „...რამეთუ მეცა შვილი ვიყავ მამისა და საყვარელ დედისა, ვიხილე სოფელი და ვითარცა სარბემან ხატი თჳსი მიმრიდა, არღა მოიხსენა და არცაღა იცნა ადგილი თჳსი. და ჯერეთ კვალად სოფელსა შინა ვ̃რ, არამედ უწყი ჭეშმარიტად, რამეთუ ამაოება ამაოთ[ა?], ყოველივე ამაო არს, და ესევითარი მკვიდრ და წარუვალ. შენდობისა მოქენე ზემოცა ჴსენებული მიწა მიწისაგანი მეშჳდე იოანე ჯენბაკურ-ორბელიანი“.

შენიშვნები: I უძღვის: 1. [წინასიტყვაობა «თქმული ფრანცისკო სილეზელისა»] „წიგნი ლოცვათა განზრახვათასა, კლიტენი მხურვალედ ქმნულნი, რომელნი განახმენ გულისა კართა დაჴშულსა ცოდვათა... თარგმნილი პეტრეს მიერ მოძღურისა ტფილისელისა იტალიურის ენისგან სომხურად და სომხურისა ენისგან ვიდრე მესამედ განზრახვამდე... ზედა მეშვიდე იოანე ჯენბაკურიან-ორბელიანისაგან და მისსა ქვემორე, ვიდრე ბოლომდე მესხი დავითისაგან, კვალად ქართველის. —

ჳმაჲ ჰყავ ჵ საყვარელო ალმომკითხველო, რამეთუ წიგნსა ამას ეწოდებიან კლიტენი და განსაჴმელნი ცოდვათა მიერ დაჴშულთა გულთანი... და რომელნიცა ცოდვილნი არა განიხმენ გულთა თჳსთა, მათთჳს განიხმიან ბჭენი ჯოჯოხეთისანი. არამედ მნებავს არა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ მხოლოდ მეცნიერთა, არამედ უმეცართაცა და უსწავლელთაცა კაცთა ირგონ წიგნისა ამის მიერ. ხოლო აწ უკეთუ ვინმე მჴურვალებისა განსაღებელი მიიღოს, ჯერ-არს პირველად ვთქ῀თ აღსაშენებელად მათდა პირად-პირადნი სარგებელნი და საქმარნი მათნი“ (1r — v).

2. «...თქმული ფრანცისკო სილეზელისა», „თავი პირუწლი დასაწყისი. — ხოლო აწ ვინათგან უკუჱ მოკლედ ქ῀ლყოფილი ესე მეტყუწლებს ლოცვისა და მჴურვალებათათჳს, ამისთჳსცა კეთილად შევრაცხე მოკლედ თქმად ნაყოფისა ამის...“... აქა დაესრულა თქმული ფრანცისკო სილეზელისა“ (2r — 4r, უკანასკნელი სტრიქონი სინგურით).

3. [განმარტება გულისზრახვათა ლოცვისა], „ხოლო აწ შეუდგეთ წ῀სა პეტრესა, რომლისგან ვიუწყოთ წიგნისა ამის თარგმანი. აქა, რომელ გიცს კითხვად ჩემდა და რქმად, თუ რომლისა შუამდგომლობითა ანუ რომლისა სახითა უძლო მოგებად უსასყიდლოსა ამის საუნჯისა...“ (4r — 6v).

II. ხელნაწერის გაშლილ ფურცელზე, ორნამენტით მოხატულ წრეში, მოთავსებულია იესო ქრისტეს საქმეთა და ცხოვრების ეპიზოდთა 24 დასახელება: „1. ზიარება განაწესა, 2. უქადაგა მოწაფეთა, 3. მტილსა შინა შევიდა ლოცვად...“ წრის გარშემო წარწერილია: „წ῀ჲ აგვისტინე იტყჳს: სრულიად გულსა შინა ჩვენსა იესო განწონილ იყოს, რომელი ჩუწნთჳს სრულიად დამსჭვალულ იქმენ ჯვარსა ზედა“ (43v — 44r).

(1723) 4983

კატეხიზმო. XVIII

141 ფ.; 15,5 × 10,5; ქაღალდი, ტყავგადაკრული ხის, ტვიფრული ყდა; მხედრული (სათაურები სინგურით); ხელნაწერის მოხატულობას შეადგენს შავი და წითელი საღებავით შესრულებული ყვავილოვანი თავ-კაზმულობანი (1r, 91r, 106v, 112v, 130r, 131r, 134r, 138v); [XVIII ს.]; დაუწერელია: 19v, 21v — 22r, 86v. 141-ე ფურცელი დაკრულია ყდაზე.

1. «თარგმანება მრწამსისა» (კითხვა-მიგებით) „მრწამს. — აწ მოვიწიეთ თქმულთა ზედა სარწმუნოებისა ანუ მრწამსისა. პირველი სიტყვა ეგე მრწამს საზოგადო არს ყოველ სხვა თქმულზე...

ო[სტატი]: რა ძალი აქუს სიტყვასა ამას მრწამს? ...“ (6r — 90v).

2. „თარგმანობა(!) მამაო ჩვენოსი. — ო[სტატი]: ვისწავლეთ იგი, რომელი გვმართებს ჰრწმუნებად, აწ ვნატრობთ სწავლასა მისი (!), რომელი უნდა ვისასოოთ და ვინატროთ...“ 91r — 106v.

3. „თარგმანი გიხაროდენისა. — ო[სტატი]: თარგმანობის უკან «მამაო ჩვენოსი» ვნატრობ ცნობად თარგმანსა „გიხაროდენისა“... 107r — 112v.

4. „თარგმანი წ῀ა ჟამისწირვისა. — ო[სტატი]: მითარგმანე შემოკლებულად, რა ფერად წ῀ა ჟამისწირვა არს ერთი სიმოკლე ცხოვრებისა და სიკვდილისა მაცხოვრისა...“ 113r — 130r.

5. „თარგმანი სამოსთა მწირველისათა. — თავად მწირველი შემოსვილ სახე არს იესო ქრისტესი ვნებისა მიმართ წარსასვლელისა...“ 130v — 131 r.

6. „თარგმანი იაზმის წყლისა. — წმიდა კლემენტე პაპა სწერს, რომ წმიდა მათე მოციქულმან პირველად განაწესა იაზმის წყალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ო[სტატი]: რომელნი არიან სულიერნი ნაყოფნი იაზმის წყლისა?... 131r — 132v.

7. „თარგმანი ნაკურთხი ნაცრისა. — ო[სტატი]: ნაცრის კურთხევა რა არს?... 133r — 134r.

8. „თარგმანი ბზისა. — ო[სტატი]: რა მიზეზისთვის ბზა იკურთხევის?...“ 134r.

9. „დიდებათათვის. — ო[სტატი]: როდის განწესებულ იყვნენ დიდებანი?...“ 134v — 138v.

შენიშვნები: 1. უძლვის: ა. თავფურცელი: „თარგმანი მრწამსისა, მამაო-ჩვენოსი, გიხაროდენისა, წ͠ა წირვისა, იაზმის წყლისა, ნაკურთხი ნაცრისა, ნაკურთხი ბზისა, მირქმის სანთლისა და დიდებათა“ (1r). ბ. „წინზრახვა“ (2r — 6r). ერთვის ქარაგმების გახსნა—„თარგმანი პატივისა: ვ͠ა — ვითარცა, ყ͠დ — ყოვლად, ვ͠ე — ვიდრე...“ (139r).

2. წიგნი კათოლიკურია.

მინაწერები (სხვადასხვა მხედრულით): 1. „თვის ანგარიში. — იანვარი — 31, თებერვალი — 28...“ (139v).

2. ლოცვა: „მამაო ჩვენო, რომელი ხარ...“ (140r).

3. „1857 წელს, მარიამობის 28 დიდი ნიაღვარი მოვიდა ღამის სა[ა]თის ცხრაში ქალაქში“ (140v).

4. „ეს [წერ]ილი ეკუთნის მიხაილ სტეფანი[ს] ძე კაკალოვს“ (საცავი ფ-ლი).

5. „ეს წიგნი კუსი მათოსასი არის. ვინც წაიკითხოს, ერთი მამაო ჩვენო, ერთი გიხაროდენი უთხარით, ვინც(!) თვისი ცხონება უნდა“ (141r).

(1724) 4984

„დღიური რიგი საქრისტიანო ცხოვრებისა“. XVII

02 + 210 ფ. (424 გვ.); 17,3 × 13,3; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა (ჭიისაგან დაზიანებული. ჭიანაჭამია: ფფ. 01 — 02, 415—419); მხედრული (სათაურები სინგურით); [XVII ს.]; ხელნაწერი შემკულია ყვავილოვანი ბოლო კაზმულობებით (გვ. გვ. 54, 123, 169, 187, 194, 212, 233, 252, 318, 364, 378).

«დღიური რიგი საქრისტიანო ცხოვრებისა». „ა წილი განშორებისათვის ცოდვისა. — საყვარელო ქრისტიანო, იცოდე, ვითარმედ დასაბამი ქრისტიანი ცხოვრებისა არის განშორება ცოდვისა, და თუ გინდა აღშენება შენებისა(!) სიწმიდისა, პირველად გმართებს შენ დადება საძირკველისა, რომ[ელ] არს განშორება ცოდვისა...“ გვ. გვ. 1 — 415.

შენიშვნები: 1. კათოლიკური «საქრისტიანო ცხოვრების დღიური რიგის» შედგენილობა: „ა წილი განშორებისათვის ცოდვისა“ (გვ. 1 — 54); „მეორე წილი საქმისათვის ღვაწლთა“ (გვ. 55 — 124); „გ წილი ყოფისათვის დღიული [! დღიურ] საქმეთა“ (გვ. 124—187); „მეოთხე წილი სულიერნი სწავლანი დამარხვისთვის თვისი ყოფნისა (გვ. 188—252); „ე წილი პატივისცემისათვის ღ͠თისა და წმიდათა“ (გვ. 253 — 318); „შეძინება ლოცვისათვის“ (გვ. 319 — 324); „სწავლა პირის ლოცვისათვის“ (გვ. 324 — 415).

2. უძღვის: ა. თავფურცელი „დღიური რიგი საქრისტიანო ცხოვრებისა, ზოგადი სარგებლობისათვის ყოველთა ქრისტიანეთა“ (01).

ბ. „სადიდებლად მარიამისა, უმწიკულად მუცლად ღებულისა, ქალწულობრივ უუწმიდეს[ს]ა ღ͠თისმშობელსა დედასა, მშვენიერი სიყვარულისა და სასოებისა. — ღირსეულად შენ, ჵი ღთისმშობელო მარიამ, ეკლესია კათოლიკე გიძახის დედასა მშვენიერი სიყვარულისა და წმიდა სასოებისა..“ (02. ქვემოთ მოწერილია „შენი უმცირესი მონა“).

გ. „წინდამზადება გულისჴმისა წაკითხვისათვის ამ წიგნისა. — საყვარელო წამკითხველო, ამ წიგნის საბოლო არა სხვა რაჲ არს, ვირემც ერთი მოკლე რიგი საქრისტიანო სიცოცხლისა...“ (01v).

3. ურთვის საძიებელი (გვ. 416 — 420).

4. ესა და წინა ხელნაწერი (S-4984) ერთი ხელითაა გადაწერილი. საფიქრებელია, გადათარგმნილი იყოს იტალიური ენიდან არა ქართველის მიერ.

(1725) 4985

ლოცვები და გალობანი (კათოლიკური). XIX

57 ფ.; 10 × 8,3; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული; [XIX ს.]; ტექსტი ჩასმულია ჩარჩოში, დაწერილია ორ სვეტად; სათაურები და აბზაცების დასაწყისი ასოები შესრულებულია წითელი და მწვანე მელნით; დაუწერელია ფფ. 1 — 4. 25v — 57.

1. „იესოს ნანი არის. —

მოისვენე, მოისვენე
შვილო ჩემო საყვარელო,
ტკბილის ძილით დაიძინე,
გულს ნათელი დაიფინე
ნანი, ნანი...“ 5r — 7v.

2. „ლითანია იესოს. — კირიელეისონ ქრისტე ელეისონ; ქრისტე, ისმინე ჩვენი; ქრისტე, შეისმინე ჩვენი...“ 7v — 15r.

3. „გალობა ყოვლად წმიდის სიმწუხარეს ზედა. —

ჯვარსა თანა დგა ლმობილი დედა,
იგ ცრემლობილი, ძე ჯვარზე რა ეკიდა...“ 15v — 17r.

4. «ჯვარის თაყვანისცემის ლოცვა» „ერო ჩემო. — ერო ჩემო რაჲ გიქმენ შენ, ანუ რაჲ შეგაწუხე შენ, მარქუ მე...“ 17r—18v.

5. [ლოცვა იესოსადმი]. —

„ჯვარ სარწმუნო ყოველთ ზედა,
მხოლოდ კეთილ გვარისავ...“ 18v — 21r.

6. „მიწყალევ, მიწყალევ მე, იესოვ შენ შემიწყალე. —

აჰა მოვალ, მოგმართავ,
ფერხს ქვეშ დაგივარდები...“ 21r — 23r.

7. „გალობა. — დიდება მაღალთა შინა ღმერთსა და ქვეყანასა ზედა.. მშვიდობა, კაცთა შორის სათნოება, გიგალობებთ შენ...“ 23r — v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. „წ ი ნ ა ს წ ა რ მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ა ზ ა ქ ა რ ი ა ს ი, ლუკა თავ. 2, მუხ. 68. — კურთხეულ არს უფალი ღმერთი ისრაელისა, რამეთუ მოჰხედნა და ჰყო ხსნაჲ ერისა თვისისა...“ 24r — 25r.

წ ყ დ ე ბ ა: ...„და განიხარა სულმან ჩემმან ღმრთისა...“

(1727) 4986

იესოს ლოცვა. XIX

7 ფ.; 11 × 8,8; ქაღალდი; ნაბეჭდი წიგნის ფურცლებით შეწებებული ყდა (ამჟამად, ჭიისაგან დაზიანების გამო, დაშლილი); მხედრული; [XIX ს.]; ფ. 1 (საცავი) დაუწერელია.

«ი ე ს ო ს ნ ა ნ ი». „იესოს ლოცვა. —

მოისვენე, მოისვენე შვილო ჩემო საყვარელო,
ტკბილის ძილით დაიძინე, გულს ნათელი დაიფინე
ნანი, ნანი...“ 2r — 6r.

შენიშვნები: 1. ერთვის: „შ ო ბ ი ს ლ ო ც ვ ა. — კურთხეული იყოს, ჭი ქალწული მარიამ, ის ჟამი, რომ შეიქმენ დედა ღუთისა...“ (6v — 7r).

2. კუთხოვან ბრჭყალებში მოთავსებული სათაური აღებულია ხელნაწერიდან S — 4985.

3. «იესოს ნანი» მიეწერება მარიამ ღვთისმშობელს (იხ S: 4987, გვ. 36v). ეს ხელნაწერიც კათოლიკურია.

(1727) 4987

ლოცვები (კათოლიკური). XVIII

36 ფ.; 11,5 × 8; ქაღალდი; ფერადი ქაღალდის გარეკანი; დაზიანებული (ფფ.-ს 1, 16 ტექსტის ნაწილი მოხეული აქვს); თავ-ბოლონაკლული; მხედრული; ხელნაწერში ჩაწებებულია წ῀ა ელისაბედისა (17v) და იესოს ყრმობის (24v) ფერადი გამოსახულებანი, ამოჭრილი ნაბეჭდი უცხოური წიგნიდან; [XVIII ს.].

1. [ლ ო ც ვ ე ბ ი ს ა ი დ უ მ ლ ო ს ი ხ ა რ უ ლ ი ს ა ნ ი, დ ი დ ე ბ ი ს ა ნ ი დ ა ვ ნ ე ბ ი ს ა ნ ი].—„...ერთი „მამაო ჩვენო“ და ა[თი „გ]იხაროდენი“ ვთქვათ და ვ[იფიქრ]ოთ, მეორე საიდუმლო [სიხ]არული ყოვლად წმიდისა სავარდე...“ 1r—13r.

2. „ლ ი თ ა ნ ი ა ყ ო ვ ლ ა დ | წ მ ი დ ი ს ა. — კირიელეისონ, ქრისტე ელეისონ. ქრისტე, ისმინე ჩვენი. ქრისტე, შეისმინე ჩვენი...“ 13v — 17r.

3. „გ ა მ ო ც ხ ა დ ე ბ ა წ῀ა ე ლ ი ს ა ფ ე თ ი ს ა (!) დ ა პ რ ი ჭ ი ტ ა ს ი (!) იმავე სატანჯველითა თვისითა ქრისტეს. — წმიდა ელისაფეთ და პრიჭიტია მდომით შე[ე]ტყოთ დიდის სიყვარულით სატანჯველი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი...“ 18r—24r.

4. „ს უ ლ ი ს ა ნ დ ე რ ძ ი, ესე იგი წ῀ა ზიარების უკან სათქმელი. — იესო ქრისტე წ῀ა სახარებაში გვაფთხილებს ასრე, რომ მუდამ მზათ ვიყოთ, ამიტომ რომ არ ვიცით, თუ როდის იქნება ჩვენი სიკვდილის დრო“... 25r — 31v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. „ესე პატარა ლოცვები სინანულით უნდა თქვას. — მიწ[ყ]ალე მე ღმერთო, დიდითა წყალობითა და მრავალი მოწყალებითა შენითა ახოცენ უშჯულოებანი ჩემნი...“ 32r — 36v.

6. «იესოს ნანი». „ყოვლად წმიდა მარიამისა ღ̃თისმშობლის ნაბრძანევი არის. —

მოისვენე, მოისვენე შვილო ჩემო საყვარელო,
ტკბილის ძილით დაიძინე, გულს ნათელი დაიფინე,
ნანი, ნანი, ნანი, ნანი...“ 37r.

წყდება: „...ძეო მამის გაუყრელო, ზეცით მოსულო ნათელო“...

შენიშვნა: ეს შეწყვეტილი ტაეპი დასაწყისს უშუალოდ აგრძელებს, სხვა ხელნაწერებში (S : 4985, 4986) კი იგი („ძეო მამის გაუყრელო“) V სტროფის პირველ ტაეპადაა წარმოდგენილი.

(1728) 4988

კრებული. XVII—XVIII

305 ფ.; 28,5 × 20,5; ქაღალდი; მუყაოს ყდა (ახლად რესტავრირებული); თავ-ბოლონაკლული; მხედრული (სხვადასხვა ხელით; სათაურები და სტროფების დასაწყისი სიტყვები სინგურით); [XVII—XVIII ს.]; ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკიდან.

1. შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი ვრცელი რედაქციისა.—
[„რაცა ვი]ს რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს [და] მას უბნობდეს,
[მ]უშა მიწყივ მუშაობდეს, მეომარი გულოვნობდეს...“ 1r — 199v.

შენიშვნა: პოემის ტექსტი ჩანართსა და დანართ სტროფებს შეიცავს (იხ. ვეფხისტყაოსანი ჩანართი და დანართი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ს. იორდანიშვილმა, 1948; ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, 1963, გვ. 123).

2. [ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, ომაინიანი], „ამბვისა დასაწყისი, რომელი მიერითგან მოიღოს სიტყუამან მოხსენებად. —

დიდება შენდა, დიდება ღმერთო, ყოვლისა მპყრობელო,
ჩვენ ულირსთაგან უცნობო, ენითა მიუთხრობელო...“ 200r — 284v.

შენიშვნები: ა. „ომანიანის“ 3 უკანასკნელი ფურცელი დაწერილია სხვა ხელით, სხვა ქაღალდზე.

ბ. ბოლოში ამ თხზულებას ერთვის ლექსი:

„კარგი მელექსე თჳთოსა კარგთ კაცთა მაქებარია,
ფირდაუსტ (!), როსტომ მტერზედა ვით ტრედზედ მაღლით ბარია...“ (284v.

იხ. ე. თაყაიშვილის „Описание“, II, გვ. 696).

გ. თხზულება გამოცემულია, იხ. ქაიხოსრო, ომანიანი, გ. ჯაკობიას რედაქციით, 1937.

3. [იოსებ-ზილიხანიანი] „კარი პირველი, ამა ამბისა დასაწყისი მიჯნურთ ამბავი, სპარსულისაგან ქართულად ნათარგმანები მეფისა თეიმურაზისაგან და ლექსადაც მისგანვე თქმული, სუფევითამც ყოს ღმერთმან ამინ.—

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებით ვიტყვი ცნობილსა, სამებით ერთუფლებულად,
ბუნებით განუყოფელად, ღვთაებით შეერთებულად...“
285r — 305v.

წყდება: „..და ვითა მართებს ხელსა გაჭრა, სოფლით მივა კარგა(!) უსულად...“

(თეიმურაზ I, თხზულებათა სრული კრებული, ალ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით, 1933, გვ. 82, სტრ. 183).

შენიშვნა: ხელნაწერი აღწერილი აქვს ე. თაყაიშვილს, Описание, II, გვ. 695 — 697.

(1729) 4989

კრებული. 1821

22 ფ.; 30,5 × 21,2; ქაღალდი; უყდო (ფფ.-ს 5 — 8 ქვედა კიდე შემოღრღნილი აქვს; ფფ. 16 — 17 ამოვარდნილია); მხედრული (სათაურები მთავრულით, სინგურით); ხელნაწერის შემკულობას შეადგენს თავკაზმულობა (2r) და მხატვრულად, სინგურით შესრულებული საზედაო ასოები; 1821 წ. (10r, 21v); გადამწერი იოსებ იაშვილი (10r, 21v) დაუწერელია. 1r — v, 13v, 15v, 22r — v; ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკიდან.

1. «ანტონ კათოლიკოსი I», „საქართველოჲსა მეფეთა შთამომავლობათათჳს. — მისსა მაღალ მსვლელობასა ღენარალ მაეორს ივან ლეოვიჩს, ყიზლარის კომენდატს ფრუნდორფს მე, ულირსი ანტონი კატოლიკოსი (!) სრულიად საქართველოისა, მოვახსენებ მათგან ბრძანებულისამებრ თხოვისა, რომელიცა დალათუ მრავალ განსაცდელ შემთხვევისაგან დავიწყებით სახელნი მეფეთა საქართველოისათანი თვითო თვითოდ არლარა მახსოვან, მაგრა სახელოვანთა მეფეთა სახელნი ანუ გარდაცვალებანი მეფეთა გვართანი და ან განყოფანი ნათესავთანი სამ სამეფოდ...“ 1r — 10r.

2. «დავით რექტორი, საქართველოს მეზობელ მხარეთა აღწერა» — „მე, უმცირესი ვინმე ძე ალექსანდრესი [! ალექსისა] და თელავის ქალაქისა სემინარიის რექტორი დავით მოვახსენებ მებრ თხოვისა მათისა და რომელთამე საქართველოჲსა მეზობელთა მჴარეთა ადგილთა ამის უკუჱ წერილითა აღვწერ ღეოღრაფიურებ, რომელ არს ინსტრუქცია.

აღწერა ახალციხისა. — ახალციხის ქვეყანა, რომელიც არის ქართლის ქვეყანისა ნაწილი ერთი, რომელიცა უჭირავს ახლა ხვანთქარსა...“ 10v—13r.

შენიშვნა: ძეგლი გამოცემულია ორჯერ: პროფ. ალ. ცაგარლის მიერ (Грамоты, ტ. I), აგრეთვე, პროფ. ლ. მელიქსეთბეგისგან: დავით რექტორი, საქართველოს მეზობელ მხარეთა აღწერა, 1936.

3. ეპისტოლე ავგაროზ მთავრისა ქალაქსა ედესიისასა, რომელი მიუწერა უფალსა ღმერთსა ჩვენსა იესო ქრისტესა და წარსცა ანანიას მიერ მოციქულისა იერუსალიმს. — ავგაროზ მთავარი ქალაქისა ედესიისა ფესოს მაცხოვარს, სახიერსა მეუფესა გამოჩინებულსა ქალაქსა იერუსალიმისასა გახარებ...“ 14r — 15r.

4. [სწავლა სულისათვის]. — „ყოველთა ქრისტეს მორწმუნისა ერისა ვალი გვაქვს, რომ მარად [დ]ღე თქვენის სულის სარგებელს გასწავლიდეთ...“ 16r-19r.

5. «პუბლიო ლენტულოს ეპისტოლეს პირი ტიბერიის იმპერატორის მიმართ», „პირი წიგნისა, წარვლინებულისა იერუსალიმით ტიბერიოს იფარატორისა (!) მიმართ ფუბლიო ლენტულო ჰურიასტანისა მთავრისაგან, მოკლედ ჰამბავნი იესო ნაზარეველისადმი. ხოლო ეპისტოლე ესე დაიმარხვის ჰრომს ბატონთა კესარიელთა მონასტერსა შინათა წიგნისა საცავთა, ხოლო ლათინურისაგან ენისა გარდმოღებულ ფილიპპეს ვისმე ლათინთა ხუცისა. — სათნო ყოფად საძიებელისა თქვენისა მოგახსენებ, ჵ კეისარო! და არს დროსა ამას მთავრობისა ჩემისასა სამთავროსა ჩემსა კაცი ვინმე, რომელსა ჰქვიან იესო ქრისტე...“ 19r—v.

6. „ისტორია საქართველოისა აღწერილი ფრანციცის ლენარალ კარლოს მიერ, ხოლო თარგმნილი ფრანციცულით რუსულად უფლის პროთრევთისაგან; ხოლო რუსულით ქართულსა ენასა ზედა თარგმნილი თავადის თარხანოვისაგან წელსა 1782.

დაწყება პირველი საქართველოჲს ვითარებისათვის, თავი მოთხრობისა. — საქართველო არს ფრიად კეთილი ადგილი, გარნა ტყიანი, კლდიანი, მთა-ბარიანი. მუნ არს ფრიად მრთელი ჰაერი, წყალნი არიან ფრიად მარგებელ...“ 20r — 21v.

შენიშვნები: 1. ამ თხზულების ავტორისა და მისი შემცველი ხელნაწერების შესახებ იხ. ტ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან XVI — XVIIIსს; 1960, გვ. 235.

2. ხელნაწერი აღწერილი აქვს პროფ. ექ. თაყაიშვილს თავის Описание-ში“, ტ. II, გვ. 692 — 694.

ანდერძები: 1. „აღმწერი ამა წიგნისა ისტორიისა იოსებ იაშვილი. ვითხოვ შეცთომის მოტევებასა. **ჩყკა** წელს“ (10r).

2. „აღიწერა ჴელითა მღვდლის იოსებ იაშვილისათა **ჩყკა** წელსა“ (21v).

(1730) 4990

ბაგრატიონი ვახუშტი. ისტორია საქართველოისა. 1815 — 1816

330 ფ.; 34 × 22; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფრული მუყაოს ყდა (ზედა — მორღვეულ-მოცილებული); მხედრული (სათაურები და საზედაო ასოები მთავრულად, სინგურით. ზოგიერთი სათაური შესრულებულია მხატვრულად ხვეული მთავრული ასოებით, 16r, 221r, 270r); 1815 — 1816 წ. (14r, 329v); გადამწერი მღვდ. დავით ინანაშვილი (329v); ადგილი ბაქო (14r, 329v); დაუწერელია 1r — v, 313r — 314r, 330r — v, შემოწირულია ანტონ ფურცელაძის მიერ.

ვახუშტი ბაგრატიონი, „ცხოვრება და შთამომავლობა ქართველთა, რომლისა გამო ეწოდა წიგნსა ამას ცხოვრება ქართლისა. —

ნოეს ძისა იაფეთის თესლისაგან, ვიდრე ქართლოსისა და ძმათა მისთამდე, და განყოფილებანი მათნი და ძეთა მათთა.

აწ (ზნეთათჳს) ვიწყოთ ძველიდამ ახლამდე საქართველოჲსათა ზნეთა და ჩვეულებათა და წესთა მათთა პირველ განყოფილებისა და შემდგომად განყოფილებისა, რამეთუ წესი მთავრობათა საქართველოჲსათა არიან დასაწყისითგანვე, ვითარცა ვიუწყებთ...“ 16r — 302r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნები: 1. უძლვის: ა. „ზანდუკი წიგნისა ამის საქართველოს ცხოვრებისა ანუ ისტორიისა... განყოფილნი მებრ ლექსიკონისა და უსხედთ მათ რიცხვნი საძიებელნი...“ 2r — 13v.

ბ. თავფურცელი: „ისტორია გეორგიისა ანუ ყოვლისა საქართუწლოჲსა, ქმნილი ვახუშტის მიერ ბაგრატოვანისა, ძისა ვახტანგ მეფისა“ (15r).

გ. ერთვის: „ქორონიკონები ჩვენ მიერ პოვნილი წიგნებსა შინა...“ (ტაბულებით. 302v — 326r).

დ. „სომხითის სოფლები ქრისტიანეთა და თათრების ობა. ალალაჯში ობა 20:

1. ხოჟორნის ჭეობა.—ხოჟორნა — 1; 2. ბელი ქაშენი. — 2; 3. ტეფური—3; 4. წოფა — 4; 5. ახტალა — 5...“ (326v — 329v).

2. ნუსხაში ცნობები ერეკლე II-ის შესახებ შევსებულია ონანა მდივნის [ხერხეულიძის] თხზულებიდან „შემოკლებული ისტორია ცჴებულის მეფის თეიმურაზისა და ძისა მისისა მეფის ირაკლი მეორისა“. იხ. ექ. თაყაიშვილის „Описание“, II, გვ. 675 — 676.

3. ხელნაწერში ჩართულია ფერებით შესრულებული ქართველთ მეფეთა გენიალოგიური შტო: „საქართველოსა ანუ ივერიისა ჩამომავლობა თუ ვისის ტომისაგან არიან მეფენი მათნი ბაგრატოვანადმდე, ამა წინამდებარისა ხითა იცნობების პირველის მეფის ფარნავაზიდამ, ვიდრე მირიან ხოსროვანისამდე და მერმე მირიანიდამ ბაგრატოვანამდე და ბაგრატოვანიდამ, ვიდრე რუსეთის მპყრობელობადმდე“ (239r).

4. ვახუშტის საქართველოს ისტორიის პირველი ნაწილი გამოცემულია დ. ბაქრაძის მიერ, 1885, თბილისი; მეორე ნაწილი — ქართლის ცხოვრება — დ. ჩუბინაშვილის მიერ ს-პბ. 1854; ზაქ. ჭიჭინაძისგან — ისტორიული საბუთები ვახუშტის ისტორიისა, 1913, თბილისი.

ანდერძები: (გენიალოგიური შტოს გადმომღებისა და გადამწერისა):

1. „ეს ბაგრატოვანთ ნათესავთ ჩთამომავლობა(!), ვიდრე თჳსადმდე შესთხზა განსვენებულმან მეფემან ვახტანგ, ძემან ლევანისამან, რაჟამს განაგებდა ქართლსა ბიძისა თჳსისა გიორგი მეფისა წილ. არამედ არა იყო მას ზედა ქართლოსიანთა და ხოსროვანთა შთამომავლობა და არცა იმერთა და კახთა მეპატრონეთა. ხოლო ჩვენ ქარტისა ამისთჳს ესრეთ ვჰყავით, ვითარცა არს წინამდებარედ ამას შინა ქორონიკონთა მოწმობითა, ესრეთ ძალ-ვიდევით; და თუ ვინმე ჰელჰყოფს სხჳსა უმართლესად და უმჯობესად ქმნად მოწმობითა და ქორონიკონითა, ჩვენ არა ვართ დამაყენებელ და არცა წინააღმდგომ, ვინაჲთგან სიმართლე და ჭეშმარიტება გზა არს სასუფეველისა...

ესე ქარტა დახატულ იქმნა ბაქოში წელსა 1822-სა, ფებერვლის 22-სა შესრულდა“ (239r. იხ. S — 2502 და ვახტანგის ავტოგრაფი ხსენებული გენიალოგიისა Q-884).

2. „ვიწყე ოკდომბრის 6 ბაქოში, წელსა 1815“ (14r).

3. „სრულ იქმნა ბაქოში წელსა 1816-სა, თთუჱსა იულისსა 26-სა, დიდება ღმერთსა ყოველთა სრულმყოფელსა, ჴელითა მღუდლის დავით ინანაშვილისათა, მკითხუჱლთაგან შენდობის მოქენისათა“ (329v).

მინაწერები: 1. „ბაქოში: 1816-სა წელსა, ოკდომბრის 19-სა დღესა, შუაღამითვან დაწყებასა მესამის ჟამისასა, რომელ განთენდებოდა პარასკევი, დაიბადა პატარა დიმიტრი ბაქოში.

1823-სა წელსა, ოკდომბრის 9-სა, დღესა სამშაბათსა, შუადღითგან მეხუთესა ჟამსა დღისასა დაიბადა პულაგია ბაქოში.

ჩინახჩაში: 1825-სა წელსა, სეკდემბრის 13-სა, დღესა სამშაბათსა, შუადღითგან მესამესა ჟამსა დღისასა დაიბადა სოფია ყარაბახის ჩინახჩაში.

1829-სა წელსა, მაისის 14-სა, დღესა სამშაბათსა ტფილისში დაიბადა კონსტანტინე შუადღითგან მეთორმეტე საათზედ“ (14v).

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. „ჩყმბ წელსა, აპრილის კ რიცხვსა იყიდა დედაკაცი თ ი ნ ა თავისის სამის შვილით შ ა ლ ვ ა ე რ ი ს თ ვ ი ს შ ვ ი ლ ი ს ა გ ა ნ ე კ ა ტ ე რ ი ნ ე ... (გვარი ამოფხეკილია; ცორზაცის v).

(1731) 4991

ცხოვრება წმინდანთა. 1845—1852

(საწელიწდო საკითხავები)

1995 ფ.; 35,5 $\times$ 22; ქაღალდი; უყდო (მუყაოს ყდაში ზის მხოლოდ დეკემბრის თვე); შეკერილი ათ წიგნად თვეების მიხედვით; ნაკლული (აკლია სექტემბრისა და თებერვლის თვეები მთლიანად, მაისისას — ორი რვეული დასაწყისში. ფფ.-ს 848—853 შემორჩენილი აქვს ქვედა კიდე ტექსტის უმნიშვნელო ნაწილით, დაკარგულია ივლისის თვის ბოლოც); ოდნავ დაზიანებული; მხედრული (სათაურები მთავრულით); 1847 — 1852 წწ. (15r, 163r, 407v, 688v, 934v, 1121v, 1129r, 1267r, 1445r, 1457r, 1665v); გადმოთარგმნილია რუსული ენიდან და გადაწერილი მღვდლის დავით ინანაშვილის მიერ (2r, 3r, 163r, 688v, 934v, 1129r, 1145r, 1665v); ადგილი დედლფლის წყარო (3r); დაუწერელია: 16rv, 163v, 166r — 170v, 690v — 692v, 694r — 703v, 1269v — 1272v, 1445v, 1447r — 1451r, 1454r — 1456v, 1606v — 1607r, 1667v — 1670v, 1819r — 1828v, 1992v — 1995v; შემოწირულია ანტონ ფურცელაძის მიერ.

«წ ი გ ნ ნ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა თ ა წ მ ი დ ა თ ა ნ ი ა თ ო რ მ ე ტ ნ ი თ თ უ ჱ ნ ი». 1. «თ თ უ ჱ ს ა ო ქ დ ო მ ბ ე რ ს ა ა, ს ი ტ ყ უ ა ს ა ფ ა რ უ ჱ ლ ს ა ზ ე დ ა ყ ო ვ ლ ა დ წ მ ი დ ი ს ა დ ე დ ო ფ ლ ი ს ა ჩ უ ჱ ნ ი ს ა ღ მ რ თ ი ს მ შ ო ბ ე ლ ი ს ა. — უკანასკნელთა ბოროტთა დროთა შინა, ოდეს განმრავლდენ ცოდუანი ჩუჱნნი, განმრავლდენ ჭირნიცა ჩუჱნ ზედა, ვითარმედ აღესრულნენ სიტყუანი წმიდისა პავლესნი: ჭირნი ავაზაკთაგან, ჭირნი ნათესავთაგან, ჭირნი წარმართთაგან, ჭირნი ქალაქებთა შინა, ჭირნი უდაბნოთა შინა, ჭირნი ზღუათა შინა, ჭირნი ძმათა მტყუართაგან; ოდეს აღესრულნენ სიტყუანი თავადისაცა უფლისა, აღსდგეს ნათესავი ნათესავსა ზედა და მეუფებასა ზედა; და იყუნენ შიმშილნი და სურანი და ძურანი ადგილითი ადგილად... (**ბ** კორინ. **ია**, მუხ. კვ.; მატთ. **კდ**, მუხ. **ზ.**)“ 17r — 163r.

შენიშვნები: 1. მსოფლიო წმინდანთა ცხოვრება-ხსენებანი ამ თხზულებაში განლაგებულია წლის ყოველ თვესა და დღეზე. გარდა ზემოთ მოტანილისა, ო ქ ტ ო მ ბ რ ი ს პირველ დღეს აღწერილია: „წ ა მ ე ბ ა წ მ ი დ ი ს ა მ ო ც ი ქ უ ლ ი ს ა ა ნ ა ნ ი ა ს ი“ (20r — 21r) და „ჴ ს ე ნ ე ბ ა ღ ი რ ს ი ს ა რ ო მ ა ნ ო ზ ტ კ ბ ი ლ ი ს ა მ გ ა ლ ო ბ ე ლ ი ს ა“ (21r — 22r).

ამავე თვის დანარჩენ დღეებზე წარმოდგენილია 82 წმიდანის ცხოვრება-ხსენებანი.

2. მთარგმნელის შენიშვნა: „წიგნი ც ხ ო ვ რ ე ბ ა წ მ ი დ ა თ ა, თ თ უ ჱ ო ქ დ ო მ ბ ე რ ი უგულსმოდგინესად და უსარწმუნოესად, უწინარეს დაბეჭდილისაგან წმიდასა, დიდსა, საკჳრველთმოქმედსა კ ი ე ვ ო-პ ე ჩ ე რ ი ს ლ ა ვ რ ა ს ა შინა წელსა ჴორციელად შობათგან ღმრთისა სიტყჳსა **ჩღ**, და **ჩღივ**, დაიბეჭდა მეათორმეტითა დაბეჭუდითა სამეუფოსა დიდსა ქალაქსა მ ო ს კ ო ვ ს, სტამბასა შინა სჳნოდისასა, წელსა დასაბამითგან სოფლისათა ჭტმჱ, ხოლო შობითგან ჴორციელად ღმრთისა სიტყჳსა **ჩყმ**, ინდიქტიონსა **იგ**, თთუჱსა იუნისსა, ხოლო ქართულსა ზედა აწ პირველად გარდმოღებულ იქმნა მღუდლის დ ა ვ ი თ ი ნ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს ა გ ა ნ, **ჩყნ**“ (15r).

3. ერთვის: „თხზულებანი ანბანთა ზედა სახელთა წმიდათა ღმრთისათა, რომელთა ცხოვრებანი, წამებანი და ჳჴსენებანი იპოებიან წიგნსა ამას შინა ოკდომბრის თთჳსასა“ (164r — 165r).

2. „თთუჱსა ნოემბერსა ა ცხოვრება და საკჳრუჱლება წმიდათა უვეცხლოთა მკურნალთა კოსმა და დამიანესი. — ესე წმიდანი კოსმა და დამიანი ძმანი იყუნენ ჴორციელნი, ნათესავით ასიით. მამა ესუათ ელლინი და დედა ქრისტიანე, სახელით თეოდოტია...“ 171r — 407v.

შენიშვნა: ნოემბრის თვეში შეტანილია 86 წმიდანის ცხოვრება - ხსენებანი და შესხმანი.

3. „თთუჱსა დეკემბერსა ა ჳხსენება წმიდისა წინასწარმეტყუჱლისა ნაომისა. — წმიდა წინასწარმეტყუჱლი ნაომ იყო ელუკესითგან, რომელი არს წიაღ იორდანისა, პირისპირ ველარისა, ტომისაგან სჳმეონისა. ამან შემდგომად წინასწარმეტყუჱლისა იონასა, უწინასწარმეტყუჱლა ნინეველთა, რამეთუ ქალაქი მათი წარსწყმდების წყლითა და ცეცხლითა... (წმიდა ეპიფანე და წმიდა დოროთეოს ტჳრელი)“ 408r — 688v.

შენიშვნა: ერთვის: „თხზულებანი ანბანთა ზედა სახელთა წმიდათა ღმრთისათა, რომელთა ცხოვრებანი, ტანჯუანი და ჴსენებანი იპოებიან ამას წიგნსა შინა დეკემბრის თთჳსასა“ (689r — 690r).

წარმოდგენილია 143 დასახელება.

4. „თთუჱსა იანუარსა ა სიტყუა წინადაცუჱთისათჳს უფლისა. — უფალმან ჩუჱნმან იესო ქრისტემან, აღესრულნეს-რა რუანი დღენი შობითგან მისით, სათნო იჩინა თავსდება წინადაცუჱთისა...“ 704r — 934v.

შენიშვნები: 1. იანვრის თვის პირველ დღეს, გარდა ზემოთ მოტანილი სიტყვისა, იკითხება: „ამასვე დღესა ცხოვრება წმიდათა შორის მამისა ჩუჱნისა ვასილი დიდისა კესარიელ კაპადოკიის არხიეპისკოპოსისა“ (706r — 719v).

2. ერთვის: „თხზულებანი ანბანთა ზედა სახელთა წმიდათა ღმრთისათა, რომელთა ცხოვრებანი და მოხსენებანი იპოებიან ამას წიგნსა შინა იანურის თთჳსასა“.

ამ თვეში შეტანილია 156 წმიდანის ცხოვრება-ხსენებანი.

3. უძღვის მთარგმნელ-გადამწერის ისეთივე შენიშვნა, როგორიც ოქტომბრის თვეს (ნ. შენ. 2); განსხვავებულია თვის შესაბამისი დასახელება და გადმოღების თარიღი: „წიგნი ცხოვრება წმიდათა, თთუჱ იანუარი...“

„...ხოლო აწ ქართულსა ზედა გარდმოღებულ არს მღუდლის დავით ინანაშვილისაგან, **ჩყმჱ**“ (693r).

4. თებერვლის თვე აკლია.

5. „თთუჱსა მარტსა ა ცხოვრება და წამება ღირსისა ქალწულ-მოწამისა ევდოკიასი. — დროთა ტრაიანე მეფისათა ილიოპულს შინა, რომელი არ კელსჳრიასა, სამფლობელოსა ლიბანის ფინიკიისასა ადგილსა, მესამზღურესა იუდიელთასა, იყო ქალი ვინმე, სახელით ევდოკია...“ (938r — 1121v).

შენიშვნები: ერთვის: 1. „უძუჱლესთათჳს კალუნდართა ელლინო-რომაელთასა“ (1122r — 1124r).

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. „შეკრებულნი უკუჱ აქა საღმრთოთა წერილთაგან სახელნი თთუჱთანი სამთა ამათ ენათა ზედა: ებრაულნი, ბერძულნი და ეგჳპტურნი საცნაურ იყუნენ მათთჳს, რომელთა უყუარსთ განრთუა კითხუათა შინა წიგნისათა“ (1123v — 1127r).

3. „თხზულებანი ანბანთა ზედა სახელთა წმიდათა ღმრთისათა, რომელთა ცხოვრებანი, ტანჯუანი და ჴსენებანი იპოვებიან წიგნსა ამას შინა მარტის თჳსასა (1127v — 1128v).

მარტის თვეში შეტანილია 174 წმინდანის ცხოვრება-ხსენებანი.

4. ერთვის მარტის თვის განმარტება: „თთუჱ მარტი პირუჱლი თთუჱთა შორის არს თთუჱ ესე წოდებული რომაულად მარტი, რომელსა ებრაელნი, უწინარეს ტყუეობისა თჳსისა ბაბილონს შინა, უწოდებდეს პირველად ესრეთ, შემდგომ ტყუჱობისა უწოდეს ნისანი...“ (937r — 938r).

6. „თთუჱსა აპრილსა ა, ცხოვრება, ღირსისა დედისა ჩუჱნისა მარიამ ეგჳპტელისა, აღწერილი უწმიდესისა სოფრონიოს იერუსალიმის პატრიარხის მიერ. — საიდუმლოთა მეფისათა დამარხუა კეთილ არს, ხოლო საქმეთა ღმრთისათა განცხადება და ქადაგება დიდებულ არს... (ტომი ბ, მუხ. ზ.)“ 1130r — 1267r.

შენიშვნები: 1. ერთვის: „თხზულებანი ანბანთა ზედა სახელთა წმიდათა ღმრთისათა, რომელთა ცხოვრებანი და ტანჯუანი და ჴსენებანი იპოვებიან ამას წიგნსა შინა აპრილის თთჳსასა“ (1268r — 1269 r).

ამ თვეში შესულია 166 წმინდანის ცხოვრება-ხსენებანი.

2. უძღვის მთარგმნელის ცნობები აპრილის თვის გადმოთარგმნის შესახებ „...ხოლო ქართულსა ზედა პირველად გადმოღებულ იქმნა მღუდლის დავით ინანაშვილისაგან ჩუნა“ (1129r).

7. [თთუჱსა მაისსა ბ ჴსენება წმიდათა მოწამეთა ბორის და ღლებასი] „...სლავის ძენი ჩერნილოველნი ძეთა თჳსთა თანა და დიდებულნი, და წარჩინებულნი, და სხუანი მთავარნი დიდებულთა თჳსთა თანა; და ყოვლისაგან ქუჱყანისა რუსთასა შემოკრბა მრავალი სიმრავლე ერისა, ეგრეთვე მიტროპოლიტიცა კიევისა...“ 1273r — 1445r.

შენიშვნა: ერთვის: „თხზულებანი ანბანთა ზედა სახელთა წმიდათა ღმრთისათა, რომელთა ცხოვრებანი და ტანჯუანი და მოხსენებანი იპოვებიან წიგნსა შინა ამას მაისის თთჳსასა.

მაისის თვეში წარმოდგენილია 111 წმინდანის წამება-ხსენებანი.

8. „თთუჱსა იუნისსა ა ცხოვრება და წამება წმიდისა მოწამისა იუსტინე ფილოსოფოსისა. — წმიდა მოწამე ქრისტესი იუსტინე ფილოსოფოსი იშუა ადგილთა შინა სჳრია პალესტინელთასა, საზღუართა სამარიასათა, ქალაქსა შინა, რომელსაც პირველად ეწოდებოდა სჳქემი. ესრეთ უკანასკნელ ეწოდა ნეაპოლი ფლაბიასი...“ 1457r — 1665v.

შენიშვნები: 1. ერთვის: თხზულებანი ანბანთა ზედა სახელთა წმიდათა ღმრთისათა, რომელთა ცხოვრებანი, წამებანი და მოხსენებანი იპოვებიან წიგნსა ამას შინა იუნისის თჳსასა“.

ივნისის თვეში შეტანილია 64 წმინდანის ხსენება-წამებანი.

2. უძღვის მთარგმნელის ანალოგიური შენიშვნა (ნ. ოქტომბერი, შენ. 2), ივნისის თვის დასახელებით (1453r).

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. „თუÙსა იულისსა ა, წამება წმიდათა მოწამეთა კოსმა და დამიანესი უსასყიდლოდ მკურნალთა, რომელნი იტანჯნენ რომს. — შემდგომ ჭორციელად აღმობრწყინუÙბისა ქუÙყანასა ზედა მეუფისა ქრისტეს[ი], ღმრთისა ჩუÙნისა, სასმენელ არს ყოვლით კერძო, ვითარცა ერთი რაჲმე საკჳრუÙლი... ესე-ვითარნი იყუნენ ესენი, რომელთათჳს წინამდებარე არს ჩუÙნდა სიტყუაჲ, წმიდანი ღუაწლისა თავსმდებნი კოსმა და დამიანე...“ 1673r — 1816v.

შენიშვნები: 1. ივლისის თვე წყდება იეზეკიელის ცხოვრების დასაწყისზე: „ცხოვრება წმიდისა წინასწარმეტყუÙლისა იეზეკიელისა. — წმიდა წინასწარმეტყუÙლი იეზეკიელი იყო ქალაქისაგან ებრაელთასა, ძეჲ ვუზიერი, ტომისაგან ლეკისა, მღუდელი ღმრთისა მაღლისა. ხოლო წარყუანებულ იქმნა ტყუÙდ ბაბილონს ნაბუქოდონოსორის მიერ...“ (1816v).

წყდება: „...მოვიდა კუალად ნაბუქოდონოსორის იერუსალიმს ზედა და წარიყუანა იექონია ყოვლით სახლეულითურთ მისით ტყუÙდ, და მრავალნი ერნი ჩინებულნი და კაცნი მჴნენი“...

2. ივლისის თვეში შესულია 48 წმინდანის ხსენება-ცხოვრებანი.

10. „თთუÙსა აგვისტოსა ა, შემოყუანება პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯუარისა უფლისა. — დღესასწაულობა ესე შემოყუანებისა პატიოსნისა ჯუარისა უფლისა განიწესა დღესა ამას, დროთა კეთილმსახურისა ბერძენთა მეფისა მანუილისა და დიდისა მთავრისა რუსთასა ანდრია გიორგის ძისა, უწმიდესისაგან სამეუფო ქალაქისა პატრიარხისა ლუკასსა და კიევის მიტროპოლიტის კონსტანტინესაგან...“ 1829r — 1990v.

შენიშვნები: 1. ერთვის: „თხზულებანი ანბანთა ზედა სახელთა წმიდათა ღმრთისათა, რომელთა ცხოვრებანი, წამებანი და მოხსენებანი იპოვებიან წიგნსა ამას შინა აგვისტოს თჳსასა“ (1991r — 1992r).

2. უძღვის მთარგმნელის ანალოგიური შენიშვნა (ცნობები) ამ თხზულების რუსული, 1840 წლის გამოცემიდან გადმოღების შესახებ (ნ. ოქტომბრის თვე, შენ. 2). დასაწყისში აგვისტოს თვის აღნიშვნით (1828r).

3. როგორც აღნიშნული იყო, სექტემბერი აკლია, შემორჩენილია წინა დანართი ანუ მთარგმნელის შენიშვნა სეკდემბრის თვის გადმოთარგმნის შესახებ (8r).

4. გარდა ცალკეულ თვეებთან წარმოდგენილი ამ ხასიათის შენიშვნებისა, დასაწყისში მოცემულია იგივე მთელ წიგნზე (ყველა თვისათვის ერთად):

„წიგნნი ცხოვრებათა წმიდათანი ათორმეტნი თთუÙნი, ესე იგი: სეკდემბერი, ოკდომბერი, ნოემბერი, დეკემბერი, იანუარი, ფებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი, იუნისი, იულისი, აგვისტო, უკულსმოდგინესად და უსარწმუნოესად, წინათ დაბეჭდილთაგან სხუადასხუათა წელთა დიდსა საკჳრუÙლთმოქმედსა კიევო-პეჩერის ლავრასა შინა. დაიბეჭდა ათმეორითა დაბეჭუდითა სამეუფოსა ქალაქსა შინა მოსკოვსა სტამბასა შინა, წელსა დასაბამითგან სოფლისა ჱტჱÙ, ხოლო შობითგან ჴორციელად ღმრთისა სიტყჳსა ჩყმ, ინდიკტიონსა იგ, თთუÙსა იუნისსა. ხოლო მის დაბეჭდულისაგან ქართულსა ენასა ზედა უნაკლულოდ გარდმოღებულ იქმნა მღუდლის დავით ინანაშვილისაგან, დაწყებული ჩყმე წლიდან, სეკდემბრის კგ, და შესრულებულ წელსა დასაბამითგან სოფლისა ჱტჲ, ხოლო განხორციელებითგან ღმრთისა სიტყჳსა ჩყნბ, ინდიკტიონსა ი, სადგურსა ტფილისის პოლკისასა, რომელსა ადგილსა ეწოდების დედოფლის წყარო, სამხრით კერძო ჭოეთის ციხისა, ძუÙლთ დროთა წოდებული ხორანთად ანუ ხორნაბუჯად.

5. მთარგმნელის ამ შენიშვნას, და გარდა ამისა, თვითოეულ თვესთან წარმოდგენილ ანალოგიურ ცნობებს, წამძღვარებული აქვს—ვის სადიდებლად და ვისი ბრძანებით შესრულდა წინამდებარე შრომა: „სადიდებლად წმიდისა ერთარსისა, ცხოველმყოფელისა და განუყოფელისა სამებისა, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებითა უკეთილმსახურესისა და უთჳთმპყრობელესისა დიდისა ჴელმწიფისა ჩუენისა იმპერატორისა ნიკოლაოზ პავლეს ძისა, ყოვლისა როსსიისა და მეუღლისა მისისა უკეთილმსახურესისა ჴელმწიფასა იმპერატრიცა ალექსანდრა თედორეს ასულისა, და მემკჳდრისა მისისა კეთილმორწმუნისა ჴელმწიფისა ცესარევიჩისა და დიდისა მთავრისა ალექსანდრე ნიკოლაოზის ძისა, და კეთილმორწმუნეთა ჴელმწიფეთა დიდთა მთავართა: კონსტანტინე, ნიკოლაოზ და მიხაილ ნიკოლაოზის ძეთა; კეთილმორწმუნისა ჴელმწიფისა და დიდისა მთავრისა მიხაილ პავლეს ძისა, და მეუღლისა მისისა კეთილმორწმუნისა ჴელმწიფასა და დიდისა მთავრინას ელენა პავლეს ასულისა; კეთილმორწმუნისა ჴელმწიფასა და დიდისა მთავრინასა მარიამ ნიკოლაოზის ასულისა და მეუღლისა მისისა. კეთილმორწმუნეთა ჴელმწიფეათა და დიდთა მთავრინათა ოლღა და ალექსანდრა ნიკოლაოზისა ასულთა; კეთილმორწმუნეთა ჴელმწიფეათა და დიდთა მთავრინათა: მარიამ, ელისაბედ და ეკატერინა მიხაილის ასულთა. კეთილმორწმუნისა ჴელმწიფისა და დიდისა მთავრინასა მარიამ პავლეს ასულისა და მეუღლისა მისისა. კეთილმორწმუნისა ჴელმწიფასა და დიდისა მთავრინასა ანნა პავლეს ასულისა და მეუღლისა მისისა. ხოლო კურთხევითა უწმიდესისა და უმართებელესისა ყოვლისა როსსიის სჳნოდისა“ (3г, 15г, 693г, 1129г, 1453г, 1828г).

6. «კიევო-პეჩერის ლავრის არხიმანდრიტის ვარლაამის» „წინასიტყუაობა წარმკითხუელისა მიმართ კეთილმსახურისა. — მათ დროთა შინა, რომელთა მადლითა ღმრთისათა როსსიასა შინა კეთილგონიერთაგან მართლმადიდებელთა მოძღუართა და სიტყჳსა ღმრთისა მქადაგებელთა სხუა და სხუანი წიგნნი განიხსნნეს, და საბეჭდავითა სტამბისათა ერთა ქრისტეანეთასა წარსაკითხუელად და სასმენელად წინა დაეგნეს (წარმკითხუელო კეთილ მსახურო) და ესეცა წიგნი განიღო, რომელ არს ცხოვრება წმიდათა, რომელნი აღწერილ არიან წიგნსა შინა ცხოვრებისასა, ცათა შინა გრძელთა დროთა მიერ მოსალოდებელი, რამეთუ აღოხრებისაგან ქუეყანისა ჩუენისა, მოშუებითა ღმრთისათა ცოდუათა თჳს კაცთასა, რომელი იქმნა უღმრთოსა მიერ მეფისა აგარიანელთასა ბათოსსა, შემურჳთა წმიდათა ეკკლესიებთა და დიდ-დიდთა მონასტრებთათა, წარსწყმდნენ მრავალნი წიგნნი, რომელთა შორის იყუნენ ცხოვრებანიცა წმიდათა ღმრთისათა, თჳს ყოფილნი სლავიანო-როსსიულისა ენისანი; და მიაკლდებოდა წმიდა ეკკლესია დიდთა სარგებლობათა, რომელნი იქმნებოდნენ წარკითხუათა მიერ ცხოვრებათა წმიდათასა; რომელნი ოდესმე კერძოობითად წარიკითხოდნენ ვიეთთამე მიერ უცხო ენათაგან, უშესაბამოთა წმიდისა აღმოსავლეთის ეკკლესიისათა, რომელნი გარდმოიღებოდენ არა თჳნიერ შეუცთომათა, და მრავალნი კეთილმსახურთაგანნი სულთქმით ისურვებდენ, რათამცა ოდესმე ღირს იქმნენ ესე-ვითართა წიგნთა, მართლმადიდებლობით და ღირსსარწმუნოდ მომლოდნენი, გამოცემასა საკუთარსა თჳსსა სლავიანოროსსიულსა ენასა ზედა. რომელი იხილა-რა კეთილმან მწყემსმან და ღმრთისა და წმიდათა მისთა დიდების განმავრცობელმან, და სარგებლობათა კაცთასა მომპოვებელმან, ნეტარ-ხსენებულმან პეტრე მოღილა მიტროპოლიტმან კიევისა და არხიმანდრიტმან პეჩერისამან, იწყო შეძინება გულსმოდგინეთა ზრუნუათა, რათამცა უძლოს დაფლულისა მის ნაცარსა შინა დავიწყებისასა, დიდებათა წმიდათასა, ვითარცა მკუდრეთით აღდგინებად და მის მიერ ნუგეშინის ცემად ქრისტეს ეკკლესიისა და მორწმუნეთა შჳლთა მისთა სარგებლობად. ამისთჳს ათონის მთაწმიდისაგან მოითხოვა წიგნნი სანატრელისა სიმეონ მეტაფრასტისა, რომელი იყო აღმწერი ცხოვრებათა წმიდათასა ბერძულსა ენასა ზედა, მოსურნემან გარდმოღებად სლავენურსა ენასა ზედა, და მიმადლებად სოფლისა ჴელოვნებითა სტამბისათა; არამედ დაბრკოლება უქმნა განზრახულსა კეთილსა საქმესა მისსა მსწრაფლმან სიკუდილმან. შემდგომად მისსა, მისვე სულისა სასარგებლოსა და ყოველთა მიერ კეთილ-საჴმარისა საქმისა მოსურნე იყო გულსმოდგინე და მოსწრაფე ნეტარხსენებული, ღმრთივბრძენი არხიმანდრიტი წმიდისა ამის დიდისა საკჳრველთმოქმედის ლავრისა პეჩერისა კიეველთასა ინოკენტი ღიზელი, რომელი მრავლად დაშურებოდა აღწერისათჳს სრულთა ცხოვრებათა წმიდათასა; და სხუა და სხუათა მწერალთა იქმევდა ამას ზედა და წარგზავნიდა დიდსა სამეუფო ქალაქსა მოსკოვსა შინა, მვედრებელი წიგნისათჳს ცხოვრებისა წმიდათასა, მუნ აღწერილსა დიდსა თუენსა შინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არამედ ბოროტთა დროთა ხშირთა ბრძოლათა მიერ, და სამარადისოთა ჭირთა და მწუხარებათა მიერ უქმნეს მასცა დაბრკოლებაჲ. ხოლო შემდგომ სანატრელისა აღსასრულისა საწუთოსა ცხოვრებისა მისისა, მიმღებელმან მორჩილებასა არხიმანდრიტისასა, მასვე ლავრასა შინა ულირსებამან ჩემმან და მოსურნეობამან, შეწევნითა ღმრთისათა, განზრახვისა მის ღმრთივსათნოსა წინამსწრობთა მათ ჩემთა მამათა, და არცა თუ მცირედ მზრუნველთა მისთჳს სისრულედ მიყუანებად, მოვიძიებდ მე გულსმოდგინედ ესევითარსა გონიერსა კაცსა, რომელსა სრულიად ვარწმუნემცა იგი კეთილსაქმარი საქმეჲ. და აჰა ესერა ვითარ-იცი უწინარეს მასვე ლავრასა შინა განსამართუწლად სლავენურისა ენისა და გამოცემად სტამბით წიგნთა სულისა სასარგებლოთა ჰსწავლათა წმიდისა იოანე ოქროპირისათა ეპისტოლესა ზედა წმიდისა მოციქულისა პავლესსა, სურვილისამებრ ნეტარხსენებულისა და ღირსსაქებელისა კიევო-პეჩორის არხიმანდრიტის ელისე პლეტენელისასა, მიმადლა მას ღმერთმან შემწედ, სისრულედ მიყუანებისათჳს საქმისა მის, მასვე ლავრასა შინა თანამკჳდრი და ნეტარხსენებული ბრძენი მამაკაცი ზაქარია კოპისტენელი, რომელი შემდგომ ამისსა იქმნა მუნვე არხიმანდრიტადცა. ესრეთ, მანვე, ყოვლისა მომნიჭებელმან ღმერთმან, გულსმოდგინედ მოძიებისამებრ ჩემისა, მოავლინა ლავრასა ამას შინა, თანამკჳდრად მას შინა, კეთილ გონიერი მქადაგებელი სიტყჳსა ღმრთისა, კეთილმსახური იერომონაზონი დიმიტრი, იღუმენი მონასტრისა, მღუდელ-მთავრისა ნიკოლაოს კრუპიცელთა ბატურინელთა, რომლისა კეთილგონიერისათჳს და შემძლებელობისა აღსრულებად განზრახულისა მის საქმისა, ესე იგი განმართუად და გამოცემად წიგნთა ცხოვრებისა წმიდათასა...

„წმინდისა დიდისა საკჳრველთმოქმედისა კიევო-პეჩერის ლავრისა ულირსი არხიმანდრიტი ვარლაამ...“ (4r — 6r)

7. „მოძღუარნი, მწერალნი, მეისტორიენი, მომთხრობელნი, რომელთაგან შეიდგინა წიგნი ესე...“ ← (6v — 7r). ჩამოთვლილია მათი სახელები, ამასთანავე დასახელებულია ძეგლები და ნათქვამია: „და სხუანი მრავალნი საეკკლესიო წიგნნი მრავლად შეეწეოდნენ ღირსსარწმუნოდ აღწერასა ამათ წმიდათა ცხოვრებისასა...“

8. „წინასიტყუაობა კეთილმსახურისასა მიმართ წარმკითხუწლისა. აღწერანი და მოთხრობანი ცხოვრებათათჳს და საქმეთა წმიდათა მამათასა, რომელნი სხუადასხუათა სახეთა მიერ სათნო ეყუნენ ღმერთსა, ესრეთ ძუწლ არიან ქრისტეანობასა შინა, ვითარ-იგი ძუწლ არს ეკკლესია ქრისტესიცა. — წარმკითხუწლო კეთილმსახურო, დასაბამსა და საუკუნოწლსა ამისსა მქონებელ ვართ ჩუწნ საქმეთა შინა მოციქულთასა, სადა-იგი საქმენი, ღუაწლნი და წამებანი, ვითარ-იგი თავთა მოწაფეთა მაცხოვრისა ჩუწნისათა, ესრეთ სხუათაცა შედგომილთა მათთა მსახურებათა შინა სარწმუნოებისათა, აღწერილ არიან წმიდისა ლუკა მახარებელისა მიერ...“ (9r—14r).

9. მთარგმნელის „წინასიტყუაობა. საცნაურ იყავნ შენდა, წარმიკითხუწლო კეთილმსახურო, შვილო მართლმადიდებელთა ივერთა ეკკლესიისაო! ოდეს სათნო იჩინა მარად არსმან საღმრთომან განგებამან აღრჩევა ჩემ ცოდჳლისა ამის, არა ღირსისა, უვიცისა და უსწავლელისა მონისა თჳსისა, მსახურად საკურთხეველისა მისისა და დადგინება მღუდელად წმიდასა ეკკლესიასა შინა, მაშინ აღიძრა ჩემ შორის ესე-ვითარი იგი სურვილი გულსმოდგინებისა, რათა, უკეთუ შესაძლო იქმნების ჩემ მიერ ცხოვრებასა შინა ჩემსა ვიხილნერა მემცა ყოველთავე მათ საღმრთოთა წერილთაგანნი და რაოდენნიმე სულისა სასარგებლონი ჰსწავლანი და მოთხრობანი ყოველთა წმიდათათჳს აღწერილნი დასაბამითგან ქრისტეანობასა ვიდრე აქამომდე, რომელნი შეთხზულ და გამოცემულ არიან, ვითარ-იგი თჳთ წმიდათა ღმრთის მხილუწლთა მახარებელთა და ღმრთისმეტყუწლთა, ქრისტეს მქადაგებელთა მოციქულთა მიერ, ესრეთ, შემდგომ მათსა, კაცთაგანცა მოციქულებრთა თანასწორვე მოძღუართა, მწერალთა, საეკლესიო მეისტორიეთა და მომთხრობელთანი, რომელნი ხსენებულ არიან წიგნთა ამათ შინა; და აღმოვიკითხნე რა, აღმოვივსნე მუნით, ვითარცა წყაროსაგან დაულევნელისა რაჲმე სარგებლობანი, ვითარ-იგი საკუთარ სასარგებლოდ ცოდჳლისა სულისა და განსამტკიცებელად უვიცისა თავისა ჩემისა, ეგრეთ სხუათათჳსცა, მზგავსთა მოქენეთა ესე-ვითარისათა; გარნა განზრახჳსა ამის ჩემისა დაღათუ წინათ-ვიხილეცა ყოვლი-

თურთ სიძნელე სრულყოფისა, ვინათგან ძჳრ არიან ხილუად და წარკითხუად იშჳ[ა]თობისა გამო ჴელწერილთასა, და თჳნიერ ბეჭდისა სტამბითა ენასა ზედა ჩუჱნსა, უფროსღა აღოხრებათა გამო და წარწყმედათა მტერთა მიერ ესე-ვითარ[თა]. არამედ, რაოდენთა შემძლებელ ვიქმენ ხილვად ესე-ვითართა მათ და წარკითხუად საღმრთოთა წერილთა, არათუ-ოდენ ქართულთა, არამედ სლავენურ-როსსიულთაცა დაბეჭდილთა, შევისწავენ მათ შორის რომელნიმე ფრიად სულისა სასარგებლონი და საჭირონი, ვითარ სამღუდელოთათჳს, ეგრეთვე საეროთათჳსცა.

დაღათუ არა ფრიად ჰსწავლულმან, არცა მეცნიერმან ხსენებულისა ამის სლავენურ-როსსიულისა ენისამან, რაოდენმე შემძლებელმან გულისჴმის-ყოფად მისსა, და მოსურნემან, რათა იყუნენმცა ენასა ზედა ჩუჱნსა ესე-ვითარნი საეკკლესიონი წიგნნი, ვიმეცადინე რაოდენ ძალ მედუა და გარდმოვიღე რომელნიცა ვრაცხე საჭიროდ და სასარგებლოდ; არათუ-ოდენ სამღუდელო მსახურთათჳს მართლმადიდებელთა ივერთა ეკკლესიისათა, არამედ საეროთათვისცა. დამწყებმან შრომისა ჩემისამან, ჩყკჱ წლითგან, ვიდრე აქამომდე, რომელთა შორის უკანასკნელ გარდმოვიღე წიგნიცა ესე, ცხოვრება წმიდათა, რომელსა ეწოდების სრული თთუჱნი ათორმეტთა თთუჱთა ახლად, და რომელთა შინა იპოებიან აღწერანი ყოველთა წმიდათანი და დაბეჭდულის, ესე იგი მოსკოვსა შინა 1840 წელსა, ნებართჳთა უწმიდესისა სინოდოსისათა, ზემოხსენებულთა ღირსთა და წმიდათა მამათა სხუა და სხუათა თხზულებათა მიერ ერთად შეკრებულნი სლავენურ-როსსიულსა ენასა ზედა წმიდისა საკჳრველთმოქმედისა დიმიტრი ყოვლად სამღუდელო-მიტროპოლიტისა როსტოვისა, რომელმან იწყო შრომა დიდი ესე თჳსი უწინარეს რაოდენთამე წელთა სრულქმნისა მისისა პირველითა ბეჭდითა სტამბისათა, წელსა ჩქპთ, ვითარ-იგი იხილვების ყოველივე გარემოება მისი შეკრებული სხუათა და სხუათა მწერალთაგან და რომელნი ზემოხსენებულ არიან წინასიტყუაობასა შინა წიგნისა ამის სრულისა თთუჱნისასა კიევის მიტროპოლიტის ვარლაამის მიერ, რომელი იყო ჟამსა მას არხიმანდრიტად წმიდისა კიევო-პეჩერის ლავრისა.

წარმკითხუჱლი წიგნისა ამის რაოდენმეგზის მოსურნე ვიქმენ, რათამცა დაშთა ხსოვასა შინა ჩემსა ცხოვრება რაჲმე ანუ მაგალითი ვისიმე მითხრობად სხუათადმი. ვერ უძლე ყოვლითურთ, რამეთუ არა მქონებელმან ესე-ვითარისა ზეპირსიტყუაობითა ყოველთავე ამათ, ნიჭისა და მეხსიერებისამან, რათამცა უძლე გარდაცემად სხუათა მიმართ სასარგებლოდ და განსამტკიცებელად სულთა ყოველთა მათ ერთა სამღუდელოთა და საეროთა, მამათა და დედათა, თანმოძმეთა ნათესავეთა ამერ-იმერთა ივერიისა, განვიზრახე, რათა გარდმოვიღო ძალისაებრ ჩემისა წიგნიცა ესე თთუჱნი ენასა ზედა ჩუჱნსა; რომლისა მკადრემან ჴელ-ვჰყავ ესე-ვითარი საქმე, ზესთა ძალისა ჩემისა, ჩყნე-სა წელსა და სრულ ვჰყავ აწ უნაკლულოდ წელსა ჩყნბ-სა, თთუჱსა აგვისტოსა იჱ; რომლისა წინადამდები ვთხოვ ყოველთა შენდობასა რაჲსამე შეცდომისასა, ვინათგან შეცთომა არს კაცობრივი, და განმართუა მისი კაცისა მეცნიერისა. ამისთჳს წარმკითხუჱლო კეთილმსახურო, რომელმან წარიკითხო რა ესოდენი ნაშრომი სურვილისა ჩემისა, და შესაძლო არს ყოფად, ყოვლითურთ არა ღირსი თხზულებისა ამის გარდმოცემაჲ ქართულსა ენასა ზედა, გარნა სასარგებლო ყოველთათჳს, კუალად, უკეთუ იხილოცა რაჲმე შეცთომა ანუ სიმეტნე სიტყუათა, გინათუ უთანჴმოება, და ანუ ნაკლულევანება, ნუ მწყევ ამისთჳს, რამეთუ, რაოდენი მომანიჭა მე ღმერთმან გულისჴმისყოფა, ეგოდენ შემძლებელ ვიქმენცა გარდმოღებად, რათა ოდენ სრულ ვჰყო სურვილი ჩემი; და უკეთუ რაჲმე დაშთა არა ნამდჳლ გარდმოღებული, მას დაუტევებ შემდგომ ჩემსა შემძლებელთა გარდმოღებად და განმართუად შეწევნითა ღმრთისათა, რათა განმართონ მათ არა სრულქმნილი სიყუარულითა, რომლითა დაიფარვის სიმრავლე ცოდუათა, და მიიღონ მისთჳს ღმრთისაგან მრჩობლი მისაგებელნი და კურთხევანი ყოველთა მიერ წმიდათა. პირველსა ამას სურვილსა ჩემსა, გარდმოღებისათჳს ქართულსა ენასა ზედა წიგნთა ამათ, სრულქმნისა ჩემ მიერ შეწევნითა ღმრთისათა, მდინარეობასა შინა რაოდენთამე წელთასა, შეუდგა მეორეცა სურვილი, რათა თანა დამშთომიეს აწ უკუჱ სრულყოფა მეორისაცა მის სურვილისა ჩემისა, გარნა უმძიმესისათა, ესე იგი დაბეჭუდა მათი ენასა ზედა ჩუჱნსა, რომელი უმეტეს, უაღრეს არს ძალისა ჩემისა, ვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათგან დაბეჭდათა მათთათჳს საჭირო იქმნებიან საფასენი მრავალნი, და ძნიად მიჩნს მე ესე მხოლოსა უფროს, ვიდრელა პირველი იგი, თჳნიერ შეწევნისა ყოველთა მართლმადიდებელთასა, რომელთა ვჰსთხოვ საზოგადოდ ყოველთა მოყუარეთა მამულისათა, რათა იხმიონ შეწევნა, რაოდენ ვის ძალ-ედუას საფასითა. და ნაცულად მათსა მიიღიან ფასად ხსენებულნი წიგნნი იგი; და რათამცა დღეთა შინა ჩუენთა, შემდგომ სრულყოფისა საბეჭდავითა ხსენებულთა წიგნთასა, ღირს ვიქმნნეთ მადლობისა შეწირუად ღმრთისა მიმართ ყოველნივე, წარმკითხუელნი და მჰსმენელნი, ესრეთვე სიქადულით მეტყუელნი. ნეტარ არიან თუალნი ჩუენ ყოველთანი, რამეთუ ვჰხედავთ მოულოდებელად, და ყური, რამეთუ ვისმენთ ამას, ამინ.

კეთილმსახურებისა შენისა საუკუნოსა და კეთილ-საწუთოსათჳს ცხოვრებისა უგულსმოდგინე მოსურნე და მარად მლოცუელი ყოვლად ულირსი მღუდელი დ ა ვ ი თ ი ნ ა ნ ა შ ვ ი ლ ი“.

„შევრთო ამათ წმიდათა ცხოვრებასა თანა, რომელნი არიან ბერძენთა, რომთა და რუსთა წმიდანი, ევრეთვე ქართველთ წმიდანიცა“ (1r—2r).

ანდერძები: 1. სრულ ვჰყავ მღუდელმან დ ა ვ ი თ ი ნ ა ნ ა შ ვ ი ლ მ ა ნ წელსა **ჩყნ**, აპრილის **ზ** (163r).

2. „სრულ იქმნა, დიდება ღმერთსა, **ჩყნ** წელსა“ (407v. მიწერილია „ნოემბრის“ დასასრულს).

3. „სრულ ვჰყავ მღუდელმან დ ა ვ ი თ ი ნ ა ნ ა შ ვ ი ლ მ ა ნ წელსა **ჩყმზ**-სა“ (688v. „დეკემბერი“ გადაუნუსხავს სხვა თვეებზე ადრე).

4. „სრულ ვჰყავ მღუდელმან დ ა ვ ი თ ი ნ ა ნ ა შ ვ ი ლ მ ა ნ წელსა **ჩყმჱ**“ (934v).

5. „სრულ იქმნა ნოემბრის **ლ**, **ჩყნ** წელსა, სადიდებლად ღმრთისა“ (1121v).

6. „ვიწყე დეკემბრის **გ**, წელსა **ჩყნ**. მღუდელი დ ა ვ ი თ ი ნ ა ნ ა შ ვ ი ლ ი“ (1129r).

„სრულ იქმნა, დიდება ღმერთსა, **ჩყნა**, ივნისის **ივ**“ (1267r).

7. „სრულ იქმნა, დიდება ღმერთსა, **ჩყნა** წელსა, ოკდომბრის **ით**. მღუდელი დ ა ვ ი თ ი ნ ა ნ ა შ ვ ი ლ ი“ (1445r).

8. „ვიწყე ოკდომბრის **კვ**, **ჩყნა**“ (1457r. ივნისის თვე).

„დიდება ღმერთსა ყოვლთ სრულმყოფელსა.

სრულ იქმნა მარტის **ი**, წელსა **ჩყნბ**. მღუდელი დ ა ვ ი თ ი ნ ა ნ ო ვ ი“ (1665v. ესეც ივნისის თვის დასასრულს).

მინაწერი: „Его благородию А л е к с а н д р у Е р м о л а е в и ч у Ш а р о п о в у“ (?2r).

შენიშვნები: 1. საცავ ფურცელზე, მოსე ჯანაშვილის ხელით მიწერილია: „საწელიწდო თთვენი“, და ჩამოთვლილია თვეები, მათი გადმოღების თარიღის მითითებით, რომლებიც ამოკრეფილია ნუსხისეული ანდერძებიდან. „თებერვალი“ და „სექტემბერი“ გადახაზულია მისგანვე და აღნიშნულია: „დაკარგ.“ [ულია] (01r).

2. «წიგნნი ცხოვრებათა წმიდათანი ათორმეტნი თთუენი» დ ა ვ ი თ ი ნ ა ნ ა შ ვ ი ლ ს, როგორც თავის წინასიტყვაობაშიც აქვს აღნიშნული, გადმოღებული აქვს რ ო ს ტ ო ვ ი ს მ ი ტ რ ო პ ო ლ ი ტ ი ს დ ი მ ი ტ რ ი ს მიერ შედგენილ ამავე სახელწოდების თხზულებიდან, სახელდობრ XII გამოცემიდან, რომელიც დაიბეჭდა მოსკოვში 1840 წელს, სინოდის სტამბაში. იხ. Жития святых, именуемыя просто минеи четьи; Собранныя из древних славенских, греческих и латинских писателей св. Д и м и т р и е м, митрополитом Р о с т о в с к и м, разложенныя на 12 месяцев, 4 книги“.

3. დ ა ვ ი თ ი ნ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს ეს თ ა რ გ მ ა ნ ი სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი არ არის.

4. ამ თხზულების ერთი წიგნი, სახელდობრ დეკემბრის თვე, შემოსულობის მიხედვით, S—4991-ა ნომრით იყო გატარებული, დანარჩენი ცხრა (თვე) კი—ბ-თი. „დეკემბერი“ შეუერთდა დანარჩენ თვეებს, როგორც მისი ნაწილი.

(1732) **4992**

ყარამანიანი. 1840

734 ფ. (1468 გვ.); 34,5×21; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული (სათაურები ზოგან სინგურით); 1840 (გვ. გვ. 1, 192); გადამწერი სტეფანე გრიგოლის ძე აპრილაშვილი (გვ. გვ. 1, 192, 612); ადგილი დუშეთი (გვ. 612); დაუწერელია: გვ. გვ. 2, 614 — 733, 1081 — 1468.

„წიგნი ყარამანიანი, ნათარგმანი (!) სპარსულისაგან ქართულად... ამაოდ [! ამოდ] სასმენი სავაჟკაცოთ. — პირველ ჟამსა სპარსეთსა შიგან იყო ხელმწიფე დიდი, რომელსა ეწოდა თახმურად. ესე იყო მორჭმული და აღსრულებული ყოველსა ზედა სპარსეთსა...“ გვ. 2 — 1080.

შენიშვნები: 1. ყარამანიანის ტექსტი გვ. 192-დე დაყოფილია კარებად (შეიცავს 16 კარს), თუმცა მათი სათვალავი არ არის აღნიშნული, ასე მაგალითად:

„კარი ყარამანის ქაჯთა და დევთაგან მოტაცების ამბავი“,

„კარი უშანგ ჭელმწიფისაგან ინდოთა ხელმწიფეზე გალაშქრება და გზის ზედან ყარამანის შეყრა“.

აღნიშნული გვერდის შემდეგ კართა დასახელება წყდება და თავები ამ სახით სათაურდება:

„აქა უშანგისა და რაიაზამისა ამბავი მოვიხსენოთ“.

2. „ყარამანიანის“ ეს ნუსხა შედგენილობით ვრცელი რედაქციისაა (იხ. ყარამანიანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთეს ალექსანდრე გვახარიამ და სარგის ცაიშვილმა, 1965). ბოლო თავია: აქა ყარამანისა და ქუჩუგ ყარამანის მოსვლა და დიდი ომი“.

ანდერძები: 1. „ჩყმ-სა წელსა, მაისის ა პირველსა დღესა აღიწერა ესე ყარამანიანი ჭელითა ჩემითა სტეფან გრიგოლიჩ აპრილოვის ძისაგან (!), მდაბლათ ძმათა მონათა თქვენთა. ღმერთმან ადღეგრძელოს დამწერი და ყოველთა თქვენთა (!). —

რომ წაიკითხოთ, მიუბრუნოთ პატრონსა,
და თუ იყო მიცვლილი, შენდობის(!) მიუტევეთა,
და თუ იყოს ნაკლები, დაწერილი ბრუდათა,
არამც შეაგინოთ ამის[ა] დამწერთა.
არის კითხვითა დროთა და ჟამთა,
პირველ ამისი მწერალი ყოფილა ცუდათა.

1840 года, мая 1“ (გვ. 1).

2. „...აპრილაშვილი გრიგოლის ძესაგან (!) სტეფანას აღმიწერია შეწუხებაში და მდებრობაში; და აღმამკითხველნო, თუ ცოცხალი ვიყო, დღეგრძელობა მიბრძანეთ, და თუ კვდარი, შენდობა“ (გვ. 2).

3. ჩყმ-სა წელსა, მაისის ა პირველსა დღესა აღმიწერია მე, სტეფანა აპრილოვს. აღმიწერია ჩემს სადღეგრძელოდ“ (გვ. 192).

4. „ეს ყარამანიანი სრულდება წერით დუშეთში, სტეფან გრიგოლის ძე აპრილოვისაგან. აღმომკითხველნო, თუ ცდომილება ნახოთ, არამც გვწყეროთ, კეთილად მოგვიხსენიეთ“ (გვ. 612).

5. „სტეფან აპრილოვი“ (გვ. 485, 817).

6. „სტეფან გრიგოლიჩ აპრილოვ“ (გვ. 818. ქართულად, სომხურად, რუსულად).

მინაწერები: ტექსტის ხელით: 1. „და თუ გნებამდესთ ზაქის მოთხრობა და შეტყობა, ამის ბოლოში გახლამთ (გვ. 1).

2. ლექსი გადამწერისა. —

„დავლონებულვარ, სიკვდილის სიმძიმე სიპი ქვისასა,
სწორ-ამხანაკის მოშორვებასა, დაბნელებასა მზისასა,
ვაი თუ ჩავხტე, ჩავარდე ორმოსა ბნელეთისასა,
და გვედრებთ ამამკითხველნო: შენდობას დამწერისასა“ (გვ. 612).

3. ხალხური ლექსი. —

„სოფლისა თავსა ვესახლე,
განა სოფელი ჩვენს თავსა,
სოფელმან კარვა მითავსა,
თუ მე სოფელი მეთავსა“ (გვ. 612).

4. არა ტექსტის ხელით (ხელნაწერის შემძენისა): „1877, 23. VI ესე ყარამანიანი ვიყიდე მე, დარჩუა ბურდინოვმა სტეფან აპრილოვის ქვრივისაგანა. მივეცი, რაც თავისი გული შესჯერდებოდა. ღმერთო, საკეთილოთ მახმარე მყიდველსა“ (გვ. 01).

5. „1903-სა წე[ლსა] იანვრის 7-სა დღესა ესე ყარამანიანი დავიმტკიცე მე, ნიკალაი ბურდინოვმა“ (გვ. 726).

4993

ილია ჭავჭავაძე, ლექსთა კრებული. გადატანილია ილიას პირად საარქივო ფონდში, № 2.

4994

ილია ჭავჭავაძე, «მოთხრობა ქისიქისა». გადატანილია ილიას პირად საარქივო ფონდში, № 10.

4995

ილია ჭავჭავაძე, «აჩრდილი». გადატანილია ილიას პირად საარქივო ფონდში, № 3.

4996

ილია ჭავჭავაძე, მოთხრობა «კაკო». გადატანილია ილიას პირად საარქივო ფონდში, № 9.

(1733) **4997**

კრებული. 1837

02+205 ფ.; 23×18; ქაღალდი; კოლენკორ გადაკრული მუყაოს ყდა (ახლად აკინძული); მხედრული; 1837 წ. (163r); გადამწერი მოსესა ყორღანოვი (162v); თბილისი (162v); დაუწერელია 4v, 203v, 204v—205v.

1. შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი. — „ამა ამბისა დასაწყისი პირველი ამო სასმენელად შვენიერი სწავლისათვის მოშარეთას (!) ტარიელს და ნესტან-დარეჯანს ვეფხვის ტყაოსნობითა უხმობენ. —

რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა ჰყუნა ზეცით მონაბერითა...“ 1r-162v.

შენიშვნა: ვეფხისტყაოსნის ეს ნუსხა ვახტანგისეული რედაქციისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. [ხერხეულიძე ომან მდივანბეგი] „შემოკლებული ისტორია ცჱებულის მეფის თეიმურაზისა და ძისა მისისა მეფის ირაკლი მეორისა, თუ ვითარითა შრომითა, ღვაწლითა და მხნურითა მორბედობითა მიიღო მეფობა ქართლოსია[ნ]თა ზედა გულოვანმან ირაკლი, თეიმურაზის ძემან. — დაჯდა ყეენად ძე შაჰ სულთან უსეინისა შაჰ თამაზ წელსა 1722, რომლისა რიცხვსა შინა იჯდა მეფედ ქართლსა ვახტანგ, ძე ლეონისა, ხოლო კახეთს მეფობდა კოსტანდინე (!), ირაკლი პირველისა ძე, რომელსა მეორე სახელად ეწოდა მაჰმად-ყულიხან...“ 165r-194v. (იხ. ქართლის ცხოვრება, დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, 1854, გვ. 475—500).

3. [ცნობები საქართველოს ეთნარქ-ეპონიმებზე ლეონტი მროველის მიხედვით]. „შემდგომად წყლის რღუნისა. — ნოეს ძის იაფეტისაგან იყო მესამე თაობა თარგამოს. ამას ესხნეს რუანი ძენი, რომელთაცა რვასა ნაწილსა მათსა ქვეყანასა ეწოდა სახელებითა თვითოთა...“ 195r-197v.

შენიშვნა: ერთვის: 1. «სარჩევი» ვეფხისტყაოსნისა (198r—199v).

2. [როსტომიანი], ფრაგმენტი. „... აქა ზალდასტან რომე გამოსცადეს სიტყვისა სათარგმ[ა]ნებლად და მან ყოველი სცნა. —
ვეზირმან ჰკითხა ზალდასტანს გამოსაცდელი ასია,
ერთსა საროსა შტოზედან თორმეტი შტონი ასხია...“ (200r—202v).

წყდება: ...„მშვილდოსნობით მამასა გავს, ფალავანი საამ არის,
სადადარი უმართლეა, სარტყლის შერტყმა მისი არის,
და დიდ ნარიმანს საჯილდავიბს, თუ ასეთი სხვეით არის“...

იხ. როსტომიანი, იუსტ. აბულაძის რედაქციით, 1916, გვ. გვ. 465—470, სტრ. 1696—1716.

3. კრებულში შეტანილია სამი სტროფი („როსტომიანიდან“, ჩანართი). —

„ბაგრატ ვნახე მარანს იჯდა, მუხრანს შექმნა ნ[ადიმობა]...
აქა რუსთველისა პასუხი. —
რას მამერჩი ბერი ბერსა, მე გავლექსე ლამაზ ენა...
აქა ბაგრატის პასუხი. —
ვიცი ჩემო სერაპიონ ხარ და (!) მრავლისა მონახული...“ (164r).

იხ. ფირდოუსი, შაჰნამე, II ტ., 1934, სტროფები: 3599, 3600, 3601. ამ «ჩანართის» ირგვლივ ნ. ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, 1940, გვ. 72—73.

